UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია

ა თ ი ნ ა თ ი

2024 / 1 / (51)

თბილისი
2024



ღმერთო,

შენი რწმენით

ვცოცხლობ!

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)



წმინდა ნიკოლოზი

ხატმწერი **ხატია ლარიაშვილი**

დაბა წყნეთის მერვე საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერი

შობა



აღდგომა

ხატმწერები **გელა, გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

მამა გაბრიელი

მიცვალებულის სახელზე რომ პანაშვიდი გადაახდევინო, ისეა, თითქოს პატიმარი გაასეირნო დღის სინათლეზე, ხოლო თუ შეკვეთილ წირვას გადაუხდი, მაშინ არწივივით აფრინდება! შვიდ შეკვეთილ წირვას ძალიან დიდი ძალა აქვს, ხოლო თორმეტ შეკვეთილ წირვას ჯოჯოხეთიდან ამოჰყავს სული, რანაირი ცოდვილიც არ უნდა იყოს, რა თქმა უნდა, გარდა ღვთის გმობელისა. მათზე ლოცვაც არ შეიძლება. მხოლოდ კეთილი საქმეები. თქვენ რომ ხედავდეთ, როგორი მადლი გადმოდის წირვის დროს, მზად იქნებოდით ტაძრის იატაკზე მტვერი შეგეგროვებინათ და იმითი სახე დაგებანათ...

/ წმ ბერი გაბრიელი /



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

„მე მინდა მთელ საქართველოს ვუთხრა, რომ არ გაუტყდეს გული, ყველაფერი ეს განსაცდელი, რაც გვაქ, ყველაფერი გაივლის და ღმერთი გადმოგვხედავს, მე ასევე მინდა სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეთ, აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, შური არ უნდა ვიძიოთ. ბოროტებით ბოროტება არ იკურნება, ბოროტება ინკურნება სიყვარულით, ერთმანეთს გავუკეთოთ სიკეთე, შეიძლება ღირსიც არ არის ის, ამ სიკეთისა, მაგრამ ათმაგად შენ დაგუბრუნდება. არ შეგეშინდეთ, ყველაფერი კარგად იქნება. გიყვარდეთ ერთმანეთი“.

მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)



ᲨᲔᲕᲥᲛᲔᲜ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

აგერ წიგნები, თვალით რომ ხედავთ,
მეკი დარდებში შემომაღამდა,
მოკრძალებულად დღეს სიტყვას ვბედავ,
ლექსში კი გული ბევრჯერ აბღავლდა.
მარტოდ არა ვარ, ღმერთია ჩემთან,
მწრთვნის ისე როგორც ფოლადის ტყვია,
მე მის გარეშე სიტყვა არ მითქვას,
ვწერ და წყნარ ნიავს უფალთან მიაქს.
შევქმენ ჟურნალი არც თუ ურიგო,
წმინდა გიორგის, ნინოს ხატებით,
ვცდილობ სიკეთის ნერგი დაგირგოთ,
თუმც დარდიანი თქვენთვის დავტკბები.
ლეღვის რძესავით მდის სისხლი ხშირად,
და იობივით ვითმენ განსაცდელს,
მასაც დავლოცავ ვინაც მე მწირავს,
ბოროტებისთვის წლებს არ გავაცდენ.

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე

ზღვარი

ნურავინ მომთხოვს ზღვარის განმარტებას...
ნურავინ მომთხოვს უსაზღვროების განმარტებას...
მთაწმინდიდან გავცქერი სივრცეს,
დაისის სივრცეს,
და ვგრძნობ, რომ
უსასრულობაა ჩემი ფიქრი...
ნურავინ მომთხოვს აისის ან დაისის განმარტებას,
ზეცის განმარტებას,
სამყაროს განმარტებას...
პოეზიის(ღმერთის)განმარტებას...
ახლა ვფიქრობ, მე,
ყოველგვარ ახსნის გარეშე.
არა, არ ვმსჯელობ. მხოლოდ ვფიქრობ.
ახლა არ მიყვარს განმარტებანი.
უსასრულობა, მარადისობა არის, ახლა, ჩემი ფიქრი...
ნურავინ მომთხოვს ზღვარის განმარტებას...

ზეცა

(ჩემს ზოგ ქმნილებას არაერთი სათაური აქვს. ზოგჯერ
ამართლებს ეს, ზოგჯერ კი – არა. მაგალითად, – ჩემს ძველ
ლექსს, „მანიაკს“, მეორე სათაურად „ზღვარის წამშლელი“
დავარქვი, თუმცა ალბათ არაა გამართლებული იმ ლექსისთვის
მეორე სათაური... ალბათ... აი, ამ ქმნილებისთვისაც
ორი სათაურის დარქმევა მსურდა, მაგრამ, ბოლოს,
ერთი დავტოვე – „ზეცა“)...

ჩემს პოეზიას სასრული არ აქვს,
თუმც მიწის სივრცეს, მე, ხელს არ ვახლებ,
ღრუბლებში ვკვეთავ მისტიკურ ქალაქს, –
სიტყვით წარმოქმნილ უთეთრეს სახლებს...

ჩემს პოეზიას საზღვარი არ აქვს,
როგორაც ტკივილს ნალურსმნევ ხელის,
როგორც გოლგოთის ამ გულში მალვას,
ან – შენს არმოსვლას, როდესაც გელი...

ჩემს პოეზიას არ აქვს საზღვარი,
(თუნდ ჩაიკეტოს ყველა დროება),
გული ზღვარია, თუმც მას აქვს კარი,
ხოლო კარს იქით უსაზღვროება

ისე გაშლილა, ვით შენი თმები,
(და კლდის ქიმიდან გავყურებ არაგვს),
ჩემს ცხადს, ჩემს სიზმარს გაერითმები,
პოეზიას კი სასრული არ აქვს...

შეუცნობელი

ნეტა ვიცოდე: რა მანძილია
საქართველოდან საქართველომდე,
ან რას ფიქრობდა, მაშინ, ილია,
წიწამურთან რომ მტრები ელოდნენ,

რას განიცდიდა გალაკტიონი,
თვის სიცოცხლეს რომ ლეწავდა გვიან,
და უფრო ადრე – პაოლოს ფიქრი,
სანამ მოკლავდა მისივე ტყვია...

ეს მე არ ვიცი, არ იცის სხვამაც...
ანდა – გმირები როცა იბრძოდნენ,
როდესაც, მტერი, სამშობლოს, ლამაზს,
ართმევდა ძვირფას, მაღალ სიცოცხლეს,

რას განიცდიდნენ, ნეტა, ის გმირნი,
მტერს რომ პირისპირ რისხვით უმზერდნენ...
მათი საქმენი, მზის სხივის ინით,
აღირიცხება ზეცის ფურცელზე...

დალეწილია გზები და მაინც
დგას საქართველო – როგორც გოლგოთა, –
უმზერს აღდგომას, როგორაც აისს,
არის პირველთქმაც, არის ბოლოთქმაც,

მარადისობაც თვითვეა რადგან,
ყოველთვის ზეცის ნათლით ელავდეს...
რა მანძილია, ვიცოდე, ახლა,
რუსთაველიდან რუსთაველამდე...

ზამთრისფერი სტროფები

ეს მარტოობა მივანდე ღამეს.
ეს მარტოობა... ვფიქრობ...
რა დიადი ხარ სიჩუმის წამო,
მედიდგორები თითქოს....

რად ვსევდიანობ,
რად ვნატრობ მთა-ველს,
გადაკარგვაზე ვფიქრობ...
გადავიწყებაც ვეღარას მავნებს...
ღამეს ბუხარი მითბობს.

რას მეუბნები ძველო ბუხარო,
იქნებ მახსენებ იმ დროს...
ამ სულს უთხარი, ამ გულს უთხარი,
რომ წარმოადგენ მითოსს...

ეს მარტოობა მივანდე ღამეს.
დრო გზა-ბილიკებს მისდევს
რა დიადი ხარ სიჩუმის წამო,
როგორ მაგონებ ქრისტეს...

უსაზღვროება
(ნათება ქარში)

გულს ხედავ, მაგრამ – ვერ ხედავ მაინც,
გული იგრძნობა, მხოლოდ იგრძნობა;
შენ მიენდობი ნისლებს და დაისს,
შენ ამ ნისლებთან იწყებ მისნობას.

უნდა გაგიჟდე, რომ მიხვდე მეტი,
შორს გასცდი საზღვრებს, რომ მეტი იგრძნო;
თუ კაცში მოკვდა ზეცა და ღმერთი,
დიდ აღდგომამდე, ის, ნისლთან მისნობს...

შენ მოინატრე ღმერთი და ზეცა,
ზეაწეული ქედები ცაში...
მშიერ ქალაქსაც ნისლები ეცვა,
ნისლებში იყო სისხლისფერ რაშის

კვალი, და მზენი კვდებოდა როცა,
იქ – გენიალურ სიგიჟის ფერხთით,
უსმენდი წვიმის მუსიკას – მოცარტს...
გენატრებოდა ზეცა და ღმერთი...

უსაზღვროება აენთო ქარში....

კახა ბაციკაძე

***

შეშალეთ, შეშალეთ, შეშალეთ ყველა ქალი
სიყვარულისგან...
ყველა ქვევრი დახეთქეთ, დახეთქეთ,
დახეთქეთ, რომ დედამიწას
დაეღვაროს სისხლისფერი ბილიკები...
დააშრეთ ყველა ზღვა, რადგან არ არსებობს
ქალის თვალებში აზვირთებულ ზღვაზე
უფრო დიდი საოცრება,
სატრფოს მზერის შუქში გაბანეთ ფურცელი
და ისე დაწერეთ მასზე ლექსები,
ვარსკვლავებს კი შევეშვათ,
მათ ჰყავთ თავისი პატრონი...
გული თითქოს თონეა, ხოლო სტრიქონები
ლავაშებივით ჩაკრულან მასში და
ცხვებიან ცხელ-ცხელი ლექსები...
ააწყვიტე სიმები გიტარას,
საყვარელი ქალის თმები გადაფინე
მასზე სიმებად და ასე დაუკარი
უკვდავების ზღვისფერი მელოდია...
დაძარით მთები, რომ მთებმაც დაიწყონ
მოგზაურობა ამ უკიდეგანო სამყაროში...
სულ ორი წამით ამოუღე გული სატრფოს,
გულზე აკოცე, შიშველ გულზე
და ისევ ჩაუდგი....
მეც ალბათ, შეშლილი ვარ,
მაგრამ განა შესაძლებელია
იყოს პოეტი ნორმალური?...
ხოდა დახეთქეთ, დახეთქეთ,
დახეთქეთ ყველა ქვევრი,
დედამიწას დაეღვაროს
სისხლისფერი ბილიკები,
შეშალეთ, შეშალეთ, შეშალეთ ყველა ქალი
სიყვარულისგან.....

***

რუხისფერ ღამეს გადავიმსხვრევ მუხლის ქარაფზე,
სტრიქონებისგან მოგიქარგავ სამოსს სულისა,
და თუ პოეტი არს ღვთის ენით მოლაპარაკე,
მაშ ის ყოფილა შემოქმედიც სიყვარულისა...

რითმის ხურჯინებს გადვიკიდებ მხრების განედზე,
ცის მკერდში ღრუბლებს უთეთრდებათ ფიქრი რძისობად,
საღამო ჟამის ტალღასავით ნაზად გამენდე,
როგორც გაენდო პოეზია მარადისობას...

ფიქრთა ლარნაკებს ნუ მოაკლებ გრძნობის ყვავილებს,
ვდგავართ პირისპირ ქრისტეს მზერა და ვით გოლგოთა,
გული იწვოდეს, გულს ნურასდროს ნუ გააგრილებ,
მისი ვალია, რომ დაიპყროს გრძნობის ბოლო მთაც...

ცრემლებზეც გეტყვი, – როგორია მათი შეგრძნება,
როდესაც ცრემლი სევდისაგან ტირის თავადაც...
საუკუნენი დაჩნევია მიწას ვენებად,
ხოლო ლექსიდან მისტიური კვამლი ავარდა....

რითმის ხურჯინებს გადვიკიდებ მხრების განედზე,
ცის მკერდში ღრუბლებს უთეთრდებათ ფიქრი რძისობად,
საღამო ჟამის ტალღასავით ნაზად გამენდე,
როგორც გაენდო პოეზია მარადისობას.....

გრძნობით წაშლილი დრო

ქარები არწევენ ქარვისფერ ალიონს,
გზას ამკობს ფერადი ფოთლების არშია,
ზეცას მოხდენია მზის თბილი ხალიო,
და მაინც – სიცოცხლე ქარების ქარშია.

თითები თრთოლავენ სიზმრების რანდევუს,
ტალღები ალღობენ ფსკერების მაღაროს...
მე, უკიდეგანო ტრფობაში ბრალდებულს,
ვერაფრით ვერ შეძლებს გრძნობა რომ დამღალოს...

საათი დაათრო ისრების ნაჟურმა,
ვერხვი კი ეხვევა ძუ ვეფხვის სიჭრელეს,
ამურმა აკოცა ამ გულს საამურად,
სინათლის ბარხატით აავსო სიბნელე...

გზა არსად მთავრდება, რითმები ფარდებად
ქრებიან, ჩნდებიან და ისევ ქრებიან,
ტრფობა კი ლექსების სიცეცხლით ფასდება,
და როცა ლექსებში ვარსკვლავთა ხმებია,

საათი დაათრო ისრების ნაჟურმა,
დროს შეზარხოშებულს, ფეხიც აერია...
ფარდები დახურა მაცდურმა ამურმა,
დაიწყო ვნებათა დიდი მისტერია....

ქარები არწევენ ქარვისფერ ალიონს....

გიორგი ზუხბაია

ყვითელი ჩიტი ლოდინის მხარზე

(სერგიმ მითხრა, ერთ-ერთი საუბრისას, რომ ღმერთი არის სამყაროს მეფე, სამყაროს იმპერატორი, რომ, დიახ, სწორედ იგია უდიადესი, მაგრამ ისიც, ალბათ, ისეთივე მარტოა, როგორც ადამიანიო. იმ საუბართან ჩემს ამ ლექსს არაფერი აქვს საერთო, მაგრამ, რატომღაც, სწორედ მას მერე დავწერე ეს სტრიქონები...
საერთოდ, სერგის შემოქმედება, სერგის მოძღვრება, არაერთხელ ყოფილა, ჩემთვის, შთაგონების წყარო)...

დაიწყო თოვა და ლანდთა გაღმა
ოდნავ გაიხსნა სინათლის ფარდა,
სული გადადის ფიფქებზე მაღლა,
აქ არვინ არის, ლოდინის გარდა.

ისმის ფიფქების ჩურჩული შორი,
აქ არვინ არის ფიქრით თუ სიტყვით,
მხოლოდ ლოდინი დგას ფიფქებს შორის,
და მხარზე აზის ყვითელი ჩიტი.

დაიწყო თოვლი, ბევრიც ითოვა,
გრძნობას სითეთრის სამყარო მოსდევს,
და ფიფქი ცვივა ისე, თითქოსდა
თოვდეს პირიქით – მიწიდან ცაზე...

ითოვე, აღარ შეჩერდე თოვლო,
დარდი ხომ მაინც აღარ მთავრდება,
რადგან ლოდინსაც არა აქვს ბოლო,
უნდა გადასწვდეს უკვდავებასაც,

დროს კი ისევ დრო თუ ემატება.
არარა ხდება. თეთრია არე.
გულს სხვა სამყარო აღარ უნდება.
მხოლოდ ის ჩიტი, ლოდინის მხარზე,
ფრინდება მაღლა და კვლავ ბრუნდება, –
ყვითელი ჩიტი არ სტოვებს ლოდინს...

პასუხი

მე ვრჩები გულად მარადისობის;
სხვა არაფერი მაქვს ლექსის გარდა;
განა მჯეროდა, მუდამ ვიცოდი,
ზუსტად ვიცოდი სხვებს რისიც სწამდათ;



დამათოვს წმინდა ფერფლი წყვდიადის,
დავიწყებასთან მწყურია შერთვა,
რადგანაც ზღვაც რომ ვყოფილიყავი,
მე ვიცხოვრებდი, მაშინაც, წვეთად...

ნატამალია გზის და ფიქრების:
არაფერიც და სამყარო თუნდაც.
მთელი ცხოვრება მარტო ვიდექი
და ვსაუბრობდი საკუთარ გულთან...

ცაში სხივები ნისლებს აკმევენ,
გზაა ლაჟვარდთა უღელტეხილთან...
და მეკითხები, – რატომ დარეკე?
თითქოს გეკითხოს, – შენ პოეტი ხარ?

თვალები ღვრიან ცრემლთა სიგრილეს,
მხოლოდ შენს ფიქრად ყოფნა მომელტვის...
ჩემი პასუხი არის იგივე,
მუდამ იგივე, მუდამ იგივე:
სულით-ხორცამდე ვარ, მე, პოეტი...
მე ვარ პოეტი...

პოეზია

მამა ამირან ამირანაშვილი

მამულიშვილნო!

შენდობას ვითხოვ, მამულიშვილნო!
ვინც მოიტანეთ დღემდე მამული,
არ შეერგებათ მოღალატეებს,
მიწის გაყიდვა, თქვენგან დაცული!...
ქართველი დედა ვაჟკაცებს ზრდიდა,
თან უნერგავდა სამშობლოს დაცვას,
ადამის ძენო არვინ გაბედოთ,
დედა სამშობლოს ფულებზე გაცვლა.
ცრემლად იღვრება სვეტიცხოველი,
მოსთქვამს ბაგრატი, გლოვობს გელათი,
მონობაშია ტაო-კლარჯეთი,
შავად მოსილა დავით-გარეჯი.
გორგასლისა და დავითის ხმლები
ცაში ელჭექში ილესებიან,
მეფე ერეკლე, დიდი გიორგი,
მამულს მეორედ ეწირებიან.
წმინდა დედანო, ქართველთ მფარველნო!
ქეთევან, თამარ, ქალწულო ნინო,
მამულს ოდესმე თუ დასჭირდება,
ერთად ვიბრძოლოთ, მამულიშვილნო!

საქართველოს დალოცვა

ერო და ბერო-საქართველოს მცველ-რაინდებო!
ეტრატებად აგრაგნილო მატიანენო!
ტყვედ ყოფილნო და რჯულისათვის ნაომარნო ძმანო ლაზებო!
ქალდეველნო, შუმერელნო, კიდობანნო უფლისანნო!
სვანეთელნნო, უშგულელნო, გულფიცხელნო!
ფშავ-ხევსურნო არწივებო, იმერეთის იმერელნო!
მარგალო და კრიმანჭულო გურულებო,
რაჭა-ლეჩხუმ, ქართლ-კახელნო!
ფარ-აბჯარო-სამესხეთო,განუყრელო აფხაზეთო!
ნაწამებო აჭარლებო, მეომარნო უდრეკელნო!
უძველესო კოლხ-იბერნო, საჯიშე და საჯილაგო,
დარახტულო გმირთა გმირნო!
ათასწლეულ წელთა დროით კოლხთა, ლაზთა ფესვთა ძირო,
მშვილდ-მახვილთა, ვაზით, ხარით, თლილ აკვანში გამოზრდილნო!
ნასისხლარი ომებით და ქრისტეს რწმენით,
უფალივით ნაწამებო, განდევნილო მაჩაბელნო!
ზეცისაკენ აზიდული ნანგრევებით,
„დედა-ციხედ“ წოდებული ნარიყალით, ათას ომებს გამოვლილნო,
კვლავ დარაჯობ განახლებულ დედათბილისს!!!
დიდო ღმერთო, შენს ტახტს იცავს მთელი ერი;
შენს ტაძრებში გუგუნებენ დედოზარნი;
ზეციური, სამოთხიდან, ნარიყალას წმინდა მთიდან გაახარე მთა და მდელო!
დაგვილოცე თბილისი და დაგვილოცე ერთიანი საქართველო!

ბერდიაკონი ნეოფიტე
გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტერი

საბედიანო

ვდგევარ ფიქრებში ჩაძირული „ერისწყლის“ პირას.
გათენდა, დილის მშვენიერი მახარებს ფერი,
მზე მთათა შორის მიმზერს, როგორც მეგრელი ცირა,
სამეგრელოში ყოველივე მეგრულად მღერის.

აქ ქვებიც მღერის მდინარეში მეგრულად ნანას,
ხე ფოთლებს არხევს და ცეცხლოვან ცეკვასა ნატრობს,
ტოტი ახერხებს „ერისწყალში“ პირის დაბანას,
მე კი ზაფხულის განთიადის სურნელი მათრობს.

მათრობს იერი, უსასრულოდ მაღალი მთების,
მავსებს და მავსებს სიამაყით, შთამბერავს ძალას,
ასე მრავალჯერ მხიარული შეგეგებები
საბედიანოვ, დრომ სასტიკმა თუ არ შეგცვალა.

ვაჟას ჰანგზე

ყვავყორნებს ეომებოდა
არწივი დეზებიანი,
არწივმა ფრთები გაშალა
ომში იწრთვნება ჭკვიანი.

არწივთან ძმობა მომინდა
გავკაფე გზა ეკლიანი,
არწივო ფრენა მასწავლე
სანამ არაა გვიანი.

ღმერთო სამშობლო მიცოცხლე
ვლოცულობ თვალცრემლიანი,
უფალო მალე გვაღირსე
ჩვენ საქართველო მთლიანი!

აი, აგვიხდა სიზმარი
დგას ქართლი ბეჭებ მაგარი,
ვინც ფიცხელ ომში იბრძოდა
მათი სამშობლო აქ არი!

გრიალებს კავკასიონი,
დევკაცთა ნაამაგარით,
ნეტავ რა ხელმა დახატა
ეს საქართველოს მთა-ბარი.

ნანა ცინცაძე

კვლელი აჩრდილი

სონეტი

შენ მე გიყვარდი, გრძნობა ცაში, თოკზე ეკიდა,
მიყურებდი და სიშორისგან თრთოდნენ თითები.
ჩემი სიტყვები მუნჯ რითმებად გამოგეკიდა
და გაგაოცა სასიკვდი`ლო გადაფითრებით:
მერე კი უცებ გამოფხიზლდი, სადღაც წახვედი,
მალე დაერქვა აღტაცებას სახელად – იყო...
გეგონა ცრემლებს, შესაბრალისს, დაგანახებდი,
მე კი ღიმილით გეუბნები – არ დაივიწყო
ჟამი, როდესაც შენი ნებით საწამლავს სვამდი,
ისიც იცოდე, რომ ის შხამი ახლაც გჭირდება.
მე, ძველებურად, მისტიკური სურნელი ამდის,
ცოცხალს მიყურო და სხვასთან მყოფს, გაგიჭირდება.
შურისძიება, წლებთან ერთად უფრო მძაფრდება,
მკვლელი აჩრდილი ყველა კართან ჩაგისაფრდება.

მინდა წავშალო

სონეტი

ფერი ვიცვალე... ვიზრდები და... ვრჩები პატარად,
ეტყობა წლები დამიბრუნდა სადღაც წასული,
ტკივილი ფიქრშიც მოვისროლე, ვატან ამ ტარას
ცრემლებს, რომლებიც წვიმას შერჩა გამონასკვული.
ყველა უჯრედი ჩავატიე ერთ ამებაში,
ვატყობ, წარსული ტვირთია და უნდა წავშალო,
აღარ მჭირდები და სულსაც გხდი დღეს წამებაში
გონიერებავ, მთის ზვავივით ჩამონაშალო.
თუ ვერ დავხარჯე, ვანადგურებ ამ ენერგიას,
რადგანაც მინდა არაფერი აღარ ვაკეთო,
დროის ხუხულა, სჯობდა დროზე რომ დამენგრია,
დღეს გვიანია, რომ ცხოვრება გადავაკეთო.
წლები გავიდა... ზღაპრის ბოლო ცოცხლდება მითში,
არ დაიჯეროთ, დავიკარგო ამ ლაბირინთში.

იაგო

იაგო, მინდა, საქმე გაგირჩიო,
ეგ შენი ახვრობა აღმოჩნდა გვიანი,
ახლა რაღა გითხრა, ანდა რა გირჩიო,
ხარ-თქო ინტრიგების ინი და იანი.
დიდხანს მოგიწია ოტელოს ყურება,
დიდხანს მოგიწია იმ ქალის ატანა,
ეს რა გაიგონეს ამ ჩემმა ყურებმა,
თითქოს ჩაგისახლეს უცოდველს სატანა.
გჯეროდეს! ჩემს თვალში შენა ხარ მართალი,
არ უნდა აღზევდეს ზეცამდე მდაბიო...
და თუკი გავხდები მეც მთავარსარდალი,
უცებ მომინდება, მტრები დავარბიო.
ან ეგ ცხვირსახოცი როგორ მოიგონე,
რა მაგრად აჭამე იმ გოიმ კასიოს?!
შენ მერე, მეც ვეძებ ისეთ პოლიგონებს,
სადაც მსურს, მოყვრები ერთურთს შევასიო.
დაახრჩო? კარგია ლამაზად სიკვდილი,
თითქოს ჩემს თითებქვეშ თრთოდა დეზდემონა,
ოტელო მეგონა სიცოცხლემისჯილი,
მაგრამ ვერ აჯობა საცოდავს დემონმა.
ის ვიღაც შექსპირიც რა ამბებს გვიამბობს?
ფიქრობს, აგვითრთოლა წარსულის იარა,
შენც არ გაიკვირვო, ძმობილო იაგო,
თუ ჩემმა ფიქრებმა კვლავ შემოგიარა.

ჭრელი მანტია

სონეტი

ნისლის ჩრდილებში დასახლდება
შორი ფიქრები,
რომ არ დაბინდოს ხელთუქმნელი
ჭრელი მანტია,
მე წერილს ვგზავნი ჩემებური
ლექსის რითმებით
და მომავალი იმ ნისლებზე დამიხატია.
ეს მერამდენედ ისმის ჩუმი ,,ავე მარია”,
თითქოს შორეთში ქარიშხლების რეკენ ზარები,
ყველაფერი ხომ იმ ცხოვრების საწინდარია,
მე რომ ველოდი, მოლოდინთან ნაზიარები.
ჭკუა ვისწავლე, რადგან ბევრი წელი გასულა,
თუმც ლაბირინთში გზას ვერ ვიგნებ
და მიზანს ვცდები,
აღარ მჭირდება აქციებმა, ვადაგასულმა,
ძილში ჩამძახოს – დღეს თავიდან გამოიცდები.
რით ვერ გაიგე?! მხოლოდ შენთვის უნდა აენთო,
რომ სხვის გრძნობებზე არ ავარდე,
მხოლოდ გაერთო.

ექსები
სონეტი

დღეს გამქრალია... ხვალ იქნება ადრე რაც იყო,
ახლა ყველაფერს ბანალური მზის სხივი აკრავს,
ხედავთ? ეს წამი რამდენ გამქრალ წამად დაიყო
და ვიღას ახსოვს ან შოპენი, ან მისი დაკვრა.
ხვალ? ხვალ ყველაფერს მიეცემა უკვე სხვა სახე,
ზარმა დარეკა... ჰო, ამ ზარსაც სხვა ხმა ექნება,
რატომ მოგიყვე ვინ მოვკალი, ან სად დავმარხე,
ან რა დამწამეს განდევნილმა ჩემგან ექსებმა.
წყვდიადი დგება, ბუხრის ალი ურცხვად ხარხარებს,
რადგან დაიწვა მოგონების ყველა აქცია,
მაინც ჩემია ის სამხილი, რაც გამახარებს,
ხორცი უძლური, სულმა ჯერაც ვერ მოაქცია.
რა ვქნა, რომ მიყვარს ეს თამაში, ყოვლის მომცველი,
თუკი მომცელავთ? მეორედ ვარ ქვეყნად მომსვლელი.

ჩემ აჩრდილს
სონეტი

გაივლის დრო და შენ იქნები, ვინც დაბრუნდება
ჩემი ცხოვრების უსასრულო სიმარტოვეში,
ფიქრში ეს წლები კიდევ უფრო გადახუნდება
და გავიკვირვებ, როგორ ვძლებდი ლეთას მორევში.
არავინ იცის... ყოველ დილით, ჩამოსახრჩობად,
თოკი ჰკიდია ჩემს ფანჯრებთან, ნათლად ხილული,
არ ჩამითვალო არც სისუსტედ და არც ლაჩრობად,
თუ ეს საკითხი უამრავჯერ მაქვს განხილული,
მაგრამ ვიცი, რომ არასოდეს ვიქნები მკვლელი,
რადგან ბედნიერს არ დავტოვებ გათანგულ დღეებს,
აი, პირველად გავამხილე ჩუმად სათქმელი
და ახლა ჩემში სიამაყე ყელს მოიღერებს.
მადლობას ვამბობ მე სიცოცხლის ყოველი დღისთვის,
რადგანაც ვიცი, მე ამქვეყნად მოვედი რისთვის.

მგელი
სონეტი

შენს მგლურ კანონებს უცნაური ხიბლი დაჰყვება,
ვიცი, რატომ ხარ ასე უცხო, გამორჩეული,
ტრამალი, ვრცელი, არანაირ ამბებს არ ჰყვება,
შენ გზებს გველი კბენს – ხან ბოროტი, ხანაც გრძნეული.
ჩვენ ხომ ბებრები ხორცით არა, გონებით ვხდებით,
რადგან ცხოვრებამ დაგვანახა ამაოება,
თუნდ სიკვდილის წინ, მგელო, ისე როგორ წახდები,
ცდუნების ვაშლი ხეს ფიქრებში არ გამოებას.
ჩემგან შორსა ხარ და არც იცი, რა უნდა გითხრა,
რა ვქნა, ვიღაცას თუ ვგონივართ ისევ უბრები,
შენ ყოფითობის საზღაური ყველა ნერვს გიხრავს,
მე კი სამყაროს გარდაქმნაზე გესაუბრები.
ნუ ელოდები, თვითონ მოვა ჩვენი ჯალათი,
რადგან ტყის მკვიდრსაც შემოგაცვეს გიჟის ხალათი.

ღირდა გამხელად

სონეტი

შენთან დავწექი... გადმოგიგდე მათხოვრის ხურდა,
არც სიყვარული, არც ალერსი და არც ვნებები,
ჩემში წამითაც ვერ იქეცი გრძნობების ქურდად,
ეზოს ძაღლივით შემოჩვეულს, ზოგჯერ გნებდები.
ეს შენ გგონია, სიყვარული ჰქვია სახელად,
როცა მუნჯივით მიყურებ და მკერდზე ჩერდები,
მე დღეს ჩავთვალე, რომ რაღაცა ღირდა გამხელად,
თორემ დროის სვლით კიდევ უფრო გადავბერდებით.
არაფერია... ზოგჯერ პურსაც ხომ ვჭამთ ნაგვიანს,
ზოგჯერ სანთელსაც ხომ ანთებენ რწმენის გარეშე,
ისიც ხდება, რომ სულს, უმანკოს, ისე დაგვიან,
რომ ეს ტკივილი ჩვენ კი არა, ცოცხსაც აშეშებს.
შენთან დაწოლას ვერ დავარქმევ მათხოვრის ხურდას,
რადგან ეტყობა ძაღლის ლუკმა მე თითონ მსურდა.

ფერეიდანი

ეს გზები ახლა სამშობლოსგან შორი გზებია,
იქ ისპაჰანის მზე ანთია, ნაცვლად ქართულის,
რა თავში იხლის სრა-სასახლეს, დარბაზებიანს,
თუკი ფიქრებში სხვა მთებია წამომართული.
ორასი ათას ქართველს ჩასცეს სულში ლახვარი,
ნატრობდნენ სიკვდილს... სხვის მიწაზე ეძებდნენ მამულს
და სულერთია, ყმა იყო, თუ ამილახვარი,
მხოლოდ ცრემლებით იხსენებდა სამშობლოს წარსულს.
შაჰ-აბასი კი, სანახევროს ქართული სისხლით,
გონარეული, ჰარემისთვის ქალებს ხედნიდა,
თითქოს წონიდა სილამაზეს ავხორცი მისხლით
და სიკვდილს გრძნობდა იმ ქალების გამოხედვიდან.
დრო მიდიოდა, დრომ არ იცის ტკივილი... დარდი...
დაპატარავდა საქართველო, ისეც პატარა,
რამდენს ეწოდა პოეტისგან შირაზის ვარდი...
იმ ჟამზე ფიქრმა დღეს წარსული შემომატარა.
იქ დარჩენილებს ჩვენზე მეტად უყვართ ეს მიწა,
ნატანჯ სხეულში ჩვენზე უფრო ცხელი სისხლია,
იქ, საფლავებში, ჩემ წინაპრებს მაშინ შესცივდათ,
როცა ფიალა სულთმოფენის არ დაგვიცლია.
ფერეიდანში ისევ ისმის ძილის წინ ,,ნანა”,
ფერეიდანში ისევ ისმის ხმები ფანდურის,
რწმენაშეცვლილებს, ქართველობა არ წაეშალათ
და ჯვარი დააქვთ, გულში ჩუმად ამოქარგული.

წამის ტური

სონეტი

სიცხეში მცივა... მენატრება ყინვის ღადარი,
რომელიც სიზმრებს აახლოებს გაცრეცილ წლებთან,
მართლა არ ვიცი ის სურვილი ახლა სად არის,
ჩემგან მოგონილ ნატვრის ხეზე შარშან რომ ება.
ახლა ხელისგულს ეწვეთება კრისტალი ცრემლის,
გამონასკვული კოშმარული ღამის კარებთან,
ნეტავ ვინ მეტყვის – რას ვერ დავთმობ, ანდა რა მელის,
თუ ყველაფერი დროსთან ერთად დაიკარგება.
სარკეში უკვე არ ვუყურებ სახის კონტურებს,
მაგრამ ვინ გითხრათ, რომ ეს ყოფა არის ადვილი,
სულში ვაშენებ დაკარგული დროის ქონგურებს,
და ვეხვეწები ჟამს დაკარგულს – გამინამდვილდი.
გაიგეთ-მეთქი!@მენატრება ყინვის ღადარი,
მაგრამ არ ვიცი ის ღადარი ახლა სად არის...

დიდი ხანია

სონეტი

ვიღვიძებ დილით, დასახრჩობად თოკი ჰკიდია,
თუმცა ჩემს გარდა არავისთვის არის საჩინო.
ჩემი ფიქრები განსასჯელად გადმომიგდია,
არ მინდა მათში სიძულვილი აღმოვაჩინო.
თავის დახრჩობა მომინდა და ფიქრი დავბინდე,
ისევ ყულფისკენ გამეპარა მზერა ეული,
თოვლის ნამქერი ვამჯობინე მზიან ამინდებს,
ხელში მიჭირავს ის ფიალა შხამგარეული,
რომლის დალევაც დამავიწყდა დიდი ხანია
და ამიტომაც სიძულვილი ამ თოკს ავკიდე,
შენ რატომ გითხრა რა მაწუხებს, რა მიხარია,
თუ მარტოსული, გალაქტიკას ვუთხრი სხვა კიდეს.
არარსებული თოკი მიჭრის გრძნობის ნაპირებს,
ჩემი აჩრდილი თავის მოკვლას მაინც აპირებს.

გულქვა ქალაქში

სონეტი

აი, შეხედე, არ არსებობს არც ცა, არც მიწა
და ვეღარც ფერებს ამ ქაოსში ვეღარ ვანსხვავებ.
ეს მერამდენე ალიყურმა ლოყა ამიწვა,
გულქვა ქალაქში ველოდები უკვე სხვა სვავებს.
კოსმიურ მტვერში უფლის სახე ისე მშორდება,
რომ შიშისაგან დედამიწის ღერძსაც გადავწვდი.
ვხედავ წარსული დაუცველად განმეორდება,
რადგან ნერონი ემუქრება ძველ რომს გადაწვით.
გრავიტაციის ძალით ვდგავარ მიწაზე მყარად,
არადა, ვიცი, გალაქტიკა მიხმობს თავისკენ.
ძაღლივით ვყმუი, ტყვეობაში რომ იმ წამს ვყავარ,
როცა რაც მსურდა, სხვების შიშით მე ვერ გავრისკე.
შავ-თეთრ ქაოსში წერტილივით მოსჩანს სოფელი,
მე და ღმერთი ვართ ერთარსი და განუყოფელი.

გადაღმა

სონეტი

ზამთრის ღამეში ტკივილებით გადავხურდები,
არ მეშინია, თუ ცრემლები მომკლავს ამაღამ,
ჩემივე ,,მე"-სგამ, მორჩენილი ყრია ხურდები,
ნეტავ ვიცოდე, ვინ გამიყვანს ცოდვილს გადაღმა...
სახარებაში ორაზროვან იგავებს ვეძებ,
სამზროვანი ფიქრებისთვის მომაჭრეს მკლავი,
სურვილს ვერ ვთოკავ, მომინდება? ყველაფერს შევძლებ,
მორალთან ერთად წამეშალა შენდობის კვალი.
სულშიც ბინდია, აღარ მჭერა უკვე მითების,
რადგანაც დამწვა ბრუნოსავით ურცხვმა ალებმა,
მე ბიბლიური ნექტარისგან ისე ვითვრები,
რომ არ კი მახსოვს დაბადების გარდაცვალება.
ზამთრის ღამეში ტკივილებით გადავხურდები,
რადგან არ დარჩა ჩემი ,,მე"-სგან აღარც ხურდები.

მოდი თავიდან

სონეტი

დანაკარგი ხარ ცხოვრებაში ყველაზე დიდი,
სხვა ვერაფერი შეგედრება, მინდა გჯეროდეს,
როცა პირველი ყვავილებით გამინამდვილდი,
მეგონა, კადრში ვუყურებდი დაღლილ ჰეროდეს.
ვიცოდი, მხოლოდ ერთხელ ყვავის ცხადში აგავა,
მეც ვიყვავილე... წინ უცნობი სევდის წლებია
და თუკი გრიმმა ნაოჭები ვეღარ აღგავა,
ფიქრები უკვე წარსულის გზებს გადასწვდებიან.
მოდის, იზრდება, სულს ღაფავს და კვდება ყოველი,
ათასწლეულებს ერთი წამი ეწოდა მხოლოდ,
თუმც ზამთრისაგან გაზაფხულის დახსნას მოველი,
მაინც ვიცი, რომ მოახლოვდა სიცოცხლის ბოლო.
სასწაულების დამაჯერე, მოდი თავიდან,
სანამ სიბერე მეტასტაზად გამინამდვილდა.

სხვა ყველაფერი

სონეტი

მოდი, ამ ღამეს ერთად ვიყოთ ჩემო აჩრდილო,
მე თუ მთვრალი ვარ, არც შენ მინდა იყო ფხიზელი.
ვხედავ მოგინდა რომ მირაჟი გამინამდვილო,
მაგრამ სურვილებს აღარ შერჩა თურმე მიზერიც.
დრო გადიოდა, იცვლებოდა მხოლოდ დღეები,
სხვა ყველაფერი მაგონებდა წარსულს დარდიანს.
პაპიროსისგან, ჩაფერფლილი ყრია ღერები,
მკვდარი ფიქრები დედამიწის ზემოთ დადიან.
ასე უაზროდ გაილია წლები, ცხოვრება,
ბედი დამცინის გაჩეხილი სულის ტყეებით,
ვიცი, არასდროს მიწერია ცოდვილს ცხონება
და ნუ მაშინებ ან სიკვდილით, ან დატყვევებით.
მოდი, ამ ღამეს ერთად ვიყოთ ჩემო აჩრდილო,
ახლა მე მინდა რომ მირაჟი გაგინამდვილო.

ეთერ ჭელიძე

ადამიანი, ადამიანით...

იქნებ რამე გეწყინა და,
მეც მეწყინა იქნებ...
იქნებ რამე გეტკინა და,
მეც მეტკინა იქნებ?
ვცდილობ, მაგრამ
ვერ ვკითხულობ
შენს უსიზმრო სიზმრებს,
ვალაგებ და ვერ ვალაგებ,
შენს აბურდულ ფიქრებს....

იქნებ ჩადგე სინანულში
მე ვნანულობ უკვე...
იქნებ რამე შემეშალა,
შეგეშალა იქნებ?
რახანია, მართლის გზაზე
საკუთარ გულს გიკმევ,
ვცდილობ ბურუსს
გავაცლი თქო
შენს აბურდულ ფიქრებს...

იქნებ, იქნებ, ეს რამდენი,
მერამდენე იქნებ,
წარსული თუ მომავალი
შოლტს, შოლტებზე იქნევს,
შენ კი ადამიანი ხარ
ითმენ..ითმენ... ითმენ...
ბოლოს წყდება თმენის ძაფი,
შენი აზრის ,,სიბრძნე".
მე მივდივარ, ვეღარ ჩავწვდი
შენ უძილო სიზმრებს
რა ხანია ვერ ვკითხულობ
შენს აბურდულ ფიქრებს...

პოეტის მსგავსად...

პოეტის მსგავსად არავის უყვარს-
არავის სტკივა პოეტის მსგავსად,
მზის როიალზე მთვარე რომ უკრავს
პოეტი მუზებს აცეკვებს სდაღაც...
პოეტი ძერწავს ბგერათა ლერწმებს,
ლივლივა ზღვის და ლაჟვარდის ხაოს,
პოეტი მოქსოვს ანბანთა რითმებს
და ქარ-ავდრიან გრძნობათა კალოს...
დასაპურებელს მოგივლენს თავთავს,
ოღონდაც სულს არ მოაკლდეს საზრდო,
პოეტი რადგან არავის არ ჰგავს-
ვით ვაზი, სათქმელს ფურცლებზე ამყნობს...
პოეტის ცრემლი, ტირილს ჰგავს ვაზის,
დუღს მაჭარივით გრძნობათა ქვევრში.
შემოდგომების ოქროსფრად ნაწვიმს,
დააგემოვნებს, ვით შარბათს, პეშვით.
დუმილი მისი ალლმოდებული,
ჩამქრალ ნაპერწკალს წააგავს, რადგან
სტრიქონი, უცებ აფეთქებული,
ყველა სიავეს ამოსდებს ლაგამს...
პოეტის მსგავსად არავის უყვარს-
სამშობლო, მიწა, თავისუფლება!
ის, ერის ფესვებს, შეკრულს ერთ მუჭად...
პოეზიითაც დაეუფლება!
რადგან პოეტი ცვილივით იწვის,
შეშლილ მუზების ბილიკებს ერთვის,
დგას ჯარისკაცად მამულზე ფიქრში
ერისკაცობაც სხვაგვარად ესმის...
პოეტის მსგავსად ვერავინ გეტყვის,
უხმოდ, უსიტყვოდ ნამღერი ლექსით,
რომ სიყვარული ეს არის ღმერთი
და ღმერთის ენა პოეტებს ესმით...
პოეტის მსგავსად არავის უყვარს!
არავის სტკივა პოეტის მსგავსად,
მზის როიალზე მთვარე რომ უკრავს,
პოეტი, მუზებს აცეკვებს სდაღაც...

უფლის განაჩენი

ახლა მოყვასი მოყვასად დარჩეს
უკვე ყოფაზე უფრო ძნელია,
უფალთან ვგზავნი სიმართლის სარჩელს
უსამართლობას უფლით შველიან...
რადგან სიკეთის ფერებს ვერ არჩევთ
და ხედვაც თქვენი ლიბრისფერია,
მე ველოდები კაცთმოდგმის გამჩენს
მას არაფერი გამორჩენია...

სათქმელიც თუმცა არაფერია...

დღეს ქარის ნემსით ამოკვემსილ ბარათებს გიწერ,
კალმად ქარისგან გამოთლილი ბზის ტოტი დამაქვს...
ახლა სათქმელად დავიღვრები, ვერც გითხრა იქნებ,
წვიმის მალამო როგორ კურნავს უხილავ დამღას...

და მერე იტყვი, იტყვი იმას, რაც მაშინ უნდა
თვალნამიანს და ბაგე გამშრალს რომ უნდა გეთქვა,
შენ დაეწაფე ქარის ჩანჩქერს და ასე მწყურვალს,
წყურვილს ვერაფრით ვერ გიკლავდა ჩანჩქერიც,
ერთხანს...

და როცა ნაპირს მიადექი, გაღმა გასასვლელს...
თავის დაღწევის მცირე შანსიც, ფარსი გამოდგა...
შენ გაუყევი წვიმის თოკით, ზეცის აღსავლეთს
და პირველივე საფეხურზე კიბე ჩაგიტყდა...

იდექ უდაბნოს ხვატში, მწირი, გზასაცდენილი...
ვერც დაბრუნება გაგიბედავს, ვერც იდიდგულე,
მთა დათოვლილი, უკვე ბალახი გადაცვენილი,
ქარაფებიდან მიგზავნიდა თოვლიან გულებს!

მას შემდეგ სადღაც ნაცნობ სკვერში,
ნაცნობ ძველ სკამზე,
წარსულს ყვითელი ფოთლებისგან უკერავ ფატას,
მეკი ის მინდა, მოგონებებს, ვარდისფერს ჰგავდე,
მზის ტილოზე რომ დაკარგულ მგზავრს,
ელის და ხატავს !!!

ბედნიერების წუთო...

ასდევნებიხარ დილის ქარს
თუმც ვერ მოსული ჯერაც,
სიმშვიდის ზარებს დარისხავ
ნეტავ ვის ნაბიჯს ზვერავ...
იცი? არ ვიცი საით ხარ,
ან ლოდინს თუ აქვს აზრი ...
უკვე რამდენი ხანია
– ფიქრს გასჩენია ბზარი...
დღეს ისევ ქარის ვერანდას
შენც ბინდისფერად იწვი...
მე შენი მოსვლის მჯეროდა
  და უპირობო სიტყვის...
მაშ რისთვის გამიდიადდი
და რისთვის მთხოვე მოცდა,
თუ ქარის ფურცლებს მიანდე
ჩემი გულწრფელი ლოცვა?!

შიში ყველაფერს კლავს...

შიში კლავს ადამიანურს;
სიკეთეს, რწმენას, სიმდაბლეს...
ლოცვად რომ დააგვიანებ
კარგავ სიცოცხლის სიმაღლეს!
შიში გჭირს დაბადებისას,
ყმაწვილკაცობას შიში სჭირს,
დროული აღმატებისას
ვერ გამართლების, ვინ იცის...
შიში სჭირს პირველ ნაბიჯებს,
საფეხურს მაღლა ასვლისა,
დამარცხებასაც ვინ იცის,
შიში რარიგად აგიტანს!
შიში სჭირს ბედნიერებას,
უბედურების შიში გჭირს,
უსიყვარულო დიდება
თავის შეცნობის იმედს სჭირს...
შიში სჭირს ფარისევლობას,
ბრმა ,,ერთობასაც“ შიში სჭირს,
შიშია გაურკვევლობა,
ებღაუჭები იმედს, მწირს!
შიშია, უცნობ ექოდან
თავს გესხმის ლაჩარს, თუნდაც ,,გმირს“
არ იცი საით შეტოპავ
არც არაფერი არ გესმის!
შიში სჭირს გაორებასაც,
ხარ თუ არა ხარ ნამდვილი,
რადგან ის, ვინც ხარ, ის იყო...
არ არის თურმე ადვილი...
წაგართმეევს გონის გასაღებს
თუ ვერ დააღწევ თავს,
თუ შენგან ვეღარ განაგდე
სიცოცხლის სურვილს კლავს!...

დილის ნატვრა!

შემოუთბილე მზევ ამ უდაბურ,
ამ უსინათლო დღეებს დარდიანს...
გამომიწალდე ღრუბლის ნამქერი,
შემომითენე შენფერ განთიადს!
გადამითოვლე დარდი მთოვარი,
გზას ამარიდე ბნელს და თალხიანს,
მიმრავლე მხოლოდ კარგის მსტოვარი
გავიღებ ქვეყნად რაც მაბადია.
შემომითბილე რომ გაზაფხული
კვირტობის თქეშით დავაფრთიანო,
გავაღო ყველა ტაძრის კარები
სამყარო ლოცვით ავამზიანო!
შემოუთბილე მზევ ამ სამყაროს!!!

სიკვდილო...

ჯირითობ, თითქოს შენა ხარ
სამყაროს მეფე ლირიო,
ცა მეხთატეხად ელავდა
მოსულხარ ურცხვი გზირიო.
წამში ჩაკარგულ ასავლელს
ნაბიჯსაც ვეღარ გავდივარ?
გზაჯვარედინს თუ ასახვევს
არ სდევდეს შენი ლანდია...
გულის ძაფს წყვილი ცრემლივით
დაეკიდები მდუმარი,
დაუკითხავად, შეპარვით,
კარზე მომდგარი სტუმარი...
მე კი გვერდს ისე მოგისვამ
სუფრას გაგიშლი პურადსა,
ჩემ შესანდობარს აგივსებ,
შენსასაც დავლევ ძმურადა...
არც მე დაგრჩები უბარი,
ზარის ქუხილით დაგხვდები,
შენც ჩემთან ერთად გამღერებ,
შენც ჩემთან ერთად წახდები!
და რადგან წუთისოფელი
გგონია, თითქოს შენია,
რაც რამ არსებობს ყოველი
უზენაესის მრევლია!!!

ახლა, ამ წუთში...

დღეს სიყვარულის თასმით უნდა მოვწნა
გოდორი,
შიგ ჩავალაგო ცის სურიდან მზე მონაწური
და შურისაგან დავსებული წუთისოფელი,
სულ სიყვარულით ამოვავსო, ახლა,
ამ წუთში...

ღმერთი არა გწამს?...

წავალ, წავალ, რომ იძახი
წახვალ მაგრამ რატომ?
შენ შეგყურებს ფესვის თვალი
ოქროს მიწის პატრონს,
წავალ, წავალ, რომ იძახი
წახვალ მაგრამ რისთვის?
პერსპექტივა მადლის იქით
განა არის წინსვლის?
წავალ, წავალ,- გაიძახი
წახვალ მაგრამ სად?
შენი ცის და მიწის სითბოს
რად უტოვებ სხვას,
თუ საძვალე წინაპარისა
დღემდე გაწვდენს ხმას.
გალეწილი სისხლის კალო
თუ კვლავ თავთავს კრავს.
თუკი ისევ წმინდა სისხლი
ძარღვებს გლეჯს და გწვავს,
გამოდის რომ ხელგაწვდილი
შენს სისხლს უსხამ სხვას...
წახვალ? წადი მაგრამ საით?
ვისთან, რატომ, სად?
აქ მოფარცხე ეზო ყანა,
სიტყვა რაიც გწადს...
შიშველ ტინზე თავმიდებულს
შეგძრავს პაპის ხმა,
-ვის უბოძე, ვერ შენდობილს?
ნამგალი და ძნა?...
მორღვეული ეზო ყორე
ქვა ღორღი რომ ხრავს,
სიყვარულით შემოთოხნე
თუ სამშობლო გწამს,
წახვალ? საით, ვისთან, რატომ
ვისი ცეცხლი გწვავს?
ამ ცისა და მიწის პატრონს
ღმერთი არა გწამს?...

ნეტავ დამრჩა სათქმელი?

ვწერ და სათქმელს ვერ მოვრჩი,
არც ის ვიცი რა მინდა,
ფიფქებად შემოვადნი
გადათოვლილ განთიადს...
ვეძებ ფიქრით შემოწნულ
უსიზმრებო ბარათებს,
არც რა დამიწერია,
აღარც შენ მწერ არაფერს...
ახლა ისე ცივია
სიტყვის ნაფეხურები,
ახლა ისე ფრთხილი ვარ
ვერც კი გაგეხუმრები ,
რომ შენამდე ნაკვალევს
ადევს თოვლის ხალიჩა
და ყინულის საკვამლეს
ცეცხლი ისევ გაუჩნდა...
გრძნობის სანთებელასაც
რახანია ვაწვალებ,
ცივა, გათენებამდე
უუალოდ ვაღამებ....
და დღეებიც თვალჭრელა
სულ სხვაგავარად მიჰქრიან,
დრომ, დრო ისე გაწელა,
თავს ვერ ვიხსნი ფიქრიდან...
ვწერ და ნეტავ რამდენი
დამრჩა კიდევ სათქმელი?
ღიაა თუ დახურეს
ჩემი თეთრი სარკმელი?

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

ცის ამბიონთან

ვნახე ცხოვრება - სიგიჟესთან წილდადებული,
დაუნდობლობა, უგნურება - ზღვარგადასული,
წუთისოფელი გამოვცადე შხამგარეული,
ვიყავი მონა, მხევალი თუ მეფის ასული.

ვიღაც აჩრდილი ჩემს სისუსტეს წონის მისხლობით,
ჰარი-ჰარალედ ჩამომარცვლა ჩემი ცხოვრება,
დედამიწაზე გართულია ყველა მისნობით,
უმეცრებაში დაიკარგა სულის ცხონება.

ვერც ჩინ-მედლები აწონიან დიდებას,- პატივს,
ბევრჯერ გვირგვინიც გადაიქცა მკაწრავ ეკლებად,
როცა სიცხადე, საბოლოოდ, ბნელს ფარდას ახდის,
სულს ნაფლეთები შემორჩება ანარეკლებად...

ირხევა წამი - გამშვილდული ცის ვარსკვლავებად,
მესმის,- სამყარო შორეული მეხმაურება,
არ ვიცი, როდის, მთვლემარე დღეც აბობოქრდება,
იდუმალება სულის სიმებს ესალმუნება.

როცა ჩამოშლის თავის სხივებს მზე ალიონთან,
მტრედების გუნდი აიშლება ცის მაყრიონად,
მიწას დავტოვებ აზვირთებულ სანაპიროსთან,
ზეცისა ძალნი გაბრწყინდება ცის ამბიონთან...

მე ამ სიხარულს ისევ მოველი

მახსოვს, მოწყენით - თავდახრილები,
მიგვაცილებდნენ ბზის ხეივნები,
დაისი ბინდში გახვეულიყო,
გამსჭვალულიყო ცა რექვიემით.

ჩაგვჩურჩულებდა და გვაფრთხილებდა,
ხეთა შრიალი იდუმალებით...
გზის გასაყართან დაჰბერა ზენამ
და ავირჩიეთ სხვადასხვა გზები...

დავემშვიდობეთ ბავშვურ სამყაროს,
იყო ცხოვრება ქარტეხილებით,
ჩვენს თავზე ახლა წლები ფარფატობს,
როგორც ფიფქები იანვრის თვეში.

ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო მაშინ
დაუნდობლობა - სიმუხთლე ბედის,
ამიტომ ბავშვურ წარმოსახვაში
ვტკბებოდით მხოლოდ ყვავილთა ეშხით.

ახალგაზრდობის წარსულ შორეთში,
ჩვენი განცდები თვალნათლივ ცოცხლობს,
ისევ ვაგროვებ ფაქიზ გრძნობებში
ცაცხვის ყვავილებს თიბათვის ბოლოს.

მოგონებებში, თითქმის ყოველთვის,
მოდიხარ ჩემთან და იღიმები,
მე ამ სიხარულს ისევ მოველი,
წარსულ სარკეში კვლავ ვიმზირები...

ყრუთა ბანაკებს

ბავშვთა გნიასმა დაბინდა ზეცა,
შავი ზვირთები კლდეთა ქიმს სწვდება,
ცა მრისხანებით შფოთავს და ელავს,
სამყარო კიდით-კიდემდე ღელავს...

გადაუარა ყრუთა ბანაკებს
ტანჯულთა გმინვამ, ოხვრამ და ვნებამ,
ამ სისასტიკეს რატომ ვამრავლებთ,
საიდან მოგვდგამს, ღმერთო, ეს სნება.

თუ შეგრჩენიათ აზრი - გონება,
მინდა, ეს სიტყვა გავახმიანო,
ვცდილობ, სამყარო გავამზიანო,
„შენ, რას ჩადიხარ ადამიანო“!..

მზის შესახვედრად

ცის ბილიკები მიწვევს საფრენად,
როცა აისი აელვარდება,
თეთრონა რაშებს, სადავეებით,
როს მივაქროლებ მზის შესახვედრად...

წმინდა გრძნობები, ფრთაშესხმულები,
მე ავიტანე ზეცის კარებთან,
თვალის და გულის გასახარებლად,
მიმოვაბნიე ცის ვარსკვლავებად.

ავანთე გული წმინდა ლამპრებით
და ავუხილე ცისკარს თვალებად,
მე მივანიჭე ზეცას ნათელი,
რომ მოსულიყო ღვთიურ ნალექად.

წმინდა საყდრებში ლოცვის აღვლენით,
ანგელოზები ციდან ეშვება,
ადამიანი ღვთიურ თვალებით
მე დაგიხატეთ წმინდა ფრესკებად.

გამოვიგონე ათასი ფერი
კაცის გონების გასანათებლად,
ფუნჯით დავხატე მწვანე საფირი
და მოვაფინე ველს ბარხატებად.

ჩემი თვალთამზით და ელვარებით
გავაფერადე სიზმრის ბაღები,
ახლა შროშანი, ველის ყაყაჩო,
იცქირებიან ჩემი თვალებით.

მირიადების ვრცელი სამყარო,
გადმოვისახე ანარეკლებად,
ამ ცას, ამ მიწას, - მზიურ სანახებს
მე მივანიჭე მშვენიერება.

ეს სილამაზე, - ფერისცვალება,
სიცოცხლის სხივით ერწყმის ღვთაებას,
გთხოვთ, არ შეახოთ მსახვრალი ხელი
ამ საწყაულის მადლით აღვსებას.

ემიგრანტ ქალბატონებს

ფუძე-კერის და ოჯახის ამაგდარო
გაიღიმე, გთხოვ ღიმილი არ დამალო,
შენს სიტურფეს ახლა მკაცრი სუსხი აწრთობს,
მძიმე არის შენი ხვედრი ემიგრანტო.

რაც დრო გადის ასმაგდება შენი დარდი,
უსამშობლო ზეცა არის მუქი ჩადრი,
კუთხე, კერა გენატრება საკუთარი,
მშობლიური მიწა დაგაქვს, ვიცი, ჩანთით.

ძალა გმართებს, კალო შენი რომ გალეწო,
საეჭვოა იქ რომ ვინმემ შეგიბრალოს,
გაძლიერდი, ფიცი შენი არ გატეხო,
დაბრუნდები შინ მშვიდობით ემიგრანტო.

მეც შორიდან გეფერები წრფელი გულით,
შენს სახელზე იმედის ტოტს გადაგირგავ,
განსაცდელი გამოგაწრთობს, – გწამდეს უფლის,
ღვთისმშობელი შეგეწევა არ გაგწირავს.

ნელი საგინაძე

თოვს

თოვს. უშენობა მომეძალა ამ სითეთრეში,
მე კი ჯიუტად ყველა ფანტელს ვარქმევ შენს სახელს,
თითქოს ხვდებიან ეს ლამაზი ფერიები და
სულ სიყვარულით მიკოცნიან თმებსა და სახეს!
გადაათეთრა, ო რა ძლიერ გადაათეთრა,
თოვლის ზეწარში გაეხვია მთელი სამყარო,
ვერსად ვერ გხედავ, მენატრები და ლამისაა
შენს მოსაძებნად, ფანტელების ჯარი ავყარო!
თოვს. ალბათ ,იქნებ ჩემს ჯინაზე მუხლამდეც დადოს,
მე კი ჯიუტად, თეთრ ფიფქებთან შენს სახელს ვამხელ,
მილეული დღე გაედევნა სადღაც ფანტელებს
და ასაფურცლავ კალენდარზე დრო ფურცელს ახევს!!!

***

დღეს ბეთხოვენი მთვარის შუქზე კონცერტს გამართავს,
ამ ღამეს დიდთა, კორიფეთა შეკრება არის
და ყველასათვის გასაკვირვად, როგორც არასდროს,
ის როიალთან შეასრულებს "სონატას მთვარის"!
აქ ლეონარდოც ამ, მკვეთრ შუქზე ტილოს მოხატავს
თვალებმცინარი, სახემღიმარ კონტურებს ქალის,
თვით ბოტიჩელი დაასრულებს ალბათ "ვენერას",
ჩვენმა ნიკალამ ფუნჯი ათხოვა სალვადორ დალის!
დღეს სონეტები წაიკითხა თვითონ შექსპირმა,
"თვალი და გულიც შეარიგა"--ერთ აზრს დაჯერდნენ,
ვარსკვლავებს დიდი ბაასი და თათბირი ჰქონდათ,
გალაქტიონს და მერის იქნებ დღეს ჯვარს დასწერდნენ!
და გარიჟრაჟზე გაიჟღერა ბოლო აკორდმაც,
როიალი კი გამოსცემდა სულში ჩამწვდომ ხმას
და ტიციანმა "მონანიე მაგდალინელის"
ცრემლით დაბანა პირისახე გაღვიძებულ ცას!!!

საქართველო

კავკასიაში მიმალული ნატვრის თვალი ხარ,
შენ ზენა ღმერთის რწმენაც ხარ და ცეცხლის ალიც ხარ,
დასაბამიდან სამართალის ბრძოლის მდელო ხარ
უხსოვარ დროდან " ორ ზღვას შუა მყოფი ლელო ხარ"!
საბუდარა ხარ არწივების და ლომ-- ვეფხების
უფლისციხესთან შენი რწმენის ლოდებს ვეხები,
შენ ქალი გქვია , ყველასთვის ხარ თვალის ამხელი
და საქართველო არის ჩემთვის შენი სახელი!
თავკიდეთა გყავს დიდი მფარველი, უფალი--ელი,
ვაჟკაცების და ბრძენ ქალების ხარ გამომზრდელი,
ევაც გყოლია, დავითიც და სოლომონ ბრძენიც
უწყვეტ ჯაჭვს წნავდნენ შენს გულმკერდზე უკვდავნი ბერნი!
თვალისჩინი ხარ, უფლის მძიმე მზიდველი ტვირთის
და თაობები ათასწლეულდროს ჟამებად ითვლის,
შენს ასაკს ზუსტად სამყაროში ვერავინ იტყვის
სახელი შენი საქართველია--და ასე ითქმის!!!

დეკემბერი

ჩამომდგარა სულში როგორ
ქრისტეშობის დარი,
თეთრი ფიფქი მოფრიალებს
ჩემსკენ გადამთვრალი!

დეკემბერის ცივი სიო
სუსხიანი მზერა,
ყურში მესმის გულქათქათა
ფანტელების მღერა!

ყინვის ეტლი თეთრი რაშით
თოვლის თეთრი გუნდა,
ბუხრის პირას შემოხსნილი
ქართულ ზღაპრის გუდა!

ჩემს ეზოში ჩამომდგარი
ქრისტეშობის დარი,
თოვლში თეთრად დახატული
ანგელოზის კვალი!

ალილოზე ღვთის დიდების
ცას სწვდებიან ხმანი,
მოციმციმე ვარსკვლავების
მიცემული ბანით!

დეკემბერი გულქათქათა,
დაბრძენილი ქალი,
ჩემი თვე და ჩემი წილი
მარგალიტის თვალი!!!

ვერ მომერევი

ვერ ვაპატიებ საქართველოს ღალატს ვერავის,
გინდ შურითა და ღვარძლით სავსე ქალი მიწოდონ,
ალბათ სამყაროს ამოვქექავ ამ ჩემი კალმით,
გადამალული სიმართლე რომ სადმე ვიპოვო!
ერ დავუხუჭავ თვალს ჩემს ქვეყნის ძირძველობას და
არც ღმერთო, არვის გროშ--ვერცხლებად გავაყიდინებ,
ათა-პაპიდან ქართველ გმირთა სიცოცხლის ფასად
წინაპრის სისხლი მომავლისთვის აქ, კვლავ იდინებს!
ერ ვაპატიებ მე, ვერავის დაცემულ კრწანისს
სამშობლოს ღალატს ვერ შევარჩენ მათ მზაკვრულ თვალებს,
ვერ დავივიწყებ "გმირთა ვარამს" , "უქარქაშო ხმლებს",
მარაბდის ომში, ბინდზე ამოსულ "ნამგალა მთვარეს"!
ვიჩას და გოჩას ატირებულ თვალს ვერ ვუყურებ,
სტამბოლს გაყიდულს ქალ-ვაჟთა გულს ცრემლი სისხლად სდის,
კოლხი დედების გულგაგლეჯილ მწუხრ წუთისოფელს
ვიღაც იუდა ვერცხლებად და ხელის ჭუჭყად ხდის!
ის ვაპატიო ჩემს მამულში ვაზის აჩეხვა
მეფე დემეტრეს გადადებული ქვეყნისთვის თავი,
პატარა ქეთოს მოტაცება ვის შევარჩინო,
ყველა მტარვალს რომ საქართველოსკენ ეჭირა თვალი!
რა ბატონო, შუშანიკზეც ვერ ვაპატიებ
რწმენა შეცვლილმა მორწმუნე ქალი რად უნდა საჯოს,
მე, ვერ შევუნდობ ქართველი ვინც მკაცრად გაწირა
მოღალატეა?--განიკვეთოს და დაისაჯოს!
აწიოკება ქრისტიანთა, ძირძველ ქართველთა,
როგორ შევუნდო ქვეყნის მზაკვარს იქნებდა მითხრათ,
რომც დამიმალოთ ქეთევანის ტანჯვა--წამება
გაცრეცილ მელნით შემომიტოვა შირაზის მითმა!
ვის ვაპატიო, ალბათ ვერვის და არც არასდროს ,
სიბრაზისაგან ლამის სისხლი ჩამექცა გულში,
იმ მოღალატე შადიმანს რომ ვერცხლი ჰქონოდა
პაატას სპარსეთს რატომ უნდა ელია სული!
მოხუცი მეფის ღალატს თვალი ვით მოვუხუჭო,
ან ახალგაზრდა, სამას არაგველ გმირთა სიცოცხლეს,
მტერო, კალამთან ნუ დაიწყებ თავის მართლებას,
როგორც მართლობდე, მაგ სიმართლით ისე იცოცხლე!
ვერ გაპატიებ გინდა ფეხქვეშ ცხრად გამეფინო
მტარვალო, მაგ შენს სიბოროტეს მთლად ვერ მოიშლი,
მზაკვარო მიდი, მსურს გიყურო სადამდე შესძლებ
ვერ ხედავ?!- ჩემი საქართველო დღეს ფრთებს რომ იშლის!
ვაჟას "არწივი" უბრუნდება თავის საბუდარს
როგორ არ გითხრა---სიმართლეა ესე ყოველი,
ვერ მომერევი, მიტომ ვდგავარ სალი კლდესავით,
რადგან მფარველად ჯვარი მყავს და სვეტიცხოველი!!!

გულიკო კაპანაძე

ამ ქუჩას

ვახსოვართ ჩვენ ორნი ამ ქუჩას
მე მხედავს, შენ ვერა, ცალმხრივობს.
ქუჩაა, რა უნდა მითხრას და
აბრა აქვს წარწერით: "რას ფიქრობ".
მე არა, შენ გითხრა, სადა ხარ
ან, როდემდე ვიფიქრებ მე ასე
არავინ არა ჩანს ქუჩაში,
ეს ჩემთვის, ისეა სულ სავსე.
დავდივარ, ვფიქრობ და გულში ხარ.
ამ ქუჩას ჩვენ ორნი ვახსოვართ.
ჩემს ფიქრებს სულ ჩავწერ წიგნში და
შენ გიძღვნი (ვითომდა) სახსოვრად.

ჩემს მეს

მოდი სარკეში ჩავიხედოთ ერთად მე და შენ,
მოდი ერთმანეთს გავუცვალოთ ჩუმად კითხვები.
ფიქრში პასუხი არ გვექნება "სად შენ და სად მე",
როცა პასუხებს ამ კითხვებზე ერთად მივხვდებით.
ქარბორბალაა ეს ცხოვრება, ხშირად, შენც იცი,
დალაგებული ფიქრი ხშირად აგეწეწება.
მოდი, სარკეში ჩავიხედოთ, არ გვინდა ფიცი
აწეწილ ფიქრს თუ ერთმანეთზე ზრუნვა ერქმევა.
მოდი, მოგიყვე, როდის გნახე, აღმოგაჩინე,
როდის დაგარქვი ჩემიანი, ანუ "შენ და მე",
როგორ მიხსენი, მარტოობას გადამარჩინე
უცხო აღარ ხარ, აღარ ვამბობ "სად შენ და სად მე".
მხოლოდ შენ მყავხარ, ჩემი მე ხარ, მესაიდუმლე,
ჩემი ლექსების დაბადებაც ხომ შენს გამოა.
და ბედი ზოგჯერ, თუ წააქცევს ჩვენს გზაზე ურემს
უერთმანეთოდ წამოდგომა სულ ამაოა.

ბედნიერება

ბედნიერება თვითონ მოდის, თვითონვე გძებნის,
შენ კი დანახვა უნდა შეძლო, ისწავლო უნდა.
შეხედე იმ ცას, აარჩიე შენი ფერები
და მერე ხატე, რისი დახატვაც ყოველთვის გსურდა.
შეხედე ყვავილს, რა საამო სილამაზე აქვს.
ის ფოთოლიც კი, ხეს რომ მოწყდა, მშვენიერია,
და ის ბეღურა? ზამთრის სუსხს რომ არაფრად აგდებს,
ნახა საკენკი, მოძმეს უხმობს, ვინც მშიერია.
ბედნიერი ხარ თუ უყვარხარ, თუ გიყვარს ძლიერ.
თუ სხვისი დარდი გულსა გტკენს და კარგი გახარებს.
თუ დაინახავ, უჭირს გვერდით შენიანს, უცხოს
ხელს გაუმართავ, გვერდს არ უქცევ, წახვალ სხვა მხარეს.
ბედნიერება თვითონ გძებნის, თვითონ გპოულობს.
შენ უნდა შეძლო დაინახო, აივსო სული.
ვინც გიღალატებს, მას უბრალოდ არ დაუბრუნდე
სიძულვილით კი არასოდეს აივსო გული.
ბედნიერება ვისთვის რაა, ვინ რას ეძახის.
ყველას თავისი საწყაო და საპირწონე აქვს.
ბედნიერება არ არსებობს სევდის გარეშე
"ადამიანად ყოფნის სევდას" უწოდებენ მას.

თოვასთან ფიქრის მეჯლისი

მოდის, მოფრიალებს ფიფქი,
მუქი, გაბუსხული ცაა.
შორს, ცის იქეთაა ფიქრი
იქ ცა თუ არაა, რაა.
მოდის, არ ილევა ფიფქი.
თოვას შევერიე, რა ვქნა.
ფიფქმა გამომტაცა ფიქრი
ვიდრე დადნებოდა, გამთქვა.
ვამბობ, ვერ ვისწავლე ჯერაც
რას ნიშნავს სიავის ხიბლი,
თანაც, დარწმუნებით მჯერა
კვლავაც უსწავლელი ვივლი.
თვალს არა, გონებას ვხუჭავ,
მიდი, გაატარე გულო.
სიცოცხლე ერთიმუჭაა
მერე სად მიდიხარ სულო.
მუქი გაბუსხული ცაა,
ცის ქვეშ მეჯლისია თოვლის,
ფიქრებში ფერებია სხვა
მიყვარს უპირველეს ყოვლის.

რამდენი წლის ვარ?..

"რამდენი წლის ვარ?..უფრო მეტის ვიდრე ასაკით.
დახუნძლულია მახსოვრობა ცხადით, არაკით.
ჩემს ზნე ხასიათს წინ უსწრებენ ჩემი აზრები
უსასრულოა, არსადაა ფიქრის საზღვრები.
"რამდენი წლის ვარ"?..აღარც მახსოვს, ასიათასის.
მეც ნაწილი ვარ ამ საერთო სიცოცხლის თასის.
მოვდივარ, მომაქვს მახსოვრობა წლებიდან წლებში
ჩემი სიცოცხლე სულ გადადის გენიდან გენში.
"რამდენი წლის ვარ"?..უფრო მეტის, ვიდრე ასაკით.
რა საჭიროა წლების დათვლა, ანდაც კი.
უსასრულოა ამ ცასავით ჩემი ფიქრები,
გარდავიცვლები? ჩემი გენით სადღაც ვიქნები.

სადა ხარ...

კი არ ჩამოთოვს და, ამოთოვს
ლექსები, ფიქრიდან თანდათან.
სტრიქონებს თრთვილ თრთვილად გაჰყვება:
"სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ".
დაბუმბლავს განწყობას სევდა და
დანისლავს მუქი ცა ჩემს სამზერს.
ოცნებას, მე შენზე რომ მდევდა
გაუჩენს ბზარებს და მუქ საზღვრებს.
გავყვები იმ ქუჩას, ერთხელ რომ
შენ გნახე, მიყვარდი ძალიან.
მაშინ არ (არ კი არ) ვერ ვთქვი, რომ
გეძებდი, მაკლიხარ ძალიან.
დავდივარ, დამყვები ფეხდაფეხ
"სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ".
არ გესმის, ვერ იგებ ვერაფერს,
მე ვდნები, ვილევი თანდათან.

ენკენისთვე

რა ფერებია, ერთი ნახე რა ფერებია.
ძირს ფარდაგია ოქროსფერი ძაფით ნაქარგი.
ერთი კი არა, ცაზე თითქოს სულ მზეებია
და შარიშურობს მზისებრფერი ფოთოლთ ამქარი.
ენკენისთვეა, მზე ჩამდგარა ყურძნის მტევნებში,
ამ მტევნებიდან წვიმა მოვა კოკისპირული.
აჩუხჩუხდება ღვინობისთვე მერე ქვევრებში,
გალოთებულ მზეს მიაძინებს ზამთრისპირული.

გზა

სად დამეკარგე, წახვედი
რა ცხრა მთა-ბარი იფარე.
რა მოკლე იყო ეგ ბედი
შენ არა, დღეს რომ მტკივა მე.
გადამუქებულ ამ ცის ქვეშ
სულ მეჯლისი აქვს ნისლებსო.
მე ფიქრს ვაგზავნი მზის ქვეშ და
დანაკლისს ასე ვივსებო.
მოთოვს, ბუსხია ცა არის
რაც იყო, დღეს სულ სხვა არის.
სიცოცხლე ვიცი რა არის...
სულის გამოცდის გზა არის.

ვერ

ვერ მოვერიე თავს
დრო ნათითურებს ჰგავს
ვერსად ვიპოვი სხვას
იმ სიყვარულის მსგავსს.
იქნებ არ ღირდეს თქმად
იქნებ სიჩუმემ თქვას.
სჩანს ვერ ვაჯობე თავს
სათქმელს თუ ლექსი ფქვავს.
როს დამთავრდება დრო
დროს რომ ექნება ძრო.
მაშინ თუ ვიტყვი რომ
აქ, სიცოცხლეში გთმობ.
სადაც არ არის ცა,
მიწა, არც არა, რა
იქნებ ვპოულობთ მას
სულში ვინც ლოცვად გვყავს.
ვერ მოვერიე თავს,
დრო ნათითურებს ჰგავს.
ვერსად ვიპოვი სხვას
იმ სიყვარულის მსგავსს.

მისი დაბადების დღე

ფიქრი მეტია თუ ცაა მეტი?
ხშირად გადავდივარ ცის იქეთ.
ფიქრი ხან ბრძენია, ხანაც ცეტი
მე ცის აქეთა ვარ, ის იქეთ.
ჩვენს შორის საზღვრებად ნისლებია
ნისლი მაბრკოლებს და არა ცა.
ზოგჯერ რა ცხადი სიზმრებია
გზა მიდის ნისლიდან სადღაც, სად?
ფიქრი მეტია თუ ცაა მეტი?
ხშირად გადავდივარ ცის იქეთ.
ნოემბრის დღეა დღეს თვრამეტი
მე ცის აქეთა ვარ, ის იქეთ.

ლექსო

ვხედავ რომ შევცდი, საიმედო სულაც არა ხარ.
მაგრამ არ ვნანობ, ასეთი ხომ თვითონ დაგბადე.
ხმამაღლა ამბობ, რაც გაგანდე, ფიქრად რაცა მაქვს,
მე ვიდრე მითქვამს, შენ ხმაურობ, უკვე მანამდე.
ვიცი წინასწარ, კვლავაც დაგწერ, კვლავაც იყვირებ.
თან არაერთხელ, ათჯერ ასჯერ, ათიათასჯერ.
ეს იმიტომ, რომ სიყვარული ზღვადა მაქვს გულში
მისი ახსნა კი, არ მომბეზრდა ლექსო არა, ჯერ.

რამდენი რამე არ ვიცი ღმერთო

რამდენი რამე არ ვიცი ღმერთო,
დახუჭულია რამდენზე გონი.
დიდება შენდა, ვერაფერს შეგთხოვ
სიყვარული კი, თან დამყვა, მგონი.
მას ვუფრთხილდები, ვესათუთები,
ვამრავლებ, ჩემით არასდროს ვკარგავ.
სიყვარულს გულში აქვს სართულები
ამ გრძნობით მე ვარ ძალიან კარგად.
მოხდება ხოლმე, ადამიანებს
აღარ სურთ გულში თავის ადგილი.
დავკარგავ ერთს თუ დავკარგავ რამდენს
არასდროს გახდა ჩემთვის ადვილი.
წლები მიდის და სართულებს გულში
ზოგან გაუჩნდა ნასახლარები.
მე ვცდილობ, ვსწავლობ როგორმე სულში
არ გაჩნდეს მათგან ნისლთახლართები.

აღარ იტირო გულო

აღარ იტირო გულო
არ მოიბურო ნისლით.
შენ მაპატიე სულო
ხელს თუ სხეულით გიშლი.
გამოიდარე გულო,
გვერდით მზე გიდგას ნახე.
ჩემო სეხნია გულო
გაქვს უთბილესი სახე.
ვნახე რა ქარაშოტი,
რა შეზღუდული აზრი.
ვინც მომიღერა შოლტი
დამღა თავადვე აზის.
გადაფერადდი რითმა
არად ჩააგდო ბნელი.
ხშირად სიჩუმით ითქვა
დაყვირვებაზეც ბევრი.
აღარ იტირო გულო,
არ მოიბურო ნისლით.
შენ მაპატიე სულო
ხელს თუ სხეულით გიშლი.

ზამთრისპირული სოფლად

აღარც მზე დამხვდა, არც მისი ფერი
ქარს წაუღია ფოთოლთ ფარდაგი.
გაუწეწია ის ოქროსფერი
მუქი ფერია სოფლის ფასადი.
დაყიალობენ ყვავები კენტად
ცას გასჩენია ღრუბლის ხუნდები
ზამთრისპირულზე ყველაზე მეტად
სახლის საკვამლურს კვამლო, უხდები.

ფიქრი

გამოდის ბოლომდე ვერ ვაპატიე
თუკი, ჩემს თავთან დამრჩა გასარკვევი.
ზოგჯერ ვერ, ვერ ვაჯობე საკუთარ თავს
ჭრილობებს ვერ დავადე საკერველი.
როცა გულს ტკივილისთვის მოსდგომიან
და მე არ დამიხურავს დროზე კარი.
რად უნდა თქმა, რომ მტკივა მერე გული,
მხოლოდ ამ ჩემს გულთან მაქვს დიდი ვალი.
როცა ვინმეს მთლიანი გულით ვენდე
მას არა, მე მიმიძღვის ალბათ ბრალი.
წლებმაც რა, ყველაფერი ვერ მასწავლა
ერთია, გაუჩინა ნდობას ბზარი.
ჰო, ახლა გულღიობას აღარ ვჩემობ
მხოლოდ ჩემს ლექსებს ვუმხელ გულისტკივილს.
და რა გგონიათ, განა ლექსი მინდობს?
ჩურჩულით ნათქვამზეც კი იწყებს ყვირილს.
მიყვარს მაინც, ულექსოდ ვერ ვიცოცხლებ.
იყვიროს, თან გამთქვას და იჭორაოს.
მოჰყვეს ჩემს ამ ზნესა და ხასიათზე
თქვას, ფიქრში ხშირად ნისლი რატომ სჭარბობს.
როცა დამთავრდება ეს სიცოცხლე და
ფიქრებიც აიკრავს გუდა ნაბადს,
იქნებ იმ ფიქრისთვის არც მეპატიოს
დღეს რომ მე მივიჩნიე მსუბუქ ამბად.

ცაო

ცაო, სულ შენსკენ გამირბის
ფიქრი და თვალთა მზერაო.
მზერით მოვსდგი ცას კიბე
ვერ მოგწვდი ჯერაც, ვერაო.
მიწაზე გიქრებს ვერ ვატევ
ცას გადასულა მეგზური.
ვერ ვძებნი არ მიმიკარა
ალბათ რაიმეს მემდურის.
ხან ღრუბლიდ ფთილებს ვამსგავსე
ხან დილის ათინსთსაო.
ვერ მოვატყუე გონს ვერა,
არა ჩანს არსად,არაო.
არ ვიცი სსნამდე ვივლი,
მოგაწვდენ მზერად სადამდე.
ზოგჯერ მინდება დავტოვო
სიცოცხლე კუთვნილ ვადამდე.
მაპატიეთქო არ ვამბობ
ღმერთო, მომკითხე თუ ვცოდსვ.
იმ წუთს, იმავ წამს მომკალი
არ დააყოვნო არც ცოტა.
ცაო იფარებ მაგ ღრუბლებს.
ღრუბლის კოპლებით მორთულხარ.
ფიქრიც ვერ გასცდა ზღურბლებს და
მაგ კოპებშეკრულ ღრუბელთხლართს.

ხათუნა თედიაშვილი

* * *

ფიქრებს ავყევ და ქალბნელას, თვალზე ცრემლები დამცვივდა,
მარტო დარჩენილს უცხოთში, სულზე ტკივილი მაცვივდა.
მხრებზე მოვისხი ნაცრეცი, მამაის ნაბდის ძველაო,
და ტანზე კაბა ჯვალოსი, ისიც ნისლების ფერაო.
ქარაფთ რომ თვალი მოვავლე,იდგა ლამაზი დარიო,
ახლოს მოჩანდა ჯიხვებნი, ვითარც მხედართა ჯარიო,
მამაის ნაბად მოვიხსენ და იქვე მინდორს დავაგე,
რაც ვიოცნებე წარსულში, ახლა ქარაფთან ავაგე,
კარავი ჯვალოს კაბისგან და ჩემი, თმებით შევკარი,
ტანზე მოვიცვი კესანეს, ცისფერ ყვავილთა ზეწარი,
მზე ოქროსფერი სხივებით, კარავში სითბოს აფრქვევდა
და კესანებიც ოცნების, მე ზღვა სიყვარულს მაფრქვევდა,
ჩამომეძინა ქალბნელას, სულ დავივიწყე დარდიო,
და სულში ისევ აყვავდა, თითქმის ჩამხმარი ვარდიო.

* * *

ამ წამს ისე მომენატრა საფარა და ვარძია,
ცრემლი წამსკდა თვალებიდან, სევდამ წვიმად მაქცია,
მახსოვს ბოლოს საფარაში, წამოსვლისას ავედი,
წმინდა საბას ვემთხვიე და მერე გარეთ გავედი.
ტაძრის უკან,გალავნიდან თვალი სამცხეს მოვავლე,
ღმერთო შვილებს გაბარებ და მიფარე მოსვლამდე.
სამრეკლოზე მტრედი დაჯდა და ზარებმაც დარეკა,
თითქოს ღმერთმა გამიგო და ტაძარს სხივად ამრეკლა,
სამცხის მთებზე ნისლის ქულა,ცაზეც ჟღალი მიმინოო,
ანთიმოზის ლოცვის ძალა,ანგელოზთა იფრინდო,
ჯავახეთის ქედზე თოვს და ვარძიაში მზე ბრწყინავს,
თამარ ქალის სენაკიდან თვითონ მეფის ხმა გვრგვინავს,
ქუდზე კაცი საქართველოს,უცხო ტომით გავივსეთ,
ხმალი ლესეთ ლომგულებო, სანამ ჟანგით ავივსეთ,
აფსუს ჩემი დრო და ჟამი, საზღვრებს ვეღარ ვითვლიდით,

დღეს კი ყველა აქეთ მორბის,ლარსზე ვეღარც ითვლიდით,
ეს ღვთისმშობლის წილხვედრია, არ გაქვთ იმის უფლება,
ყველა კუთხე გააჩუქოთ, ვისაც ხელი უწვდება,
ქარველების გარდა რჩება, მიწა ჩვენი იცოდეთ,
დროა ერი ერთად დადგეთ და გულიდან ილოცეთ.
სენაკს სხივი დაეცა და სარკმელს მტრედი აფრინდა,
ლოცვა-მადლი დატოვა და მეფე ცაში გაფრინდა,
მუხლის ჩოქზე. დავეცი და ხატს სანთელი დავუნთე,
ღმერთო შეგთხოვ დაგვიფარე, რომ მტერს ფეხზე დავუდგეთ,
საფარაში ზარი რეკს და ვარძიაში გალობენ,
უფლის ლოცვა შეგეწიოთ,ღვთისმშობელი გწყალობდეთ!

* * *

კავკასიონზე მოუთოვია,
ხოდა კვეტარზეც იქნება ჭირხლი,
მე ამ ზამთარსაც,თუ ვერ მოვედი
მამავ ცრემლებით,ბოდიშებს ვიხდი.
რადგან მანძილი ,ვერ შევამცირე,
ტიალმა ბედმა ისე გაწელა,
როცა ვიფიქრე გნახავდი მალე,
დრომ ვითარც თმები,წლები მაწეწა.
ხოდა ვერ შევძელ, ისევ ჩამოსვლა,
გომბორზეც თურმე თოვდაო ახლა,
მუზის ქროლვაში გახვეულ პოეტს,
ფიქრის გორაზე მიცდიდა მამა.
ხვალ ისევ წავა,მამა უჩემოდ,
თვალ გახელილი უთქმელი დარდით,
და ატირდება წყაროსთან ,მსხლის ხე,
შემოხვეული მოთეთრო ვარდით.
მე გულს გამომჭამს შიგნიდან სევდა,
სულის კივილი ,უთქმელად მახრჩობს,
და სოფლის თავზე მომდგარი ყინვა,
ცისფერი კვამლის ნაკვალევს ახრჩობს.
ახლაც თოვდაო, გომბორზე მამა
ხოდა კვეტარზეც იქნება ჭირხლი,
შენ, მაპატიე ვერ მოსვლა დღესაც,
ცრემლებ დამშრალი დიდ ბოდიშს გიხდი.

* * *

ჩვენ უკვე ბევრი წლებია,ერთად ვეწევით უღელს,
პატარა,მყუდრო ბინა გვაქვს და იქ სიმშვიდე სუფევს,
ოთხი სიცოცხლე გვამდიდრებს,სამი ბიჭი და გოგო,
ჩვენი სიმტკიცეც ესაა, ბედნიერების ლოგოც,
გამოვიარეთ ცხოვრება,ბევრი ბრძოლა და ომი,
გვიწევდა ბედთან ჭიდილი,მუხლჩაუხრელი შრომით,
სამშობლოს რითიც შეგვეძლო,ისე ვედექით მხარში,
თუმცა არც არაფერია,თითქოს წვეთია ზღვაში,
შენ მას იცავდი ბრძოლებში,იყავ ერთგული მუდამ,
არ დაცემულხარ არასდროს,თავზე წვიმდა თუ ქუხდა,
მე,მგლის ლეკვები ვუზარდე,დედა ვიყავი მტკიცე,
და აკვნის თავთან ვმღეროდი,იავნანას და ლილეს.

როგორც არწივი მართვეებს,აჩვევდა ცაზე ფრენას,
ისე ვასწავლე პატარებს,ჩვენი ქართული ენა.
ახლა დროებამ გაგვრიყა და შორს ცხოვრება გვიწევს,
მე ემიგრანტი მქვია და რამდენ ტკივილებსს იწვევს,
მაგრამ ჩვენ უკვე წლებია,ერთად ვეწევით უღელს,
პატარა ,მყუდრო ბინა გვაქვს და იქ სიმშვიდე სუფევს,
ოთხი სიცოცხლე გვამდიდრებს,სამი ბიჭი და გოგო,
და მინდა თქვენით სუნთქავდეს ჩემი ცხოვრების ბოლოც.

* * *

მომენატრა ილტოსპირი,წნორის თეთრი ხეებით,
ბავშვობაში ნაფერები,პაწაწინა ხელებით,
გვირილების სამფლობელო და კვეტარის ველები,
ყაყაჩოთი შეფენილი,საყვარელი ხედები,
ციხეებთან წყაროს წყალი,ანკარა და კამკამა,
ბოდახევზე გადმომდგარი,ნუკრი თვალებმახარა,
ხევგრძელაზე თეთი ხიდი,მორღვეული ჯებირით,
სილიანი სანაპირო,ცელქები რომ ვტკეპნიდით.
ბუჩქის ძირში ნამიანი იის თვალის გახელა,
ღმერთო ნუთუ ვეღარასდროს,ვერ ვიქნები ამხელა,
პაწაწინა ცელქი გოგო,ჯიუტი და თავნება,
ახლა ისე შორს წავიდა და სახლის გზაც აებნა.
მომენატრა ფიქრის გორა, ჩემი ცაცხვის ხეები,
აკაციის ხეივანი,შორი ღრანტი ხევებით,
მერცხლის ბუდე აივანზე,ავსებული კვერცხებით,
ილტოსძირთან ლელიანში,მოშრიალე ვერხვები,
და ჩემს ბაღში ვით წალკოტში, ტურფა თეთრი ვარდები,
თუნდ გზისპირას უმნიშვნელო, ეკლიანი ბარდებიც.
მზის ამოსვლა ბოდახევზე, ნისლიანი ქედებიც,
და ნამგალა მთვარის ჩასვლით მოქარგული ხედები.
დამაბრუნეთ ბავშვობაში თუნდაც აღარ დავბრუნდე,
მონატრება რომ მოვიკლა და სურნელით გავბრუვდე.

* * *

ისევ არეული ფიქრები და სულის შფოთიანი სიმარტოვე,
მუზა და რითმები გამებუტნენ,მერე ვით შეშლილი მიმატოვეს,
ღამეც ვერ ვიძინებ,რადგან უკვე სიზმრად სტრიქონები მელანდება,
ბნელში დავდივარ და განწირულად,ვუხმობ სად წავიდნენ მენატრება,
დილით როს ინათლებს გარიჟრაჟზე,ისევ ტაძრის კართან შევჩერდები,
სანთლებს დავანთებ და ლოცვისასაც,თითქოს ცივ სტრიქონებს ვეჩეხები,
მერე ატირდება თვალები და კალამს ცხელ ცრემლებში დაასველებს,
ხელი გამექცევა ფურცლებისკენ,ის კი ისევ მეტყვის დამასვენე,
ახლაც ცრემლი გდის და შეშლილივით, ადგილს ვერ პოულობ მერამდენედ.
რა გჭირს?გაგიგრძელდა დეპრესია,გისმენ საყვარელო,მე გამენდე,
მე კი უფრო მეტად ავტირდები,ცრემლში ვიხრჩობი და ვერ ვსაუბრობ ,
მოდი ჩავეხუტოთ ფურცლებმაო,იქნებ შესცივდა და სულს გავუთბობთ,
მკლავი მომხვიეს და მკერდში ჩაკრულს,თვალნი ამომიშრეს ცრემლმდინარი,
ნაზად დამიკოცნეს ღაწვები და იქნებ რამე გტკივა ჩვენ გვითხარი,
ისევ ჩამეკითხნენ ძველებურად,მტკივა როგორ არა ,სული მტკივა,
შიგნით არეული დარდი მხრავს და გიკვირს ყველაფერი თუ ამტკივდა.

* * *

აბა რა გითხრა ძვირფასო,მეც კი არ ვიცი რა ხდება,
ხან მოვიწყენ და ცრემლები,როგორც წვიმები წამსკდება
არეული მაქვს აზრი და ცად გაფრენა მწადია,
ზოგჯერ იმასაც ვერ ვიგებ,სიზმარია თუ ცხადია.
ხოდა წუხელაც მესიზმრა, კავკასიონის ქედები,
თოვლს დაეფარა თეთრად და მშვენიერი ხედებით
ილტოს ხეობა ყვაოდა, იდგა მზიანი დარია,
ღვთისმშობლის გორით გვლოცავდა დედა უფლისა ,მარიამ.
მლოცველმა თაფლის სანთლებით, შემოვუარე სამჯერ გარს,
მერე მუხლებზე მოყრილმა,თხოვნა შევბედე წმინდა ხატს,
იქნებ და რამე გვეშველოს, შენ დაგვეხმარე მარიამ,
რომ განვამტკიცოთ რწმენა და სულს მოგვეფინოს მადლია,
ქართველი ,ქართველს არ მტრობდეს, ერი კვლავ ისე განდიდდეს,
სიხარული და სიკეთე,როგორც მდინარე ადიდდეს
ხატმა წამწამნი დახარა და თითქოს ფეხზე წამოდგა,
ხელები თავზე დამაწყო და ეს სიტყვები წარმოთქვა,
სანამ მოყვასი გიყვარს და მის სიხარულს განიცდი,
იცოდე რწმენაც გექნება, თუმცა დროება არ იცდის,
შენ კი გახსოვდესუფალი თვის წილხვედრს, ყველგან დაიცავს,
სულში სიმშვიდე დაბრუნდა და ცად გაფრენა მწადია,
ისეთი ბედნიერი ვარ, თითქოს სიზმარი ცხადია.

❤❤❤❤

მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე

ქალბატონი საოცარი

რა თბილი ხართ, რა ტკბილი ხართ,
აკადემიის ხართ თვალი,
სულის,გულის, ნაწილი ხართ,
ქვეყნად არვინ გყავთ ბადალი.
ია ვარდებს დაგიკრიფავთ,
სიყვარულზე მღერის ქნარი,
ვერ შეგიცვლით ნათელ მიზანს,
წუთისოფლის ნიავქარი.
ცისკარელი მზედ რომ ბრწყინავთ,
სულ ღია გაქვთ გულის კარი,
დიდ იმედად მყავდე მინდა,
ღვთის ნაჩუქარ დად გიცანით.
ეფერებით ყველას თბილად,
გულით დაგაქვს ნატვრისთვალი,
იმედად ჰფენთ სხივებს მზის დარს,
სიყვარულით ხართ მდიდარი.
იდღეგრძელეთ გულნაზ დიდხანს,
გლოცავთ ყველა სალოცავი,
ცით ვარსკვლავებს ჩვენთვის კრიფავთ,
ქალბატონი საოცარი.

* * *

გილოცავთ ჩემო ძვირფასებო, 2024 წლის შემობრძანებას.ყველა ოჯახში ფეხბედნიერი შემოსულიყოს. უფლის წყალობით,მშვიდობის, სიკეთის,სიყვარულის,ხვავის და ბარაქის წელი ყოფილიყოს.ქვეყნისა და ოჯახების სიმტკიცე და სიძლიერე დაგვბედებოდეს.

ახალო წელო

მობრძანდი ფეხბედნიერი,
ფიფქად სიკეთე გვათოვდეს,
ქუხდეს მრავალჟამიერი,
უფლის მადლი დაგვნათოდეს.
დამილოცე ფუძე, ჭერი,
სიძლიერე კვლავ გვამკობდეს,
საქართველო მშვენიერი,
მტერს და ორგულს არ გაჰქონდეს.
სოფელს, ქალაქს გამრჯე ხელი,
აღარასდროს აღარ თმობდეს,
ლხინის სუფრას ენამჭევრი,
სიყვარული თამადობდეს.
ემიგრანტის თვალზე ცრემლი,
მონატრების აღარ კრთოდეს,
საქართველო ბედნიერი,
ისევ გახდეს როგორც ოდეს.
იმედით და რწმენით გელით,
ხვავ ბარაქით გაგვაოცე,
ყველა ოჯახს პატარების,
მოღუღუნე ხმა ათბობდეს,
გულის გულში სატარები,
ღვთის იმედი მარად გვქონდეს,
სიძლიერე ქვეყნის,ერის,
არ მოგვშლოდეს არასოდეს.

ლამაზი ბიჭი და გვირილა გოგო

(ვუძღვნი ულამაზეს წყვილს)

მენატრები, იცი როგორ მენატრები,
წუთისოფლის ქარმა სად არ მატარა,
თვალგვირილავ დღე და ღამ შენ მელანდები,
უშენობამ ქარ-ცეცხლს გამომატარა.
მონატრების ფიფქი ახლა ციდან მათოვს,
მოლოდინმა იცი როგორ დამღალა,
მინდა მალე ჩემ გვერდით რომ დაგინახო,
თვალციმციმავ გულმა მზეს შეგადარა.

ის პირველი სიყვარული ბიჭო მახსოვს,
გულში ბრწყინავს წუთითაც არ ჩამქრალა,
ჩემ ფიქრებსაც ვიცი ქარი შენ გაგანდობს,
უყვარხარო გუშინ მეც მომახარა.
გელოდები, ჩემო კარგო გელოდები,
ვგვირილობ და მხოლოდ შენთვის ვმზიანობ,
გულის კარი შენ გაგიღე მე ოცნების,
მალე მოდი აღარ დაიგვიანო.

მე ამ გზით დავალ

არ ვიცი ახლა, რა გითხრა,რა ვთქვა,
არ მიყვარს ბევრი მიეთ მოეთი,
მე სიყვარულის ლამაზ გზით დავალ,
სანამ ვარ ასე ვივლი ყოველთვის.

მივყვები ამ გზის აღმართს და დაღმართს,
მიყვარს ბილიკი, მხიბლავს შორეთი,
მაღალ მწვერვალზე ჩანჩქერის ნაწნავს,
ხეთა შრიალის ატკბობს სონეტი.

ჩემ სათქმელს მუდამ ლექსებში ვხატავ,
ამ ცის ქვეშეთში მიყვარს ყოველი,
მზე რომ უკოცნის ყვავილებს წამწამს,
ლოყას რომ შვენის ნაამბორევი.

ვიცი, სამყაროს უფალი მართავს,
სიყვარულშია აზრი ცხოვრების.
ვერვინ მოგაწვდის დღე ისეთ წამალს,
რომ ბედნიერი იყო ყოველთვის.

რა ვქნა სხვაგვარი სიცოცხლე არ მწამს,
მეც ამ მისიით ქვეყნად მოვედი,
ზიზღს და სიძულვილს სულ გადავხაზავ,
რომ ფესვიც გახმეს დანატოვები.

დღეს სიყვარულის ვაცოცხლებ ზღაპარს,
ზიზღი ნაკლია მუდამ გონების,
ქართველი ვარ და ამ საგზლით დავალ,
შვილი, დედა და ქალი პოეტი.

* * *

ბ-ნო ტარიელ გილოცავთ დაბადების დღეს, დიდი პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით. მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე.

ქართველი ხართ, ვაჟკაცურად დგახართ,
სათქმელს მუდამ მზის სხივებზე ფერავთ,
ვერ შეგაკრთოთ წუთისოფლის ქარმა,
მწვერვალივით ვერ გაგტეხათ მეხმა.

მზე გინათებთ ღირსეულ შვილს გზა კვალს,
ქართველობა ჯილდოდ დაგებედათ,
ერის ტკივილს დაედებით წამლად,
ღმერთი წუთით არ წასულა თქვენგან.

იდღეგრძელეთ და არ იგრძნოთ დაღლა,
გული თქვენი სიყვარულით ფეთქავს,
გმირობაა მტკიცედ იდგეთ მარად
და ბოლომდე ტარიელი გერქვათ.

ჩემო ფერიავ

ჩემო პატარავ, თვალციმციმავ ჩემო ფერიავ,
შენ სიყვარულის მზედ ბრწყინავ და ყველგან ანათებ,
ცით მოფრენილხარ ანგელოზად ერთი წელია,
ასე პატარა მთელ სამყაროს რომ ალამაზებ.
გვატკბობ, გვახარებ, საყვარელო შენი გაჩენით,
გიცქერთ მშვენიერს,ძვირფასი ხარ სუყველა განძზე,
ასე პატარას რა ძალა გაქვს ვივი ასეთი,
მოფრინდი მეკვლედ და სიცოცხლე გაგვილამაზე.
სიყვარული ხარ და სიციცხლის ძალას გვანიჭებ,
გვატკბობ ღუღუნით, ანგელოზო სპეტაკ ფრთიანო,
დღეს პაწაწინავ ფრთხილად ადგამ პირველ ნაბიჯებს,
საუკუნე რომ ღირსეული გზებით იარო.
იბრწყინე მარად, საყვარელო, ჩემო ფერიავ,
გლოცავ, გამჩენმა სიყვარულის გზებით გატაროს,
ეს ცა და მიწა დედოფალავ ახლა შენია,
ქართველ ქალობით დაამშვენე მთელი სამყარო.

ტყიბულში ძეგლი დაიდგა

სოლომონ მეფის იმერეთში დაიდგა ძეგლი,
დღეს სიხარული მეცხრე ცამდე ალბათ აღწევდა,
დიდებულ მეფის მზეს ლოცავდა ოდითგან ერი,
დეკემბრის ამ დღეს მზეც კი სხივებს უხვად აფრქვევდა.
ჰიმნი ქართული ფრთამალია, ლაჟვარდებს ერთვის,
ქართველთა გულში რომ ინთება რწმენის სანთლებად,
მთებმა ქუდები მოიხადეს ღრუბლების ფერი,
მეფე მოდისო, ჩვენი ერი გადასარჩენად.
მეფე დაბრუნდა, საქართველოს დიდების მდომი,
მტერსა და ორგულს რომ ხვდებოდა მამა პაპურად,
ხრესილის ველზე ბრძოლა იყო მსგავსი დიდგორის,
მომხვდურთა ურდო რომ მოსპო და გაანადგურა.
დაშლილ სამეფოს შემოავლო სიმტკიცე კედლად,
მუსრი გაავლო მტერსა და ორგულს ყველას პირწმინდად,
გმირული საქმე დღეს მეფისა კაშკაშა მზეს გავს,
იმერეთიდან რომ დაიწყებს კვლავ ისევ ბრწყინვას.
უძლეველ მეფის წმინდა გული ერისთვის ფეთქავს,
დღეს ჯვარზე გაკრულ საქართველოს იმედად მოდის,
ოკრიბის გულში ტყიბულში დგას ჩვენდა იმედად,
,,ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლ მჩქეფე,
"იმერთ მეფე სოლომონი.

მალვინა ჭელიძე

შენი სიტურფე იქნებ გადარჩეს!

დათოვლილ ვარდებს

მოდი და ერთხელ კიდევ დამატკბე,
გადამიყარე გულიდან დარდი,
ვშიშობ თუ ყინვას ვეღარ გაუძლო,
თქმა ვერ მოვასწრო, როგორ მიყვარდი.
იქნებ გაუძლო ქარებს სუსხიანს,
შენი სიტურფე იქნებ გადარჩეს,
გადაიშალო ლამაზ ბაღნარად
სადმე, ჩემს ახლოს, იქნებ დასახლდე?!
მე რას მოვითხოვ, არაფერს შენგან,
მინდა გიცქირო, ფიქრი გამანდე,
ნუღარ დამტოვებ ამ ზამთარს კენტად
იქნებ ჩემს ახლოს ისევ აყვავდე.
გულში ჩაგიკრა ვით თოთო ბავშვი,
ისევ შეგიგრძნო სულის დაღლამდე,
ვშიშობ თუ ზამთარს ვერ გადაურჩი,
ვაი თუ, თოვლში დამისამარდე...
მე ვდარდობ შენზე, სევდა მეწვია,
თითქოს ზამთარიც გამომეტირა,
თუ ვერ შეგკარი ლამაზ კონებად
ალბათ შენს ახლოს ვარჩევ ხეტიალს!

დედას!

მესტუმრე წუხელ სიზმრად,
მემალებოდი კართან,
თითქოს რაღაცა მითხარ
ვერ გავიგონე, რა ვქნა...
მითხარი კიდევ რამე
ნუ მიმატოვე დარდთან!
თოვლია, დედა თოვლი...
უნდა გაუძლო ზამთარს,
უკვე რამდენი წელი
ვერ მოვეფერე საფლავს,
ეს მონატრება თქვენი
ჩემ გზას ტკივილად დაჰყვა.
მინდა ჩაგჭიდო ხელი,
გული თქვენს სითბოს ითხოვს,
მოდის ახალი წელი
არც რა მახარებს, თითქოს...
მე თქვენზე ფიქრით ვთბები...
იმ ბავშვურ წლებზე ვფიქრობ.
ნუ შემატოვე სევდას,
მოდი მითხარი რამე
მითხარ,რაც უნდა გეთქვა,
ნუ ამიცრემლებ თვალებს,
დაგელოდები ისევ,
მოდი ახალ წლის ღამეს.
აწვიმს და ათოვს საფლავს
არ გამიცივდეთ ვჯავრობ,
გული ხომ თქვენთან დამრჩა,
უგულოდ ვეღარ ვხარობ,
მე თქვენზე დარდი დამყვა
ცრემლები სანამ ვმალო.
ვინ შეგატოვათ სევდას,
ვინ შეგაჩვიათ დარდებს,
მოდი ჩაგიკრა გულში
მე გაგითენებ ღამეს,
მეც მანუგეშე დედა
მოდი მითხარი რამე.
ვინ აგვიბნია გზები
ღმერთი ვის გაუხელდა,
ფერი ეცვალა ღიმილს
დარდი ვინ დაგვაბედა,
ამ უსამართლო ტკივილს
მოდი ვებრძოლოთ ერთად.
მესტუმრე წუხელ სიზმრად,
მემალებოდი კართან,
თითქოს, რაღაცას მთხოვდი
ვეღარ გავიგე რა ვქნა,
ამ დარდიანი გულით
ნუ შემატოვე ზამთარს!

მაგრამ მოვედი!

პოეზიამდე სიყვარულთან ერთად მოვედი,
მოვქსოვე ბევრჯერ სევდის ბადე განმარტოებით,
მოვედი მზედ და გაზაფხულის წვიმად მოვედი,
მონატრების და სიყვარულის ფიფქად მოვედი...
დარდად მოვედი,სუსხიანი გზებით მოვედი,
ღვთიშობლის კალთას შეყუჟული ვიყავ ყოველთვის,
რწმენით მოვედი,მიუსაფარ გზებით მოვედი,
მაგრამ უფალი გზას მიკვლევდა, ყველგან, ყოველთვის...
ზამთრის სუსხიან ღამეს თქვენზე ფიქრით ვთბებოდი,
მოგონებებით ვთვრებოდი და ბევრჯერ ვტკბებოდი,
ჯერ ავაწყობდი ნდობის ბადეს ნაზად გავშლიდი,
უკმაყოფილო,გულნატკენი უხმოდ დავშლიდი,
ლექსებთან ერთად სიყვარულს და განცდებს ვტოვებდი,
ერთი რიგითი მოკვდავი ვარ, არ ვარ პოეტი!

სტუმარო!

ამ მთებში სიმშვიდეს მანამდე თუ ჰპოვებ,
ლილეოს ჰანგები გუგუნებს ვიდრემდე,
თეთრ ღრუბელს
შეეხე, გაყუჩდი,დანებდი,
ხელები გაშალე
ცის კიდით კიდემდე!
ყვავილთა სიტურფეს ნუ შეედავები,
შეიგრძენ სურნელი
მორცხვად რომ გიმზერენ,
ხარჯიხვთა ნაკვალევს
შეავლე ნამზერი,
მთვარიდან ანარეკლ
აჩრდილებს მისდევენ...
ცათაბჯენ კოშკების
სიუხვე გაოცებს?
ლამაზი ბუნება ფერებად ირწევა,
უფალო,
დაღლილი სამშობლო მიცოცხლე,
ზღაპრული სამყარო აქედან იწყება!
მთვარიან ღამეში,
ვარსკლავთა ცვენაში,
თუ ვეღარ იძინებ
უბრალოდ, გაყუჩდი...
ქარების მონაქროლს
თუ კი აედევნე,
ან იქნებ ზღაპრული
ხედებით
დამუნჯდი?
იცოდე, ენგური
შხარიდან იწყება,
უშგულში, ღმერთებთან
ხვდებიან ალიონს.
ლილეოს ჰანგები ზეცამდე ირწევა,
ყანწები ივსება,
სტუმარმაც დალიოს!
სტუმარო, ამ მთებში
სიმშვიდეს იპოვი,
ლილეოს ჰანგები
გუგუნებს ვიდრემდე,
შხარის კალთებიდან
აფრენილ არწივებს
მიენდე ალალად,
ცის კიდით-კიდემდე!!!



გერონტი მესხი

ნოსტალგია ფრონისპირს

რატომ მენატრები, ვერ ვხვდები,
სიზმრებს უშენოდ ვერ ვენახვები.
აქეთ შრიალებენ ვერხვები,
იქით-მიგდებული ვენახები.
ყაყაჩოს ცხვირი გვერდზე მიაქვს,
სიშორე ჩემი ბრალი ჰგონია.
მამალს ვიხსენებ დეზებიანს,-
დედლებში თავაწეულ გოლიათს.
სადღაც კვლავ ჰკივის ნაადრევად,
მის ყივილს დილა გვერდს აღარ უვლის...
ხვალ სიყვარულად გაავდრდება,
სველი გზა შემრჩება დაღალული.
ჩემი ცრემლია ცად ასული,
მდელოს რომ ასკდება ნაწვიმებად.
თმენის ვადაა გადასული,
სული იფანტება ნაწილებად.
ღამეულ ცაში „ირმის ნახტომს“
დილის სიშორიდან ვაკვირდები.
ქრება... შემრჩება ტვირთი მარტოს...
განა მეც ლირივით ავტირდები.
ცად აწოწილან ალვის ხენი,
თითქოს ყრმობის დროის ნაფერებნი.
გონს შემორჩება შავი დღენი,
სულის გუშინდელი ნაკერებით.
წარსულს ამოშლა არ ეგების...
გზები დაამძიმეს შეღმართებმა...
ქარქაშს არაფრით ჩავეგები,
მეც მსურს ერეკლეს ხმლის შემართება.
ქვეყნის სიკეთის მოსურნენო,
მგონია, დარს უნდა ჩამოდგომა!..
სიფრთხილე გმართებთ მოშურნენო:
ქვეყანა აპირებს წამოდგომას!..

რაღა გითხრა მეტი, რა!..

(სიმღერა)

ცის კაბადონს დაშორდება როცა მთვარე,
შეიცვლება ამინდი.
გავუყვები მომღიმარე კვლავ იმ მხარეს,
სადაც შენი გზა მიდის.
სიხარულით შემოვირბენ ველს და მინდორს,
სიოს ვებუტბუტები.
შენთან მოვალ, რომ არ მელი,ზუსტად იმ დროს,
გულში ჩაგეხუტები.
თუ თვალებმა გაგრძნობინეს ვერაფერი,
მაშინ გეტყვი ზეპირად:
შენ ხარ ჩემი სიცოცხლე და ყველაფერი,
რაღა გითხრა მეტი, რა!..
მე ვარ, კარგო, შენს ტრფობაში დაზაფრული
დილის ნამის ზღაპარი.
განა მარტო მიყვარს ჩემი გაზაფხული,
მიყვარს შენი ზამთარიც.
მიყვარს წვიმის ონავარი ერთი წვეთი,
შენ რომ მოგიალერსებს,
ჩამოჰყვება წამწამებს და ჩუმი კვნესით
დაგაკვდება თვალებზე.
თუკი მზერით ვერ გითხარი ვერაფერი,
ახლა გეტყვი ზეპირად:
შენ ხარ ჩემი სიცოცხლე და ყველაფერი-
რაღა გითხრა მეტი, რა!..

როგორ მამებად შევრჩებით მერმისს

შემოფანტვია ზეცას ღრუბლები,
მზე იფხორება, როგორც მამალი...
ტანზე ათლილი მტრისგან უბნები
მეწვის და არსით არ ჩანს წამალი.
სხეულში ფეთქავს უტეხი სული,
ჯინი ბოთლიდან ლამობს ამოსვლას.
ბევრს კი ეცადნენ,
კრახი ხვდა სრული,
ჩემი რწმენისგან ფუძის გამოცლას.
გადამიარა თავზე გრუხუნმა,
ტანზე შემაცვდა, თითქოს, ფართალიც...
დე, კოშკის ნაცვლად მქონდეს ხუხულა,
ოღონდ უფალთან ვიყო მართალი.
წარსული ცრემლად აწვიმს ნიადაგს...
მერმისს შევრჩებით როგორ მამებად?!.
იმედის სხივი ბჟუტავს ნიადაგ,-
გავაჩირაღდნებთ შემოღამებას...

ო, ღმერთო ჩემო!

ცოდვებისაგან ევას მოდგმის დახსნის გულისთვის
ჯვარს გაცვეს, ვით სხვა ძელს გაკრულნი
შვილები ცოდვის.
ჩემი სამშობლოც ჯვარზე აცვეს მბორგავ სულისთვის,
განა სამსჭვალით,- ხიშტით!..
სისხლიც აქამდე მოგვდის!..
...და ასირიელ ქრისტიანებს, როგორც ნადირებს,
ანადგურებენ რწმენის გამო ეშმას ტომები...
აქ „უფროსმა ძმამ“, ერთმორწმუნემ, ძმობის მაგიერ,
გამოგვიხშირა გენოფონდი ფიცხელ ომებით.
დღეს ჩვენი რწმენის ხალხი გვექცა სახებად მგლობის...
(დღემდე სხვა რწმენის ხალხთან ბრძოლის
გზებით გვატარეს!..)
უკრაინაში ცაზე გადის თამასა მტრობის
და „დიდი ერი“ „ძმის“ სახელით ებრძვის „პატარებს“...
მიკუთვნებულ ვარ მცირე ერებს ხომ მეც გვარითა,
ო, ღმერთო ჩემო, ქვეყნის ბედიც სულთქმით ვიწამე:
„ქრისტე აღსდგაო!“-როცა ვიტყვით, და
-„ჭეშმარიტად!“-ს,
საქართველოზეც გვეთქვას:
„აღსდგა კუთვნილ მიწაზე!..“

ოცნებები

ოცნებები, ვხედავ, არ მტოვებენ წამით,
თითქოს განშორებას მიკრძალავენ რისხვით.
ოცნებები ჩემთან იძინებენ ღამით,
ოცნებები ჩემთან იღვიძებენ დღისით.
ოცნებები... მსგავსი ხშირად საპნის ბუშტის...
ზოგჯერ მწარე, ზოგიც დასადნობი შაქრად...
ბაფთიანი გოგო... მორცხვი, განა კუშტი,
დახუჭვამდე იყო... გავახილე- გაქრა.
და იმ გამქრალ წუთებს გაჰყვა დიდი გრძნობა,
გადაკარგულ სატრფოს შორეთისკენ ვუმზერ...
ოცნებები - ისევ იმედი და ნდობა,
ოცნებებით ვუმზერ ცაში მთვარეს, თუ მზეს.
ოცნებები - ჩემი სიყვარულის ხიდი,
ოცნებები- თვალზე უკარები რული,
ოცნებები - ჩემი სიმტკიცე და რიდი,
ოცნებები- რწმენაავსებული სული.
ოცნებები ისევ, სიხარულით სავსე,-
თეთრი ფანტელების ჟინიანი თოვა...
დავფიქრდები, წამსვე გულს იმედი ავსებს:
დაკარგული სატრფო, ალბათ, ისევ მოვა...

ოხვრა-ოხვრით დავდივარ

(სიმღერა)

დროს დარდს ვატან ახალ-ახალს
და გულს იმით ვიოხებ:
რამდენ ლამაზ ქალსაც ვნახავ,
იმდენს ამოვიოხრებ.
ეს მკლავ-კალთა ლამაზ ქალთა
ბაღნარია ნეტარი.
მნუსხავს ბაგე-გუგა-თვალთა
მათრობელი ნექტარი.
ეს ქალაქიც ლამაზმანთა
ღიმილს მაფრქვევს დარდიმანდს,
ხელგაშლილი ვუმზერ მათ და
ოხვრა-ოხვრით დავდივარ.
ფერიებო, აშარ ფიქრებს
თქვენი მზერა ამიწყვეტს.
ჩამიხუტეთ გულში, იქნებ,
ოხვრა გადამავიწყდეს.
და თუ წახვალთ, ისევ ოხვრით
გაგაცილებთ ფარულით.
მსურს ყოველ დღეს, ქედის მოხრით,
ერქვას დღე სიყვარულის.
ამოოხვრა დარჩეს ოხრად,
ვნება მინდა ჩავქოლო.
ისე არ ქნათ, რომ ჩემს ოხვრას
გულიც ამოვაყოლო.
მკვირცხლნი, როგორც ავაზები,
ჩემში დაბორიალობთ.
თქვენ იყავით ლამაზები,
მე კი ოხვრით ვიარო.

პირველი სიყვარული

“შეგიყვარდა?..
ჩაუთქვი და დაიფიცე,
ნაჭუჭიან ხილს გაანდე ფიქრები.
გამყარდება შენი გრძნობაც, უფრო მტკიცე
გახდება და შენც იმედით იქნები!”
ასე უთხრა დიდმა ბიჭმა ერთხელ სულ სხვას...
მეც მიყვარდა მაშინ ერთი... პირველი...
ცრურწმენები დღესაც ისევ ისე მნუსხავს,
დამჯერი ვარ მეტად და საკვირველი.
სიყვარულს ხომ ლანდად დასდევს ჩუმი სევდა...
გოგოც იყო ლურჯთვალება... ჭკვიანი...
პირველივე გრძნობა კაკალს გავანდე და
ის კაკალი გამომადგა... ჭიანი...



ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი

ხვართქლა

ჩემს ბაღ-ბოსტანს მორევია ხვართქლა,
ეხუტება ლობიოს და ბარდას
ოცნებებში მზეს შენატრის ვიცი
და იმიტომ ოცნებებში წახდა.
თოხი სადღაც დაეკარგა პატრონს
დადის კვლებში ხელებით გლეჯს ხვართქლას,
გულიანად ასუფთავებს ნაშრომს
და სურვილებს გაუქსწყლებს ხვართქლას.
გაიზარდა და გაშალა ფრთები
უნდა მისწვდეს პამიდორს და კიტრებს
პატრონი კი ძირიანად მოთხრის,
სარებს სრჭობს და გააბამს ტიხრებს.
ცდილობს ხვართქლა დაიმალოს სადღაც
იმალება კიტრის ძირში ჩუმად,
გადის დრო და გაიზარდა ხვართქლა
აყვავილდა ლამაზად და მშვიდად,
პატრონს მშვიდად ეცინება გულში
ძირს მოუთხრის მატყუარა ხვართქლას,
თუ არ მოთხრის გამრავლდება იცის
გადაფარავს ლობიოს და ბარდას.
გასუფთავდა ბაღჩა-ბაღი წმინდად
და არ დარჩა პატრონს გულში დარდად.
ჩემს ბაღ-ბოსტანს მორევია ხვართქლა
და ხალიჩად გადაეწნა ბაღჩას,
ძირიანად თხრის პატრონი მართლა
მისგან ბაღი მალე სუფთა დარჩა.

იყო დრო

იყო დრო,როცა გზას გავყურებდი
როცა გიხმობდი,როცა გელოდი,
მაშინ ვიცოდი,დღეს თუ არა
ხვალ მაინც,რომ მომძებნიდი,
რომ მოხვიდოდი.
კარის სახელურს ხელს არ ვკიდებდი
იქვე ვიდექი,იქვე გელოდი,
აუცილებლად მაინც ვიცოდი,
დღეს ,თუ არა,ხვალ მაინც
რომ მოხვიდოდი,
დღეს აღარ გელი,ვიცი არ მოხვალ,
ახლა მე შენ მელოდები,
დრო მოვა,იქნებ კიდევ ადრეა
შენც მოითმინე,შენც დამელოდე,
იმ წუთს მე თვითონ
უფლის იმედით დაველოდები.

იგალობე ბულბულო

ნეტავ დღე ვის ემალები
ღამით გალობ ბულბულო,
ღამეს ათევ სიყვარულით
ვარდზე შეყვარებულო.
ნეტარებას თავადვე გრძნობ
სურნელით და სინაზით
ღამით გვატკბობ შენი სტვენით
გრძნობით სავსე მინორით.
მივსებ მარტოობის წუთებს
სევდიანი გალობით
ვარდს უმღერი,მისთვის გალობ,
სულს მალამიდ ედები,
უფლის გამოგზავნილი ხართ
შენ და თეთრი მტრედები.
იგალობე,იგალობე,
ენატკბილო ბულბულო
გაუღვიძე სიყვარული
კაცს გულღრძოს და უგულოს.
უგალობე გაყუჩებულ
გულმძინარე სამყაროს
რომ დაუცხრო მღელვარება,
შფოთს და რისხვას აჰყარო.

იყო,არის და იქნება

იყვნენ,ჩვენ ვართ და ხვალაც მოვლენ,
წავლენ-წამოვლენ დღეები,
ფიქრობდნენ,ახლა ჩვენც ვფიქრობთ
ხვალ მოვლენ დანაფიქრები.
შვილები იყვნენ,შვილნი ვართ
ხვალაც მოვლენ შვილები.
წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ადგილზე დგანან ქედები.
იდგა და კვლავაც ფეხზე დგას სამყარო
შეუცნობელი დიდებით.
ცდილობს სული ხორციდან გაჰყაროს
ხან ბრძოლით,ხანაც მშვიდობით.
მაგრამ უფალი დიდია
იყო,არის და იქნება,
ვარსკვლავნიც არსად მიდიან
ცას ანათებენ მნათობნი
სამყარო ისევ დიდია,
იყვნენ,ჩვენ ვართ და ხვალ მოვლენ,
სულები ღმერთთან მიდიან.

მე გიქარგავდი

მე გიქარგავდი სიყვარულს წმინდას,
ზედ სილამაზის ფერებს ვაქსოვდი
ოცნების ცაზე ვხატავდი მთვარეს
და სიცოცხლესთან ერთად მახსოვდი.
მახსოვხარ,მაშინ ალერსით მთვრალი
დაჰკანკალებდი ნაქარგ ყვავილებს,
--მე შენს გარეშე არ ძალმიძს ყოფნა
მე შენნაირად ვერვინ გამიგებს.
ვუალერსებდი მზის პირველ სხივებს,
გითბობდი გულს და გაყინულ სხეულს,
--ჩემი ცხოვრების ხატი ხარ წმინდა,
ვხედავდი იმ გზას შენგან დაძლეულს.
მეც გიჩუქურთმებ პატარა გრძნობას
ხატთან დაჩოქილ სხეულს მიველტვი
მონად დაგიდგე,სხვას მე არა გთხოვ,
გემუდარები,უარს ნუ მეტყვი.
--მე გიქარგავდი სიყვარულს წმინდას
ზედ სილამაზის ფერებს ვაქსოვდი,
ოცნების ცაზე ვხატავდი მთვარეს
და სიცოცხლესთან ერთად მახსოვდი.

უცხო ყვავილი

ბაღში ვაშენე ვარდები,
სურნელოვანი,კარგები
თავის ნარნარი სიტურფით
სულ გამიფანტეს დარდები.
გულზე შემომხსნეს ნაღველი
ყელში ბოღმა და ბალღამი
თვალში სინათლემ იმატა
მშვიდად მეძინა იმ ღამით.
დავკრიფე,ლარნაკით დავდგი,
ვამატე ია სხვა ბაღის.
უცებ ვიგრძენი სისუსტე
კვლავ შევიბოჭე სხვა დარდით,
უცხოდ ნაზარდი ყვავილი
სულ სხვა სურნელის ყოფილა
ერთმა აჯობა ათეულს
თავის სურნელი მოჰფინა.
ია სხვა ბუჩქთან ამოდის,
ვარდი იზრდება ჩემს ბაღში
იმ ერთმა უცხო ყვავილმა
შესცვალა ვარდი მის სახლში.
იქნებ არც ღირდეს დარდისთვის
ეშხს და სინაზეს მშვენოდეს
ამაყი ვარდის ჩეროში
იაც ლამაზად მღეროდეს.
თუკი ძალა აქვს ლამაზ სულს
ვერ მოერევა სატანა,
სჩვევია უცხოს მორევა,
თავისი ლელოს გატანა.
ის.მხოლოდ მას მოერევა
ხვალის დღეს ვინც არ უყურებს,
თავის თავს უმზერს და უყვარს
პირადის მიღმა ტრიალი,
მხოლოდ თავისი ჰგონია
მგოსანი ჩიტის ტრფიალი.

დარეჯან ღონღაძე

* * *

წამიყვანა, იქ მაცხოვრა, სადაც დღესაც ბარდნის ზეცა,
სადაც რწმენა ნამდვილია, სადაც სიტყვას ფასი შერჩა,
სადაც გულით გიღიმიან, სადაც სულით შეგხვარიან,
სადაც წრფელი სიყვარულით, ოდოიას შესძახიან,
ბავშვი ანცობს, კაცი კაცობს,
ხოლო ქალი ქალად ფასობს,
სულში ტირის მონატრება,
თითქოს უფრო ძველ დროს ვნატრობ,
ძველ დროს ვნატრობ, იმიტომ,
რომ სუფთა იყო ირგვლივ ყველა,
ერთ ცხოვრებას დაიტევდა, კაცის გული მუჭისხელა,
ამ დიდ გულში უხვად ჰქონდა, გამძლეობა თავისხელა,
ის სიძველე მენატრება, როცა იყო გულში რწმენა,
არ გიწევდა ჯავრი, სევდა,
ამას თითქმის ბავშვიც გრძნობ და,
ამ ბავშვობის მონატრებას,
ძველი სიტკბო სულ მოჰქონდა,
ეს ბავშვობა ჩემთან ცოცხლობს, არ დამტოვა,
ჩემში დარჩა
და ბავშვობის დროის ხანა, აქ, ჩემს გულში დაბინავდა.

* * *

ერთხელ ერთი სიხარული, ყველას უნდა მიანიჭო,
ერთხელ წმინდა სახარება, გულით უნდა წაიკითხო,
ერთი სახლი ააშენო, ხე დარგო და გაახარო,
ბაღი უნდა გააშენო, ამით სახლი დაამშვენო,
საძირკველი გაამყარო, ბაღი უფრო გაამრავლო,
შვილი უნდა გამოზარდო, კი არ ზარდო, ზე აღზარდო,
ფოლადივით გამოაწრთო, გზად და ხიდად დაიხარჯო,
გული უნდა დაიმშვიდო, ვიწრო გზებით გაიარო,
შენი ტვირთი მშვიდად ზიდო, თავი ბევრჯერ გაიმაგრო,
გლახა უნდა შეიწყნარო, ქვრივ-ობოლი შეიყვარო,
ცოდვის ალში ჩავარდნილი, არ განკითხო, შეიბრალო,
რწმენით უნდა გაიზარდო და შენს თავზე გაიმარჯვო!

* * *

მე შენ მოგართმევ ვარდებს,
შენ კი გაფანტავ დარდებს,
მერე დასთორავ რამდენს,
ვეღარ დავითვლი მაგდენს.
მერე? მერე გავყვები სხვა გზებს,
აღარ ვიდარდებ რამეს,
ფეხით მოვივლი ბაღებს,
მხოლოდ ვარდების მხარეს.
მე მოგიყვები ზღაპრებს,
ნამდვილს და ღამენათევს
და მივადგები მხარეს,
ვარდის ფურცლებით სავსეს.
აღარ მოვიწყენ გწამდეს,
რწმენა ხომ იმედს ბადებს,
ამ იმედების ხატებს,
ყველას დავუნთებ სანთელს.

* * *

ცა ღრუბლებით მოქსოვ ილი,
ზოგან კიდევ დაკემს ილი,
ზღვა ფიქრებით მოვერცხლ ილი,
ზღვის ნაპირი დასერ ილი...
ფიქრებისგან გაჩენ ილი,
თმებში თეთრად დათოვლ ილი,
გაშოლტ ილი, გაროზგ ილი,
კაცი, კაცად გამოწრთვნ ილი,
უფრო მეტად გამოზრდ ილი,
უფრო სინდის შემოს ილი,
გრძნობა აზრთან აწყვეტ ილი
და სიტყვები დასეტყვ ილი,
გული ბევრჯერ გახლეჩ ილი,
სული მწარედ დაფერფლ ილი,
მაგრამ, მაინც აღდგენ ილი,
ლოცვა ცრემლით აღვლენ ილი,
ისევ ცაზე მზის ღიმ ილი,
სევდის ტალღა გადავლ ილი,
გაყუჩდება ეს ტკივ ილი,
აღარ გინდა სულ ტირ ილი,
რწმენა, ზეციდან მოს ილი,
დედამიწას მოფენ ილი,
სულ გვმფარველობს დედა ტკბ ილი,
ღვთისმშობელი მადლმოს ილი.

* * *

უსამართლობა მაგლიჯავს ძარღვებს,
ჯვარზე გაკრული შევყურებ სხვა დღეს,
მოუთმენლობა ვერ შეცვლის რამეს,
არ მინდა ჩემს დღეს შავ-ბნელი ახლდეს,
მე ველოდები სიმართლის სხვა მზეს,
რომლის კანონი ჯერ არსად არ დევს,
არ დავიჯერებ არასდროს სხვა წესს,
ნიღაბ მორგებულ სამართალს არცერთს,
უკვე სცილდება სიყალბე საზღვრებს
და ეს ბოროტიც მუდმივად თან მსდევს,
მაგრამ სიმხდალე არ აძლევს ძალებს,
მტვრად იფერფლება, ვერ გაიმარჯვებს!

* * *

და მე ვიქნები ისევ ბავშვი, ისევ ნამდვილი,
ჩაიღიმილებს დეკემბერი, როგორც ყმაწვილი,
აზრებს შევაბამ, უკვალ თოვლში გასწევს მარხილი,
აღარ იქნება ეს ზამთარი ჩემგან გაყრილი.
მერე კი მოვა გაზაფხული, ისევ აპრილი,
გალღვება გულში ყინულების ფენა სამპირი,
პასუხებს არვის აღარ მოვთხოვ, კმარა სამხილი,
ცხელი ზაფხულის ზღვის ტალღებში ჩნდება ნაპირი.
შემოდგომაზე მე ვიქნები გრძნობა აღვსილი,
არეულ ფიქრებს დაალაგებს გზები გახსნილი,
ეს გზებიც უნდა გაიარო, იყო ნამდვილი,
დროის ბრუნვას კი გაუკეთო თავის აღვირი.

* * *

რა სიტყვები შემოგკადროთ, ან რა ქება-დიდება,
როცა თქვენი ლოცვა-მადლი, ჩვენს იმედად იღვრება,
ჩვენო დიდო მწყემსმთავარო, ბნელი ღამეც ილევა
და მზიანი ღამეები, თქვენში სანთლად ინთება.
ბრძენო, ტკბილო პატრიარქო, თქვენი რჩევა გვჭირდება,
დაგვილოცე მომავალი, დაანათლე ღირსება,
გატეხილიც გამთელდება, თუკი ღმერთმა ინება,
გამთელდება საქართველოც, ასრულდება ღვთის ნება,
თქვენი თბილი ქადაგებაც ხომ სულ ამას გვპირდება,
უფლის მადლით ვიმოსებით, გული რწმენით ივსება.

* * *

ცისფერი ლექსი დავწერო უნდა,
მგონი გალურჯდა ეს თეთრი მუზა,
ისევ აივსო რითმებით სურა,
ისევ დაიწყეს აზრებმა ბრუნვა.
მგონი გალურჯდა ეს ძველი ქუჩა,
სახლებს სილურჯე სინათლის სურს და
სადღაც ვიღაცამ დაკარგა ხურდა,
სადღაც მშიერმა იპოვა ლუკმა.
ვიღაცას უნდა, გამოჩნდეს სუფთა,
როცა სიმართლის არ ისმის სუნთქვა,
ამ ლაბირინთში ნელდება ცურვა
და სილურჯეში ეშვება ღუზა.

* * *

დღესაც მოფრინდა ტკბილი სტუმარი,
მან გამოიცნო ჩემი გუმანი,
მომცა ნუგეში, მეტად სულმნათი,
ღმერთმა განსაჯოს ყველა მტყუანი.

შენ ნუ იჯავრებ გლოცავს უფალი,
მათაც შეენდოს ცოდვა-ურვანი
და ნუ იქნები ღმერთთან უბარი,
კეთილი საქმის გქონდეს უნარი.

აღარ იდარდო, ნუ ხარ მწუხარი,
თბილი სალამი ყველას უთხარი,
ასეთი დროა, მეტად მუხთალი,
ყველას გულს ხედავს მაღლა უფალი!

* * *

მე ის ვიცოდი, რაც არ ვიცოდი,
ხან ვიცინოდი, ხანაც ვტიროდი,
ხან გავქრებოდი, ხან გავჩნდებოდი,
მერე თავიდან ვიბადებოდი.
ზოგჯერ ვწერდი და ზოგჯერ ვმღეროდი,
გზადაგზა, ზოგჯერ, ჩრდილს ვეწეოდი,
სიყალბეს, ტყუილს, ვერ ვეჩვეოდი,
მერჩია სინდისს კვლავ შევრჩენოდი.
რასაც ვითხოვდი, გულით ვითხოვდი,
ხანდახან მზესაც ხელით ვწვდებოდი,
ასე ვცხოვრობდი, ბევრჯერ ვომობდი,
რომ ჩემი რწმენით ღმერთს შევხვედროდი...

* * *

მომნატრებია ძველი ქართული,
ხმაშემართული, ტკბილი ფანდური,
მომნატრებია სიტყვა, კაცური,
ქალის ქალური, კრძალვა, მალული.
მომნატრებია ოდა, სახლური,
სადაც ველ-მინდვრებს ასდით ალმური,
გული წრფელი და სული ბავშვური,
მომნატრებია ყოფა, ზღაპრული.
სადღაც გუგუნებს ხნულში ხარ-ფური,
სადღაც დღე და ღამ უკრავს ფანდური,
დავიარები ფიქრში გართული,
და ოცნებებში დამაქვს წარსული.

* * *

თქვენს წმინდა სახეს, ტკივილით სავსეს, ვუმზერთ და ვხედავთ, რომ დაღლილია,
წლებს, სამშობლოზე ფიქრით და დარდით, გულს საქართველო დაუხატია,
თქვენს დაღლილ ხელებს, ლოცვით და მარხვით, რამდენი ხატი დაუწერია,
ცრემლიან თვალებს, მზიანი ღამე, რამდენჯერ თეთრად უთენებია.
თქვენი ლოცვა და თქვენი ამაგი, ჩვენზე უსაზღვრო სიყვარულია,
გიმზერთ და ვხვდებით, რომ თქვენი სული, მართლაც სპეტაკი და დიადია!

ნელი ტორონჯაძე

უშენობა მტკივა

თოვლში ისე არა მცივა
როგორც უშენობა მტკივა,
ნუ დარდობ მეტს წარსულზეო
ქარი ქრის და ქარი წივა.
    გულის სწორი კი არა და
    მეგობარს დაკარგავ გტკივა,
    გარეგნულად იღიმი მაგრამ
    მარტოობით გულს ცივა.
რას იზამ, უნდა გახალისდე
მონაგარის რიგი გიდგას
მათი ერთი გაღიმებით
დარდი გავიწყდება იმ წამს.
    ეს ყველაფერი რომ შეძლო
    ნათლად ჩანს რომ უფალის გწამს,
    ღმერთი,ხატი სალოცავი
    დაგილოცავთ ყოველთვის გზას.

არ დავივიწყოთ უფალი

არ დავივიწყოთ უფალი
ამაყად გავყვეთ უფლის გზას,
ხელის შემშლელი ბევრი გვყავს,
მაგრამ დარაჯად ღმერთი გვყავს.
    ვილოცოთ ყველამ უფალთან
    როდესაც დაბრკოლება გვაქვს,
    ჩვენი ლოცვითა და რწმენით
    ყოველთვის გამოვნახავთ გზას.
მძიმე დღე გვიდგას ქრისტიანთ
გარშემო გვაკრავს ბოროტნი,
თუ მოვინდომებთ სიძნელით
გზას გავიკაფავთ გოლგოთის.
    დაგლოცოთ სალოცავებმა
    ყველას გვყავს ჩვენი წმინდანი,
    ჩვენგან განვდევნოთ ბოროტნი
    ვირჩიოთ სიკეთის გზანი.

მამის გახსენების ერთი დილა



მე მახსენდება იმ ზამთრის დილას
კუნელის ხეზე ბოლოშავის გამოჩენას ელოდებოდი,
ბავშვებიც კი გასუსული თვალს გადევნებდით
ბოლოშავის გამოჩენას ველოდებოდით.
მოულოდნელად ბოლოშავი გამოჩნდებოდა
და საოცრებავ,რამოდენიმე თოფი ერთად გავარდებოდა,
თურმე ამ ერთ ძირ კუნელის ხეს მამასთან ერთად
რამოდენიმე მეზობელიც ელოდებოდა.
არ მავიწყდება მამამ როცა თოფი მომანდო
ნადირობაში მეც დავხარჯე ბევრჯერ ჩემი დრო.
შემოვლილი მაქვს ირგვლივ სოფლის არე და მარე
ამ კარგი მოგონებისთვის მამა შენს სულს მე ვენაცვალე.
(მართლა მიყვარდა ორლულიანი თოფით
ნადირობა. სახელად ,,ქაჯანას"მეძახდნენ.

მზე და მთვარე

ვინა სთქვა რომ მზე და მთვარე გაიბუტნენ,
ვინა სთქვა,რომ ატკინესო ერთურთს გული.
არა,არა ჭორებია ნუ იჯერებთ
ასე უბრალოდ არ იკარგება სიყვარული.
    როცა გიყვარს შეიძლება გაებუტო,
    მაგრამ გულში მუდამ გქონდეს სიყვარული.
    ვეცადოთ რომ წყენა მალე დავივიწყოთ
    ცხოვრებაზე რომ არ დაგვწყდეს მერე გული.
დავაფასოთ ყველა წამი,ყველა წუთი
გიყვარს? ზამთარშიაცა გაქვს გაზაფხული,
სხვის აზრს ყური არასოდეს არ მიუგდო
უფრო სწორად გიკარნახებს შენი გული.

სამშობლოვ

რა დღეები გაქვს გავლილი
ვაი რომ ნელ-ნელა გსპობდნენ,
შინაური თუ გარეული
სულ ყველა ფარულად გმტრობდნენ.

წარსულის ფურცლებს ვკითხულობ
შენს წარსულს ღრმად მინდა ჩავსწვდე,
მიყვარხარ ჩემო ქვეყანავ
საფიცარი მინდა მყავდე.

ქართველობა რომ შეიგრძნო
ხშირად წარსული იკითხე,
იოლი ცხოვრება არვის ქონდა
ადრე გადიოდნენ ხიდზე.

დღეს სხვა ცხოვრება დაგვიდგა
უკეთესი მომავლისთვის
,,პრიმის"გადაგდებულ კოლოფს არ ეძებენ
დასაწერად ორი სიტყვისთვის.

მაგრამ ეს კარგი ცხოვრება
ზოგს მაინც ეცოტავება,
ფუფუნებაში რომ იყოს
მუდამ ღარიბს ედავება.

იქნება გონზე მოვიდეთ
ვუფრთხილდეთ სამშობლოს კიდეს,
ერთმანეთის ქიშპობაში
მტერი ახლოს არ მოვიდეს.

წინაპრების ნაკვალევზე
მოწიწებით გავიაროთ,
სისხლით არის გაჟღენთილი
კვალი არ დავაზიანოთ.

* * *

მტკვრის დუდუნს რომ ყურს მიუგდებ
ფიქრი სადღაც გეფანტება,
გრძნობის მორევში ჩაგითრევს
გული გადასხვაფერდება.

სვეტიცხოველს მიაშურებ
ღვთისმშობელი გელოდება,
ლოცვის დროს კი სანთლის ალზე
თვით უფალი გესახება.

მონასტერს რომ გამოსცდები
ზღაპარს თავი გეგონება,
ასეთი შემოგარენი
სხვაგან არ დაგეგულება.

სადაც არ უნდა წახვიდე
საქართველოს ყველა კუთხეს,
ისეთი სილამაზე აქვს
გიზიდავს ვით დედის უბე.

ნაკურთხია საქართველო
სიდუხჭირეს მიტომ უძლებს,
დაგელოცოს საქართველოვ
ყველა კუთხე,ყველა ფუძე.



* * *

ერთი უბრალო მოკითხვა
ერთი საამო სიტყვა,
არა ზურგს უკან გაქილვა
ამან ეს თქვა და ის თქვა.

ყველამ ჩვენს გულში ვიხედოდ
უცოდველი ვართ არვინ,
უცოდველი იყო მხოლოდ
შესაწირად განწირული კრავი.

ნურფერს ნუ ამჯობინებთ
არ გამიგია, არ ვიცი,
ხვალ რა დღე გაგვითენდება
ეს არავინ ხომ არ ვიცით.

ტკივილი სხვისი გაწუხებთ?
თქვენ გაგიმარჯოთ ღმერთმა,
გვერდში დგომით გავძლიერდეთ
მარტო რაღა ქნას ერთმა.

სხვისგან მოგებას ვინც ცდილობს
ხვალ ორმაგი ფუჭად წავა,
სამსჯავროზე რომ წარსდგება
ფონს იოლად ვეღარ გავა.

სულ გზას გავყურებ

სულ გზას გავყურებ გაგრძელდა წლები,
მომნატრებიხარ სამშობლოვ ჩემო,
გზებს დაეფინა ყინული ჩრდილად
მინდა გამათბო და მომეფერო.

როგორ მაკლიხარ,როგორ მიყვარხარ
ჩემო ხატებავ,სამშობლო ჩემო.
ეხლა მანდ ვიყო შენით ვტკბებოდე
თუნდაც ცხელოდეს, ვერ ვპოვო ჩერო.

თვალებს დავხუჭავ თვალწინ მიდგეხარ
რა დამავიწყებს შენს სილამაზეს,
საქართველო რომ გულში არ ყავდეს
ისე ქართველი არასდროს წახდეს.

ერთი ღიმილი მონაგარისა

სიხარულისთვის გულს ცოტა ყოფნის
თავი რომ დაიმშვიდოს,
ერთი პატარა გახარება და
მერე სულ მასზე ფიქრობს.

ერთი შეხვედრა თუნდაც ცოტა ხნით
გულში რომ ჩაიხუტებ,
ამ სიხარულით კლდესაც გადმოდგამ
ყოველგვარ დარდს გაუძლებ.

ერთი ღიმილი მონაგარისა
სიცოცხლეს მირჩევნია,
ყველა დაღლას და ყველა გასაჭირს
თითქოს და ვატან ნიავს.

ღმერთმა სულ ყველას კარგად გვიმყოფოს
შვილი და მომავალი,
მათზე ვილოცოთ დღითა და ღამით
ღმერთით დაელოცოთ კვალი.

ვიწამოთ ყველამ ვიწამოთ

უფალი ყველამ ვიწამოთ
ეკლესიას მივაშუროთ,
უფლისგან ყოველ დამოძღვრას
გულისყურით დავეშუროთ.

ღვთისმშობელმა რომ ვიწამოთ
შემოგვწირა თავის შვილი.
იესო ჩვენს გულში ცოცხლობს
და გვიამებს მუდამ ტკივილს.

საქართველოს ეკლესიებს
მივადევნოთ ყველამ თვალი,
ნიშანს უფლისგან იღებენ
ირეკება ყველგან ზარი.

ყველას ჩვენი წმინდანი გვყავს
მათთან ერთად გვიცავს ღმერთი,
მათ სახელის სადიდებლად
სანთელი დავანთოთ ერთი.

დღეს კვირაა

დღეს კვირაა და ძველით ახალი წელი,
როგორ ველი შევხვდე სამშობლოში როგორ ველი.
ღმერთო ჩემი ოცნება და ნატვრა
ამისრულე, ცოტა მომაშველე ხელი.

უფალო გთხოვ საქართველოს
მიეცი სიკეთის დღენი,
ქართვრლებო მოკეთეებთან ერთად
მრავალი ახალი წელი!

რომ იტყვიან ცალი ფეხი
გადადგმული მაქვს სამშობლოსკენ,
მაგრამ მე რა დამავიწყებს
სხვის კარზე გატარებულ წლებს.

ჩემო მამულისშვილებო
ჩვენი თვალით რომ შეხედოთ
სამშობლოზე აუგს არ იტყვით
და არასოდეს გაბედოთ!

უფალს შევთხოვ ჯანმრთელობა
და სიკეთე დაგაბედოთ,
დავბრუნდებით და ახალ წელს
ყველა ერთად შევეგებოთ.

გფარავდეთ სალოცავები

დაგლოცოთ წმინდა გიორგიმ,
გფარავდეთ სალოცავები.
დაგლოცოთ წმინდა ნინომ და
უფალს სწვდებოდეს ზარები.

მხოლოდ სიკეთე დათესეთ,
იყავით მუდამ გამგები.
გაჭირვებულს თუ შეხვდებით
არ აარიდოთ თვალები.

კაცი სიკეთით ფასდება
და არა ბრილიანტებით.
სიკეთეს გასცემ მშვიდდები,
მოულოდნელად წყნარდები

ბევრი გაქვთ,ცოტა სხვას არგეთ,
თქვენ ღმერთი კიდევ ბევრს მოგცემთ.
რასაცა გასცემ შენია, გახსოვდეთ,
მუდამ გახსოვდეთ.

ჯაჭვი სიკეთის არ გაწყდეს
და გაამყარეთ დღითიდღე.
უფლისგან დაგიფასდებათ,
ლოცვას აღავლენთ, მოგისმენთ.

ოხ ეს ფიქრები

როდესაც ფიქრით გაჰყურებ სადღაც,
უცბად აიღებ ფურცელს და კალამს.
თითქოს წარსულზე მოგონებები,
თავისებურად დაიწყებს ქადაგს.

რამდენ რამესაც კალამს ვერ ანდობ,
რომელიც გულით ლოდივით დაგაქვს.
მაგრამ იმ წუთში კალამი არის,
შენი მშველელი, დედაც და მამაც.

მოგონებები,ფიქრთა ჭიდილი,
განმეორება იგივე კადრის.
გინდა წარსული რომ დაივიწყო,
მაგრამ გონება გულიდან არ შლის.

უცბად ეშვება სცენაზე ფარდა
და იმალება ძველი კადრები.
ამბობ დამთავრდა ცუდი სიზმარი,
სიხარულისგან ბრწყინავს თვალები.

მოგონება

გამახსენდა სოფელის ეზო
პაწაწინა ბეღურები,
იმ ეზოში ბეღურებო
მხოლოდ თქვენღა მეგულებით.

იცით? კიდევ მახსენდება
ხეხილი მამას დარგულები,
ეხლა ეშმაკი დაპატრონებია
დაწყვეტილი გვაქვს გულები.

ღმერთო დასაიმედებლად
მხოლოდ შენღა მეგულები,
საფლავებზე როცა ჩავალ
იქნებ ვნახო ბეღურები.

მოყვებიან ეზოს ამბავს
იტირებენ ჩემთან ერთად,
რამდენ რამეს გავიხსენებ
პატარა ბეღურებთან ერთად...

ცხოვრება ბეწვის ხიდია

ცხოვრება ბეწვის ხიდია

რა რთული გზებით ვიარე
ბევრჯერ ჩამიწყდა ხიდია,
თანდათან უფრო ვრწმუნდები
ცხოვრება ბეწვის ხიდია.

მაგრამ ჩემდა უნებურად
არ დავკარგე იმედია
ღმერთი მწყალობს ის მაღალი
ჩემი ცხოვრების გიდია.

მხრებზე მოკიდებულ ჭაპანს
ბევრჯერ აქცევს ვით ბუმბული,
ამიტომაც დაბრკოლებას
უმკლავდება ჩემი გული.

ყოველთვის ხომ ეს ცხოვრება
ვერ იქნება თაიგული,
ზოგჯერ ეკალიც შეგვხვდება
ის ეშმაკის მოციქული.

გაგიჭირდა? არ შეშინდე!
შენით გაიმხნევე გული
ღმერთი როცა გიდგას გვერდით
რას მიქვია სინანული.

რა რთული გზებით ვიარე
ბევრჯერ ჩამიწყდა ხიდია,
თანდათან უფრო ვრწმუნდები
ცხოვრება ბეწვის ხიდია.

მაგრამ ჩემდა უნებურად
არ დავკარგე იმედია
ღმერთი მწყალობს ის მაღალი
ჩემი ცხოვრების გიდია.

მხრებზე მოკიდებულ ჭაპანს
ბევრჯერ აქცევს ვით ბუმბული,
ამიტომაც დაბრკოლებას
უმკლავდება ჩემი გული.

ყოველთვის ხომ ეს ცხოვრება
ვერ იქნება თაიგული,
ზოგჯერ ეკალიც შეგვხვდება
ის ეშმაკის მოციქული.

გაგიჭირდა? არ შეშინდე!
შენით გაიმხნევე გული
ღმერთი როცა გიდგას გვერდით
რას მიქვია სინანული.

შენი სახე

მე მზის გულში დავინახე შენი სახე
და სახეზე მზის სხივები დამეფინა,
მთელი დღე ხომ თვალწინ მედგა ეგ თვალები
ღამე მშვიდად არ მეძინა.

ყოველ დილით მზის სხივი რომ სარკმელს ათბობს
ჩემი გული ლაღობს კვლავაც შენ მოგელის,
შენი ერთი გაღიმება მენატრება
მოდი ისევ და ჩამკიდე ხელზე ხელი.

უსიტყვოდ შემოვიაროთ ადგილები
სადაც ბევრჯერ აგიხსნია სიყვარული,
რა სცოდნია ამ ფიქრების შემოსევას
არასოდეს არ ბერდება ქალის გული.

ვაზის ტირილი

ვაზი რომ ტირის
გლეხიკაცის გული იცინის,
ვაზს ეფერება, მისმა ნაჟურმა
რომ დაამშვენოს სუფრები ლხინის.

მშრომელი ქალი მანდილწაკრული
და წინსაფარით
ელოდება ვაზის გაფურჩქვნას
შეუკრას მხარი.

მერე იწყება პწკარებში მარგვლა
ხვართქლა ბალახმა ვაზს არა ავნოს,
როს იფურჩქნება ვაზი ლამაზი
კეკლუც ქალივით სილაღეს ლამობს.

ყურძნის მოსავალს თვალს ადევნებენ
ქათმებმა მტევნები არ დაკენკონ,
ინდაურები გადასულანო
ბავშვევს გზავნიან,რომ გადადენონ.

ეს ყველაფერი მე გავლილი მაქვს
მაგრამ ვის დარჩი სოფელო ჩემო,
აღარც სოფელი შემარჩინეს და
არც კაკლის ძირას ქვასთან ხის ჩერო...

ღმერთი დიდია,ღმერთი გამიგებს
მეკი არ ვჩქარობ უფალო ჩემო!
სამართალი პურს უთუოდ შეჭამს
და მომინდვია უფალო ჩემო!

როგორ მაკლიხარ და მენატრები
სიზმარში გხედავ სოფელო ჩემო
სანამდის პირში სული მედგმება
შენზე ლექსები სულ უნდა ვწერო.

ირგვლივ ნათოხნ და ნაბარ მდელოზე
სიმინდის ყანა ნაზად ირწევა,
რამდენი ოფლი გლეხმა აწყურა
მოსავლის მოსვლით მიეზღოთ ყველა.

სოფლად ცხოვრება სიჯანსაღეა
ხარობს ბუნება,ახარებს ყველას,
ბუხრის გუზგუზი,კეცში მჭადები
სუფრაზე ღვინო და ლხინი ყველგან.

ბაღჩეული და ბოსტნეული ხომ
ყველგან ამშვენებს გლეხკაცის კერას,
ღმერთმა უშველოს სოფლად სულ ყველას
ღმერთმა დალოცოთ მიეცეთ შვება.

ბავშვობის მონატრება

მენატრება სოფლის სახლი,
დედაჩემის გამომცხვარი კეცის მჭადი.
მამაჩემის გაძახილი ბიძაჩემთან,
გამო,,ბიჭო"არაყი მაქვს ორნახადი.

მენატრება სახლის ბოლოს,
ალვის ხეები და წყარო.
რამდენჯერ დამიკრეფია
გარშემო ტყემლისთვის ომბალო.

ის ბავშვობაც მენატრება,
ფეხბურთის ბიჭივით თამაში.
ჩვენ სად გვქონდა ინტერნეტი,
სათამაშოდ გვქონდა ლახტი.

მგონია ეხლაც ბავშვი ვარ,
სანამ მოგონება მატკბობს.
ჩემი სოფლის მოგონება,
ორნახადი ჭაჭასავით მათრობს.

ბავშვობაში ქაჯანა მერქვა,
დიდხანს გამყვა ეს სახელი.
სანამ არ წამოვიზარდე და
შეიცვალა ყველაფერი.

გული მტკივა სოფელში ვიცხოვრე,
მე მხოლოდ ცხრამეტი წელი.
სოფელიც მივატოვე და
წყაროს ირგვლივ ალვის ხენი.

რაც რომ წლები მემატება,
სულ ბავშვობაში ვბრუნდები.
ღმერთო შემარგე ეს მოგონება,
წლებო, ნუ გამიხუნდები.

ცხოვრება გაკვეთილია

ცხოვრება გაკვეთილია
ადრე თუ გვიან მიხვდები,
ეცადე სწორად მოირგე
მხრებზე, დარჩენილი წლები.

ბეწვის ხიდს სწრაფად გაივლი
შუა ხიდს არ გაჩერდები,
იოლი მოგეჩვენება
ძნელად გასავლელი გზებიც.

შენს ცხოვრებას თუ მიხედავ
სხვისას არ ჩაეჩხირები,
ცხოვრებას გაგიადვილებს
და არ გაგაწვალებს წლები.

ეცადე ცხოვრებისაგან
აიღე სწორი აზრები,
უფალი შენთან იქნება
თუ უფლის გზას არ ასცდები.

****
ვაზი რომ ტირილს დაიწყებს
გვერდით უნდა მივუცუცქდე,
მასთან ერთად ვიტირო და
ვითომ ვაზის ტირილს ვუცქერ.

ცრემლებს ჩუმად შევიმშრალებ
რომ არავინ არ გამიგოს,
მერე ღიღინით წამოვალ
,,მსახიობობა" დავიწყო.

თებერვალი ღმერთო ჩემო!
როგორ უნდა დავივიწყო,
კიდეც გამაბედნიერა
მერე თვალს შუქი ჩამიქრო.

14-ში ბედი მარგუნა
წლების შენდეგ 4-ში კი უკან წაიღო
ღმერთო შვილი და მომავალი
შეგთხოვ რომ ყველა კარგად იყოს.

ჩემს დარდს მეთვითონ გავუძლებ
ისე რომ არვინ გაიგოს,
სიხარული მოგვიტანე ფაზაფხულო
ყველას ოჯახში მხოლოდ დალხრნა რომ იყოს.

ბიჭოვ

გული გამითბო შენმა ღიმილმა
ლამის და ბიჭოვ დავდნი,
რომ ვიფიქრე რომ შემიყვარდა თქო
მოულოდნელად გაქრი.

წლები გამოხდა ყველგან დაგეძებ
თვალს ეფარება ბინდი,
ვერავის გულით ვერ შევიყვარებ
რადგან ისევ შენ გიცდი.

ბევრჯერ სხვაშიაც კი შემეშალე
სახელიც დავუძახე,
შეიშალაო მომშტერებოდა
და მოვარიდე სახე.

გული დაჭრილი მკურნალად გიხმობს
იქნებდა გაამრთელო,
შენთვის სიცოცხლეს არ დავიშურებ
ოღონდ დაბრუნდი ჩემო...

სამშობლო

სამშობლოს ბედი მაწუხებს
ყოველმხრიდან გრძნობს მარწუხებს,
შინაურებიც არ ინდობს
ქვეყნის ბედი არ აწუხებთ.

მომავალიც გადაგვარდა
ვერ გაიგეს ავი,კარგი,
მხრებზე მძიმედ დააწვებათ
გვიან იქნება მერე დარდი.

საქართველოს სიყვარულში
ყველა ერთურთს ვეჯიბრებით,
ამ ჩვენს იწილ-ბიწილოში
აღარ შეგვრჩა ჯებირები.

ღმერთო სად დააქუცმაცე
სამშობლოს ნაღდი გმირები,
იმისთვის რომ გამოკვებონ
სხვაგან თავისი შვილები.

ღვთისმშობელო შენგან რჩეულ
სამშობლოსთვის გვისაშველე,
ქართველს შერჩეს საკურათი
მთა-ველი,მდინარე, ღელე.

ვისაც როგორ

ვისაც როგორ ესმის იმდენი მოეთხოვება,
არც იდარდოთ უგნურთან გამოთხოვება.
ჰუმანურად ვინც გექცევათ ფაუფრთხილდით
დამთმობთან თქვენც უნდა დათმოთ მშვიდად ივლით...

სხვის ენას ყურს ნუ მიუგდებთ იმან ის თქვა
ცოდვილი უფალს მიანდე ის მიუზღავს,
შენი თავი შეაფასე საკადრისათ
ღმერთთან მართალი თუ ხარ
ვინც რა უნდა ის თქვას...

ვინც რომ შენს გულს დაგიფასებს დააფასე
შენი თავი ყოველთვისაც შეაფასე.
შენს თავს ფასს თუ არ დაადებ დაგჩაბნიან
წამსვლელს უკან არ მისდიო გზა დიდია.

ფიქრები ფიქრები

მოგონებებმა ზღვის ტალღებივით გრძნობა არია
უძილო ღამე,ფიქრები და სევდის ჯარია.
ეს ცხოვრება სატარებლად მძიმე ჯვარია
ზოგჯერ თავი მეცოდება,დასანანია.

ბევრჯერ ისარი ნასროლი ამიცდენია
ლოცვა უფალთან არასოდეს გამიცდენია,
რამდენჯერ ცრემლი დამალული დამიდენია
სხვასთან მომღიმარს კი ისევე დამილხენია.

ქართული სიტყვის გაგონება მომნატრებია,
ბედად კალამთან მეგობრობა დამბედებია.
ფურცელს ვაბარებ სიხარულს, ვაბარებ ფიქრებს,
თითქოს უფალი ჩამჩურჩულებს
გზას მშვიდად მივყვე.

გარიჟრაჟზე მავიწყდება ღამის ფიქრები
მზის სხივები მიღიმიან ამით ვმშვიდდები.
ღმერთო ყველა ემიგრანტი კარგად გვამყოფე
დაგველოცეოს სამშობლოსკენ სავალი გზები.

ცხოვრება ბეწვის ხიდია

მომწყინდა დარდი, ფიქრები,
მომწყინდა ბედზე გოდება.
ის არ მეყოფა, რომ მერგო
მე ემიგრანტის წოდება.

დღეს რაღაც ჩემთვის დავფიქრდი,
რა გამიკეთა დარდებმა.
სხვას ვერც გავუმხელ ჩემს ტკივილს,
ამ გულს კი, ბევრი აკლდება.

ცხოვრება ბეწვის ხიდია,
გაფრთხილებაა საჭირო.
გულს დარდით თუ დავამძიმებთ,
აღარც გავხდებით საჭირო.

ცხოვრება ისე წაგვლეკავს
უკან ვერ მოვიხედებით.
ხოდა,სადამდე ვიცოცხლებთ,
წინასწარ ნუ დავბერდებით.

მომავლის იმედი გვქონდეს,
ჩვენც მივცეთ მათ იმედები.
მთელს მსოფლიოში ვაფრინოთ
ჩვენი მშვიდობის მტრედები.

ბუნების სილამაზე

ყოჩივარდები ამოსულა მწვანე მინდორზე,
ვერ გაიმეტებ დასაკრეფად თითქოს კრთებიან.
ისე ლამაზად მოწოლია ნისლი მთებიდან,
გაშიშვლებულ ხეს საბანს ახვევს
ლაღად გვერდიდან.

რა საოცარი სილამაზე გვეშლება თვალწინ,
უცქერით და გვეჩვენება ზღაპარს ყვებიან.
ეს სილამაზე არ მოგვიშალოს ბუნების ძალამ,
ყოჩივარდებიც თავის ხმაზე ამღერდებიან.

ერთი წუთით დაგვაფიქრებს ადამიანებს,
ეს ბუნების სილამაზე მწვანე ველიდან.
შემოგვცქერის გევედრება, გვესალბუნება,
ელოდება გაფრთხილებას ჩვენი ხელიდან.

ტრაგიკული ყ თებერვალი ახლოვდება

(უკვე 8 წელი იწურება)

ხატის წინ ავანთე სანთელი,
ჩავუთქვი მე შენი სახელი.
პირველი დანთილი სანთელი,
ყოველთვის არის შენი ნათელის.

შვიდი წელი უშენოდ გავიდა,
ცხოვრება სხვაგვარად წავიდა.
ჩვენი სული ერთმანეთს რომ შეხვდება,
სულ ყველაფერს მოგიყვები თავიდან.

რაც დაგპირდი ცხედართან ავასრულებ,
მაზიდვინებს უფალი მე ამ ტვირთსაც.
სასიკვდილო რომ არაფერი გჭირდა,
გული მტკივა,იმ ტრაგიკულ ამბიდან.

რაც რომ გქონდა ჩანაფიქრი მაგ გულში,
აგისრულოთ, შენ ილოცე მაქედან.
ეხ რამდენი რამე არის შეცვლილი,
რამდენი დარდიანი დილა ჩემთვის გათენდა.

არ მინდა რომ შენი სული დავამძიმო,
გეფერები მუდამ სანთლის ალიდან.
ფიქრი მტანჯავს,რამდენ რამეს შევცვლიდი,
ცხოვრება რომ დამაწყებინა თავიდან.

დამელოდე,განა რამდენხანს ვიცოცხლებ,
მოვალ გვერდით,მაგ მოზომილ ადგილთან.
სააქაოს ერთად ყოფნა არ დაგვცალდა,
გავაგრძელოთ,როცა მოვალ ახლიდან.

ზოგჯერ...

ზოგჯერ მოწყენის მიზეზს ვერ ვხვდები,
მაგრამ ვიცი რომ გამექცა წლები.
ზოგჯერაც მავიწყდება,,დავბერდი"
და როგორც ბავშვი მეც ცელქი ვხდები.

ზოგჯერაც მავიწყდება სადა ვარ
როგორც ჩემს სახლში სწრაფლ ავმღერდები,
მიმოვიხედავ ვხვები სადაც ვარ
ჩემს თავს ვტუქსავ და უცბად ვჩერდები.

დადებით მხარეს თუ მკითხავს ვინმე
უნარი შემჩა მოთმინებისა,
ღმერთის წყალობით ბევრს გავუძელი
დღეებიცა მაქვს გაღიმებისა.

საქართველო

საკუთარი ლექსი

საქართველოში როცა ჩავდივარ
მაშინვე მე მცემს მიწის სურნელი,
წამს გამაბრუებს შემოგარენი
სიხარულის მაქვს დღენი ულევი...

გამვლელ-გამომვლელს რომ ვაკვირდები
ჩემი მგონია ყველა უკლებლივ,
ისე მაკლია ქართული სული
საქართველოთი მე ვარ უძღები.

წამოსვლის დღე რომ მოახლოვდება
საათს ისარი მინდა გაჩერდეს,
გამიხანგრძლივდეს წუთი და წამი
ჩემს სამშობლოში კიდევ გავჩერდე.

ჩემებს როდესაც ვემშვიდობები
უკან არ მინდა რომ მივიხედო
თვალებიდან რომ ცრემლები გორავს
არ მინდა მათმა რომ ეს შეხედოს.

წავალ ვბრუნდები,წავალ ვბრუნდები,
გულო გაუძელ ნუ გახუნდები,
გაძლება მოგვცეს ემიგრანტებო!
სადამდის ვთვალოთ დღე და წუთები!



თემურ გოგსაძე

პოეტი

ღამის სიჩუმეს, არღვევს დუეტი-
საათისა და გულის სინქრონი!..
სამყაროს ბედზე დარდობს პოეტი
და ეფინება,ფურცელს სტრიქონი!..
ჭეშმარიტება-უფლის გონია!..
ცდომილებაა-ქორონიკონი?!
სამყაროს ქაოსს-პოლიფონიას,
სიბრძნე-სიგიჟის სასწორე ვწონი!
იღვრება მუზა-ვით აიაზმა
და არა, როგორც კაკაფონია!
ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა-
მონანიების ლოცვა მგონია!
ვიცი, მთავარი შეგონებაა-
ყოველდღიურად
დათმო ვნებები!..
ყველაზე დიდი წარმატებაა-
საკუთარ თავზე, გამარჯვებები!..
ბედნიერება,არის სამშობლოს-
თავისუფლება და უკვდავება!
პოეტი, მხოლოდ, ამ
გრძნობით ცოცხლობს,
ამ სიყვარულით-
არსობს და კვდება!..

ქართული ფენომენი

ვეთაყვანები ქართულ ფენომენს-
მრავალმხრივსა და სამყაროსეულს!...
სამშობლოსათვის-
ტიტანურ ბრძოლას,
გონივრულ შრომას-
შედევრად ქცეულს!

ვეთაყვანები-
ღირსების განცდას,
დღემდე, მოტანილ-გადატანილის!
შეუძლებლობის ზღვარსაც კი, გასცდა,
მტერი, რიცხვებში გადაყვანილი!

ჩვენ გადაგვარჩენს, სიმაღლე რწმენის!
წამებულ შვილთა-უფლის ტაძარი!...
წმინდა, ქეთევან დედოფლის-თმენის,
დემეტრე მეფის, ნების-სადარი!...

და ახლაც, მოდის, გამოცდა ნების-
იბერთა ქვეყნის, გზა,
გაბრწყინების!...
დღეს, ლოცვა გვინდა
თავისუფლების
და არა,,, მავნე
ჭირისუფლები!"!

საზღვრის აღდგენას- ვერ შევეშვებით,
რადგან, ის მიწაც, ღმერთის წილია!
დასაბამიდან,
ჩვენი ფესვები,
გალაქტიკებში-განტოტილია!...

მარადისობის გზას-განამტკიცებს,
გმირ წინაპართა, სულის ლამპარი!...
ღმერთს და სამშობლოს,
სიცოცხლე მისცეს,
იბერთა მოდგმა-
დღესაც, მზად არი!

მრწამსი

გონება-არსში, შესვლისთვის იღწვის!..
სული-ლოცულობს, რწმენით, ღვთისათვის!
წუთისოფელში-ვცოცხლობ და ვიწვი,
სიკვდილის შემდეგ-
სიცოცხლისათვის!..
წარმოდგენები, ზოგჯერ, მცდარია?!..
სამსჯავროც, ალბათ, იქნება, სულ სხვა?!
წყალობას ველი!..
რაც მთავარია-
ვემზადები, რომ მივიღო რისხვა!...
მონანიება, იქნება სრული!..
მაგრამ, ვერ დავთმობ,
მთავარ ცდუნებას-
თავისუფალი სამყაროს სულით,
იქ, კვლავ ჩავიდენ,
აქ, დაბრუნებას!...

მამაო, ჩვენო!
სული ლოცვით, გესალბუნება!
შეგვინდე კაცთა,
ერთადერთი, ესე,
ცდუნება!...

არსობრიობა

წუთისოფელი ორომტრიალობს-
ყველასთვის,
ყველგან და ყველა დროში!
გარდუვალია-ცოცხალ დიალოგს,
სიკვდილის მრუმე ფერები მოშლის!...
თუმცა,სიცოცხლით არ იზომება,შობა-
გარდასვლის იდუმალება!
შეარქვა,ამ გზას,ბრძენთა გონებამ,
არა სიკვდილი-გარდაცვალება!
ჭეშმარიტებას ბადებს უფალი-სიკვდილი განა
დასასრულია!
ბოროტისაგან თავისუფალი,
უკვდავებაში გადასულია!
მიმაქვს...
და ვტოვებ-მემკვიდრეობად,
სახელს-სხვა განძი,არცა მქონია!
სიყვარულია-კეთილდღეობა სამყაროს დიდი
პოლიფონია!
მეც, სიყვარული,
იქ უნდა ვწონო,
ჩემს აღსარებას,
აქაც ისმენდით!
ვინც განდიდებას და ოქროს მონობს ცხოვრება
მისი-სპექტაკლი მონო,
მთავრდება ყალბი აპლოდისმენტით!
თავს არ ვიმართლებ-აბა რა მექნა?!
მოსვლიდან სული სასწორზე არის,
გადამეხლიჩა წუთისოფელი
და მართლაც ბევრი მაჩნია ბზარი!

ყველაზე დიდი სამსჯავრო ქვეყნად,
საკუთარ თავის მართლება არის!
არა მაქვს შიში - რა მეშველება?!
თუმცა უშენოდ,იქაც ვერ გავძლებ!...
მე შენი ერთი,თვალის შევლებად,
სხვა დრო-სივრცეთა გარდმოვლას შევძლებ!...
ეს არის,ჩემი გულისთქმაც,არსიც!
საქართველო კი ჩემი დარდია!...
სიცოცხლეს მხოლოდ მისთვის აქვს ფასი-
მასზე ძვირფასი რა მაბადია?!
და როცა მოვა-რიგი და წესი,
განგება ჩემს სულს, ცისკენ წარმართავს,
მე უნდა ვიყო უსპეტაკესი - ღმერთან,
შენთან და საკუთარ თავთან,
რომ არ იწამო,ეს სიყვარული,
მოსვლით დაიწყო,
წასვლით გათავდა!

მე უნდა ვიყო უსპეტაკესი-
ღმერთთან,შენთან და საკუთარ თავთან!

ია მაჭარაშვილი

* * *

გარეთ სიცივე ისევ აღრინდა
ყეფა დაიწყო მშიერ ძაღლივით
ცა მოიქუფრა მთები დანისლა
მიწას გაეკრა თეთრი მანდილი.

თოვლმა დაფარა მწვანე მინდორი
ქარმა და ყინვამ დაზაფრა ყველა
აღარსად ისმის ხმა სანატრელი
ჩიტუნებმაც კი შწწყვიტეს მღერა.

აღარსად ისმის მათი გალობა
არც პატარების მხურვალე ტაში
ფრთები გაშალეს თოვლის ლოდინში
და... გადაფრინდნენ თბილ ქვეყანაში.

მხოლოდ ბეღურა შემორჩენილა
ვერ შეაშინა ყინვამ და თოვამ
გაზაფხულდება მალე სუყველა
ჭიკჭიკითა და ჟღურტულით მოვა.

* * *

შუაღამეა... შხაპუნა წვიმამ ძილი დამიფრთხო
ფანჯრის მინაზე ეცემოდა რეკდა ზარივით
თითქოს ოთახში შემორბენა სწადდა საბრალოს
ფანჯრის მინაზე აწყდებოდა ნაზი ქალივით.

ყური მივუგდე ერთხანს როგორ იბორიალა
ხან სად დაეცა უნუგეშოდ ხან სად მთვრალივით
მე დამეძინა ირგვლივ უკვე ვეღარას ვგრძნობდი
ის კი ვინ იცის სად დარბოდა ცელქი ქარივით.

იქნებ გაუქრა ყველა ფიქრი ყველა ოცნება
იქნებ დაეცა ის საბრალო ლოდინით მთვრალი შუაღამეა
შხაპუნა წვიმამ ძილი დამიფრთხო
ფანჯრის მინაზე აწყდებოდა ვით ნაზი ქალი.

* * *

ფოთოლი მოსწყდა ხეს და
გაინავარდა ცაში
მდელოზე დაეცა და
ატირდა როგორც ბავშვი.

ფოთოლს ცრემლები დასცვივდა
მიწას ეპკურა ნამი
იმ მოშრიალე ტოტიდან
დანავარდობდა ქარი.

და უცებ მიხვდა ფოთოლი
მიხვდა და ძლიერ ინანა
ბევრი იტირა რატომღაც
ვეხარ მოშორდა იმ ბალახს.

ცრემლით დანამულ ბალახზე
გდია ქვითინებს მწარედა
ცელქმა სიომ თუ დაბერა
ვინ იცის საით წალეკავს.

ხე კი დგას კვლავ ძველებურად
კვლავ მოლოდინით იცდის
იცის რომ გაზაფხულდება
შეიმოსება იცის.

ახალი კვირტი გამოვა
და გაიშლება მწვანედ
ოი რა თბილი იქნება
ეს გაზაფხულის ღამე.

კვლავ ამწვანდება რტოები
აშრიალდება ფოთლები
და შესძახებენ ბუნებას
გამოვიღვიძეთ მოვედით.

ის კი საბრალო ფოთოლი
რომ დანავარდობს ცაში
მდელოზე დაეცემა და
იტირებს როგორც ბავშვი.

იტირებს ძლიერ ინანებს
აქვითინდება მწარედა
ცელქმა სიომ თუ დაბერა
ვინ იცის საით წალეკავს.

* * *

როგორ ძალიან შემიყვარდი
რამე მიწამლე
თავს დამტრიალებს
მოფარფატე
თეთრი მტრედები
ბედნიერი ვარ
და ამისთვის გმადლობ
უფალო
ბედნიერებავ
რა ახლოს ხარ
რა შორს გეძებდი.

.....

გულში ტკივილი მომაყენა
ცხოვრებამ
დიდი
მან ჩამიმსხვრია აგებული
სიცოცხლის ხიდი
თვალზე ცრემლები დამადინა
გულს ტანჯვა დიდი
შენი იმედით ვცოცხლობ
უფალო
შენი გზით ვივლი.

.....

წლების სიმძიმის თუ
იცი ფასი
თუ ერთხელ მაინც
წლები მხრებით გიტარებია
და სახლში მისულს
საქმით დაღლილს
დაქანცულს
ნატანჯს
შვილების გვერდით
ოცნებით კი...
შენს საყვარელ
მეუღლესთან
ჩაგძინებია.

* * *

დარდით მოსილი საცოდავად იდგა ტირიფი
ფითოლდაცვენილს ცრემლიც ღვარად ჩამოსდიოდა
ტოტიდა ტოტზე არხეინად ფრენდა ბეღურა
მისი ჭიკჭიკი ჩემს სარკმელში შემოდიოდა.

რა აჭიკჭიკებს ამ ზამთარში ნეტავ ბეღურას
გავიფიქრე და... რასა ხედავს ჩემი თვალები
ო ის ტირიფი საცოდავად მდგარი ტირიფი
სულ გავსილიყო ბეღურებით ვითარც ფარეხი.

დიდხანს ვუყურე ბეღურების საამო ჭიკჭიკს
ტიტიდან ტიტზწ გადაფრენას და გულის ძგერას
უცებ ვიგრძენი მოზღვავება ჩემი მუზისა
და არ შემეძლო მათზე ლექსი არ დამეწერა.

თითქოს მიმიხვდნენ ბეღურები ჩემს გულში ნადებს
უცებ... აფრინდნენ... აიშალნენ შეკრეს კამარა
ფრთები გაშალეს....თვალს მიეფარნენ.. სჩანდნენ აღარსად....
დამტოვეს მარტო... ტირიფის და.... ლექსის ამარად.

* * *

ტაძრის სიღრმეში ქალი იჯდა და
ანთებდა სანთელს
სანთლის შუქი კი ტაძრის ირგვლივ
აფრქვევდა ნათელს.
ევედრებოდა ღმერთს მუხლისჩოქიდ
ლამაზი ქალი
ღმერთო
სამშობლოს არგუნეო
მშვიდობის ძალი.
არ იყოს ომი არ დაიღვაროს
სისხლი მოძმეთა
ტაძრის შენობა არ დატოვონ
არა
მოძღვრებმა.
ღმერთო
სამშობლოს არგუნეო
მშვიდობის ძალი
ღმერთს მუხლისჩოქვით
ევედრებოდა
ლამაზი ქალი.

მაგული კორძაია

* * *

ათასგზის
ვცადე
დამენახე,
უფალო!
მგონია,
გამიმართლა,
ახლა
გზაწვრილებს
მივუყვები,
ჩემ თავს
შენი თავი
არ წავართვა!

* * *

თითქოს უჩვეულო ზღაპარს ყვება,
უბით განათბობი
ბარათები,
მაშინ,
სიყმაწვილის ოფოფებით
სულ რომ გვეგონა თუ "გავაფრენდით..."
ახლა იმ წამების
მინორები
ლექსად ჩურჩულებს
და...
"და-მას "ეძებს,
თანაც,
ეღიმება განაჩენზე,
– "წადი,
წადი თავი დამანებე!"
ო ,ეს გრძნობაჩვილი
ბარათები,
ყოფას ასე როგორ
ალამაზებს,
წამი,
წამიც რომ არ გაიპაროს,
წამო,
ნეგატივი გადარაზე.
წამო,
წყაროსთავზე
ჩავიმუხლოთ,
ქალებს რამდენი ჰყავთ
"დასატორი,"
სისხლი ისევ ისე აჩქროლდება,
ჭორის ვერ გახდები კასატორი...
ასე,
უჩვეულო ზღაპარს ყვება,
გრძნობა ,ტყისპირს ცეცხლად ანანთები,
ლამაზ მოგონებად
შევერცხლილი,
უბეს განათბობი
"სანათები",
და რა უჩვეულო
წამებია,
შენ რომ ამ სხივებით
განათდები.
ასე, ცა და მიწას
ალამაზებს,
ბევრი ღამე "თეთრად განათევი"!

+++

ნეტავი
სიწრფელით
ჩაგხედო
თვალებში,
და დროის სიელმეს დაესვას წერტილი,
"წყალზე "თუ ვერა
და იმდენი
შევძლო რომ
ჩვენ შორის
ვიარო,
ვიარო
ღმერთი-ვით!
ნეტავ და
ამ გულმა გიგულოს,
ვით,გული,
ამქვეყნად გაჩენას სდიოდეს სურნელი,
მზე კვირტად გაშლილი ,ღიმილის
სხივები,
სითბო და სინათლე დაჰქონდეს ულევი!
ნეტავ და ეს გული
ეწამოს
ღმერთი -ვით!

უღმერთო
დღღეების
ჩამოხსნას საბელი,
"იმ ერთი მართალით"
განიხვნას კარნი და კაენის გამოხსნით,
დაერქვას აბელი!
იჩქარე,
ნურავის ნუ დაელოდები,
ცრემლებმა დაალტო
"კედელი
გოდების",
იქნებ და
დაგერქვას
ახდენა
სურვილთა,
დღემდე რომ ტკივილად
ინახავს ლოდები...
იჩქარე,
დროს გასცდი, ნუ დაელოდები,
აშენე რწმენის და
სიკეთის ოდები!

ორომტრიალი

+++

ვერ დაიტიე
ადამიანორ,
შენი სიმცირე
დრო-ჟამს მოჰყვება,
ცოდვებით იშვი ამ ქვეყანაზე,
დღემდე რომ გხიბლავს
და გემოყვრება!
დრო რად არ გყოფნის
სიხარულისთვის,
როცა შენს აკვანს
უფალი არწევს,
ვწუხვარ,
შეგვინდოს,
თავს როგორ ავწევ,
ჩვენი სიმცირე
კვლავ ლოდად აწევს.
არც საქილიკოდ,
არცა ბოღმისთვის,
არც სამტროდ ვწერ
რომ ახლოა ღამე...
საკუთარ სინდისს
თუ არ ჩახედე,
თუ მის წინაშე
არ დაივალე,
ვერ დაიჯერებ
რისთვის მოგეცა,
გონი და აზრი
ასე რომ "გტანჯავს"...
თუ სინდისის ხმა
ჩაახშვე შენში,
დროს სულ ტყუილად
სულ ფუჭად ხარჯავ.
თავზე თუ ხელი
აიღე,
რატომ ?!
– თქვი, ამით შენში
სიკეთეს ხედავ?!
გთხოვ,
ჩვენ კი არა,
უფალს კი არა...
შენ თავს, ჰო,
ამას ნუ გაუბედავ!

+

ისევ ისე დამაფიქრა,
როგორ გაცვდა,
– კ ი და ა რ ა...

*

სიტყვამჭრელმა სიტყვაჭრელს რომ
ათქმევინოს არა,
ოჩან სახედარივით რაც გვართმევს კი და არას.
გულისყურმა დააღწიოს თავი,
მისით ვარამს,
ეპოქის მტვერს,
გზას ჩვენს ნაცვლად
მუდამ სხვა
რომ კვალავს.
რაც
"დავარცხნილ"სიტყვებს ქეცით,
ვაფრქვევთ "ზურგის ქარად",
ნუთუ არ აგავაჭრელა
და ნუთუ არ დაგვღალა...
ვერ ვიგუებ, გენაცვალე,
-თუკი ნიღბავს ღალატს,
რა უბრალოდ გამოითქმის:
* ამსვაალდ, მი სი
მალატ!
ჰოდა,
სწორედ ამიტომ და ჰოდა სწორედ ამან,
მიმახვედრა,
შავთეთრია,
მხოლოდ,
ფერთა გამა.
ცისარტყელას
ცა რომ ტირის,
მხოლოდ მაშინ ნამავს.
ცა და მიწის
საჩოთიროდ,
უმსგავს
მწერლს
ვგავართ.
თორემ,
მე რა ბედენა და
ანდა,
რისი მწე ვარ.
იმ ნავს ვწევართ,
ნანდირევს, რომ არ ვუთვლით მწევარს.
ხშირად,"მჭრელი",
სიტყვაჭრელი
-ჭრელპერანგა გოგოსა ჰგავს,
"ქოთნის ყურიც"
გაამართლებს,
შიგ ჭრელ სიტყვას
თუ არ ჩარგავ.
მისით მოგვრილ
ხიბლს და ლხინში,
მართალ სიტყვას
ნუ დაკარგავ!
ამბავი არ ავაჭრელო,
მარცვალ-მარცვალ ვშლი და ვმარგლავ,
თავისქებად ნუ ჩამითვლით,
მე არც ბევრი
მიყვარს *გარგლა...
ჭრელ სიტყვაზე
საფიქრალი,
დაბადებით
მიტომ
დაგვყვა,
კ ი
და
ა რ ა ს ალავერდით,
კაცი, გულს ზეცამდე აჰყავს!
*
გარგლა– სვანურად – ლაპარაკი;
*
ამსვალდ, მი სი მალატ-ადამიანო, მე შენ
მიყვარხარ;

+

რომ რაც არ უნდა
იყოს,
რომ ვინც არ უნდა იყოს,
შენი სამშობლო მუდამ
წმინდანთა უბე იყო!
ეს,არც გოდება არის,
არც გასაკიცხი სიტყვა,
მეჩვენება რომ გულზე სიმართლე
მჯიღებს ირტყამს!
და იმ ფიალას
სავსეს,
მოთმინებას რომ ავსებს,,
სხვა რა პასუხი გავცე,
ძაღლს რატომ ვგავარ,
ნაცემს...

+

* * *

უფალო!
შეგთხოვ,
ვამხილო ისე,
მოყვასი მტრად არ გადავაქციო,
ნება-უნებურ
ნაბიჯებიდან
ხვალინდელი დღით ვიყოთ
– აქსიოს!

ნათელ ადამიანს

თ ე მ უ რ ჩ ა ლ ა ბ ა შ ვ ი ლ ს

+

"სჯობს სახელისა მოხვეჭა"
– გვესმოდა,
მუდამ გვტკიოდა,"
ყველა სხვა მოსახვეჭელი,"
ეპოქებს ოფლად სდიოდათ!
შიშნარევ ღიმილს ბედავდა,
თუ ლექსი გამოგდიოდა,
რადგან
ულექსო დღეები
ზამთრის სუსხივით სციოდა!
არც არა
სხვა საღირალი,
ფიქრადაც არ მოსდიოდა,
სხვათა ლექსუკმარ სიტყვაზე,
ნუგეში
მადლად სდიოდა.
შემცივნებული
სანთელი
კრთოდა,
იწვოდა ს ი ო ნ თ ა ნ,
უფალს ვერ ენახვებოდა,
თხოვნას ატანდა
სიოს და...
პასუხად
– სულის სახმილი,
პოეტის წასვლას
ჰ კ ი ო დ ა!!!

ლამზირა შეყილაძე

დედას

მზე დამყურებდა დედის თვალებით

დედა, მოვიდა სიზმარში წუხელ
და ძველებურად ღიმილს მაფრქვევდა.
სულში მათოვდა წვიმა და ქარი,
დედა სიცოცხლის სხივებს მაცმევდა.

მე, ფერმიხდილი ვიწექ მდუმარედ...
მიფათურებდა თბილ ხელებს თმებში.
გაფითრებული იჯდა საწოლთან
და ჩემი მაჯა ეჭირა ხელში.

ვხედავდი რაღაც უცნაურ სიზმარს,
სადღაც მივყავდი... ტალღების ღელვას.
დედა მუხლმოყრით უვლიდა საწოლს,
უფალს ბუტბუტით შესთხოვდა შველას.

მინდოდა დედას ჩავხუტებოდი,
მეთქვა... ცხოვრება ვლიე წვალებით
დილით, როდესაც გამომეღვიძა
მზე დამყურებდა, დედის თვალებით...

* * *

არ მოიწყინო სამშობლოვ ჩემო
თუ, ჯვრიდან მოხსნა ჯერ არ გეღირსა,
ბედნიერი ხარ შენ საქართველო.
რადგან შვილი ხარ უკვდავებისა...
გილოცავთ ახალ წელს/

გმირებს ღალატი არა ჩვევია

დარდი აღარ მაქვს უკვე სვებედზე,
სამშობლოს ბედი უფრო მაღელვებს.
ვაი -– ვარამი დუღს რუსთაველზე,
ძმა სიკვდილისთვის იმ ძმას აქაზებს.

ჩვენი სამშობლო ჯვარზე გააკრეს,
გულიდან ჟონავს სისხლის წვეთები.
საძვლე, სამკვიდრე, უკვე წაგვართვეს,
გაფითრებული დგანან ვერხვები,

ჩვენი მამული გასაჭირშია,
ერთობა არის მისი წამალი.
მავთულხრათებით შებოჭილია,
და გულზე ადევს რკინის სამანი....

სისხლშეუმშრალი მიწა ცრემლებს ღვრის
და მამა-პაპის ძვლები კვნესიან.
მიწიდან მესმის ხმლების ჟღარუნი,
ალბათ საომრად ემზადებიან.

ტყვედ წაიყვანეს,ექიმი კაცი,
ვერ გატეხეს და გულზე სკდებიან,
ქართველმა იცის სამშობლოს ფასი,
გმირებს ღალატი არა სჩვევია.

ღვთიშობელს უბე ევსება ცრემლით,
წმინდა გიორგი გველეშაპს ებრძვის,
ნუ გეშინია სამშობლოვ, ჩემო,
ციდან დაგიცავს, მაღალი ღმერთი!

ფარისეველთა სპექტაკლი

ვინ... გაზიარა უნიჭო სპეკტაკლს?
ვინ იყო შენი მასწავლებელი?...
ვერ ხვდები, როგორ აბნელებ სცენას
გყავს ორიოდე მაყურებელი.

ამპარტავნობის ხიბლში ჩავარდნილს,
გულში ღვარძლისგან წყლული გიჩნდება
თავს ჯოჯოხეთში, რომ მიაქანებ
იქნებ, ისწავლო დამუხრუჭება.

შენს მოქმედებას არ აქვს საზღვარი
ცბიერი მზერა ვეღარ გიფარავს.
განდიდებისკენ გიჭირავს თვალი...
და ეს სიყალბე იერს გიკარგავს.

როცა გჭირდება ხარ იადონი,
მსხვერპლისთვის მაცდურ ღიმილს იმეტებ...

სატანის ლუკმა შენა ხარ მგონი,
მის გულის ზრახვებს მშვიდად იფერებ...

სხვათა სიდიდე გხრავს და გაღონებს,
გულსა და სხეულს ორთავეს ებრძვი.
შენს ბოროტებას და გულის ბოღმას
ვერ ჩამორეცხავს მძინვარე თერგი.

რატომ გგონია შენს ტყუილებს ვჭამ,
მე, შენს ჭაობში წუთითაც ვერ ვძლებ...
მაინტერესებს როლების თამაშს,
გაცვეთილ ნიღბით როდემდე შეძლებ.

შურის შემყურე მთლად გადაგვარდი
და თვალს არიდებ, სარკეში შენს ნაკლს...
გახდი ეშმაკის მონა მორჩილი
შეეწირები უნიჭო სპეკტაკლს...

ჩემი კეთილშობილი ბიძის გამოსათხოვარი

ვინც ძალიან მიყვარდა
არცერთმა... არ დამინდო.
ახლა ბიძა წავიდა,
ჩემი გული წაიღო.

წავიდა და დამტოვა
ჩამწყდა გულის სიმები.
მისი თბილი მზერიდან,
დედის სითბოს ვიღებდი.

როგორ დამავიწყდება
მისი გული მზიანი.
მარადისში გადავა
სული მზისებრ სვიანი.

ირმა ტყემალაძე

* * *

ამ წუთისოფელში
 რა დრო მაქვს არ ვიცი,
ამიტომ არ მინდა
თქმა დავაგვიანო,
თქვენს მიმართ სითბოს და
სიყვარულს განვიცდი
ფიქრიდან სიტყვამდე ვინც
ა დ ა მ ი ა ნ ო ბ თ.

* * *

სხვის ცოდვებს ისე მარტივად ვარჩევთ
არ გამოგვრჩება არვის ცოდვანი,
საკუთარ თვალში დირეს ვერ ვამჩნევთ
აი, რანი ვართ კაცთა მოდგმანი.

სხვის გასაჭირზე ბრძნულად ვსაუბრობთ
და გვტკივა მხოლოდ ჩვენს კართ მომდგარი
ის გვესმის, ვის რაც გვსურს რომ გავუგოთ
აი ესა ვართ კაცთა მოდგმანი.

ვშიშობ, რომ სიტყვა უკან ბრუნდება,
მაინც სხვას განვსჯით ყოვლის მცოდნავი,
აი ესაა კაცის გუნება
აი რანი ვართ კაცთა. მოდგმანი.

* * *

თუ სიყვარული ვერ შეძელი
და ვერ გაეცი,
ან სიძულვილით დამძიმებულს
რად გსურს იარო?
ნუ შეიყვარებ კიბატონო
მაგრამ ნურც ერჩი,
ვერ გამიგია რად ბოროტობ
ა დ ა მ ი ა ნ ო.

* * *

ჰ--ეი თქვენ ჩემო ქართველნო
ჯ--ავრ მორეულო მტერზედა,
ხ--ომ არ გგონიათ გაგვთელონ
ჭ--ირი მოგვჭამონ მეტზედა?
წ--აიღონ ჩვენი მიწები
ძ--ალა მოუვათ ხელზედა?
ც--ივ სისხლიანიც ვიქნებით
ჩ--ვენი სამშობლოს მტერზედა.
შ--ეუპოვრობა ქართველებს
ყ--ოველთვის გვაწევს მხრებზედა,
ღ--მერთია მოწმე არა ვცვლით
ქ--ვეყანას არაფერზედა,
ფ--იქრი მოისპოს ყოველმან
უ--ფლება ჰპოვონ ჩვენზედა.
ტ--ყვიამ გვაშინოს რომელმან
ს--იცოცხლე ნაფერებზედა.
რ--ოდის იყო რომ ქართველებს
ჟ--ამთა სვლა სისხლსა უცვლიდა?
პ--ატიოსანი თავდაცვით
ო--მში სიკვდილიც უღირდა.
ნ--უ შეეცდება ნურავინ
მ--იწაზე გვედავებოდეს
ლ--ამობდეს ქართველთ ძმობასა
კ--ეთილ მტრის როლში ჩნდებოდეს.
ი--ცით რა არის კაცობა
თ--ავი დღემდე რომ მოყავდეს?
ზ--ომიერების გაცნობა
ვ--ინ მტერი და ვინ მოყვარე.
ე--რთია ჩვენთვის სამშობლო
დ--ა არავისთვის გვეთმობა,
გ--ვინდა მტრის ტყვია ვაშოროთ
ბ--რძოლაც ვიცით და ერთობაც.
ა--ქარის ჩვენი სამშობლო დიდება ჩვენს
 ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა ს.

* * *

რომ შემეძლოს დავხატავდი
რაღაც სულ სხვა სამყაროს,
სადაც მხოლოდ სიყვარული
მოირგებდა მთავარ როლს,
სადაც მხოლოდ გულწრფელობა
სულში კვანძებს იკეთებს,
მკვეთრ ფერებში დავხატავდი
უანგარო სიკეთეს,
იმ სამყაროს დავხატავდი
სადაც ფასობს სინდისი
სადაც ყველას უხარია
სადაც ყველა იღიმის,
სადაც გულში სითბო სახლობს
მადლი ბრწყინავს ხელებში,
სხვა სამყაროს დავხატავდი
პოზიტიურ ფერებში,
ცასაც გავაფერადებდი
ალბათ ზღვასაც შემდეგში
სხვა სამყაროს ავარჩევდი
მე ფუნჯებით ხელებში.
მუქად გავაფერადებდი
აუხდენელ ოცნებებს
თუ მხატვრობით გავთამამდი
დავხატავდი მლოცველებს
და სიკეთით სავსე გულებს
შეფასებულს ხარისხით
ერთმანეთზე მიჯაჭვულებს
მოვხატავდი ხალისით.
რომ შემეძლოს დავხატავდი
რაღაც... სულ სხვა სამყროს
სადაც მხოლოდ სიყვარული
მოირგებდა მთავარ როლს.

* * *

და თქვენ გგონიათ რომ სიკვდილმა
ზღვარი არ იცის?
არც ასაკი აქვს შესარჩევი,
არც ზომა, წონა,
ასე გგონიათ თვით სიკვდილი
ლხენას განიცდის
როცა ვინმესთან უდროოდ
და უნდობლად მოვა?
ნუთუ ფიქრობთ რომ სულ არააქვს
სიკვდილს სინდისი,
არც სიბრალული არ სჩვევია,
არ ჭრის მუდარა
და დასასრული შეუძლია
ყველა საწყისის
როცა ცრემლებით უსველდებათ
მის წინ სუდარა?
მართლა გგონიათ რომ სიკვდილი
თავად ბობოქრობს?
არ ჰყავს მმართველი და დაუვლის
ვინც კი სწადია?
ყველა მომლოცველს თავს ესხმის
და სანთელს ჩაუქრობს
დედამიწიდან მისი ნების
გამო ჩადიან?
მაშ სიკვდილია? დიდი მტერი
აცობრიობის
და გამუდმებით სიცოცხლესთან
ნებით პაექრობს?
ყველა მიზეზი სიკვდილია
ღრმა მწუხარების??
არამც და არამც, მე არ ვფიქრობ
ასე საერთოდ.
მე დამინახავს თვით სიკვდილი
დამწუხრებული,
როცა საკუთარ არსებობას
წყევლიდა გულით,
მის გვერდით მყოფი სიცოცხლე კი
დამარცხებული
კვლავ მგლოვიარე ინიშნავდა
დამკვეთის სურვილს.
თავად სიცოცხლეც ივიწყებდა
სიკვდილთან მტრობას,
რადგან ხილული იყო მისთვის
სიმძიმე სევდის,
თანამოაზრე პრინციპულად
ბევრ რამეს თმობდა
გვამად ქცეული, უძლურების
თავადვე მსხვერპლი.
სულაც არ ვფიქრობ რომ სიცოცხლე
ღირდეს ამგვარად
სიკვდილმა ფერი შეუცვალოს
ცხედრებს ურიგოდ,
იქნებ სამყარო წესებს იცავს
სწორედ ამგვარად,
იქნებ არცაა ეს სიკვდილი
ასე ურიგო.

* * *

სანამ გული მიძგერს მკერდში,
სანამ სული სხეულს მართავს,
სინდისს არ ვცვლი არაფერში
არ ვუარყოფ ღვთის სამართალს,
არავიზე არ ვარ მეტი
და არც ვინმეს გვერდით ვმორცხვობ,
ჩემთვის არის ყველა ერთი
ანგარებით მე არ ვცხოვრობ.
ადამიანები მიყვარს
ვის თვალებშიც ვხედავ მართალს,
ღმერთო ასეთობა მინდა
სანამ სხეულს სული მართავს.

* * *

გ-აიხარეთ, იჯანმრთელეთ, იცოცხლეთ,
უ-ფლის მადლი გეწეოდეთ მუდამ,
ლ-ამაზ გულში სიყვარულს რომ იცოცხლებთ
ნ-ამდვილ გრძნობას დიდი ნიჭი უნდა,
ა-ლბათ ბევრი განგიცდიათ, გტკენიათ,
ზ-ოგჯერ ალბათ გულსაც სევდა სურდა,
ი-ს დარდებიც რაც გულისგან გსმენიათ
ხ-უნდებოდა, სული რწმენით ქუხდა,
ა-მიტომაც დაგიფასდათ ღვთისგან
რ-ომ რწმენისგან სული ისე ხურდა
ა-რ მიეცით არც ერთ ტკივილს ნება
ი-ს მიეღო რაც ეშმაკებს სურდა,
შ-ეშლილ ფიქრებს არ დაუთმე გრძნობა
ვ-ერ დაუშვა სხვა განცდები გულმა
ი-სე ძლიერ უყვარხარ და გგრძნობდა
ლ-ოცვით ღმერთმა ისე განგიკურნა
ი-სე ძლიერ, ძლიერ შეგიყვარათ
განსაცდელი სძლია უფლის რჯულმა.

* * *

უჭირდა, ძალიან უჭირდა,
სტკიოდა, შიოდა, სციოდა,
ცხოვრება ყველა გზას უჭრიდა,
სიმწრის ცრემლები სდიოდა,
არ ნებდებოდა არასდროს,
მაინც ყოველთვის იბრძოდა,
დაეცემოდა, დგებოდა
ცდილობდა კვლავ მიდიოდა,
თუმცა ძალიან სტკიოდა,
რომ მას არ გამოსდიოდა,
მაგრამ არასდროს ჩიოდა,
არ ნებდებოდა ცდილობდა.
გულით ნაღველი მიჰქონდა,
ღირსებას არსად ტოვებდა,
სწამდა, სჯეროდა, ფიქრობდა
ღმერთი არ მიატოვებდა.

* * *

შურით და ბოღმით
დამძიმებულს რად გსურს იარო?
ისედაც რაა ეს ცხოვრება
ადამიანო?
დრო დააფასე,
სიყვარული გულით ატარე,
რაც მოიტანე წასვლისასაც მას
გაგატანენ.

* * *

რომ შემეძლოს დავხატავდი
რაღაც სულ სხვა სამყაროს,
სადაც მხოლოდ სიყვარული
მოირგებდა მთავარ როლს,
სადაც მხოლოდ გულწრფელობა
სულში კვანძებს იკეთებს,
მკვეთრ ფერებში დავხატავდი
უანგარო სიკეთეს,
იმ სამყაროს დავხატავდი
სადაც ფასობს სინდისი
სადაც ყველას უხარია
სადაც ყველა იღიმის,
სადაც გულში სითბო სახლობს
მადლი ბრწყინავს ხელებში,
სხვა სამყაროს დავხატავდი
პოზიტიურ ფერებში,
ცასაც გავაფერადებდი
ალბათ ზღვასაც შემდეგში
სხვა სამყაროს ავარჩევდი
მე ფუნჯებით ხელებში.
მუქად გავაფერადებდი
აუხდენელ ოცნებებს
თუ მხატვრობით გავთამამდი
დავხატავდი მლოცველებს
და სიკეთით სავსე გულებს
შეფასებულს ხარისხით
ერთმანეთზე მიჯაჭვულებს
მოვხატავდი ხალისით.
რომ შემეძლოს დავხატავდი
რაღაც... სულ სხვა სამყროს
სადაც მხოლოდ სიყვარული
მოირგებდა მთავარ როლს.

ვალია კვაშილავა

მჭირს უძილობა

მჭირს უძილობა შუაღამის ქარიან ღამით,
ქარაფს მიყვება პოეზიის მძიმე ნაბიჯი,
ახლა აღარ გთხოვ შესვენებას არც ერთი წამით,
წინ მივიწევ და ვეღარაფრით ვეღარ დაგიცდი.

მივდივარ,მიმაქვს უდიდესი ჩემი ქონება,
ცის ლაჟვარდებში შერეული ჩემი ფიქრები,
იქ სამსჯავროზე ყველაფერი აიწონება,
ლექსებთან ერთად დამიჯერე მშვიდად ვიქნები!

გაგერიდები,გავუყვები ლექსის ქარაფებს,
მე უშენობით ავიკიდე მძიმე საგზალი,
ამასაც მხოლოდ სიყვარული მალაპარაკებს,
და რითმა მერთვის ყინვისაგან თითქოს დამზრალი!

თითქოს მთვარემაც ჩაიტია მუჭში სინაზე,
და ოქროსფერი წამოისხა თბილი მანტია,
დეკემბრის ყინვამ გაიბრწყინა ახლა მიწაზე,
სულაც არ მცივა,მეჩვენება თითქოს მარტია!

უშენოდ მთვარეს უნდა ვუთხრა სიტყვა არ თქმული,
ჩამოვჯდები და მოვუყვები მთისას, ბარისას,
ყველაზე უკეთ იმან იცის ჩემი ქართული,
ვიცი გამიგებს ისიც მეტყვის ალბათ თავისას!

ახალო წელო

ახალო წელო ახალ სიხარულს,
მოიტან ალბათ,განა ძნელია?!
კარი-კარ ყველგან იწყებ სიარულს,
ეს არის შენი განაჩენია!

მიაკაკუნე და მიახარე,
ჯანმრთელობა და ბედი ქებული,
შვილთა სიმრავლე დაგვბედებოდეს,
გაბრწყინებული შეყვარებულნი!

ერს სიძლიერე წელო ახალო,
ამრავლე ქვეყნის მცველთა რიგები,
გამთლიანება იქნებ გვახარო,
მძულს ბოროტება შეურიგები!

სიკეთის მთესველს ძალა მიეცი,
ხნულში ჩაღვარე სითბოს ნაჟური,
და სადღეგრძელო შევსვათ მამულის,
რქაწითელიდან გამონაწურით!

შენთან ერთად

მონატრების მწვავდა დიდხანს ალები,
მე შენს ნახვას განა სადმე ვეღირსე,
შენს ლოდინში დამეღალა თვალები,
შენც მელოდი? მაპატიე, შემინდე!

მე ხომ შენი სიყვარულის ცრემლი ვარ,
წვიმის წვეთად რომ მოვედი წუხელი,
ბედმა ისევ შეგვახვედრა,შენი ვარ,
გულის ტკივილს ვეღარავის ვუმხელდი!

შენმა სითბომ დაიარა სხეული,
ელვასავით ცის კამარას ანათებ,
შენთან ყოფნას უკვე გადაჩვეული,
მოგეხვევი,ისე გეტყვი დანარჩენს!

ჩემი მზე და ჩემი მთვარეც შენა ხარ,
უშენობას როგორ მწარედ ვნაღვლობდი,
ნეტავ სადმე შენი სახე მენახა,
შენთან ყოფნას და საუბარს ვნატრობდი!

ახლა ბედის კმაყოფილი ვიქნები,
და ახლოდან გეტყვი ჩემო,შენი ვარ,
რადგან გზიდან მოვიცილე ფიქრები,
შენთან ერთად სიყვარულზე ვმღერივარ!

ბრწყინავს ყინვა

ფანჯარაზე ბრწყინავს ყინვა,
ნაირ-ნაირ ფერებში,
მე მგონია საჩუქრები,
თუ უჭირავს ხელებში!

ბრწყინავს,ბრწყინავს და ფერები,
მეფერება სხვადასხვა,
ამნაირი საქციელი,
ყინვის როგორ არა ვთქვა?!

ახალი წლის ლამაზ დილას,
ფანჯარასთან შემხვდება,
არ იქნება ეს პირველი,
არც მეორე შემთხვევა!

ყინვა მიყვარს ფანჯარაზე,
რა იქნება მისფერი?!
ვარსკვლავები დაუხატავს,
საოცარი,მზისფერი!

თოვლის ფიფქი დაუხატავს,
თვალციმციმა,ხატულა,
ამნაირი სილამაზე,
გეფიცებით,არ თქმულა!

მიყვარს ყინვის სისპეტაკე,
და ტყის თეთრი მანდილი,
ქარი სადღაც მიიმალა,
ქროლვისაგან დაღლილი!

ქარო,ყინვა,თოვლის ფიფქო,
სამკაულნო ზამთრისა,
თქვენს მილოცვებს საახალწლოს,
განა ვინმე დათვლისა?!...

ზამთარს ხიბლი თქვენითა აქვს,
თქვენით სული მაისობს,
იანვარშიც ზაფხულია,
ნაძვის ხესთან ვხალისობთ!....

ფიქრებთან ჭიდილში

ფიქრებთან ჭიდილში ეს ღამეც გამიცვდა,
გავიძვრე შავ-თეთრი ლამაზი მანტია,
მივყვები ცხოვრების უცნაურ ქარაფებს,
დეკემბრის ქარები რა ცივად დაქრიან!

უშენოდ დავწვები,უშენოდ ავდგები,
უშენოდ ამ ზამთრის ღამეებს ჩამოვრთავ,
უშენოდ ცეცხლოვან ქარაფზე დავდგები,
სიმშვიდის ძებნაში ლექსებსაც გამოვთქვამ!

მე ჩემი ბედი მაქვს,შენ შენი ფიქრები,
ვინ იცის სასწორზე რამდენჯერ დავდექი,
ყველაფერს მიხვდები თუ დაუფიქრდები,
იმასაც,რომ განზე რატომაც გავდექი.

მე ჩემი ცხოვრების იალქანს მივყვები,
და სწრაფი გემი მაქვს ტალღებზე მცურავი,
მე მჯერა უსიტყვოდ ყველაფერს მიხვდები,
უშენოდ რად მინდა ნუ მკითხავს ნურავინ!

რამდენი ვეცადე,ვაგროვე ნამსხვრევი,
და კოწიწ კოწიწში დღეები გაფრინდა,
გიკრიფე ვარდები წითელი,ნამცვრევი,
ახლა კი გულდაღლილს იებიც არ მინდა!

მივდივარ, წინ ვივლი,დავეძებ ღიმილებს,
სითბო და სიკეთე ვაზნებად მიწყვია,
თავნება ფიქრები დაგიკრეფს გვირილებს,
რადგან სხვანაირად მე არ შემიძლია!

თოვლის ფანტელი

რა ლამაზად ცვივა თოვლის ფანტელი,
ალბათ გზავნის ციდან ღმერთი,გამჩენი!

გაიხარებს ახლა ჩვენი ბავშვები,
თოვლის ფიფქი აქ არ არის დამრჩენი!

დროებით კი მისი მოსვლა გვწყურია,
საახალწლო სუფრაც საამურია!

ამ ახალ წელს გავიხაროთ გულია,
მოვაბნიოთ ყველგან სიყვარულია!

ყველა ოჯახს ღმერთის ძალა ფარავდეს,
მტერს ქართველის სიძლიერე ზარავდეს!

ჩემო მიწავ, ჩემო წყალო, ჩემო ცა,
დეკემბერში განა თოვლი გეოცა?!

წლის ყველა დროს თავის ხიბლი ჰქონია,
მეც ფიფქებთან თავი ბავშვი მგონია!

დაფარფატებს ზღვაზე თეთრი თოლია,
მენატრება,მაგრამ რა ვქნა, შორია!

რა ლამაზად ცვივა თოვლის ფიფქები,
და ახალ წელს ბედნიერი ვიქნები!

მოდი ფიფქო ,მოდი თეთრო თოლია,
შენთან ერთად თავი ბავშვი მგონია!

* * *

დიდხანს გიყურე,გიცქირე,
შენს ნახვას მონატრებული,
მერე კი ცრემლი ვიწმინდე,
ღვთისაგან მომადლებული!

მე სიყვარულმა მაჩუქა,
ეს გრძნობა ცამდე მაღალი,
განგებამ დამასაჩუქრა,
მეც ხომ მაქვს ამონაყარი!

ჩემი შვილი და ფესვები,
ჩემი პატარა ბარტყები,
დამლოცვენ ჩემი ლექსები,
ორღელეზე რომ დავყვები!

არ მქონებია ცხოვრება,
ია-ვარდებით ფენილი,
უფალიც დამსიზმრებია,
მისგან ვარ გადარჩენილი.

ჩემი ცხოვრების ყვავილი,
ავადმყოფობის წამალი,
ფეხით კარი-კარ დავივლი,
მხოლოდ სიკეთით მავალი.

არ მიყვარს პირმოთნეობა,
ფლიდი სიტყვები, ნაყარი,
თუ გავიხურავ დარაბებს,
დამრჩება ამონაყარი!

ნორა (ნორიკო) მგელაძე

ფიფქთა მეჯლისი

თოვლი მოსულა და გულშიც უთოვია,
თეთრში გახვეულა სულმთლად არემარე,
მე შენზე ფიქრებში ღამე მითევია,
ამის მოწმე არის ცაზე ბადრი მთვარე.
თოვლი მოსულა და როგორ გატრუნულან,
ქუჩაში შეცივნული ხეები გარეთ,
ჩუმად, უხმოდ ტირის გული განაწირი,
ცრემლების ტბაში ცრემლი ვერ დავთვალე.
თოვლი მოსულა და უკვე მერამდენედ,
გავხედე სარკმელს, რაღაცის მოლოდინით,
თმებიც დამეთოვლა, უკვე რა ხანია,
ისევ შენზე ვფიქრობ, შენგან განაწირი.
თოვლი მოსულა და გულშიც უთოვია,
ჯერაც დამზრალია გული გაყინული,
გარეთ ხომ ისეთი სპეტაკი თოვლია,
თვალი მიჭრელდება, ლოდინს შეჩვეული.
თოვლი მოსულა და გულშიც აღარ თბილა,
სული ვეღარა გთმობს,აღარ ემეტები,
თუმცა,ისიც იცის, სულმა ღრმად დაჭრილმა,
რომ არ იოცნებოს ტყუილ იმედებით.
თოვლი მოსულა და ფიფქებს შეერია,
ფიქრთა მთელი დასი, თეთრი ფიფქ-პეპლები,
მერე ქარმა უცებ ხელი წამოჰხვია
და არ დააყენა ადგილს ეს ფიქრები.
თოვლი მოსულა და ფიფქთა მეჯლისია,
ცამდე აჭრილ მზერას სადღაც მაინც წვდები,
უფალს მივენდე და ვცოცხლობ იმ იმედით,
სინანულს მოგგვრის გონი ღვთისმიერი.
თოვლი მოსულა და
ფიფქთა მეჯლისია....

წრფელი ცრემლი

დანამულა წვიმის წვეთით
ვარდი.შენგან განაწირი...
სილამაზე არა კვდება,
სილამაზეს შენაწირი...

რარიგ შვენის დიდებულ ვარდს,
წვიმის წვეთი, ღმრთისგან ქმნილი,
სიყვარულსაც ხშირად ახლავს,
ცრემლი, წრფელად დანადინი....

მზესუმზირები

სითბო უყვართ, დღენიადაგ,
შესცქერიან მაღლა მზეს,
რადგან არ სურთ, სხვანაირად
რომ გალიონ სიცოცხლე.

ერთმანეთთან სიახლოვე,
აძლებინებთ ნამდვილად,
თორემ მარტოდ, სად გინახავთ
ეხაროს მზესუმზირას?

ის კი არა, როცა ხდება,
ზოგჯერ დღეა უმზეო,
სითბო რომ არ შემოაკლდეთ
ერთმანეთსაც ათბობენ.

ასე არის, ჩემო კარგო,
მოწყობილი ბუნება,
სიყვარული გვასაზრდოვებს,
სიყვარული მოგვყვება.

და თუ ვინმეს აღარა აქვს
სიყვარული განცდილი,
ქვეყნად ბევრი დაუკარგავს,
ტყუილია ქადილი.

ნი მოსულა უჩუმრად

წლები რა მალე გასულა
თუმც გული ვერ დაიღალა,
ბევრი რამ იქცა წარსულად,
თმაც დამეთოვლა ჭაღარად,
მე გაზაფხულის შვილი ვარ,
გულში მზე მუდამ ანათებს,
ჩვენი ლამაზი ბუნების
გამოღვიძება მახარებს.
მახარებს ჩემი მიწის და
ლორთქო ბალახის სურნელი,
კვირტებდამსკდარი ხეები
და სიო მოუსვენარი.
ზოგჯერ წვიმების თქეში და
ზოგჯერაც ქარი--გრიგალი,
ეს მარტი-- ხანაც შლეგი და
ხანაც მშვიდი და მწყაზარი.
მე გაზაფხულის შვილი ვარ,
ია-ენძელის ტრფიალი,
ვმადლობ ღმერთს მოვლინებისთვის,
ვარსკვლავად წავალ, ციალით.
მე გაზაფხულის შვილი ვარ...

ზღვას

ზღვაო ლიცლიცავ და ზღვაო
ბრწყინვალევ,
ლაჟვარდისფერად ხშირად მოელვარევ,
ზღვაო მშვიდო და ზღვაო მოალერსევ
ბრძენო, დიდო ძალავ,
ცხოვრება მასწავლე.
ზღვაო გულზვიადო, ზღვაო მშფოთვარევ,
ხან უკარებავ და ხანაც გულმოწყალევ,
დარდებით სავსევ, ფიქრებით სავსევ,
რამდენ საიდუმლოს იტევ, არ ამხელ.
ზღვაო მიყვარხარ, შენით ვარ სავსე,
ჩემს ქვეცნობიერს შენ თითქმის ავსებ,
ზღვაო ლივლივავ, ზღვაო მონარნარევ
ბუმბერაზ ტალღების ლაღად მოთამაშევ.
პოსეიდონის დიდო სამყაროვ,
უამრავ სილამაზის დამტევო სივრცევ,
მიყვარხარ ძლიერ და მუდამ გნატრობ
ალბათ ქალთევზა თუ ვიყავ ადრე....

მფარველ ანგელოზს

ჩემო მფარველო ანგელოზო, დაღონებულხარ,
რა ვქნა,რომ ვერ ვარ ახლა,მე ის, ვინც ვიყავ ადრე,
დაშვებულია ჩემთვის ყველა ის ფარდა, რაც კი,
ამქვეყნად ყოფნის მიღვივებდა სურვილს აქამდე.
ჩემო მფარველო ანგელოზო, მშველელო მუდამ,
ვიცი გაღონებს ჩემი სულის ყოფა ამგვარი,
ვეღარ გავიგე,რად მიგორავს ცხოვრება მრუდედ,
როცა სიკეთის გასაღები თითქოს აქ არის.
წმიდაო ჩემო ანგელოზო, არა მკრა ხელი
და ""ნუ დამაგდებ მე ცოდვილსა"" უშენოდ, მარტო,
მიშუამდგომლე ღმერთთან,
მხოლოდ ამას გთხოვ, ხელი
და დამიფარე მე წუთისოფლად, გზები გავკვალო.
ჩემო მფარველო ანგელოზო, ხედავ შენ, რარიგ
ულმობელია ეს საწუთრო და თანაც ჭრელი,
ეს ჩემი გული მწუხარეა, იღლება ღელვით,
გთხოვ,არ გამიშვა,უფრო მაგრად ჩამჭიდე ხელი.

იღვიძებს ბუნება

მარტი შემობრძანდა, ვიგრძენით სურნელი
ახლადგაღვიძებულ მიწის,
თავი შეგვახსენეს ნაზმა ენძელებმა,
გული დაუპყრია ნარცისს.
მრავლად ამოსულან ტყეში ყვავილები
ყოჩივარდები და ია,
ეს ვინ ამიმღერა გული სხვანაირად?
-დიახ,ეს მიმოზებია.
მალე შემოგვცინებს იასამნები და
ტიტაც შემოაღებს კარებს,
წითლად იბრდღვიალებს ნორჩი ზიზილები
და გაგვიღიმებს კესანე.
ვიმარტ- ვიაპრილებთ ამასობაში და
ვარდიც აფეთქდება მალე,
მდელოს მოგვიჩითავს ყაყაჩოც, შროშანიც,
პიონიც მოგვადგება კარზე..
და ასე ლამაზად გავიგაზაფხულებთ
გვირილაც დაგვიწნის გვირგვინს,
ყვავილთა მეჯლისი უთუოდ გრძელდება
და გულიც თავისას იტყვის:
ღმერთმა დაგილოცოთ ყველა გაზაფხული,
ვარდები გიფინოთ გზაზე,
მუდამ იზაფხულეთ ჩემო მეგობრებო,
მე ისევ თქვენით ვარ სავსე.

მზია გირგვლიანი

მე ქართველი ვარ

მე ქართველი ვარ!
კურთხეული მიწის
შობილი,
ვაზის ქვეყნიდან,
მოდარაჯე ჩემი მამულის.
მზე ჩემში არის
სამუდამოდ
გადმომყნობილი.
ყველა კუთხე მაქვს გულში
ნაზად ამოქარგული.
მე ქართველი ვარ, ქალი
დედა, სულით ძლიერი.
ქრისტე რჯულისა,
რწმენისათვის
ფერფლად ქცეული.
არ შემიცვლია გასაჭირშიც
სახის იერი.
მტერი კი ბევრგან
საზღვარზეა გადმოწეული.
სუნთქვა მაცოცხლებს,
ჩემი ერის მერცხლის
ჭიკჭიკი.
ქართვლის შვილი ვარ,
გმირები რომ იბადებიან.
მკვდრეთით აღვსდექი,
მოისმინეთ გულის
წიკწიკი.
თუმც გარდვიცვალე
ვიბრძოლე და მაინც
აღვსდექი!

ფიქრები და ოცნებები

შემოფრინდა ფანჯარაში
სიო ნაზი სურნელით,
გაქრა ფიქრიც
ამდენ ქარში,
ქარი არის სულელი.
ქარი როცა ამოვარდა,
ოცნებები დამიფრთხო.
სიო უკვე არსად ჩანდა
სად წავიდა ვის ვკითხო.
ბრწყინვალებას ჩემი მზისას
უკვე ვერსად ვერ ვხედავ,
ქარი ზმუის დეკემბრისა,
მიჭირს გარეთ გახედვა.
ღრუბელ-ღრუბელ მიაქროლებს
ოცნებას და ჩემს ფიქრებს,
გულში ნაღველს მიტოვებს,
დარდი რითი გამიქრეს.

მირონი

მთიდან იწვიმოს მირონმა,
სამშობლოსათვის.
ღმერთო,
ამიბიბინდეს მინდორი.
რწმენა სულ გულში
მენთოს.
აკურთხე ჯვარი
რწმენისათვის,
საყდარი, ყველა ტაძარი.
ამას გთხოვ ჩემი ერისთვის,
ჩემი სიმდიდრე ეს არი.
ხატები ცრემლით ნაწერი,
განძია ჩემი ერისა.
გული მაქვს დარდით
ნაძერწი,
იმიტომ აღარ მეღირსა.
საქართველო და უფალი,
ჩემთვის ორივე ერთია.
მენახოს თავისუფალი,
რომ მეც მოვესწრო ერთიანს!

მშვიდობის მტრედი

დრო, მტვერწაყრილი,
ტრიალებს ირგვლივ.
მოფენილია დარდი.
სამყაროსთვის ცრემლად
დადენილი წვიმა, ნისლებად
რომ დაიხურა დედამიწამ.
უღმერთობით შეშლილი და
ცრემლად მოვლენილი
წვიმის წვეთებია.
მოსულია მშვიდობისთვის,
მოფარფატე თეთრი მტრედი.
გულში არ ჩააქროთ
სიცოცხლის სანთელი.
გულის კარში ანგელოზები
შემოფრინდებიან.

მზის სხივების ზეიმია

წვიმის წვეთები
მისველებს სახეს.
მიყვარს გაზაფხული,
იების სურნელით.
ავსებული სითბოთი
და სიყვარულით.
მობნეული ზეციდან,
ოქროსფერი სხივებით.
თითქოს სულსაც
მოჰფენია სხივი.
მზე ათბობს და
სურნელს აფრქვევს.
ირგვლივ მზის
სხივების ზეიმია!

ყეფენ კატები

ძაღლების მაგივრად.
დედოფლის მანდილი
მოსავს მამაკაცს.
შვილმა დედას რომ
მწარედ აგინა,
რა უნდა უთხრა
ასეთ არაკაცს.
რა ღვთის რისხვაა
ზარი ჩამოხსნეს,
ნაკურთხი წყალი
მიაქვთ მჩხიბავებს.

მუხის ფესვები ლამის
გადახმეს.
სიბინძურეთი ეშმას
ხიბლავენ.
ო, რა მურტალი გახდა
ცხოვრება.
კაცს თავს ახურავს
ქალის შლიაპა,
ესაა რისხვის განმეორება,
სულს რომ იყიდიან
ასე იაფად.

ის მიდიოდა ქუჩაში ერთი...

ის მიდიოდა ქუჩაში ერთი,
არ სწამდა ხატი, არ სწამდა ღმერთი.
წაიფორხილა ქუჩაში მარტომ,
გულში ტკივილი შეიგრძნო ამ დროს.
იქვე ცივ კედელს მიეყრდნო კვნესით,
საშველად იხმო ხატი და ღმერთი
და უკაცრიელ ქუჩაში, ბნელში,
წამს აიტაცა ვიღაცამ ხელში.
გონზე მოვიდა, სიკვდილს გამოსცდა,
მიხვდა, მოუწყო ღმერთმა გამოცდა.
ის მიდიოდა ქუჩაში ერთი...

ვეძებ

თეთრ ნისლებში ზეცას შემოვძახებ,
გავუყვები უეკლო გზას ნელა,
სხვას არასდროს ხელს არაფერს ვახლებ,
იმედებით ვასაზრდოვებ ყველას.
ჩახსნილ ღილით გულს გაგიშლი მთაო,
შევერევი თეთრ გვირილებს ველად,
გამიღიმე ლურჯთვალება ცაო,
არსად მომწვდეს წვიმის ხმა და ელვა
მე ვარდს ვგავარ ლამაზს, ნაზს და ცვრიანს,
არ მატიროს ქარიშხალმა დილით,
ეს ქარებიც რაშებივით ქრიან,
ნუ მომაკლებ უბოროტო ღიმილს.
ეს სურვილი შემისრულე ღმერთო,
ფიქრის გზები ამ ფერებად ღვივის,
მიწა მინდა ჩემი შევიერთო,
ბოლოს გავქრე ღამის ვარსკვლავივით!

ნინო ქინქლაძე-ჭიღიტაშვილი

შობის ღამე!

ისევ მოთოვა ზეცის მადლმა ღამე ალილოდ...
და შემაყინა ფიქრის გორად
მინავლულ მთვარეს....
ისევ მომტაცა მზეჭაბუკი ბედმა_ შაპიტომ...
და შემატოვა ერთგულ მცველად
მუხლმოყრილ ღამეს...

როცა გულდაგულ აპატარძლა დილამ ნათელი
და ფიქრის გორებს შეაპარა სიმღერა სევდის,
მაშინ გამოკრთა ვარსკვლავივით შვება საჩინო
და დაიფარა, ვით ქალწულმა უბიწო მკერდი.

ეს რა გულდაგულად მოურთვია ყინვას სასიძო...
გამოუწვრთნია შობის ღამეს ღიმილი ცრემლით...
მოდით, ცერებზე მოცეკვავე სუნთქვა ვადიდოთ
და ტკივილებით დაწერილი ეს ჩუმი ლექსი...

როგორ დაუწნავს ნაწნავებად სინდისს ალილო,
სიძველის მტვერში ჩაუწყვია ლანდები სარკის.
ო, გევედრებით, წამიმღერეთ, ვინმემ სალხინო,
და გამატანეთ სიძველიდან რაიმე კარგი...

ბერიკაობდა სარკმლის მიღმა
აჩრდილი სანთლის...
ზამთრის სიცივეს ვერ ათბობდა თეთრი ზმანება...
ღამით მოკლული დადიოდა ქუჩაში ქალი
და ერეოდა უსაშველო მიმწუხარებას...

იქნებ და კიდევ გამოანათოს...

როცა ავად ვარ და ვგრძნობ დასასრულს,
თვალებს ვუხუჭავ ნაღვლიან მზერებს...
სურვილებს ვებრძვი და უღიმღამოდ
ბალიშზე ვაწყობ გადაღლილ ხელებს...
ვტირი სინათლის გარდაცვალებას,
ვუწვები თავთან ნაგიჟარ ღელეს ,
ნაკადულებს რომ პოულობს სადღაც
და ერეკება ციცაბო კლდეზე...
ედემის ბაღში მოწყვეტილ ვაშლებს
კაბის კალთაში ვუყრი ბებიას,
ვემშვიდობები მის ღვთიურ სახეს
და ვუერთდები ნაცნობ ლელიანს...
უმთვარო ღამეს მტკივა სინდისი,
სურნელი ებრძვის სიცოცხლის მიზანს
და როგორც წიგნში ჰინდური კრიშნა
ყველა სინანულს სირცხვილად ვიკრავ
და ვიკვიატებ იმ ბგერის ექოს,
დასასრულების მოსვლას რომ ნიშნავს...
როცა დასუდრულ ლაბირინთებში
წვება ლამაზი შემოღამება,
როცა გულცივის მეფობის ხანა
ცდილობს სიკვდილის შემოპარებას,
ვეღარ ვაყვავებ სიცოცხლის ყანას,
ვეღარ ვუღერებ დასასრულს დანას,
რომ შევებრძოლო ბნელეთის ამბორს და
დავიფარო გმირობა ფარად...
როცა უმზეო , გულბოროტ ღამეს
სიცოცხლე მწარედ მეოხუნჯება,
როცა იფარებს ნათელი რიდეს,
უხმობს ვარსკვლავებს მედავითნებად,
მაშინ იღვრება სინდისი წვიმად და
გულში მიკრავს ქართული მიწა...
ასე ვატყუებ ჩემს სურნელს ლექსით,
ისმის ბრძანება: შეჩერდი, გესვრი!
ტყვიას მიმიზნებს მთლად უცხო გესლი
და ცვდება სითბო დაძარღვულ ხელში..
აქ სინანული არავის ესმის,
მთვრალია მიწა მოშავო სევდით...
უნდა ვიყვირო: მიყვარხართ, გესმით?!
იქნებ ატირდეს საფლავის ვერხვი...
როცა სითეთრე დაწვება თმებში
და ძილისპირულს მეტყვის განგება,
ჩემს გულში აღარ დააკაკუნოთ,
აქ ჩემი სუნი მალე გაქრება...
რა ვიცი, იქნებ აყვავდეს კიდეც
ამ ფანჯრის მიღმა გამონათება,
მაგრამ მე მაინც გემშვიდობებით_
კარგი ბედი ხომ ყველას არ გვხვდება...

იმედი

ჩემთვის თუ კიდევ გაზაფხულდება
და ააყვავებს ხეებს კვირტები,
აღარ გავატან მზერას სიცივეს
მეც კიდევ ერთხელ ავყვავილდები...
ასკინკილებით მორბის წარსული,
ბავშვობა მარტში ისხამს ზიზილებს,
მინდა ვიპოვო ის ცისარტყელა,
სიბერეშიც რომ სტუმრად მიმიღებს...
რა სილამაზე დუღდა ტყეებში,
ლურჯი კაბები მიწის ქვეშ თრთოდა,
იის სურნელი ახსოვდათ ფოთლებს
და მარტის ციდან სიცოცხლე თოვდა...
როგორ მიყვარდა ის აფეთქება,
თეთრი გვირილის გიჟური კოცნა,
მიყვარდა როცა ვუბდღვნიდი გვირგვინს
და ვჩურჩულებდი გრძნობებზე მორცხვად ...
დღესაც ცისკარი აყვავდა ცაზე,
მზემ იგალობა ნატვრის ხის ლოცვა,
მადლობა, ღმერთო სიყვარულისთვის...
მადლობა, სულო, ასეთი რომ ხარ.....

ერთდროს...

თეთრები იყვნენ, ფრენდნენ მტრედივით,
წითელ ხელებში ეჭირათ ფატა,
პატარძლებივით ისხდნენ დედები,
ქორწილს უხდიდნენ გადამწვარ ვარსკვლავს...
ვიღაც ძარცვავდა უძველეს სკივრებს,
თითქოს გრძნობები ედო მზითვებად,
ცივი თითები სიწრფელეს ჭრყვნიდნენ,
ბნელი ღამე კი თვლემდა სიზმრებად ...
სუნთქვას ათბობდა ვიღაცა ფლიდი,
თვალები იის ფერად დარდობდა,
ყველგან ისმოდა – მიყვარხარ, იცი?
გულში კი მაინც ქარი ავდრობდა...
ვუმზერდი დიდრონ, თეთრგულა გედებს,
მათი ბუმბული გვირგვინად მსურდა,
მაგრამ იმედი დამიდნა ხელზე
და ვიქორწილე მთლად უსახურად..
დრო მოკლავს ფერებს, წავა ზაფხული,
მზის ყვავილობის ჯერი გაქრება,
მე სად ვიპოვო ის თასი ღვინის,
რასაც შევსვამ და სული დაცხრება..
ძნელია, ძნელი, უყურო ფატას,
ერთ დროს დედოფლის სულს რომ ფარავდა,
ძნელია იმ ღილს წაავლო ხელი,
ერთ დროს უბეში სულს რომ ღაფავდა...
იმ ღამეს ჩაქრა სითეთრე სანთლის,
იმ ღამეს თეთრი გედები გაქრა,
აღარ მიიღო ამ გულმა დარდი
და სინანული ღვინისფრად გასკდა...
გამოქრა ისე ჩემი ვარსკვლავი
ერთხელ ყასიდად აღარ იფეთქა...
იმდენხანს დარჩა სულში ზამთარი,
ცას შევაბერდი ცუდბედ ფიქრებად...

ლეილა ვადაჭკორია

ხელები

ხელები ყოვლის მქმნელები,
ხელები მრავლის მთქმელები,
შემკული ეპითეტებით:
ხელთქმნილი, ხელთუქმნელები.
ხელნაკეთი და ხელწერა,
ხელსაქმე, ხელხვავიანი,
ხელმოკლე, ხელმომჭირნე თუ,
ხელმარჯვე, ხელმადლიანი.
თუმცა, ხელმრუდიც ხომ არის?!
ხელმწარეც, ხელმარცხიანი...
შორს ჩვენგან მოღალატისა,
მსახვრალის ხელი ტიალი
ღმერთო ამრავლე სიკეთის,
მადლის მთესველი ხელები,
თავდადებულთა მარჯვენა,
ქვეყნის კარიბჭის მცველები!

გაოცება მიპყრობს

ცხადია თუ სიზმარი?
გაოცება მიპყრობს,
ქვეყნად ახლა ხელახლა
დავიბადე თითქოს.
აღარც სიტყვა ყასითი,
არც ფარსაგი ტაში,
ახლა ზამთრის სუსხიც,
ვეღარ მატანს ტანში.
ყველაფერი ნამდვილი,
რაღა მომკლავს აწი?
ფრინველიც კი მიაგებს
პატივს მეფე არწივს.

თვალის სინათლე

ქარს საწვიმარი ღუბელი თან სდევს,
რადგან ბუნებამ ასე ინება.
არ მეშინია ღრუბლის სიშავის,
და არც მივყვები მდორედ დინებას.
ავქუხდები და ავშხუილდები,
ხანაც დინებას ვაპობ პირის-პირ
არ მოვდუდნები, დამენანება
თვალს რომ მოვხუჭავ ფხიზელ ძილის წინ.
განწირულს იქნებ უფსკრულშიც ჩავყვე,
იქაც შევმატებ სიმართლეს ძალას,
მან ამიხილა ბრმასა თვალები
და მოწიწებით მზის სხივზე დავალ.
უღალატოა ის ერთადერთი,
თვალის სინათლე, სულის მალამო,
თუმცა მწარეა ზოგჯერ სიმართლე,
გულო შენ მაინც აღარ დამალო.

გაცილება

შენ რომ წახვედი მომერია
შიში და ეჭვი,
ისე დამთრგუნეს ლამის იყო
ჭკუიდან შევცდი.
იმ დღეს დამდინდა მწარე ცრემლი
შემკრთალ ღაწვებზე
და ბოლო კადრი შემეყინა
მაშინ თვალებზე.
რა უბედურად, უსუსურად
ვიგრძენი თავი,
თითქოს ერთ წამში უკურნებელ
ვიქეც ხეიბრად,
თითქოს დაკარგა ყველაფერმა
ამ ქვეყნად აზრი,
ჩიტის ჭიკჭიკიც კი აფრთხობდა
თითქოს ხეივანს.
დრომ მაინც მიხსნა, ჩამახედა
სულის წიაღში,
თურმე რამდენი კარგი საქმე
დამრჩა უქმნელი,
მივხვდი რომ შენით არც ვიწყები
და არც ვმთავრდები,
თურმე რამდენი ჩუმი ფიქრიც
დამრჩა უთქმელი.
ახლად ვიქეცი, რადგან ახალს
მოვუხმე ძალას,
ცხოვრება ისევ მიხარია,
ისევ ვიღიმი,
სული გამითბა, ფენიქსივით
აღვსდექ ფერფლიდან
და მე მეურმე მივუყვები
შარას ღიღინით.

თავისუფლების მწვერვალისაკენ

თავისუფლების მწვერვალისაკენ
მივიწევთ, ვთვალეთ საფეხურები,
განათებული და რწმენით სავსე
წმიდნა სულების ნაფეხურებით.
    მედგრად ვართ ისე, როგორც არასდროს
    თუმცა ავსული ისევ ავყიობს,
    ისე ღრმად უნდა გავიდგათ ფესვი,
    რომ ვერასოდეს ვერ შეგვარყიოს!
ჩვენ მოვიშუშებთ ერთად იარებს,
თვალებში ნაცარს ვერვინ შეგვაყრის,
ბორკილახსნილი თავისუფლება
იტყვიან, ნახეთ ამაყად დადის.
    ეს, რომ მოხდება ეჭვი არ არის,
    მაგრამ მე შორი ოცნება ვლამბე,
    ნიკოფსიიდან დარუბანდამდე,
    მე საქართველოს საზღვარი დავდე!
იქნებ ოცნება ამიხდეს ოდეს,
მე არ ვიქნები ამ ქვეყნად მაშინ,
არ გაგიკვირდეთ ზეციერიდან,
ჩემმა სულმაც რომ დაგიკრათ ტაში.

იმედგაცვეთილი

ეს დღეც მიილია,
ასე უდღეური,
ცაზე დაეკიდა
მთვარე გალეული,
სულში ქაოსია,
ფიქრი არეული,
აღარც შინაური,
აღარც გარეული.
თითქოს ის კი არა
ვინმე ორეული
დადის ციცაბოზე,
როგორც მთვარეული.
აღარც შიში იპყრობს,
აღარც გაოცება,
წარსულს შეფარვია
ყველა საოცრება.
ნუთუ სიყვარულის
არ ერგო ნამცეციც,
ციცაბოს შეეწიოს
იმედგაცვეთილს.

შინდისის გმირები

წარსული ჩვენი თანამდევია,
დიდებული და სირცხვილნაჭამიც,
აქაც იდგაო ადრე ბერმუხა,
ნასისხლარი და ნაჭარმაგარი.
    გვყავდა დავითი, გვყავდა თამარი,
    ხედაავ? გიყვები ისევ თავიდან!
    ბრძენი რამდენი, თავდადებული,
    გმირი რამდენი დასაბამიდან.
და ჩვენც მსოფლიოს ვამცნეთ ამბავი,
სულ ცინცხალი და ახალთ-ახალი,
იმათი ჯიშის, იმათი გენის,
იმათ ფესვებზე ამონაყარის!
    დღეს ვინ არ იცნობს შინდისის გმირებს?
    ისინი ქვეყნის სიამაყეა,
    მტერს რომ ებრძოდნენ თავგანწირვითა,
    სულს რომ უკმევდნენ ძმებსა ნატყვიარს.
და როცა სამნი დარჩნენ ალყაში,
იდგნენ ხელი-ხელ გადახვეულნი,
მათ საკუთარი ყუმბარის მადლით
სულ ნაკუწებათ ექცათ სხეული!
    გაფრინდნენ ლაღად ცად, საუფლოსკენ
    მათი სულები წმინდა, ნათელი,
    ცაც მოწმენდილი იყო საოცრად,
    გზად ქართლის დედამ უნთო სანთელი!

ეს არის ჩემი სამშობლო

ჩემთვის ეს მიწა შვებაა
სხვისთვის უბრალოდ ალაგი,
ჩემთვის ეს ველი სუნთქვაა,
ვისთვის ბიბინა ბალახი.
        ეს მთები, იალაღები,
        ჭიუხები თუ სერები
        ჩემია, მშობლიურია,
        ყოველ წამს მოსაფერები.
არწივი მთას შეაკვდაო,
ღრუბლის სუდარა ეფარა,
მთას იშვა, მთას აღესრულა,
აბა რა უნდა ენანა?
        ეს არის ჩემი სამშობლო
        განსაცდელიც და სავანეც.
        აქ არის ჩემი ფესვები,
        აქ მოვიზომე სამარე.

გიგი თეთრაძე

მიყვარხარ

ცის ლურჯ თაღებზე ელვარებენ ვარსკვლავები,
რა ლამაზია მიწიდან ცქერა,
ჩემს სავალ ბილიკს მინათებს ერთი
მხოლოდ ის მიყვარს და მისი მჯერა.

გაივლის კიდევ მრავალი წელი,
ცის ვარსკვლავი ჩემში ენთება,
ჩვენ ერთად ვივლით დღისით და ღამით,
ცივ სამყაროში ავენთებით ახალ ნათებად.

* * *

უფალო როგორც მე მინდა
ასე ნურასდროს მაცხოვრებ,
მაცხოვრე როგორც შენ გინდა
და ჩემი სული აცხონე.

წაართვი ცუდ ფიქრებს ძალა
სადავეები მოზიდე,
ალაგმე ბილწი ყიყინი
სიკეთის გული მოზილე.

სიკვდილის ჟამი რომ მოვა
სხეული კვდომას დაიწყებს,
გავქრები როგორც სანთელი
სული კი ცისკენ აიწევს.

უმალ გავცდები საწუთროს
ვერც გადავხედავ ჩემს წარსულს,
სანამ დრო არის ვიფიქროთ
რა მისია გვაქვს აქ მოსულს.

სიყვარულს მონად გავუხდეთ
უპოვართ პური ვახმიოთ,
სამყარო ზიზღის და შურის
უფლის ედემად ვაქციოთ.

წვიმა თუ მოვა გვახსოვდეს
ანგელოზები ტირიან,
ბოროტების ცეცხლს აქრობენ
აქ კი სულ მუდამ ყვირიან,

ყვირიან თავდავიწყებით
სანამ ამ სოფლად არიან,
მარადისობის განცდებით
მიწაზე მყარად დადიან.

კაცი მოსული საწუთროს
წავა სმა ჭამით მოილხენს,
ღმერთო ისე ნუ წამიყვან
შენთან მტყუანი მოვიდე.

* * *

ნაცრისფერ წუთებს,
რომ აფერადებს
და ყველა დარდის
მკურნალი არი,
იშვიათად თუ შეხვდება კაცი,
სული ბავშვური,
თბილი და ანცი,
ღიმილს ამშვენებს
ღვთიური მადლი,
და შენს თვალებში
სუფევს უფალი,
ამყარო თუნდაც
სულაც გამქრალა,
მე შენში ვრჩები
მარად სტუმარი,
დაიწყებს თოვა,
დაიწყებს წვიმა
მომეკრობიან სევდის ჭიები,
მე სიმარტოვის
ერთგული ვიყავ,
ისევ ხარობენ სულში იები.
ნაცრისფერ წუთებს,
რომ აფერადებს
და ყველა დარდის
მკურნალი არის,
იშვიათად თუ შეხვდება კაცი
სული, რომელიც
შენს მკერდში დადის.

როცა გეძებდი

როცა გეძებდი არ ჩანდი არსად,
როცა გნატრობდი ვიყავი მარტო,
რა უცნაური ყოფილა სევდა
ადამიანი სულ რატომ დარდობს?

როცა იმედი მომავლის გაქრა,
ვიფიქრე ჩემთვის ვიქნები მარტო,
არავის მივცემ იმის უფლებას
შემიყვარდეს და მომენატროს.

ასე გარბოდნენ დღეები,წლები,
გულს არავინ არ მიჰკარებია,
ვერვინ გაადნო ჩემში ყინული
და არც არავინ შეჰყვარებია.

თუმცა ერთ დღესაც იდგა აგვისტო,
ზაფხულის სიცხე სულს მიხუთავდა,
შენ გეცვა ვეფხვის ლამაზი კაბა
შენი თვალები ანგელოზს ჰგავდა.

ისეთი განცდა გამიჩნდა იმ წამს
თითქოს აქამდეც მიყვარდი ოდეს,
თითქოს არ იყავ ჩემთვის უცნობი
და ეს განცდები მინდა სულ მქონდეს.

ასეთი არის უკვდავი გრძნობა
დაუკითხავად გეწვევა, მოვა,
თუ გულში ჩასვამ მუდამ იქნები
ვერ შეგეხება აუგი ყოფა.

მე შენ მიყვარდი ათას წლის წინათ
მაშინ როდესაც ქროდნენ ქარები,
და მეყვარები ათას წლის მერეც
მაშინ როდესაც წავალ, გავქრები.

მანანა სამყურაშვილი

მრავალი მღერის...

მე თუ წავედი, ამ უსასრულო სივრცის კიდეზე
მრავალი მღერის ზოგი უფლის და ეშმას ქნარებზე...
ოდეს თუ ეთხელ იხილე ღმერთი სულის კარებზე,
იგი მას ნებავს, აგაცისკროვნოს ზეცად მთვარეზე!...

ღილს ნუ შეუკრავ, ოცნებები ფართეთ გაშალე,
ეცადე სულში ავი, ბოროტი მყარად წაშალე და
სიყვარულით ამღერებულ ქნარსა და ნოტზე,
უკვდავების ბილიკები ოქროს გონიოთი მოხაზე...

ჩამოიქროლე, ბილიკები ვარდით მოქარგე,
ზე სამყაროსთვის სულის ტაძარი მყარად ააგე,
მოაჩუქურთმე, ვაზი მტევნით ახვიე სვეტზე,
რომ თავისუფლად გადახვიდე ზეციურ კრიტზე.

იქ უფალი სწერს ანგელოზთათვის ლამაზ ბალადას,
შენ, გადახსნი და ამოალაგებ სულის კარადას...
რაც კი ოდესმე იარე წაღმა-უკუღმა, უნდა იცოდე
ყველას ნათელი არ ადგა...

ბნელი კუთხისთვის მოუგონიათ ზეთის კანდელი.
ის გაანათებს შენი სულის ყველა კუთხეს და
დაელოდები, სერაფიმებმა მჭრელი ხმალი
ძირს თუ დასწიეს, შენ, ნათელის სვეტი ზეცად ასწიე.

შემოიხვიე თავმდაბლობის სხივთა მანტია და
უფლის ტახტისკენ საზიარებლად კრძალვით გასწიე
და იმ სასწორზე სადაც მადლი ცოდვას წაგიშლის
თავს სიამაყე კი არა უფალს მადლიერების ცრემლი აწიე...

სულის ცრემლები...

ჩემში სიცოცხლე რომ დაიბადა,
მაშინ დაბადა მზემ ცაზე სხივი,
რა დიადია, რა საოცრება,
შემომეხვია ყელს ლექსის მძივი.

მძივი ანბანის, მძივი იანი,
ჯიხვთა სავანე, მთანნი ტყიანნი,
მას მერე მომდევს ეს საოცრება --
სითბო სიცოცხლის, რა მადლიანი...

მოღუშულ ცაზეც სინათლეს ვხედავ,
მზის ათინათზე ვთრთოლავ და ვცეკვავ,
ნაჩუქარ დავთარს, რაც ბედმა მომცა,
ვფურცლავ, ვფურცლავ და ვეღარა ვკეცავ.

საინტერესო ცხოვრების გზაზე,
ბევრჯერ ეკალი ხელებით ვკაფე,
ბევრჯერ ის ტოტი რომელზეც ვიჯექ,
თავისთავადვე გამოდგა მყიფე.

სულის ცრემლები იებად ვთესე,
ვარდს ველოდი და ეკალი ვკრიფე,
სარეველები გულის კუთხიდან
ვკრიფე დღემდე და ვერ გამოვკრიფე.

ერთს რომ მოვგლეჯავ ორი ამოდის,
იბარტყა სულში, ასე გამოდის,
მინდა გავგლიჯო ან გამოვცელო,
ნაცელზე უფრო ბევრი ამოდის...

ო ეს მზიანი დღე საოცნებო,
ნეტავი დარჩეს, არსად წავიდეს,
განა სუყველა იმისთვის გაჩნდაა?
შეუწყალებლად ზეცად ავიდეს!...

ზოგს ია ერგო, ზოგსაც ეკალი,
ზოგს ვარდები აქვს ფეხით სათელი,
რამდენი ბნელში მიიკვლევს გზას და
ო რამდენს აქვს უფლის ნათელი!...

ასე იყო და ასე იქნება,
ზეცის ბილიკი სხივით ირთვება,
ბედ - იღბალი ხომ დაბადებიდან
ზე, ზენაარის ნებით იწყება.

*

ცის საბუდარზე მზე კრუხად დავსვი,
სხივები უხვად ჩეკა და ჩეკა.
საღამოს ისე ჩამოჯდა ტახტზე
მზეს ერთი სხივიც გვერდზე არ ესვა.

არ ვიცი რატომ, გაბრაზებით თუ
სიუხვის გამო მიწას აბნია,
გულუხვი ხელით დედა მზემ ცის
ტატნობიდან შვილები არეს შემოაბნია.

დაჯდა ეული, მშიერი სული,
ღამის ხალათით ჩაიღუნღულა,
არეზე ცისკარს თვალი ჩაუკრა და
 დღის სიმფონიით დაიღუღუნა.

საოცარ ჰანგით ამღერდა დილა,
სიცოცხლის სიმის ზრიალა ხმაზე,
დღეს აცეკვებულს ლაღად უცქერდნენ,
მზის ხალათი რომ ემოსა ტანზე.

ამ გალაქტიკის სხივთა ნათება,
იამ შეიგრძნო სიცოცხლის წამად,
სწორად მასთან მსურს ტრფობის ღიმილი
რომ დარჩეს ამ გულს, სიტურფე, მარად!

ნიავს გაჰყვება გულიდან დარდი...

ქალავ, ჩამოშლილ თმების ბოლოებს,
გშვენის გვირილის სინაზე, კდემა,
ეს გული ჩემი სიცოცხლის მჩქერი,
უშენობითა დნება და კვდება.

ჩაგიკრავს ვარდი გულს, ვნებააშლილს,
სიყვარულს მისით იოკებ ქალო!
ერთს გთხოვ, ჩემსკენაც შემოტრიალდი,
გულის გიზგიზა ცეცხლო და ალო!..

შენს გულის სითბოს ვარდი აიტანს?
მას ხომ აცოცხლებს ლურჯი ცის ცრემლი!
ნეტავი ქალო, მაგ ვარდის ნაცვლად,
მე მქონდეს გული შენგან ნაცრემლი...

ნაზო ქმნილებავ, გულ საფერებლად
შობილხართ შენ და ეგ დილის ვარდი,
მოდი და გულში ჩაგიკრავ ქალო,
ნიავს გაჰყვება გულიდან დარდი.

ერთად გაშალეთ გული ჩემს გულზე,
ვარდის კოკორო რად შეჰკარ გული,
შენი ტრფობისთვის დავბადებულვარ
 არ დამიტოვო გული ჩაგრული.

თვალებს ------ ფულისთვის მცეცებელს...

არ დაიჯერო შენ მისი გული,
თუ კი ფულისთვის გარდაიქმნება,
ის მეგობრობა რაც მან შეგფიცა
ძალიან მალე გარდაიცვლება.

ფულის მანია თუ შეეყარა,
მოცემულობით იგი მგელია,
რა გინდ სიკეთის მქნელი იყავი
სულის მადანი გამოელია...

ჰაბიტუსები როგორც მოდიან,
იმავ გზით ისევ მალე ქრებიან,
მოკეთე იყავ რაც გინდა დიდი,
აღარც უნდიხარ, აღარც გელიან...

არ გაიკვირვო მასპინძლად,
შენს მიყვანილს თუ ათამადებენ,
დადგება დრო და მალე იმასაც,
შენზე მწარე წიხლს უთავაზებენ...

დრო არის ურცხვთა დიზაინერი,
რა ვუყოთ თუ კი გამოიცვლება,
გულს ნუ გაიტეხ მწარე ფიქრებით,
ყანწი ძირამდე როდი იცლება!...

ბრძენი იმ ტოტზე ასვლას არა გთხოვს,
რომელიც მას არ უსწავლებია...
საიდუმლოდაც იმ ხერხს იტოვებს
რომელიც სწორად ასასვლელია...



მირზა ვარძუკაშვილი

ამ გულმა რას არ გაუძლო...

ამ გულმა რას არ გაუძლო,
კიდევ გაუძლებს რამდენს.
მაგრამ რომც გასკდეს არასდროს,
არ უღალატებს გამჩენს.

მდუმარედ ფეთქავს რითმს ითვლის,
სიყვარულს უმღერს ჰანგებს.
ვერას დააკლებს სიკვდილი,
უკვდავებისთვის გამრჯეს.

ბევრჯერ დასწამეს მას ცილი,
ბევრჯერ შაღრიეს ნაღველს.
ვერას ჩაადენს ტკივილი,
კლდესავით არის გამძლე.

ისეა ბევრჯერ ნაცემი,
ახლაც პირით სისხლს არწყევს.
მაგრამ სიცოცხლით ნაწყემსი,
მაინც სიკეთეს გასცემს.

გულო რამდენს კი იფარავ,
სხვის თუ საკუთარ დარდებს.
მოთბენით უნდა იმარჯვა,
თუ გსურს ამაღლდე ცამდე.

და მაინც რაა ცხოვრება კაცის...

და მაინც რაა ცხოვრება კაცის,
ოქროს აგროვებს და სულ ერთობა.
ამ გართობაში დრო ისე გადის,
დანაგროვალი წამლებს ეთმობა.

სიყვარულია სიკეთე განძი,
სიტყვა და სულით ღმერთთან ერთობა.
თორემ სიკვდილი დროს არვის აცლის,
ვერცხლთ მოყვარეთაც იქ აქვთ ღრეობა.

რას დაემსგავსნენ...

რას დაემსგავსნენ ამ ქვეყნად კაცნი,
ქოფაკებს ჰგვანან პატრონზე მყეფარს.
მგონია უკვე ბოლო დგას ჟამნი,
ქადაგად იქცა უღმერთოდ ყველა.

დიდება შენდა უფალო ღმერთო,
წმინდანთა დასნო დიდება თქვენდა.
შეგინდოთ ღმერთმა ყველას ჯვარმცმელნო,
მაგრამ არ იშლით ისევე თქვენსას.

გული და გონი შურით გაქვთ სავსე,
თქვენით საუბრობს პილატეს ენა.
ცოცხალ ღმერთს გულით ისევ ჯვარს აცმევთ,
ვერ დაივიწყეთ ის ძველი წყენა.

ადამის მოდგმავ რას დაემსგავსე,
უღმერთოდ თავის დიდება გცელავს.
შველას სთხოვ ცაზე მზესა და მთვარეს,
ჰქმნი ღვთის ხატებას უფსკრულის მძევლად.

უსიყვარულოდ მხედველ თვალებში,
ჩანს უკვე თქვენში წყვდიადის მზერა.
ეძებეთ ღმერთი აქ ერთმანერთში,
თუ უკვდავებით სულის გსურთ ლხენა.

ვაი თქვენ...

ვაი თქვენ ცოდვის შვილებო,
ქვეყნის ჭამით ხართ მაძღარი.
გესმოდეთ თქვენთვის სამოძღვროდ,
ლუციფერს უდგას საყდარი.

ობოლთ ბედ იღბლით თამაშობთ,
გგონიათ თავი მართალი.
თანა გდევთ სულთა საწყემსოდ,
ეშმაკი ძველი სარქალი.

წუთის სოფელის მცნობელნო,
ლუკმის მღეჭელნო არამის.
იქ გელით მეფანდურენო,
ბნელი ძალები საკრავის.

მე შენით მსურდა...

მე შენით მსურდა ღმერთი მეხილვა,
აღმოვაჩინე დემონის კვალი.
ახლა შორსა ხარ უკვე ჩემიდან,
მე კი დავდივარ უღმერთოდ მთვრალი.

გისურვებ სად ხარ იყო კეთილად,
სიყვარულისთვის გეხილოს თვალი.
მაგ უგულობამ ცოტა შემნისლა,
მაგრამ გამხადა კლდესავით სალი.

ყოველი მოდის ქალო ზეციდან,
მე არ მიმიძღვის შენს მიმართ ბრალი.
ქარს გაატანე გრძნობა ხელიდან,
ვერ სჭვრიტე ჩემში უცეცხლო ალი.

ახლა მიცნობენ უკვე შეშლილად,
არც ვჯავრობ წასვლას ყოველი წამის.
ტკივილით გულმა ღმერთი შეიცნა,
ის მივსებს მე უკვდავების ბარძიმს.

თითქოს არ სძინავს....

თითქოს არ სძინავს კაცთ მოდგმა ფხიზლობს,
სიყვარულისთვის ხარჯვენ ქარაგმებს,
მაგრამ შურით და ღალატით ვფიქრობ,
წყვდიადით ხურვენ სულის დარაბებს.

ის რა ყოფაა ცოცხალი იყო,
თუ გულწრფელობით გული არა ძგერს.
აბა ასეთი რას მისცემს თვის ტომს,
ან სულს რას შესძენს კეთილს არაფერს.

სიცოცხლე არის გიყვარდეს გულით,
უკვდავებისთვის სთლიდე საშანდლეს.
ზეცისთვის თვალს არ მოჰკიდო რული,
გესმოდეს ღმერთი იცავს ქალაქებს.

ო როგორ ბორგავს...

ო როგორ ბორგავს დაუღალავად,
ბოროტი უკვე თვალნათლივ ხალხში.
სულებს იტაცებს დაუფარავად,
და ერეკება მათ ცეცხლის ტბაში.

ვაი რომ უკვე ჟამია ბოლო,
ქართული სისხლიც ჩუმად დუღს ძარღვში.
ასრულებს მარტო სატანა სოლოს,
ადამიანთა მძვინვარებს ტაში.

დავდივართ მასთან ამღერებულნი,
ვერას ვგებულობთ ხსნა არის რაში.
მივყვებით ურცხვად დაბნელებულნი,
არ გვსურს გალობის მოსმენა ცაში.

მზაკვართან ერთად ვთამაშობთ ფერხულს,
ვცნობთ როგორც უკვე შინაურს ხმაში.
ვცხოვრობთ ამ ქვეყნად როგორაც მას სურს,
ვერ ვამჩნევთ ცრემლებს ანგელოზთ თვალში.

ო გაჭირდება ვიცი სიცოცხლე,
წრფელ სიყვარულს თუ ერთურთის წავშლით.
არვინ იფიქროს რამეს მოასწრებს,
უღვთოდ ქართველნო ეშმაკი დაგვშლის.

ისევ გიყვარვარ?

ისევ გიყვარვარ? რატომ კითხულობ?
ან რა აზრი აქვს ამ კითხვის დასმას.
მე სიყვარულით კი არ ვხალისობ,
ეს არის ჩემთვის უსისხლოდ ჯვარცმა.

უსიყვარულოდ აბა მითხარი,
წუთის სოფელში რა ჰპოვა კაცმა.
შენ სიცოცხლეზე ხელი მიკარი,
მე უკვდავების ჯვარცმით მსურს აღქმა.

რა ნახე ნეტა ასეთი ჩემში,
ვერ დაგავიწყა სიცოცხლე ტანჯვამ.
მაგას ნუ ჯავრობ იხარე წლებში.
მე კითხვის ნიშანს გრძნობაში არ ვსვამ.

"ანდრია" ანზორ შერვაშიძე

ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲔ

მიწაზე სძინავს ყოველთა
ჟამია შუაღამისა,
მთვარეა მხოლოდ მხედველი
მათენებელი ღამისა.
გარდა მთვარისა მხოლოდ მე
ვარ შემხედვარე იმისა:
ვინ საქმეს იზამს საქებარს,
ვინ მზრუნველია თავისა.
მაღალი ბექით გადმოდგა
კაცი რამ დიდი ტანისა,
მხარზე თოფ შემოგდებული,
წელზე დანა სჩანს რვალისა.
დაღალული სჩანს ვინ იცის
გამოვლო გზები რამხელა,
აქეთ და იქით იხედავს
არა სურს თავის გამხელა.
არა იფიქროს მკითხველმა:
გულს ედვას საქმე მრუდია,
სურს ძმობილს ედგეს მსახურად,
მის მტერს გაავლოს მუსრია.
რა ბექი ჩავლო მდინარის
ესმა მრისხანე შხუილი,
შორიდან ისმის ჩანჩქერის
როგორაც მგლების ყმუილი.
მიჰმართა მდინარის ნაპირს,
გაღმა გასვლის აქვს სურვილი.
მდინარე ბობოქარობით
ირგვლივ გლეჯს და ხრავს არეთა,
სუყველას შიშის ზარსა სცემს
ვინც დადის ამა მხარესა.

მან სიბრალული არ იცის,
არცა ცრემლის აქვს რიდია,
მან იცის მხოლოდ ტირილი,
აროდესაა მშვიდია.
ცრემლად დაღვრილი მუდამჟამს
მდინარეს ვითა ფლიდია,
გულად აქვს სიპი ლოდები,
შავია ვითა ფისია.
იმ კაცმა ღამით მავალმა
გზა შეიმოკლა სავალი;
წყალში შეტოპა, ამ საქმის
არ იყო მქნელი მრავალი.
წყალი გადავლო მდინარის
არად ჩააგდო ღრიალი,
გაღმა ნაპირზე გაცურა,
ყელში აღმოხდა ხრიალი.
ვაჰმეო – ამოიქშინა,
ამოისუნთქა შვებითა,
გაღმა მშვიდობით გავიდა
წმინდა სამების ნებითა.
ბევრი იარა უცნობმა,
გავლო მრავალი ხევია,
გაისმა მამლის ყივილი
ცა გახდა მტრედის ფერია.

* *

შორით გამოჩნდა სოფელი,
ირგვლივ არტყია მთანია,
ცალგვერდს უმშვენებს მდინარე
როგორც ქალის მხრებს თმანია.
თავს დასდგომიან კლდეები
პირდარდიანი სახითა,
უფრო წარმტაცი სურათი
არსად მინახავს თვალითა.
კლდეზე გადმოსჩქეფს ჩანჩქერი,
თავქვე ეშვება ჩხრიალით,
ზემოთ არწივი დაფრინავს
ფრთების ფარფატით, შრიალით.
კლდის ფერდზე ჯიხვთა ჯოგები
გვერდებს ითბობენ აისით,
ხარჯიხვი ჯიხვთა ბელადი
თვალყურს ადევნებს ხალისით.
წამით კლდის წვერზე იელვა
ოქროს თმამ ლამაზ ქალისა,
როგორც ჩანს ჯოგი ყოფილა;
ნადირთ მფარველი დალისა.

სოფლის ნაპირას სახლი დგას,
ლამაზი, მაღალ ჭერითა,
გვერდით კოშკ უდგას მტკიცედა
მაღალი თეთრი ფერისა,
გალავანი აქვს მორტყმული
ნაგები სიპი ქვებითა,
თათრის ჯარიც რომ დაეცეს
შიგ დაისვენებ შვებითა.
ვერას დააკლებს ორგული
მასზე მისული ვერასა,
კოშკისა სათოფურები
ირგვლივ დაჰყურებს ყველასა.
ვერ დაემალვის მტრის გული
კოშკით გასროლილ ტყვიასა,
ანუ თუ მიხვალ ძმურადა
ფეხთ დაგიფენენ იასა.
სახლს მაღალი აქვს ზედ ბანი,
გადმომზირალი მზისაკენ,
დასავლით ტყისკენ იხედავს,
აღმსავლეთით მთისაკენ.
რა სახლთან მიდგა სტუმარი
ხმამაღლა იწყო ძახილი,
მის ხმაზე ზე-წამოიჭრა
იქვე მწოლარე ნახირი.
აქეთ-იქიდან ქოფაკნი
აყეფდნენ მქისე ღრენითა,
ეტყობა ორგულად მოსულს
არ დახვდებიან ლხენითა.
ბანით გადმოდგა დიაცი,
მაღალი ფერად მკრთალია,
ისეთი ლამაზი არი
ღმერთი თუ ჰყავდა ნათლია.
რა ბანით გადმოიხედა
*ლილემ სხივები დამალა,
მნათობმა შემოიხვია
ირგვლივ სხივების ამალა.
ფრინველთაც ენა გაკმინდეს,
ტყემაც შეწყვიტა შრიალი,
აღარსაიდან ისმოდა
არწივთა ფრთების ფრიალი.
ირგვლივ ყოველი დადუმდა
როგორაც ბალღი მძინარი,
სამყაროს შუქი ეფინა
ქალის თვალთაგან მდინარი.
ქალის სინაზის მნახველმა
კლდეებმაც თავი დახარეს,
ერთურთსაც გადაეძახნენ
ეს სასწაული ახარეს.

რა დაბლა გადმოიხედა
ნაწნავნი გადმოეშალა,
მისი წამწამთა ჩრდილები
მწვერვალებს გადაეფარა.
სტუმარმა კვლავ შემოსძახა,
დიდხანს არ მდგარა მდუმარი,
თოფის ტუჩზეა დაყრდნობით,
წელზე დანა აქვსუხმარი
მგონი ტარი აქვს ვაცის რქის
ადვილად ხელში საჭერი,
ისე წკრიალებს მგონია:
**შავხანის ხელით ნაჭედი.
[უცნობი ქალს]
---– მოგესალმები სალომე
დიაცო ლამაზ სახისა,
მიხმე და მეც უმალ მოველ
ძახილზე ჩემი რძალისა.
მივიღე შენი უსტარი;
მონაწერები შენია,
მწერდი რომ: "ჩემსა ძმად ნაფიცს
მოკვლას უპირებს მტერია."
ახლა აქავარ მითხარი
რა საფრთხე ელის გიგასა,
მოვძებნი უმალ მოვაშთობ
გიგას ვნება სურს ვისაცა.
[ქალი უცნობს]
---– შენ გაგიმარჯოს კვირიკე
ვაჟკაცო იმედიანო,
თავდადებულო მოყვრისთვის,
მტრისათვის შუბ-ისრიანო.
შემოდი შიგნით ძვირფასო
ნუღარ იძახი შორითა,
ვინძლო უშველო ჩემ ქმარსა,
შენი გარჯით და შრომითა.
რა ესე უთხრა გალავნის
კარი გაუღო რკინისა,
ურდული გადაუწია
დახშული იყო იმითა.
კვლავ მიესალმნენ ერთმანეთს
მოკრძალებული კოცნითა,
შემდეგ დიაცმა დაიწყო
ამბის მოყოლა ოხვრითა.
---– ერთს შუაღამეს გაისმა;
მქისე ჩხერება რვალისა,
სიბნელე უფრო გამუქდა
დამბრმავებელი თვალისა,
შემოდგა რაღაც არსება
მე ვარ მნახველი იმისა,

არ იყო ადამის ჯიშის,
თუ გსურს გიმტკიცო ფიცითა.
ვერა გავიგე რა იყო;
დევი იყო თუ ქაჯია,
აიყოლია გიგაი
და წაიყვანა მთაშია.
უთხრა: "მე ვარო ამ ქვეყნად
მცოდნე ყოველის გრძნებისა,
ერთსა გთხოვ: ხშირად იყავი
დამრღვევი ქრისტერ მცნებისა.
ბევრი მაქვს ოქრო და ვერცხლი,
მაქვს უთვალავი ფულიო,
ამქვეყნად ყველაფერს მოგცემ,
იმ ქვეყნად მომეც სულიო."
იცოდე შენი ძმობილი
აღმოჩნდა მეტად ხარბია;
მყისვე ადგა და მორჩილად
გაჰყვა ვით ლაბა ხარია.
კვირიკემ რა მოისმინა
ქალის თხრობილი ყოველი,
პირჯვარ ისახა, წამოდგა
თვალთაგან ცრემლის მთოველი.

* * *

ცა მოიქუფრა, ღრუბლებმა
დაიწყეს ავად ტრიალი,
ელვამ გაბზარა ცის თაღი,
გაისმა მეხის გრიალი,
წვიმა და სეტყვა ერთადა
ციდან გადმოსკდა მიწაზე,
***ვობი ბობოქრობს მეხით სურს;
მიწის გახევა შუაზე.
ქარი გაჰკივის ხევებში
როგორც შვილმკვდარი მშობელი,
არაფერს ინდობს უგულო
ყველაფრის დამამხობელი.
წყალი მოჟონავს ყოველმხრივ,
მოაქვს ლოდები კლდისანი,
მოანგრევს კლდესა და ხესა
უკალაპოტოდ მდინარი.
აშფოთდა მთელი სამყარო,
სიკეთის არ ჩანს კვალია,
ჯოჯოხეთიდან დაგვეცა
თითქოს ეშმაკთა ჯარია.
კვირიკემ ფეხს აუჩქარა,
შორი გზა უდევს სავალი,
იცის რომ ტანჯვა ასეთი
ჯერაც წინ უდევს მრავალი.

რას იზამს თავის მეგობარს
ვერ ტოვებს განსაცდელშია;
როგორღა უნდა შეხედოს
თავის თავს ანარეკლშია?
ყვავ, ყორან, სვავთა სიმრავლით
დაფარეს ცათა კიდენი,
გაკვირვებული შეჰყურებს
საიდან გაჩნდა ამდენი?
სიმრავლე ლეშის მჭამელთა
ნიშნად მიიღო ავისა,
მაგრამ იცის რომ თან მისდევს
ლოცვა-კურთხევა ქალისა.
დელგმაა ისევ სასტიკი,
მაღლიდან ჩამოშხუოდა,
ქარი ბობოქრობს ყოველმხრივ
მგელივით შემოჰყმუოდა.

* * * *

****ფაშგის მთის წვერზე დალანდა
იმ ადგილს ქვია: *****ყუმბირი,
ლანდი რამ ნელა ქანავდა,
თითქოს ზედ ეცვა მუნდირი.
კვირიკემ გეზი აიღო,
თან აუჩქარა ფეხებსა,
ქარი მთათ ამონასუნთქი
დაბლა ჩაჰკივის ხევებსა.
მაღლიდან კლდენი პირქუშნი
გადმოჰყურებენ არეთა,
მათ ფეხქვეშ არის გართხმული
მთაბარი ამა მხარეთა.
კვირიკე შედგა ყუმბირზე
იქ დახვდა ავი სულია,
მსგავსი არა-რა უნახავს
მთელ ქვეყანაზე უვლია.
სახე შავი აქვს ფისივით,
თუმც ლამაზი აქვს ნაკვთები,
გამხდარი არის მეტადა
ჩანს ცუდად არის ნაკვები.
თვალებში ცეცხლი უელავს,
ხმა აქვს როგორღაც მქშინავი,
ქვეყნად ყოველი შედრკება
კაცი ამ რასის მხილავი.
რა დაინახა კვირიკე
მყისვე ხმა გასცა მღრინავი,
ხელები ფართოდ გაშალა
მკლავები გულგამყინავი.

[ეშმაკი კვირიკეს]
--– მოგესალმები მოკვდავო
შეგიქებ გაბედულობას,
ძალ-ღონეც გერჩის გეტყობა
კარგი გაქვს აგებულება.
შენფერი ხალხი მჭირდება,
ჩემი ნებისა მქნელიო,
ამ ქვეყნად გავაბატონო
სიკეთის სულის მხდელიო.
[კვირიკე ეშმაკს]
--– წყეულიმც იყავ ბინძურო
სამების ძალა-მადლითა,
გსურს შენს მეგობრად მიმიღო
რა გინდა მითხრა ამითა?
მე შენი არა მინდა რა,
ჩემი მომეცი უკანვე
მეგობარს თან გავიყოლებ
და მოგშორდები უმალვე.
ეშმაკმა უთხრა: ნუ ხარო
ჩემს მიმართ ეგრე მქისია,
ვინაც ჩემთან დებს თანხმობას
ქვეყნად მეფობა მისია.
მე ძალით ვერაფერს მოგცემ,
ვეღარც წაგართმევ ვერასა;
კაცს რო ტირილი უნდოდეს
ვერ აიძულებ მღერასა.
მე მხოლოდ შემოგთავაზებ
სიხარულსა და ლხენასა,
თუ ჩემი არ გწამს გაჰყევი
შენი გრძნობების ნებასა.
შენს მეგობარს კი ვერ დავთმობ
გამომყვა ნებით თავისა,
ილუზიებით იცხოვრებს,
იქნება მქნელი ავისა,
ბევრსაც მოილხენს მიწაზე
გამლაღებელი ლეშისა,
ბევრს აატირებს ამ ქვეყნად
ფერს რო დაიდებს მგელისა.
მე ძალით არავის ვღუპავ,
არც ვის ვეპყრობი ავადა,
კაცის ადგომა-დაჯდომის
მიზეზი არის თავადა.
ხშირად ზღვის ღელვას მაგონებს
კაცის გული და გონია;
დაჰბერავს სიხარბის ქარი
არსაით უჩანს ფონია,
გულისა ნაცვლად ქვას იდებს
თითქოს არც როდის ჰქონია,
ჩემზედაც მეტად ბოროტობს
თავი წმინდანი მგონია.
მე ვერას ვერჩი კეთილსა
ვეროდეს უზამ ზიანსა,
ჩემგან თუ ვინმეს რამ ევნო
თავი თვით დაიზიანა.
[კვირიკე ეშმაკს]
--– შენ ვერ დაგითმობ მეგობარს
ბნელეთის ძალთა მფლობელო,
მხოლოდ სუსტ კაცთა გულებში
სიკეთის დამამხობელო.
ტყულა ირჯები მაცდურო,
ტყუილად იღლი ენასა,
შენი სიტყვებით ვერ შეცვლი
ჩემს თავში ფიქრთა დენასა.
ვერაფრით დამიყოლიებ,
ვერ შემიძვრები თავშია,
ცნებას ვერ შემაცვლევინებ
ღვთის მადლის მარტყავს არშია.
მე შენი შიში არამაქვს,
მე მიცავს ჩემივ ბუნება;
სიკეთის ქმნისა სურვილი
ღვთის თვალში აროს ხუნდება.
თუნდაც რომ მოვკვდე ბრძოლაში;
შენგან მის დახსნის ცდაშია,
არაფრად მიღირს ადგილი
ჩემი იქნება ცაშია.
ეშმა შეკრთა და შეცბუნდა,
თითქოს საფრთხე რამ დალანდა,
შიშ ნაკრავ აღელვებულის
თვალებში ცეცხლი აალდა.
ადამიანის სიკეთის
წინაშე იგრძნო სისუსტე,
ვერაფრით აამუშავა
მის დამღუპველი სიმუხთლე.
[ეშმაკი კვირიკეს]
--– თუ სიკვდილიგსურს მოკვდები,
ვეღარა გიხსნის ვერა-რა,
ჩემი რისხვა და სიბრაზე
თავს დაგატყდება მეხადა.
ვინახარ რა ძალა გმართავს?
რისგან ხარ ნაგებ-ნაშენი?
უშიშრობა და სიმტკიცე
საიდანაგაქვს ამდენი?
არა ხარბდები ქონებას,
არც მეფობის ხარ მსურველი,
ან მეტად გონიერი ხარ
ან ასჯერ მეტად სულელი.

სხვისათვის თავის გაწირვის
ნიჭი ვინ მოგცა ურყევი,
ხელთ იარაღად გიჭირავს
როგორც მახვილი უდრეკი.
ვეღარ მიუხვალ შენს დედას
ცოცხალი ვერცა მკვდარიო,
შენს მშობელს-გამზრდელს ერჩივნა
რომ გაეზარდე მხდალიო.
ესე რა უთხრა შებრუნდა,
გადიქცა ნისლად შავადა,
თითქოს ნიავმა დაჰბერა
კლდეთა პირიქით გავარდა.

* * * * *

ფაშგის ყუმბირის მთას იქით
იალაღია მთიანი,
******ევას კალთასა უხმობენ
მცხოვრებნი ამამხრისანი.
კვირიკემ იმ მხარეს ნახა;
რაღაცა ძლიერ ელავდა,
ღვთის მადლით იყო მოსილი
მაინც ძლიერა ღელავდა.
გეზი იქითკენ აიღო,
იქითკენ წადგა ბიჯია,
მეგობარს უნდა უშველოს
მტერიც რომ დახვდეს ფიცხია.
ვერ შეაშინებს მტრის ძალა,
ვეღარც ხრიკი და ხერხია,
სანამ გონება მუშაობს
ერჩის ხელი და ფეხია.
რა შედგა ევას კალთაზე
იქ ნახა კაცი მხედარი,
შავ ბედაურზე შემჯდარი,
ტანთ ეცვა ოქროს ბექთარი.
ხელთ ეპყრა ოქროს მათრახი,
ოქროსვე ება დეზები,
ოქროს უზანგში შეეყო
ოქროთ მოსილი ფეხები.
წელზე აქვს ოქროს მახვილი
ალმასის ბრწყინავს ტარია,
ბრილიანტებით მოსილი
მხარზე ჰკიდია ფარია.
თავს მუზარადი ახურავს
ლაპლაპებს წმინდა ბაჯაღლო,
კვირიკე პირჯვარს ისახავს
"ეს რა ხილვაა მაღალო?"
მხედარმა ცხენსა მათრახი
გადაუჭირა მწარია,
ხმლითა მიჰმართა კვირიკეს,
თან აიფარა ფარია,
თანაც შესძახა ხმამაღლა,
მგვრგვინავი ხმითა თავისა,
კვირიკე გაოცებული
შედგა მხილველი ამისა.
[მხედარი კვირიკეს]
--- ვინახარ? საიდან მოხველ?
ან რა საქმე გაქვს ჩემთანა?
გინდა რომ თვითონ ჩაიგდო
ჩემი სიმდიდრე ხელადა?
ეხლავე წადი აქედან,
თუარა აგქნი წამსაო,
ისე მოგკვეთავ კისერსა
ერთს ვერ გაიღებ ხმასაო.
კვირიკეს ხმა ეცნაურა
და ამოიცნო გიგაი,
იფიქრა: "მორჩა, დამთავრდა
მიღწეულია მიზანი."
შესძახა: მე ვარ ჩემო ძმავ,
შენს დასახსნელად მოსული
თვალს რად არ ახელ კარგადა?
რად გეჩვენები ორგული?
გიგასა თითქოს ნათქვამი
პირიქით ესმა მისია;
--- ყაჩაღო ვისთან მოსულხარ
ქონება გინდა ვისია?
ხმალ ამოწვდილმა მიჰმართა
კვირიკეს გასაგმირადა,
ძმობილს ვერაცნობს არ აგდებს
არც კაცად არცა ვირადა.
კვირიკემ გვერდზე მიაგდო
თავისი თოფი ავადა;
--- ამდენი ტანჯვა წამება
არ გამივლია ამადა.
ძმობილს ვებრძოლო, ვეომო,
სისხლი ვადინო რაღადა?
თუ გამიმეტებ მომკალი
და ცოდვა იდე თავადა.
ეს თქვა და ჯვარსა ემთხვია
ნათლობის ჯვარსა თავისა,
განსაცდელის ჟამს მფარველსა
და ამცილებელს ავისა.
ავად იელვა მახვილმა,
ოქრომ გაიღო წივილი,
ძმამ გაიმეტა თვისი ძმა
გვიანი არის ჩივილი.

მაგრამ უფალი მუდამ ჟამს
არის მართალთა მფარველი,
იმისი სასწაულების
ბევრჯერ გავმხდარვარ მნახველი.
კვირიკეს მკერდზე მახვილი
ჯვარს მოხვდა იყო რკინისა,
ჩქამი გაიღო და წვერი
გადაიღუნა იმისა.
ჯვარმა მახვილი ასხლიტა,
გულს ააცდინა ტიალი,
გიგა გაოცდა შეჰყურებს
"როგორ ამიცდა მიზანი?"
მახვილმა მკლავი გაგლიჯა
მარცხენა, გულის მხარისა,
კვირიკეს არცკი უცდია
ხმარება რამე ფარისა,
ჭრილობამ პირი დააღო,
სისხლი გადმოსკდა ჩქეფითა,
გიგამ მახვილი დააგდო
თითქოს გაშეშდა მხედარი,
ცამ გაიხადა პირბადე
სხივნი გამოჩდნენ მზისანი.
გიგას გონება მოეცა
რა სისხლი ნახა ძმისანი,
ჯადო მოეხსნა ქაჯისა,
თავით გადიძრო ზარადი.
თავისი ძმა-ფიცი იცნო,
მეხებრ დაეცა თავზარი.

* * * * * *

დილით მზის სხივმა დაადგა
ოქროს გვირგვინი მთებსაო,
ნახირი შემოესია
იალაღების მხრებსაო.
სიო ფოთლებში ჩურჩულით
ამბავს ყვებოდა ძველსაო,
მინდვრის ყვავილნი სიმორცხვით
წითელს იდებენ ფერსაო.
ისმოდა აქეთ-იქიდან
ჩიტთა კვნესა და გალობა,
ნაკადულების რაკრაკი
თავპირქვე ხტომა ლაღობა.
სოფლის ნაპირა სახლისა
ეზოდან ბოლი დიოდა,
ნაკვერჩხალებზე შედგმული
ჯიხვის მწვადები შხიოდა,
კოცონის პირას დამჯდარა
კვირიკე მკლავ დაკოდილი,
გიგა კი თავს დასტრიალებს
ჭრილობას უხვევს ძმობილი.
"ეს რა ვქენიო --- იძახის
--- როგორ დამეხშო გონიო,
კინაღამ ისე დაგკალი
ვით საკალანდე ღორიო."
კვირიკე ამბობს --- "არ მტკივა,
არც მიჭირს ნუღარ ტირიო
ჩავლილ საქმეზე, წარსულზე
რა აზრი აქვს რომ ჩივიო?"
ამ დროს გამოჩნდა სალომე
პური მოჰქონდა სინითა,
ცალ ხელში დოქი ეჭირა
რახი მოჰქონდა იმითა.
მადლსა სწირავდნენ მაღალ ღმერთს
დამცველს და მფარველს კაცისა,
გულგრილი ვერ დარჩებოდა
კაცი მხილველი ამისა.
იქვე ჩამოსხდნენ ხის ძირას
მთელი სამყარო ხარობდა,
სალომე გვერდს უმშვენებდათ
სილამაზითა ყვაოდა.
. . . . . .
მთის შევარდენი ცაზედა
წრეებს ხაზავდა კიოდა,
ახლაც ხომ საკბილოს ეძებს
მაშინაც ძლიერ შიოდა.

----- ----- -----

*ლილე-მზის ღვთაება სვანურ მითოლოგიაში.
**შავხანი-მჭედლობის ღმერთი სვანურ მითოლოგიაში.
***ვობი-ჭექაქუხილის, მეხთამტეხი ღმერთი სვანურ მითოლოგიაში.
****ფაშგ-სვანეთში თეთნულდის მთის ერთერთი ნაწილი, ტერიტორიის სახელი.
*****ყუმბირ-სახელი ერთერთი მაღალი გორაკისა რომელიც ფაშგის ტერიტორიაზეა.
******ევაა კალთაი-სვანეთში თეთნულდის მთის ერთერთი ნაწილი, ტერიტორიის სახელი.



ბესო ჩუბინიძე

ლექსო გამიშვი

ლექსო მიმიშვი, უაღვირო წითელ მუსტანგად,
თავი მანებე, გადამჩეხე ქარაფს დაჭრილი
და კლდის ქიმებზე მიმატოვე, ხელი გამიშვი,
ფრთამოტეხილი მე არწივი ცაში აჭრილი.

ლექსო, მანებე თავი ჩემდა მოძულებული,
დამტიე მარტოდ, ფიქრთან ჩემთან დარდით ეული,
არაგვის წყალში გადმისროლე ცრემლმორეული
და მიმატოვე გაყინული, ჯვრის ქვეშ რჩეული.

ლექსო, შემეშვი გზად მიმავალს ნუღარ მაჩერებ,
მე სიკვდილისკენ დაჯავშნული მეპყრა ბილეთი,
ჩემი გულისთვის დედამიწას ნუ გააჩერებ,
ისედაც ჩავალ, არ იდარდებს ხალხი მილეთი.

ლექსო შემეშვი, დამასვენე დაჭრილი ლომი,
ფაფარდამწვარი და ბრძოლაში დამარცხებული,
მე ხომ ვიომე ჩემი წილი ცხოვრების ომი,
ახლა გამიშვი, ნუ მაცოცხლებ ლახვარცხებული.

ლექსო, ამჩეხე, ბევრ ქარიშხალ გატანალი,
მუხად მოსული, დღეს ფესვებში გამოლპობილი,
წამაქციე და ნაჯახი დამცხე, მე ვერ ვივარგე
აქ ჯვრის ნატვრის ხედ გამოწყობილი.

ლექსო, გამიშვი იქნებ მელიან,
იქნებ იქ მაინც არის ადგილი,
აქ, სტუმრად მოსულს მომეკვეთა თვალი ნატირი,
შენ რა გგონია ასე ძნელია, ფრთები გავშალო
არის ადვილი,
ლექსო გამიშვი, ჯოჯოხეთს სტუმრად და
აასრულე სულის წადილი.

ლექსო, შემეშვი... ფიროსმანად დამტიე მარტო,
მე ხომ დავხატე ჩემი წილი ცხოვრების ტილო,
ახლა გამიშვი, მოუბრუნებლად არც იქ მელიან...
და ეპილოგად მათქმევინე – ბოდიში შვილო!!!

შენ უსახელო სიყვარული ხარ

შენ, იცი რა ხარ? – შენ, ჩემი ცა ხარ!
შენ, იცი რა ხარ? – შენ, ჩემი ზღვა ხარ!
შენ, იცი რა ხარ? – შენ ჩემი მთა ხარ!
შენ, იცი რა ხარ? – ჩემი ფიქრი ხარ

ფიქრი, ლამაზი, ღამის თენება,
აწყვეტილ რაშზე ვნების ჭენება,
გალაკტიონის მთვარის მშვენება,
გაგიტაცებდი მქონდეს მე ნება.

შენ, უსახელო სიყვარული ხარ,
სიზმრად მოსული აისის შიშით,
შენ ცხელ ზაფხულში მოსულო თოვლად,
ხარ შემოსილი, დიდების ნიშით!

შენ, იცი რა ხარ? – ფიქრი ხარ ჩემი,
ფიქრნი მტკვრის პირას, არაგვის თავზედ,
შენ, იცი რა ხარ? – ჯვრიდან ნახული
სვეტიცხოველის ჯვარი, ხახული...

შენ აწყვეტილი თეთრი რაში ხარ,
შენ ირემი ხარ, ტყეში ლამაზი,
დედა მგელი ხარ, დარაჯი შვილის,
დაჭრილი, მაგრამ მაინც გავაზი.

შენ, უსახელო სიყვარული ხარ,
ქარად მოსული, ამ გულის ჩიხში,
შენ, გაფრენილი ორეული ხარ
ქარად ჩასული ტყეებში, ლიხში.

შენ, იცი რა ხარ? შენ სასჯელი ხარ,
შენ, ჯალათი ხარ, ამ გულის მკვლელი,
შენ, უსახელო სიყვარული ხარ,
შენ ხატი ხარ და მე კი სანთელი...

შენ, უსახელო სიყვარული ხარ!!!

მერე იტყვიან . . .

მერე იტყვიან, ჰო – დამიჯერეთ, ეს ზუსტად ვიცი. . .
მერე იტყვიან, მხოლოდ მერე დაღვრიან ცრემლებს,
მერე იტყვიან, – მაშ, რაღატო მან დადო ფიცი
და რაღატო მისტიროდა მთაწმინდაზე პოეტს და მწერლებს?

მერე იტყვიან, ოჰ – რა კაცი, რა მედგარი და რა ვაჟკაცი,
მერე იტყვიან, ოჰ – დავკარგეთ ჩვენ ფიროსმანი,
მერე იტყვიან, ეჰ – სად გვქონდა ნეტარამც თვალნი
ეჰ, ნეტა რატომ მას ავკიდეთ ცხოვრების ვალნი.

მერე იტყვიან, იტყვიან და მხოლოდ სიტყვათა სიო
ბაგეთაგან ყალბი ყალიბის გამოსროლილ ტყვიათა მსგავსი,
დაუბერავს, და მხოლოდ ცოტას თუ შეურხევს აწეწილ კულულს,
ჰო, მხოლოდ ცოტას, ან ვინ იცის არამც კი, არვის, არავის მსგავსი.

მერე იტყვიან. . . ან კი, იტყვიან?
რად გაიმეტა საკუთარი თავისთვის ფარსი,
და ქარაფიდან გადაფრენილ დაჭრილ ჯიხვობას,
რატომ არჩია აღარ შეერგო სიცოცხლის არსი?

მერე იტყვიან, – დიდი ყოფილა ის სიცოცხლეში,
მერე იტყვიან, ეჰ – სათანადოდ ვერ დავაფასეთ,
მერე იტყვიან, ჰო – ეს, ის არ იყო? სიყვარულით მდუმარედ მწველი
როგორც სანთელი სამებაში ჩამქრალი ნელი. . .

მერე იტყვიან, ეჰ – რას გრძნობდა ის უბედური,
და არ იციან ბედნიერად გალეულ დღეთა ხიბლი და არსი,
და ნეტავ რატომ, ამ კომედიის ტრაგიკულმა გმირმა ჭაბუკმა,
რად ითამაშა ასე ლამაზად, მწარე ცხოვრების ეს დიდი ფარსი?

მერე იტყვიან. . . ან კი, იტყვიან?

არა და ჰო. . .

არა – არ გატყუებ, არ მოგიკლავ ოცნების
მტრედებს,
არა – არ გაგიშვებ, გულის საკნებიდან,
არა – არ მოვუსმენ მოსისინე გრძელყელა გედებს,
არა – არ გიობლებ ფიქრის შვილს აკვნებიდან.

ჰო – მე ბაგეს ბაგეს მოგაწებებ,
ჰო – ნუ აღელდები სითბოდ მეხდაკრული,
ჰო – ნუ გამიკვირვებ პირველ სიყვარულად,
ჰო – ნუ შეგაშინებს უსახელოდ მდგარი
გული.

არა – ბოქლომს არ ვხსნი ცხრაკლიტულ
სასახლეებს,
არა – ქუდს არ ვიწვავ, ქურდი სიყვარულის,
არა – არ წაგართმევ გულის სადარდებელს,
არა – არ გიკრძალავ ხატვას, ვნების, რულის.

ჰო – მე სიზამრი ვარ, შენთვის მოპარული,
ჰო – მე მოჩვენების, ვნების ფურცელი ვარ,
ჰო – და ნუ გამიშვებ, გულში ჩამიკარი,
ჰო – და ვნების ცეცხლთან
ფარად ამიკარი.

გამიშვით - მე დღეს მარტომ უნდა მოვიგო ომი,
გამიშვით - მარტო, გამიშვით მარტო, ჰოო მარტო...
ან სად გინახავთ, დამარცხებულა უფაფრო ლომი?!
გამიშვით - მარტომ უნდა მოვიგო მე დღეს ეს ომი!

გამიშვით - მე დღეს უნდა დავთესო ნამი,
გამიშვით - მე დღეს უნდა გაჩუქოთ წამი,
გამიშვით - მარტო... გამიშვით კენტად,
ანდა მაყარეთ - ტალახი, ლამი...

გამიშვით - მე დღეს უნდა გაჩუქოთ წვიმა
გამიშვით - მე დღეს ღმერთთან უნდა მივიდე მარტო,
გამიშვით - ცაზე უნდა დავხატო წვეთი
გამიშვით - რატომ მაჩერებთ, რატომ?!

გამიშვით - უნდობლობა მინდა დავმარხო,
ქართველს ქართველი შევაყვარო მე უნდა,
გამიშვით - გამიშვით, რომ აღარ გნახოთ
გამიშვით, ომი მოვიგო დროულად უნდა!

გამიშვით, ნუ მიცოდებთ, ნუ განაღვლებთ - გამიშვით მეთქი,
სისხლი გამიშრა, ნუ მაჩერებთ ცოცხალ გვამს, გამიშვით მეთქი,
გამიშვით ვყვირი, ჰო - არ გესმით მე ვყვირი, ვყვირი -
გამიშვით - ომი უნდა მოვიგო გესმიიით - გამიშვით მეთქი!

გემუდარებით - ტამიშელ ძმებთან გამიშვით მეთქი
გამიშვით მეთქი, შინდისელ ძმებთან გამიშვით მეთქი,
არავის გესმით?! ეჰეეე ქართველნო - ომში გამიშვით,
ნუ გეცოდებით, ნუ განაღვლებთ - გამიშვით მეთქი!

მიხეილ, რუსლან, ფელიქს, ემზარი,
ნიკა, ილია, ირაკლი, ვეფხო,
ერთად ჩამოვკრათ ძმებო ეგ ზარი
თქვენთან მომიშვით ვაჟკაცო ვეფხვნო!

ზვიად, ალეკო, კახა, ჰეეე - ბაჩოოოოო...
ლევან, ილია, რომან, მარლენი,
თემოოო - ბიჭებო... მომიშვით თქვენთან,
მარტომღა უნდა მოვიგო, მე თქვენი ომი!

გამიშვით - მე დღეს მარტომ უნდა მოვიგო ომი,
გამიშვით - მარტო, გამიშვით მარტო, ჰოო მარტო...!

ბესო ჩუბინიძე

მე არ მოვკვდები...

მოვა დრო, – წავალ...
იქ, საიდანაც ვერ დავბრუნდები
თუკი გიყვარვარ, შენ მაპატიე,
დანაშაული არდაბრუნების!

მოვა დრო, – გარდავიცვლები...
მე არასოდეს, არასოდეს მოვკვდები ვიცი,
მე სხვაგან, სხვაში, სხვანაირად დაგიბრუნდები
სიცოცხლეშივე მოგეცი ფიცი.

მოვა დრო, – ჩემზე დაგცვივა ცრემლი,
მაშინ, მე როცა აღარ ვიქნები,
გული გალღვება, ეგ გული გრდემლი,
გაგიტაცებენ ჩემზე ფიქრები.

მოვა დრო, – სხვაგან, სხვაში, სხვანაირად
მოგევლინები,
მხოლოდ თვალებით თუ მიცნობ მაშინ,
იცოდე – მე არა ვკვდები, გარდავიცვლები...
შენ ეს გახსოვდეს, მერე და მაშინ!

როცა მე წავალ, უკვდავი არ ვარ,
დამრჩები ოქროდ, ვერცხლად და ქარვად
და გაიხსენე – ოდესღაც, მერე,
რომ მე ვიყავი მაგ გულის მპარვლად.

მოვა დრო, – წავალ...
იქ, საიდანაც ვერ დავბრუნდები,
თუკი გიყვარვარ, შენ მაპატიებ,
ამ დანაშაულს არდაბრუნების..!

გვანცა პაატაშვილი

მიმოზები

თუ დაინახავ დამჭკნარ მიმოზებს,
თუ შეგაშინებს დროთა სიმოკლე,
დღეს შეიგრძენი ყველა შეგრძნება!
დღევანდელი დღით სცადე სიცოცხლე.
თუ მომავალი მკრთალად გირეკლავს,
თუ თვალში ხედავ მხოლოდ მირაჟებს,
დღეს აისრულე ყოველი ნატვრა!
ყველა ოცნებას ხელით შეეხე!
თუ უიმედო იმედს დაეძებ,
თუ სიხარული შემოგელია,
დღეს ჩაიდინე ყველა სიგიჟე!
დღევანდელი დღე მხოლოდ ერთია!

* * *

შაორის სინესტე ჩემს სურნელს მოგპარავს,
მდინარის სილაღე აგირევს გონებას,
მე კი შენს მაისურს ვიხუტებ ხარბად და
მაგიჟებს ბუნების ჩემთან შებრძოლება.
მაგ მთებში რა დაგრჩა ძვირფასო ასეთი,
რომ ჩემს კუთვნილ დღეებს მის გულში ატარებ?!
თავზეხელაღებით გაცდუნებს სამყარო
და ეგ ჩანჩქერებიც მის ჭკვაზე გატარებს.
მხრებით მიიხუტებ ღამით სველ ბალახებს,
თითქოს ხელს გაიწვდენ და ზეცას შესწვდები,
ნამთვრალევ თვალებში აუშვებ ოცნებებს
და ცხადი სურვილით მხრებზე შემეხები.
მჭიდროდ მოგეკვრება ბუნება სიგრილით,
კარავში სიჩუმის დაგიფენს სიამეს
და მაშინ როდესაც იფიქრებს მაჯობა
ათასი სურვილით ჩემს ყოფნას ინატრებ.

მამას...

ჩემი ფესვი ხარ
ულპობი ფესვი,
შენ ძირზე სამი ვაზვი ვყვავილობთ,
შენი სიცოცხლით კვებავ ჩვენს იმედს...
ათი ათასად უნდა გაქციოთ.
ჩემი კერა ხარ,
უქრობი ცეცხლით,
შენს ფიქრებზე ვართ ამოკემსილი,
შენი ზურგი კვლავ ჩვენს ქარებს ებრძვის,
ჩემი ფარი ხარ და ჩემი ღმერთიც...
ჩემი სახლი ხარ,
ურყევი სახლი,
მაგ შენს ეზოში სამი ვყვავილობთ,
გთხოვ დამიბერდე ღრმა სიბერემდე
ათი ათასად უნდა გაქციოთ...

* * *

მე შენ მიყვარხარ და მერე ზეცა
და მერე მე ვგრძნობ რომ ვეღარ გიტევ...
მაისში ვწნავდი, ვით ყაყაჩოებს,
მზერაში ალერსს და ასე გიწვევ.
მე შენ მიყვარხარ და მერე ფრთები,
აბა უშენოდ რა მინდა მზესთან?..
მაისი იწვის წელს შობილს მზეში,
მე შენ გაბრალებებ ხანძარს ვით ღმერთკაცს...
დავსერე შორი გომბორის გზები,
სხეულს სული და გონება უსწრებს,
ვყვირი, ათასგზის შემკრთალი ხმებით
მინდა მომისწრო, სანამდის გიწვევ...
მე შენ მიყვარხარ და მერე ზღვები
ჩვენს შორის უფრო მდინარე ბორგავს,
მოდი! მომხვიე ძლიერი ხელი,
ხომ იცი, გელი, გელი ვით ღმერთკაცს...

მზერით გათქმული

დამფრთხალი მზერა დაეძებს სიტყვებს
და უნუგეშოდ შიშვლდება სული,
ყველა ფარული, რაც სიტყვამ მალა
ვიპოვე, მზერით გადმობნეული.
ხედვა დაეძებს გზას უკან წასვლის
და წამწამებში სისუსტეს მალავს,
მაგრამ თვალთაგან გაცხებული,
ვეღარ იპოვის ვერსად შესაფარს.
სიტყვების შეცვლა იქცა მარტივად,
თამაშის წესებს ჩვენ თვითონ ვადგენთ,
მაგრამ მზერისგან გათქმული აზრი
ჩვენს ყველა თამაშს ერთბაშად აგებს.

* * *

გორისციხესთან ყაყაჩოსფერი სისხლის წვეთები
დაღვრილია და ცხელი ორთქლი ნისლად ასვლია
ზურგზე შემოდგნენ გასატეხად ჩემს საქართველოს
მაგრამ ამაყმა უცრემლებოდ თავი ასწია...
ვაშლის ბაღებში გაიყვანეს მავთულხლართები
მწიფე კეხურა ელოდება ხელებს მადლიანს
ოფლის მაგივრად მის ჩამომკრეფს სისხლის სუნი აქვს
ბავშვების ნაცვლად, მის ჩერობში ახლა ტანკია.
გარდაცვლილები ხელმეორედ მოკლეს საზღვრებით
მათთვის სანთელი ახლა მავთულს მიღმა ანთია
გულის პირულზე გამოუშრათ მიწა საფლავებს
მინდვრის ყვავილიც ჩექმის შიშით ვეღარ გაზრდილა.
შინდისში ცვივა შინდისფერი სისხლის წვეთები
მამაო ჩვენო ხელყუმბარის ხმამდე გაისმა
მტერს გამარჯვება, გაუმწარეს სიკვდილთან ძმობით
გაუტეხელნი, უკვდავებად ზეცად ადიან.
გორთან, ცხნილვანთან გაზაფხულზე ყაყაჩოები
მაცნედ მოვიდნენ დასაღვრელი სისხლის ადგილას
ტანკში უძრავად ისხდნენ ძმები უიარაღოდ
მშობლებს და მიწას ავედრებდნენ ყველა საფიცარს.
დააბიჯეო ქვეყნის დროშას, ახრჩობთ სიბრაზე,
საკუთარ ქვეყნის მიწა წყალზე ციხეს ჩაუსვამთ
ფრჩხილებ დაგლეჯილ მუშტს დაირტყამს გულზე დაცინვით
სუდარად იფენს შეუბღალავ დროშას სანუკვარს.
მოდის მას შემდეგ, ყველა ზაფხულს ცხელი აგვისტო
მოდის და ყველა გმირის ამბავს ყვება თავიდან
მცოცავ საზღვრებლავ გაჰკივის უსამართლობა
ვაშლის ბაღები კვლავ ელიან პატრონს თავისას...

* * *

რა ცოტა გვყოფნის ადამიანებს
ბედნიერებით აგვევსოს სული.
და რამდენს ვიტანთ?!
და რამდენს ვითმენთ?!
როცა სევდაა ჩვენთან წყეული.
თუ თებერვალში გზად შემომხვდება
ყოჩივარდების ეული ბუჩქი,
ვიცი, უთუოდ გაზაფხულდება
ვიცი, შემოვა ისევ მზე გულში.
როცა ავდარი ნომებრის ბოლოს,
შემოაწვება სერებს გაცრეცილს,
ვითმენ, არ მოსულ ზამთრის ხვაშიადს.
ვითმენ, ნაადრევ ღამეს დღეების.
როცა ვიხილე ჩემით სიცოცხლე,
ამოტირალი ჩვილის ბაგიდან,
ბედნიერება ვიგემე მაშინ,
ბედნიერებამ ცამდე ამზიდა.
როცა ვიხილე მიწად ქცეული
დედა, შვილებზე იწვა მაღლიდან
ვითმენ, სინდისის ქენჯნით აღვსილი
მე რომ ისევე ცოცხლად დავდივარ...
რა ცოტა გვყოფნის ადამიანებს,
ბედნიერების ნაგლეჯებს ვკინძავთ...
და თუ ტანჯვაა ჩვენთან წყეული
რაღაც უცნობი ძალებით ვზიდავთ.

(ეძღვნება შოვის ტრაგედიას)

* * *

ნაბიჯ-ნაბიჯ, ჩუმად, ჩუმად
ღამე გადის, ზეცა სუნთქავს,
წვეთ-წვეთობით წვიმა წუნწკლავს,
ფერად-ფერად ფერებს სუდრავს...
იმ გოგონას არ ეძინა,
ფურცელ-ფურცელ წამებს კუჭავს,
იშმუშნება სიზმარ -ბურან,
ფიქრის ფიქრით ფიქრებს ხურავს.
ჩნდება კადრი სურათ-სურათ
ღამე გადის წუთით, წამით,
ძილი მოდის ნაბიჯ-ნაბიჯ...

* * *

მოდის ზეციდან ნათელი და ეფინება სამყაროს,
ზოგის გულშიდაც აღწევს და უნდა სხვებსაც რომ ახაროს,
მოდის ზეციდან ნათელი, სულის კარიბჭეს სუთბოს ცხებს,
ნათელღებული შვილების ნაყოფი იმკის სიკეთეს.

მოდის ზეციდან ფერები ცის სარტყელებს რომ ქარგავენ,
ერთმანეთს ცისა ფერები მშვიდობით გზას უკვალავენ,
ნათელღებული ადამის კვალიც სინათლის ფერია,
ჩრდილი იჩრდილავს სახეს და თავს უკრავს სადღაც დღეს მზიანს.

ნესტან გეგენიძე

* * *

ჩაწვდა მზის სხივები მიწის სუნთქვას და მიწას აიშალა საღერღელი,
სადღაც ყოჩივარდამ ამოფეთქა, სადღაც ჩაბნეულა ეკლის თესლიც.
ჩაწვდა მზის სხივები მიწის გულს და თიხა გადაიქცა შემოქმედად, სუფთად გამოძერწილს ნერწყვის წვეთით, ნაკვებს სული წმიდის შთაგონებად.
ჩაწვდა მზის სხივები გულის კუნჭულს... ნებით ამოაშრო მყრალი გუბე,
ვარდის მოდარაჯე ეკლის თვალიდან კი იდგავს სადედოფლოდ გვირგვინს სილამაზე.

* * *

ვარდებს დადებია თოვლი,
ეკალს მოდებია დარდად...
წავალ დავეხსნები ღეროს...
ვარდებს, ნუ წაართმევთ ძალას.

ერთ დროს, მჩხვლეტავი და მკაცრი,
ახლა დანანებით უმზერს,
ყინვით ჩამომჭკარი ვარდის,
ცივ და უსიცოცხლო ფურცლებს.

* * *

ყველა გეტყვის... რომ მშვიდობა,
მისთვის არი, ოქროს ფასი,
ყველა გეტყვის, რომ წამს ღმერთის,
სიკეთეა მისთვის არსი...

ყველა გეტყვის, რომ მზეს ხედავს,
გამარჯვებით იწყებს დილას,
მეგობრისთვის ყველა გეტყვის...
რომ ისურვებს, დოვლათს, იღბალს...

ხედავ გვერდით აურზაურსს? ...
უნებლიეთ შენც ხარ ომშიი?...
ხოდა, მაშინ, რას აკეთებ?
ვუს მოუხმობ, ღმერთს თუ ორპირს?

ხედავ აგერ უსამართლოდ,
ცილს გწამებენ, ჯვარს გაცვამენ,
ამდენი ბრბო ზედახორით,
შენ სულს, სხეულს დახარხარებს...

სად წასულა მაშ მშვიდობა?
რომელიც რომ ასე ფასობს,
მაშინ ხედავ, რომ ის გულში,
ასე მძლავრად, მყარად სახლობს.

გარეთ გვინდა მშვიდობა და...
შიგნიდან კი ვისვრით ვინ... რას...
მზეს და მთვარეს დღე და ღამე,
სამშვიდობო ზოლით იცავს.

* * *

შესაშურია ზღვის სიმამაცე,
აღელდება და მიაპობს ნაპირს,
ზოგჯერ ცრემლები მოგადგება და
უფლება არ გაქ, აჩვენო არვის.

შესაშურია... მერე სიმშვიდე...
წვეთები- წვეთებს, ცრემლს როგორ უშრობს,
მერე მზის გულზე აბჭყვიალდება და
რამდენ სათქმელს, თავის-თავს უბნობს.

გასაკვირია, მაინც ყოველთვის,
დაესესხება ზღვა ციდან, ცის ფერს,
ზეცის დიდებას აირეკლვს და
იდუმალებით ჩახედავს, თვის ფსკერს.

გასაკვირია მისი სიმშვიდე...
და მოცეკვავე ტალღები, მზის ქვეშ.

* * *

რა ამინდია შენს სამყაროში,
ვხედავ ბუნებას, ყინვები ათრობს,
ცის თვალი ცივი, მაინც სინათლით,
დაზამთარდა, კვლავაც, იმედებს აქსოვს.

რა ამინდია შენს სამყაროში,
ცა მონისლულა, თოში აქ მიწას,
თუ ერთი წუთით დაფიქრებულხარ,
გული გაუთბო, გაყინულს ღვთის კაცს.

რა ამინდია შენს გულში ახლა?
გაძლევს მზე სხივებს, ნაზამთრალს დაღლილს,
და სიცივისთვის სადღა გცალია...
როდესაც ბაგე, თბილ მზერას დაღვრის.

რა ამინდია შენს სამყაროში,
ცისარტყელების ფერმა-დარია...
იქნებ ზამთარში ცისა და მიწის,
გულის გათბობა, კაცთა ვალია.

* * *

ვარდებს დადებია თოვლი,
ეკალს მოდებია დარდად...
წავალ დავეხსნები ღეროს...
ვარდებს, ნუ წაართმევთ ძალას.
ერთ დროს, მჩხვლეტავი და მკაცრი,
ახლა დანანებით უმზერს,
ყინვით ჩამომჭკარი ვარდის,
ცივ და უსიცოცხლო ფურცლებს.

* * *

რას დატირის შემოდგომის წვიმა,
ფერმკრთალ ფოთლებს, თუ სიშიშვლეს ტოტის?
ცრემლი ფიფქად გადაექცა თოვას
და წაშალა ყველა ცუდი, დროის.

გზა ჭაღარას გაივლის და ისევ,
გაზაფხული სულს ჩაუდგამს ფერებს,
ადამიანს მადლიერი თვალი...
სულის სარკმელს, ბედნიერ სხივს აფენს.

* * *

სულს ვაფერადებ ლექსის ბწკარებით,
სიტყვას ვიფარებ ფარად და აბჯრად,
სიტყვა რომელიც კლავს და აცოცხლებს,
სიტყვა რომელიც ღმერთამდე ავა.

სიტყვა რომელიც შენშია-შენი,
ამოძახილი, გზას რომ გიძღვება,
აბა სხვა რაა, ის აღსარება...
ცრემლიან თვალით, ღმერთს რომ მისწვდება.

სიტყვა რომელიც, კლავს და აცოცხლებს,
სიტყვა რომელიც, გულს გააცოცხლებს,
სიტყვა რომელიც, ათბობს მზესავით...
გჩუქნით სასწაულს, ნათელ დღესავით.

* * *

გარეთ სიცივე, მწუხრი ფოთოლთა,
რამდენი სული შემკრთალ, დამფრთხალი,
ღმერთო ნუგეშად ადამიანებს,
მოგვეცი გულის თბილი საგზალი.

გზად მომავალი, ზამთრის სიცივე,
რომ დარჩეს სახტად გაკვირვებული,
თურმე, მზის დარად ადამიანებს,
ქონია გული გაბრწყინებული.

ერთსულოვნების სითბოთ მოსილებს,
მზის დაბადებით იწყება შვება,
ცხოვრება მარტო დარდი არარი,
სიცოცხლეს ღმერთის შეცნობით ვხედავ.

დარეჯან მაჭარაშვილი

***

ქვეყნად რამდენი გზებით ვიარე,
გზის ბოლოს რა არ ვნახე,
ხან ფრთები დამხვდა ასაფრენი და
ხან დაგებული მახე!
ბევრი "მიყვარხარ"შემხვდა გზადაგზა
და ერთგულების ფიცი,
ბევრი"როგორ ხარ, მომენატრეო,"
მოვალეობის მიზნით.
გზამრუდმა ხევში გადამისროლა,
ბედმა მაჩუქა კიბე,
სადაც სიკეთე სიავედ მექცა
იქვე დავბრუნდი კიდევ.
ცრა მთა და მეტიც გადავიარე,
ცხრა საოცრება ვნახე,
ბევრი ლოდინით სავსე თვალები
და ნიღბიანი სახეც!
გზა ეკლიანი, გზა ვარდიანი
მთლად საოცნებო გზები
გადამივლია ზოგჯერ ტირილით
ზოჰჯერ ხმამაღლა მღერით!
ზოგი მღელვარე და ბობოქარი,
ზოგი წყნარი და მშვიდი,....
ის გზა ვერაფერს ვერ შევადარე
დედის სახლთან რომ მიდის!!!

*

უფლის საგალობელს ვიტყვი,
რწმენას შემოვიცვამ კაბად,
ჭირში შესანდობარს ვიტყვი,
ლხინში ვითამადებ თავად!
ბედთან ვიჭიდავებ ურჩად
ცოდვას ავარიდებ სავალს,
სანთელს ჩავჩურჩულებ დარდებს
ფიქრით მთლად ზეცამდე ავალ!
კრძალვით კვალს დავამჩნევ ქუჩას,
მერე? დამშვიდებით "წავალ"!!!

ესა ვარ, რაც ვარ

ვერ შემაშინებს ქროლვა ქარიშხლის,
ჩემი ცხოვრების ბილიკზე მავალს,
მე ანგელოზის არა მაქვს ფრთები,
მეც ჩემი წილი ცოდვებით დავალ,
ვისთვის არ ვღირვარ ერთი შაურიც –
ვერ შევიცვლები – ესა ვარ რაც ვარ!

თუ შემიყვარებ, მეც შეგიყვარებ,
აგეფარები დღე და ღამ ფარად,
გაგიფერადებ წუთებს და წამებს,
სიყვარულის და სიცოცხლის დარად,
არ გენდომები? არ შეგაწუხებ,
არ ჩაგიდგები ტირილით კარად,
შეცვლას კი ნუ მთხოვ, მაინც ერთია,
ვერ შევიცვლები – ესა, ვარ, რაც ვარ!

არ მიძებნია თვალ-მარგალიტი,
შიშველი მოველ, ასევე წავალ,
ხან როგორც ბრძენი მჭერვმეტყველაობ,
ხანაც ბავშვურად ტიტინით დავალ,
ხანაც ისეთი, ხანაც ასეთი,
წონასწირობა დაკარგულს,
ვგავარ, ვერ ვფარისევლობ,
თავს ვერ ვატყუებ, და დაე,ვიყო,
ვიყო ის – რაც ვარ!!!

სიყვარულის ბალადა

ბროწეულების დაგკრავდა ალი,
შენი სინაზით მოჰგავდი შროშანს,
დღეს ყველაფერი არის ფერმკრთალი,
დღეს ყველაფერი შორიდან მოსჩანს.

ვერ მოვერიე ფიქრებს დაღდასმულს,
ვერ დავივიწყე შენი სითეთრე,
შემეფეთები გონზე გადასულს,
როს გაზაფხულის სუნი იფეთქებს!

თითქოს ხარხარით მომდევენ მთები,
ხიდან დამძახის ჩიტი მზეწვია,,
ხან ვგმობ, ხან ვლოცავ შეხვედრის იმ წუთს,
როს სიყვარული შენი მეწვია!

და სიყვარულით შლეგი და მთვრალი,
ლოცვით შევხვდები აის-დაისებს,,
თუ ერთხელ გულის გამიღე კარი,
თუ ერთხელ კიდევ გავიმაისე

***

კვლავ ელვის სისწრაფით
მიჰქრიან დღეები,
ახლა მიტევების
და თმენის ჟამია,
და როგორც არასდროს
დღეს დაგღლი ვედრებით,
მოთმენა მასწავლე
დედაო მარიმ!

მეც ჩემი ცოდვებით
მივათრევ საწუთროს
და ვგრძნობ აღსარების
დამდგარა წამია,
ვშიშობ, არაფერი
არ დამრჩეს უთქმელი,
უნდა დამეხმარო
დედაო, მარიამ!

კვლავ დაუკითხავად
ჩამოდგა ზანთარი
მთაში თოვს,
თუმც ბარში ჯერ კიდევ დარია,
იქნება სულშიც
არ ჩამოწვეს ზამთარი
თუ შემეხიდები
დედაო, მარიამ!

და თუკი ჩაივლის
სიცოცხლე ლანდივით,
არ ვდარდობ,
ვიმღერო თუნდ ბოლო არია,
არც კი გამიხდება
სიკვდილუ სადარდი,
როცა გვერდით მყავხარ
დედაო, მარიამ!

ჰო, თუკი ოდესმე
დამჯაბნის იღბალი,
და თუ დამარცხებაც
სისუსტის ბრალია,
ერთსა გთხოვ,
არ მომცე უფლება დაცემის,
ლოცვა შემაშველე
დედაო, მარიამ!

.დღეს,როცა სამშობლოს
სჭირდები ესოდენ,,
ჩემი "ახირება"
რა მოსატანია,
დაიცავ ქართული
ჯიში და ჯილაგი,
თუნდ ჩემი სიცოცხლე
წაიღე, მარიამ!!!

სევდა

წარსულ გაბზარული,
რწმენა დაკარგული,
გრძნობა არეული
როგორც მთვარეული.
საზღვრებ დარღვეული,
სახლებ დანგრეული,
"ფიქრის გორა"_ს ქვაზე
ღამეგათეული,
ღამე გატეხილი
ნდობა ვერნახული,
გაკაპიკებული
ძმობის საზღაური,

მუჭში ჩატეული
დიდი. სიყვარული,
ვეღარ დანახული
მცირე სინანული.
ეზო ცარიელი,
სევდა გარეული,
ჭიშკარდაკეტილი,
ბოქლომდადებული....
მაინც იმედოვნებს
გული დაზაფრული.
მოვა გაზაფხული!
მოვა გაზაფხული!!!

ნატალია ფიფია-სამუშია

ჩემს სამშობლოში

ჩემს სამშობლოში, გაზაფხულზე ღვიძავს ბუნებას
აკვირტებულ ალუბლის ხეებს სტუმრობს პეპლები,
ჩემს სამშობლოში ჰო,ზაფხული იცის ლამაზი,
შემოდგომაზე სხვანაირად სცვივა ფოთლები.

ზამთარი იცის სუსხიანი, თან თოვლიანი
და ამიტომაც მიწაც არის ბარაქიანი,
ჩემს სამშობლოში ოთხი დროა წელიწადის და
დალოცვილია წმინდა უფლისგან მადლიანი.

აქ კი სხვის მხარეს შემოდგომა მე ვერ შევნიშნე,
თითქოსდა ვხედავ ორი დროა აქ წელიწადის,
ახლა აქ არის ყველაფერი გამწვანებული,
ამის მერე დგება ზაფხული, - გაწამებული.

ღმერთო სამშობლო დაიფარე ჩემი მარადჟამს,
ჩემს ქართველებს გაუნათე გონი, აზროვნება,
არ დაავიწყდეთ მოყვასის სიყვარული,არა,
მათ ერთმანეთის დაფასება ხომ ევალებათ.

ჩემო სამშობლოვ საოცარო, ულამაზესო, -
არ დავიღლები გეფიცები შენს სიყვარულში,
სადაც არ ვიყო არ აქვს აზრი და მნიშვნელობა
ყველგან ჩემში ხარ დამიჯერე გინახავ გულში.

დაე იხარე შენ,ედემო, მიწავ უფლისა,
გაბრწყინიდი და რამე არ დარჩეს გულს იარად,
მერე შეგვკრიბე ყველა ერთად,ედემის ბაღში,
რომ მოგიშუშოთ ტკივილები,ყველა,მთლიანად.

იცი ...რატომ გენდე?

შენში დავინახე,
წრფელი სულის სითბო,
მართალი თვალები.
მაგრამ შენი გული?...
ვეღარ გადავშალე
შიგ ვერ ჩავიხედე
ამით ვიტანჯები.

ჰოდა ახლა მივხვდი
სული ამირიე,
ვითომ გამაბრუე
შენი ფიცით,ვხვდები,
მშვიდობით ძვირფასო,
ჩემთან ნუღარ მოხვალ
ვერ დამისაკუთრებ
ამას გეფიცები.

მივდივარ შენგან და
არა მჯერა უკვე
შენი ერთი სიტყვის,
არ მსურს შერიგება,
რადგან ჩემი გული
მარტოობით იწვის
ასე მარტოობით
იღბალს ურიგდება.

ათასჯერ რომ მითხრა
მე შენ მიყვარხარო
არც კი შემოგხედავ,
სიმართლეს რომ მივხვდი.
ფარისევლის არ მწამს,
ჩემთან სიახლოვეს
არაფრად მჭირდები
და აღარ განვიცდი .

ჩემი ცხოვრება მაქვს
და ჩემი სამყარო,
ფერადი, ფერებით
სავსე და ლამაზი,
ამიტომ არ მინდა
აქ ვერ შემოგიშვებ
და ხელს ვერ შემიშლის
ვერავინ ამაში.

* * *

სადღაც ტყეში გახიზნულა გარიჟრაჟი,
თავზე მადგას უკუნითი შავი ღამე,
მე სიბნელეს უკვე თითქმის შეჩვეული,
არ მაშინებს არაფერი როგორც ადრე.

სიბნელეში მოდის ჩემთან ყველა ფიქრი,
მუზაც მაშინ უნებურად გაშლის აფრებს,
სიყვარულით სავსე ყველა ჩემი სტროფი,
სიხარულით მახსენებენ გულის აზრებს.

შემდეგ ვიღებ კალამს ხელში,რვეულს გავშლი,
არ დავკარგო ეს ფიქრები სადმე, ღამე
და ვინიშნავ ყველა სიტყვას იქ სათუთად,
ვცდილობ უცებ მივამატო კიდევ რამე.

თურმე ღამეც გიყვარდება ადამიანს
და ეჩვევი მარტოობას უნებურად,
თუმცა მინდა ისევ მალე გათენდეს და
მე მზის სხივებს შევეგებო ჩემებურად .

* * *

ზოგჯერ სიკვდილი გინდა,მაგრამ არ კვდები,
ფიქრობ ვერ გაუძლებ მეტს,უძლებ, მაგრდები.
ამდენი ბრძოლით თითქოს დნები, იღლები,
ბოლოს მაინც იმარჯვებ და თან მშვიდდები.
ხანდახან გიჟი ქარი აგრევს, დაგაყრის
ტანჯვას დავიწყებულს და სულში დარჩენილს...
ლაბირინთებში ჭრიჭინა ჩუმად დათრთის,
იქნებ გულზე მალამოდ მოგედოს დაჭრილს,
ის ეძებს გზებს გაგითბოს მარტოს სხეული,
სხეული რომელსაც ძლივს ტანჯვით შენ უვლი.
და მაინც მაღლა იმედით გაჰყურებ ზეცას,
გული კი, - გრძნობ ისევ ბავშვივით გიფეთქავს .

* * *

ისევ ნაცრისფერი ზეცა,
ისევ არეული ქარი,
ისევ ჩემი გული ჩემო
ისევ უშენობით მთვრალი.

გულის გულში გავლით ფიქრის
სულში მონატრება წივის,
ქარმა ჩამოგლიჯა ფარდა
და წვეთებს მახეთქებს წვიმის.

ისევ აფრიალდა ზეცად
ნაზი ფერებისა გამა,
გაოგნებული განვიცდი
აზრი გამიფანტა ქარმა.

თეა ბარბაქაძე

მე და შენს შორის...

(თუ როგორც არის...)

მე და შენს შორის როდის გაჩნდა ზღვარი, რომელიც
ან გადახაზავს, ან წალეკავს დროის დიუნებს,
დამშვიდდებიან აწყვეტილი პარადიგმები
და დედამიწაც ჩვენს გარშემო ისევ იბრუნებს...

შენი მთებივით მეც ჭაღარა შემომეპარა,
პარადოქსია - როგორ ბრუნავ და არ იღლები,
თუ შენშიც ცოცხლობს დემიორგი - თუნდაც პატარა,
წვეთ-წვეთ გაგროვებ და ზღვასავით გადმოიღვრები...

ის აპოგეაც - მე რომ ახლა სადღაც წამიღო,
ისე შორსაა, რომ გონითაც კი ვერ მისწვდები,
ევქარისტია - მაგ ტანიდან რომ წამოვიღე,
გაღვივდა ჩემში, როგორც შენი ვაზის წიდნები...

მე და შენს შორის ზღვარი ნეტავ როგორ წავშალო,
როგორ არა ვთქვა - ჩემშიც აგურ-აგურ იგები...
ევქარისტია - მაგ ტანიდან როგორ ავშალო,
რით დავამშვიდო აწყვეტილი პარადიგმები...

*

ჰო, ამაღამაც გადავიხსნათ კალმით ვენები
და შემომფიცე - შენც ეშმაკთან ნუ გარიგდები...
მელანმა ისევ დამისვარა წითლად ხელები,
ახალ სტრიქონსაც დაგიწერ და გაგირიგდები...

რომ გავფრინდეთ და ერთად შევკრათ ცაში კამარა,
რომ არ დაგვარქვან სასიკვდილოდ განწირულები,
რომ შენი მხრები ჩემთვის ყველა ღმერთზე მაღლაა,
როგორც ეს ცა და ცას აყრილი ღრუბლის ქულები...

დუალისტური სპექტრი - როგორც ჩვენი ერთობა,
მიწიერის და ზეციურის პარადიგმები,
რა ცოტა გყოფნის - 10 მცნება უკვდავსაყოფად
და ნეტავ რომლის დარღვევისას გარდავიცვლებით.

თვალებს დავხუჭავ, წარმოვიდგენ როგორ მჩორკნიდნენ,
დავმსგავსებოდი მეც მიწიერს, თუნდაც მათხოვარს,
ჩემი თუ სხვისი ამ სუსტ მხრებზე ძალად ამკიდეს
და დავემსგავსე ჩემში მცხოვრებ - ღმერთს თუ მაცხოვარს...

მას შემდეგ ჯვარი ხერხემლიდან ვერვინ გარდმომხსნა,
შემიხორცდა თუ მიმაჭედეს - ვეღარ ვსაუბრობ...
წმინდა მიწაზე, როგორც შენი ცეცხლის გარდმოსვლა,
ეგ სტრიქონებიც, შენს ცეცხლივით, შენზე საუბრობს...

მწყემსი კეთილი.

მწყემსი კეთილი,
შენი თვალები - ისე წრფელი,
ისე კეთილი
და შენი სული - ჩემი სულის თავშესაფარი
და კათარზისი,
რამდენი სულის გადასარჩენად
სულით და ხორცით ბოროტს კვეთილი
და თუ ვარ ღირსი
შენს კვალში დგომის,
შენა ხარ ჩემი გონის საზრისი...

ყველა ჩვენგანის ჯვრის მტვირთველი და
შენს ხერხემალს ჯვარცმა შეზრდილი...
ვერ გარდმოგხსენით,
ვერ დაგიცავით,
ვერ შეგაშველეთ სული ცოდვილი,
საუკუნენი ვდგევართ და ვფიქრობთ -
განდოთ თუ არა სული ცთომილი?

მწყემსი კეთილი,
შენს ოლარ ქვეშ შეყუჟული შენი სამწყსო
გიმზერს ღმერთივით
და შენი ხორციც - ღვთის ტაძარი,
ვერ დატეული ამ მიწაზე ჩემი ღმერთივით...

ღვთის ხატება და ღვთის მსგავსება შენს
მაჯაზე გადაკვეთილი...

ტრანსცენდენტური,
მიღმიერი,
ღმერთის რჩეული...

როგორ გარდმოვხსნა შენს ტანიდან ჩემი
ჯვარცმა - ხორცს მიჭედილი,
მითხარი როგორ შეგაშველო ჩემი სხეული,
უშენოდ ყოფით მიტევებას გადაჩვეული...

*
შენი თვალები - ლაჟვარდებში ვნების ალმური,
ცისა და მიწის გასაყართან ცისკრის ანთება,
გულის წასვლავდე მიყვანილი სისხლის ხმაური
და წარღვნის შემდეგ ჩემს მაჯაზე ლოცვის
დანთება...

ჩემში ნაშობი უფალივით რარიგად მწამდი,
თვალები, მაგრამ რა თვალები - ცოდვის გამხელა,
დაბადებიდან აქამომდე ყოფნის მიზანი,
ვთოკავდი გრძნობებს, მაგრამ სისხლი
მაინც გახელდა...

მოასკდა კალამს აზვირთებულ სისხლის ღრიალი
და საუკუნემ ამოხეთქა ჩემი ტანიდან,
ლოცვა ხარ ჩემი, მაჯას წამსკდარ ლექსის გრიგალი,
ყოველ პირჯვარზე მემღერები ჩემი აკვნიდან.

*
თითებზე ვითვლი დარჩენილი
დღეების გრიგალს,
გიმზადებ ბაგას, რომ ვიხილო
შენი თვალები,
გელოდები და მეც თვალები ღვთის
მშობელს მიგავს,
შობაა,
შობა,
ქრისტეშობა,
რეკენ ზარები...

შეგისახლდები სულში სანამ მთებზე ჩამოთოვს,
აკივლდებიან სანამ ჩემშიც ზამთრის ქარები,
სანამ ჯვარცმიდან ქრისტე ისევ მცნებებს ჩამოთოვს,
სანამ ღმერთისფრად ამოკემსავს ყორეს ნამქერი...

მერე გამათბობს ჩემში შენად ნაშობი ქრისტე,
შენში დატეულ ლაჟვარდებით სავსე თვალებით.

*

ალილო...

ფიფქები ხეზე ჩიტებივით ჩამოსხდებიან,
აუყვებიან დათოვლილ გზას ცამდე ნისლები,
ქარის ქროლვაზე ჩვილებივით იზმორებიან,
დედის ჩამოქნილ თითებივით ჩამოქნილები...

წუხელაც ქროდა, გამეტებით ჰკიოდა თერხვი,
მოჰქონდა მამის ღიღინი და დედის ნანინა,
ტოტებდამტყდარი ირწეოდა ბებერი ვერხვი,
თითქოს ტიტინი მოისმოდა ყრმათა აკვნიდან...

შენც ხატმწერი ხარ - ფსალმუნივით გადაწერილი,
გაცხადებული შენი კალმით, არ დაწრეტილი,
პალიმფსესტზე თუ პერგამენტზე გადაწერილი,
როგორც მცნებები,
სტრიქონები,
წმინდა წერილი.

არწევდა ვერხვი მის მკლავებში მოქცეულ ღამეს
და უმღეროდა ცის ტატნობზე ნაშობ ალილოს,
ჰკიოდა თერხვი, ღიღინებდა აკვანში მთვარე
და დედის ნანა ერეოდა რძისფერ ალიონს.

ბელა მოდებაძე

უფალო მოგვეც მშვიდობა, სამყაროსა ზედა...

სად გადის ზღვარი, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის,
ანდაც, სად ქრება უგზოუკვლოდ, ცაზე ვარსკვლავი,
რატომ ტრიალებს სამყაროში ცოდვის ბორბალი
ამ დროს კი თავად ხალხის სულში, რწმენა სად არის?!...

ჩამოშვებულა მსოფლიოში გლოვის ფარდები,
ქვეყნები თავის, საზღვრებს შიგნით ვერ ეტევიან,
აქეთ ტერაქტებს მოაწყობენ, იქ აფეთქებენ,
სადღაც კი მშვიდად დაძინებულ ოჯახს ესხმიან.

აწიოკებენ უმოწყალოდ, თან ძალადობენ,
აღარ ინდობენ, მოხუცებს თუ საცოდავ ჩვილებს,
ნუთუ ამ ცოდვებს გაექცევით, დაემალებით,
როგორ უყურებთ შინ მისული, საკუთარ შვილებს.

განვიცდი, როცა გაჩაღებულ ომებს ვუყურებ
და ცრემლით ვუსმენ, გადმოცემულ საშინელ ამბებს,
მე, როგორც ქართველს, მეტად მტკივა ჩემი სამშობლო,
ხოლო გულით კი დავატარებ, დამალულ დარდებს.

უფალო ჩვენნო, შეგვიწყალენ, ცოდვა შეგვინდევ
მშვიდობა ჰქმენი, შენს სანუკვარ დედამიწაზე,
გვესმის დაგღალეთ, კაცთა შორის შურით და მტრობით,
მაგრამ გვაკმარე, რაც შეგცოდეთ და რაც ვეწამეთ.

გავუფრთხილდეთ დედებს

დედებს გაუფრთხილდით, დედებს,
მაგრად ჩაიკარით გულში,
დარდი აარიდეთ მუდამ
სითბო ჩაუღვარეთ სულში.

სიტყვაც არ ჭირდება ისე,
მას ხომ, ამოსუნთქვაც ესმის,
თუკი დაიკვნესებ ერთხელ
,,დედამ გენაცვალოს"... გეტყვის.

დედებს გაუფრთხილდით, დედებს
ვარდი დაუფინეთ გზებზე,
სახეს ნუ ჩაუქრობთ ღიმილს
ხშირად მოეხვიეთ მხრებზე.

გული, სათუთი აქვს დედას
ცრემლიც ხომ ადგება თვალთა,
მაგრამ ყველა ტკივილს უძლებს,
ის ხომ, ქვიტკირია ქვათა.

ჰოდა, გაუფრთხილდით დედებს
აღარ აგრძნობინოთ დარდი,
რადგან, კიდევ დიდხანს გქონდეთ
მისგან ,,დედის ლოცვის" მადლი.

მე ხომ, საქართველო მიყვარს...

სადღაც, ჩაკარგული შორეთს
ფიქრებს, მონატრებას ვებრძვი,
მე ხომ, საქართველო მიყვარს
მე ხომ, ჩემს სამშობლოს ვეტრფი.

სადაც გავიხედავ ყველგან,
სითბო, სიყვარული სუფევს,
იქნებ, არც მაკლია რამე,
მაგრამ გულს ვერაფერს ვუდებ.

მომნატრებიაო ვიტყვი
ჩემი ეზო-სახლის ფუძე,
გულზე მიხუტება შვილთა
რა ვქნა, მათ გარეშე ვერ ვძლებ.

თუმცა, არ ვწუწუნობ, არა...
მე ხომ, იმედი მაქვს ფარად,
ღმერთო, ყველა დედას მოგვეც
შვილთან დაბრუნების ძალა.

გზა ემიგრანტისა...

სასოწარკვეთილს გაგიტაცებს მწველი ფიქრები,
ზიხარ და თითქოს გეშინია, მოსვლა ღამისა,
რადგან ვერავინ ვერ გაიგებს ტკივილს სულისას
როს უნდა შედგე, გზას უმძიმესს ემიგრანტისა.
ჩალაგებული ჩემოდანი მოგელის კართან,
შენ კი კედლებსაც ეთხოვები ცრემლმორეული,
აცნობიერებ, ტოვებ შვილებს, დროს კი ვერ საზღვრავ,
სუნთქვა გეკვრის და სახლს შორდები, ლანდად ქცეული.
გადიხვეწები უცხო მხარეს, უცხო ტომივით,
შემოგაწვება მძიმე დარდი, დრო ვეღარ გაგყავს,
აგიჩქარდება გულისცემა, თითქოს ეცემი
გინდა იტირო, მაგრამ ამის უფლებაც არ გაქვს.
დარდის დროს უცებ, გახსენდება შვილების სახე,
გინდა ეფერო, მაგრამ თითქოს გაკლია რაღაც,
ეკრანის მიღმა, როგორ უნდა იჯერო გული,
ვერ ეხუტები, ვერ ეხები ... კვლავ იწყებ თამაშს.
სწორედ რომ ყველა, დედა ასე ვთამაშობთ შვილთან,
როგორ ხარ დედა?!... უპასუხებ:-,,კარგად ვარ შვილო",
გაიღიმებ და უცებ იღებ ბედნიერ სახეს,
აქეთ კი ჩუმად, თვალზე ცრემლის მოწმენდას ცდილობ.
ალბად ყველანი მაპატიებთ რაც მინდა რომ ვთქვა,
არ ვთქვა და იქნებ, უთქმელობა ვინანო კიდეც,
მე კი ყოველთვის მირჩევნია სათქმელი ითქვას
ხოლო სიმართლე, ყველასათვის თქმად უნდა ღირდეს.
ჩვენ, რომ წავედით, განა მართლა გაგვაგდო ვინმემ,
ან ძალადობით დაგვაშორა ოჯახებს, შვილებს,
არა ბატონო, ჩვენი ნებით გადმოვიხვეწეთ,
ჩვენივე ნებით, ამ ტკივილის ატანაც გვიწევს.
მაგრამ სადა ხართ, ზოგიერთი ოჯახის წევრი?!...
ვის მაგივრადაც, ჩვენ დედებმა გავიღეთ მსხვერპლი,
სად დაიმალეთ, როცა გვერდში დგომა გვინდოდა?....
რად არ შეგვიშრეთ, დარდიანებს თვალებზე ცრემლი.
სად ხართ, როდესაც მონატრებით სული გველევა?!...
სად იკარგებით, რად გვაყვედრით სიტყვას მადლიანს?...
ერთხელ დარეკოთ, მოგვიკითხოთ, მოგვცეთ იმედი,
ნუთუ არ იცით, აქ ყოველდღე რა გზას გადიან?!....
და თუ არ იცით, მაშინ გეტყვით სათქმელს პირდაპირ,
ყველა ვერ უძლებს ემიგრანტის მწარე ტკივილებს,
ზოგი ჭკუიდან შეიშალა, ზოგი დაეცა,
ზოგიც კი ალბად ვეღარასდროს ვერ დაიჩივლებს.
ამიტომ, სანამ დრო გაქვთ, გიჯობთ ხელი მოგვხვიოთ,
ყველა ემიგრანტს, მინდა გულში სითბო გათოვდეთ,
ნუ დაივიწყებთ, ჩვენ რა მსხვერპლიც გავიღეთ თქვენთვის,
რისთვის წავედით, აქ რატომ ვართ, უნდა გახსოვდეთ.

იცით, რატომ ვწერ ლექსებს?....

მე ხომ პოეტი არა ვარ
მაშინ, რატომ ვწერ ლექსებს?...
ალბად, დარდმა რომ არ მტეხოს
პირში კი სული შემმრჩეს.

სანამ ვიცოცხლებ მინდა
ადამიანი მერქვეს,
და გავუმკლავდე კალმით
მოვარდნილ მუზის მეწყერს.

ფურცელზე გადავიტანო
ემოციები წრფელი,
კვლავ მონატრების დარდისგან
დედის ცრემლები მწველი.

არა, პოეტი არა ვარ
ისე, ჩემთვის ვწერ ლექსებს,
მინდა, სტრიქონს თუ ტაეპებს
ჩემი იმედი ერქვეს.

ვაფასებ ყველას ჩემს გვერდით
ვინც მახვილს არ მცემს ზურგში,
ვინც ყალბად გაღიმებული
,,100"- სიტყვას გეტყვის წუთში.

მინდა დღეს გითხრათ ,,მიყვარხართ"
ხვალ, რომ არ იყოს გვიან,
იცოდეთ, ჩემში სიყვარულს
თქვენი სახელი ქვია.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს პატრიარქს,
უწმინდესსა და უნეტარესს

ილია II

*. * * * * * * * *

გულში მეღვრება სითბო, როცა შენს სახეს ვხედავ
სულის სიმშვიდე ისახება წირვის დროს ხმაში,
მრავალი ტანჯვა და ვარამის გზები გალიე
ნაადრევადაც დაგიზამთრდა ამიტომ თმაში.

როგორ წმინდაა, რომ იცოდე თვით სამოსელიც,
უწმინდესო და უფლის მადლით უნეტარესო,
თავად ღვთისმშობლის წილხვედრია ჩვენი ქვეყანა
და ამ სამწყსოში, ხარ რჩეული უსპეტაკესო.

ხომ ხედავ, როგორ გაუჭირდა სამშობლოს სუნთქვა
ერის შვილებიც, რიგრიგობით ტოვებენ სახლ-კარს,
ო, როგორ გვტკივა, რომ იცოდე ფესვებს მოგლეჯვა
ან, როგორ ვუძლებთ მარტოდ მყოფნი, ამდენ ჭირ-ვარამს.

ტრაგედიები არ სრულდება, თითქოს ჩვენს ირგვლივ,
უპატრონოდ ვართ, ხმის გაღებას ვერვინ დამიშლის,
მხოლოდ ერთი ხარ, უწმინდესო ხსნად და იმედად,
შემოგჩივლებ და თითქოს შენთან, გულსაც დავიცლი.

ნუ მოშლი ღმერთო, ქართველთათვის ამ მადლს და ძალას,
გთხოვ დაგვარიგე, პატრიარქო, ჩვენთვის ილოცე,
მოძღვრებამ შენმან, მოაფინოს ირგვლივ ნათელი
და უფლის მადლით უწმინდესო, დიდხანს იცოცხლე.

ცხოვრება, გვასწავლის თავად ცხოვრებას...

ნეტავ, არასდროს არსებობდეს მწველი ფიქრები,
სისხლს რომ გიყინავს ძარღვებში და თიშავს გონებას,
როგორ არ მინდა, ოცნებები ისე ქრებოდეს,
აზროვნებისგან, რომ არ გავდეს ჩემს განშორებას.
ოჰ ფიქრო, ფიქრო...ნუ იქნები დაუნდობელი
დაინდე ჩემი სული, დიდი განსაცდელისგან,
აზვირთებული ოცნებები, რომელსაც ვეტრფი,
გთხოვ, მომეც შანსი, იდეების განახლებისა.
კი იბრძვი თითქოს, არც უჩოქებ ყოფის ქარიშხალს
და სამწუხაროდ, რეალური ფაქტიც ერთია,
დაღვრემილი და მოწუწუნე არვის ჭირდები
დარჩები მარტო, შენს გვერდით კი მხოლოდ ღმერთია.
ჰოდა, რად მინდა ვინმე, ჩემი თუ ვერ გაიგო
ან სათქმელს ჩემსას უძებნიდეს ათას შესატყვისს,
დადუმდი ბაგევ, მხოლოდ ტაძრად უნდა ილოცო
დანარჩენს კიდევ ეს ცხოვრება, თავად გვასწავლის.

ლეილა-ლიკა მაჩაიძე

მონანიება...

მე დავიბადე ისეთ სოფელში,სდაც ასფალტი ჯერ არ დასხმულა
მაგრამ უფლისგან მის სიდიადეს,ბეჭედი მასზე ბევრჯერ დასმულა..
რომ რაჭა არის სულ სხვა სამყარო,თავის ბუნებით თავის შენებით
არასდროს ღმერთო ის არ გაჰყარო,ამ ქვეყნიური თავის მშვენებით..
ნამდვილი სოფლის თუ ხართ მნახველი,თუ არ გინახავთ უნდა იხილოთ
მას სხვავა ქვია თუ არ წახვედი,როგორ შეიგრძნობ ზღვათა ღიღილოს..
მე მისი მტვერიც სუფთა ჰაერად,ჩამისუნთქია გამიხარია
ჩემით დავირქვი სხვავა, სახელად,ასე ძალიან რომ მიხარია..
დიახ სხვავაა ჩემი სოფელი,და ჩემი გვარიც იქიდან მოდის
მის ხსენებაზე თუ დამიჯერებთ,ორივ თვალიდან ცრემლები მომდის..
ისე ნუ მომკლავ ღმერთო დიადო,რომ ჩემი სოფლის არ ვნახო ზეცა
რომ არ დამათბოს სხვავის სხივებმა,რომ სხვავის სითბო გულზე არ მეცა..
ერთი კი ვიცი სხვავის ნახვისას, რამდენ ტკივილებს თვალწინ გამიშლის
რამდენი ეზოს და სახლის საკეტს,ვერვინ გამიღებს ვერვინ დამიშლის..
რადგან იქ კარი სულყველგან ღიად დაუტოვიათ ისე წასულან
ბევრი მნახველი იქ ვინც კი ჩავა შეხვედრა ელის გასულ წარსულთან..
მეც დამაბრუნებს სხვავის ქუჩები ბავშვობის დღეებს გზაზე გადაშლილს
სადაც კი ფეხი დამიდგავს წინათ მოგონებები თვალწინ გადაშლის..
სად წავცეულვარ მუხლი დამირტყავს ბებიას სისხლი მოუბანია
მე სხვა სოფელიც მაქვს დედის მხრიდან მოგონებები მოუპარიატ
მაინც და მაინც ფუძის კედლები რატომ მიხმობენ რად მეძახიან
დედის სოფელი რომ არ ვახსენე ვიცი ამიტომ რომ მეძრახვიან..
მე ისიც მიყვარს მიყვარს სამშობლოს მთელი კუთხე და კუნჭული ყველა
დედაქალაქი თბილისი ჩემი, ნახალოვკა თუ ზემელი , ვერა..
არა ოხ არა კვლავ ფიქრი ჩემი ჩემი სოფლისკენ გარბის არ მიცდის
გულიც რა ჩქარა აყვა აქ ფიქრებს სულ არ მიყურებს მიქრის და მიქრის..
ახლაც შევაღე ეზოს ჭიშკარი, სულ ბოლოს როგორც გადარჩენილა
და რა ვიხილე სახლი სად არის ერთი კედელიც არ დარჩენილა..
ეზოში ბარდებს მოურთხავს ფეხი,სად ჯინჭარს ფრთები გადაუშლია
ჩემი ბავშვობის ნაფეხურები,აქ გამხმარ ბალახს მთლა წაუშლია..
მუხლზე დავეცი ტკივილი გაქრა მე ახლა მხოლოდ ვეძებდი წარსულს
არავინ დამხვდა არც სახლი კარი ბებოს და ბაბუს ვიხმობდი წასულთ..
მიწაზე რაღაც სისველე ვიგრძენ ამინდმა უცბათ იცვალა ფერი
წვიმდა და წვიმამ გამომაღვიძა და გამახსენა აქ ყველაფერი..
რომ ის რაც იყო აღარ იქნება, რომ ის წარსულში დარჩა იებად
რომ აქ ცხოვრება არაფერია მას მე დავარქვი მონანიება...

* * *

თუ მოდის სიბერე, საყვედურს, ნუ ეტყვი
ნუ ეტყვი მაშინაც თუ სწრაფად მოვიდა
ნუ ეტყვი სიბერეს მის მოსვლას არ ეტრფი
ნუ ეტყვი იმასაც დიდობა არ გინდა..
იცოდე ყველასთან არ მიდის სიბერე,
საჩუქრად არ უძღვნის სახეზე ნაოჭებს
მადლობა უთხარი წლებით რომ იბევრე
და მისი მოსვლა რომ ძლიერად გაოცებს..
სარკეში უყურე სიბერეს ყოველდღე
და უფალს ათასი მადლობა შესწირე
წლები წამოკრიფე შეკარი ერთი წრე
და მიხვდი ბავშვობას უკვე ჰყავს მეწილე...
ნაოჭი განვლილი წლეების ბრალია
გარედან სხეულზე ნაკვალევს გიტოვებს
შენი ასაკი შენს გულს აბარია
იმდენი წლისა ხარ რამდენსაც გიტოლებს..
ნუ დარდობ სიბერე თუ მოდის, შენშია
შეხვდი და ეფერე ყოველდღე სარკეში
მან იცის არასდროს გზები არ შეშლია
თამამად შეხედე სიბერეს თვალებში..
რამდენი წასულა ცხოვრება ვერ ნახა
ისინი იმდენი წლებისაც რჩებიან
ვისთვისაც სიბერემ დროც კი გამონახა
ამისთვის სიბერეს რატომღა ყვედრიან?
თუ მოდის სიბერე, საყვედურს, ნუ ეტყვი
ნუ ეტყვი მაშინაც თუ სწრაფად მოვიდა
ნუ ეტყვი სიბერეს მის მოსვლას არ ეტრფი
ნუ ეტყვი იმასაც დიდობა არ გინდა..

კარგად დამხატე...

ჩემო სიბერევ როცა მოხვალ კარგად დამხატე
თმებზე დამბერტყე ვერცხლისფერი
თოვლის ფიფქები
სახე გთხოვ ცოტა ისე შემილამაზო
ზედ რომ დაატყო სამშობლოზე ჩემი ფიქრები....
არა სიბერე არ მეშინია მე შენი მოსვლის
ვიცი მოდიხარ გზაში ხარ და არ გეჩქარება
მე გელოდები როცა მოხვალ დამასაჩუქრებ
და ამ ლოდინში გული ღელავს და მიჩქარდება....
მე ხომ არ ვიცი რას მომიტან რით გამახარებ
სევდა არ მინდა იქნებ გზაზე სადმე დატოვო
თვალის ჩრდილები შუბლის ნაოჭი არ დაგავიწყდეს
ტუჩის კუტხეზე უნაოჭოდ რომ არ დამტოვო.....
წელში ნუ მომხრი თუ მაღირსებ ლამაზ სიბერეს
მიყვარს მოხუცი გამართული გზად მიმავალი
მხრებზეც დამატყე წლების ტვირთი შრომის ნაყოფი
სახეზე ფიქრი წარსულისა თუ მომავალის....
კარგად დამხატე გთხოვ სიბერევ კარგად დამხატე
შემიფერადე დარჩენილი წუთისოფელი
ოღონდ იცოდე ნუ მომაშორებ სახეზე ღიმილს
და მომატარე სიბერეში ჩემი სოფელი.....

შვილებს..

როცა ძლიერ მოვხუცდები როგორ მინდა
ჩემთვის ახლა ალერსებს,რომ იმეტებთ
შემინახეთ ცოტაც იყოს თუკი გინდათ
და ის ცოტაც მერეც,გამოიმეტეთ..
მომეფერეთ დამჭკნარ ხელებს მოეფერეთ
ამ ხელებმა გიალერსათ პატარებს
გასწავლიდით სიცოცხლისთვის ყველა ფერებს
და იმ ფერებს, დედა დღესაც ატარებს..
მოგონებებს რა დამილევს აქ ჩემს გულში
ყველაფერი გულში ისევ შრიალებს
სიყვარული ჩამიქსოვეთ ისევ თქმულში
თორე წლები ისე სწრაფად ტრიალებს...
როცა უკვე თმას ჭაღარა გადაბარდნის
როცა დედას მოფერებაც დაღლის
არ დაგხვდებათ მოლოდინით უკან ფარდის
მაგრამ მაინც მომეფერეთ დაღლილს..
არასოდეს დამიყვიროთ, მეწყინება
თუნდაც სმენა დამეკარგოს სულაც
დაყვირებით იცით გული მეტკინება
თუმცა იცით ვერც შემატყობთ სრულად..
მე ხომ მაინც გაგიღიმებთ ძველებურად
და ტკივილებს ჩავიმარხავ გულში
ახლა როგორც მეფერებით თქვენებურად
გთხოვთ მაშინაც შემომიძვრეთ სულში..

* * *

თუ მოდის სიბერე, საყვედურს, ნუ ეტყვი
ნუ ეტყვი მაშინაც თუ სწრაფად მოვიდა
ნუ ეტყვი სიბერეს მის მოსვლას არ ეტრფი
ნუ ეტყვი იმასაც დიდობა არ გინდა..
იცოდე ყველასთან არ მიდის სიბერე,
საჩუქრად არ უძღვნის სახეზე ნაოჭებს
მადლობა უთხარი წლებით რომ იბევრე
და მისი მოსვლა რომ ძლიერად გაოცებს..
სარკეში უყურე სიბერეს ყოველდღე
და უფალს ათასი მადლობა შესწირე
წლები წამოკრიფე შეკარი ერთი წრე
და მიხვდი ბავშვობას უკვე ჰყავს მეწილე...
ნაოჭი განვლილი წლეების ბრალია
გარედან სხეულზე ნაკვალევს გიტოვებს
შენი ასაკი შენს გულს აბარია
იმდენი წლისა ხარ რამდენსაც გიტოლებს..
ნუ დარდობ სიბერე თუ მოდის, შენშია
შეხვდი და ეფერე ყოველდღე სარკეში
მან იცის არასდროს გზები არ შეშლია
თამამად შეხედე სიბერეს თვალებში..
რამდენი წასულა ცხოვრება ვერ ნახა
ისინი იმდენი წლებისაც რჩებიან
ვისთვისაც სიბერემ დროც კი გამონახა
ამისთვის სიბერეს რატომღა ყვედრიან?
თუ მოდის სიბერე, საყვედურს, ნუ ეტყვი
ნუ ეტყვი მაშინაც თუ სწრაფად მოვიდა
ნუ ეტყვი სიბერეს მის მოსვლას არ ეტრფი
ნუ ეტყვი იმასაც დიდობა არ გინდა..

ემიგრანტის სურვილი..

მეც შენი შვილი ვარ ჩემო საქართველო
წასული საკუთარ მიწიდან, ნაწილი
წლებია მოვდივარ რომ სული ვაქართველო
გული გავიმრთელო ათასჯერ დაჭრილი..
რამდენი წელი მაქვს, დრო და ან ზამთარი
ვინ მოთვლის რამდენი ზაფხული დავკარგე
არც ვიცი ვინაა აქ ჩვენში მართალი
მინდა რომ მოგიყვე ცხოვრების ავ კარგზე...
სხვაგან მე სული ოხ როგორ ვიცხოვნო
დაკარგულს შემივსებს? დარდი და ფიქრები?
ან რომ დავბრუნდები რა დღიდან ვიცხოვრო
ან ისიც არ ვიცი ქათველი ვიქნები?
ვის ვთხოვო რომ ჩემი წილობა ზაფხულის
შემომმინახოს და დარჩეს ზაფხულად
ასე რომ მენატრის დღეს ჩემი ქართულის
რწმენა ქართულის და ენა ქართულად...
რაც მე მეკუთვნის, შემომმინახეთ
გაუყიდავი ქართლის მიწები
გალაღებული კვლავაც მანახეთ
აღარ გვჭირდება მხოლოდ მითები...
მე მხოლოდ ვნატრობ ჰო ჩემს მიწაზე
ისევ მხნედ შევძლოდ მანდ სიარული
და ცისარტყელებს ვხედავდეთ ცაზე
და ძველებურად მყო მხიარული..

* * *

მე დავიბადე საქართველოში
საქართველოა სამშობლო ჩემი
სადაც არ უნდა ვიყო გინდ მოვკვდე
ქართველი ვარ და ქართველად ვრჩები..
მე დავიბადე იქ სადაც მთები
ზამთარ და ზაფხულს ქართულს მღერიან
მთას კავკასიონს რომ ეძახიან
ქართულია და ისიც ჩემია.
მე დავიბადე საქართველოში
სადაც ავიდგი ფეხი და ენა
სადაც დამლოცეს და ჩამინერგეს
ჩემი სამშობლოს და უფლის რწმენა..
იქ ჩემს სამშობლოს დაარსებისას
წმინდა სახელიც თან დაყოლია
მშვიდობისათვის ბევრს უბრძოლია
ბევრი მიწაშიც კი ჩაყოლია..
ნეტავი კვლავაც ასე იბრძოდენ
ასე უყვარდეთ სამშობლო თვისი
ნეტავი არსად არ მიდიოდნენ
და არ უყვარდეთ სამშობლო სხვისი..

ძველი პალტო...

არ მიპასუხე, მე კი გელოდი,გული საგულეს არ ჩერდებოდა
თოვდა იმ ღამეს გადაუღებლად, და არემარე მით მშვენდებოდა..
ვიდექ ფანჯრის წინ თვალს ვადევნებდი ქათქათა თოვლის მიწაზე ცვენას
გული საგულეს არ ჩერდებოდა, შენ არ იშლიდი ახლაც ძველ ჩვევას..
არ მოდიოდი მაინც გელოდი,რომ მოვიდესო მტანჯავდა ფიქრი
იქნებ ვერ შეძლოს ქურთუკის გახდა და და მხრებზე ედოს სიცივის ტვირთი..
ყველა კორპუსში შუქები ჩაქრა, ქუჩა მოიცვა სიჩუმემ წამსვე
მხოლოდ ჩვენს ოთახს ფენდა სინათლე და მეკი ვიყავ ცრემლებით სავსე..
ვტიროდი მაინც გელოდი დიდხანს,მე მეშინოდა მაშინ სიცივის
მერე ქუჩაში სხვასთან შეგნიშნე თქვენ მოდიოდით ლაღი სიცილით..
წამსვე შევბრუნდი რადგან არ მსურდა მეხილა როგორ კოცნიდი ხელზე
ნეტავ ვიცოდე სულ ერთი წამით თუ გიფიქრია იმ წუთში ჩემზე..
შუქი ჩავაქვრე და ჩემს თეთრ ბალიშს, ვთხოვე ისევე გვერდით მყოლოდა,
მას მე დავპირდი რომ არ დავტოვდი ჩემი იმედიც მუდამ ქონოდა..
რომ არასოდეს მე სხვის ბალიშზე თავს არ დავდები გარდა იმ ერთის
რადგან მე მხოლოდ ის ერთი მყავდა და ის მათბობდა ის იყო ჩემთვის..
იმ ღამეს კიდევ დიდხანს გელოდე, მაგრამ ეტყობა წახვედი მასთან
იმდენს ვტიროდი ჩემი ცრემლები შეერთდებოდა თბილისის ზღვასთან..
მერე რა მოხდა აღარც კი მახსოვს, მე უკვე ქალაქს შენსას გავშორდი
შენ გიხაროდა აღარ გიყვარდი უმტკივნეულოდ ასე დავშორდით..
კვლავ წლების მერე უეცრად ქუჩას გადამეყარე ძველი პალტოთი
და გამახსენდა როცა გიყვარდი, აიმ პალტოთი როგორ მათბობდი..
შენ გაგიკვირდა როცა მიხილე მყარად ვიდექი ამაყი ქალი
შენ დაძონძილი და თავდახრილი, რომ არ მიმიძღვის მე შეთან ბრალი..
მე შევტრიალდი დაგემშვიდობე ცრემლებით გქონდა უბედურს თვალი
ბარბაცით წახველ წელში მოხრილი, მიბანცალებდი, არ გყავდა მგზავრი...

დღეს ერთი დღეც მოემატა..

რამდენი წლის ვარ? რამდენის მინდა
ისე კი ვხედავ უკვე გავბევრდი
გული დამყვება სუფთა და წმინდა
და ამიტომაც ჯერ ვერ დავბერდი..
ჯერ ისევ გული ბავშვივით მიძგერს
და ვხარობ კვლავაც სხვათა ფერებით
სარკეში ვხედავ რომ ქალი მიცქერს
და მიბერდება უკვე ხელებიც..
მაგრამ ქალი ვარ ეს წლებს რას უზავს
გული ხომ მაინც რჩება პატარა
და ჩემს ნაოჭებს ხაზს ნუ გაუსვავს
წლები დაგვცინის გახდა მასხარა..
შეჩერდი წლებო, სად გეჩქარებათ
ანდა სიბერე სად გაგვექცევა
ციკვდილის მოსვლა არ მეჩქარება
სიცოცხლე ვიცი არ წამექცევა.
მე ასე ვივლი წელ გამართული
რადგან მკვდარიც კი ცოცხალი ვივლი
სიკვდილი ვისთვის ძნელია რთული
თუმცა წლებს ახლა მალმალე ვითვლი.
რამდენი წლის ვარ? ნუ მეკითხებით
შუა წლებიდან არ გვიყვარს დათვლა
ვიღლებით ხშირად ამ შეკითხვებით
და ხშირად ვიწყებთ უკუღმა ათვლას..
ამიტომ ისევ ბავშვივითა ვარ
გულიც ჯერ კიდევ ბავშვივით მიძგერს
ჯერ ისევ მხნედ ვარ ისევ დავდივარ
თუმცა სარკიდან მე ქალი მიცქერს..
ლეილა სხვაველი მაჩაიძე..

* * *

ვიცი რომ ახლა შენს პერანგს სხვა რეცხავს
რეცხვამდე სუნამო სხვა სურნელს აფრქვევდა
სუნამო რომელსაც მხოლოდ მე მჩუქნიდი
ეგ თვალი ჩემს მეტს ვერავის ამჩნევდა..
ახლა სხვას ჩუქნი სუნამოს ყვავილებს
შენს საწოლს ის ქალი ჩემსავით ალაგებს
იმ ფოტოს საწოლთან ახლაც რომ კიდია
უყვები ნეტავი იმ ქალს თუ???? არაფერს..
ვინაა თუ გკითხავს ტყუილი არ უთხრა
უთხარი რომ არის ის შენი წარსული
წარსული რომელიც არასდროს ბრუნდება
რომ თვისი ნებით არაااა წასული..
ცრემლი არ გაბედოს რა მაქვს სატირალი
ჩვენ ერთ დროს ბედნიერ დღეებს ვატარებდით
ახლა იმ პერანგებს ხელით რომ ეხება
მე და შენ ჩვენს სხეულს ფერებშიც ვახამებდით..
იმ საწოლს სხვა ქალი გისწორებს დღეიდან
იმ ბალიშს დილით რომ ჩემი თმა ეფინა
შენ რომ იხუტებდი გულში და კოცნიდი
დღეს კი ჩემს მაგივრად ის ქალი გეწვინა..
ის ქალი ჩემსავით გიყვარს და გიზიდავს?
ახლა შენს პერანგებს ვინც რეცხავს ნეტავი?
მასაც იმ სუნამოს თუ ჩუქნი ვიცოდე
არა მწყინს ვფიცავარ არა მწყინს ღმერთმანი....
ოღონდაც უყვარდე მას ჩემზე ძლიერად
შენს ფიქრებიდანაც ვიფიქრო გავედი
არ მინდა გტკიოდეს ცალად რომ დაგტოვე
ცალად რომ დაგტოვე და ისე წავედი..

ნინო მოსაშვილი

აღმაშენებლის ჯიშის თუ არ ხარ!...

მე იმ გასახედნ ბედაურს ვგავარ,
ისე ურჩსა და ისე თავნებას,
რომ არასოდეს ამაყი სული
უწმინდურ ღალატს რომ არ დანებდა!

ისე ჩამოდნა წლები ფიფქებად,
ამ ჭიდილსა და შერკინებაში,
კიდევ იზამთრებს, იგაზაფხულებს,
ლაბირინთიან ბედისწერაში!

მე იმ გასახედნ ბედაურს ვგავარ,
და ისე ჯიუტს, როგორც განაჩენს,
ისე ლაღსა და ისე მრისხანეს,
ყველა მხედარს რომ მიწას ანარცხებს!

დამარცხებული, დაჩოქებული,
დოღში მეწყვილედ რაში მჭირდება,
თუ წინაპართა ჯიშს არა ხარ,
ჰო, ამორძალთან გაგიჭირდება!

მე იმ გასახედნ ბედაურს ვგავარ,
ისე ლაღსა და ისე საჩინოს,
რომ დანარცხდები მიწას მაშინვე,
უნდა ადგე და გამომეკიდო!

უნდა მომხიბლო, უნდა დამიპყრო
ასეთი შლეგი
ქვესკნელს ჩამომყვე,
დავითის, ცოტნეს, შალვას, ბიძინას,
ელიზბარის და
დიდი დემეტრეს ჯიშის თუ არ ხარ,
არც კი გაბედო, არც კი გაბედო,
არც კი გაბედო, დოღში გამომყვე!!!

მზია ლოურენსს (კვირიკაშვილს)

როგორც აისზე სხივთა გატყორცნა,
გულის სიღრმიდან რასაც
ინებებთ,
რაც ქვეყანაზე სითბოდ აღვრია,
სულ თქვენი გული გამოიმეტებს,
ვით გაზაფხულზე კვირტთა ფეთქება,
სულ ყვავილებად ფანტავთ სიკეთეს!

დ ე დ ა !

ტკივილების დროს მალამო იყავ,
სიხარულის დროს მარად მჭირდები,
მე, როგორც დედა, შენმიერი ვარ,
მინდა მოგბაძო, ისე ვირჯები!

ძლიერ მჭორდები, გაცივდა ყველა,
შენ სხვა ხარ ,დედა, თანაზიარო!
ისე შემცირდნე, ცოტა შემომრჩა,
სიხარული რომ გავუზიარო...

რამდენი სითბო მჭირდება კიდევ
სულში გაწვიმდა, გაქრა დარები,
მინდა, რომ ვნახო, მინდა, რომ ვნახო
გაბრწყინებული შენი თვალები!!!

ხომ შეიძლება?!

როგორც აჩრდილი თან დამყვება შენი სახება,
ვარ გაძარცვული ვით ზამთრის პირს ურცხვი ხეები,
ეს მოლოდინი ვიცი,შემშლის ყოველ განთიადს,
ისევ გეძებ, ისევ გიხმობ, ვეღარ გელევი...

გაუჩინარდი, ისე ჩუმად გაუჩინარდი,
ვით ცხელ ტუჩებზე ჩამომდნარი თეთრი ფიფქები,
რა იქნება, რომ მდუმარება დაასამარო,
რა იქნება, რიმ გამიფანტო სევდა- ფიქრები?!

რა იქნება, რომ ქრისტეშობა გაგაზაფხულდეს,
რა იქნება, რომ აიხანძროს ველზე ყაყაჩო,
რომ გამიმთელო დამსხვრეული ციხე- კოშკები,
და ქრისტეშობას გაზაფხული კიდევ მანახვო?!

მინდა გიპოვო, ლაბირინთი არაფერია,
ჩვეული ჟინით ყველა ტკივილს ისე ვეკვეთო,
ჰო, ვაღიარებ, დაგეძებ, რომ ერთხელ დაგლანდო,
რა იქნება, რომ აპრილივით შემომეფეთო?!

მიყვარხარ!

მიყვარხარ, გეტყვი თოლებით
და გაგიყრუებ ვარსკვლავეთს,
რამდენჯერ გული საგულეს
ამოვარდების მალმალე.

ჭიუხებ გაგეკიდები,
მე გულჩი ჩამეცინების,
ჩემი თეთრონის ფლოქვებით
ქვა-ღორღ ცეცხლ წაეკიდების.

წამომწევი ლურჯათი,
სუნთქვა ყურისძირს იკივლებს,
თეთრონიდან რომ მომზიდავ,
ჩააღიმილებ გვირილებს!...

გაუჩინარდი....

გაუჩინარდი ხელისგულზე
დამდნარ ფიფქივით,
კოშმარად იქცა, ყოველივემ
ფერი იცვალა,
ყველა აისი რუხისფერი
სამოსით დგება,
დრო გაჩერდა და სამყარო
გარდამეცვალა....

* * *

აკლდამის მდუმარებად ჩაიბუდე,
ნუთუ გული ასე გადირაზა?!
ჩემო სიყვარულის პანდემია,
ჩემო მონატრების მეტასტაზა!!!....

ქ ა ლ ი – ქ ა ლ ღ მ ე რ თ ი
(ჰ ე კ ა ტ ე)

ქ ა ლ ი – ღ ვ თ ა ე ბ ა დ ა ქ ა ლ ი – ს ა თ ნ ო ე ბ ა,
ქ ა ლ ი ს ი ნ დ ი ს ი ა, მ ა ნ დ ი ლ ი ა,
ქ ა ლ ი – წ ა რ ს უ ლ ი დ ა მ ო მ ა ვ ა ლ ი,
ე ს ა რ გ ე ჩ ვ ე ნ ე ბ ა თ, ნ ა მ დ ვ ი ლ ი ა!

ქ ა ლ ი გ რ ძ ნ ო ბ ა თ ა მ ო რ ე ვ ი ა,
ა რ ა ვ ი ნ ა რ უ ნ დ ა გ ა ი კ ი თ ხ ო ს,
ქ ა ლ ი გ ა დ ა შ ლ ი ლ ი წ ი გ ნ ი ა დ ა,
ა მ ი ტ ო მ უ ნ დ ა წ ა ი კ ი თ ხ ო თ!

ქ ა ლ ი ხ ა ტ ი ა დ ა ფ ი ც – ვ ე რ ც ხ ლ ი ა,
ქ ა ლ ი ზ ღ უ დ ე ა დ ა კ ე დ ე ლ ი ა,
ქ ა ლ ი – მ ტ ე რ თ ა ნ შ ე რ კ ი ნ ე ბ ა,
ო დ ი თ გ ა ნ ვ ე მ ა მ რ ი ს შ ე მ ც ვ ლ ე ლ ი ა!

ქ ა ლ ი – ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი, ე რ თ გ უ ლ ე ბ ა,
ქ ა ლ ი მ შ ვ ე ნ ე ბ ა დ ა შ ე დ ე ვ რ ი ა,
ქ ა ლ ი ა მ ბ ო ხ ი ა, ქ ა ლ ი---
ა მ ო რ ძ ა ლ ი,
ქ ა ლ ი მ ო ვ ა რ დ ნ ი ლ ი მ ე წ ყ ე რ ი ა!!!

ქ ა ლ ი – ნ ე ტ ა რ ე ბ ა, ქ ა ლ ი – ა ღ მ ა ფ რ ე ნ ა,
ქ ა ლ ი – ლ ე ქ ს ი ს მ უ ზ ა, ქ ა ლ ი – პ ა ნ დ ე მ ი ა,
ქ ა ლ ი – ს ა მ ყ ა რ ო ს გ ა დ ა რ ჩ ე ნ ა,
ქ ა ლ ი ქ ა ლ ღ მ ე რ თ ი ა!
ქ ა ლ ი ქ ა ლ ღ მ ე რ თ ი ა!!! ❤❤❤❤❤❤❤❤❤❤

მონატრება

შენ სახელი რომ არ გქონოდა,
,,ჩემს მონატრებას" დაგარქმედი,
შენ დიდოსტატი იქნებოდი,
ჩემს ცისფერ კოშკებს ააგებდი.

შენ სახელი რომ არ გქონოდა,
,,ურჩენელ ტკივილს"
დაგარქმევდი,
შვებას არსაით ვეძიებდი,
ასე ტკივილად გატარებდი...

ერთიღა დამრჩა სანუგეშოდ,
მიზანი უცვლელი, უდარები,
და როგორც ჩუმად შემომეჭერ,
ასევე ჩუმად მეყვარები,
შენ სახელი რომ
არ გქონოდა,
,,ჩემს ფოთოლცვენას"
დაგარქმევდი...

შეგვაძლებინე!

ვუძღვნი შვილს
ნონა ბახუტაშვილს.

იყო დიდგორი, იყო შამქორი,
ბასიანი და ათასი სევდა,
,,სამკლაურიდან ყიოდა სისხლი"
ყველას მამულის ტკივილი ერქვა!
თამარის სისხლით, დავითის სისხლით,
ცხრა ძმათა მოდგმამ, ჯიშმა არაგველთ,
სისხლით და ოფლით ნაპოხი მიწა
მომხვდურთ ფეთაგან ზიზღით ალაგმეს!
ილიას ტყვია-- მეხის დაცემა,
დააჩნდა მიწას ლომის ტორებად,
თუ საქართველოს ესროდა ტყვიას,
მის საპატრონოდ ვიღას ტოვებდა?!
გარდავიცვალეთ, თვალის ახელა
ვერ გაგვიბედავს დიდგორის შიშით,
ჩვენ ბასიანი თუ გაგვაცოცხლებს,
ანდა შამქორი ჩაგვრეცხავს
სირცხვილს!
ორმოცდაერთი მოვიდა ზალპად,
ცოცხალთ საძვალით ფეთქავდა მიწა,
მამულისათვის დაღვრილი სისხლი
მიწას ავარდნილ ყაყაჩოდ იქცა!
მიტომ წინაპართ ნაკალევს ვეძებთ,
მოურჩენელი ტკივილის წამალს,
და მოვალთ ისე, როგორც მოვიდნენ,
და ხიდით ისევ
ძველი გზით წავალთ!
თუ გადაგვარჩენს,
თანადგომაა,
ვეღარ ვეყოფით
თითებს სათვლელად,
საქართველო და უქართველებოდ?!
სიკვდილი გვიჯობს ამას სათქმელად!!!
შიში ქვითინებს ნისლად ხევებში, მამულის
კარი შეგვაღებინე,
დედაო ღვთისავ, დედაო ღვთისავ,
შეგვაძლებინე, შეგვაძლებინე!!!

პატარა დავითის გოდება და ფიცი.

ვუძღვნი ვაჟს, გიორგი ბახუტაშვილს.

ჩემო საქართველო, ჩემო საფიცარო,
მტერთა საჯიჯგნად გაჩეილო,
ჭრილობავ, ღიად დარჩენილო,
სანთელო, ცრემლად დაღვენთილო!

გიტევდა სპარსი,თურქი თუ არაბი,
რჯულსა და მეობას ფარ-ხმალით ფარავდი,
დიდი ფარნავაზით, ვახტანგით, ბაგრატით
მოხვედი აქამდის.
გოლგოთა იტვირთე ამ გზა და სავალზე,
ჟამთა სიავენი როდემდე, სანამდე?!

... ყოველივე იავარქმნილია,
სავანენი თავლებად ქცეულია,
მამული ჩემი წყეულ- ეულია!!!

გწვავენ და გჩეხენ უმოწყალოდ,
ქალწულებს გიხრწნიან, ჭაბუკებს ჰქოლავენ!
ღმერთო, მომხვდურს ცოდვა--მადლი
შთააგონე,
ო, რარიგად, რარიგად სცოდავენ!

,, ზარნაშო ამიყივლდა, მამლის ნაყივარზე,
მგელი ამიყმუვლდა ძაღლის ნათევარზე"

ღვარძლი ამოსულა დილით აწვიმარზე,
ჩვილი აგებული ტირის სატევარზე!

როგორ მოგეფერო, ჩემო საფიცარო,
ჩემო ტკივილო და ჩემო სადარდელო,

ვფიცავ, შენს მიწას, რჯულს და ენას,
ვფიცავ, დაღმა ხნულს და დაღმა ფარცხლს,
ეს მე აგამაღლებ, ეს მე აგაშენებ
ეს მე გადაგარჩენ, ჩემო საქართველო!!!

ნინო უძილაური

მიდის მგოსანი

(თემურ ჩალაბაშვილის ხსოვნას)

აღმართს აუყვა ჩვენი მგოსანი,
სინდის ნამუსი ჰკიდია მხრებზე,
ფიქრებაშლილი, კალამფრთოსანი,
დამწუხრებული სამშობლოს ბედზე.

თავდახრილია მთვრალი ბახუსი,
ცრემლი ჩამოსდით ტაძარში ხატებს,
ასეთი ჩუმი, ასეთი უტყვი,
არასდროს ახსოვთ პოეტი კაცებს.

იწვის სანთლები და სინანული,
დამწუხრებულა სამარის კართან,
სევდამორეულ გრძნობის ფარდული,
ვერ იღიღინებს მდუმარე ქნართან.

მიდის პოეტი, მიდის უფალთან,
მზე ჭირისუფლობს სიონის თავზე,
ანგელოზები დგანან ღვთის კართან,
ელიან წმინდა სამოთხის კარზე.

აქ პოეზიის მძიმე მანტიამ,
ალბათ დაღალა დიდი მგოსანი...
მიდის და გვტოვებს სხივი ნათელი,
დაობლებული მზე კალმოსანი.

იმერულად

იმერულად ავამღერებ,
ბაფთაშებმულ გიტარას,
შემოგფიცებ სიყვარულის,
სამარემდე მიტანას.

ქუთაისო, გელათის და
მოწამეთას ალაგო,
ბაგრატიდან დანახულო,
ქუთათურთა ქალაქო.

გულს სიმღერა მოუნდება,
თეთრი ხიდის გავლისას,
რიონი და წყალწითელა,
სხივს იხუტებს მთვარისას.

სიყვარულში დავითვრები,
საფიჩხია გამიგებს....
ვერაფერი შეედრება,
ქუთაისურ ამინდებს.

ზასტავა და ბალახვანი,
გაგება და მეობა,
ქუთათურთა მაისობა,
გვირილების დღეობა.

იმერულად ავამღერებ,
ძველ ბაფთიან გიტარას,
დაგიფიცებ სიყვარულის,
სამარემდე მიტანას .

ზეცის მარხილი

ჩამოატეხა ქარმა გირჩები,
ზამთრისგან წელში გადახრილ იმედს,
საუკუნეა ისევ იქ ვრჩები,
გინდა გათოვდეს და თუნდაც წვიმდეს.

მარადიულო და მარად მწვანევ,
სულო, სიცოცხლედ ამოძახილო,
ღმერთო ძლიერო, წმინდა სავანევ,
ცად ამიყვანე ზეცის მარხილო.

პოეტის ცოლის სევდა
(გეტა კიღურაძეს)

იდგა სამარის კართან,
მძიმედ დახრილი თავით,
სდუმდა პოეტის ცოლი,
ცრემლებს ყლაპავდა კრძალვით.

ეთხოვებოდა აწმყოს
და სინანული წვიმდა,
ცივ სამარესთან ახლოს,
წევს სიყვარული წმინდა.

თვალცრემლიანი უხმოდ,
მოგონებებში მიჰქრის,
პოეტს უფალი უხმობს,
ცოლს უსასრულო ფიქრი.

და სამარესთან ახლოს,
უკვე წარსული იწვა,
ზეცაში სული სახლობს,
სხეულს ფარავდა მიწა.

მხატვარი
(მხატვარ ივანე კეზუას)

ასე მოხატა და ასე გამოხატა,
ფიქრი ფერთა სხივად მოსულმა,
ფუნჯის სიფაქიზით ტილო ხატა,
მუზამ შთაგონებით ორსულმა.

ნიჭი ღვთაებრივად აღმავალი,
მადლად მოფენილი რულია,
თვალით დანახული მომავალი,
ნახატს ჩაქსოვილი სულია.

მაღლით წვეთავს ფუნჯი მხატვრის ხელზე,
ფერთა ცისარტყელა ანთია,
დრომ რომ მოახვია მხატვარს მხრებზე,
არის უკვდავების მანტია.

მრავალჟამი-ერო

როგორ არა ვთქვა, ან არ ვიმღერო,
ბრწყინავს ათასფრად მიწა ივერთა,
მრავალჟამიერ, ქართველო ერო,
კავკასიონმა კვლავაც იღმერთა.

გაბრწყინებულხარ ჩემო ქვეყანავ
და ბედნიერი უმზერ მომავალს,
ღმერთმა დალოცოს ზე ცა, ქვე ყანა,
სადაც სიმართლე იმკის მოსავალს.

ცხოვრება

მოვიარე მთა და ბარი,
შევხვდი დღეს და შემხვდა ღამეც,
ძვლებს მიმტვრევდა სუსხი ქარის,
გეძახდი და ხმაც არ გამეც.

ქვესკნელსა თუ ზე ზეცაში,
სული ჩოქით იარება,
უმხედროა თეთრი რაში,
მოჰკლეს სულის იარებმა.

სასიმღეროდ ვერ ვივარგე,
თვალი მიცქერს სხვა ღობიდან,
ლექსზე სული წამოვაგე,
სისხლმდინარე ჭრილობიდან.

მიჭირს ცურვა ბრმად ჭაობში,
კბილთა ღრჭენა, ჭმუნვა, ურვა,
გახვეულა ღრმა ჭა ობში,
წყალთ კურნება არ ისურვა.

სად არ ვიყავ, სად არ ვეგდე,
სად არ ქუხდა ბრავო, ბისი...
უფალო, კვლავ შენ მოგენდე,
აღარა მწამს არავისი.

თებერვალია

ზამთარგამოვლილ დედაბუნებას,
ეალერსება თებერვლის სითბო,
მიწა მიჰყვება სხივთა ცდუნებას,
გაყინულ საფარს დროდადრო ითბობს.
იღვიძებს მზე და თვალს ახელს ია,
ხეში ჩამდგარა სიცოცხლის წყალი,
გამოღვიძება თებერვალს ჰქვია,
მიდის ზამთარი მძიმედ, საწყალი.
თებერვალია... მარტის ძმობილი,
დღენაკლული და კეთილშობილი.

იმედი ახლის

სევდამ დაფარა ნაძვის ტოტები,
ჟამმა საწუთროს კარი დახურა,
დროსთან ვიჩხუბე, უკვე ვშორდები,
ვეღარ გამიხდის თავის მსახურად.

ქრიან ქარები მიწურულს მწუხრის,
ფიფქები სამოსს უქსოვენ ხეებს,
ღიღინი ისმის სახლიდან ბუხრის,
იმედი ათბობს სუსხიან დღეებს.

მეკვლეც მესტუმრა, წელი ახალი,
სიცოცხლის ახალ სივრცეებს ხაზავს,
ღამეს აანთებს ვარსკვლავთა ალი,
მთვარის სხივებთან ფერებით ნაზავს.

მივეგებები ახალ იმედებს,
მტკიცე რწმენით და სიკეთით სავსე,
რადგან სიკეთე მადლსაც იქვე დებს,
სადაც გულწრფელი ლოცვა სულს ავსებს.

დე-გულნაზ ხარაიშვილს

ვეხუტები დედის თბილს გულს,
ალალ - მართალს და დარდიანს,
მისი სითბო კვლავ და კვლავ მსურს,
მისი კოცნა კვლავ მწადია.

სითბო სიტყვად მონადენი,
ავსებს გულის ნაიარევს,
ამ თვალებში ცრემლი ჩადგა,
თვალწინ წლებმა გაიარეს.

უძლურია თითქოს სიტყვაც,
გრძნობა სრულად გამოვხატო,
მუზავ, ლექსად უნდა ითქვას,
დედა ფრესკად რომ დავხატო.

მზია ელიაძე

ლოდი კლდის ქიმს გადმომცქირალი

ნეტავ, რას ფიქრობს ლოდი,
კლდის ქიმს გადმომცქირალი?
საუკუნეთა გლოვა, დარდი
ზედ ამჩნევია...
წვრილშვილთ თუ ჯავრობს ურიცხვთ,
მრავალთ კლდეს მოფინარნი
შესცქერენ ზეცას;ყოველ მათგანს დამღა ატყვია!..
დამღა ყოფისა,საუკუნეთ არსებობისა
იმედმდუმარე ითვლის შვილებს,იკრებს უბესთან!..

იესოს შობა

(შობას გილოცავ ჩემო
ქვეყანა)
07.01.24წ.

ველით ტკბილ წუთებს-გვევლინება
მოდგმას იესო!
ჰა,ვარსკვლავებმაც ზეცას სხივი მოაფ-ი-ნ-ესო...
ცისკრის ვარსკვლავმა გვამცნო კაცთა, მოსვლა
იესო-ს,
მოგვნი ფეხდაფეხ მიჰყვებიან კვალს, ჩვილს იესო-ს!
ცისკრის ვარსკვლავის გზას მისდიეს, მიაღწ- იესო
და ისიც იშვა,მოგვევლინა
თოთო იესო!
...ახალშობილი ძროხის ბაგას მიაწვ- ი-ნ-ესო
გუნდრუკი,ოქრო,მური ირგვლივ მოაფრქვ- იესო...
...საუკუნენი ველით მოდგმა მოსვლას იესო-ს,
ისიც გვახარებს გვევლინება კაცთა, იესო!..

ქართულ ანბანს!

31.01.24წ. 16:50

ქართულ ანბანს, ძირძველ
ანბანს
ბადალი რომ არსად არ ჰყავს;
პლანეტაზე გამორჩეულს,
სამყაროსგან გამოწვეულს
ერის,ქვეყნის შვილს,
ღირსეულს,
გეფერებით-განძს დიდებულს!
სამბუნოვანს,სამსახოვანს
ო,იშვიათ მონაპოვარს!..
სამ თითში ხომ კალამს
ვიჭერთ,
ორ თითს კი ვდრეკთ და
ვხრით მყარად...
ამით უფალს განვადიდებთ!
მამას,ძეს და სულიწმინდას!..
...ვით უფალი წმინდათწმინდა
შემომქმედი ცა-მიწისა
ერთია და საოცნებო,
ძვირფასი და სანაქებო...
ასე არის ჩვენი ენაც
დავითის,თამარის ენა...
ფარნავაზის,გორგასალის,
შოთას,ილიას,ვაჟასი!..
კიდევ,კიდევ,კიდევ ვისი?
ვინ არ გითქვამს და ვის იტყვი?
ვინ და დედა ღვთისმშობელის,
საქართველოს მარგალიტის!..
სამბუნოვანს,სამსახოვანს,
ნუსხახუცურს,მხედრულს,
მრგვლოვანს,
სად იხილავთ ზღაპრულ ანბანს?
თუ არა იბერთ ქვეყანას?!.



ბეღურა

(ბედობის დღეს მობუზული იჯდა
ბეღურა ჩიტი შიშველ ხის ტოტზე)

02.01.2024წ

შიშველ ხის ტოტზე მობუზული ზის ციცქნა ბეღურა,
გათოშილ ფეხებს ბუმბულში მალავს და ზის მეფურად...
-ეჰ,დრო იყო,რომ ხეთა ფოთლები თავზე მეხურა
და თუ მცირედი ღვთიური ცვარი კიდევ მესხურა,
ვხარობდი;გრძნობით ვეხუტებოდი ნამს მეც,ბეღურა...
...ხეთა ვარჯ-ტოტნი მადგებოდა მე, ჩიტს საფეხურად?
ახლაც შიშველი, ეკლიან ტოტი მესაფეხურა!..
შობას გილოცავთ☃☃🌲🌲💖💖

ბატონ თემურ ჩალაბაშვილს

ერს და ბერს, სრულიად საქართველოს ვუსამძიმრებ ბატონ თემურ ჩალაბაშვილის გარდაცვალებას

28.12.23წ.

შენს კეთილ თვალებს,მყინვარწვერივით თეთრ პირისახეს
უნაკლოს,ღვთიურს ერი და ბერი ვერ დაგივიწყებთ...
კალამს თუ ხელში ვეღარ დაიჭერ,ვერ გაგვახარებ
და ვეღარ შექმნი ღვთიურ შედევრებს-შენეულ ლექსებს,
იმდენს გვიტოვებ,რომ უთქვენობას ვფიცავ,ვერ ვიგრძნობთ!..
მარად იცოცხლებ! მარად იქნები ყოველ ქართველში!..
...ერი გაფასებთ!ერში იცოცხლებ!ბერში იცოცხლებ!..
ისე იცოცხლებ,ვით ვაჟა,შოთა,ლადო,ილია,
რეზო, ნოდარი, აკაკი,გოგლა და კიდევ ბევრი...
...დღეს გოგლას დღეა,შენ რომ გიყვარდა,აი,იმ გოგლას...
გიხმობს თავისთან!შენც ხომ გიყვარდა და მიეახლე...
...ბატონო,თემო,ერის სიწმინდევ, მშვიდად იძინე...
მიწად ყოფნისას,სანთლად იწვოდი ქვეყნის წინაშე...
გზას დაგილოცავ შორეულ,გრძელ გზას,მოვალთ შენამე...
თანამედროვე,ქართველ მგოსანთა დიდო მგოსანო,
ლექსის მეხოტბევ, ერის იმედო,ერის სიწმინდევ...
ვიცი, იმ მართალთ ქვეყანას მყოფიც, ჩვენზე ილოცებ...
არ დაგივიწყებთ,სანამ ქართველი ივლის მიწაზე!..

ნათელი შენს ხსოვნას 💚 ☃☃🌲🌲💖💖

ეთერ ისაკაძე

ჩემი საქართველო

უჰ, დილა იდგა საოცრად წყნარი,
ეზოდ გამოველ ქართველი ქალი,
ნამით მოკირწლულ ხასხასა ველზე
მიმოვატარე - დაღლილი თვალი!
ოთხი დღე-ღამე არ დავიძინე
მინდოდა ხილვით გამეძღო თვალი,
მეხილა ირგვლივ - წალკოტი მწვანე,
თვალუწვდენელი კლდეები სალი!
აქ ყველაფერი ქართული არის,
დაურქმევიათ სახელი მდარი?!
ერთდროს მართავდა ტაოს და კლარჯეთს,
ბაგრატიონთა ქართული გვარი!
იყო სიკეთე, იყო შენება,
იყო ომები, ზმანება ავი,
აქ იზრდებოდნენ ქართულ წიაღში
დავითი, ნინო, გიორგი, ანი!
...ახლა საბაჟო გადმოვიარეთ
დათვლილი დღე და დათვლილი ღამე,
აქ დაგვხვდა ჩვენი სალოცავები,
უტყვო კედლებო გვითხარით რამე?!
საუკუნეებს როგორ გაუძელთ,
ყველას ხომ თქვენზე ეჭირა თვალი,
საქრისტიანო როგორ გადიხდის,
განუზომელი, დიდია ვალი!...
მთელი სიცოცხლე რომ ვწერო ლექსად,
რომ ვწერო, ვწერო დღითა და ღამით,
მაინც ვერ გეტყვით, ვერ დაგანახვებთ,
სანამ არ ნახავთ საკუთარ თვალით!

ჩემი ლანჩხუთი

უჰ, როგორ მიყვარს ლანჩხუთი,
ჩემი ქალაქი პატარა,
იმ წლების სითბომ, სურნელმა,
მთელი ცხოვრება მატარა...
ვამაყობ დიდად ალაგით
სადაც ავიდგი ფეხია,
იყო შრომა და, კვლავ შრომა,
გული არ გაგვიტეხია...
ვსერავდი ქალაქის ქუჩებს,
გახარებული გულითა,
მოყვასს თვალებში ვუმზერდი,
გაბრწყინებული სულითა...
გავიდა წლები ნანატრი,
დაჰკრა ბუკმა და ნაღარამ,
დრომ ვერაფერი შეცვალა,
თმა დამიმშვენა ჭაღარამ...
დავმკვიდრდი დედაქალაქში,
აქაა ჩემი ოჯახი,
წარსულს ჩაბარდეს დარდი და
სულ სიხარული მყოფადში!

ფოლადის ღვედი

შენ, რად იშენებ სასახლეებს
სტუმარო სოფლის,
ანწლიკას ღობემ დაიჭიროს
სიმდიდრე შენი,
როცა ხალხს სტკივა, დედა ეძებს
შვილების საზრდოს,
გაოცებული შემოგვყურებს
უფალი ზენით!
დღეს რა ვიფიქროთ,
რატომ ხოცავთ სკამისთვის
ერთურთს,
რომელ სახელზე მაღლა არის
ღირსება ჩვენი,
რას ეუბნებით, როცა მიხვალთ
იმქვეყნად წასულთ,
ეს ის ხალხია, ოდითგანვე
სიბრძნისა მჩენი?!...
კმარა სიხარბე,
ორთავე ფრთის ურცხვი გნიასი,
ჭკუას მოუხმეთ, არ გასწიროთ
ქვეყნისა ბედი,
დროა მოთოკოთ ცხარე ვნება,
ბოღმა ტიალი,
შემოუჭირეთ სადავეებს
ფოლადის ღვედი!

სვანეთი - ჰაწვალი

ზურულდის მთიდან ვიხილე
უშბის თეთნულდთან ტრფიალი,
ყინულით თეთრად დაფარულს,
ცხრათვალა მზისა ციალი!
ჰაწვალში სცენას შევესწარ
სასიყვარულოს მწვერვალის,
მთას სიყვარული სცოდნია -
ო, - მოკრძალება მხევალის!...
ძირს მოხატულა მესტია,
ულამაზესი მთა-ველით,
ნეტა მას, ვინაც იქ ცხოვრობს,
რა გადაღება კამერით?!
ცად ატყორცნილი კოშკები,
ენგურს გაუდის გუგუნი,
მჟავე წყალს კუპტარს გეახელთ,
მიგვაქვს სვანური სულგუნი!
გული სავსეა ტრფიალით,
თვალს არ შორდება ნანახი,
სვან ქალს მწვანილი ეკრიფა,
რის ,,ბოზბაში'' და ,,ჩანახი''!
მეამაყება სვანეთი,
მე ქართველი ვარ გვარადა,
მთის სალოცავებს ვავედრებ,
ჩემს საქართველოს მარადა!

გერგეტი

ან რა ცაა, ან რა მიწა,
რა ყვავილი, რა მყინვარი,
ცის ტატნობზე არწივთ ბუდე,
კლდეზე სვავნი მომყივარნი!
ხან ცხრათვალა მზე ანათებს,
ხანაც ციდან ისმის გვრგვინვა,
მომლოცველთა დასი გალობს,
ღვთის წყალობა მოევლინა!
ოთხთა კუთხეს ლოცავს ჯვარი,
თვით სამება გვიხმობს წმინა,
რაც აქ მადლი შენახულა,
ყველამ იღეთ გულით მინდა!

„პოეტი ხარო"

განაჩენ გამოტანილი,
კედელს ავეკარ ირიბად,
ნატიფად ამოტვიფრული,
წოდება დამრჩა სვირინგად!
დე ღირსეულად ვატარო,
ფეხი ავუწყო მათ რიგსა,
წმინდა გიორგი დამიცავს,
ქურმუხისა და სარკისა!
ძე ღმერთი ყველას გულშია,
არავის ტოვებს ნაწყენსა,
მადლობელი ვარ უფალო
რომ მომასწარი ამ დღესა!

მე ჩემი კალო გავლეწე

მე ჩემი კალო გავლეწე,
დარდი დავმალე ძნაშია,
არც არვის დავესესხები,
ქვეყნად სიკრთის ქმნაშია...
კვლავ შემოდგომა დამდგარა,
ღვინო ლიცლიცებს ჯამშია,
სუყველას გულით დაგლოცავთ,
სითბო გქონოდეთ ჯანშია...
სულ სიყვარული მეფობდეს,
ირგვლივ მთასა და ბარშია,
წინ გასავლელი ბევრი მაქვს,
მიფრინავს ჩემი რაშია!

* * *

რა ძნელი ყოფილა,
რა ძნელი ყოფილა,
სიტყვები, სიტყვები
გაფრინდა, წავიდა...
ზოგისთვის დამთავრდა,
ბევრისთვის აეწყო,
აეწყო, აეწყო
ცხოვრება თავიდან!
ეჰ, ბრალი მას...
ღმერთო, რა ცოდოა,
ის, ვინაც დაგვტოვა,
ის, ვინაც წავიდა...
ჩემთვის - აქ დამთავრდა,
შენთვის - კი ბატონო,
დაიწყე, დაიწყე
ცხოვრება თავიდან!

თამრო ნიჟარაძე

ნუ ცდილობ

ჩემს ნაკვალევზე გავლას ნუ ცდილობ
ბარდებითაა გადაეკლილი,
ურთიერთობით ვითომდა რბილო,
ქარი ხარ ჩემთვის ყელმოღეღილი...
წადი შენი გზით
 მე კი უფალი,
მიპატრობებს და მომაძლიერებს
არა მჭირდები სხვის ნასუფრალი,
მხოლოდ შვილები მაბედნიერებს.
თუ სიყვარულით ცხოვრება გინდა,
ნუ შეგაშინებს
 სისხლის წვეთები,
მაშინ ეგ გული
გადევი ხიდად
და კურდღელივით ნურც დაფეთდები.
მე ნუღარ მესვრი ცეცხლიან ისრებს,
საქართველოა გულში აქ მარტო,
მივალ იმასთან ვისაც ვუყვარვარ
ვინაც ყოველ წამს მელის და მნატრობს!

რას ვინატრებდი?

ვინატრებდი დაბრუნებას,
ჩემს საყვარელ სახლში,
ტკბილ სიტყვას და ტკბილ ბუნებას,
საქართველოს ხალხში
ლუკმა პურის საშოვნელად,
არ წავიდე არსად,
ჩემი მინდვრის საპოვნელა,
იყოს ოქროს ფასად
ყოველ ღამე ვეხვევოდე,
შვილებს შვილიშვილებს,
ვაზის ლერწად ვეხვეოდე,
ჩემს ტკბილ მამიშვილებს!

როცა მოვკვდები

ნუ გადმომაყრით ნიანგის ცრემლებს,
და ნუ მიტირებთ პატივისცემით,
ნუ ითვლით ჩემი ცად წასვლის დღეებს,
ნუ შემაფასებთ სხვის გადმოცემით.
ვისაც ვუყვარვარ მას შეეკითხეთ,
თუ რა ტანჯვები გამოვიარე,
ისე ზერელედ ნუ განმიკითხავთ,
ნურც დამიმატებთ წყლულზე იარებს.
სასუფეველში გზას გამინათებს,
ჩემი სიკეთის თვალის ხატება,
რამდენჯერ ცრემლით ღამეს ვათევ და..
ყოველი თვე რომ მიღრენს მარტებად.
ვგრძნობდი ხომ ვგრძნობდი
ვინ რას ამბობდა,
ხორცს რომ მწიწკნიდნენ
შეუბრალებლად,
ჩემი მერანი ცას რომ გარბოდა,
ყოველი დღე რომ იქცა ვალებად.
გზა გავიკვლიე სიცოცხლის ფასად,
მენატრებოდა ჩემი შვილები,
ახლა მგონია დამიფასდა,
მეც წავალ ცაში სულდამშვიდებით!



შენ რომ წახვედი

მე რომ დამტოვე ვტირი მის შემდეგ,
შენ რომ წახვედი და მიმატოვე,
ფიქრით სიზმარში მუდამ შენ გეხებ,
ძნელია კარგო ეს სიმარტოვე.
მხარჩამოგდებულ ფრინველს ვამგვანებ,
ჩემს თავს და ასე დავრჩი ეული,
თუ შემს მაგივრად ნერგებს დარგავენ,
მაინც შენ დარჩი ჩემი რჩეული!

ვინატრე

ვინატრე ო, როგორ ვინატრე,
არ ჩანხარ ფიქრბმა დამღალა,
დარდს შენით ყოველდღე ვიმატებ,
ის ყინვა ძველიც არ გამღვალა.
ვინატრე... იქნებდა მოხვიდე,
გამათბო ყოველდღე მეფერო,
მოდი და კვლავ ხელი მომკიდე,
ლექსები სულ შენთვის მეწეროს.

ცრემლი მცვივა

ყოველ ღამე ცრემლი მცვივა
და ღმერთს ვუხმობ ძალზე ხშირად,
სულში მყინვს ძალზე მცივა,
ბედმა ასე რად გამწირა.
ჩემი მიწა მენატრება,
ოჯახი და ოდაბადე,
დროც ემიგრანტს ემტერება,
ცრემლებთან ერთა დავიბადე.
რამდენია ასეთ დღეში,
ფიქრთან სტირის ღამე ჩუმად,
ის მზე დარჩა ისევ ჩემში,
და დავდივარ მასთან სტუმრად.
დაბრუნების დრო არსად სჩანს,
ან სად გაქრა რესურსები,
ამ ტკივილებს ქარს გავატან,
მზეს იმედებს ვესეხები.
ხვავი ჰქონდეს ჩემს სამშობლოს,
იმდენი რომ სტუმარს დახვდეს,
ცრემლს მზის ალზე გავაშრობ და...
მინდა ნატვრა ჩქარე ახდეს!

** ცრემლი

თვალეში რომ დარბის ცრემლი,
გულს რომ გიღონებს დარდი,
კარგს არავისგან ელი,
ბედი სულ სევდას ბარდნის.
რომ გენატრება სამშობლო,
სიზმრად რომ ხედავ შვილებს,
სევდას როგორღა დავშორდე,
დარდი რომ ყოველდღე გიშვილებს.
ვითომ ქალს ვგავარ უდარდელს,
სულში ტკივილი ყივის,
დარდებს ვიხსენებ შარშანდელს,
მტკივა და დღე ბედს ვუჩივი.

ვინა სთქვა

ვინა სთქვა იცინის ღიმილით,
უცინის სიცოცხლის ხალისს,
ღიმილით ვიცინი ტკივილით,
მვტკივა და ვხალისობ ძალით.
ღიმილი დარდია ზოგჯერ და...
სევდაა, დიდი გულის,
ვიღიმი გული რომ მოკლეს და...
ვიღიმი დაჩაგრულიც!

როცა

როცა განძი არ გაქვს ხელში,
ოდნავ თუ დაგიცდა ფეხი,
ძალა გამოძებნე შენში,
სულში ააშრიალე ვერხვი!



ისტორიას შეემატა

ისტორიას შეემატა სახელი და გვარი,
ჩემი ლექსი ანდამატად
საყვარელი ქალის.
მის სიყვარულს გავიყოლებ,
საგზლად სადაც წავალ,
ვახშმად ლოცვას დავაყოლებ,
ლოცვას-რწმენის წამალს.
ბევრი შედევრს აფრიალებს,
მე კი ჩემსას ვამბობ,
მტერს სიკეთით ვატრიალებ,
სიტყვას გულში ვალბობ.
დავფიქრდები რომ ღვთის დედა,
ლოცვით გმოძღვრავს ყველას,
მასთან კამათს რას გავბედავ,
მხოლოდ თუ ვთხოვ შველას.
დამარიგებს, დამამშვიდებს,
მემატება ძალა,
სულიერად არ მომშიდეს,
მიყვარს არცა ვმალავ.
საქართველოს პოეტებო,
დედა არის ჩვენი,
ჩვენი დედა გულნაზია...
სულის გადამრჩენი!

ამდენი ცოდვა

დღეს დედამიწა
ვეღარსად იტევს,
ცოდვიანი დღეებს
ტირის ბუნება,
ვეღარ მოუყრი თავს ალბათ სიტყვებს,
ვდუმ და არავინ მესაუბრება.
რა უნდა უთხრა
ემიგრანტ დედას,
რომ ჩამოემხო თავზე სახლ-კარი,
ამას მე არა ქვეყანა ხედავს,
წინ შეეგება მას ნასახლარი.

დამცინიან

გული არავის ანდოვო დამცინიან
სიცოცხლის
ფასი არ იციან და რა ქნან,
გავჩერდი და ვფიქრობ,
თუ ვინმეს გული
დაჭირდა აქ ვარ.
თუ მიხარია, ტირიან,
და ვტირივარ დუმდებიან,
შეკრეს ერთმანეთთან პირი და...
ერთმანეთსზე ჭორაობას უნდებიან.

საით

ჩამიფრინა თვითფრინავმა თვალწინ,
საით მიქრის ან ვინა ყავს მგზავრი,
განვლილ დრომ კი ისე ჩაიცინავა,
გამახსენა ტკივილებით ჯავრი.
მაინც სივრცეს თვალი გავაყოლე,
დავაბარე მოკითხვები ბევრი,
თვალის ცრემლი გულს თან დავაყოლე,
ვუთხარი რომ ვარ დარდების წევრი.
ემიგრანტი ვტირი უხმოდ სადღაც,
სხვის მიწაზე დავაბიჯებ წლობით,
გულს შევატყვე დღეს ძალინ დაღლა,
ვესაუბრე ფიქრსაც კეთილშობილს.
საქართველოს გაუგზავნე კოცნა,
შევპირდი რომ დავბრუნდები მალე,
დაჭირდება მას ცოტახნით მოცდა,
გავისტუმრებ სიყვარულის ვალებს.

ბაბუის მოსახელე

ბაბუის მოსახელე ხარ,
ზურაბი გვქვია სახელად,
ჩემთვის კვლავ პაუწუკელა ხარ,
მიჭირს სიმართლის გამხელა.
ისე იზრდებით ბებიკო,
ვერ ვძღები თქვენი ალერსით,
არ დამენდურო ზურიკო,
ბედს ვებრძვი ხმალპირ -ალესილს.
აქ ვშრომობ თქვენი გულისთვის,
სხვა არჩევანი არცა მაქვს,
ბე, თქვენი სიყვარულისთვის,
თავიც გავწურო მზადავარ.
მხოლოდ ბებიკო დაპურდი,
ერს ნიჭით გამოვადექი
და რომ ისწავლი დამპირდი,
ბოროტთან გვერდზე გადექი!

გულის პანთეონი

თუკი აღარ ჭირდები
წაიქეცი ბედისგან,
ოღონდ ნუ ატირდები,
დაიხსომე დედისგან.
წამოდექი სასწრაფოთოდ,
გადაფერთხე ტალახი,
ჩემო სულის ქარაფო,
სხვას არ ელაპარაკო.
ძან ცოტა არიან,
ერთგულები საერთოდ,
ეს დროც რამ გადარია,
წვიმებს ქარიც დაერთო.
გულში ბევრი ხალხია,
ცუდებიც და კარგებიც,
დარდიც აქვე მარხია,
თავის წვიმა ავდრებით.
ირგვლივ ყველგან ომია,
ვმრამხავ ამ ჩემს წიაღში,
გული პანთეონია,
სული დაქრის ნიავში.

ვერიკო პარწიკანაშვილი

****

ირწევა მიწა და ტორტმანებს ზეცის კარიბჭე,
ღვთის საუფლოდან
დედამიწას ზვერენ ცოდვიანს,
ჩვენ გავაბრაზეთ ანგელოზნი
დედამიწაზე,
ცაში წავიდნენ და მას მერე
აღარ მოდიან!
ზანზარებს მიწა, რეკავს ზარი
ღვთის საუფლოდან,
უ-ანგელოზო დედამიწა,
მოსჩანს მკვდარივით,
აენთე მზეო სანთელივით,
ამომზიანდი,
რომ კვლავ სიცოცხლემ
იბობოქროს,
დედო-ზარივით!
ცოდვილ მიწაზე იფერფლება
დღენი-უფერო,
აქ, ცოდვილნიც და უცოდველნიც
წამებს ითვლიან,
ნუ გავაბრაზებთ ანგელოზებს,
თორემ ისინი,
უკან არასდროს ბრუნდებიან,
თუ-კი მიდიან!

*****

რა ხანია ჰაერს ვსუნთქავ სიღნაღის
და მის ნახვას,
გული თვითონ ითხოვს,
დასალევად,
,, ნინოს წყარო" მეძახის,
სალოცავად,
ნინოს ნეშთი მიხმობს!
ბოდბის ბილიკს, თითქოს
ლანდი მოჰყვება,
დაღლილი ჩანს,
მიაშველეს ღვინო,
თმებით შეკრულ ჯვარზე
ამოვიცანით,
წმინდანი და საოცარი ნინო!
ღვინო მოსვა,
ცოტა სული მოითქვა,
ცის გუმბათებს
შეჰყინვია ზარი,
ყველას გულში
დაავანა უფალი,
ამოავსო სულის
ყველა ბზარი!
მოვიდა და არსად
აღარ წასულა,
ჩვენთან დარჩა,
ჩვენში ჰპოვა შვება
და ცაზე რომ მან
სანთელი აგვინთო,
კი არ ქრება,
უფრო ძლიერდება!
ახლა ბოდბე, სამოთხეა
ნამდვილი
და იქ ლოცვას,
გული თვითონ ითხოვს,
განსაბანად,
,, ნინოს წყარო " მეძახის,
სალოცავად,
ნინოს ჯვარი მიხმობს!

არ ვარ პოეტი

არ ვარ პოეტი, ვარ გალაქტიკა,
მარტოობას და
ფიქრებს ჩვეული,
მე ხომ ადამის ერთი ნეკნი ვარ,
უბრალო ქალად გადაქცეული!
არ ვარ პოეტი,
მე სიმართლე ვარ
არც პირფერი ვარ და
არც გრძნეული,
მზის სინათლე ვარ,
გზა ვარ უბრალო,
არც ზეცის
და არც მიწის რჩეული!
დღე შეასკდება
ღამის კიდეს და
ცა, როცა მთვარეს ამოახველებს,
მაშინ დავჯდები
ლექსების წერად
და-ვხუჭავ თვალებს
ღამენათენებს.
გზა-გასაყართან,
ფიქრით-დატბორილ
თავს ვერ ვერევი,
თითქოს ვბერდები
და დახუნძლული ცის-კიდურიდან,
წვიმად იღვრება ჩემი ლექსები!
და ისე, როგორც
შორს, ბავშვობაში
დავაკვირდები ღრუბლის ფიგურებს,
მომეჩვენება, თითქოს
ცის თაღი,
გახეულა და დედა მიყურებს!
არ ვარ პოეტი,
ღმერთის შვილი ვარ,
აღმართს მივიკვლევ
ხელის ცეცებით,
თავზე მემხობა მთელი სამყარო,
ჩქეფს ბოროტება
თავგამეტებით!
ხოდა, მრცხვენია,
მე რომ ასეთ დროს,
ვერ გამოვნახე დრო
და მხნეობა,
ვერ დავიცავი ჩემი ქვეყანა,
ალბათ, არ მეყო გამბედაობა!
არ ვარ პოეტი, ვარ მონატრება,
მე, ამ სამყაროს ვერ შევეჩვიე,
იყო დრო, როცა
ყველა მამჩნევდა
და ახლა,,, შენც-კი"
ვერ შემამჩნიე!
არ ვარ პოეტი, არც კალმოსანი,
დიდი სამყაროს
ერთი ფესვი ვარ,
უბრალო ქალად გადაქცეული,
ადამის,
მხოლოდ ერთი ნეკნი ვარ!

ეთერ გაჩეჩილაძე

მთვარე და მე

მთის ფერდობზე ფეხი დადგა მთვარემ,
მკრთალი შუქი გადმოფინა ველზე,
ყველგან თეთრი ფერი გაჩნდა მდარე,
ჩრდილი კი მე ჩამომისვა ხელზე.

შემდეგ ფრთხილად ჩამოვიდა დაბლა,
თოვლი ბევრგან გააბრწყინა ყინვით,
მათთან სურდა...კვლავ მოსინჯა ჩავლა
და ფიფქები დააძინა დრტვინვით.

მოიარა ხის და ბუჩქის ძირი,
ეზოებსაც გადაავლო თვალი,
გაიარა ყველა ქუჩის პირი,
გაყინულ გზებს კვლავ დაატყო კვალი.

ბოლოს სხივმა მოანათა სარკმელს,
შემოვიდა, გამიღიმა თბილად,
,,მასთან მინდა და ქარს ვატან სათქმელს",
რომ ვუთხარი, ჩამირბინა რბილად.

მთვარემაც რომ დარდი იცის, ვიცი,
მახსოვს ერთხელ მესაუბრა კიდეც,
მზე უყვარს და იწყებს მისთვის სიცილს,
თუმც არიან ჯერაც უბრად კიდევ.

ჩემი თავი მახსენდება ისევ,
მეც მასავით გელოდები წლები,
რადგან მარტო გათენება მიწევს,
ამ ცხოვრებას ვებრძოლები მხრებით.

არ დაიჯერო

არ დაიჯერო, რომ აღარ ვარ პატარა ბავშვი,
რომ აღარ მიყვარს სიცელქე და ჭახჭახა შაშვი,
რომ აღარ მიძგერს გული ისევ უსაზღვრო გრძნობით
და ყველას მიმართ რომ ვარ კიდევ უვადო ნდობით.

არ დაიჯერო, რომ დასრულდა ღელვა და ფიქრი,
წარსულს ჩაბარდა და განცდები ელდად არ მიქრის,
დრომ რომ წაიღო სიყვარულით გამთბარი გული
ან არ არსებობს სიხარულით გამქრალი რული.

არ დაიჯერო, რომ აღარ მსურს საამო სითბო,
რომ არ მითრთოლებ გულს ,არც ყველა საღამოს მითბობ,
ამ ცუდ ამინდში, ამ თოვაში მე არ მსურს ვიყო,
ჩასახლებული თბილ მკერდში და შენს ნაზ გულს მიყოფ.

არ დაიჯერო, რომ აღარ ვარ ისევე ბავშვი,
რომ არასოდეს არ დამჭირდეს სიცელქე ,,საშვით",
სულ მინდა მწამდეს_ სიყვარული სუფთაა გულით
და კვლავ მჯეროდეს სიხარული _ სუნთქვაა სულის.

გვიანი ოცნება..

ჩვენს ფანტაზიას არ აქვს საზღვარი,
მაგრამ ოცნება ბევრჯერ არ ხდება.
ვიცით, ასაკსაც არა აქვს ზღვარი
და ამიტომაც ფიქრებად რჩება.

ისევ ვვოცნებობთ. ვით ცელქი ბავშვი,
გულიც ისევე მღერის საყვარლად.
ასე გვგონია, რომ ფრთებსაც გავშლით
და ავფრინდებით ზეცას ვარსკვლავად.

ცხოვრება მართლა რა არის, თურმე,
ოცნებებს ბევრი სურვილიც ახლავს.
ფიქრის და ნატვრის არ ასრულება,
ტკივილებად და დარდებად დაგვაქვს.

გულსატკენია, როცა ასაკი
მოგეპარება და წავა სადღაც..
ბევრჯერ მოძებნი.. ნეტავ სად არის,
თითქოს დაკარგე, გაგიქრა რაღაც..

დაგვიანებას ძნელია მიხვდე,
არც შეგუება არის ადვილი.
რომ შეეცდები და გინდა მიწვდე,
უკვე ამაო ხდება წადილი.

მაინც ვვოცნებობთ, როგორც ყმაწვილი,
ცრემლებს ვიმშრალებთ ტკბილ-მწარეს
შემდეგ. არც მიჩვევაა ასე ადვილი
და იძულებით ვნებდებით შედეგს....

შენთვის დავწერე

შენთვის დავწერე ეს წერილი, ვათიე ღამე,
ბევრი ფიქრისგან ჩამომაწვა თვალებში სევდა,
რა საოცარი მონატრება ჩავტიე წამებს
და წამწამები დამისველა, რაც მე იქ მწევდა.

ვწერე და ვშალე, ეს ვინ იცის რამდენჯერ ნეტავ,
თავზე ვიყარე გულის ჯავრი ცრემლების წმენდით,
მინდა, რომ ღამე მოკლე დროში გათენდეს მეტად,
რომ შენთან შევძლო საუბრები შენებრი რწმენით.

შენთან მინდოდა შევხვედროდი ალიონს დილის
და ჩემს თვალებში დაგენახა გრძნობების ალი,
შემგებებოდი ყოველი დღის დაფიონს თბილი
სიყვარულით და ვყოფილიყავ ოცნების ქალი.

რამდენი ნატვრა ჩავატიე წვიმების წვეთში,
რამხელა თმენა გამოვკეტე დანამულ გულში,
რამდენი ცრემლი გამოვკიდე ოცნების ტევრში
ან მერამდენედ წავიქეცი დანაღმულ ხნულში.

ეჰ, რა ახლოს ხარ ამ გულთან და რა შორს ხარ, ჩემო,
შენზე ფიქრებმა გადაავსო მთები და ველი,
ჩემთან ხარ თითქოს, ბევრი ფიქრი მათბობს და მჩემობს,
დიდ მონატრებას ვერას ვშველი, წლებია გელი.

იცი, რა მინდა? შენზე რომ ვწერო....

იცი, რა მინდა? შენზე რომ ვწერო,
ლამაზ ლექსებად ვაქციო წამში.
ყველა საჩვენო წუთი გავლექსო
და მელოდიად ვაბნიო ცაში.

მინდა მოგიძღვნა ჩემი სამყარო
და ცისარტყელას ფერი შვიდივე.
შენზე უკეთესს რას შეგადარო,
ჩემი მზე ხარ და სხივიც ჩემივე.

წილად რომ გერგო ეს ჩემი გული
და უნებართვო სხივებად სითბო.
ჩემთან არ მოდის უშენოდ რულიც,
სხვაგან როცა ხარ და გულს ვერ მითბობ.

შენ რაც გამოჩნდი, თვალს ვარსკვლავები,
ისე გაცელქდნენ, რომ ვეღარ ვუვლი.
მუდამ გახსოვდეს, რომ გელოდები,
წუთებს და წამებს საათებს ვუთვლი.

ისე მომინდა, შენზე რომ ვწერო
და შენს თბილ გულში ბინა დავიდო.
ყველა საჩვენო წუთი აღვწერო
და მეგობრობა ხიდად გავიდო.

შენზე ფიქრები ლექსად ვაქციო,
ფრთათეთრ მტრედებად ცაში ვაფრინო.
ტკბილ სადღეგრძელოდ მინდა დავლიო
და თვალს ცრემლები აღარ ვადინო.

ვერ ავისრულე ერთი ოცნებაც

ვერ ავისრულე ერთი ოცნებაც,
ვერ გავიშალე ფრთები საფრენად,
რადგან დავკარგე ბევრი გრძნობებად,
ვერც კი ჩავთვალე ხმები ნამღერად.

თუმცა გულს სითბო კიდევ სწყურია,
და მონატრება სულის კივილს ჰგავს,
ზოგჯერ ცხოვრება ისე მწყურია,
რომ ყმაწვილისას გული მიმიგავს.

ვეტრფი დილის და ცისკრის ამოსვლას,
მახარებს ცელქი სხივის თამაში,
მიყვარს სამყარო... ნისლის ჩამოსვლა,
რითმული ბგერა წვიმის გამაში.

ხშირად ფანჯრიდან მზის სხივს ვაგროვებ,
ნახატს კედელზე სანთლის ალებად,
მაგრამ არ ვიცი, ვისთვის ნაგროვებს
გულში ვინახავ ნატვრის თვალებად.

როცა ნაღველი სახეს დანისლავს,
გამახსენდება რომ მაქვს ასაკი,
მაშინ ფიქრები ღამეს დაფიფქავს,
მომაგონდება დრო და არაკი.

გული ჩამწყდება წლებს რომ დავხედავ,
ცრემლის კურცხალი ჩამომვარდება,
თმას შევადარებ მთებს რომ გავხედავ
და წამს სიცივე ჩამომსახლდება.

ვერ ავისრულე ერთი ოცნებაც,
მაგრამ გულს სითბო ისევ მოსწყურდა,
ნაოცნებარი მეწვის გრძნობებად,
თუმცა სიცოცხლე კიდევ მომწყურდა.

მომავალს გავყურებ

შეყინულ იმედებს წარსულში ვილაგებ,
ვიხსენებ შემდეგ და თარიღებს მივაწერ,
გავყვები ფიქრებს ან გასულით ვიდარდებ,
ლექსებშიც ზეწრებად დავიგებ მინაწერს.

ნასიზმრალ ღამეებს ჩამოვფენ რიგებად,
საშენოს კვლავ შევქმნი და ისე მოგითვლი,
ნაამბობ სონეტებს გამოვლევ რითმებად
და ყველგან სიმღერით ან მისებრს მოგიძღვნი.

დავკეცავ ბილიკებს სულ შენსკენ მომავალს,
მოვძებნი იმ გზასაც, შენთან რომ მომიყვანს,
მინდა რომ გაგისწრო, წინ შეგხვდე შორს მავალს,
იმ გულს მსურს ვუწამლო, ჩემთან რომ მოიტან.

შენს ფეხის ნადგამთან მზის სანთლებს აგინთებ,
ლოცვის დროს რომ ვიღებ, საშენოდ ცისკარზე,
ბოლოს კი, ჩემს გულში იმ სათქმელს ჩავიდებ,
რომელსაც ამოვთქვამ სამზეო ცის თაღზე.

დანისლულ მინებზე დახატულ ნაცრისფერს,
ვნატრობ და ვიხსენებ აპრილის საღამოს,
როდესაც გზის პირზე გადარგულ ნარცისებს,
ჩავლილი ნიავი არხევდა,საამოს.

მომავალს გავყურებ სულ ცოტა იმედით,
ზეცაზე ფერად და ურჩ სხივებს ვემხრობი,
მცირედიც მეყოფა, თუ შორსაც მივედი,
უფრო მეტს გავლექსავ იგივე ერთობით.

მარინა კოლხელი

თებერვალი
(სატრფიალო)

დღეს თებერვალს შევეგებე დილით,
ზამთარს თითქოს აღარაფრით ჰგავდა,
დღეიდან კი შენთან ერთად ვივლი,
დაუნდობლად მონატრება მკლავდა.

რა უეცრად შემოვიდა ეს თვე,
შემოხეთქა ჩემი გულის კარი,
გამაღვიძა, მაგრძნობინა მყისვე,
დრო დადგაო, სიყვარულის დარი.

ო, რა ტკბილად აჭიკჭიკდა ჩიტი,
გამაგონა უცნაური ხმები,
გავისუსე, არ დავძარი კრინტი,,
საოცარი სერენადით ვტკბები.

დღეს თებერვალს შევეგებე დილით,
გაზაფხულის ელფერი რომ დაჰკრავს,
მოალერსე, მზისფერი და თბილი,
რადგან შენი სიყვარული ახლავს.

✍ □□□თ ო ვ დ ე ს ♠♠♠

ვიგრძენ უკვე, რომ ჩამოთოვს მალე,
თან მოჰყვება საოცარი განცდა,
ხეები რომ ჩაიცვამენ კაბებს,
მათნაირი მზად მაქვს თეთრი კაბა.

ტირიფები თავდახრილი დგანან,
თუმცა მხიბლავს ამაყ ხეთა ჯარი,
აი, უკვე ჩამოთოვა მართლა,
მე შენს მხარზე ჩამოვადე თავი.

მინდა თოვდეს, კიდევ დიდხანს თოვდეს,
ხეებს ფიფქი უკერავდეს კაბას,
მე იმედი შენი მუდამ მქონდეს,
შენ უჩემოდ არ ინდომო არსად.

შობის ღამე

მადლიანი შობის ღამე დგება,
ვარსკვლავები ციმციმებენ ცაზე,
თოვლი მიწას რბილად ეფინება,
შემოდიხარ მგალობელთა ხმაზე.

იმედებად შობის ღამე მრჩება,
საგალობელს უგალობენ გამჩენს,
მოკრძალებით გული გელოდება,
დავიფიცებ უფლის სახლში ხატზე.

სასწაულად მიწა გადათეთრდა,
ფიფქი ცვივა მარგალიტად თმაზე,
შობის ღამე თეთრად დამათენდა,
სიყვარულით გადავავსებ თასებს.
❣□❣□❣□❤❤

ი ა

იამ იფიქრა ლამაზმა,
როდემდე ვიყო მიწაში,
სიცოცხლემ გამათამამა,
თოვლის საბანქვეშ წიაღში.

მოვედი თქვენ რომ მიცქიროთ,
მეც გაგისწოროთ თვალები,
მოვკვდე და აღარ მიტიროთ,
დროებით დაგემალებით.

მარინა დიერაშვილი

განათების ღირსი

ხის ტოტებში იმალება მთვარე
იმ ცელქ ღრუბლებს თავი დააღწია,
ბადრი, როგორც ოქროს დიდი ბურთი,
ცის ტატნობზე ქარმა დაარწია;
და ვინ იცის მის სიმშვიდის მიღმა,
რა აწუხებს, რა ფიქრები ზარავს,
ან პირიქით, უხარია კიდეც,
იქნებ ღრუბლებს დასდგომია ფარად.
ქვეყნის დარაჯს ვარსკვლავები ამკობს
ცაზე აქვთო საბრძანისი თვისი,
განა ცივი გული აქვსო მთვარეს?
მზემ გახადა განათების ღირსი!
მოცემული უნდა გაამრავლო,
მიტომ გვაფრქვევს ღამით მთვარე სხივებს,
მივეგებოთ, მივესალმოთ ყველა,
კმაყოფილი ისიც გაგვიღიმებს!

შობა მაცხოვარისა

კიდევ ერთხელ ვზეიმობთ
შობას მაცხოვარისას,
ჩვენს გაწმენდილ გულებში
ჩვენი მხსნელი კვლაც იშვას.

თუკი ერთი ცოდვაც კი
მოვიკვეთეთ მარხვაში,
უფალს ვუახლოვდებით
და ნაბიჯი გადავდგით.

სახარებით გვეხარა
უკვდავება სულისა,
ჯვარცმით გამოხსნილი ვართ
და შემდგომად რჯულისა...

შევიყვაროთ უფალი,
მაგის შემდგომ მოყვასი,
ახალ აღთქმას ვასრულებთ
და არ ვრჩებით ცოდვაში.

დაეცემი, წამოდგე;
ეს მორწმუნის წესია,
გადავლახავთ ამქვეყნურს
ღმერთთან უკეთესია!

მივენებოთ უფალს და
სიყვარული ვამრავლოთ,
შენ სხვისთვის და სხვა შენთვის,
ერთმანეთს, რომ ვასწავლოთ!

ბოროტება ჭაობს ჰგავს,
სიყვარული ყვავილნარს
გულითადი ლოცვები ჩვენ
ღმერთამდე აგვიყვანს!

ხორცში დროებითა ვართ;
სულს კი ღმერთთან სწყურია,
მივიჩქარით უფლისკენ,
აზრი ჩადებულია!

მიზანი კი სწრაფვაა,
ქრისტე ღმერთთან მსგავსება,
მადლით უნდა განვიღმრთოთ,
მადლი ყველგან დაგვყვება.

ზიარებაც-მადლია,
თვით ღვთისგან დადგენილი,
შემიწყალე, უფალო,
ცოდვილთაგან პირველი.

გარდაცვალებისათვის ...
მზადებაა სიცოცხლე,
ვალს თუ სწორად მოვიხდით,
სამუდამოდ ვიცოცხლებთ.

მარადიულ ყოფაში
ღმერთი თუ დაგვამკვიდრებს,
სიყვარულის საწყაულს,
ჩვენ ბოლომდე აგვივსებს!

ქარმა წაიღო

ქარმა შორს წაიღო
ახალ წლის ფიქრები...
სამშობლოს ცის თაღზე
გაფანტოს ნისლები!
და ლოცვა გულწრფელი,
ბავშვმა თქვა პატარამ:
დალოცე, უფალო,
ქვეყანა პატარა,
გაამთლიანე და გადაარჩინე
დედაღვთის წილხვედრი
ეს ჩვენი მამული;
ვინ მოთვლის, რამდენგზის...
მრავალჭირნახული.
მოყვრულად მოსული
ფესვს ნუ კი გაიდგამს,
დაგვინდე უფალო,
ქვეყნიდან გასულნი....
კეთილმა სურვილებმა
დაფაროს ქვეყანა...
იმრავლოს, უხვობდეს
ვენახი და ყანა!
მფარველი ჰყოლოდეს
ფრინველებს, ცხოველებს,
იმერ და ამიერ....
ხეებს და მთა ველებს;
ნუგეში გავატანოთ
ნაკადულს პატარას,
ფიქრები კეთილი..
წყალმა რომ ატარა;
წადი და მორწყეო
ფესვები სად არა...
ყველას გულში რომ
იხაროს სურვილმა;
კეთილი ამრავლოს
ბოროტი გათელოს....
და გაამთლიანოს
კვლავ საქართველო!

გ ა ი გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ე ბ ს

ვერ შესწვდები მთვარეს,
ვარსკვლავებს ვერ მოსწყვეტ,
ამ მოჩითულ ველებზე
ყვავილებს ხომ მოჰკრეფ?
ხომ შეკაზმავ ლურჯას,
ხომ ამოსდებ ლაგამს,
ზედ უნაგირს დაადგამ და
მოატარებ მთა -ბარს.
... გააღვივებ ღადარს,
არ ჩააქრობ კერას,
შენს ეზოში ხეს დარგავ და
,,შეინახავ" ტყესაც.
სოფელს შვენის მკვიდრი,
დაკლაკნილი კვამლი...
გათენებისას კი ისმენ
კვლავაც ყივილს მამლის.
დღისით ჟრიამული,
თოვლში კოტრიალი,
ბავშვების ლაღი ცელქობა,
გართობა-სრიალი!
....
გაიგაზაფხულებს...
ხე კვირტებს დაიყრის,
საქართველო უკვდავების
გზებით კვლავაც ივლის!
დაბერტყილა მადლი,
ღვთისგან გადმოსული!
ღვთისმშობელი შეგვეწევა
დედა-მადლმოსილი.
სამშობლოს წინაშე
ვალი მოსახდელი;
საქმით უნდა დაამტკიცო,
ახდეს მოსახდენი.
მფარველობით უფლის-
გავიტანოთ ლელო,
გამოვტაცოთ უნდა ბოროტს
ჩვენი საქართველო!
გ ა ი გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ე ბ ს
ხე კვირტებს დაიყრის;
უკვდავების სავალ გზებით
კვლავ ამაყად ვივლით!

მთვარისა ზეინკლიშვილი

ქრისტეშობა

შობა გათენდა! იშვა მეუფე!
დღე სასწაული, მკურნალი სულის,
კვლავ მრავალს შეხვდი საქრისტიანო!
დღეა იმედის და სიხარულის!...

ცისკრის ვარსკვლავი განათდა ცაზე,
კვლავ გაეხვია ვარსკვლავთა ჯარში,
ჩვენმა სანთელმაც თავი დაუკრა,
შუქი გაბრწყინდა ჩვენს ფანჯარაში.

დღეს მერამდენედ ამოვისუნთქეთ,
შობის მადლითა, ჩვენ არსებაში,
ქრისტე შობას ხომ დიდი ძალა აქვს,
ყოფნა – არყოფნის დაარსებაში.

წრფელი ოცნება და იმედები,
ვიცი რწმუნებით ყველა ახდება,
ქრისტე გულებში მადლს ჩაგვისახავს,
კვლავ მერამდენედ დაიბადება.

შობას გილოცავ საქრისტიანო!
ჩვენი რწმენა ხომ ერთადერთია,
შობას გილოცავ ჩემო ქვეყანავ!
უფალი ჩვენი, ჩვენი ღმერთია!....

წუხელ სულ სხვა იყო მთვარე

წუხელ სულ სხვა იყო მთვარე,
ნეტავ რამეს ხომ არ წუხდა,
ცაზე თითქოს ჰქონდა ბრძოლა,
ცა კი გრუხუნებდა, ქუხდა.

ხანდახან იცვლიდა ფერებს,
მთვარე, იდუმალი მთვარე,
უცებ გადედოფლდა, ვაჰ მე!
ჰქონდა ვარსკვლავთ სავსე არე.

სარკმლით შევამჩნიე უცებ,
დიდხანს ვერ მოვწყვიტე თვალი,
თითქოს მიყურებდა შორით,
მეც ცქერის დამედო ვალი.

ვერც მე მოვარიდე თვალი,
გავხდი მოხიბლულად მთვრალი,
მარტო ვერ დავტოვე ცაზე,
გავწირე სასთუმალი.

წუხელ სულ სხვა იყო მთვარე,
სულ სხვა ჰქონდა იერფერი,
მთვარე ბრწყინვალებდა ცაზე,
ედო სვეტიცხოვლის ფერი.

ჰა, მიილია იანვარი

ჰა, მიილია ეს იანვარიც,
მიბრძანდება და მიარხევს ბოლოს,
ისეთი თბილი და ტკბილი იყო,
დამნანებია ბოლოს და ბოლოს!

წელი დაიწყო სიამტკბილობით,
საამურია, თუ ბედი გწყალობს,
როცა არსებობ, გული გიხარის,
ნაზად, შიგნიდან გიმღერს, გიგალობს.

ჩემი სიცოცხლე თუ რაც მეკუთვნის,
რის უფლებაც მაქვს წლები დავთვალო,
მრავალ თებერვალს მომასწარ ღმერთო,
რომ ბედნიერად თავი ჩავთვალო.

ჰა, მიილია ეს იანვარიც,
მიბრძანდება და მიარხევს ბოლოს,
ეს ჩემი წელის დასაწყისია,
თან დამენანა უბრალოდ, მხოლოდ.

სულიწმინდები

საქრისტიანოს ფრქვევია მადლი,
დღეს ხომ ჩვენთან დიდებული დღეა,
გვეპკურება ციდან წმინდა წვეთი,
ტაძრის თასი მირონწყლით სავსეა.

ჩვენთვის ჩამოედინება მადლი,
ხეებზე სულიწმინდები სხედან,
ჩვენს გულებში დაივანა რწმენამ,
უფლის მადლი გვიფარავს გარედან.

ჩვენც მივიღოთ, მოვიხაროთ ქედი,
თქვენს სულში ხომ ნათელი და მზეა,
ჩავეხუტოთ, მივულოცოთ ერთურთს,
დღეს დიადი ნათლისღების დღეა!!!

ყველაფერი კარგად იქნება

დარდსა და ვარამს თავს ნუ დავუხრით,
უღირსი ჩვენში ნუ განდიდდება,
ცივი გონებით სწორად ვიმსჯელოთ
და ყველაფერი კარგად იქნება!..

ავ სიყტვაობას არ ვეზიაროთ,
პირზე მომდგარი ყველა ითქმევა?
ჩვენი ენიდან თაფლი წვეთავდეს
და ყველაფერი კარგად იქნება!..

კაცი თუ ქალი, წრფელი, გამტანი,
მჭერმეტყველებით მუდამ ირთვება,
მუდამ ვიაროთ,,მწვანე" ბილიკით
და ყველაფერი კარგად იქნება!..

არ დავემგვანოთ დემონს და ვამპირს,
ასეთ ხალხს ჩვენი შველა სჭირდება,
სასოწარკვეთას ნუ მივეცემით
და ყველაფერი კარგად იქნება!..

ბევრი ვისწავლოთ ბრძენთა ,,ბრძნულები",
ისე ვისმინოთ, როგორც ითქმევა,
ასჯერ გავზომოთ, ერთხელ კი გავჭრათ
და ყველაფერი კარგად იქნება!..

ზამთრის ფანტაზია

მოსაღამოვდა, იბინდება, ზამთარი მეფობს,
მთელი სამყარო იფარება თეთრი ფიფქებით,
მე კი ჩემს ცაზე ვარსკვლავების ცქერა მწადია,
არ გამოვლენ და თოვლის ფანტელის მონა ვიქნები.

ოხ! ნეტა მქონდეს სახლი, ეზო, დიდი ვერანდა,
და ქუჩა მომცა, ჩემი ქუჩა სახეტიალოდ,
ღამე ჩემს ჩრდილთან მასეირნა მუხლამდე თოვლში,
ჩემს ფიქრებთან და ფიფქებთან ერთად ვიხეტიალო.

უსაქმოდ არა! ჩუმად მაინც ჩილიმებს დავრთავ,
გაუაზრებლად ჩავუყვები თავდაღმა ბილიკს,
აქეთობისას მთვარეულმა თუ გზა დავკარგე,
წაუნამქრავი ხვილიფები ასტეხენ ქილიკს.

ჩემს ლამაზ ეზოს ფანჩატურას ადევს სუდარა,
გაუქმებულა მაყალი და ლუციფი ხარობს,
ქარი წრიალებს,გაშმაგებული ურევს ყველაფერს,
შინ წყალკვინტილა,,სუპი" მელის უფალი მწყალობს.

ესაა ზამთრის დასაწყისიც და დასასრულიც,
ფიფქებში ფიფქი და ფიქრში ფიქრი არის უძირო,
უვარსკვლავო და უმთვარო ღამე აღარ თენდება,
დილის სიზმარში დამათენდეს ღამე უძილო.

თუნდაც გათენდეს, დღეს მაინც
ისევ ზამთარი მეფობს,
ისევ სამყარო შეფუთულა თეთრი ფიფქებით,
თუ კვლავ ჩემს ცაზე ვარსკვლავ-მთვარე
არ გამოჩნდება,
არა უშავს რა! თოვლის ფიფქის მონა ვიქნები....

ეკა სურამელი

9 აპრილს

თავისუფლების სადარაჯოზე
შეყრილა ჩვენი ერი და ბერი,
ისმის სიმღერა, შეძახილები, –
გადამთიელი ფეხს ვერ მოადგამს...
არვის დავუთმოთ სამშობლო ჩვენი!

ქართველნი დროშას აფრიალებენ,
მუშტებშეკრულნი დგანან მდუმარედ...
ტყვიების წვიმას მკერდს აგებებენ
და მკერდში გული უცემთ მხურვალე...

რუსთაველი კი წითელ ტბად იქცა, –
მტერი მტარვალი იმეტებს ქალებს,
არ ინდობს ბავშვებს, დიდს და პატარას, –
სისხლი სწყურია და ანთხევს გესლებს.

მძიმე დღე უდგას დღეს დედაქალაქს...
ურჩხულის ხელი ატყვია თბილისს...
ამინდიც მიხვდა, ისე გაწვიმდა
ცრემლით აავსო მინდორი - ველი.

თავისუფლების სადარაჯოზე,
შეყრილა ჩვენი ერი და ბერი.
ისმის სიმღერა დადიანისა, –
გადამთიელი ფეხს ვერ მოიდგამს!..
არვის დავუთმოთ სამშობლო ჩვენი!..

* * *

მოგილოცავთ შობა ახალ წელს! ბედობას!
ჩემო თბილებო და ტკბილებო,
ყველაფერი საუკეთესო დაგბედებოდეთ!

მრავალ ახალ წელს!
მრავალ ახალ წელს!
ლამაზი ოცნებები, აგვიხდებოდეს.
ხვავი, ბარაქა, არ მოგვკლებოდეს...
მზიანი დილა დაგვთენებოდეს,
ჩვენი სამშობლო გაბრწყინდებოდეს,
 მშვიდობის მტრედი აფრინდებოდეს,
შობის ღამეს, ჩანაფიქრი აგვსრულებოდეს,
გულის ტკენა, ცუდი წაეღოს ძველ წელს!
სიახლე მოეტანოს ამ ახალ წელს!
მოწყენილი სახეები არ ენახოს ჩვენ ერს,
ბედნიერება დაგვბედებოდეს,
 ამ ბედობა დღეს,
მრავალ ახალ წელს !
მრავალ ახალ წელს!
ბედნიერი კალანდა გაგვთენებოდეს!
ლამაზი ოცნებები აგვიხდებოდეს....

ხან სუსხია ხან მზე თვალებს ახელს

ხან სუსხიან, ხან მზე თვალებს ახელს,
ხანაც წვიმამ სულ დაალბო მიწა...
თავის დროის ხასიათს რომ ავლენს
მარტის გახლავთ გიჟმაჟური დილა.

ხეები კვლავ გადათეთრდა თეთრად,
დაიფიფქა მინდორი და ველი...
უნდა ითქვას, - არც ეს იყო დიდხანს, –
მზის სხივები კვლავ გამოჩნდა მწველი...

საბანს იხდის ლურჯთვალება ია,
ესალმება ირგვლივ არემარეს,
ენძელებსაც გაეღვიძათ უმალ
და ირგებენ ფერად-ფერად კაბებს.

კვლავ სუსხი და კვლავ მზე თვალის მჭრელი...
ხან კი წვიმამ კაბა დამისველა, –
თავის დროის ხასიათს რომ ავლენს,
მარტისაა ეს დღეები ყველა...

* * *

შენი თვალები მზის სხივებს მაფენს,
თბილ სამოსელით შემმოსავს უცბად.
ჰო ეგ თვალები მზერისას მაბნევს,
ფიქრის უნარსაც მტაცებს უეცრად.
ჰო ეგ თვალები ციმციმა ვარსკვლავს
მაგონებს მართლა ერთი შეხედვით,
სურვილს მიღვიძებს მე ღამე ვიყო
და ერთ სარეცელს ვიყობდეთ თვლემით.
შენი თვალებით ვუმზერ სამყაროს,
შენი ფერია ირგვლივ ყოველი,
მუზაც კი მსტუმრობს როცა გიმზერ შენ
ულამაზესი ეპითეტებით.

შენი თვალებით ვუმზერ სამყაროს...

გამიუცხოვდა მე ყველა ქუჩა

თითქოს, დავმუნჯდი და ვეღარ ვწერ, – სათქმელი არ მაქვს,
თანაც, მომავალს ვეღარა ვჭვრეტ იმედის თვალით, –
უკუნეთია ყველა მხარეს მუდამ ყოველ დღე,
რადგანაც ნათელს ვეღარ ვხედავ ვერც ერთი მხარით.

მხოლოდ წარსული დამრჩა ახლა მე საამაყო,
იმ დროს მივტირი,იმ ეპოქას, იმ მატიანეს...
და ის წარსული მენატრება, როცა სამშობლო,
დიდად ბრწყინავდა– ნიკოფსიდან დარუბანდამდე.

საამაყოა წინაპრების ნაკვალევი, და...
და საარაკო გმირობანი კრწანისის ველზე.
მეამაყება დავითის და თამარის ხანა,
და მუდამ ვფიქრობ ციდა ქვეყნის იმ დიდ წარსულზე.

მართლაც, დავმუნჯდი და ვეღარ ვწერ, – სათქმელიც რა მაქვს?
გამიუცხოვდა ყველა ქუჩა, – გზას ვეღარ ვაგნებ...
ყოველი მხრიდან უცხო სიტყვა ჩამესმის,მხოლოდ...
ჩემს მშობლიურს კი დიდი ხანია, რომ ვეღარ ვიგებ...

* * *

გაზაფხულის ყვავილებს სიო ესალბუნება, –
ხან ალერსით აგიჟებს, ხან, მიატოვს უეცრად..
ხან, თმას უშლის, უწეწავს, სიყვარულს ეფიცება
და ჰპირდება არ დაგტოვ, უხმოდ ეჩურცულება,
წვიმად მოვალ გაცოცხლებ, დღეებს გაგიხანგრძლივებ,
ეგ ლამაზი იერი, რომ არ დაგიმახინჯდეს.
გაზაფხულის ყვავილო, მდელოს მშვენიერებავ,
მინდა სულ იყვავილო, გულის საიმედებლად.

ლალი სოხაძე

ჩემს ნათლულს გიორგის

ისე ცხადად მახსოვს,
თითქოს გუშინ იყო,
როგორ შემოაღე
ჩვენი სკოლის კარი,
შეიყვარე მთიულები,
წერა-კითხვა და ანბანი,
არ შეშინდი... ამხელა გზას,
გადიოდი ყოველ დილით,
მზე გწვავდა, თუ ქარი ქროდა,
მოდიოდი მაინც რიხით,
დედის კალთა გიფარავდა,
მამაშენის, გამხნევებდა შეძახილი.
შენი ტოლი ვიყავი და
მეცა მქონდა მამის რიდი,
ალბათ ბედმა გამოგვცადა,
დაგვიტოვა სევდა დიდი,
მაგრამ უცბად გაიზარდე,
უცბად გახდი დიდი,,კაცი“
მამის ნასწავლ სადღეგრძელოს,
დაედება უფრო ფასი.
მინდა სწავლა გააგრძელო,
ნიჭი გაქვს და გიჭრის გონი,
პროფესიას დაეუფლე,
რაც შენა გსურს ვიცი მგონი...
ჭკუა გიჭრის, ძალა გერჩის,
მამაცურად მიჰყევ გზებსაც,
შენი გულში ჩანაფიქრი,
აგისრულოს შევთხოვ ღმერთსა...

*

ცისარტყელა, ცის სარტყელი მეგონა,
თურმე, მიწის სარტყელია დროებით,
ეს ცხოვრება, თქვენ მუდმივი გეგონათ
მირაჟია, მისგან რაღას მოელით?!

დღესა ვართ და ხვალე აღარ ვიქნებით,
ისე ვქრებით, როგორც ნისლი მთებიდან,
სიყვარული, უფრო მალე ილევა,
თუ შედეგი არ იქნება ვნებიდან.

ყველაფერი თავის საზღვრებში ჯდება,
სამყაროში წესრიგია მთავარი,
სიბოროტეს თუ გავუხსნით გზას ყველა,
ბუმერანგის წესი ვიცით და მისი გზაც სავალი.

ეს ცხოვრება ისე უნდა გალიო,
არა თქვან, რომ ეულია-საწყალი,
სიყვარულის,,შხამი“ უნდა დალიო,
თან იპოვო შენი სწორი-ს ა დ ა რ ი

*

მუზად, როს მესახები,
 სტრიქონების სერებით,
ვერსად დამემალები,
სიყვარულის ფერებით.

გულით ნაწერ ლექსებში,
შენს ხატებას შევიგრძნობ,
ჩავსახლდები მე, შენში
და სიყვარულს შევიცნობ.

მუზად, როს მესახები,
სიყვარულით მარები,
სიზმრად მოსულ სახებით
და მუსიკის ჰანგებით.

მოდი მუზავ, ნათებით,
როგორც მზისა დარები,
არ დამტოვო ზმანებით,
გულით ხარ სატარები.

*

უფრო ძლიერი ვარ მთაში,
ფიქრად გაყოლილი ნისლებს,
მზის სხივს ჩავიმაგრებ თმაში,
ღრუბლებს მოვუყვები სიზმრებს.

ჩანჩქერს ჩამოვყვები ბარად,
ყველა ადგილს ვნახავ ლამაზს,
მინდა დავაღწიო მარად,
თავი გაუსაძლის მარაზმს.

უფრო ძლიერი ვარ მთაში,
სტრიქონს უფრო ლაღად ვაბამ,
სიო- მოთარეშე რაში,
შენზე მიჩურჩულებს ამბავს.
ლალი სოხაძე

*

მთვარეს დავიდგავ
თავზე გვირგვინად,
კაბას მოვირთავ
ვარსკვლავთ კრებულით,
მთიებს დავიბნევ
გულზე საკინძედ,
მხრებზე მოვიხვევ
მანდილს ღრუბლების...
ღამის წყვდიადში
გავახვევ სევდას
და სიხარულის
სხივად მოგელი...
ფიქრი, მალული
წამწამქვეშ ელდად,
ჩამოგორდება ცრემლად
ქ ც ე უ ლ ი!..

პოეტის ბედი

ძნელია თურმე, იარო ციცაბოდ,
თან გონს ატანო აზრები,
შემოქმედებას დაუდო ლიბო
და პოეზიის აწყო,,ვაზნები,,

ძნელია თურმე პოეტის ბედი,
ყველას ვერ უკმევს გუნდრუკს საამოდ
და უჭერს ყელზე ცხოვრების ღვედი,
ლექსები ადევს გულზე მალამოდ!

ძნელია, ყველაფერს ახადო ფარდა,
სიმართლის ფარი, იფარო გულზე
და მაინც ვიცით, რომ უფლის გარდა
არავინ ზრუნავს პოეტის სულზე!

სიყვარულის დაბადება

სხეულში სიჩუმე კივის,
სიჩუმე განწირულ ძახილზე ძლიერი,
ძარღვებში დამივლის სისხლი თბილი,
ვგრძნობ, რომ იცვლება სახის იერიც.

შემდეგ კი, ვივსები იდუმალ სხივით,
ჭეშმარიტ გრძნობას შევიცნობ სულით...
ამაღლებული გრძნობით, რომ ვივლი,
ამას მკარნახობს უცილოდ გული...

ეს, ულამაზესი,,სიზმრის,, სათავეა,
უფაქიზესი გრძნობის საწყისი,
ამ დროს, სამყარო უფრო ლამაზია,
და რაღაც სიახლის არის დასაწყისი...

*

ქარი დასთამაშებს
ძველებურ როიალს,
თანაც, აჰყოლია
კლავიშთა აგონიას,
ასეთი სიყვარული,
არვის არ ჰქონია,

ტალღებმაც მოუმატეს
უეცრად ფორიაქს...
ქარი დასთამაშებს
ძველებურ როიალს,
ტანდემში, ორივე
უკრავს სიმფონიას...



გოჩა ჭაბუკაიძე

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

❤ ❤ ❤

(აკროსტიქი)

ს ული ელტვის მარადიულს, მისთვის ძვირფასს, უცხოს,უცნობს;
ი დეალურს, მიუწვდომელს, აუხსნელს და გამოუცნობს;
ყ ოველ ჟამს თუ ეძიებდეს, სხვას არავის აღარ უხმობს;
ვ ინც იპოვა მისით ხარობს, დროს არავის აღარ უთმობს;
ა რსი მისი დიდ სიხარულს მიანიჭებს გულცივს, უგრძნობს;
რ ომელიც რომ არასოდეს არსად არვის თანაუგრძნობს;
უ ლევ ძალას ჰმატებს უძლურს, განამდიდრებს გლახაკს,უნდოს;
ლ მობიერსა გაჰხდის მხეცსაც და არავის აღარ უმტრობს;
ი ე ს ო ❤❤❤ არს ვინც გვანიჭებს სიყვარულის გვირგვინს უჭკნობს.

იყიდება ღმრთის სამოთხე

იყიდება ღმრთის სამოთხე,
ჭიქა წყლად და სიტყვად თბილად,
მოკითხვად და თანაგრძნობად,
უღირსის შენდობად ღირსად...

მშიერისთვის გაწვდილ ლუკმად,
და შემოსვად გლახაკისა,
აღსარების ცრემლად უხვად,
ცოდვათაგან განბანისად!

სიწმიდედ და კრძალულებად,
ერთგულებად ძისა ღმრთისა!
ვინც განკაცდა დაბრუნდება,
და მოგვაგებს საკადრისად!

იყიდება მხოლოდ გროშად,
გულით წმიდით გაცემულად,
თუ არ ჰმონებ უფალთ ორთა,
ანგარებით,დაცემულად...

პყრობილის ნუგეშისცემად,
და მოხილვად სნეულისა,
სურვილებად სულ კეთილად,
დაყვავებად ეულისა;

ჟამსა ამა ვაჭრობისას,
რასაც სთესდე იმას მკიდე,
ვიდრე მოსლვად მაცხოვრისა
რომელსაცა ჰრქვიან ქ რ ი ს ტ ე.

მ ა დ ლ ი ე რ ე ბ ა

ცხვრის ფარა
იხსნა მგლისაგან ძაღლმა,
ერთმა ყველასთვის
დასთხია სისხლი,
და მხოლოდ
ერთი მოვიდა მასთან,
უამბორა
და მადლობას იხდის

დაიკლა ჩვენთვის
კრავი უბიწო,
ეკვეთა მგელს
და გვიხსნა ყოველი,
მადლობისათვის ცივად,
უსიტყვოდ,
თუ გვრჩება გული
კარგს რად მოველით?

არა უფალო,
არა ვართ ღირსი,
გამომსყიდველის
შენისა სისხლის,
რადგან ყველასთვის
დაიკალ ვიცით,
მაგრამ არცერთი
მადლობას გიხდის

ეძღვნება ლ ა ნ დ ა-ს

იყო კაცი,იქცა ლანდად,
შეგხვდა ოდეს და დაგლანდა
გვიყვებოდა "არვის ჰგავდა...
გულში მყისვე ჩამივარდა
დამრჩა იქვე ფიქრად,დარდად
რად შევხვდიო,გაჩნდა ანდა
ეს ცხოვრება როგორ მწამდა
სითბო სხვათა მე არ მაკლდა
ქალებს ჩემი სუსხი ჰკლავდა
მისგან ახლა მე ვარ ავად
არც ვინ მშველის მკურნალ წამლად
აღარ მხიბლავს,ვინც კი მყავდა
ცრემლებამდე შემიყვარდა
მკვლელი ჩემი და მზე ლ ა ნ დ ა.

ხ ე ლ ი

მაჩვენეთ ხელი,
ვინც წააშველოს,
დაქუცმაცებულ
ჩემს საქართველოს;

ბრძოლით ან ზავით,
ვინ გააშველოს,
დაღლილ დაქანცულ არს
საქართველო;

რომ აღარ ჰქონდეს რამ სადარდელოდ,
იბედნიეროს ჩემ
საქართველომ;

ყვავილებმა და ტყემ,
მთამ და მდელომ,
კვლავ იყვავილონ ამ
საქართველოს;

ძენი,ასულნიცა,
სასახელოდ
უმრავლოს ღმერთმა
ჩემს საქართველოს;

გამთლიანებავ,
მთლად სანატრელო,
მოდი, მოგელის დღეს
საქართველო;

ვიცით ის ხ ე ლ ი
რთვლის საწნახელოვ,
გაგამთლიანებს ვ ი ნ ც
საქართველო.

ჩემს ანგელოზს

განმანათლე მცველო ჩემო!
ბოროტისგან დამიცავი!
რწმენა მექმნეს მე შენს ჩეროდ
ქრისტეს,ვინც მყავს საფიცარი!
მომეც ძალი სიცოცხლის და
უანგარო სიყვარულის!
სიბრძნე მის, ვინც ილოცვიდა,
მადლით,ცრემლით სიხარულით!,
ნუ დაუშვებ,ძმას ატკინოს,
ენამ ჩემმა უგუნურმა,
დამიცევ რომ არ მაწყინოს
ხოტბა-ქებამ დიდებულმა;
ნურასოდეს გამეცლები,
და ილოცე ჩემთვის მარად,
შხამიანი ნანესტრების,
მზაკვარ მტრისგან დასაცავად;
შურის,ავი თვალისაგან
დამიცავი და მიხსენი,
და უკეთურ კაცისაგან
მოდგმა ჩემი დაიხსენი;
ნუ მოიწყენს ნურასოდეს
ძნელბედობას ჩემი სული,
არ დრტვინავდეს, სულ ამკობდეს,
ღმერთს ქებით და სიყვარულით;
შენ აკურთხე სახლი კარი
ჩემიც და მტერ მოყვარისაც,
ვინც არ ვიცით სად ვიყავით,
ვიდრე ღმერთმა არ გვაღირსა,
მოსვლა ქვეყნად, ნათელღება
მფარველობა და სიცხოვლე,
აღსარება,ზიარება,
და საუკუნო სიცოცხლე

თამარ ფიცხელაური

ვაი, შენ, ჩემო ნაღველო...

ვაი, შენ, ჩემო ნაღველო,
აუწერელო ენითა,
აუზიდავო ლოდებო,
შეუდარებნო თმენითა!
იქნება ვინმემ ამიხსნას,
რისთვის მოვედი ამ ქვეყნად...
ან სად, რა, როდის იწყება,
ან სად, რა, როდის მთავრდება...
არც დასაწყისმა მიშველა,
არც დასასრული მარგია,
ნუთუ ეს წუთისოფელი,
ერთი უთქმელი დარდია?!.
ისე არ მომკლა, სიკვდილო,
ცოდვა არ გამაყოლიო,
ამქვეყნიური ნანანტრი,
იმ ქვეყნად ჩამაყოლიო...
საფლავის ლოდიც ცოდოა,
ამდენი ცოდვის მოცილე,
ამოდი, სულო მიწიდან,
მზის სხივი დამაკოცნინე.
ლოდებქვეშ დარდი ბობოქრობს,
დარდი, ბოლომდე უთქმელი,
ამოიგმინებს, ქვას დაძრავს,
სურვილი გამოუთქმელი...
გემუდარები, სიკვდილო,
კალთა არ ამაკრეფინო,
და ჩემ სევდიან მდელოზე,
ოცნება დამაკრეფინო...
ან გვირილების მინდორზე
ფეხი არ დამადგმევინო,
ისეთი ჭირი არ მომცა,
სული არ მომათქმევინო...
ერთი, უთქმელი გულისთქმა,
როგორმე დამათმენინო,
იმ სიყვარულის ზღაპარზე,
აუგი არ მათქმევინო!..

მიწად მოვედი, მიწა ვარ და...მიწად ვიქცევი...

შენ მასწავლიდი:,,არა კაც ჰკლა“,,,არა იქურდო,“
საპირისპიროს მაძალებდა თვითონ ცხოვრება...
მეც შენი რწმენით მოგყვებოდი, ჩემო უფალო,
თუ შემეშალა, ცუდად არც ის გემახსოვრება!
მიწად მოვედი, მიწა ვარ და... მიწად მაქციე,
ტალახად ნუ მქმნი, ვიცი, ეს არ გაგიჭირდება;
იქნებ მიწაზე ჩემი წილი ზეცა მაჩუქო,
ის ზეცა, მე რომ უფალივით ასე მჭირდება.
მე შენი მადლით, ვცდილობ, ვიდგე ცოდვილ მიწაზე,
რადგან ამ სულშიც შენი მზე და შენი დარია,
რომ ისე მიყვარს, სიძულვილი არ შემიძლია,
შენ რომ ჩემში ხარ, ალბათ, ესეც, შენი ბრალია..
მიწად მოვსულვარ, მიწა ვარ და...მიწად ვიქცევი!..
მიწაზე ვდგავარ და ხელებით ცა მიკავია...
შენ ყველგან სუფევ, შენ ხარ, რადგან ყველას უფალი,
მე სად ვიქნები, რად ვიქცევი, საკითხავია?!.
ვიცი, რომ შენ არ მიმატოვებ, შენ მომიტევებ,
შემინდობ ცოდვებს, თუ ამ ცოდვილ თვითონ ცხოვრებას;
თუ შეგნებულად შემეშალა, ნუ მაპატიებ,
თუ უნებურად, ცუდად ნურც ეს გემახსოვრება...
გთხოვ, არ მიწყინო, მაპატიო და შემირიგო,
ჩემსავით შენით შეპყრობილნი სადღა არიან...
ჩემი სამყარო, თუ უთვალავ სამყაროს იტევს,
ვიცი, უფალო, ისიც ალბათ, შენი ბრალია!..

...ვეღარ დავითვლი შემოდგომის დღეებს ნაკლულებს

ვეღარ დავითვლი შემოდგომის დღეებს ნაკლულებს,
ვეღარც - ღამეებს...თვლა არ უყვარს ამინდს ავდრიანს,
თვალს გადავავლებ, ხელს შევავლებ ხეებს მოწყენილს,
ცვარ-ნამს მოვწმენდავ, ჭორფლივით რომ ტანზე აყრია...
ის მართლა ვიცი,ხელს არ ვახლებ დასევდილ ფოთლებს,
არავის ესმის ჩემნაირად ფოთლის გოდება...
სულს შევუბერავ, ქარვის ცეცხლი რომ მივანავლო
და რომ არ ვნახო იმ სიყვითლის გაგოლგოთება...
ჩამოჰკრავს სადღაც დედო ზარი, შეკრთება ფიქრი...
და ისე მძაფრად მომინდება ჩემი კერია,
რომ გარდასული შემოდგომის რაღაც ნაწილი,
ჭაღარასავით უკვე სულშიც გამომერია...
სასაცილოა, იქნებ უფრო სატირალია,
შენი რომ იყო, ახლა უკვე აღარც შენია...
და მენატრება ჩემი სახლი, ხმაურით სავსე,
ხსოვნას რომ ყვითელ ფოთლებივით შემორჩენია!..

„...მე ლამაზი მეგობარი მყავდა...“

...ზეცამ მოგიხმო, შენი სუნთქვაც გაქრა, წავიდა...
გაბინდისფერდა დღეები და ჭრელა–ჭრულები;
გადაიფურცლა კიდევ ერთი მძიმე ფურცელი,
უკვე ფერმკრთალი სიშორიდან მეჩურჩულები...
ვფურცლავ ბარათებს, გაცრეცილს და ოცნებით სავსეს...
დრო ჩერდება, თუ დროის ათვლა შენით იწყება?..
რაც თავი მახსოვს, ვამაყობდი, რომ თავი მახსოვს
და ახლა, რა მჭირს, რატომა მსურს თავდავიწყება?!.
თუ ჩვენი დროის ნარცისები ისევ ჰყვავიან?..
შენ უკვე შორს ხარ და ვერ შეძლებ ამის დანახვას,
ასე მგონია, შენი წასვლით გსურს, გამაოცო,
რადგან შენს მოსვლას დასასრული მართლა არა აქვს!
...და ჰორიზონტზე ჩამოეშვა დროის პალიტრა...
გაუღვიძარის, ვიცი, ახლა, გჭირს სულ სხვა ძილი...
რა ფერთა გამა?.. უფერული ორი ესკიზი:
მე – ცოცხალი და შენ კი – უკვე სიკვდილმისჯილი!..
ბინდი იყო და ბინდისფერი იდგა დაისი...
წყალწაღებული ხავსთან მისვლას მაინც ჩქარობდა...
შენ გიხაროდა თითქმის ჩემი ყველა ცისკარი,
მე კი – არცერთი ის ცისკარი არ მიხაროდა!..
...სულგანაბული აღსასრული დასაწყისს ზეობს!...
გუმანით ვხვდები, შენი წასვლით, მოსვლა იწყება!..
ჩემს თავს დღემუდამ ვუმტკიცებდი, რომ თავი მახსოვს,
და ახლა რად მსურს უსაშველო თავდავიწყება?!.
...წასვლა ყოველთვის არ ყოფილა გამოსავალი...
და ისიც ვიცი, უსასრულო გჭირს სულ სხვა ძილი...
ნეტავ ჩვენს შორის რომელია უფრო ცოცხალი,
მე – ცოცხალი თუ, შენ კარგახნის სიკვდილმისჯილი?!.

თოვს უცნაურად

თოვს უცნაურად, ისე მოწყენით,
მინდა ავასხა სევდის აკიდო...
და თოვლიანი ეს სიმარტოვე,
თოვლის ფიფქებზე ჩუმად გავკიდო!..
თოვს, ისე ჩუმად და უნუგეშოდ,
გაიამინდოს, არა მგონია!...
ჩემ სიჩუმესთან თოვლის სიჩუმე,
იცოდე, მართლა, მონაგონია!...

თოვს და მგონია, არ გადაიღებს...
ავუტანივარ თოვას ჟინიანს...
გამოგიტყდები, უკვე ამ თოვის,
არც ამ ფიფქების არ მეშინია!..
ისე აღარ თოვს, ვით თოვდა უწინ...
არც ის ფიფქები მატყვია დარდად!..
ირგვლივ თოვლია...არ ჩანს არავინ...
უშენობის და... სითეთრის გარდა!..



ნესტან ხარებავა

ჩემო მამულო

დამსდევს მამულო, შენი სითბო, ყველა მხარეში...
სულს გაუმართავს უსასრულო ლხინი, თარეში,

მასმენინებენ ბულბულების ქართულ გალობას,
ღმერთო! რაღა სჯობს,- ნათელ გრძნობას,შენსა წყალობას.

ისევ გავაბი დღეს ბაასი ულევ მუზებთან,
წამომეწია გასახარად ჯვარედინ გზებთან,

ჩემო მამულო! მონატრების ცრემლებს ვმალავ და
მაინც გაგიმხელ,-მრავალი დღე დარდში დაღამდა.

არ ვნებდები,უფალი მალე მიშუშებს წყლულებს,
დასაწყისები მოჰყვებაო სულ დასასრულებს,

მწამს ასე არის,მე გავივლი შენს მიწა-წყალზე,
მერე მითები დაიწერება ემიგრანტ ქალზე...

ჰო,მამულო! გამოვიდარე,დღეს მღერის გული,
რომ მეგობრებმა კვლავ მაჩუქეს,ზღვა სიყვარული,

რა მიხარია?- მათი გული არის მთლიანი
და რომ არსებობს სამყაროში ა დ ა მ ი ა ნ ი!

****

დავაღამე დღე და
გავათენე ღამე,
დღეს შფოთვა დამჩემდა
გაწყენინეთ რამე?

ჰანგებს,-ვიოლინო
აფრქვევს, ისმენს მთები...
მინდა მოგივლინოთ
ანგელოზთა ხმები...

თუ მიბერავ ქარო,
თხოვნა შემისრულე,
ცრემლი,რომ არ ვღვარო,
ყველა დამიპურე.

ისევ ჩამოვკარი
ვიოლინოს სიმებს,
ვაღე მათთვის კარი,
ვინც კარგს დამიპირებს.

დავაღამე დღე და
გავათენე ღამე,
დღეს შფოთვა დამჩემდა
გაწყენინეთ რამე?

ჩემი მზე

როს ამობრწყინდა ჩემი მზე იმ დღეს,
ორთქლი შურდულით ცაზე ავარდა...
ვინც მიმზადებდა მალულად წუმპეს
ის უბედური,თვითონ ჩავარდა...

ვერას წაიღებს ამა ქვეყნიდან
მხოლოდ გაზიდავს ცოდვების ხურჯინს...
ამაოება არის ყოველი,
არ ღებულობენ იმიერს შენს ჩინს.

ზოგჯერ...

გავუყვე მინდა, ზოგჯერ ტრამალებს,
გამრთობი იყოს ცხენების რემა,
ანდა ავიდე მთაზე,ციცაბოს,
ან მიმასპინძლოს სალისა კლდემა.

დავიდო ბინა შორს,მტარვალთაგან
და ვეზიარო თუნდაც მშრალ ქვიშას,
მუზებს მივუჩენ ადგილს, – ძველ ქოხში,
რომ დაისვენონ,ჩამოვდებ ნიშას.

მერე დავუგდებ ბუნებას ყურს და
გავითავისებ მშვიდად მათ წუხილს,
თავს მაღლა ავწევ,სახეს მაწვიმდეს,
შევხვდები ზეცის მრისხანე ქუხილს.

გავუყვე მინდა, ზოგჯერ ტრამალებს...

და თუ გაწყენინეთ, პატიებას ვითხოვ!...

,,წერის პროცესი უტოლდება მელანქოლიას,
და ყველა სტროფში, ტორნადოს და ზვავს მოვესწარი,
შენ საქართველოვ ! ოდითგანვე ბედი გქონია,
რომ გყავს პოეტი ხარებავა - თანაც ნესტანი

ქალი, რომელმაც გაიარა ლექსის წიაღში,
ქალმა, რომელმაც ეს ცხოვრება ლექსით იცხოვრა,
არ გაქვს უფლება არ დატოვო ისტორიაში,
რადგან მან უკვე ისტორია შეისისხლხორცა

შენი სტროფები, უკვე გასცდა თვალსაწიერსაც,
მსოფლმხედველობას და ცხოვრებას არ აქვს წესები,
დაიწერება არაერთი შენზე პიესა,
და მოგბაძავენ სხვა მრავალი პოეტესები

რადგან შენ უკვე აპოგეაც გეცოტავება,
და წარმატების გზებიც უნდა გქონდეს მრავალი,
არასდროს გქონდეს, ტკივილი ან წყენა, ვაება,
დალოცვილ იყოს შენი მუზა, შენი კალამი

ავტორი : **გაგა გოგრიჭიანი**



თინა ბასაბიშვილი

სუსხიან ზამთარს.

ზამთარმა ფიქრი შეატოვა ლამაზ ოცნებას,
მოსაფერებლად
ჩაეხუტა უკუნეთ ღამეს,
ზამთართან ერთად
დავატარებ ნაფერებ გრძნობას,
ლექსებს გავანდობ
ფიქრში განვლილ
უძილო ღამეს...
სადღაც წვიმაა,
ცა მრისხანებს,
სადღაც ქარია,
ქარის ზუზუნში ვგრძნობ
ზამთარმაც
ხელი დამრია,
არ ვეგუები სუსხს და წვიმას შენი მადლია,
უძილო ღამე შენთან
ერთად ლექსმა გალია...
აისის მოსვლას
არ დანებდა დიადი გრძნობა,
ცას მოეფინა სხივებად და ლამაზ ოცნებად,
თუ მიგვატოვა,
არ ინათა კვლავ
მზის სხივებმა,
სულ მალე სუსხი
შეიცვლება თბილ გაზაფხულად...
სითბო, სილაღე
გაზაფხულის სურნელს მოიტანს,
ამწვანდებიან ველ-მინდვრები, გული ხალისობს,
ჭრელ-ჭრულა ფარჩას შემოახვევს
დედა სამშობლოს,
რომ ყველას გულში
გაზაფხულმა დაისადგუროს...

სიცოცხლის აღმაფრენა...

გულს როცა დარდი
შემოაწვება,
დიდი შვებაა ამ დროს ცრემლდენა,
ზოგჯერ იცინი,
მაგრამ გიხდება,
სულის ტკივილის
დიდი დათმენა...

როს ჩამოწვება
წარსულის სევდა,
გული ტკივილით დაიჩრდილება,
სულის ციალი,
ურვა და ელდა,
თვალთაგან ნადენ
ცრემლს უერთდება...

მაშინ იმძლავრებს
კვლავ ღმერთის ძალა,
თვალზე ცრემლსაც კი შეგიშრობს რწმენა,
ტირილის ნაცვლად გულს აღმოხდება,
ღმერთის დალოცვა
და ჭირთა თმენა...

აღიმართება წარსულის ჩრდილი,
შენს ოცნებებში დახატულ გმირად,
ის ვინაც გწამდა და ვისი გულიც,
შენი გრძნობების იქცა ნუგეშად...

არაფერია...
გაივლის ესეც,
კვლავ ღმერთის
რწმენა გრჩება ხატებად,
შემოუძახე,
გულს შვება მიეც,
იმხიარულე კვლავ
აღმაფრენად...

მაშინ დაცხრება ყველა ტკივილი,
გწამდეს სიცოცხლის შეუვალობა,
იმხიარულე,
თუნდაც იცოდე,
დიდი ტკივილის გარდუვალობა...

წუთია წუთისოფელი...

წუთია წუთისოფელი,
ჩასაფრებული კარზედა,
ყოველთვის იმის ცდაშია,
როგორ იმარჯვოს კაცზედა...
სიკვდილო,შეუბრალებო,
როგორც ბრმა დაიარები,
რატომ გინდა რომ გასწირო,
წაგვართვა ახალგაზრდები...
სიკვდილო ძლიერ მებრალვი,
ბევრს სცოდავ ღმერთის წინაშე,
თუ თავდებად გყავს უფალი,
სულს ვერ გავატან დილამდე...
ახალგაზრდების ყიჟინა,
სანამ მოისრა ქვეყნადა,
უფალო გვითხარ რა ხდება,
ან შენ რატომ ხარ უბრადა...
ყოველდღე გვტაცებს სიკვდილი,
სიცოცხლით გაუმაძღრებსა,
ცხოვრება ოდესღაც ტკბილი,
ახლა რად გვადენს ცრემლებსა...
უფალო შენი მადლია,
აქამდე რაც კი გვიმკია,
ხელი ჩაგვკიდე გვასწავლე,
ტაძრის გზა უმოკლესია...
ნაცრად აქციე სიკვდილი,
ამდენ ცოდვა-ბრალს სჩადისა,
მშობლების გამმწარებელი,
უმისამართოდ დადისა...
სიკვდილო ნეტავი ერთხელ,
სიკვდილი შენცა გწვეოდა,
რამდენ შვილს დავიფარავდით
და გამწარებულ მშობელსა...
ოღონდაც აღარ გვეხილა,
ამდენი გლოვა, წუხილი,
ახალგაზრდობა რომ იყოს,
სიცოცხლით გალაღებული...

თებერვალია...

თ–ოვლის საფარქვეშ განაბულა ლამაზი ია,
ე–ნძელა თითქოს სდარაჯობსო მის იდილიას,
ბ–ოლო აკორდის ამღერებას ელოდებიან,
ე–ფემერულად მთელ მიდამოს მოედებიან...
რ–არიგ ნაზია გაზაფხულის მახარობლები,
ვ–უგალობ, შევტრფი, მაოცებენ მათი ფერები,
ა–მობრწყინდება, განათდება მზისა სხივები,
ლ–ურჯი იები ინათებს, ვით მარგალიტები...
ი–ავ, ლამაზო, გეფერები, მზისა სადარო,
ა–ნათებ, ბრწყინავ შემოგნატრის მთელი სამყარო...

ირინა ბერიანიძე

გულნაზ ხარაიშვილს

პასუხად გეტყვით!
თქვენ ხართ მალამო სულის კურნების,
გამოცდილი გაქვთ ძნელბედობა ამა სოფლისა,
სიტყვებს არ მოსდევს რაღაც ხურდები,
სიყვარული გაქვს ბოძებული დიდი უფლისგან!

საოცარია-ყველას გულით უძღვნი სტრიქონებს,
დარჩა? თქვენ ბაგეს ნეტავ რამე ამოუთქმელი?
არიგებ ისე, უანგაროდ ქორონიკონებს,
არც სანთლებია შენგან კარგო, ჩამოუქნელი!

ჩემი ბედის ხარ...გულიც ჩემი ჩაგსახლებია,
თუ რატომ, კითხვა, ჩემთვის არის ამოუხსნელი,
შვილიშვილებით წლები ისევ განახლდებიან
თუმც შეგუება არის ამის, ძალიან ძნელი!!!

რუსოს

მეგობრობა წლებს რომ ითვლის
ცისარტყელას ცხოვრებაა,
ჩემ რუსოსთან მუშაობა
მართლაც სულის ცხონებაა.

ის ჩემ გულში მზედ ჩასახლდა,
მზისებრი ააქვს ენერგიაც,
საუბრით და მანერებით
სიყვარულის შედევრია!

განდობს გულის საიდუმლოს...
ლაჟვარდივით გაშლილა,
თვითონ სხვა შტატებში დადის
მიკვირს რად არ დაღლილა.

ლაგოდეხის ჭიუხებში
ჭრელ ბაღდადზე სუფრას გაშლის,
ჩვენც წავიყვანთ ლამაზ მთებში
არ დავრჩებით მასთან ვალში!

გოგას

რა სიზმარი გამცნო ღამით
წინაპარმა მართვეს,
რვა იანვარს, ალიონზე
შვილო, შენ თავს მართმევს.

სიზმრად ნანახს დაუჯერე
ჩვენ დაგვტოვე მწირად,
შენ ცოლშვილს და შენს დედიკოს
დაენახვე ხშირად...

რაც დრო გადის სხეულს ვეძებ
მხარბეჭს დიდს და ძლიერს,
ვიცი არვინ დამიბრუნებს
ჩემი შვილის იერს.

დედი სიზმრად დამენახე
სიზმრად მაინც ხშირად
დედი, დედი დამიძახე,
შემხვდი გზის ნაპირას.

ჩემო ვარსკვლავო
(ანასტასიას)

შენ მამიკოს მსგავსი ფერი,
შინაგანი სამყარო გაქვს,
შენ ხარ ჩემი ყველაფერი,
არ ავყვები დარდების ქარს,

ხან მკაცრი ხარ, ხან დამთმობი,
ჩემი გულის სამკაულო,
დარდების დროს შენ მათბობდი
გზა მზის სხივით გაკვალულო!
მილამაზებ ამ ცხოვრებას
ლამაზ -ლამაზ ყვავილებით,
იმედი სჩანს დიდი გორებად,
შრომით აღარ დავიღლები...

მამის მსგავსი სიცოცხლეო,
დილის მზეო და ცისკარო,
წლები გამომიცოცხლეო,
შენით ვმზეობ, შენით ვხარობ!

გოგას

იანვარი მძიმე თვეა
ნესტიანი ცვრიანი,
მამაშენმაც გიღალატა
რაა ადამიანი...
მას ეგონა შენ დაგტოვა
გამართული ფრთიანი,
წილად შეგხვდა პატარა ბიჭს
წლები არა მზიანი...
რას მერჩოდი შვილო ჩემო,
გულს რომ დანა ჩამასვით,
ან მესიზმრეთ გოგა შვილო
ანდა თქვენთან დამმარხეთ.
შვილიშვილებს თუმც ვჭირდები
თან ძალიან ქმარშვილო,
სიზმრად მაინც დმენახე
ჩემო ბუდეევ აშლილნო!..

ჩემ შვილს!

შენს სიტყვას რომ ძალა ჰქონდა
მიტომ მოგცეს უფლება,
ყველა მათგანს უხაროდა
შენთან თავისუფლება.
ტკბილი სიტყვით, იუმორით
აქე ყველა მათგანი,
ანეგდოტებს ისე თხზავდი
შეჰქმენ დიდი თარგმანი,
ახალი წლის ნაძვი მორთე,
საავადმყოფოს კედელზე
საჩუქრებიც ჩამოკიდე,
მისართმევი დედებზე.

შენ ვერ მიხვდები

ვის გულში რა დევს შენ ვერ მიხვდები,
დარდს მე დუმილით ვხატავ,
გულო ამ სევდით ნუ მომიკვდები,
ცრემლებს ზღვის ტალღებს ვატან.
ზოგის სიტყვები
მაინც ძვალს ატანს,
გულს მისერავს
და მიდის,
იმან რა იცის დარდს ჩუმად ვხატავ,
რა ტკივილი მაქვს დიდი .
ვითმენ არ მინდა
ბოღმა ვატარო,
ზეცას ვუგზავნი კოცნას,
გულო ჩაყუჩდი
სევდის ამტანო,
დროს კვლავ
სჭირდება მოცდა.
აქ დასასრული იქით გრძელდება,
გრძელ ქვეყანაში მგზავრობს,
აქ ყველაფერი ჟამით ძველდება,
ამიტომ აღარ ვჯავრობ!

მზია გომართელი (გუბათაშვილი)

* * * * * *

სული მოგანდე მერანო
გთხოვ არ გადასცდე ამ დირეს,
უცხო არ მოეპატრონოს
ამ გადაჭიმულ ყამირებს!
ქართული გენი იმძლავრებს,
არ დაიკარგვის ერია..
აქამდე თუკი მოვედით,
ჩანს მომავალიც ჩვენია!

დედას

დედა ის უფლის ანგელოზია, თავს დაგტრიალებს მუდამ გმფარველობს,
მის გონებაში შვილების გარდა უპირატესი რომ არ არსებობს!
შვილი ხომ მისთვის არის ღირსება, აუწონლობა და ჭირთა თმენა...
ნეტავ მაჩვენა თუ რამე გრძნობა დედა-შვილობას რომ შეედრება?!
ის მუდამ ცდილობს, სწორ გზით გატაროს. დაბრკოლებებსაც გადაგატაროს
არ შეუშინდეს დიდ განსაცდელსაც, გამოგტაცოს და ფონს გაგიყვანოს!
და თუ ცხოვრების ორომტრიალში, მისი მიზანი ვერ გაამართლებს,
შვილებს დაიცავს კბილით-კბილამდე, მას ადვოკატი ვერ ჩაანაცვლებს!.
დედა სიცოცხლის წყაროს თასია.. გამოსცლი მაგრამ ისევ სავსეა!
ხან უნებურად ვაყენებთ ტკივილს.. მაგრამ ამასაც უძლებს არ ჩივის.
ცრემლსაც დამალავს...იღიმის დედა,არ დაგანახვებს დარდსა და სევდას...
უჭირს თუ ულხინს ბედნიერია შვილების დიდი მადლიერია.
ამოუხსნელი ფენომენია, ვერ გამოიცნობ, მუდამ გაოცებს...
დედა მფარველი ანგელოზია-უფლის ხიდია.. მიწიდან ცამდე!
მისი სახება სულ თან დამყვება,თავს დამტრიალებს და მე კი ვნანობ...
ოხ როგორა მსურს, რომ ჩავეხუტო, მოვეფერო და ცრემლით დავბანო!

* * * * * *

ზურგს უკან ხელში ყვავილთ კონა, გულში გამთბარი.
მინდვრად ნაკრეფი და სათუთად
გრძნობით დამტკბარი. რას შევადარო ეს სიყვარული
იყო ალალი და ზღვის ტალღებზე უნაპიროდ შორს მიმავალი...
გრძნობა უთქმელი,ბევრის მთქმელი მუხლზე შემდგარი.
თვალებში სხივი... ლიტონ სიტყვას არ შესადარი.
მინდვრის იებში ჩაქსოვილი ფარჩას სადარი.
ასეთ სიყვარულს ბევრი ელის გულისფანცქალით!
ხან ცხოვრების ქარტეხილებით ნელა მიმქრალი...
მაგრამ უცხოდ გამორჩეულს არა აქვს საზღვარი.
ხშირად მას კიდევ ძალა შესწევს შეუსადარი ...
რომ სიყვარულის ისტორია იყვეს მართალი!!

* * * * * * *

ვეღარ ვეწევი ცხოვრებას,
ჩანს ამოვვარდი ღერძიდან,
სამყარო მიდის თავისთვის
მე კი შორს ვდგევარ გვერდიდან...
თითქოს გაჩერდა ერთ წერტილს,
რაღაც უცხოა, ვერ ვიცან.
ერთ ადგილს მე არ ვტკეპნიდი
მას მივეჯაჭვე ვერ ვიტან.
დადგა ლოდინის მეფობა..
ამ ტვირთს მგონია ვერ ვზიდავ,
ვერ ვეგუები ამ ყოფას,
ბედს უკუღმართს და ორპირას!
საით იხრება სამყარო,
ვეღარ აკავებს მთავარი...
ზოგს რომ თეთრ რაშსაც მოუვლენს,
ზოგ შავია სწრაფმავალი. ზოგის
რუხია უფერო,
ჯაგლაგი ცუდად მავალი
მაგრამ ერთია საერთო,
წუთია და წარმავალი!..

* * * * * * * * * *

დრო მუდმივად წრეზე დადის, არ ჩერდება,
არ ჩადის.. დრო მოვა და აღელდება,
დრო მოვა და ნახვამდის..
თუ დროს სწორად გაუგე და დაუფინე ფარდაგი...
მოვა შენთან შეისვენებს,მერე ისევ ნახვამდის!

. . . . . .

დრო ძალიან საჭიროა, დროს ვერ აუხირდები...
ის დაგიცდის.. გელოდება..გითმენს როდის მიხვდები!
ვერ შეიცნე, ვერ შეირგე?!..გადაგაგდებს ხიდს ქვევით...
შეიძლება დრო ვერ გეყოს, ამოყვინთო ცხვირს ზევით!..

. . . . . .

დრო მიდის და აღარ ითმენს,
ვერ ეწევი, ის გთაგავს!
ხან დროსაც კი გადაუსწრებ..
ემგვანები ვირთაგვას. ვერ ელევი,
ვერ ეწევი...ის დაგცინის, ის გჯაფავს...
და თუ სწორედ მიუყვები აგისრულებს წინ-სწრაფვას...

. . . . . .

ხან მოგვივლენს დიდ განსაცდელს...
რაც ტკივილებს გვაყენებს.
მოთმინებას გვასწავლის და
ღვთის რწმენას შეგვაყენებს!!

. . . . . .

დრო განსაზღვრავს ვინ ვინა ვართ!
ვერ ვუარყოფთ, ვერ შევცვლით!
დრო ყველაზე მეფობს მიხვდეთ..
– არა ქვეყნის მეფენი!

. . . . . .

ხან გვახსენებს გულებსა გვტკენს...
ხან გვავიწყებს დროებით!
დროის უკან დაბრუნებას...
სულელი თუ მოელის...
არასოდეს დაბრუნდება..
ის რაც იყო, წავიდა...
თუ უკეთესს დრო გვპირდება...
რად ვუარყოფთ..რა გვინდა?!

. . . . . .

შენ ხომ უკვე გამოსცალე..
შენი ჯერი სასმისი...
ნუ უარობ, ნუ ჯიუტობ...
დროს დაუთმე თავისი!
თორემ შენი დროც დადგება,
გადაგაგდებს იცოდე...
კოკა ერთხელ ტყდება წყალზე...
რომ გადარჩე ...ილოცე!!

. . . . . .

დროს უნდა თვალი ვუსწოროთ..
დრო გამსაზღრავს ქარტიებს!
არ ვეჯიბროთ, პატივი ვცეთ..
თორემ არ გვაპატიებს!

. . . . . .

დრო ჩერდება და ივსება
მოთმინების ფიალა!
სჯობს რომ გონი მოვიკრიფოთ,
არ გადავსცდეთ იალაღს!
თუ არა და დრო გაგვისწრებს...
გაფრინდება "იალა"! აა.

. . . . . .

დრო გარბის და იწელება..
საიდუმლოს ინახავს...
დრო მოვა და გამჟღავნდება,
თუ რაიმეს ის მალავს!

. . . . . .

დრო ითმენს და ხან ვერ ითმენს...
და აკეთებს ყირამალს !
დროა თვითონ სასწაული...
ის ყველაფერს გვინახავს!

ლია ალადაშვილი

საქართლო!

უფლის ნებით გაბრწყინდება ჩვენი ტურფა საქართველო,
სიხარულით შემოვირბენ მისი კუთხის მთას და მდელოს,
ახლა ,ისევ ქარი დაჰქრის სასტიკი და ულმობელი,
შეგვეწევა ისევ მალე უფლის დედა, ღმრთისმშობელი!

საქართველო,კვლავ იხარე, ხარ სამყაროს თვალის ჩინი,
არასოდეს არ მენახო მტრის წინაშე დაჩოქილი,
სიყვარულით მზე ნათელს გფენს, მის სხივივით ამზიანდი,
უფლის ძალით ,საქართველო,იდიდე და გამთლიანდი!

* * *

როცა სურვილი აღემატება შესაძლებლობას,
მაშინ იწყება გულის ტკივილი,
ბოლოს მივხვდებით ზოგჯერ სულს სჭარბობს,
თვითგანდიდების მძაფრი წყურვილი!

* * *

ამ სამყაროში ყველაფერი ცვალებადია,
დროებითია ყველაფერი და წარმავალი,
მხოლოდ მუდმივი და შეუცვლელი სიყვარულია,
სიყვარულია უფლისა ჩვენი,აწ და მარადის!

ამობრწყინდა მზე!

მღერის ლია ალადაშვილი

ამობრწყინდა მზე ,გამითბო სული მე
გული ჩემი სიხარულით აივსო,
უშურველად მომაფრქვია სხივები,
არ დამტოვებს, ისევ სითბოს გამიყოფს.
შევხედე ცას უკვე აღარ ავდრობდა,
გულიც ისევ სუნთქვას შვებით განაგრძობს,
დაილოცოს ღმერთო შენი განგება,
სიხარული ვიგრძენ ,როგორც არასდროს!

მტერო!

მტერი ნუ დამემალება
ზურგს უკან, ბასრი დანითა,
დამენახოს და მივაგებ
სიტყვას, საკადრის, თავისას,
ისეთ ქარბუქში მოხვდება,
იწყევლოს ბედი თავისა,
მამულს თუ ავად მიხსენებს,
უფალი გასცემს პასუხსა.
მტერო, შეჩერდი, ნუ ცდილობ ,
მომეჭრა ჩემსა კარებსა,
თუ სამყაროში ყოფნა გსურს,
დადექ მშვიდობის მხარესა!

მშვიდობა საქართველოს!

უფლის მადლით ისევ!

მთვარე, ღამით ირთვება და
გარს ვარსკვლავებს იკრებს,
განაბული ცას შევყურებ,
ლოცვას უმალ ვიწყებ,
ფიქრებს ფიქრი ემატება,
არ გაწვიმნდეს ისევ,
სამყაროში ომი შეწყდეს,
მე, მშვიდობას ვირჩევ
მთვარე ჩადის, მზე ამოდის,
ტყდება ყინვაც მყისვე,
გულში იმედები ჩნდება,
უფლის მადით ისევ!

* * *

გული, სიამით გევსება მაშინ,
როცა მოყვასზე მუდამ -დღე ფიქრობ,
შენს გულს უფალი ხედავს, და გლოცავს,
სიკეთე თესე და ნუღარ შიშობ,!

* * *

ღვთის მადლი უმთავრესია.
მისით მივაღწევთ მიზნამდე,
მშვიდობა,მთელს მსოფლიოში,
უძლეველ უ ფ ა ლ ს !მივანდე!
ამინ!!!

მადლობა უფალს!

მადლობა უფალს გათენებული ყოველი დღისთვის,
უფალო ჩემო, გულში მყევხარ,ისევ შენ მშველი,
ყოველი დილის, მზის ამოსვლას ლოცვებით ვხვდები,
მწამხარ უფალო, სიყვარულით ჩემს გულში რჩები!

* * *

გზებზე შემხვდა ეკლიანი ბილიკები,
ქარი ქროდა, გულში ყინვა არ დნებოდა,
ბინდი ღამის,თვალებს შავად ეფინა და..
თოვლ-ქარბუქი ძველებურად წინ მხვდებოდა.
ეშმაკს ვძლიე, ავირიდე განსაცდელი,
რადგან ჩემში სიყვარული ბატონობდა,
უფლის მადლით, ისევ რწმენით მოვტრიალდი,
გაზაფხული – შავ ღრუბელთან არ მტოვებდა!

* * *

იყავ მართალი,იყავ კეთილი,
სიმართლე უნდა იფარო ფარად,
მოყვასი შენი უნდა გიყვარდეს,
რომ მტერს ანახო ერთობის ძალა!

* * *

ჩემო კუთხევ და ალაგო,
ჩემო სამშობლო, ლამაზო,
სამყაროს თვალის ჩინი ხარ,
უშენოდ გული არ ხარობს,
ღვისმშობელი გყავს მცველადა,
მის კალთას ვენაცვალეო,
მუდამ ფარავდეს მამულსა,
უფლის ჯვარი და მადლიო!

* * *

უფალს მიენდე, უფალი შეგიწყალებს,
წვიმაში, ქარში, მუდამ შეგიფარებს,
ოღონდ, ნუ გასწირავ მოყვასსა შენსას,
ოღონდ, ნუ შეეკვრი მტერსა და ვერაგს,
ოღონდ, ილოცე, შესთხოვე უფალს,
რომ ერთი თხილის გული, გავიყოთ ყველამ,
ერთად ვილოცოთ მშვიდობისათვის!
ყველაფერს, ყველაფერს, უფალი ხედავს!

ელენე ზურაბიშვილი

* * *

მე რომ ვციმციმებ შენი ბრალია,
მარგალიტები კვლავ ჩემს სახეზე.
ღიმილს მოქარგულს მე შენ გაჩუქებ
და გავიცინებ კვლავ ყველაფერზე.

გაზაფხულია, გაზაფხულია,
ნდობის სურნელი ერევა ფიქრებს,
აყვავდა ნუში და ნუშთან ერთად
თეთრი ფიქრები ერევა სიზმრებს.

იმედს გავატან მე ჩემს მზის სხივებს,
მარგალიტები კვლავ ჩემს სახეზე.
იმედს ჩაგაცმევ მე შენ მკლავებზე,
რა ლამაზია ,როგორ გიხდება.
ცა ცისფერია, ჩემი ფიქრები
გაზაფხულის ფრად როგორ ირთვება.

მე რკმ ვციმციმებ შენი ბრალია,
მარგალიტები კვლავ ჩემს სახეზე.
ღიმილს მოქარგულს მე შენ გაჩუქებ
და გავიცინებ კვლავ ყველაფერზე.

* * *

წერე მერე ცოტა ჩემთან,
ცოტა შენთან და ცოტა ფურცელზე.
ლექსად ვაქციოთ ჩვენი სიტყვები საუკუნებად.
იცი რა გრძნობას იწვევ ახლა შენ ჩემში?!
უკვდავებისა და სიყვარულის!...
წაიკითხავენ და იტყვიან ჩუმად სიტყვებად:"
სადღაც ვიღაცის გულში სიყვარული ღვივდება"
წერე მერრ ცოტა ჩეემთან ,
ცოტა შენთან და ცოტა ფურცელზე.
ლექსად ვაქციოთ ჩვენი სიტყვები საუკუნებად.
გაზაფხულია, ზამთრის სუნს აფრქვევს ჩვენი ბუნენა.
ეს ის გრძნობაა, მე რომ დამრჩება საუკუნებად...

მე რომ ვციმციმებ

მე რომ ვციმციმებ შენი ბრალია.
მარგალიტები კვლავ ჩემს სახეზე.
ღიმილს მოქარგულს მე შენ გაჩუქებ და
გავიცინებ კვლავ ყველაფერზე.

გაზაფხულია, გაზაფხულია,
ნდობის სურნელი ერევა ფიქრებს.
აყვავდა ნუში და ნუშთან ერთად თეთრი
ფიქრები ერეცა სიზმრებს.

იმედს გავატან მეჩემს მზის სხივებს,
მარგალიტები კვლავ ჩემს სახეზე.
იმედს ჩაგაცმევ მე შენ მკლავებზე,
რა ლამაზია, როგორ გიხდება.

ცა ცისფერია, ჩემი ფიქრები გაზაფხულისფრად
ჩუმად ირთვება.

მე რომ ვციმციმებ შენი ბრალია,
მარგალიტები კვლავ ჩემს სახეზე.
ღიმილს მოქარგულს მე შენ გაჩუქრბ
და გავიცინებ კვლავ ყველაფერზე.

სიყვა ფშავლური

კალამს რა უნდა რას მერჩის,
წერას მაძალებს ძალათა.
მე ხომ შეგპირდი არ დავწერ
ლექს არ გაჩუქებ ძალათა.
შენი მოსვლა და მუზა მე.
ეს რა გრძნობაა შენ იცი?!
შენ რომ გაგანდე ჩუმად მე!
კალამს რა უნდა რას მერჩის,
ჩუმად მაძალებს წერასა.
მე შენ მოგიძღვნი სტრიქონებს,
დავწერ ჩემს სათქმელს ფურცლადა.
ფშაველი ქალი ვარ მელექსე,
მიიღე სიტყვები ჩემია!
არ მიიღებ და მოგკითხავ,
ჩემს სიტყვებს რაც დამრჩენია...

გრძნობები

წერე მერე ცოტა ჩემთან, ცოტა შენთან და ცოტა ფურცელზე.
ლექსად ვაქციოთ ჩვენი სიტყვები საუკუნებად.
წაიკითხავენ და იტყვიან ჩუმად სიტყვებად:
სადღაც ვიღაცის გულში სიყვარული ჩუმად ღვივდება.
წერე მერე ცოტა ჩემთან, ცოტა შენთან და ცოტა ფურცელზე.
ლექსად ვაქციოთ ჩვენი სიტყვები საუკუნებად.
გაზაფხულია ,ზამთრის სუნს აფრქვევს ჩვენი ბუნება.
ესის გრძნობაა, ჩვენ რომ დაგვრჩება საუკუნებად.

ჩემი საიდუმლო

მე აღარასოდეს დავწერ იმ სიტყვებს,
ჩემს სულში რომ გასწავლა ხედვა.
არც სტრიქონებს მოგიძღვნი ჩემსას
და არც იმგულს გაგიყოფ,
შენთვის რომ დაიწყო ფეთქვა.
გატეხილ სასმელს ცრემლები
სცვიოდა და ეს იცოდა მარტო ღმერთმა.
მე აღარასოდეს დავწერ იმ სიტყვებს
ჩემს სულში რომ გასწავლა ხედვა.
არც სტრიქონებს მოგიძღვნი
ჩემსას და არც იმ გულს გაგიყოფ,
შენთვის რომ დაიწყო ფეთქვა.

ჰაი გვირილავ...

ჰაი გვირილავ შენ რა სუნს აფრქვევ,
იქნებ სიყვარულს შენთან უნდოდა.
შენი ფოთლები ბევრს დაუთვლია,
იქნებ უყვარვარ ან არ უყვარვარ.
შენი ფოთლები თეთრი სპეტაკი,
სუფთა ,როგორც ჩემი გრძნობები.
ჰაი გვირილავ, შენ რა სუნს აფრქვევ,
იქნებ სიყვარულს შენთან უნდოდა.
იქნებ ის დროა მე რომ ველოდი...
იქნებ ვუყვარვარ ან არ ვუყვარვარ?!

მანანას ხსოვნა

ცივა ქარი ქრის ოცნება ცაში ქრის,
ფერები ნათელი გულში შავ-ბნელი.
წყარი ანკარა გულში ჩამდგარა.
პატარა ბიჭი კი საფლავთან დამჯდარა.
ცრემლები პატარა თვალებში ჩამდგარა,
გული აძგერდა, ნელ-ნელა, უცებ ჩქარჩქარა.
ენატრებოდა მას გოგო პატარა,
რომლის ცხოვრება ერთ წუთში ჩამქრალა.
ის ახლა მიხვდა მხოლოდ ამ წუთში,
რომ სიყვარული ყოფილა მარად
და გაიხსენა ის წუთი სწრაფად
როგორ ატკინა მას გული პატარა,
როგორ ევედრა მუხლის ჩოქსედ
ბიჭსა სიყვარულს უბრალოდ ლამას.
ნაკადულად ცრემლმა გაუპო თვალები
და დაუსველა ცრემლმა ღაწვები.
გამწარდა ბიჭი და მიხვდა იცით?!
დამნაშავე რომ იყო იგი.
მაგრამ უკვე გვიანი იყო
გიგონა ხრამში გადავარდნილიყო.
და დაკარგა იმედი ერთი
რომელსაც ერქვა სიყვარულის ღმერთი.
ცივა ქარი ქრის, ოცნენა ცაში ქრის.
ფერები ნათელი გულში შავბნელი.
წყარო ანკარა, გულში ჩამდგარა.
პატარა ბიჭი კი საფლავთან დამჯდარა
და ენატრებოდა გოგონა პატარა,
რომელსაც ერქვა სახელად მანანა.

* * *

მამის სითბო და მამის ალერსი, მამის ნათქვამი მე შენ მიყვარხარ.
დაობლებული შენს თავს დავეძებ, სიზმრად მოსულსაც ცრემლებს გიმალავ.
მე მენატრები, ისე მაკლიხარ ნეტავ იცოდე როგორ მიყვარხარ.
.....
ჩემო მამიკო შენს დღეს გილოცავ.
ენატრები შენს ბუხრის კუკლას ❤

ლია შენგელიძე

გახსოვდეს

არასოდეს გააყოლო ქარს,
რაც გიყვარს და, რაც ნამდვილად გწამს.
არასოდეს შეიყვარო ის,
სიყვარულით არ გპასუხობს ვინც.
არასოდეს გაიმრუდო გზა,
რომ შენს გზაზე არ იაროს სხვამ.
არასოდეს წაიხდინო თავი,
ვინმე უგვანს არ დაუდო ზავი.
არასოდეს ჩაიდინო ავი,
სტუმარს ღია დაახვედრე კარი.
ნუ აჰყვები ცინიკოსს და უბირს,
ვის ღირსება ჩალადაც არ უღირს.
განერიდე ორგულსა და ცბიერს,
არ გაანდო შენი გულისთქმა.
ვინც ხარ, ყველგან ის იყავი მუდამ,
ყურს ნუ უგდებ, რაც უნდათ, ის თქვან.

მთის წყარო

მესიზმრა, მთაში ვიყავი,
წყარო დიოდა ანკარა,
წყალი შევსვი და მეტკბილა,
როგორც დედის რძე პატარას.
მთით მონაჟური დიოდა,
მაცოცხლებელი გულისა,
დამათრო, როგორც ნექტარმა
ლამაზი სიყვარულისამ.
გრძნეულ მცენარეთ ნაკვები,
წამალ- მალამოს დარი,
შევსვი და ისე მეამა,
ვით უკვდავების წყალი.
მესიზმრა, მთაში ვიყავი,
წყარო დიოდა ანკარა,
მთისა შევიგრძენ სილაღე,
ბარის სიტურფის სადარად.

ცირკის არენაზე მეც ვთამაშობ...

როგორც უგრძნობელის ცივი გული,
ისე შემეჩეხა დეკემბერი,
ჩამოდგა დღეები მინავლული,
უსასოობასთან ბედმდებელი.
ცირკის არენაზე ვინც ჯამბაზობს,
განა აღტაცებით უცქერს ყველა?!.
გული სიცივემ რომ გადარაზოს,
ცაზე ვერ იპოვი ცისარტყელას.
წამები, წუთებში გაბნეული,
თვალში ნისლებივით მომდებია,
ვდგავარ იმდაგვარად დაბნეული,
როგორც მორყეულ კლდის ლოდებია.
აქ სამოსს იცვლიან ჯამბაზები,
არა, ნამდვილად არ მეცირკება...
აბა , მათზე როგორ გავბრაზდები?
სცენა ვიღაცისთვის ეღირება.
და როცა სიცივე ძვლებში მატანს,
როცა დეკემბერი ვეღარ მათბობს,
სხვა რა შემიძლია, ვხვდები ავ დარს,
ცირკის არენაზე მეც ვთამაშობ...

თვალში გაწვიმდა

არ დაგსჯი, რადგან ჯალათი არ ვარ,
არ განგსჯი, ღვთისგან არ მაქვს უფლება,
გეტყვი აქამდე უთქმელს და მთავარს:
სულს სიყვარული ისე უხდება,
როგორც სამოთხეს, ხილი გრძნეული,
ცდუნების ძალით ნაგემ- ძლეული.
გიმხელ , ფიქრები რატომ დავტოვე,
რატომ ვურჩიე გულს სიმარტოვე,
რატომ არ ღირდა ცხოვრება ბრძოლად,
როგორ დამღალა ამ შემოდგომამ.
გადაირია წლები უსიტყვოდ,
ხავსი მოედო ალვის ლიანებს,
გზა ვერ გავიგნე, რომელს ვეძებდი
და ამიტომაც დავაგვიანე.
მაინც მოვედი, ვერ დავთმე სევდა,
წლებს ჩაკირული ლექსად რომ მსდევდა
და დავუჩოქე შენს ალაგს რიდით,
ქვიდან მიცქერი უტყვი და მშვიდი.
არ დაგსჯი, რადგან ჯალათი არ ვარ,
წლები გავიდა, დღეს შენ წინ ვდგავარ,
აქ ვერ დავრჩები... უკვე აცივდა,
გრძნობამ იმძლავრა, თვალში გაწვიმდა...

გიორგი (გია) დემეტრაშვილი

კანონზომიერება

უცნაურია მთელი სამყარო,
შეუცნობადი, მარადიული,
ზოგგან სიბნელე გამეფებულა,
ზოგგან ანათებს შუქი ღვთიური.

ზოგგან სიცოცხლე ჩქეფს და გადმოდუღს,
ზოგგან სიკვდილი ბუდობს ვერაგი,
სადღაც სიცივე ყინავს მწვერვალებს,
სადღაც კი სითბო დადის პერანგით.

ზოგჯერ მზის სხივი ლოცავს ბუნებას,
ზოგჯერ ეშვება ღრუბლების ფარდა,
იქ, სადაც გუშინ სიცოცხლე ჩქეფდა,
დღეს სიკვდილია მიმდგარი კართან.

სადღაც ბუნება დამშვიდებულა,
სადღაც ქარია, ზღვათა დუღილი,
სადღაცას წვიმამ გადაიღო და
სადღაც იწყება ჭექა-ქუხილი.

მოულოდნელად წამოვა თქეში,
ააწრიალებს მიწას ტალახი.
მერე ისევ მზე გამოანათებს,
ისევ ამოვა მწვანე ბალახი.

განთიადისას შაშვის გალობა
უმალ მოარჩენს ყოველგვარ ტკივილს.
დაღამდება და ღამის ფრინველი
სულის შემძვრელად დაიწყებს კივილს.

და ამ სამყაროს ნაწილი ჩვენც ვართ,
ნაკადული ხომ მდინარეს ერთვის.
თუ ჯოჯოხეთში სძინავთ ეშმაკებს,
სამოთხეს ფხიზლად დარაჯობს ღმერთი.

ჩემს სოფელს

(ნინოწმინდას)

მიყვარხარ, ჩემო სოფელო,
სიტყვა არ მყოფნის საქები,
წმინდანის სახელს ატარებ,
ვახტანგ გორგასლის ნაგები.

სისხლისგან ცლიდა შენს შვილებს
ჭრილობა, ხმლებით ნაკვეთი,
მაგრამ ყოველთვის გფარავდა
ჯვარი, ვაზის რქით ნაკეთი.

მტერს თუ ხვდებოდი მტრულადა,
მოყვარეს სწამდა შენია,
წმინდა ნინოსაც, დაქანცულს,
შენს კარზე დაუსვენია.

ომის და შრომის გმირებად
შენც გაგიზრდია შვილები
და მომავალი თაობაც
გყოლოდეს ფრთაგაშლილები.

მომხვდურზე გამარჯვებებით
გული მრავალგზის იჯერე,
ათას ექვსასი წლისაა ხარ,
კვლავაც შორს შენგან სიბერე.

კვლავაც შენს ნახვას ნატრულობს,
ერთხელ ვინც გყავდა მნახველი,
ვამაყობთ შენი ტაძრით და
ისტორიული სახელით.

თინა სტეფლიანი

"სულს ქრისტეს ჯვარი მინათებს"

სულში მზეს ვასხივებ,
დარდსაც განვაქარვებ,
განა რას ვაშავებ ამით?!
გულში სითბოსა და სინანულს ჩავაქსოვ...
სულს ჯვარი მინათებს მაინც...
– ეხ,წუთისოფელო, ვისთვის ბედნიერო,
ვისთვის არ შემდგარო წამით...
ხან გაზაფხულივით მიხარიხარ,
სულს ქრისტეს ჯვარი მინათებს მაინც...

* * *

ღმერთო მაპატიე თუკი,
რამეს არასწორად ვფიქრობ,
თუ დავუშვი რამე, მაგრძნობინე მალე...
შევეცდები კვლავაც სწორი გზები ვკვალო....
ღამე როცა უსაშველოდ ბნელა,
უკუნეთში იქნებ გული კვლავ გაგიხსნა,
გული მგრძნობიარე,
დატორტმანობს მარტო,
სურვილების დასტას
ვერ აუდის ალბათ...
თავს ჩაქინდრავს მთვარე,თითქოს მემალება,
ამბორს მიჩვეული ნაზად იზმორება,
ოცნებები ისევ სადღაც ირეკლება,
განთიადზე ჩუმად ისევ იპარება...
რატომ აღარ გვესმის
ერთმანეთის სევდა,
სულის ფორიაქი,ობლად სიარული,
გამიზნულად სევდის
მარტო დატყვევება
გაბზარული გულის ისევ გამთელება.
მზის ამოსვლას ვნატრობ, იქნებ დათბეს გულიც,
სევდიანი ფიქრიც სადღაც უმალ გაქრეს...
ვიზეიმოთ ვიგრძნოთ
გაზაფხულის ფეთქვა...
ვუწილადოთ ყველას ია ყოჩივარდა...

* * *

არ ვყოფილვარ უმადური არასოდეს,
სხვის დაკრულზეც არასოდეს მიცეკვია,
დიდგულა და პრეტენზია არ მქონია,
მაგრამ,ჩემთვის ჩემს დაკრულზე მიცეკვია....
– ვეღარ ვგუობ თავდასხმებს და ირონიას,
გამიზნულად ცდილობენ რომ დაგამცირონ...
გაგრძნობინოს თავი ერთხმად მის შეგირდად,
თითქოს ის შენ გასწავლიდა შენ ცხოვრებას...
– ამ დროს გრძნობ რომ ვეღარ ითმენ... იბოღმები...
გიწვევს ჩხუბში,გაიძულებს, იუხეშო,
ამგვარ ხრიკებს,მე რომ ვხვდები თან ვმწარდები...
მაგრამ,მე ხომ მოთმინება შემიძლია...
– ღმერთს მადლობა აღარ ვყვები ამ ინტრიგებს,
გამუდმებით რომ გიწყობენ ახლობლები...
სჯობს რომ მუდამ სულ გეკეთოს მუზარადი,
რომ არ მოგხვდეს მათი შხამი,მომწამლველი..
– თუ შენ გტკივა,მისი სული, სატკივარი,
და გახარებს,მისი ერთი გაღიმებაც...
აღარც შენი წარმატება უხარიათ...
ვეღარ ვხვდები შურია თუ ახირება...

* * *

სული კელაპტრად მიტომ მინთია,
არ ვეურჩები მოვლენილ განცდებს...
სიხარულით და სითბოთი ვიღებ,
ამა თუ იმ დროს,გამოვლილ ბრაზებს...
– მერე უკვირთ და მეუბნებიან,
თუ რატომ ასე ვესალბუნები,
იქ იმან იმ დროს ხომ გაწყენინა,
რატომ შენ იმას ესაუბრები?!
– ერთი ყველამ რომ დავიმახსოვროთ,
ეს იქნებოდა ჩვენი საცდელი...
ეხ, ჩვენი ყოფა ოხერ- ტიალი,
ორი დღე ვცოცხლობთ,
რად ვიყოთ მწყრალი?!...
– ამიტომ გულში ყველას ვპატიობ,
უფალს ვაბარებ მე აღსარებას,
შემდგომ კი ღმერთმა უკეთ ხომ იცის,
ვისთან რა საქმე რით გადაწყდება...
– ყველაფერი ხომ უფლის ნებაა...
მის გარეშე ხომ,არვინ არა ვართ...
კურთხევა,ნება მისგან გვაქვს მხოლოდ,
თუ ჩვენ ვეძიებთ თავისუფლებას...

* * *

თუმც გრძნობით ვიწვი, ფრთების გაშლა
ვერ გავბედე ბოლომდე მაინც...
ვერც რაიმე ნიშნით განვასხვავე წუთისოფელი...
უბრალოდ ვფიქრობ, სხვანაირად უფრო მარტივად...
რომ ერთგულებით ვუპასუხო გულშემატკივრებს!!!
რა დაგვრჩენია ქვეყანაზე სიკეთის მეტი,
არ დავიბოღმოთ თუ სამართალს ვერ მივაგენით...
არ იკარგება არც ერთი წამი უსიყვარულოდ,
უმისამართოდ ვერ დავტოვებთ ამდენ სულდგმულებს...
და თუ ამ ქვეყნად არ მივიჩნევთ თავს ბედნიერად,
გული არ დაგვწყდეს ეს ყველაფერი დროებითია...
დადგება ჟამი განკითხვისა ჩვენი სულების,
"უზენაესი" ჩვენ მიგვიჩენს, ჩვენ წილ სალოცავს...

* * *

წლების იარამ, სული დამისეტყვა...
გული დამიფლითა, სევდამ, მალულმა...
ღმერთო... როგორ უძლებს ეს ჩემი გული,
ან როგორ ითმენს...
ამდენ უსამართლო ქცევებს, ფარულად.
ჩემი გოდება მარტო ღმერთს რომ ესმის...
სული ამიტირდა ამ დილას...
ვის შევჩივლო ჩემი, უძლურება ყოფის,
სათქმელს ფურცელს ვანდობ მხოლოდ,
მაგრამ ვხედავ...
ფურცელიც კი გაძვირდა...

* * *

დავიბრუნე სული დაკარგული,
დავიბრუნე,
რწმენა ჩაკარგული,
აღმომაჩნდა სული ძალზედ სუფთა...
არც ვიცოდი,
წუხელ ანგელოზმა მითხრა...
- ჰოდა მინდა გითხრათ, საიდუმლოდ,
ეს ღვაწლი და შრომა დამიფასდა...
ახლა ვხვდები,რატომ ვერ ვაფასებთ,
ჩვენს სამყოფელ ადგილს და დაფდაფებს...
- ზეიმია გულში რახანია,
სიცოცხლის და სიბრძნის ხარხარია,
წარსულის და აწყმოს შეფარდება,
მაღლა ზეცას,ღმერთს რომ ედარდება...
- ვინ ვართ ჩვენ და რისთვის გავჩნდით??
ყვავილებად,ხეებად რად არ დავრჩით...
ვინაიდან ღმერთმა ხატად შეგვქმნნა,
სადღეგრძელო ღმერთის ერთად შევსვათ...❤❤❤



ნინა გაჩეჩილაძე

სევდისფერი

სევდისფერი მომეჩვია ფერი,
ნაცრისფერად შემოსილა ზეცა,
მხრებზე სველი მომახვია ჩქერი,
სიმსუბუქე ნატვრად გადამექცა.
მოტყუება ვერ შევიძელ თვალის,
არ გამიხმე ფეხზე თეთრო ვარდო,
შენ სურნელი, სიამე ხარ ხვალის,
განმეშორე ტკივილო და დარდო.
ცრემლის წვეთი, ცხელი ცრემლის წვეთი-
მარგალიტად დაკიდული თვალზე,
ღამის და დღის ხაზი გადამკვეთი
ვარდისფერად აფერადდა რკალზე.
ჰორიზონტზე სხივთა კონა როკავს,
ქარი ფანტავს ნისლის თეთრ-თეთრ ქულებს,
სევდისფერი მომეჩვია ფერი,
მზეო სითბო მომაფრქვიე გულზე.

ფერების ფერხულში

ფერები გეხვევა...ფერები გმოსავენ,
ეს ჰარმონიაა სხეულთან სრულიად,
მნახველნი გულღიად და გულით გლოცავენ...
სხეულის შიგნით ხომ ციმციმა სულია.

მაინც რატომ ახლავს სევდა ლამაზ სახეს,
მოწყენით რად გასცქერს ამინდებს ქარიანს,
რად ვერ ასცდენია დროში, დროის მსახვრელს,
წვიმას ცრემლადდაღვრილს, საოცრად დარდიანს.

ხასხასა ფერები ბნელს ჩაანაცვლებენ,
ერევა სილაღე მუქ ფერთა საუფლოს,
ლექსები მოვარდნილ თქეშს დაამარცხებენ,
იტყვიან უთუოდ რაც სურთ რომ გვაუწყონ.

პოეტი, სევდა და ზღაპრული სამყარო-
ერთ სივრცეს მოიცავს, ეტევა ერთ სულში,
ვერავინ ვერ შეძლებს ერთურთს რომ გაყაროს
და სევდა ერთვება ფერების ფერხულში.

შაშვი

შაშვის ჭახჭახი ჩამესმა
ჩემი დათოვლილ ბაღიდან...
ნეტავი ვისთვის ამღერდი
მაგ ენატკბილი ბაგიდან.

არ უშინდები ცივ ზამთარს,
ფრთხიალებ სუროს ტოტებში,
უყვები რამე კარგ ამბავს,
იმალვი მწვანე ფოთლებში.

ერთი უბრალო ჩიტი ხარ...
შავი გაცვია სამოსი,
რომ მაცოდინა ვისი ხარ!...
ვეტყოდი რომ ხარ აწყმოსი.

იმედის სიმღერას მღერი,
გულში ჩამწვდომს და ზარიანს.
შუღლით მოგიკვდეს შენ მტერი,
არც როს გხედვიდნენ დარდიანს.

კარების ზღურბლთან

არა და არა, არ ირიჟრაჟა,
ცისკარმა შუქი არგზით მაღირსა,
არც ყიამეთი ღამე დააფრთხო,
ყეფამ ლომისებრ თეთრი ძაღლისა.

მკაცრი სიჩუმე- ტუჩმოკუმული,
მეფობს, ზედ ყურთან მეჩურჩულება,
ვენახის ბოლოს ტურები ზეობს...
მაკრთობს, მაშინებს,მედიდგულება.

ო, ეს ჩხავილი...მოხეტიალე,
მძარცველი საწყალ ობოლ სულისა,
მოზდევს და მოზდევს ძველ-ძველ იარებს
და ემსგავსება ჭექა-ქუხილსა.

ყოველი სულის ღრმა სიყვარული
სისუსტედ დამაქვს...მუდამ თან მსდევდა,
ღამის წყვდიადში შანმოგებული
კარების ზღურბლთან ატირდა სევდა.

შენ, მკვდარი არ ხარ, გარდაიცვალე

/დათო გამთენაძის ხსოვნას/

შენ მკვდარი არ ხარ!-- გარდაიცვალე!
მზეო ჭაბუკო, დედას მახარე,
გულიდან სისხლი წვეთ-წვეთ დაცალე
და გამარჯვება ისე გვახარე.

გულით ატარე რწმენა და ლექსი,
ტყვიის ზუზუნში ფრთხილად ეფერე,
მუზის ყვავილი, ღერო და ფესვი,
ყაყაჩოსფერი ფერით შეფერე.

ფუნჯით მოხატე შენი გრძნობები,
ყმაწვილი დათოს ნათელი ხედვა...
მკერდით ანგრიე მძიმე ლოდები,
გმირული ბრძოლა გამართე მტერთან.

შენი ლექსები და ნახატები
თაობებს შენზე ეტყვიან ამბებს,
არ ავიწყდებათ ქართველთ გმირები!1
კვლავაც ხაფი ხმით დასძახებ ,,ლალეს".

სამშობლოსათვის დაენთე სანთლად,
სიცოცხლის თასი წამში დაცალე,
ააფრიალე პერანგი აფრად...
შენ, მკვდარი არ ხარ!-- გარდაიცვალე!

მადლიერებით

ხშირად ფიქრები მომეჯარება,
გახსნის ტკივილით ავსებულ ხურჯინს,
თვალებში ცრემლი მოიპარება,
ცრემლებს ხურჯინში ჩაკეტვა უმძიმთ.

როგორ ვეწამე!...წლების სიმძიმე
გადაირწია მთვარემ ზედ გულზე,
ღამენატეხი ვნატრობდი სიზმრებს,
განთიადისას მისწრებდნენ სულზე.

მრავლის მნახველი... ვიდექი მყარად,
ბოროტს არაფრით დავუკარ თავი!
კლდეზე მიჯაჭვულ დევგმირის დარად
გულს მიკორტნიდა გულშავი სვავი.

გავუძელ!...გავჭერ წყვდიადი ღამის,
მოვედი თქვენთან, შევერთვი ნათელს,
შემაძლებინოს ღმერთმა ერთ მოკვდავს
მადლიერებით ვანთებდე სანთელს.

ვარსკვლავო

/ვუძღვნი ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს/

შუქ-მფენ ნათელი, კამკამა სივრცე,
ულურჯეს ზეცის სიკაშკაშეში,
ვარსკვლავო!- შვებით, სამყაროს მივსებ,
ვერ მწვდება, ვერ მშლის ქარის თარეში.

როს ათინათის იღვრება ნამი,
ია ამოყრის სათუთ, ნაზ კოკრებს,
სადღაც შორეთით რჩეული წამი
აშლილი ლექსის აგზავნის სტროფებს.

ფიქრების კონა ფერად მძივებად
ციალებს სიტყვის საოცარ კრებად,
ააშრიალებს თეთრ-თეთრ ფურცლებად,
აიკინძება ღვთიურ წიგნებად.

სურნელი, ფრთამალს-გაყვება ლაშქარს,
მოივლის ცხრა მთას და ცხრა ზღვის კიდეს,
მახარებს, ობოლს დედად რომ მყავხარ,
ვარსკვლავო!- შვებით,სამყაროს მივსებ.

ნანა გიგუაშვილი

დედა გულნაზის

თქვენ დაგიკოცნეთ ეგ დაღლილი ფიქრის თვალები,
მზიდან მიწამდე რომ დაჰყვება სხივებს თაკარას,
გულმა რომელმაც გარიჟრაჟზე ნათვალთვალები
ვერ გამიმეტა, სატკივარი არ გამაკარა.

ლექსებს მჩუქნით და იმ სტრიქონებს გულში ვიხუტებ,
მინდა სახოტბე ქართლის დედა წლებით მიბევრდე,
მოგეფერები, გულზვიადად თავს შევიწუხებ,
რომ სულ ასეთი მეგულვოდე, არ დამიბერდე!

სიმართლის დროა

მე ვეღარ გავბედე, შენც არ თქვი,
სიმართლე სიბნელეს მიუჩნდა,
უსამართლობა არ გავთქვით,
მერე...სათქმელიც მიყუჩდა.

დამკვიდრდა, გამეფდა ტკივილი,
ვიღაცას უცდიან ფრთებიანს,
სიმართლის დრო დადგა კივილით,
სამშობლოს ფესვები ხმებიან.

სხეული იწყება თავიდან,
გონებას მოვთხოვოთ პასუხი,
ეს წლებიც წამივით გავიდა,
ხელთ შეგვრჩა სამშობლო ნაწუხი.

ვერ დაიტევს

შენი მთები ვერ დაიტევს
ჩემი მთების სიზვიადეს,
ვერც სიზიფეს ლოდი დამღლის,
ვერც აღმართის სიდიადე.

გული სიყვარულით სავსე
მთელ სამყაროს გიწილადეთ,
როგორ მინდა ყველა ლოცვას
ღმერთო მადლად მიწირავდე.

რამ აგატირა

რამ აგატირა, გცივა თერგის სველო ნაპირო?
შემბრალებიხარ, არ მსურს განზე გაგინაპირო,
მოვალ და მწვანე ტირიფებად დაგეფინები,
მოგიალერსებ, რომ თავიდან მოგინადირო.

შთამომავალი

ჩემი სიცოცხლის გაგრძელება ხართ,
ჩემგან გასული ფესვის ნერგები,
უფალს მხურვალედ ვუხდი მადლობას,
კვლავ სიყვარულში დავინერგები.

რწმენის სისავსეს ვიღვრი ფესვებში
და მათ გულებში ქართველს ვაშენებ,
უფალს მოვუხდი ათას მადლობას,
მათით თუ ქვეყნის ბედს დავამშვენებ.

ამქვეყნად ჩემი ყოფნის მიზანი,
სავალდებულო არსის მისია,
ვიცი რომ არის ჩემი ხიზანი,
შემოქმედება თავად ღვთისია.

დამილოცე და მიხარე ღმერთო
მათი ცხოვრების გზები სავალი,
რომ ბედნიერად გამოგიზარდო
ჩემი ოჯახის შთამომავალი.

სამართალი

უსამართლობას თავგანწირვით ვებრძვი, არ ვზოგავ,
ცილისწამებაც ბევრჯერ ბრძოლით დავასამარე,
რა ვქნა თუ ვერვის ვერ ვპატიობ სიტყვით გაროზგვას,
ნუთუ ამისთვის ახლა ვინმე გამასამართლებს?!

ყველას სიცოცხლეს ვუფრთხილდები, ღმერთით ნაქები,
ყველა წაქცეულს შევაშველე ხელი საყრდენად,
გაუღიავე ურწმუნობის ღვენთის ლაქები,
ვერ გავიმეტე მე ვერავინ გულის სატკენად.

და ისევ უფლის პასუხს ველი ბუმერანგივით,
მჩაგვრელს ჩაგრულის საპასუხო მოეთხოვება,
უსამართლობას ჟამთამწერი დასდევს ლანდივით,
რადგან სიმართლეს სამართალი მოეპოვება.

დედის გარეშე

მიქრიან წლები და ტკივილით დამეტყო დაღლა,
შენი თვალების ცრემლებამდე წვეთი-წვეთ დაღვრა,
ვერ გავნაწილდი, ვერ ვიარე უშენოდ აღმა,
რაც მიმატოვე, არ ტრიალებს ბორბალი წაღმა.

უშენობაა, გაიღვიძა ტკივილში ნაღმმა,
ვერ გაიხარა წალკოტებად ნახარმა ბაღმა,
ვერ გავიღიმე, უმწეობის დამადე დამღა,
ციდან მიწამდე ვერ ვატარე მე მწუხრი ლაღმა.

ამ სამყაროში დატვირთული ბურუსი ჩალღვა,
ვერ მიპოვია სამართალი, დაობენ გაღმა,
შენ რომ გადარგე ის ვარდები ფესვშივე ჩახმა,
ვერ გავიშალე, უშენობით ვერ დავალ წაღმა.

გამომეცხადე, სიზმრად მოდი, მომმადლე მადლი,
მონატრებიდან ჩახუტებას გვაშორებს ადლი,
შენი სპეტაკი სიყვარულით ღვთისმშობელს ჰგავდი,
ხილულ სამყაროს დედაღვთისად მაშინაც მწამდი.

შენით დაიწყო და დასრულდა ღრუბლებზე სრბოლა,
საათის ისრებს შეუწყვეტავთ წრიული რბოლა,
მომენატრე და მომეძალა მუზების გროვა,
ამ სტრიქონებით დავასრულე მე შენი გლოვა.

მიქრიან წლები, უშენობით დამეტყო დაღლა,
მჯერა უფალმა შენი სული აზიდა მაღლა,
 დამელოდები ალბათ ისევ სამყაროს გაღმა ,
რომ სიყვარულით გაიხაროს სიცოცხლის ბაღმა.

ასე მწამს

ვიცი რომ ერთი გავჩნდი და
არც მდომებია სიბევრე,
ღმერთმა შვილებით მახაროს,
გამიხალისოს სიბერე.

სხვის ცხოვრებაში მქექავი,
თავადვე რჩება უძლური,
ვერვისთან ფეხს ვერ შეადგამს,
ჩაკეტილია ურდული.

ჩემს გულში მზეა ღაღანა,
სულიდან ისმის ურმული,
რა ვქნა და ქალს არ უხდება
საქმის გარჩევა ქურდული.

ქალს კდემაშემოსილობის
უნდა ემოსოს ფარაჯა,
ოჯახშიც უნდა ივარგოს,
მტრის წინ სამშობლოს დარაჯად.

მეგობრად უნდა გამოდგეს,
მეუღლედ, დედად, ბებიად,
კარგისგან კარგი ვისწავლოთ,
სიკეთე გადამდებია.

ტურის სინდრომი

თუ რწმენა არ გაქვს, უფლის შიში თუ არ გაკავებს,
თუ სიყვარულმა არ შეგიღო გულის კარები,
თუკი მიდიხარ და ვერაფრით ტოვებ ნაკვალევს,
მაგ სულთან ერთად სხეულივით დაიმარხები.

თუკი სახალხოდ ტურის სინდრომს ფუთავ მეგობრად,
თავაწეული ფშუტე თავთავს თუკი ემგვანე,
მე ვერასოდეს ვერ აღმიქვამ, როგორც დედოფალს,
უღმერთო რომ ხარ, ამიტომაც ვერ დამემგვანე.

სატანის სხვენზე ნაბახუსევს როცა დაგსვამენ,
მცდარი წარსულით ბობოქრობა როცა გეწვევა,
ტურებს მოუხმე, მეცხრე ცაზე ტაშით აგსვამენ,
მაგრამ იცოდე, ყველა ცოდვა წამოგეწევა!

ჩემო პატარავ

დაგხატო მინდა, მინდა მოლბერტი
და სამი ფუნჯი სამი ფერისთვის,
შენთვის, ფრთებისთვის და სიყვარულის
უკიდეგანო აღმაფრენისთვის.

მინდა შენს ახლოს იყოს სითეთრე
და შეფენილი დიდი ვერხვები,
შენს ძილისპირულს მშვიდად ვისმენდე,
მაგ სისათუთის ხელის შემხები.

მონანიება

ჩავინაპირე, გავიარე გზის ნახევარი,
რაც ვარდი დავრგე, გაიხარა მხოლოდ ნაწილმა,
ჩემი ნაღვაწი მიითვისა, ვით ნახელავი
და მოსავალიც უკითხავად გამინაწილა.

ამ გადავლილი საუკუნის ვითვლი მეორედს,
გზადაგზა ისევ ვაკოწიწებ სურას გატეხილს,
ერთჯერ მითქვამს და ახლა კიდევ გავიმეორებ,
მონანიება ამოავსებს ამ ხიდს ჩატეხილს.

ისევ ქართველი

აგვისტოს თვეში გათენება ისევ მოიტანს
იმ გადამწვარი ხოდაბუნის მარცვლის ნამცეცებს,
კვლავ სიბნელეში გაიგონებ კვნესას მოტირალს,
სინათლისაკენ უსინათლოდ ხელს რომ აცეცებს.

უსამართლობის ქარიშხალი ბობოქრობს ეშვით,
ტაბუ ახსენით, გადარჩენის ჟამი მოვიდა,
ჩემი საწყალი საქართველო შეისვა პეშვით,
ახლა ასრულდეს, ადრე რაც კი არ გამოვიდა!

ლაზარეს დიდი ღვიძილობის დაგვიდგა დრო და
ჩართულ წამმზომზე მორყეულა გრძელი ისარი,
ანი და ჰოე სიცოცხლისთვის სამიზნედ გვქონდა,
რასაც ველოდით დასაბამით, სწორედ ის არი.

სულის საცავში ახლა დიდი აჯანყებაა
და სინამდვილე ეხეთქება ფარულ ჯებირებს,
უსასრულობაც რიგითობის გადარჩევაა,
ღმერთო სიმართლით გაგვიმარჯვე გადარჩენილებს.

დაგელოდები სვეტიცხოვლის გალავნის კართან,
ვიცი ბოლო ჟამს ამ კარებით შემოხვალ ლოცვით,
სიტყვამახვილად გავიბრძოლებ სატანის ჯართან
და მეც დავიცდი ეგვიპტიდან გაყვანის მოცდით.

გაურკვევლობის ჩრდილში მდგარო იმედით გელი,
გადაიფანტა და ალაგდა ლოდი ნისლისა,
არავინ იცის იბერების რად ცოცხლობს გენი,
ბევრმა ცადა და ვერ შეცვალეს კოდი სისხლისა.

აქ უფლის გარდა, სხვა ვერავინ დაიდებს ბინას,
ღვთიურ მიწაზე თავად ღმერთი არის მმართველი,
კავკასიონის სინერგია გადახრის პინას
და სამსჯავროზე გამართლდება ისევ ქართველი!

ლიკა აკობია

***

ნაცრისფერიც თან დასდევს თებერვლის ამ ნანატრ თვეს
რომ დასერავს მფეთქავ გულს, რომ ამძორებს მარად სულს.
ხანდისხან რომ ასხივებს და ხანდისხან გაგიჟებს
ნაცრისფერი რომ დასდევს ამ თებერვლის ლამაზ თვეს..
თებერვლის თვეს გაფრინდა, გარეული მტრედივით
ვუყურებდი, მიქროდა შორეთ მიისწრაფვოდა
აღარ მსურს მე შენთანო, აღარ მინდა მე-აქო
შენ უბრალოდ გამიგე ნუ იღვრები ცრემლადო.
არ წახვიდე გთხოვ მეთქი, ჩამომექცა თავს მეხი
ვერც ვერავის ხედავდა, აღარც უკვე ღელავდა..
ზეცას შეჰღაღადებდა და მზეს შეჰფარფატებდა
ხელიდან რომ გამისხლტა, გავეკიდე შმაგივით,
გავკიოდი- ამჩნევდა დარჩი მეთქი-ამჩემდა
შევარდენს წააგავდა, სანადიროდ მიმავალს,
მსხვერპლი რომ მოსწყურდება და ქარიშხალს მიაგავს
ნაცრისფერიც თან დასდევს თებერვლის ამ ლამაზ თვეს,
რომ დასერავს მფეთქავ გულს, რომ დაგტოვებს გარინდულს
ვისღა ვთხოვო საშველად, ვის მივმართო ამ ქვეყნად
თებერვლის თვეს წავიდა, არ დამინდო, მატირა..
ნაცრისფერი რომ დასდევს ამ თებერვლის ნანატრ თვეს,
დაბრუნდიო არ გეტყვი, დარჩი მეთქი აღარ გთხოვ
ერთი რამე მწადია, სულიერად გამათბო
და ნაცრისფერ ლამაზ თვე, შენთან გადავატარო.

***

გაზაფხულის მზე ანათებს ფიეზოლეს ახლა
შუქთა სხივი ეხეთქება მიძინებულ ტაძარს
მოდის, მოაქვს სითბოს ელვა, ნათლის ჩვეულ რიტმით
ფიეზოლეს კოშკი მოსჩანს ლამაზ სიზმარივით.
გაზაფხულის სითბო ელავს ფიეზოლეს თავზე
მიმკრთალ შუქებს ავარაყებს, სათნოებით ავსებს
აფერმკრთალებს, ჩრდილის ხაზებს, მოაქვს ნათლის შუქზე
ფიეზოლეს ხედი მოსჩანს, ამ მედიდურ ხოლზე
მთა იშლება, ნამცეცდება, თან მოათრევს მორევს
ანადგურებს, აქუცმაცებს, აბანოზის კოშკებს!
ფიეზოლე არ ნებდება, მთის უეცარ რისხვას
მასთან ერთად წაიბრძოლეს მორცხვად ცამ და მიწამ!
ფიეზოლე აღარ მოსჩანს, შთაუნთქია ნიავს,
ცარიელა კარ-მიდამო შეფარულად ქშვინავს
დაიტირეს კოშკი ერთობ, აშოლტილი მუდამ
მზე ანათებს, მზე ანათებს, ფიეზოლეს მოთქვამს.

* * *

თუ საწუთრომ არ მაცალა
ვყოფილიყავ ნაზი-ბროლა
მაშ გავხდები, მებრძოლ ქალი
წუთისოფლის გიჟი მონა!
თუ საწუთრომ არ მაცალა
წუთისოფლის მგალობლობა,
მაშ გავხდები ავი ყვავი
დაე, იყოს ბატონობა!
თუ საწუთრომ დამანახა
დარდი სევდა, უბედობა,
გულს კაეშნად რაღად მადევს,
ჩემი სატრფოს უღმერთობა?
თუ საწუთრომ არ მაცალა
ვყოფილიყავ ნაზი-ბროლა
მაშ გავხდები, დარდიანი
წუთისოფლის მავნე მონა!

***

სოფელს როცა მივეკედლე
გაზაფხულის ჟამი იდგა
თბილი სიო უბერავდა,
მშრალ ნიავში გაიბინდა.
ვუმზერ სოფელს მარტოდმარტო,
შევსვი ღვინო ჩვენებური
სახე ამიჭარხლისფერდა
და დამედო თვით ალმური.
დაგინახე ჩემს წინ იდექ,
მიყურებდი, აშოლტილად
გამოვიქეც ისევ შენკენ
მომელანდე წამობრივად
არ წახვიდე ისევ მეთქი,
როგორც ზღვაზე უჩინარდი
თმებში ხელი რომ ჩამავლე
და ქარიშხალს გამატანე!
 გაგეკიდე იმ იმედით,
დავიჭირო იქნება თქო,
ხელზე ხელიც ვერ შეგახე
გაიფანტე, იქეც ფერფლად.
მომეშველეთ! მომეშველეთ!
მძიმე ტრფობის გავხდი სიძვა,
სადღა იყო ჩემი სატრფო,
ამ გრძნობამ რომ გამაგიჟა.
სოფელს როცა მივეკედლე
გაზაფხულის იდგა ჟამი,
მოვიმარჯვე ხელში ჭიქა
დამავიწყდა საფიქრალი..
გრძნობის ღამეც მოახლოვდა
მოაქვს დარდი დაუთვლელი
მარტოდ შევხვდი ამ ღამესაც
ჭიქა ღვინით გამოვთვერი.

***

კი არ მიყვარდი, ღმერთივით მწამდი,
სიგიჟე იყო ეს ყოველივე
შევციცინებდი გიშრისფერ თვალებს,
და იმ თვალებში შენს სიყმაწვილეს..
კი არ გნატრობდი, ღმერთივით მწამდი,
ღვთის სამყოფელში პირჯვარს ვიწერდი,
და ყოველ სანთელს იმ სასახლეში
სიყვარულისთვის, შენთვის ვანთებდი!
მე არ გკოცნიდი, გიმზერდი მხოლოდ,
მინდოდა ჩემთვის ერთხელ გებრძოლა,
იმ ღამით ღმერთთან ისევ ვილოცე,
რომ მხოლოდ ჩემთვის, მარად გეცხოვრა!
მე არ მიყვარდი, ღმერთივით მწამდი,
შენი სახლის წინ დავტრიალებდი,
ტილოს კაბაში შემოსილ ქალწულს,
შენ მახარებდი, შენ მახარებდი..
კი არ მიყვარდი, მწამდი ვით ღმერთი,
მუხლებს ვიდრეკდი ბებოს საფლავზე,
ჩემი გრძნობებით დამძიმებულმა,
მის სულს შენი თავ იქ შევღაღადე!
მე შენ მიყვარდი, მწამდი ღმერთივით,
ერთ სათნო სიტყვას ვნატრობდი შენგან,
უბრალოდ გეთქვა გიყვარდი ძლიერ,
ოღონდ ეს ფიცი ჩემთვის მოგეცა.





იზა ჭიკაიძე

ქალს, დედას და პოეტს

რა ძლიერი პატრონი ხარ, ღმერთო, ჩემო,
რა ძალა გაქვს, რა ნათელი, ჩაუმქრალი,
თუმცა, შენი საკადრისი, ღვთივმეტყველი,
მადლით სავსე სიტყვა ერთხელ ვერ გითხარი!
უგულობით დამსხვრეული ოცნებები
აფროდიტეს ცრემლთან ერთად გადავღვარე,
სინანულით, აღსარებით, სიყვარულით
სახვალიო ბილიკები რომ დავხატე, –
სასურველი გზის სწავლება მერგო წილად,
სიყვარულში გამარჯვებულ ნობელიანტს,
გმადლობ, ღმერთო, ერთარსებავ და სამებავ,
ქალს, დედას და პოეტს რადგან მეძახიან!

ურომლისოდაც

ურომლისოდაც ვერ ივარგებ, ვერასდროს, ვერსად,–
ეს არის რწმენა, ღირსეული სიტყვისკაცობა,
თავმდაბლობის და ძლიერების შეხმატკბილება,
სულის მხნეობა, სიმშვიდე და კაცთმოყვარება!
ალალი შრომა და სიკეთით ლელოს გატანა,
დუმილისა და სიყვარულის დასაძირკვლება,
შვილის და ძირის კეთილ საქმით დაგვირისტება,
მტრისთვის შენდობა და სამოყვროდ ხელის გაწვდენა!
ურომლისოდაც ვერ იქნები ვერასდროს ვერვინ, –
გულის თვალით და ღვთის გზით თუ არ შეიმოსები,
გამარჯვებას და დამარცხებას, – გულდინჯი მზერით
და გონივრული თვალთახედვით თუ არ შეხვდები!
უიღბლო დღეთა დანგრეული ცხოვრების კედლებს
ბედნიერება და იმედი წამოაშველე,
დაბნეულობა არ შეგნიშნოს არასდროს, არვინ!
გაიღიმე და... გულისგულიც გამოაბრწყინე!
ურომლისოდაც ვერ ივარგებ, – ეს არის გული,
მამულისა და ხალხისათვის შემოწირული!
ოქროსფერ ვარდებს მოაშორე მზაკვრობა, შური
და არასოდეს დაივიწყო შენი წარსული!..
ურომლისოდაც ვერ ივარგებ, ვერასდროს, ვერსად,–
ეს არის შენი ტრადიციის ტოტი და ფესვი,
ქვეყანა შენი, ოჯახი და თავისუფლება,
ერთგულება და დღეგრძელობა ერის და ბერის!
ურომლისოდაც ვერ ივარგებ, – ეს არის შენი
მოყვარეების სავსე მუჭით მოწვდილი წყალი...
დაგლოცავ შენივ მადლისფერა სიყვარულისთვის,–
ღირსი ყოფილხარ უკვდავყოფის! ამინ და ამინ!

გაგიმარჯოს, საქართველოვ

ოცნებებმა ამამღერა, სახვალიო ნათელს ველი,
შენი სიყვარულის ეშხით მთებს გადავდგამ, ფეხშიშველი,
შემოვივლი სრულად მამულს, შემოვირბენ საკახეთოს,
მერე, ბებერ მთაწმინდიდან თბილისს უნდა გადავხედო...
წინაპართა ხარ-უღელით ჩემებურად გამაქვს ლელო,
სიყვარულის კალოს ვლეწავ, დედავ ჩემო, სანატრელო,
გულითა და ყანწით დავლევ ყველა კუთხის სადღეგრძელოს,
ძირძველო და მადლიანო, – გაგიმარჯოს, საქართველოვ!

სიბნელეშიც დღენი მგონია

ჩემი ცხოვრების დღენათელი საკვირველია,
ღამის სიბნელის უკუნეთიც დღე რომ მგონია...
დღე, თავისთავად, მზეს მიბრწყინებს თვალთა მზერაში,
ბნელეთის ნეტარ-ფუფუნებას სიტყვით ვერ ავხსნი...
ლექსებთან, შავბნელ ჩრდილებში რომ გავიტრუნები,
დღის მსგავსად, ღამეს ერთგულებით ვეხმაურები
და მიყვარს ღამის იდუმალი თვალების მზერა,
რთულსა და უცნობ განტოლებას რომ ემსგავსება...
ვწვალოდ და... დღემდე ვერ ავხსენი, ვერა და ვერა...
ღამის დღეებთან თანაფარდი ცხოვრების მჯერა,
ორივე ერთი წიაღიდან დაბადებულა
და სამყაროს მზით, ორივ ერთად გალაღებულა...
ბნელში ნათლის სხივს როცა ვხედავ, არა უკუნეთს,
მაშინ ცხოვრებაც სანეტარო თვალით მიყურებს,
საშიში, ბნელი სიყვარულით რომ გაქარდება,
სიცოცხლის დღენიც მადლიანად დამიმთავრდება
და ამიტომაც, ეს ცხოვრება სულ იოლია,
რადგან უკუნეთ სიბნელეშიც დღენი მგონია...

გულიანი მქვია

გულის ზრახვა ვერ გავუგე ბოროტებით სავსე გულებს,
შურიანი თვალთამზერა გულზე მიჩენს ათას წყლულებს,
გულისწყრომას ვერა ვბედავ, ღვთისმოყვარე ქალი მქვია,
მწუხარებით დაღლილ ჟამზე მდუმარება მისწავლია!..
გულჩაკეტილ მთვარეს ვკითხე მოგულძვირე გულის ბედზე,
გულღრძო ღრუბელს შევეფეთე... მიმანიშნა მანაც ღმერთზე...
ალიონმა გულნათელით გულისგული გადმიშალა,
მზემაც, გულგულ შუადღისას, გულზე დარდი გადამყარა,
გულის სიტყვაც მითხრა ერთი... მთებმა ბანი შემოსძახა,
მწვანეთვალა მზერა მწვავდა,–მამაჩემის თვალებს ჰგავდა...
სიყვარულის ანა-ბანას როცა გულით ვეღარ ვისმენ,
დედის რჩევა მახსენდება და ყველაფერს მშვიდად ვითმენ...
სიკეთე სდის დამშვიდებულ სულს და გულის კუნჭულებსაც,
კეთილ დღეთა სამოსელით ვიმარტივებ ურთულესსაც...
თმენითა და ჯანსაღ ზრახვით არაფერი დამკარგვია,
მადლიანი მშობლების შვილს დღემდე გულიანი მქვია!

ცოტა მაცალე

სიშორე მტკივა და მწყინდება,
ტირილით ვაბეზრებ სამყაროს,
ვფიცავ მაგ თვალების სილურჯეს,
სადღეოდ არაფერს არ ვნანობ!
მაისი კვლავ იკლავს გაზაფხულს,
მთვარესაც ხშირად ვხსნი ზეციდან,
მზის სხივზე ღრუბელი ვერ იცლის
შებორკილ განთიადს ფეხიდან...
და მაინც, რატომღაც, ბოლო დროს,
ნისლები მიცრემლებს თვალის ფერს,
გადავცდი სამყაროს გაზაფხულს,
გაზანტდა ღამე და არ მისმენს...
სამყაროს რაღაცა სტკივა და
ცისკარი მომითხრობს ამბებად,
გაღმა ვარ გასული, ღელეზე,
შეშლილი ლექსების საკრეფად,
რა ვიცი, როდისღა გამოვალ,
ან მოვალ? შენ იყავ მშვიდადა!
ბოლოს ხომ კვლავ შენთან წამოვალ,
გეტყვი, რომ შენ გვერდით ღირდა და...
ახლა კი, კვლავ ცოტა მაცალე,
პლანეტის სიღრმეში ვწანწალებ,
მთვარე და მზე ფიქრით გავცალე,
უფალიც ჭარბი თქმით დავღალე...
სულ ცოტა, სულ ცოტა მაცალე!

მტერიც დავაშთოთ

არაგვს ავართვი ნისლები,
შენს მკერდზე დავინისლები...
კლდის ძირას, ობლად შაყრილი
დიაცივით თუ ავტირდი,
არ დაიჯერო ცრემლისო,
წვიმაა, – მთებიც გეტყვისო,
ჟიპიტაურს არ უარვყოფ,
რაის მოლხენა უარყოდ...
დამაძალოდე, ვაჟაო,
დაფხრიწე კდემის ფარდაო,
იქნება დავივიწყოდე,
ვინ მკლავდა, ვინ მიყვარდაო...
და მერე... მე, შენ, არაგვმა
შემოვიერთოთ ყველანი,
იქნება... სიყვარულითა,
მტერიც დავაშთოთ ვერანი!..

ბებო და კომპიუტერი

სამოცდაათი წლისაა ბებიაჩემი მართაო,
გამოიმგლოვა პაპა და წელში რომ გაიმართაო,
კარგი ლეფტოპი იყიდა, ვაიფაი და სიდები,
ლამის მსოფლიო გაიცნო ფეისბუქით და ტვიტერით.
შათ დაუნებით იშორებს ქვრივობის მწარე ხვედრსაო,
სენდით გაქათა დარდები, აღარ უჩივის ბედსაო...
ნიუ მესიჯი, შეარი სულის საკვები არისო,
დაუქლოუზა კარები ადნაკლასნიკს და სკაიპსო.
ვაიბერს ემეგობრება ნიუჯერსსა თუ პარიზში,
ჩაეფეისთა სავარძელს, მისი ხმა არსად არ ისმის.
გუშინწინ, ბებოს აიფონს ავართვი ნაოშნიკები,
სხვა დავუკოპე ბალიშთან, ზუსტად იმსიგრძე, იმფერი,
ბებოს რისხვა და სიმწარე დღესაც მაბნევს და მახელებს:
ჩემს ორიგინალ ნაოშნიკს რატომ მახევთ და მაწერებთ,
როგორ გაბედეთ, შეეხეთ ჩემს ფირმა ნაოშნიკსაო,
შეტენვა გინდათ ბებოსთვის ჩინური პატენტისაო?!
მას შემდეგ მართა ბებიას ვეღარ ვუბედავ წყენასა,
მიმინოსავით იტაცებს თითო ჩქამსა და ბგერასა,
აიფონით და ლეფტოპით გამოიღამა თვალები,
სხვებს ულაიქებს ცხოვრებას, სახლში ვართ შესაბრალები.
მგონი მიმიხვდი, მკითხველო, რა დარდებიც მკლავს უთქმელ.....
გადააშენეთ, ვინც ბებოს ასწავლა კომპიუტერი!

თავისუფალი ადგილი მინდა

ველურ ბუნების მოტრფიალე ქალს,
გაუხედნავი ოცნების მიღმა,
თავისუფლების სამყაროს ჩრდილში
თავისუფალი ადგილი მინდა,
რომ ვაგიზგიზო გულის ბუხარი
სიყვარულის და სიკეთის ნიშნად!

კახეთო და დედულეთო

მიყვარს ალაზნის ველები, მისი მზისფერი ჭალაო,
არ ვიცი, ჩემი კახეთი ასე რამ შემაყვარაო...
დედულეთო და ბავშვობავ, ირმისთვალება ყანაო,
ხშირად ჩამოვალ, არ მკითხოთ, თქვენთან რამ მომიყვანაო..
მოვუგურგურებ წალამურს, მამას ნაფერებ ვაზსაო,
მადლიან გულით დაგლოცავთ, შემოგევლებით თავსაო...
მონატრების მკლავს ჟინები... პატიმარი ვარ ციხეში!
ვცოცხლდები გურჯაანსა და მშობლიურ ველისციხეში!
ნეკრეს-იყალთო მეძახის, პანკის-ალვანის მხარეო,
ყვარლის მთებს, თელავს, შუამთას, გულითად ვენაცვალეო!
დედოფლისწყარო, სიღნაღო,– თქვენი სიმღერით დამთვრალმა,
ქიზიყის ოქროს ხელებმა შირაქის ველი დახატა...
ზიარ-ფხოველის ბალადა, წარსულ-მომავლის წიგნიდან
და ლაგოდეხის ჩანჩქერი, გულითად ლოცვას მითვლიან...
კახეთო და დედულეთო, ჩემო მშობელო მხარეო,
არ ვიცი, ასე ძლიერად თავი რად შემაყვარეო!..



ია მოსულიშვილი

განგება

ეძღვნება გ-ს და თ-ს

მზე გადაღლილი მთის წვერზე დაწვა,
თუმც...სითბოს სხივებს ყველგან ატანდა
და ღამე,როგორც მისი გუშაგი,
მთვარით არეკლილს ცაში ფანტავდა.

ვერავინ ახსნა მშფოთვარე ქარი,
სამყაროს დუმილს, ქროლვით ფარავდა.
ჯერ ვერ ამჩნევდა უცნობის თვალი,
როგორ ხდებოდა ველთა გადაბმა.

იდგა ლანდივით თვალის ფოკუსში,
მოჩითულ კაბას, ქარი არხევდა,
თითქოს არ ჩანდა ,კალმით მოღლილი
მოყვარულივით სიტყვებს აფრქვევდა.

გოგონა კაბით თმებდაშოლტილი,
სახეს მალულად ღიმილს აბნევდა
და რაღაც უცხო ,მოუსვენარი,
სიმშვიდის ქალღმერთს ძალას ართმევდა.

ცხოვრებამ დადო გზაჯვარედინი,
სავალი გაყო, თეთრად და შავად,
გოგომ არჩია ნათელი დილა,
ბიჭი ბნელეთს შეუყვა მტკნარად.

წამები წუთებს ისრებით მისდევს,
დღეები თვეებს ,კალენდრად აწყობს,
იბეჭდებოდა დროის სტამბაში,
თითქმის წარსული ჩრდილავდა აწმყოს.

არის მწვერვალი, ცათა გვირგვინი
ყველა ჩვენგანიიქითკენ ილტვის,
თუმცა ცოდვებით დაღლილი მხრებით,
გვიჭირს ტარება ჩვენივე ტვირთის.

ორი მისდევდა თავ-თავის სავალს,
ემოსათ ტანზე დიდების ხოტბა.
ცხოვრობდნენ ისევე,ლოცვით და ცოდვით,
როგორც ყოველთვის ადამის მოდგმა.

ბნელეთს მავალი ჭაბუკის მხარზე,
მუდმივად ბინას იდებდა ჭინკა
და ვერც ხვდებოდა ,სიამნარევი,
გულის ჯიბეს რომ უვსებდა ხვინჭა.

დღის სინათლეში, ღიმილის ქალწულს,
უველა ასპექტში ეთქმოდა სიტყვა,
სრულყოფილებას ვერ გრძნობდა მაინც,
სხეულის კანზე ნაღველი ღრღნიდა.

დიდი ჭაღები ავსებდა დარბაზს,
ხალხით სისავსეს კედლები გრძნობდა
და რაღაც უცხო,მოუსვენარი,
ოდესღაც ნანახ სილუეტს სცნობდა.

ეს გავდა ბრძოლას, ნებას და ყოფას,
თან მიწიერს და თანაც აბსტრაქტულს,
კითხვებს უსმევდნენ არსებულ გრძნობას,
ოდეს წაკითხულს მაგრამ არნახულს.

ღიმილის ქალწული სევდამ დატბორა,
ვერაფრით გუობს სამყაროს კანონს,
ეს არის ერთობ სრულყოფილება,
ვაჟის სხეული რომ მის ნეკნს ნატრობს.

ბნელეთს დაატყდა ქარიშხლის რისხვა,
ხეებს ალეწდაფოთლოვან ტოტებს
და ვერც ვერაფრით ვერ ამშვიდებდა
სულამდე ჩასულ მგზნებარე შფოთვებს.

უნდოდა გასვლა ქალწულის მხარეს,
მისი სიწრფელე უქმნიდა ნათელს,
მაგრამ ტალახში მუხლამდე ჩაფლულს,
ეშმა ხელიდან ართმევდა სანთელს.

არ არის ვნება,ხორცებშესხმული,
არც ანგარება უსერავს ფიქრებს,
მოწმენდილ ცაზე სავსე მთვარეს გავს,
რომელიც სწვდება სამყაროს სივრცეს.

ბინდი შეპარვით დღეს ეფერება,
ღამე, სიმშვიდით,იდუმალ ძალით
და ვარსკვლავები როგორც მხილველნი
ჩაქრნენ, წყვდიადში ჩაეშვნენ წამით.

სულის ტკივილი,ხორცის დამშევა,
სინდისის ქენჯნა,ყველას წინაშე,
ასეთი განცდა ერთეულთ შესწევთ
და გადის ზოგჯერ ყოფის მიჯნაზე.

არაფრით უშვებს ჭაობის ფსკერზე,
გამოფიტულს და დამშეულს გრძნობით,
მიწიერ ტკივილს უმზადებს სხეულს,
ვერაფრით გუობს გახლეჩვას სწორის.

მაგრამ დღე მოდის მძიმე და მძაფრი,
ცას მოაწყდება შავი ღრუბელი,
და მაშინ ,წყდება მათ შორის ძაფი,
ტკივილი მოაქვს ენით უთქმელი....

მე კი მუხლებზე დამდგარი ვტირი,
ყველა სტრიქონი ცრემლით დავწერე,
გთხოვთ,მაპატიეთ ორის ამბავი,
განცდით და გრძნობით ,თუ კი აღვწერე.

2022წლის აგვისტოს სამი დღე

იმ ღამეს

იმ ღამეს ვწერდი...ვეძებდი მუზას,
თეთრ ფურცელს ღლიდა ლურჯი მელანი,
წავედი მაგრამ ,გჯეროდეს ამის
დროშიც ვერ შეგცვლის მგონი ვერავინ.
გრძნობა კი გულის გისოსებს მიღმა,
ბორგავს, სუსტდება დარდის მძევალი
და როგორც ძველი შთაგონებები,
მიინავლება სევდით მხევალიც.
იმ ღამეს თოვდა და თეთრ ფურცელზე,
მუზის კარნახით წერდა მელანი,
ათას ფარჩაშიც რომ გამოეწყონ ,
მაინც ვერ შემცვლის შენში ვერავინ

სურვილების დავთარი

მთების ძირას ქოხი მინდა,მშვიდი, ნაზი ფარდებით,
მელენი და ფუნჯი მინდა, ვწერო გრძნობა ფრაზებით,
ნაკადულის ცქერა მინდა, მთებს ცრემლად რომ მოსდიან,
კალაპოტში ჩავარდნილნი ლოდებს როგორ კოცნიან.
სიზმრად შენი ხილვა მინდა, სიცხადეს შვადარო,
მინდა ჩემი ხედვით ნახო, როგორ ბრუნავს სამყარო.
ზოგჯერ ქარსაც ვუერთდები,შფოთვა დამდის ძარღვებში,
ქარიშხალად ვაქცევ გრძნობას,დაგიდგები თავდებში,
ეს ოცნების ნაწილია,ნატვრით ქარგავს დავთარში...
მაგრამ ფერი ეკარგებათ,ცრემლით შექმნილ ავდარში.
მივდივარ და მომყვებიან წლები,სიბრძნის ხურჯინით..
დრო მიფრინავს,დიდ სივრცეში გატყორცნილი შუბივით.
გეძებე და ვერ გიპოვე ,სულში ქრება ლამპარი...
უშენობით დავასრულე ჩემი წმინდა ზღაპარი.

რუსუდან ჯანელიძე

ქუთაისს

ხელს მოიჩრდილავ, ხვამლს
 გახედავ ამაყად გიცქერს,
ბაგრატს ახედავ, მზის სხივს
 ალეწილს შენკენ მოისვრის,
გელათის მხრიდან, ლოცვას
 მოისმენ ქარით მოტანილს,
უქიმერიონს?! – ზარის გუგუნი
 ყურებში ისმის!

მოწამეთიდან კონსტანტინეს და დავითს ვხედავთ,
მუხრანის ტყეში კვლავ დადიან ჯოგი ირმების,
სხვიტორის მთიდან ჩრდილი მიდის დიდი აკაკის
და "მესაფლავე"-ს იმეორებს გალაკტიონი!

სათაფლიიდან წყარო ანკარა მორბის ჩხრიალით,
ჭადართა ხეებს შრიალი გააქვთ ძელქვიანიდან,
ია-ენძელებს მონარნარეს ხეების ჩრდილში,
სიო უბერავს მონაქროლი საფიჩხიიდან!

ფირუზისფერი ცის ლაჟვარდში, მზეა ნათელი,
შუქურა მთვარე მოსაუბრეა უკუნი ღამის,
ცაზე ათასი ვარსკვლავთა წყება ზურმუხტისფერი,
მზიურ ქუთაისს სალაღობოდ აწოდებს სასმისს!

მაშ! დაილოცოს ხვამლის მთა და ანკარა წყარო,
მთის ბექობიდან ჩამოდენილი წკრიალ-წკრიალით,
მოდი დავლოცოთ გეგუთი და ნავენახევი
და საჩხერეში სხვიტორის მთა - "მოდი ნახე"-თი!

ჰო! დაილოცოს შენი მარჯვენა დედა ქალაქო,
მუზებისა და პოეტების ტკბილო ალაგო,
ტყის უსურვაზით შემოსილო მინდორ, მთა-ველო,
მარად ჭაბუკო, თმაჭაღარა, კოლხთა ადგილო!!

ის მიდიოდა

ის მიდიოდა ქედებისკენ, ვიწრო ბილიკით,
გზას მიიკვლევდა ნისლჩამდგარი ლეგა ღრუბლებით,
მთვარის ნათება მიუძღოდა ნათელ ფერებით,
შავბნელი ღამე უკან რჩენოდა სინათლის ნებით!

იქვე წყაროსთან ჩამოჯდა და მუხლთ მოიყარა,
აღელვებული გულის ფეთქვა წყლით გაიგრილა,
ნაკადულს სუფთას მორაკრაკეს გაესაუბრა,
ლექსთა ფერებით, წყალი ანკარა გადააჭრელა!

ფიქრთა ულაყებს შორს გაბნეული გზები გაუხსნა,
სულში ანთებულ ჩირაღდნებად გადმოაფრქვია,
მერე ნიავქარს გამოსტაცა მუზების კონა,
ფერად-ფერადი კენჭებივით მიმოაბნია!

წერა და შალა, ფიქრთა ბორკილი შემოიგლიჯა
და საქართველოს სანთლად აენთო დიდ სიყვარულში,
ბულბულის ფრთები, კალმის მაგიერ მან მოიმარჯვა
და გრიგალივით ჩაიბუდა მის თბილ უბეში!

თუ ოდესმე

თუ ოდესმე სოფლის მთებში გირბენია,
ბონდის ხიდზე გაგივლია, გირწევია,
თუ ოდესმე სამწყემსურში გიმღერია,
არა! არ სთქვა, რომ არასდროს გიცხოვრია!

წყალვარდნილის წვეთი თუკი დაგცემია,
ცხენისწყალის სილამაზე გინახია,
თუ მდინარის ხავსმოდებულ ლოდებს შუა,
კიბორჩხალა და ლიფსიტა გიჭერია!

მაყვლის ბუჩქი თუ ღიღინით გიკრეფია,
ასკილი და ტყის ჯონჯოლი გიძებნია,
დაგიკრიფავს ენძელა და ია-ია,
არა! არ სთქვა, რომ არასდროს გიცხოვრია!

თუ კაკალი ერთხელ მაინც გიბერტყია,
თხილის ტოტზე, მწვანე ქურჩი გირჩევია,
ბალის ტოტზე, ერთხელ მაინც შემომჯდარხარ,
არა! არ სთქვა, რომ არასდროს გიცხოვრია!

ვაზის ზვრებში თუ ყურძენი გიკრეფია,
საწნახელში ჩამდგარს ფეხით გიჭყლენტია,
ქვევრთან დამჯდარს თუ აყალო გიზელია,
ნუ! ნუ იტყვი რომ არასდროს გიცხოვრია!

თუ სიმინდი ნადში ერთხელ გიტეხია,
თუ "ურმული" გულით სულით გიმღერია,
ამხედრებულ ცხენით გზები დაგივლია,
დიახ! არ სთქვა რომ არასდროს გიცხოვრია!!!

იყუჩე გულო!

იყუჩე გულო, რად გაგიდის გუგუნი ასე,
რად ებრძოლები თეთრად დაყრილ ჭაღარას თმებზე,
ნუ, ნუ ფართხალებ, ნუ ფორიაქობ, ცოტა მაცალე,
დავტკბე ამ გრძნობით, სიყვარულით, კარი ჩარაზე.

რაო, რას მეტყვი, ავირჩიო ისევ დუმილი?
განა არ მეყო მთელი ცხოვრება სიტყვა უთქმელი,
რა გინდა გულო, რა დაგიშავე, რას მემართლები,
განა მე ბევრი დამრჩენია წუთისოფელი?!

არა, არ მინდა მოვისმინო, არცერთი წამით,
მინდა მოვისხა ყველა ფერის მე სიკეკლუცე,
თურმე ქალი ვარ, ყველა გრძნობით, ყველა სინაზით,
ამ სიყვარულით მეც დამატკბე, ცოტა მაცალე...

მეც შევიღებავ ერთ დროს, ოდესღაც გაბუსხულ ტუჩებს,
კვლავ მოვიპარავ მზის სხივების ნათელს აისზე,
დაველოდები იქ, ჩემს სატრფოს იმ ჩვენს ბილიკზე
და ავუყვებით სიხარულით ნაცნობ ადგილებს.

გაუგზავნელი წერილები დედას

დედის სახელზე "ვაგზავნიდი" უამრავ წერილს,
ვარქმევდი სახელს გაუგზავნელებს,
მასში ვაქსოვდი მონატრების ულევ ელექსირს,
მისი სულისთვის ვანთებდი სანთლებს!

გაჩენის დღიდან თუ რამ სიკეთე მიკეთებია,
ყველა სიკეთე ჩემი დედ-მამის ნასწავლებია,
წლები წაიღებს ამ ცხოვრების კარგს თუ სიავეს,
იმ ბონდის ხიდზე მეც გავივლი, მათ რომ იარეს.

მზის ნათელ სხივებს მეც დავაფრქვევ,
ჩემს შვილ-მომავალს
და იმ სიყვარულს მეც დავტოვებ, მან რომ დატოვა
მერე კი ჩუმად, მე ჩემს სათქმელს ვეტყვი ლექსებით,
მის სულს მივუძღვნი მონატრებად სტრიქონ-სტრიქონით!

მერე ავყვები სულმოუთქმელად ფეხით მე აღმართს,
ფრთხილად მოვაბნევ ია-იებს უცნობ საფლავზე.....
და იმ წერილებს გაუგზავნელებს, წლობით ნაგროვებს,
იქვე დავაწყობ, ვით თავსასთუმალს, საფლავის ქვაზე.

შვილებს და შვილიშვილებს

დღე ხვალინდელი ჩემი თქვენა ხართ,
სულის სიმები და გულის ფეთქვა,
თქვენი სუნთქვაა, მე რომ აქ მწვდება
და ეს მინდოდა თქვენთვის რომ მეთქვა.

თქვენ იფურჩქნებით, როგორც მაისში
ყვავილთა ფერი წითელ-ყვითელი,
მომავლის იმედს მე ვხედავ თქვენში
და ლამაზია ირგვლივ ყოველი.

მინდა ვისუნთქო, სადაც თქვენა ხართ,
ყოველი დილით გიძღვნათ სალამი,
მინდა შევეხო რასაც ეხებით,
ვაბოდიალო ფურცელს კალამი.

მეც თქვენთან ერთად შემოვიარი,
თვალუწვდენელი სამყარო ვრცელი,
ამ შორეული წლების სიმძიმე,
შემოვიხიო, როგორც ფურცელი.

მერე ჩამოვჯდეთ ერთად ყველანი,
მოვყვეთ ზღაპრები, მთისა თუ ბარის
და სიყვარული ჩემი თუ თქვენი,
ერთურთს ვაჩუქოთ, ქუხდეს ხმა ზარის.

ვერავინ განსჯის ჩვენს დაშორებას,
გულის კუნჭულში თუ სუნთქავს გრძნობა,
ვერავინ იტყვის სათქმელს ადვილად,
რაც მოადგებათ ენის წვერს უცბად.

ჩვენ ვერ შევავსებთ იმ წლებს დაკარგულს,
ვერ მოვაბრუნებთ დროს უცბად გასულს,
დავძლიოთ მხოლოდ შორი მანძილი,
რაც გამახარებს ეულს, მარტოსულს.

რაც მთავარია, არ უარვყოთ ჩენ ერთმანეთი,
შეციებული გული თბილი სიტყვებით ვამკოთ
და მონატრება თვეობით,
წლობით შემონახული,
გავაძლიეროთ, ავახმაუროთ და
არ დავკარგოთ.



ბეჟან ხარაიშვილი

ლექსები 1974 წელსაა დაწერილი

*

ერთი ხე ვიცი რუსთავის ბაღში,
ჩამოწეწილი წვრილი ტოტებით,
ხან მე მომელის, ხან შებინდებას
და დგას სულ ასე განმარტოებით.

ხე ტოტს მისვამდა
ჩამოშლილ თმებზე,
შენც გახდებიო ლექსის ავტორი,
მიმანიშნებდა ხვალინდელ ბედზე,
რომ გზები სისხლით იყო ნატორი.

გული უშიშრად
კარგზე ფიქრობდა,
აზრთა შტოების სხვა იყო ჟეჟვა,
ცეცხლი მეკიდა არვინ მიქრობდა,
ჩამჩურჩულებდა, ხატია... ბეჟან!..

ისევ იმ ბაღში ვტრიალებ ახლა,
სხვის შერთვას...
შენზე ფიქრი ვარჩიე,
მკერდს გადავიხსნი
და ხელისგულებს,
ქარს ვუშვერ--
ჭალა-– ტყეთა მარჩიელს!

წამოვარდები რა უნდა მოხდეს,
და ვფიქრობ
ბოლო,
ბოლო კრებაა,
ხე დაიკვნესებს ვიღაცა მოგდევს,
მე ვფიქრობ!
-– იქნებ მოჩვენებაა!
ბეჟან ხარაიშვილი 15 /06 / 74 წელი.

თავგანწირვა

წინ წამომართე ათასი შანთი,
გარს შემოიწყვე ასი ყუმბარა,
ცაზე ციმციმებს ციური მნათი,
შენ კითხვებს ითვლი
-– მოვალ თუ...
-– არა...
გულზე მიიკარ ვარდის ეკალი,
ბაგე ზღაპრების ზურგით აივსე,
მე იმ ეკლებზე სანთლებს ავანთებ,
მე იმ ეკლებზე დავიმაისებ!
რატომ ჩაფიქრდი მე არა ვხუმრობ,
მზე აქ ამოდის, მზეც აქ იწყება,
განა პეპელა ცეცხლთან
რომ მიფრენს,
იმაზე ფიქრობს რომ დაიწვება?...
ბეჟან ხარაიშვილი
1974 წელი.

ჯარისკაცები

ჯარისკაცები დედისეულ
ამანათს უცდის,
გარეთ კი ცივა უცხო მთები სიშორეს ითოვს,
ჯერ არც კი ვიცი რას მომიტანს პატარა ყუთი,
დედის ალერსს კი წინასწარი ღიმილით ვათბობ.

-– რით მიმასპინძლებ? --
ერთი ლუკმა მეც გთხოვ მომეცი,
-– რით მიმასპინძლებ?--
ვერ ისვენებს ვიღაც ზურგს უკან,
-– რით მიმასპინძლებ? -
მიმასპინძლე ან ხმა გამეცი,
-რით მიმასპინძლებ?
გამორბიან კისრის მოტეხით.

ამანათს ვხსნი და-
ღმერთო ჩემო რა მემართება,
ვაშლებს ვხედავ და -
ჭამის თავი თითქოს აღარ მაქვს,
ჭაჭის არაყვმა გამაბრუა
ერთი დანახვით,
თუ საქართველოს სიყვარულმა შემაბარბაცა.

გარეთ კი თოვს და უცხო მთები სიშორეს თოვდა,
ქარი მიქრის და ფიჭვის რტონი
წამწამებს ხრიან,
წინდის საყელო დედის ალერსს, სიყვარულს მთხოვდა ...
ჯარისკაცები დედისეულ
ამანათს ხსნიან!

ჩემი სოფელი

სადაც მიცრეცილი ნაპრალიდან,
კლდეზე ღელები ცოცდებიან,
სადაც ანათრთოლი
ფოთლის ცრემლში,
ტყეთა იდუმალი ლოცვებია,
სადაც ყვავილების სიფერადით,
თვითონ ფრინველებიც ოცდებიან,
სადაც შენაცრული ცის სიღრმეში,
სამი ცისარტყელა ოცფერია,
სადაც გახლეჩილი მთის გულები,
დაბლა წყლისპირეთში ხორცდებიან,
სადაც ჩამწიფებულ პურის ყანებს,
მზეთა ელვარება მოხდენია,
სადაც გზისპირეთის შროშანები,
ქართველ გოგოებზე მორვხვებია,
სადაც შემწვანებულ მთის ფერდობზე,
ცხვარი ცის ნამივით მოჰფენია,
--– ჩ ე მ ი ს ო ფ ე ლ ი ა!
სადაც ნამქერივით ჩანჩქერებში,
ბევრი კალმახი და ხრამულია,
სადაც გაუკაფავ ბილიკებზე,
მუდამ ყიჟინი და ხმაურია,
სადაც სულ უბრალო
კაცის მკერდში,
გული ღიაა და ზღვაურია,
სადაც ცის და მიწის შესართავთან,
მხოლოდ სიყვარულის ალმურია,
სადაც ამ წალკოტში ავად მომსვლელს,
წაღმა ვერასოდეს გაუვლია--
--– ჩემი მ ა მ უ ლ ი ა!
ბეჟან ხარაიშვილი 1974 წელი 31 დეკემბერი

წინათგრძნობა

*

ვიცი ჩაივლის შენს
    სახლთან ღელვით,
მღრიე ღელე და ჩემს
კვალს წაგიშლის,
ცის ხმები მესმის შორიდან ელვის,
ჩემს ნახვას ვიღაც ისევ დაგიშლის.

დამარტოვებულს თან მოგიყვება,
აუგს ჩემსას და შენც დაიჯერებ,
მაშინვე გზები გაიყრება და . ..
ნაგლოვარ დღეებს
თითქოს იფერებ.

უშენო ღამეს შევექვიტკირე ,
ზეცას გამოჩნდა სხივი უჩინო,
უჩემოდ ვიცი შენც რომ ქვითინებ,
ვფიქრდები ... ჩემს ბედს
 როგორ ვუჩივლო?
 ბეჟან ხარაიშვილი
1971 წელი

გაცრეცილი ჩანთა

*. *. *

გაცრეცილი სკოლის ჩანთით,
სხვა გოგოც რომ შემეყაროს,
მახსენდება დრო რომ დავთქვით,
ცაცხვის ხე და სოფლის წყარო .

დაკეცილი თეთრი ბაბთით,
სხვა გოგოც რომ ჩაივლიდა,
ხელს მართმევდი
    თითქოს ხათრით
და ცახცახიც გაგივლიდა.

კვლავ ვიხსენებ წყაროს ჩუხჩუხს,
შენგან ნათქვამ ყოველ სიტყვას,
გახსოვს?- ტყემ რომ დაიხუჭა...
ის დღე ისევ ძალიერ მიყვარს.
ბეჟან ხარაიშვილი
1970 წელი

მდინარეზე

*

შენ ისევ გაღმა ფიქრებში გძინავს,
მოვალ შენს გემთან
მივაბავ ბორანს,
მზერას ბადისებრ
 გტყორცნი და მძირავ...
დარდი თავისით
 ტალღებზე გორავს.

ხან ჩავფიქრდები
მოვშორდე ამ წყალს,
რაღაც ფეხის ხმა სხვაგანაც ისმის,
ვერ ვეგუები უსამართლო ბრალს,
ჩემგან მოკითხვის
 არ ხარ შენ ღირსი.

მაგრამ არავის არ მინდა მოსვლა,
შენს გარდა...
შენ ხარ ის ერთი ქალი,
ეს სიყვარული თუ ისევ მომკლავს,
შენი გულისთვის
   თუ მომჭრეს თავი ...

დაგედევნება სული ეული,
გზას გადაგიჭრით
როგორც თოლია,
ვინ არის? გკითხავს შენი რჩეული,
 შენ უპასუხებ, ღრუბლის თქორია!
ბეჟან ხარაიშვილი.
1970 წელი

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

გილოცავთ და დაგლოცავთ

დედის ლოცვას სხვა სურნელი ასდის,
დედას უყვარს კარგიცა და ცუდიც,
სადაც თქვენ ხარ დედა იქვე დადის,
წასულ შვილებს დედა კართან უცდის.
ეს სიტყვები წმინდა არის ისე,
ვითარც ცაში მოფარფატე ფიფქი,
ახლა სასმისს სანთლის ალით ვივსებ,
უკვდავების წლები გამოგიფქვით.
არასოდეს გაგიმეტებთ შვილო,
თუმცა მწყინს და მტკივა ბევრჯერ გული,
იმერული – ჩემი სიტყვის კილო,
სიყვარულით ყველა კუთხეს უვლის.
გამოვთალე სამომავლო ხიდი,
გამძლების გარანტიაც მოდევს,
ამ ხიდს შვილო, მე სულ მარტოდ ვთვლიდი,
გაუფრთხილდით რაც არ უნდა მოხდეს!

არ შემიძლია
მტერიც რომ მძულდეს

დამსაჯეთ, დამწვით, მაქციეთ ფერფლად,
არ შემიძლია მტრის სიძულვილიც,
გთხოვთ არ გამყიდოთ არავინ ვერცხლად,
არასდროს გქონდეთ ამის სურვილი.
სიცოცხლე არის სულ ერთი ციდა,
არავინ რჩება აქ საუკუნეს,
ძალიან ბევრჯერ მე ბედი მცდიდა,
მაგრამ სიკეთით კვლავ განვიკურნე.
არავის ვგავარ მე სხვა ვარ უცხო,
უფრო ლამაზი გრძნობის მფრქვეველი,
ყველა გარდაცვლილს ზეციდან ვუხმობ,
მათთვის გული მაქვს ხელუხლებელი!

ერთგულების სანთელი

გულში სანთელები დავანთე და ...
არ შევიცვალე მარტის თვესავით,
ყინვის კუნჭული გამოვათბე და...
მინდა გიყვარდეთ ყველა ჩემსავით.
მომენდეთ შვილო, ციდან მიწამდე,
უსასრულოდ და უკიდეგანოთ,
ვინაც საკუთარ დედად მიწამეთ,
ვნატრობ გულითაც რომ დამემგვანოთ.
არ შეიძულოთ შვილო არავინ,
უნდა გაუძლოთ თოვლსა და წვიმას,
ჩემი გულია სევდის კარავი,
მაინც სიკეთის დღეებად ვბრწყინავ.
გადაიწერეთ ბევრჯერ პირჯვარი
და ერთგულება მტერსაც აჩუქეთ,
უნდა ატაროთ რწმენით ღვთის ჯვარი,
გული მზედ უნდა გამოაშუქოთ!

პოეტს არ ძინავს

შენ როცა გძინავს პოეტს არ ძინავს,
მის თავთან დარდი წამოწოლილა,
შენთან მზეა და მასთან კი წვიმა,
თავის მამულში გახდა ლტოლვილად.
ღამის მთვარესაც გაესაუბრა,
შეეხმიანა კრძალვით და რიდით,
არც გაუწყრა და არც დაეუბრდა,
პოეტი ხშირად მნათობთან მიდის.
დარდების წვიმა იქ გადადევნა,
სტუმარს გაუღი ზეცამაც კარი,
სხვანაირია ცის დედაენა,
საწერ-კალამი ბალახის ცვარი!

განსხვავებული

შენ სხვანაირად შეგიძლია,
დარდი სამუდამოდ გადაბელო,
გულს შინაგანად შეუგრძნია,
დედა არ გინდა რომ დააბერო.
შენი უკვდავების სიყვარული,
იწვის ვითარც წმინდა სანთლის ალი,
ესაა, სასიტყვეთის დასასრული,
ესაა, საქართველოს ამორძალი.
გასცემ ... რაც შენია რაცა გაქვს და...
სხვისას სიცოცხლესაც არ ისურვებ,
ჩემში არტერიად გამოგრგავ და...
დედა სიყვარულით დაგაპურებს!

ისევ გათენდება

ისევ სიხარულით ივლი,
თუმცა ბედი ფიფქებს ბარდნის,
შვილო, დაგიბრუნებ ღიმილს,
ვატყობ მზე ჯერ არსად ჩადის.
ერთად ვუდარაჯოდ იმედს,
ვნახოთ მიმოვფანტოთ ერში,
ყვავილს დაგიკრიფავ იმდენს,
რომ ვერ დაიჭირო ხელში.
ჩემი სახელია დედა,
გული სიკეთის გზით დადის,
ეკლებს სულ კბილებით ვძეძგვავ,
თუმცა ბედისწერის ვადით.
ყველას მოგიშუშებთ ტკივილს,
შევძლებ რაც არ უნდა მოხვდეს,
სახეს დაგიბრუნებთ ღიმილს,
ცრემლით რატომ უნდა მოვკვდე.
უფალს შევავედრებ მერცხლებს,
ვივლი ყვავილების კონით...
თქვენთვის გავუღიმებ ვერხვებს,
მტერს მე კვლავ სიკეთით ვჯობნი!

უნდა გეჩხუბო ბუნებავ

რატომ მაშინებ ბუნებავ,
მართლა ძალიან მიყვარდი,
საყვედურს უკვე გიბედავ,
ბაღდადს მიადექ მიპარვით.
რა დაგიშავა ბავშვებმა,
რა ცოდო მადლი ტრიალებს,
ეს წვიმა- თოვლი რას შვება,
სოფელი რატომ ღრიალებს.
ოჯახს მიადექ მძინარეს
პირტიტველები ჩაყლაპე,
ადიდა ცოდვის მდინარე,
ხალხს მიწა გადააყლაპე.
შიშმა შემიპყრო დავფიქრდი,
იმედი გაქრა- გაქარწყლდა,
სიკვდილო, მთებშიც ჩაფრინდი,
კლდე შენით წელში გადაწყდა.

ხვალ შენი დღეა

ხვალ შენი დღეა შევაწუხებ აზრთა გამრიგეს,
უფლის ნებაა ის რაც ხდება გზათა ბილიკზე,
კვლავ გეფერებით საყვარელო, გულებს გირიგებთ,
თმაში ჩაგიწნავთ ვით დედოფალს, ცისკრის დილის მზეს.
კიდევ რა მოგცეთ, რით გაამოთ გულის მალამოვ,
კვლავ ლექსს მოვუხმობ უხმაუროს მაგრამ რითმიანს,
ემიგრანტი ხარ, გიფრთხილდებით რომ არ დაგღალოთ,
იტალიიდან დიდ მოკითხვებს, ქართველს გითვლიან.
აფერუმ ქალო, აიტანე ხვედრი ბედისწრის,
არ დაიჩოქე, არ იტირე, არ იწუწუნე,
თუმცა გული გაქვს ნატყვიარი, ბევრჯერ ნაისრი,
შენთან ღმერთია საყვარელო, მისი ირწმუნე!

მასპინძელი

მასპინძელი ვარ, მზის ქვეყნიდან მოსულ სტუმრების,
გულკეთილი ვარ, ვინაც იცის მშობელის ფასი,
დედა ვარ დედა, უფლის მადლით დანაპურები,
სიყვარულია ჩემი რწმენის სიცოცხლის არსი.
ცისკარელი ვარ, მოგზაური გალაქტიკიდან,
უბრალოება არის ჩემი სამკაულები,
თქვენი დედა ვარ, დარდი ჩემში გადაქვიტკირდა,
გულით ვირწმუნე ზეციური სასწაულების!

ცისარტყელა

თვალი გადავავლე განვლილ წლებს და...
ღიმილს გავუგზავნი ცისარტყელას,
რა ვქნა სიტყვით მაინც შევიბრალებ,
ზეცამ ლავაშივით გააპრტყელა.
მისი ერთი ფერი სისხლია და ...
ზოგი ლურჯ– ყვითელი ნაისრალი,
ყველა ბედისწერის წიხლია და ...
ბედი ცის და მიწის კომისარი.

დღე იყო თბილი

დღე იყო თბილი და ოქროსფერი...
ჩვენ მშვიდდებოდით უფლის ხსენებით,
ღამე შუქს ფენდა ყვითელ ფოსფორით,
დარდის და ცრემლის გამოსვენებით!

უმიზეზოდ

ამ ერთ სტროფში ჩავალაგებ იმდენ დარდებს,
რომ ძნა დავდგა დიდზე- დიდი სევდის ზვინის,
ბედო, აქვე არხეინად დარდიმანდობ,
მართლაც მიკვირს რად გწყურია ჩემი ჟინი?
შარი გინდა მომიძებნო უმიზეზოდ,
გინდა ფრთები მომაწყვიტო ასაფრენი,
მდარაჯობ და თან დამყვები ეზო- ეზო,
ჩემთვის უკვე აღარახარ არაფერი!

მზე კვლავ ამოვა

ცის სიწმინდეში გადავინაცვლე...
გავცილდი თოვლით ნაყინ ადგილებს,
აუცილებლად მჯერა ინათებს,
სიცოცხლეს რწმენით გავიადვილებ.
მზე აატირებს ყინვას გათოშილს,
ძირულა ღელვით ჩაიშლიგინებს...
დარდს თუ გულიდან ვეღარ ამოვშლი,
ჯეჯილის ხომ მწვანედ ავაბიბინებ.
შორს წყალს გავატან სევდას იმდენჯერ,
როცა იწვიმებს, რომ მოვა თოვა,
გადაიკარებს მაქვს ეს იმედი,
ბედისწერამ რომ შემომათოვა!

სულის გაზაფხული

სულის გაზაფხული იცრემლება,
ვით ნამიანი ვარდები,
დედა არასდროს იწყევლება,
ბევრიც რომ ქონდეს დარდები.

ცრემლო, შემომრჩი... შემეხიზნე,
სიმშვიდის ძილი წამართვი,
აჯობებს ჩემითვე გავმოვფხიზლდე,
თორემ გამოჩნდა დაღმართი.

სულიერ შვილებს დავხვდები,
შესახორცებლად ჭრილობის,
თუ წავიქცევი ავდგები,
კვლავ სიყვარულის პირობით!

მიყვარს მომავალი

მიყვარს დინჯი და ჭკვიანები,
მერცხლები ჭიკჭიკა ფრთებით,
ჩემშია სულის ლიანები,
ყინვაა... მათთან ვთბები.
მოხატავს ცივ ფიფქებს ნუციკო,
მზე აატირებს ყინვას,
თითქოს და ეს თოვლი მზე იყოს,
იებს თოვლში რომ სძინავთ.
ნუ დამაფარებ ნისლს ზეცა,
თავს მერცხლებს ვანაცვალებ,
სხივები ჩემს წინ აცეკვდა,
ნუკრი მიკოცნის თვალებს!

არ უღალატოთ

თუკი გინდათ, რომ სული გიცხონდეთ,
ნუ გაუსინჯავთ სხვის თაფლს გემოსა,
ახლა ზამთარი ამოიცოხნებს,
ბუნებას თეთრი კაბით შემოსავს.

ზამთარსაც მინდა გაზაფხულივით,
ლურჯი კამკამა ქოლგა ეხუროს,
ღრუბელმა ახალ დანიშნულივით,
გულის მინები აღარ შემუროს.

გიყვარდეთ ის ვინც, ამის ღირსია,
გულს სიყვარულის ცეცხლი დაანთეთ,
თქვენ შეასრულეთ ერთი მისია,
ცოლი ალერსით, კოცნით დაათვრეთ.

თუ ქალს უყვარხარ არის წყალობა,
გაგაფუფუნა ღმერთმა სიმდიდრით,
სიამაყეა ამორძალობა,
რომც მოინდომო ვერსად იყიდი.

მამაკაცებო, ვინც გინდა იყოთ,
თბილ-ტკბილ კერიას რამდენი ნატრობს,
ცრუპენტელებმა არ გაგაბრიყვოსთ,
შვილების დედას არ უღალატოთ.

მინდვრის ყვავილი გზად წამოკრიფე,
კრძალვით მიართვი ერთგულ მეუღლეს,
რით გაახარო მუდამ იფიქრე,
საყვარლისათვის ცოლს ნუ შეუღრენ!

არ გამიკარა

ამ წყლის ტალღებმა არ გამიკრა,
არ მოინდომა ჩემთან ჩურჩული,
ჯერ თვითონ მიხმო დამიბარა და...
როცა მივედი დამხვდა სიჩუმით.
იმ ლეგა ბიჭებს იქნებ დარდობდა,
აქ რომ დარბოდნენ კუნთებ-ძლიერნი,
მზეს სახეპირი გადაბარდნიდა,
მნათობი იყო დღეს ბედნიერი.
სჩანდა ზეცაში იყო სიცოცხლე,
სულის სიშვიდე და უკვდავება,
მეც ასე მჯერა სანამ ვიცოცხლებ,
ლამის ამ რწმენის დავდგე თავდებად!

მადლის ბორანი

სკოლის კედლებში დარჩენილია,
გულის ჩურჩულს რომ ბევრი მანდობდა,
მოგონებები ძალზე ტკბილია,
ცელქი ბავშვობა დარდიმანდობდა.
მზეც გვიღიმოდა, ცისარტყელებიც,
გოგო-ბიჭებმა დადეს პირობა,
გამოზაფხულის თეთრი ტყემლებით,
ვარდი და ია ბევრჯერ ტიროდა.
ტყის ყოჩივარდა თოვლშიც აყვავდა,
მწვანე სამოსი ტყემ შეიკერა,
ვარდს სხვა არავინ არ შეუყვარდა,
თუმც ეს სიწმინდე არავის სჯერა.
დღეს კვლავ თოვლია, სევდის ფიფქების,
ვარსკვლავბიჭუნას ახლაც ტირიან...
მეც ამ ცხოვრებას რომ ვუფიქრდები
შვილგაედაცვლილი დედა გმირია.
მე ჩემსას ვტირი, სხვასაც ბევრი აქვს,
დასაწერი და მოსაგონარი,
თუ მაკვირდებით არვინ არ მგავს და...
ზღვაში დავცურავ მადლის ბორანით.
უკვდავების გზის ძებნა განვაგრძე,
ცეცხლოვან ლექსებს პოეტი ყვება,
სკოლის კედლების სუნთქვა შევიგრძენ...
მიდის პოეტი და არა კვდება!

თქვენთვის ვამბობ

დამიჯერეთ, თქვენთვის ვამბობ,
განა ჩემთვის მინდა რამე,
დღე რომ დღეა, ის იწამოთ,
დრო სიცოცხლის ითვლის წამებს.
მტერი აღარ გააცინოთ,
არ ჩააქროთ გრძნობის ალი,
გული გულს არ დააცილოთ,
კვლავ გარიგებთ დარდის ქალი.
გთხოვთ, ოჯახის თქვენს მყარ ფუძეს,
საძირკველი ჰქონდეს მყარი,
თქვენთვის ბედის დიდ ცეცხლს ვუძლებ,
გამოგიღეთ გულის კარი!

გელოდები

გელოდები, ყოველი დღე ფიქრის ზამთარს,
გელოდები, დარდი იქნებ შემიმცირდეს,
გელოდები ,,ათინათო" ყინვის კართან,
მომეშველე, იმედს რომ არ შემიცივდეს,

* * *

ღამე ფიქრებით შემომათენდა...
და დილას ფრთხილად კარი გავუღე,
მზე უშურველად სითბოს მაფენდა,
ეგებ ამ ჩემს გულს ყინვა გაულღვეს.
მადლის საკმეველს დედაშვილობის,
ვანთებ და ვლოცავ იმ დღის განთიადს,
ხალხს შევუერთდი ჩემი ჭრილობით,
ვჩუქნი სიყვარულს რაც მაბადია!

სიყვარულის ქარცეცხლში

გულში სიყვარულის ქარცეცხლშია,
შვილის, შვილიშვილის ერთგულებით,
დრო კი როგორც მივხვდი ჩემს ხელშია,
შრომით, მოთმენით და შეგუებით.
შევსი სიყვარულის ელექსირი,
ჩემი დავითით და გელიკოთი,
შვილი ჩემთვისაა მეფე ლირი,
ძმა სულ ამაყობდა ძამიკოთი.
გელა გენაცვალოს შენი დედა,
ვითომ ძლირი და უდარდელა,
ციდან დედიკონა უფრო მხედავ,
ნეტავ ცისარტყელას ამადევნა.
გნახავ, მოგიყვები აქის ამბებს,
ზოგს კი დაგიმალავ ჩემო ბიჭო,
ბევრის ორგულობა შვილო მაბნევს,
ზოგს კი პრემია მსურს მივანიჭო.
მითხარ, შენ როგორ ხარ შემოგევლე,
შენ ძმას თუ იკითხავ არაუშავს,
ახლა სიყვარული მოვიცრემლე,
თვალმა ღვარღვარებით ჩამოუშვა!

მომირავლე

მომიმრავლდეს მომავალი ქართულ ოჯახს,
მომრავლდეს ანგელოზი კვალი,
მერცხლებივით იჟღურტულონ ქართვლის ოჯახს,
რომ ვიარო სიყვარულით მთვრალი.

შენით მიხარია

შენით მიხარია მივყვები,
ლამაზი ცხოვრების მირაჟებს,
ხანდახან ზღაპრებსაც გიყვები
და თავს ბავშურად ვიბავშვებ.
სიცოცხლე შენში ბინადრობს,
მომდევს იმედი გზადაგზა,
შენს იქით რაღა ვინატრო,
სულის საკვებად მზადახარ.
ათინათი მაქვს ცალ ხელში
და დავიბადე მეორედ,
შენ რომ შემები მარხილში,
სიცოცხლე გავიმეორე!

ეს შენა ხარ

მზეს რომ აფენ თვალის ცრემლებს
დარდის ნამს რომ ააშრობ,
ამიტომაც შემოგევლე,
იქნებ ცეცხლიც ჩააქრო.
რომ იფიქროს ყველამ ასე,
ბედისწერის ქარბუქზე,
გულს არც დანა აღარ დასერს,
თუნდ ააგონ შამფურზე.
ეს შენა ხარ საყვარელო,
ტკივილების წამალი,
ყვავილი ხარ სააპრილო
და მზე ამომავალი.
ნაზამთრ გულს რომ
სითბოს აფენ,
წვიმას არ უშინდები,
თუ სიმართლეს გადაარჩენ,
ბოლოს მზედ აბრწყინდები!

ჩემი სადილი

სადილად ვადგამ სიკეთეს,
დედაშვილობას საუზმედ,
ცუდს არასოდეს ვაკეთებ,
გულს თქვენ ტკივილებს წაუსმევ.
ოღონდ თქვენ არა გეტკინოთ,
არსად მოგისწროთ ავდარმა,
ჩემსავით არვის გეტიროთ,
ჩრდილში გამყოფოთ ჭადარმა.
თქვენი სიკარგე მახარებს,
ოცნებით ცაში დავფრინავ,
თუ ქარი გადიხარებს,
დავფანტავ ნაწილ-ნაწილად.
არ ვიმუქრები უფალი –
ის ხედავს დედაშვილობას,
თქვენ კერძი - მე ნასუფრალი,
ლუკმად მოვითხოვ ზრდილობის!

ფიქრის უსასრულობა

დანაღმულია გული სიმტკიცით,
არ შეგეშინდეთ შიგ ზაფხულია,
ფიქრი დაფრინავს მაღლა ცის იქით,
სადაც არავის არ გაუვლია.
გზად ავედევნე უსასრულობას,
სხვა რა შემეძლო სევდით გადამთვრალს,
ერთგან წავაწყდი ცის დიდ ყრილობას,
რომ ადიდებდნენ მებრძოლ ქართველ ქალს.
ჰოდა, დეკემბერს მზე სულ გაუსხლავს,
უსასრულობას მე ის წავართვი,
თუ შეგცივდებათ სითბოს გადგისხავთ,
ოღონდ ძლიერი დედა დამარქვით!

სულ რომ მოვკვდე

მე უშენოდ ფასი არ მაქვს,
რომც მეფინოს ია-ვაედი,
დავალ შენზე დარდი დამაქვს,
ფეხს მედება ეკალ – ბარდი.
მუმლი ისევ შეგსევია
და კვირტები ცვივა მიწას
ნაპრალს პირი დაუღია,
დაუსახავს ნგრევა მიზნად,
სულიერი და უსულო,
შემცდარია დედას გფიცავ,
სიცოცხლეც რომ დავასრულო,
ამოვტეხავ კუბოს ფიცარს,
კვლავ აღვსდგები ფენიქსივით,
დავიბრუნებ გულრიფშს, რიწას,
ამას შეძლებს ქართვლის ქვრივი,
სხვას არ მისცემს ქართულ მიწას!

სიკეთის ცეცხლი

მე უნდა მენთოს სიკეთის ცეცხლი,
ჩემში და... გათბეს დედა სამყარო,
უნდა ვიშოვნო სიკეთის ფერფლი,
საქართველოს მსურს გადავაყარო.
დავთესო მინდვრად, ტყეში და ბარში,
აღმოვაცენო მადლის საკვები,
უმადურობამ გაიმინვდრა და...
გულს რომ შემომრჩა გამოსაკლები.
იყოს რა უშავს გარდაიქმნება,
აუცილებლად იერს შეიცვლის,
ის უმადური ჩემთან იქნება,
ასეთებზედაც ძალზე განვიცდი .
მე ვარ ის გრძნობა რაღაცა უცხო,
სიყვარული და დარდის გამქრობი,
მტკივა და მაინც სხვის ტკივილს ვუხმობ,
ვარ ცრემლ- ქარბუქის თოვლის საშრობი.
ხვანის ტყის ტოტით ცეცხლი მინთია
გულში გავზარდე ია-იები,
გთხოვთ არ გეგონოთ სიტყვა მითია,
დარდიანებს მსურს მოგცეთ იმედი!

ხვალიდან დაიდარებს

სევდამ ჩამოუშვა ფარდა,
დღეს მაპატიეთ ყველამ,
შვილი დავინახე კართან,
შვილი, ლამაზი გელა.
ჰოდა მაპატიეთ დარდი,
ხვალიდან დაიდარებს,
მზე ამოდის და ჩადის,
ამოვიბღავლო ბარემ.
სიზმრად მესიზმრა შვილი,
დაჯლაგუნობდა ეზოს,
კოცნა იცოდა ტკბილი,
აქ რომ ცხოვრობდა იმ დროს.
ახლა ცაშია ლოცავს,
 გულს ვინც მოურჩენს დედას,
მე კი ვუგზავნი კოცნას,
ჩემი ტკივილის მხედარს!

ჩვიდმეტი წლის დაძმანი

მგონი გგავდი ფიზიკურად,
ნიჭით მჯობდი ძამიკო,
პრანჭია დას ეშმაკუნას,
ბედმა ნახე რა მიყო.
წახვედი და აქ დატოვე,
წლები გაუხედნავი,
ძმაო, შენ თავს არ გიტოლებ,
რას მოგვწვდები ბეჟანი.
მე ვწერ ტკივილს შენგან ნაძერწს,
ვლანდავ ხანაც სტრიქონებს,
ლექსს შენსავით როგორ დავწერ,
ქმნიდი ქორონიკონებს.
შენ სხვა იყავ შენი გონი,
სიბრძნე იყო მთლიანად,
შენ პატარა მე დიდს მჯობნი,
სისხლმა გაგვამთლიანა.
შენ ახალ წელს დაიბადე,
ახალ წელს რად წახვედი,
დარდები შენ დამაბარდნე,
თუ ბედია თავხედი.
ყველამ ერთად მიმატოვეთ,
ძმებმა შვილმა მეღლემ,
ვერ გამტეხა სიმარტოვემ,
დარდთან არ მსურს შევუღლდე.
მზე მსურს ვიყო ძმაო ბეჟან,
სხივებს ვფენდე ქვეყანას,
ას წელს აქეთ რომ მოვჟეჟავ,
მერე მოვალ ზეყანას.

ვინც გავზარდე

არა ევნოს ვინც გავზარდე უფალო,
არ დასაჯო ჩემზე ცუდის მთქმელიც კი...
ცის მსაჯულო, შენ ყველაზე მართალო,
გთხოვ დაინდე ჩემი გულის მკვლელიც კი.

მე ვპატიობ შეცდომებს და ანცობას,
მაჯობონ და მთა და ბარი დაიბყრონ,
ერთგულება არის კაიკაცობა,
ერთი ლუკმა ძმებმა უნდა გაიყონ.

შევეჩვიე, უბედობას, ტკივილსაც,
შევეჩვიე, დიდ თოვლიან ამიდსაც...
ბევრჯერ სუსხი მოყოლია ივლისსაც,
მაინც ცუდი არავისთვის არ მინდა!

* * *

ნაზამთრ ხეზე შემორჩენილ ფოთოლს,
როგორ ვგავარ დიდ ყინვას რომ ვუძლებ,
მოთმინება მართებს დედა მშობელს,
ნიავს ქარი წინ რომ არ გაუძღვეს.

მცირე კუნძულზე

ვფიქრობ ხო, ვფიქრობ გარდასულ დღეზე,
ვფიქრობ აწყმოზე, ვფიქრობ წარსულზე,
ვფიქრობ სამყაროს იმ ბრუნავ ღერძზე,
ვფიქრობ ზამთარზე, ვფიქრობ ზაფხულზე.
დღეს თოვს... ხვალ ალბათ გამოიდარებს,
მზის ათინათი ჩემს წინ იცეკვებს,
მაინც რა დალევს გულში ამ დარდებს,
უდარდელად ნუ გამომიცეკვებ.
ზღვა ვარ ცრემლების ვშრები ხალხისთვის,
რომ ეს ცხოვრება გავალამაზო,
ტყვია მფრქვევი ვარ მგელის ხახისთვის,
ჩემს წინ არასდროს არ იჯამბაზოთ.
ჩემი პლანეტის მცირე კუნძულზე,
მინდა სიმშვიდით ჩამოვისვენო,
არ ავცეკვდები მგელის ძუნძულზე,
აჯობებს სულაც არ გამახსენოთ!

**

გაზაფხულის ყოჩივარდამ გამიღიმა,
მიყვარს ვარდი სურნელებით სავსე,
თუმცა ბედმა მწარედ ბევრჯერ დამიღრინა,
ცრემლით სავსე დიდ სასმისებს მასმევს.

დაღლილი მამული

მამულს ვუყურებ ო, ძლიერ დაღლილს,
მკვდრეთით აღმდგარს და კვლავ საოცრებას,
მას ვუძღვნი ლექსებს დამწვარი დაღით,
რადგან ჭრილობა არ მიხორცდება.
ქართული ენის ანდამატები,
მახვილაზე მჭრელი ხანაც თილისმა,
ენით მორთული უფლის ხატები,
გულში ჩაიკრა დედა თბილისმა.
ენა რად მინდა მიწის გარეშე,
ან ეს მამული მტერს რად აოცებს,
დე, გადამთელის უცხომო თარეშით,
ერთიან მამულს თუ არ ვაკოცე
სარწმუნოება თუ შემიცვალეს,
ანდა ჩამძირეს ტიტანიკივით,
გუნდათ სულ მომკლან,
ლოცვა მაცალონ,
შევეწირები შუშანიკივით!

მწყემსი კეთილი

უშენობას ვერ აიტანს ერი,
ნექტრის წამალს გვიწილადებ ლოცვით
და ეს გვინდა ისევ ბევრზე– ბევრი,
თავდახრილი გევედრები მორცხვით.
იისფერი გაზაფხულიც მოვა,
ცა ბობოქრობს, მიწა სევდით მოთქვამს,
ოცნებებით მეკი ფიქრთა თოვას,
ცისკრის დილას იმედებით მოვრთავ.
ხვალის დღეთა ვარდ-ბაღნარის ეშხით,
ლოდინის ხეს ეჟვანს ჩამოვწყვიტავ,
ომნამსხვრევი სამაჩაბლოს ვერხვის კი...
უწმინდესო, რწმენით გამოვკვირტავ.
წმინდანი ხარ, საგანძური ერის,
მამულის და საქარღველოს მწყემსი,
იქნებ ლოცვით აილაგმოს მტერი,
ნატყვიარი მიწა ისევ კვნესის.
დედამიწა ჩვენთან შენით ბრუნავს,
ენატკბილო ჩვენო უწმინდესო,
სქართველოს განძ-საძვალეს მუდამ,
როგორ მინდა მუდამ შენ უმწყემსო!

ველოდები

ველოდები გაზაფხულის ყოჩივარდებს,
კვირტები რომ დაიბერავს დიდრონ ტუჩებს,
საქართველოს მომავალი იავარდებს,
იქნებ ყინვას ყვავილებო გადაურჩეთ.
კვლავ ღამეა ...უსათუოდ გათენდება,
ქართვლის გული გაუძიძგნავს მხეცის ხროვას,
მზის სხივებით კვირტი ისევ აფეთქდება,
იები და ზამბახებიც ისევ მოვა!

ვერ მოგეფერე

იუბილარო, ვერ მოგეფერე,
ტყეშიც ვერ ვნახე ყოჩივარდები,
იისფერებით კაბა შევკერე,
მაინც ვერა ვთქვი გულში ნადები.
ის თარიღია ორმოცდაათი,
სამჯერ იმდენი უნდა იცოცხლო,
დრო სიყვარულის ძაფით დაართი,
გული რომ ისევ გამოაცოცხლო!.

რწმენაა ჩემში

გადაყვითლებულ წიგნის ფურცლებს გავს,
გული, რომელშიც მასალებია,
ვდუმ თევზებივით მხოლოდ უფლის მწამს,
ფიქრი ნაზ რტოებს ემსგავსებიან.
თეთრი ღრუბლებით ცას მივაშენე,
 უფაქიზესი ოცნების სახლი,
ახლა ხეივანს გავაშენებ და...
თავთავებივით თავს დაბლა დავხრი.
არ ვიამაყებ, არ განვდიდები,
უბრალოების ბილიკს მოვძებნი,
აღარც დარდების ზღვად ავდიდდები,
რწმენაა ჩემში ღვთით ნაბოძები!

ცარიელ სულში

ვიღიმი? აბა მარცხნივ მიხედე,
თავს დამფოფინებს შვილის აჩრდილი,
თქვენთვის თვალებში გამოვიხედე,
მსახიობი ვარ შვილო ნამდვილი.
ვიცი გტკივოდა ჰოდა ამიტომ,
მოგეფერე და იგრძენი შვება
და თუკი გინდა გულში დაგიტოვ,
შენი თვალებიც ტკივილებს ყვება.
მოდი გულიკო მოდი სეხნიავ,
შენც დაგწევია ბედის ავდარი,
იებს ვთესავ და ტყვიებს მეც მსვრიან,
სჩანს სამართალი არსად არ არი.
ჰოდა შევქმენი გრძნობის საამქრო,
შემოვაკავე სიტყვის კარავით,
ვცდილობ დარდები თქვენიც გავაქრო,
რომ არ იტიროთ ჩემთან არავინ.
ყველა გულზე ხართ მძივად ასხმული,
ხატებს და დიდ ღმერთს გავადრებთ შვილო,
ჩემში ხატად ხართ გამოსახული,
გთხოვთ სიყვარული არ მაშიმშილოთ!

მე და სანთელი

ჩვენ ერთად ვცხოვრობთ მე და სანთელი,
ერთად ვიღვიძებთ... ერთად ვიძინებთ,
მთელი ცხოვრება ჩვენ ვართ დათმენით,
ცუდად არავის გამოვიძიებთ.
წმინდაა ფიქრი და უბოროტო,
დაუბადებელ ბავშვივით სუფთა,
გული რათ უნდა გავაბოროტო,
მე სანთლის ალის ჰაერით ვსუნთქავ.
გულის წამალი სიყვარულია,
დედაშვილური ტკბილი - უბიწო,
თავზე ქარიშხალს გადაუვლია,
სულელურად და სულაც უმიზნოდ.
ნეტავ ცოტა ხანს მაცადონ ლოცვა,
მადლმა აჯობოს ბოროტთა ხროვას,
სულის სამრეკლოს გადმოგილოცავთ
და თუ წავედი ისევე მოვალ.

შ ე ე ს ი ს ხ ლ ხ ო რ ც ე

სულის ტაძარში გიხმობ შვილო, ხვალ შენი დღეა,
მოდი ძვირფასო აქ დაგხვდება ,,ათინათები"
სიყვარულია ... ერთგულება... სიკეთის მზეა,
გზავნილ ლექსებთან მთელი წლობით ღამეს ვათევდი.
შემოგყვეს მინდა უბოროტო სახის ნათება,
შეესისხლორცე არტერიას გულის კედლებში,
აქ, საქართველოს მომავალი გამონათდება,
სიღარიბეა... თუმც მოხვდები სულის ედემში!

გაზაფხული უშენოდაც მოვა

შინდი უკვე შეიკერავს ყვითელ კაბას,
გაზაფხული დაიბერავს ტუჩებს,
დამეკარგე ცის ღრუბლებში შვილო სადღაც,
სევდის ფერი აფენია ქუჩებს.
ვინ ჩაწვდება ჩემი დარდის საიდუმლოს,
ცისკარელი ცის სივრცეში დადის,
სიახლოვეს დედი უნდა დამიგულო,
შენ ხარ ჩემი სიხარული- დარდიც.
ხან მზედ გხედავ გენაცვალე ჩემო გელა,
ხან ღუბლები დაგიფარავს სახეს,
ფრონის წყალი ძველებურად ისევ ღელავს,
ქარი ფოთლებს სევდიანად არხევს.
ფიქრით ვიყავ მთვარესთან და ვარსკვლავებთან,
მიგამგვანე ლამაზ მნათობს შვილო,
ჩემთვის დარჩი იმ ბავშობის ნაკვალებთან.
ჩემი ღამის გატეხილო ძილო.

ჩემი გული

გულში ანთებულ
სანთელის გვერდზე,
შემოვარიგე ვარდი ფაქიზად,
თან ვესაუბრე ქართველის ბედზე.
ნეტავ ხვალ მტერი
მათთვის რას იზამს.
მინდა გავათბო მთელი სამყარო,
ჩამოვარიგო გულის ვარდები,
ჩხუბში ფარხმალი რომ
არ დაყაროთ,
კლდეზე ნურავინ გადავარდებით.
აჰათ, ეს გული ვარდის სურნელით,
საქართველოსათვის შემიწირია,
თქვენ გამარჯვებას
შვილო, სულ ველი,
ყველა ქართველი
ჩემთვის გმირია.

იცი როგორ მიყვარხათ?

როგორც დედას შვილები
ისე ძლიერ მიყვარხართ,
ხართ თაფლივით ტკიბილები,.
სადაც მე ვარ იქა ხართ.
სიყვარულის ელექსირსს,
ბღუჯა-ბღუჯა ვარიგებ,
თქვენთვის ვწერე ეს ლექსი,
მწავს სიყვარულს გამიგებთ.
აგერ გული კეთილი,
ენერგიით პირსავსე,
ცოდნის გაკვეთილი და...
მჯერა თქვენც რომ აფასებთ.
ჩემს სიყვარულს სხვა ფასი,
სხვა გემო აქვს შვილებო,
სხვა გემოა ამაში,
ტკბილი -- მთის არწივებო.
ზოგი მღერით ზოგმა კი,
ლექსით მთები დაიპყვრეთ,
ლექსი ღვთისგან მოგდისთ და...
სიყვარულიც გაიყვეთ.
,,ათინათის " კარიბჭე,
ცამდე მხრებით ასწიეთ,
შვილის ტიტულს განიჭებთ,
დედა - სულის არწივების!

უდარდელ წარსულს

იმედის ტოტი დავიწიე სუსტი და ნაზი,
გავდა ბავშობას, თუმცა მაინც სევდა შეპარულს,
არავინ იცის ყვავილების ფიქრი და აზრი,
მეკი ფერები მახსენებენ უდარდელ წარსულს.
ლომ ძმების პატრონს ან რა მქონდა სადარდებელი,
ასე მგონია ყვავილებში მათი სულია,
და ღეროებში სისხლია, არის შედედებული,
რამდენჯერ ჩემს ძმებს ამ დიდ გზებზე გადაუვლიათ.
ეს სილამაზე მახსენებენ ღვირძლ ნათესავებს,
დეიდაშვილებს, ბიძაშვილებს, დათას და გელას,
მოგონებები წითელ- მწვანე ფერებში მრთავენ,
რწმენამ იმედი ცისკრის დილით შემომაშველა!

ფიქრის ვაგონო

ერთგულებისთვის რა დავიფიცო,
მთელი სიცოცხლე ვკაფავ ლელიანს,
წლები ეკლებში დაფაციფუცობს,
არადა შვებას ჩემგან ელიან.
გზად ავედევნე ფიქრის ვაგონებს,
დარდის კოცონებს არვინ მიქრობდა,
სხვისი ტკივილი, ისევ მაღონებს,
გული სიკეთეს მაინც ფიქრობდა.
დარდით ნაყინ მთებს ჩემით ადნობენ
სხვასთან ფრინავენ ჩემი მერცხლები,
ძლიერიაო არა მდარდობენ,
ასე რად ხდება მართლაც ვერ ვხვდები.
საქმით და სიტყვით რამდენს ვარჩენდი,
კვლავ სიძულვილი რატომ ბატონობს...
ფიქრის ვაგონო უკვე გაჩერდი,
კეთილ ხალხს უნდა მივეპატრონო!

აუგი არ დაგცდეთ

თუ გინდა მიყვარდეთ
არ დაგცდეთ აუგი,
მე მხოლოდ მტერზეც კი...
სიკეთე მითხარით,
სტუმარი რომ მოვა
სკამი წინ დაუდგით,
შვილები რად მინდა
სხვის მოუკითხავი.
მე თუნდაც დამჯიჯგნონ,
ბალღამი სიტყვებით,
არასდროს არ აყვეთ
ბოროტს და ავყიას,
მტერზეც კი ყოველთვის
ტკბილ ზღაპრებს გიყვებით
თუმცა კი ცხელ ნაცარს
 თვალებში მაყრიან.
არასდროს არ მინდა
ვინმე რომ გავწირო,
თუ გინდა რომც იყვნონ
ამისი ღირსები...
სიკეთის გულსთვის,
რომც გამინაპირონ,
სანაცვლოდ მადლით და
ღვთის რწმენით ვივსები!

მიძღვნები

უნეტარესო

მუხლმოდრეკილი შეგვავედრე უფალს წმინდანო,
თორემ წარმართნი ჩვენს მიწაზე ისევ ივლიან,
შენით მთაველობს საქართველოს მთა და მიდამო,
ომით წმინდანო, საქართველო გადაღლილია.
აკვნესებულა მგელ-ტურებით კავკასიონი,
ჭოტის კივილმა სამშობლოში ძილი დაგვიფრთხო,
აისი დარდობს, იცრემლება ტირის სიონი,
ლომი ღრიალობს ჩვენი მიწა აღარ დაგვითმო.
გვიმტკიცე რწმენა ერის მამავ, გიხმობთ იმედად,
იარები გვკლავს სიყვარულით აგვაგალობე,
ტოტს ჭრიან მუხას მაპატიე სიტყვას გიბედავ,
არ დაუძლურდე შენი მადლით დაგვაწყალობე.
მტრის ხელშია არის აფხაზეთი მიტომ ბორგავს და...
ნატყვიარია სამაჩაბლო ტკივა ძალიან,
შტორმები არის ზღვის პირებში სევდით ოხრავს და...
ცრემლში ნალესი აფხაზეთი ჩვენთვის მკვდარია.
გააცისკროვნებს შენი მადლი დარდიან გულებს,
ანგელოზებიც იცეკვებენ დილის მირაჟზე,
ლოცვა და რწმენა დაამარცხებს ავის მოსურნეს,
ო, უწმინდესო, იმედები შემოგვირაზმე.
ბუმი აქვს ქარბუქს, აიხანჯლა გული თორელის,
ომმა-ღალატმა კოლხთა მოდგმა ააწრიალა
და ერის მამავ, მზეთა სხივებს მაინც მოველით,
რწმენით და ლოცვით მოვიშუშებთ დაჭრილ იარას.
ერს აწყალობებს შენი სიტყვა დიდო იმედო,
ტოტს ჩამოხლეჩილს შეახორცებს,
ღვთით რწმენის ძალა,
ამიტომაა საქართველო შენ რომ მოგენდო,
იქნებ მამულში შემოგროვდეს დაშლილი ფარა.
ერთად -ერთი ხარ, მხოლოდ შენი სიტყვა ვიწამეთ,
სასწაულს ახდენ...შენ ხარ ჩვენი სულის სალბუნი,
დღეს გვიჭირს მამამ, მადლიანო, ისევ გვიწამლე,
ხალხის იმედო, შენი სიტყვა არის ,,ფსალმუნი"

ორი მამაო

(მამა ამირან ამირანაშვილს და მამა დავით ადამაშვილს)

ტკბილად გვლოცავენ მამაოები,
მამა დავით და მამა ამირან,
გაგვილამაზეს საღამოები,
შევსვით ზედაშე სულის მარნიდან.
მამა ამირან, მამა დავითი,
ერთად დადიან გოლგოთის გზაზე,
დავწერე ლექსი დიდი კრძალვით და...
ლოცვებს ვჩურჩულობ სულ დაბალ ხმაზე.
ერის მლოცველნო, ასე დაგლოცავთ,
მრევლი გიცოცხლოთრწმენით ძლიერნი,
თქვენ ჩააბარეთ უფლის გამოცდა,
შვილთაშვილებით გაბედნიერდით!

გავიმარჯვებ

ხომ არ მენდურები მოგზაურო,
ვცდილობ სიკეთისკენ გზები გავჭრა,
ბედი უკუღმართად საზღაურობს,
სახელს რადენჯერმე შემევაჭრა.
მაინც შევძელი და გავიმარჯვე,
სული ვაზეიმე ცისკრის ახლოს,
ჯერ არ გავაჩერებ ამ ჩემს მარჯვენს,
დარდი სადღაც უნდა გავასახლო.
გმადლობ ... სიცოცხლეში რომ მომანდე,
შენი სახელი და უკვდავება,
აღმართს ჩემი წლები შემოვადნე,
მაინც ბევრი რამე მედარდება.
რწმენით ავაშენებ პირამიდებს,
ძალას თვით უფალი ჩემთან დატოვს,
იქნებ ყინვები გულს გამომიდნეს,
ციდან სხივები რომ გადმოვხატო!

გენაცვალეთ

იოანე, ნენე, დანიელ,
თქვენა ხართ შვილის ფესვები,
დღეს სადღიგრძელო დავლიე
და მოგიძღვენით ლექსები.
ლამაზი რაჭის მთის ძირში,
იმედი აბიბინდება,
მდუმარე სახლის ქვიტკირში,
წარსული თქვენით ბრუნდება.
ციმციმი ვარსკვლავ თვალების,
ყურება არ მომწყინდება,
მიმრავლოს თქვენისთანები,
თვალები მზედ რომ ბრწყინდება!

ცელქი ბექა

ცელქზე -ცელქი არის ბიჭი
თვალებრდღვიალა და მარდი,
ხელში დაჭერაც კი მიჭირს,
როგორც ციყვი ისე დარბის.
მამის ასლი არის თუმცა,
მოგავს რაღაცათი დედას,
ბექას მზერა არის სუფთა,
უკვე სიარულსაც ბედავს!

პაპა შვილიშვილი

სოსო და ბექა მექვაბიშვილები,

სახლში მოსულს რა ჯობია სიცოცხლის კვირტს...
გვარს და ფუძეს ასმაგად რომ გაგიმრავლებს,
სულ შენა ggავს პაპა აბა დააკვირდი,
შეასრულებს უფროსების დაავალებებს.
უფლით გაჩნდა გააგრძელებს მჯერა ღვთის გზას,
რამდენ გოგოს მიანათებს ლამაზ თვალებს,
ვეფერები ჩემი თაკოს ჭკვიან ბექას,
სიცელქით რომ აღმა – დაღმა დაფარცქალებს!

მზე გამოჩნდა

მიდის ძირულა გაყინულა
ფიქრი წარსულის,
ამ ნაპირებთან
გულმა ბევრჯერ დაიღრიალა,
მე რომ მეგონე
სიცოცხლევო, უკვე დასრულდი,
მზის სხივებივით გვანცა
გულში ამობრდღვიალდა.
იჭიკჭიკებენ გაზაფხულზე
ჩემი მერცხლები.
პაპის ღვთის ნიჭი
შვილიშვილში გადმოზიარდა...
იშრიალებენ წიფლები
და სულის ვერხვები,
გვანცა მზესავით
გამოჩნდა და ამომზიანდა.

იწვის სანთლები

ეს გარეჯია, იწვის სანთლები,
ვლოცულობ კრძალვით
და ვეფერები, ამ სიწმინდეში
ვიფერფლები და...
ილანდებიან უცხო ფერები.
შორსა ხარ შვილო,
გულით დაგლოცე,
ხელოვანო და ლამაზო მზია,
შენი სიკეთე მართლაც მაოცებს
და გეფერები ჩემ სულის ზიარს.
გაგიზაფხულდეთ ფიქრის კვირტები,
შენც და მად მცხოვრებ
ყველა ჩემ ქართველს,
აგიყვავილდეთ სულის ტიტები,
ვეჩურჩულები გარეჯში სანთელს.
ვეძებ მე მოყვრებს ,,შოთას" დევიზით,
მინდა გწამდეს და გულით გჯეროდეს,
აქ გელოდება შენი ეგრისი...
ყველანი ერთად მინდა მღეროდეთ!

რუსთველის ქვეყნიდან

ავანსად მოგცემ იმ სითბოს,
ვინც რეალურად ნატრულობს,
თუ გათოვს ყინვას გაგილღობ,
ინებ ცოტახნით მესტუმრო.
მოდი და გულით მოგხედავ,
ია ექიმო შვილივით,
სიტყვებს ლექსად თუ გაბედავ,
მოგისმენ მშვიდი ღიმილით.

შენი კოლეგა მეცა ვარ,
მკურნალობ გულით დაჭრილებს,
კვლავაც მოვარჩენ ვფიცავარ,
ყინვაში გავუაპრილებ.
მაგ თვალთა ისრებს მზის სხივი,
გამოყოლია ზეციდან,
ლექსი კი გონის არქივი,
არის რუსთველის ქვეყნიდან!

გულს მითბობ

შენ ლამაზი ხარ გაზაფხულივით,
გაქვს ზაფხულივით თბილი სამყარო,
გული კეთილი ჩემი გულივით,
სვამ უკვდავების მთების ცხრა წყაროს.
სულ სხვაა შენი ფიქრის გონება,
მიუწვდომელი რაღაცა უცხო,
არანაირად არ იწონება,
სიყვარულს ეტრფი ჩუმად და უხმოდ.
გულს მითბობ შვილო, თოვლისგან ნათოვს,
ხშირად მნათობებს ადევნებულხარ,
შენში სითბოა, საერთოდ არ თოვს,
პოეზიითაც უცხო მგონიხარ.
ჩემს გზას ცრემლების ქვია სახელი,
გემით მივცურავ და არ ვხმიანობ,
ბედმა მაჭამა მჟავე ძახველი,
იქნებ ხანდახან შემეხმიანო!

გილოცავ

დედაშვილობა არის სხვა სუნთქვა,
ზღვასავით დიდი ფიფქივით სუფთა,
ამ დიდ გრძნობაზე ჯერ ცოტა უთქვამთ,
დედაშვილობა სხვა გრძნობით გსუსხავს.
შვილი- ეს დედის ხორცის ნაწილი,
დედის ძარღვები, ჰაერი- დედის,
გაჩნდი და გულში გადანაწილდი,
კაიკაცობას რომ შეაბერდი.
ასოცი წელი სწიეთ უღელი,
ერთად შვილებო, დათო და ცირა,
სიკეთის თესვით ხართ მოუღლელი,
თქვენ ბედისწერამ მოგნათლათ გმირად.
გამრავლდით შვილო შვილიშვილებით,
მზედ იბრწყინეთ და მზედ იდიადეთ,
გადაფუფუნდით შვილთაშვილებით,
გყავდეთ შოთა და გყავდეთ ზვიადი!

იკაიკაცეთ... იბედნიერეთ

შვილთაშვილია გაზაფხულები,
მერცხლები ხვალის სქართველოსი,
ჩემი მამულის ხოდაბუნები,
ასეთ ვაჟკაცსა და ლამაზს გელოდით.
ათიათასად გამრავლდით ბებო,
სახლი და ფუძე მოაძრიელეთ,
აბა, თქვენ იცით რაჭველო ძმებო,
იკაიკაცეთ... იბედნიერეთ.
ბექა ქართლის ბაღს შემოუბარავს,
ნენე დააცხობს რაჭულ ლობიანს,
სხვისას არაფერს არ მოიპარავთ,
დედა გასწავლით სად რა ჯობია.

დამილოცნიხართ

დიდო ერეკლე და თბილო მზია,
შობა ახალ წელს დამილოცნიხართ,
მოგეფერებით ჩემს სულის ზიარს,
სიხარულით რომ ჩემთან მოდიხართ.
შენ ვინმეს სძულდე არ მეგულება,
ძმაო ერეკლე ჭირთა ამტანო,
შენ იცი ძმობა და ერთგულება,
საქართველსთვის ტაო-ტატანო.
ერეკლე, მზია, მეიმედებით,
სვანებს ღალატი არა ჩვევია,
თუ ეკლებს სადმე გამოვედები,
მომეშველებით როგორ თქვენიანს!

შენი ღიმილი

(ნანა გაჩეჩილაძეს)

ვდუმ და რა მეთქვა ვიფიქრე,
ქუთაისელო ქალღმერთო,
შენ სიყვარული შემომფიცე და...
გულში მსურს შემოგაღმერთო.
ისე წრფელია ღიმილი,
ვით ანთებული სანთლები,
ერთხელ თუ შემომივლიდი,
ჩემი სითბოთი დათბები.
გავშლიდი გულის კარავს და...
ხალიჩად ძირს დავაფენდი,
ფრთებს შენთვის მოვიპარავ და...
მთებს იქით გადაგაფრენდი.
მთას შვილო ერთი ვარდია,
ორქიდეას რომ ვეძახით,
ვინ იცის მას რა დარდი აქვს,
ყინვას დედას რომ ეძახის.
თოვლი დაიწყებს დალღობას,
ორქიდეას და ნინასი,
მე მოგაშორებთ ობლობას,
დაგტოვდით ჩემთან ბინაში!

სიწესიერის საზღვრის სამანთან

(დავით ახლოურს)

ხან დრო მაშინებს, ხან ბედისწერა,
ხანაც სამანის მისწვ- მოსწევა,
დილით მე როცა პირჯვარს ვიწერავ,
 მზეს არ ჭირდება ციდან მოწვევა.

სიწესიერის საზღვრის სამანთან,
ზრდილი პოეტი შემომხვდი შვილო,
შენი ლექსების იასამანთან,
წიგნის მკითხველმა უნდა იფრთიხილოს.

შენი კალამი წყარო წარსულის,
პოეზიაც და თვით ისტორიაც...
უნდა ისწავლონ დრო ის გასული,
რომ ახალგორი შენთვის შორია.

ზრდი თაობებს და თან ჩააგონებ,
ძილშიც გაბოდებს ქსანის ხეობა,
ხან წიგნის შექმნას გამოიგონებ
და ელი ერის კეთილდღეობას!

ერის მწყემსი

იანვარში თოვლის საბანს წავიფარებ,
ფანტელები ცვივა წყნარად ციდან,
მტერს დაუთმობ, თუმც ვერასდროს შევიყვარებ,
ღმერთმოძულე აბა რაში მინდა.
ვინც ერის მწყემს ავი სიტყვით განიკითხავს,
ან მის ამაგს ფეხით გამითელავს,
არც ღმერთი წამს, ბიბლიას არ წაიკითხავს,
ან არ იშლის, დებოშსა და წყევლას....
ქრისტიანი სულ ლოცულობს როგორც წესი,
გარდაცვლისაც ჯვარით იღებს ზევსი,
უფალთან ვართ ჩვენ ხომ გვლოცს უწმინდესი,
უწმიდესი არის ერის მწყემსი!

იკაიკაცეთ... იბედნიერეთ

შვილთაშვილია გაზაფხულები,
მერცხლები ხვალის საქართველოსი,
ჩემი მამულის ხოდაბუნები,
ასეთ ვაჟკაცებს... ლამაზს გელოდით.
ათიათასად გამრავლდით ბებო,
სახლი და ფუძე მოაძრიელეთ,
აბა, თქვენ იცით რაჭველო ძმებო,
იკაიკაცეთ... იბედნიერეთ.
ბექა ქართლის ბაღს შემოუბარავს,
ნენე დააცხობს რაჭულ ლობიანს,
სხვისას არაფერს არ მოიპარავთ,
დედა გასწავლით სად რა ჯობია.

შენი ნაბიჯი

შენი ნაბიჯი ანგელოზის დიდ კვალს დატოვებს,
პაპის საფლავზე, დააგორებს კვერცხებს კაცურად
შემოვიშუშებ გულს ბედისწრის ბევრჯერ ნატორებს...
იმედის გემი სასიცოცხლო ჩესკენ მოცურდა.

გულის სუფრიდან

თვალის სხივის შუქს დავუჯერებ გულის სიწრფელეს,
მთვარის ნათებას შევადარებ ბაგის ღიმილებს,
ემიგრანტობის დარდის საბანს ვითომ იფერებ,
წამწამთ ჩეროში მონატრება ცრემლად ლივლივებს.
შენი სიმღერა- ემიგრანტის საგალობელი,
მერე ლექსებიც გზავნილები დიდი უფლისგან,
შემომიერთდა ... გახდა ჩემი ახლობელი და...
მიიღე ჩემგან სიყვარული გულის სუფრიდან!

თარგმანები

გულნაზ ხარაიშვილი
Gulnaz Kharaishvili

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი –
მთარგმნელი, ფილოლოგი, პოეტი.
Mzia Kvirikashvili Lawrence – Translator,
Philologist, poetess.

მე და სანთელი

*

ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, მე და სანთელი,
ერთად ვიღვიძებთ... ერთად ვიძინებთ,
მთელი ცხოვრება ჩვენ ვართ დათმენით,
ცუდად არავის გამოვიძიებთ.

წმინდაა ფიქრი და უბოროტო,
დაუბადებელ ბავშვივით სუფთა,
გული რად უნდა გავაბოროტო,
მე სანთლის ალის ჰაერით ვსუნთქავ.

გულის წამალი სიყვარულია,
დედაშვილური, ტკბილი - უბიწო,
თავზე ქარიშხალს გადაუვლია,
სულელურად და სულაც უმიზნოდ.

ნეტავ ცოტა ხანს მაცადონ ლოცვა,
მადლმა აჯობოს ბოროტთა ხროვას,
სულის სამრეკლო გადმოგილოცავთ,
და თუ წავედი ისევე მოვალ.

CANDLE AND I

*

We live together, me and a candle,
We sleep together and up together.
In our whole life, we are too patient,
We never hurt and blame anyone.

Our thoughts are holy and innocent,
Pure and sincere as an unborn child,
Why should I turn my heart embittered?
I breathe the air of the flame of a candle.

Love is the medicine of the painful heart,
Chaste and sweet like a motherly hug,
A storm passed many times over us,
In a fullish way, without reason.

May I be given some time to pray,
May grace prevail over the wicked pack,
I leave to you my soul tower...
And if I go, I'll soon come back.

ფიქრის ვაგონო

ერთგულებისთვის რა დავიფიცო,
მთელი სიცოცხლე ვკაფავ ლელიანს,
წლები ეკლებში დაფაციფუცობს,
არადა შვებას ჩემგან ელიან.

გზად ავედევნე ფიქრის ვაგონებს,
დარდის კოცონებს არვინ მიქრობდა,
სხვისი ტკივილი, ისევ მაღონებს,
გული სიკეთეს მაინც ფიქრობდა.

დარდით ნაყინ მთებს ჩემით ადნობენ
სხვასთან ფრინავენ ჩემი მერცხლები,
ძლიერიაო არა მდარდობენ,
ასე რად ხდება მართლაც ვერ ვხვდები.

საქმით და სიტყვით რამდენს ვარჩენდი,
კვლავ სიძულვილი რატომ ბატონობს...
ფიქრის ვაგონო უკვე გაჩერდი,
კეთილ ხალხს უნდა მივეპატრონო!

CARRIAGE OF THOUGHT

How can I prove my loyalty to my Lord?
All my life, I've been clearing dense reeds,
Years bustle about into pricking thorns,
But people still expect relief from me.

I chased the train of thought on my way,
No one extinguished bonfires of pain.
It makes me sick of someone else's pain,
And the heart thinks of kindness again.

They relax with me first, sharing heart thoughts,
But then my swallows move under other roofs,
No one cares about me, thinking I am strong,
Why does it happen so? I wish I would know.

I've been curing them by my kind deeds,
But somehow, some evil hatred still reigns.
The carriage of thought, it's time to stop,
I have to look after magnanimous people.

გავიმარჯვებ!

ხომ არ მენდურები მოგზაურო,
ვცდილობ სიკეთისკენ გზები გავჭრა,
ბედი უკუღმართად საზღაურობს,
სახელს რადენჯერმე შემევაჭრა.

მაინც შევძელი და გავიმარჯვე,
სული ვაზეიმე ცისკრის ახლოს,
ჯერ არ გავაჩერებ ამ ჩემს მარჯვენს,
დარდი სადღაც უნდა გავასახლო.

გმადლობ ... სიცოცხლეში რომ მომანდე,
შენი სახელი და უკვდავება,
აღმართს ჩემი წლები შემოვადნე,
მაინც ბევრი რამე მედარდება.

რწმენით ავაშენებ პირამიდებს,
ძალას თვით უფალი ჩემთან დატოვს,
იქნებ ყინვები გულს გამომიდნეს,
ციდან სხივები რომ გადმოვხატო!

I WILL WIN

I hope, traveller, you aren't upset with me.
I've tried to cut paths to the virtue benefit,
Fate pays for toiling perversely,
So many times, I've stumbled upon the name.

I've still managed and got to the end,
I celebrated the soul near the dawn,
I won't stop this right of mine yet
I have to farce my pain to go.

Thank you for trusting me with your life,
Your immortality and your clear name,
I have spent my years in the uphills,
And I still worry about a lot of things.

I'll build pyramids with faith,
The Lord will strengthen me, I believe,
Maybe my heart will clear off this ice,
To draw rays from the azure sky!



ბეჟანი ხარაიშვილი
Bezhan Kharaishvili.

მდინარეზე

შენ ისევ გაღმა ფიქრებში გძინავს,
მოვალ შენს გემთან მივაბავ ბორანს,
მზერას ბადისებრ გტყორცნი და მძირავ...
დარდი თავისით ტალღებზე გორავს.

ხან ჩავფიქრდები მოვშორდე ამ წყალს,
რაღაც ფეხის ხმა სხვაგანაც ისმის,
ვერ ვეგუები უსამართლო ბრალს,
ჩემგან მოკითხვის არ ხარ შენ ღირსი.

მაგრამ არავის არ მინდა მოსვლა,
შენს გარდა... შენ ხარ ის ერთი ქალი,
ეს სიყვარული თუ ისევ მომკლავს,
შენი გულისთვის თუ მომჭრეს თავი ...

დაგედევნება სული ეული,
გზას გადაგიჭრით როგორც თოლია,
ვინ არის? გკითხავს შენი რჩეული,
შენ უპასუხებ, ღრუბლის თქორია!

ON THE RIVER

You are still sleeping beyond in deep thoughts,
I'll come and tie the ferry to your yacht,
I glanced at you: you drowned me in your net,
Grief rolls its own over the sea waves.

Sometimes, I think of getting away.
Somewhere nearby, I hear footsteps,
I wouldn't say I like the unfair blame,
You are not worthy of my caring.

But I don't want anyone to come,
Except you, as you're my only woman.
I think this love will kill me anyway,
If they cut my head off, you'll be a reason.

The orphan spirit will chase you,
It will cross your path like a seagull does,
"Who is he"? - Your loved one will ask you,
"It is a cloud drizzle", - will be your answer.

გაცრეცილი ჩანთა

გაცრეცილი სკოლის ჩანთით,
სხვა გოგოც რომ შემეყაროს,
მახსენდება დრო რომ დავთქვით,
ცაცხვის ხე და სოფლის წყარო.

დაკეცილი თეთრი ბაბთით,
სხვა გოგოც რომ ჩაივლიდა,
ხელს მართმევდი თითქოს ხათრით
და ცახცახიც გაგივლიდა.

კვლავ ვიხსენებ წყაროს ჩუხჩუხს,
შენგან ნათქვამ ყოველ სიტყვას,
გახსოვს?- ტყემ რომ დაიხუჭა...
ის დღე ისევ ძალიერ მიყვარს.

OLD BAG

And, what if another girl meets me,
With a threadbare, warn out school bag,
I remember we arranged the time
At the village spring, under a lime tree.

With her whitely ribboned hair,
If another girl was passing by us,
You were taking your hand off me,
And you calmed your trembling heart.

I still remember the gurgle of the spring,
And every word from your pinky lips.
But the most of all, I remember
Eye shut forest when we kissed each other.

1970.

წინათგრძნობა

ვიცი ჩაივლის შენს სახლთან ღელვით,
მღრიე ღელე და ჩემს კვალს წაგიშლის,
ცის ხმები მესმის შორიდან ელვის,
ჩემს ნახვას ვიღაც ისევ დაგიშლის.

დამარტოვებულს თან მოგიყვება,
აუგს ჩემსას და შენც დაიჯერებ,
მაშინვე გზები გაიყრება და . ..
ნაგლოვარ დღეებს თითქოს იფერებ.

უშენო ღამეს შევექვიტკირე ,
ზეცას გამოჩნდა სხივი უჩინო,
უჩემოდ ვიცი შენც რომ ქვითინებ,
ვფიქრდები … ჩემს ბედს როგორ ვუჩივლო?

1971

PREMONITION

I know it will pass by your house, and
Indignant, turbid stream will erase my tracks,
I hear the sounds of the sky, distant lightning:
Someone will stop you again from seeing me.

To the appropriated, it will utter you
my reproaching, and you'll believe it.
Immediately, the roads will diverge
And you seem free from your gloomy days.

Without you, I fell in love with the night,
An invisible ray appeared in the sky,
Without me, I know you also wail,
Oh, how can I appeal to my fate?

1971

***

უფალო ! შეგთხოვ, ვამხილო ისე,
მოყვასი მტრად არ გადავაქციო,
ნება-უნებურ ნაბიჯებიდან
ხვალინდელი დღით ვიყოთ აქსიოს!

***

Lord! I ask you to let me expose it so,
Not to turn my friend into my oppose,
With willy-nilly behaviour and words,
Let's be in Axios tomorrow in rapport!

მაგული კორძაია
Maguli Kordzaia

ᲞᲠᲝᲛᲗᲠᲘᲐᲚᲘ

ვერ დაიტიე ადამიანო,
შენი სიმცირე დრო-ჟამს მოჰყვება,
ცოდვებით იშვი ამ ქვეყანაზე,
დღემდე რომ გხიბლავს და გემოყვრება!
დრო რად არ გყოფნის სიხარულისთვის,
როცა შენს აკვანს უფალი არწევს,
ვწუხვარ, შეგვინდოს, თავს როგორ ავწევ,
ჩვენი სიმცირე კვლავ ლოდად აწევს.
არც საქილიკოდ, არცა ბოღმისთვის,
არც სამტროდ ვწერ რომ ახლოა ღამე...
საკუთარ სინდისს თუ არ ჩახედე,
თუ მის წინაშე არ დაივალე,
ვერ დაიჯერებ რისთვის მოგეცა,
გონი და აზრი ასე რომ "გტანჯავს"...
თუ სინდისის ხმა ჩაახშვე შენში,
დროს სულ ტყუილად სულ ფუჭად ხარჯავ.
თავზე თუ ხელი აიღე, რატომ ?!
-თქვი , ამით შენში სიკეთეს ხედავ?!
გთხოვ, ჩვენ კი არა, უფალს კი არა...
შენ თავს , ჰო, ამას ნუ გაუბედავ!

*

რომ რაც არ უნდა იყოს,
რომ ვინც არ უნდა იყოს,
შენი სამშობლო მუდამ
წმინდანთა უბე იყო!
ეს, არც გოდება არის,
არც გასაკიცხი სიტყვა,
მეჩვენება რომ გულზე
სიმართლე მჯიღებს ირტყამს!
და იმ ფიალას სავსეს,
მოთმინებას რომ ავსებს,,
სხვა რა პასუხი გავცე,
ძაღლს რატომ ვგავარ, ნაცემს...

PANDEMONIUM

You couldn't defeat your scarcity, human being,
That has been following from your arrival time,
You were born with pain and thin,
And it attracts you still and is fascinating!
Why don't you have enough time for joy,
When the Lord is rocking the cradle of yours.
I am sorry; forgive us, my Lord,
For drugging our paucity like a boulder.
Neither for mocking nor for maliciousness
I need to write how close the night is.
If you don't look into your conscience,
If you don't obey and respond to it,
You won't believe what you were given for
Your mind and thoughts suffer you so,
If you suppress the voice of conscience,
You are wasting your time, and all in vain.
If you keep giving up, rejecting yourself,
Will you see goodness in your behaviour?
Please note that it is not the Lord, not us,
But, yes, yourself... and don't you dare!

*

That no matter what,
and no matter who
your homeland has always
been the saints home!
This is neither a lament,
nor a word of reproach,
It seems to me that the truth
will crack my soul,
And to that cup full of patience,
ready to burst my heart,
What else could I answer:
Why I look like a beaten dog?

ნანა გიგუაშვილი
Nana Giguashvili

სიმართლის დრო

მე ვეღარ გავბედე, შენც არ თქვი,
სიმართლე სიბნელეს მიუჩნდა,
უსამართლობა არ გავთქვით,
მერე...სათქმელიც მიყუჩდა.

დამკვიდრდა, გამეფდა ტკივილი,
ვიღაცას უცდიან ფრთებიანს,
სიმართლის დრო დადგა კივილით,
სამშობლოს ფესვები ხმებიან.

სხეული იწყება თავიდან,
გონებას მოვთხოვოთ პასუხი,
ეს წლებიც წამივით გავიდა,
ხელთ შეგვრჩა სამშობლო ნაწუხი.

IT'S TIME FOR THE TRUTH!

I could not dare it, and you didn't say,
Truth befriended to the darkness,
We did not inform injustice in words,
Then... to be uttered, it lost its sense.

Pain established, and it started reigning,
Waiting for a leader, flying with wings,
The time of truth has come with a scream,
The roots of the motherland are ready to fade.

The body, as a rule, starts from over the head,
Therefore, we need the mind for an answer.
These years, for us, passed like a second,
Alas, we have the homeland bothered.

შთამომავალი

ჩემი სიცოცხლის გაგრძელება ხართ,
ჩემგან გასული ფესვის ნერგები,
უფალს მხურვალედ ვუხდი მადლობას,
კვლავ სიყვარულში დავინერგები.

რწმენის სისავსეს ვიღვრი ფესვებში
და მათ გულებში ქართველს ვაშენებ,
უფალს მოვუხდი ათას მადლობას,
მათით თუ ქვეყნის ბედს დავამშვენებ.

ამქვეყნად ჩემი ყოფნის მიზანი,
სავალდებულო არსის მისია,
ვიცი რომ არის ჩემი ხიზანი,
შემოქმედება თავად ღვთისია.

დამილოცე და მიხარე ღმერთო
მათი ცხოვრების გზები სავალი,
რომ ბედნიერად გამოგიზარდო
ჩემი ოჯახის შთამომავალი.

DESCENDANT

You're my descendant, my continual life,
The sprouts of root that spread out from me,
I fervently thank the Lord for my kin,
And I will spread out my roots again.

I pour the fullness of faith into
my roots,
And I build a Georgian in their hearts,
I will thank my Lord myriad times
If I can beautify my country's life.

The purpose of my being in this world
The mission of mandatory essence,
I know it is a migrant of mine,
And all my creation is only God's wish.

God, bless my children and make them happy,
The paths of their lives, and their aims,
To give them courage, raise them happily,
Every descendant of my family.

ია მოსულიშვილი (ექიმი და პოეტი)
Ia Mosulishvili

***

დაუღალავად მივსდევ ბილიკებს,
ამინდმა ბევრჯერ იცვალა ფერი,
ვზრდი ახლა ჩემში სევდის ტირიფებს
და გულს მედება ფიქრები მწველი.

იყო, არის და კვლავაც იქნება,
სიცოცხლისადმი ჩემი ტრფიალი,
ამ სამყაროში იმიტომ მოველ,
ლექსებად აღვწერო გულის ფრიალი.

მე მახსოვს პაპა, სევდის თვალებით,
თავს ევლებოდნენ მუხის ჩრდილები,
და მხოლოდ ერთი მზერით მაუწყა,
განვლილ წლებზე რომ სწვავდა ფიქრები.

ალბად, ცხოვრებაც ეს არის სწორედ,
გრძნობებით ხატო ემოციები,
როგორც სამყაროს ყოველი ნება,
მეც კალამს მსგავსად ვემორჩილები.

დაუღალავად მივსდევ ბილიკებს...
ამინდმა ბევრჯერ იცვალა ფერი,
ვზრდი ახლა ჩემში სევდის ტირიფებს
და გულს მედება ფიქრები მწველი.

***

I tirelessly follow my tortuous paths,
The weather keeps changing its mood and colours,
I grow now the willows of sadness inside me,
Thoughts trouble my heart and disturb my mind.

It was, it lasts now, and it will always be,
My endless adornment and passion for life,
I come to this world only because
My heart flutters to describe with poetic words.

I remember my grandfather with his sad eyes
Oak trees' shadow's caring over him,
He gave me his glance and left me an effort
To fulfil his dreams, aims, and thoughts.

Maybe that's what life is all about.
With great feelings, your emotions to drow,
as everything obeys something in the world,
I obey my pen to draw my heart's thoughts.

I tirelessly follow my tortuous paths.
The weather keeps changing its mood and colours,
I grow now the willows of sadness, in me,
Thoughts trouble my heart and disturb my mind.

იზა ჭიკაიძე
Iza Chikaidze

* * *

ურომლისოდაც ვერ ივარგებ ვერასდროს, ვერსად,
ეს არის რწმენა, ღირსეული სიტყვისკაცობა,
თავმდაბლობის და ძლიერების შეხმატკბილება,
სულის მხნეობა, სიმშვიდე და კაცთმოყვარება.

ალალი შრომა და სიკეთით ლელოს გატანა,
დუმილისა და სიყვარულის დასაძირკვლება,
შვილის და ძირის მადლის ცხებით დაგვირისტება,
მტრისტვის შენდობა და სამოყვროდ ხელის
გაწვდენა.

ურომლისოდაც ვერ იქნები ვერასდროს ვერვინ,
გულის თვალით და ღვთის გზით თუ არ შეიმოსები,
გამარჯვებას და დამარცხებას გულდინჯი მზერით,
და გონივრული თვალთახედვით თუ არ შეხვდები.

უიღბლო დღეთა დანგრეული ცხოვრების კედლებს
ბედნიერება და იმედი წამოაშველე,
დაბნეულობა არ შეგნიშნოს არასდროს არვინ,
გაიღიმე და გულისგულიც გამოაბრწყინე!

ურომლისოდაც ვერ ივარგებ ეს არის გული,
მამულისა და ხალხისათვის შემოწირული!
ოქროსფერ ვარდებს მოაშორე მზაკვრობა, შური,
და არასოდეს დაივიწყო შენი წარსული!..

ურომლისოდაც ვერ ივარგებ ვერასდროს ვერსად,
ეს არის შენი ტრადიციის ტოტი და ფესვი,
ქვეყანა შენი, ოჯახი და თავისუფლება,
ერთგულება და დღეგრძელობა ერის და ბერის!

ურომლისოდაც ვერ ივარგებ ეს არის შენი,
მოყვარეების სავსე მუჭით მოწვდილი წყალი,
დაგლოცავ შენი მადლისფერა სიყვარულისთვის,
ღირსი ყოფილხარ უკვდავყოფისდ! ამინ და ამინ!

*

What you can't live without never, anywhere
It is faith and honour, as a man of his word,
A combination of Humility and Power,
The courage of spirit, composure and love.

To get your goal with hard and honest work
Build and create based on love and silence,
To be blessed with myrrh, anointing of grace,
New friends making and enemy-forgiveness.

You can't be completed, whole and perfect,
If you don't cover your heart and God's way,
If you don't meet with victory and defeat-loss,
With a reasonable point of view and benevolence.

The walls of life ruined by unlucky times,
Let support and present hope and happiness,
Don't let anyone notice your confusion,
Smile and let your heart shine with goodness!

It is the heart you can't survive without,
That's been donated to the estate and people!
Remove cunning and envy from golden roses,
And remember the roots you come from.

The main thing is that without you will never fit in,
It is the branch and root of your genes and traditions,
Your country, family and freedom, your estate,
Loyalty and longevity of the layman and clerics!

The one, whatever you can't fit in, it's the water,
A handful of water from your loved ones,
I congratulate you for your virtue-coloured love,
You are worthy of immortality! Amen and Amen!

მეუფეო

მეუფეო, ხე ნაყოფით მაცნობინე,
მოწყალება დაფარული მიმჯობინე,
პურის ნაცვლად ქვა არ მიმაცემინო და
მტერ-მოყვარე მუდამ დამამშვიდებინე.

სახლი ჩემი კლდეზე ამაშენებინე,
სიტყვა შენი საქმით დამამშვენებინე,
ხვალინდელზე ხვალეს აფიქრებინე და
გული შენი ტრფობით გამახელებინე.

ვიწრო ჭიშკრის შესასვლელი შემირჩიე,
შენი სანდლის თასმას მომაფერებინე,
სული თავმდაბლობით დამამშვენებინე,
გული ერთგულებით ამამღერებინე.

ყველა ცოდვა ცრემლით განმაბანინე და
ლაზარეზე უფრო მდაბლად აღმადგინე,
განკითხვისგან თავი შემაკავებინე,
მაწყევარი შვილის ნაცვლად მალოცვინე.

მალოცვინე ზღვა ზურმუხტა აფხაზეთი,
კახეთი და მთიულეთი მალოცვინე,
ხეზე განასკვული ბაფთით გელოდები, -
დაკარგული ნატვრისთვალიც მაპოვნინე!

REVEREND

Let me recognise a tree with its fruit,
And let me spread mercy with humility,
Don't let me give out a stone instead of bread
Let me calm down, and an enemy and a friend.

Help me to build my house on the rock,
Let me beautify your deeds with my words,
Make tomorrow think about tomorrow,
Open my heart with your love and warmth.

Choose for me the narrow gate entrance,
Let me caress your sandal strap,
Help my soul embroider with diffidence,
And make loyal the songs of my heart.

Let me wash away all my sins with tears
And raise me as you did with Lazarus.
Instead of coursing, let me pray for my son,
And don't let me judge anyone else.

Let me pray for my Abkhazian sea
And for my gold-amber Kakhetian vine,
I am waiting for you at a bow-tied tree,
To help me find an almighty pearl!

ბედნიერება შენშია

კეთილ წიაღსა და ტკბილ სიზმრებში
დაბადებულო ადამიანო,
სადაც იყავი და სადაც იქნები…
რა გზაც არ უნდა გამოიარო,
ცხოვრების წესი ყველგან ერთია!
ბედნიერება მუდამ ჩვენშია!
ცდა – განცდაშია, ხსნა ახსნაში დევს,
ბრძოლა – მებრძოლში, შველა – მშველელში,
რთული – მარტივად წარმოდგენაში…
ლურჯი – ცასავით ლამაზ ფერია,
დარდი – იმედით დასამღერია…
ცხოვრების წესი ყველგან ერთია:
ბედნიერება მხოლოდ შენშია!

HAPPINESS IS IN YOU

Oh, human being, born in sweet dreams,
Coming with good heart and kind will,
Where you were and where you will be...
Whatever path you take in this earth,
The way of life is everywhere the same!
Happiness is always in us, under our rule,
The effort is in the ordeal, the salvation in release,
Fight - in the fighter, help - in the ordeal.
Hard – in a simple imagination...
Blue is a beautiful like sky colour,
Sorrow – it's a base of singing with hope,
The way of life is the same everywhere:
But your happiness is only in you!

თამარ ფიცხელაური
Tamar Pitskhelauri

თოვს უცნაურად

თოვს უცნაურად, ისე მოწყენით,
მინდა ავასხა სევდის აკიდო...
და თოვლიანი ეს სიმარტოვე,
თოვლის ფიფქებზე ჩუმად გავკიდო!..
თოვს, ისე ჩუმად და უნუგეშოდ,
გაიამინდოს, არა მგონია!...
ჩემ სიჩუმესთან თოვლის სიჩუმე,
იცოდე, მართლა, მონაგონია!...
თოვს და მგონია, არ გადაიღებს...
ავუტანივარ თოვას ჟინიანს...
გამოგიტყდები, უკვე ამ თოვის,
არც ამ ფიფქების არ მეშინია!..
ისე აღარ თოვს, ვით თოვდა უწინ...
არც ის ფიფქები მატყვია დარდად!..
ირგვლივ თოვლია... არ ჩანს არავინ...
უშენობის და ... სითეთრის გარდა!..

IT SNOWS STRANGELY

It snows strangely, and I feel bored,
I want to bind a sadness bead,
And this snowy loneliness of mine
Among snowflakes to hang in peace.
It is snowing, I have no solace,
I wonder if there is good weather.
Snow's silence with my silence,
Know that it is hard to compare.
It's snowing, and I don't think it stops.
The notion of snow invades me...
I'll confess to you: I'm not afraid
Not of this snow, and nor flakes of it.
It's not snowing like it recently did...
And snowflakes don't cause more sadness,
There is snow all around... nothing can be seen...
Except for your absence and this whiteness!..

ვეღარ დავითვლი შემოდგომის დღეებს ნაკლულებს

ვეღარ დავითვლი შემოდგომის დღეებს
ნაკლულებს,
ვეღარც - ღამეებს... თვლა არ უყვარს ამინდს
ავდრიანს,
თვალს გადავავლებ, ხელს შევავლებ ხეებს
მოწყენილს,
ცვარ-ნამს მოვწმენდავ, ჭორფლივით რომ ტანზე
აყრია...
ის მართლა ვიცი, ხელს არ ვახლებ დასევდილ
ფოთლებს,
არავის ესმის ჩემნაირად ფოთლის გოდება...
სულს შევუბერავ, ქარვის ცეცხლი რომ მივანავლო
და რომ არ ვნახო იმ სიყვითლის გაგოლგოთება...
ჩამოჰკრავს სადღაც დედო ზარი, შეკრთება
ფიქრი...
და ისე მძაფრად მომინდება ჩემი კერია,
რომ გარდასული შემოდგომის რაღაც ნაწილი,
ჭაღარასავით უკვე სულშიც გამომერია...
სასაცილოა, იქნებ უფრო სატირალია,
შენი რომ იყო, ახლა უკვე აღარც შენია...
და მენატრება ჩემი სახლი, ხმაურით სავსე,
ხსოვნას რომ ყვითელ ფოთლებივით შემორჩენია!..

I CAN NO LONGER COUNT IT

I can no longer count my so missed autumn days,
Nor nights... as no sense to count your older pains,
I take a look; I touch the sad trees, try to caress them,
I wipe off the rain dew drops that look like freckles.
I know that I won't touch the sorrowful leaves,
No one understands a leaf lamentation like do I.
I will blow my soul it to reduce its amber fire,
Not to witness the misfortune of its jaundice.
It rings, the homeland belfry and shudders my heart,
Home desire suffers me; I want to visit my hearth,
That some part of overgone autumn, despite my wish,
Already settled in my soul, somehow, like grey hair.
It is too funny, or maybe it is more satirical,
All that was once yours, you have lost already,
And I miss my house full of noise, with joy and laugh,
That has remained in my memory like yellow leaves!

ხაბავშვო განყოფილება

მარინა დიერაშვილი

ლოგიკურები რითმებით

ერთნაირი სიტყვებით
გამოითქმის, მიხვდებით...

1. იმ ადგილას პატარები დაიარებიან...
და
ფერადი ყვავილები, მუდამ იზრდებიან. ბ - - ი

2. სულ პაწაწინები მიუბარებიათ
და
სადაც შობილა იესო, რომ გახარებიათ. ბ- - ა

3. სასიმღერო სათქმელია
და
ძველ სახლებს თავს ახურიათ. ბ- - ი

4. მას თავზე დაატარებენ
და
სიუჟეტსაც აფარებენ. ქ - - ი

5. თუთის მეორე სახელი,
და
რვეულებს ამოახევდი. ფურ - - - ი

6. შენს რიგს როცა მოელი...
და
მინდორში ჭამს მშრომელი. ჯე- ი

7. სწორი ხაზის სახელია...
და
მზეს გარშემო ახვევია. ს - - - ი

დედა ენა

გულის გულში ჩაბნეული მარცვლებად,
ქართველობის ნიშია და გენია,
ჩაკირულა, გონებაში ჩართულა,
დედა ენა სიბრძნედ შემოგვრჩენია.

სიყმაწვილის ის უკვდავი ნუგეში,
სიცოცხლეში მეგზურად რომ გაგვყვება,
ის ისე ღრმად ჩარჩენილა სულებში,
არასოდეს არ დაგვტოვებს, არც ქრება.

დედა ენა - ანბანთქება რჩეული,
დედა ენა - ფრთებშესხმული ხატება,
დედა ენა - ერის გადარჩენა და
დედა ენა - საფიცარი ქართველთა.

დედა ენა - ხელთუქმნელი განძია,
დედა ენა - ცაში აღმაფრენაა,
დედა ენა - ჩვენი იდენტობა და
ჩვენი ენა - ეს ღმერთების ენაა!

ლალი კახიძე

ვარსკვლავ ბიჭუნა

საქართველო მდიდარია ბუნებრივი და ნატურალური რესურსებით.



ბახმარო, ბორჯომი და ვინ ჩამოთვლის... თითქმის ყველა რაონს აქვს თავისი განსაკუთრებული ხიბლი.



თბილისს ამშვენებს უამრავი პარკი. ზამთარში თოვლით დაფარულ მინდვრებს თითქოს მწვანე თვალებით ანათებენ ნაძვნარები.

ეს, რამხელა ბედნიერებაა დიდება უფალს! საქართველო ხალხიც გამოირჩევა გამოირჩევა ნიჭითა და ჭირთა თმენით.

ამ ლამაზი სანახაობის ფონზე დადის მეზღაპრე და წერს რეალური სანახაობიდან გამომდინარე ზღაპრებს. სიმშვიდით უსმენს ტყეში ფრინველთა გალობას.

ერთ დღეს სეირნობისას შენიშნა რომ, ვიღაცას შუაგულ ტყეში სტადიონი აუშენებია. გაუკვირდა მეზღაპრეს. – ეს რა კარგი ჩანაფიქრიაო! – თქვა და გზა განაგრძო. გზიდან

აჩქარებული ფეხის ხმა შემოესმა, მიიხედა და დაინახა ახალგაზრდა სპორტული აღნაგობის ვაჟი ვარჯიშობს. ახალგაზრდა სპორტსმენს ფრინველთა გუნდი თავს დატრიალებენ. თეთრი ღრუბლები აქეთ-იქით გაიფანტა, თითქოს და გზა დაუთმეს საასპარეზოდ მომავალ ფეხბურთელს. ამ სანახაობით დამტკბარი მეზღაპრე ადგილიდან ფეხს აღარ იცვლის. მზემ სხივების ფარდა ჩამოუშვა და ხალხმაც თავი მოიყარა.

– რა ხდება? – იკითხა მეზღაპრემ.

– ფეხბურთი იწყება! – ყვირიან აქეთ იქიდან. – დღეს უნდა გვასახელო ხვიჩა! – დაიძახა ერთმა და ამ ხმას შეუერთდა მთელი მოსული ხალხის ჯგუფი.

ამ ლამაზმა სანახაობამ ფრინველებიც აღტაცებაში მოიყვანა. ქართველების შეძახილი კი მსოფლიოს მიწვდა: – ჩვენ ქართველები ვართ! დიდება უფალს!

მეზღაპრე ჩაფიქრდა და თქვა, ზღაპარი როგორ დავწერო როცა ზღაპრული სანახაობა სინამდვილედ გადაიქცა.

დღეს ხვიჩა კვარაცხელიას სახელს ტყის ბინადარიც ზეპირად იმეორებენ.

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

ფიროსმანის ფიქრები

ქვეყნად უმიზნოდ ვიცხოვრე განა,
განა უმიზნოდ გავცვითე ფუნჯი?
ვხატე ქალაქი, სოფელი, ყანა,
ყანაში გლეხი — სიკეთის ბურჯი.
თუმც უფერული იყო ცხოვრება,
შევაფერადე მე იგი განგებ,
მთვარიან ღამით, მოგეხსენებათ,
ვერ მოვისმენდი ბულბულის ჰანგებს;
ვიყავ სარდაფში გამომწყვდეული,
ვით პატიმარი — სევდის ზვარაკი,
ჩემი სიმდიდრე იყო რვეული,
უბრალო ფუნჯი, ჭიქა არაყი...
მე დამცინოდნენ, მაგრამ ვიტანდი,
ჯანგატეხილ კაცს როგორც შეჰფერის,
მაინც ვთქვი ფუნჯით მე ჩემი დარდი
და ვთქვი ბუნების სადიდებელიც.
მზე არ მათბობდა, მაგრამ მიყვარდა,
რადგან სიცოცხლის არის მხლებელი,
შიმშილი მკლავდა და არვინ მყავდა
მშველელი ანდა შემბრალებელი.
...ვგრძნობ, მიილევა ადრე ჩემი დღე,
უამური და უსიხარულო,
თუ რამ ცოდვა მაქვს, ღმერთო, შემინდე,
და თვალებს მოსწყდი, ცრემლო ფარულო.
თუკი ოდესმე დარეკავს ზარი
და მიეცემა სიმართლეს ძალა,
აღარ მერქმევა მე მაშინ მკვდარი,
თქვენთან იქნება თქვენი ნიკალა.

ედუარდ უგულავა

თემურ ჩალაბაშვილი

ჯერ ისევ თბილია მისი სამარის მიწა, ჯერ კიდევ სრულად ვერ გაუაზრებიათ მეგობრებსა და ახლობლებს მისი გარდაცვალება. ყველას თავისად ეგულებოდა, ყველას თავისი ჩალაბა ჰყავდა.

სამშობლოსავით იცხოვრა... სამშობლოსავით უჭირდა... სამშობლოსავით დარდობდა...

ვცხოვრობ უფლის განაჩენით,
მწამს ღმერთი და სულიწმინდა.
სხვა ჯანდაბას დანარჩენი,
ქვეყნის გადარჩენა მინდა...

სხვა მადლი ჰქონდა... სხვებისგან საკუთარი მანერებით გამოირჩეოდა: ლექსს დაწერდა და თავისი იყო... იმღერებდა და თავისი იყო... იცეკვებდა და თავისი იყო... იუმორიც თავისებური და ორიგინალური ჰქონდა. მახსენდება: მივდივართ ქუჩაში, ჩვენ წინ უცნობი მიაბიჯებს, დროდადრო

ჩერდება და აცეცებს თვალებს. დახმარება ხომ არ შეგვიძლიაო, ჰკითხა თემურმა. კაცს ვეძებო, თქვა უცნობმა. აბა, წინასწარ გეტყვი, ვერ იპოვიო, გაეცინა თემურს, კაცი ასე იოლი საპოვნელიაო?!.

დადიოდა თბილისის ქუჩებში და ქალაქს ალამაზებდა... მეგობრებს ამხნევებდა და გვერდში ედგა. ადამიანი უყვარდა. ახარებდა სიკეთის კეთება...

საკუთარი თავისთვის არ შეეძლო, თორემ სხვის გამო, ქვეყანას შეძრავდა, ფეხზე დააყენებდა და ვიდრე არ დაეხმარებოდა, არ მოისვენებდა.

სამშობლოზე ფიქრი არ შორდებოდა გულსდანაბევრჯერმიკარებულს, ბოლოს მაინც გულმა უმტყუნა, ვეღარ გაუძლო ამდენ დარდსა და მღელვარებას... ხოლო მანამდე უკურნებელმა სენმა დაღეჭა, სისხლი შეუსვა და ხორცი შეუჭამა, მაგრამ ვერ დასძლია, მაინც ამაყი და ლამაზი იყო. გარდაცვალების შიშმა ვერ დაიბრიყვა, ემზადებოდა უფალთან შესახვედრად, არაერთხელ მიიღო ზიარება... ეს იყო მხოლოდ, არ უნდოდა ყველას ენახა მისუსტებული და ენერგია გამოცლილი, არ ეგონოთ, უმწეო ვარო... ლექსითაც იხუმრა:

კითხვის ნიშანს დავემსგავსე,
ადრე ვგავდი ძახილისას.
სიკვდილი რა ფეხებს მომჭამს _
გემოს ვიგრძნობ სხვა ხილისას...

შვილებისა და შვილიშვილების ცქერით ხარობდა. ხუმრობდა ხოლმე, _ შვილი მიზეზია და შვილიშვილი _ მიზანიო.

ხშირად იგონებდა გარდაცვლილ მეგობრებს: თენგიზ არჩვაძეს, თემურ წიკლაურს, ჰამლეტ გონაშვილს, ზურაბ ქაფიანიძეს... იტყოდა, _ ისინი იქ დამხვდებიან, ადგილს მომიმზადებენ, არ მეშინია იმქვეყნად წასვლისო... ან რისი უნდა შინებოდა ამდენი სიკეთის მქმნელს, ღვთის მოშიშსა და კაცთმოყვარე შემოქმედს. სწამდა უფლისა და თუ ვინმე დაეჭვდებოდა ღვთის არსებობაში, ეტყოდა, _ არსებობით ჩვენ ვარსებობთ, უფალი _ სუფევსო.

სიონის საკათედრო ტაძრიდან გამოასვენეს პოეტი ჩოხოსნებმა. ფერწასული და მხრებდაშვებული ეთხოვებოდა ძვირფას მეუღლეს ქალბატონი გეტა, ქალი, რომელმაც ვაჟკაცურად ზიდა პოეტის ცოლის უმძიმესი ტვირთი. წამით არ მიუტოვებია, ყურადღება არ მოუკლია ბოჰემური ცხოვრების ტალღებში გადაშვებული შემოქმედისთვის. კარგად იცოდა თემურმა მეუღლის ფასი:

გამომაფხიზლებს როდემდე ნეტა,
ხმა ტელეფონის _ გეტა ვარ, გეტა!
თან ვბრაზობ, თანაც ოცნებით ვთბები _
თან სიჭაბუკის მესხმება ფრთები.
დიდხანს ბუზღუნი „ნერვების წყვეტა,“
ოღონდ მესმოდეს _ გეტა ვარ, გეტა!

იქ არ დაღვრილა ყალბი ცრემლი და არც ხალხის სახეზე აღბეჭდილი მწუხარება იყო მოჩვენებითი... ეს იმ დღეს არავის სჭირდებოდა... ყველაფერი ნაღდი იყო. ეთხოვებოდნენ საყვარელ პოეტსა და მეგობარს... აცილებდნენ თემურ ჩალაბაშვილს... ეს ის ცრემლები აცილებდნენ, რაც ოდესმე თავად დაუღვრია... ეს ის სითბო უბრუნდებოდა, რაც ოდესმე თავად გაუცია... იცოდა ხალხმა... იცოდა და გრძნობდა, ვისაც ეთხოვებოდა...

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

იმედის სანთელი



პირველ იანვარს შეხვდები ბეჟანს
და გაგახსენებს ახალგაზრდობას,
დრომ და ცხოვრებამ ის ადრე ჟეჯა,
ბედს არ ცოდნია თემურ დანდობა.
იმედის სანთელს მე კვლავ დავანთებ,
დეკემბრის სუსხსმა ადრეც მატირა,
შენი ვარსკვლავი თბილისს ანათებს,
შენ ისევ მოხვალ... მოხვალ აპრილად!

პროზა

რევაზ მიშველაძე

ფამეგა

რომანი
გაგრძელება
(დასაწყისი იხილეთ ჟურნალ
„ათინათის“ №28-32, 45-50-ში)

* * *

კლუბის საწყობი ჯიხურიდან ხუთიოდე მეტროში, იქვე, ქუჩის პირას იყო სარდაფში. ქარხნის ძველთაძველ, ორსართულიან აგურის შენობას ქუჩის რეკონსტრუქციის გამო ანგრევდნენ. ადმინისტრაცია დროებით ეზოში სახელდახელოდ აწყობილ ფინურ სახლში გადავიდა, სად უნდა მოთავსებულიყო საწყობი, ჯერ ფართო საზოგადოებისთვის უცნობი გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, თვით საწყობის გამგეს და დარაჯს (უსათუოდ დაინტერესებულ პირთ, ინვენტარზე მატერიალური პასუხისმგებლობის გამო) დირექტორმა ფრიად ბუნდოვანი პასუხი მისცა: ჯერ დავცალოთ, ბატონო, დროებით, მე მგონი, აღმასკომის საწყობი შეგვიფარებს. მერე აგვიშენებენ ახალ კლუბს და იქ დავატევთ ყველაფერს ერთადო. ეს დირექტორული სიტყვა სამი დღის წინ ითქვა. გალოგრე ფეხს იმიტომ ითრევდა საწყობის დაცლაზე, რომ ქალაქის მშენებლობის ტემპებზე მაინცდამაინც მაღალი წარმოდგენა არ ჰქონდა; რა საჩქაროთ დაცლა, ბარე ორი მამალი იყივლებს, სანამ დასანგრევად მოვიდოდნენო. ამ სამი დღის განმავლობაში დირექტორს „ხვალ ვიზამ, ხვალ დავცლით“ ამშვიდებდა, მაგრამ კოსტასგან ამდილანდელი დირექტივა რომ მოისმინა, ეტყობა, მართლა სასწრაფოდ ანგრევენო, გაიფიქრა და, როგორც უკვე იცით, საქმეს შეუდგა. კლუბის (და, შესაბამისად, საწყობის) აშენების საკითხში გუშინწინ დირექტორთან საუბრის დროს დიდი ინტერესი არ გამოუჩენია; მე მაინც ვერ მომისწრებს, ამ წელს გავაჩანჩალებ რავარცხა იქნება და გაისად ვანებებ თავს მუშაობას. დავიღალე, აღარ შემიძლია ტროლეიბუსიდან ხტომიალი შვიდჭრილობიან კაცს, აღარაა ის მუხლები, შეჭამა, დახრა სამოცდაცამეტმა წელიწადმაო.

ბოქლომი ჩაჟანგულიყო და კარგა ხანს ქვა უკაკუნა, რომ გაეხსნა. კიბეში ჩაყრილი კონსერვის ქილები და გაზინკლული გაზეთები გვერდზე მიაქუჩა. საწყობში მძაღე სუნი იდგა, სინესტისა და საღებავების ერთმანეთში არეული სუნი. უთავბოლოდ მიყრილმიხირხლული საპარადო სიმდიდრე გაცილებით უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე გალოგრეს ეგონა. „რა აათრევს ამგენს ზევით, რა გამოარჩევს ერთმანეთისგანო“, პირველი, რაც საწყობში ჩასვლისას გაიფიქრა, ეგ ფიქრი იყო.

საწყობის მარჯვენა კედელთან გასასვლელ გზას მარქსიზმლენინიზმის კლასიკოსთა ჯგუფური პორტრეტი ხერგავდა. ამიტომაც პირველად მას წაავლო ხელი, ამოიტანა და იქვე, კოსტას გვერდით, კედელს მიაყუდა. კოსტამ შეხედა და გაიკვირვა:

– ოჰო, ოთხივე ერთადაა:

– პირველად ხედავ? – ხელთათმანიანი ხელები ერთმანეთს შემოჰკრა საწყობის გამგემ და კიბეს ჩაუყვა.

ეს ტრანსპარანტი კარგა ხანია არ უნახავს კოსტას და რატომღაც ახლა განსაკუთრებული გულისყურით აკვირდებოდა. წინა პლანზე სტალინი იყო, გასწვრივ სხვა წვერულვაშიანი ძვირფასი სახეები ჩანდნენ. თამაზი ჯიხურში შევიდა, სველი ჩვარი გამოიტანა და სურათს მტვერი გადააცილა.

მეორე გზობაზე გალოგრემ ბუდიონის ბიუსტი ამოიტანა და ტროტუარზე ხვნეშით, ფრთხილად დადო. მესამე ამოსვლისას ჟდანოვის და კაგანოვიჩის პორტრეტები გაამწკრივა კედლის გასწვრივ.

ძველი, ჩრჩილისგან შეჭმული ლოზუნგების ამოტანა იმდენად არ გასჭირვებია. ხის პალოზე დამაგრებული, სხვადასხვა ეპოქის პოლიტბიუროს წევრების წრიულ მავთულზე გადაჭიმული ბინტის პორტრეტები თითო ამოსვლაზე ოთხოთხი ამოჰქონდა და კედელზე, ბიუსტების უკან აყუდებდა.

ბიუსტებს შორის კოსტა ღვალაძე დაფათურობდა სველი ჩვრით ხელში.

ორმოცდამეშვიდე ქარხნის ადმინისტრაციულ შენობასთან ხალხი მოგროვდა. გამვლელები ჩერდებოდნენ, ზოგი ნაღვლიანად, ზოგი მხიარულად (ასაკისა და განწყობილების მიხედვით) შესცქეროდა ქუჩაში მოწყობილ ამ სახელდახელო გამოფენას, რომლის ექსპონატებზეც ვერ იტყოდი, ხელოვნების შედევრებიაო, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ თაობათა ენერგია, ფული და ენთუზიაზმი იყო უხვად გაცემული ამ ბიუსტპორტრეტებისა და ლოზუნგტრანსპარანტების შესაქმნელად.

მნახველთა ამგვარ მოზღვავებას გალოგრე, რასაკვირველია, არ ელოდა. იგი დაიღალა, სერთუკი ოფლით დაუსველდა, მაგრამ უცნაურმა ჟინმა შეიპყრო; რაც შეიძლება მეტი საპარადე დოვლათი ამოეზიდა დღის სინათლეზე.

კოსტას ძველი ტომარა გამოართვა და ბეჭზე დაიდო. მოქალაქეთა ახალი ტალღები აწყდებოდა სარდაფის შემოგარენს. ძველები წასვლას არ აპირებდნენ, ყველას დაევიწყებინა თავისი საქმე. თითქოს გარდასულ პარადთა გმირების ამოსაცნობად, მათი ღვაწლდამსახურების შესაფასებლად მოეწვია ვინმეს. იყო ერთი გნიასი და სიცილღორღოცი. გალოგრეს ყოველ ჩასვლაამოსვლას გაუნელებელი ინტერესით მოელოდნენ.

განსაკუთრებულ ოვაციას ბიუსტის ამოტანა იწვევდა. სარდაფის კიბიდან ჯერ ბიუსტის თავი გამოჩნდებოდა, შემდეგ, ბიუსტის მხრებს ჩაჭიდებული გალოგრეს დამჭკნარი, ბებრული ხელები და მერე ქვემოთკენ დახრილი საწყობის გამგის პირსახოცწაკრული თავი. ყურებიანი ქუდი, წელან, რომ გაოფლიანდა, მოიხადა თამაზმა და კოსტას საეჭვო სითეთრისმქონე პირსახოცი წაიკრა.

ხრუშჩოვის ბიუსტი მძიმე ეჩვენა. ჩამოღებაც გაუჭირდა და ვიღაცას ხელი რომ არ შეეშველებინა, შეიძლებოდა, თაბაშირის ტანსრული კაცი ხელიდან გავარდნოდა და დაემსხვრია. მაგრამ, ამჯერად, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

თითქოსდა, ამოტანაშიც რაღაც აზრს აქსოვდა გალოგრე. ზოგი სურათი და ბიუსტი მოწიწებით ამოჰქონდა, თითქოს რცხვენოდა კიდეც ბეჭებზე ხელის მოკიდება რომ შეებედა. ზოგი ისე უბრალოდ მოჰქონდა, როგორც მხარზე შეგდებული ფიჩხის კონა, ზოგი არაჩვეულებრივად მსუბუქი იყო, ზოგი წისქვილის დოლაბივით წელში გამტეხი.

მაყურებელიც დამსახურების მიხედვით ეგებებოდა სარდაფიდან ამონათებულ ყოველ ბიუსტს და პორტრეტს. ზოგს ტაშით ხვდებოდა, ზოგს დუმილით, ზოგსაც სტვენითა და სიცილით.

ტროტუარზე ლამის ჩვენი ცხოვრების გუშინდელი დღის პანორამა დაიხატა თავისი პოლიტიკური ვნებებით, უაზრო თუ აზრიანი შემართებებით, სისხლიანი დრამებით, ზურგში ხანჯლის ჩაცემებით, სულელური ექსპერიმენტებით, მართალი ეკონომიკური ლაშქრობებით, ისტორიაში დილეტანტური ნახტომებით და აშკარად დროული, გონივრული შემობრუნებაგაღვიძებებით.

ერთმანეთის გასწვრივ გამწკრივებულიყო სტალინის, ვოროშილოვის, ბუდიონის, ძერჟინსკის, ჟდანოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, მიქოიანის, ბულგანინის, მალენკოვის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, სუსლოვის, პოდგორნის, ჩერნენკოს, ანდროპოვის და სხვათა ბიუსტები და პორტრეტები.

ბიუსტპორტრეტებს კარგად თუ დააკვირდებოდით, უფრო მეტს რასმე აღმოაჩენდით მასში, ვიდრე სოციალური შეკვეთის სახელდახელოდ შემსრულებელ ხელოვანს ჩაედო. ზოგს სახეზე არაჩვეულებრივი ნათელი ადგა, სიბრძნის კვალი ეხატა, მდგომარეობის პატრონის განწყობილება აჩნდა, ზოგი შედარებით მორცხვად, ამ ანსამბლში შემთხვევით მოხვედრილივით გამოიყურებოდა, ზოგს კი, ღმერთო შეგცოდე, უცნაური, უტიფრობაში გადასული სითამამე და ავანტიურისტის ღიმილი უკრთოდა ბაგეპირზე.

...საბარგო მანქანიდან სამნი გადმოხტნენ და თითქოს სამივეს ხელები უკანალთან აქვს შეკრულიო, ტყაპატყუპით ჩაირბინეს სარდაფის კიბეები.

რა უთხრეს გალოგრეს, ვერ გეტყვით, მაგრამ სასიამოვნო რომ არაფერი უთქვამთ, შეკრულ წარბებზე და მრისხანედ მოკუმულ ტუჩებზე ეტყობოდათ.

მათ შორის ყველაზე მაღალმა შეკრებილთ მოკლედ და გასაგებად მიმართა:

– გთხოვთ დაიშალოთ. თქვენს საქმეს მიხედეთ! აქ საცირკო და სათამაშო არაფერი არ არის!

ამგვარი კატეგორიული მიმართვა ხალხზე ჯერ კიდევ მაგიურად მოქმედებს. მნახველები ნელნელა, უკანმოხედვებით, ღიმილქირქილით იშლებოდნენ.

სამეულმა შესახარბი სიმარდით შეჰყარა საბარგო მანქანის ძარაზე საპარადო ძვირფასეულობა და ზემოდან ბრეზენტის დიდი ფარდა გადააფარა. მანქანის დატვირთვაზე იმდენი დრო არ დაუხარ-

ჯავთ, რამდენიც ბრეზენტის გადაჭიმვასა და ოთხკუთხივ დამაგრებას მოანდომეს.

***

„კამაზის“ სისტემის საბარგო მანქანა ღმუილით რომ გავარდა, სახეხელების წმენდით გალოგრეც ამოხოხდა სარდაფიდან. ჯიხურთან მილასლასდა, ტაბურეტის სკამი გამოიტანა, ასფალტზე ფრთხილად, გვერდულად დადო, ხვნეშაკვნესით, როგორც იქნა, დაჯდა და კოსტას მიუბრუნდა:

– მე რას მიყვირიან. დაცალეო და ვცლიდი. სხვას ვშო

ბოდი რამეს? კოსტამ არაფერი უპასუხა.

– სად წაიღეს, თუ იცი? – კვლავ დაარღვია სიჩუმე თამაზმა.

– არ უთქვამთ.

– ასე შეიძლება? მე მაწერია, ბატონო, ხვალ პასუხი რომ მომთხოვოს ვინმემ?

– აღარ მოგთხოვენ, ნუ გეშინია.

– შენ მასე გგონია.

– რა არი საპასუხო. რავა, თუ გაკლია, ერთი ბიუსტი, გაფლანგავდი თუ რაი? მე შენ გეტყვი, იყიდის ვინმე. არ დაკარგავენ, ნუ გეშინია. იციან, სად წაიღონ.

საწყობის ფარღალალა კარს ქარი აჭრაჭუნებდა. მზე შიგადაშიგ გამოიჭყიტებდა დასავლეთიდან წამოფუტებულწამოფუებული ღრუბლებიდან. დროდადრო ქალაქს ღრუბლის ვეებერთელა ჩრდილი გადაურბენდა.

***

მიხარია, ბაბა, შენი ახლანდელი გაწიწმატება. ასე უნდა, აბა, რა. რომ არ გეთქვა ჩემთვის: რას დაგვჩხავი ყვავივით, ნახავ, აგერ, თუ არ შევცვლით ქვეყანას, თუ არ დაიყაროს სამოთხ წელიწადში სარჩოსაბადებელიო, მეწყინებოდა. შენი ქიჩმაჩი და დაჯერებული გასვლაგამოსვლა გულს მიხარებს. თუ არ გჯერა იმისი, რასაც აკეთებ, წყლის ნაყვაა ყველაფერი. როგორ მითხარი? თქვენ, ძველებს, კვირაში ორი პარასკევი გაქვთო? თქვენი გაფუჭებულიც და ჩვენიც, ახლა ორივე ერთად ჩვენი გასასწორებელი შეიქნაო? იქნება მართალიც ხარ, მაგრამ სანამ ქვეყანას გაასწორებდეთ, სანამ გამრუდებულ საქმეს წაღმა წაიყვანდეთ, მანამდე თავდაჭერა და მოკრძალება გმართებთ. არაა ასე ადვილი წლების ნამუდრეგალის გამოკეთება. შენ თვითონ ამბობ: გონჯ პატარძალს ფერუმარილი ვეღარას უშველისო. შენც რომ არ მითხრა, ძალათ გამლამაზებლებს რომ არ ჰგავხართ, მეც გატყობთ კოჭებში, მაგრამ ვნახოთ, რა ქალაქს ააშენებთ – „აგერ შენ და აგერ კრეტაო“, ბერძნები იტყვიან, ძირძველი, ჭკვიანი ხალხია ბერძნები. იქნებ, მე ვეღარ ვიცხოვრო თქვენს ანაყვავებ ქვეყანაში, მაგრამ ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ამ თქვენს საწაღმართო ჩანაფიქრში. ისე, ძალიან კი მინდა ვნახო, რამდენ ხანს შეგრჩებათ ქვეყნის განახლების ხალისი.

არაა, ბაბა, ასე ადვილიმეთქი, რომ გეუბნები, არ გჯერა, ვხედავ. ნამდვილად ასე სჯობია. შენ რომ ჩემთან ჭკუის საკითხავად მოსულიყავი, იქნებ ისეთი რამ მერჩია, ერთხელ და საბოლოოდ გაგტეხოდა გული ამ ჩვენს გზაზე და სხვა საჭიდაოსაასპარეზოს დადგომოდი. მიდით, სცადეთ თქვენც, იქნებ თქვენმა აჯობოს, იქნებ არც ისე ბნელადაა საქმე, როგორც მე მგონია ახლა, ამ წუთში. თქვენი მდგომარეობა ჩვენსაზე იოლიამეთქი, რომ გითხრა, არ გეწყინოს.

ოთხმოცს გადაშორებულ კაცს რაღაცები დამეჯერება და თუ ცოტას მაინც მენდობი, მადლობელი ვიქნები. ჩვენ ვინ გვეტყოდა, მთლად კარგად არ გვაქვს ჯერ გარკვეული, რა გვინდა ისტორიისგანო, მაგრამ ურმის და გზის არ იყოს, ახლა გამოჩნდა, რომ არც თავიდანვე აგვიღია მთლად სწორი გეზი. ჩვენ, უბრალო ხალხს გვეუბნებოდნენ: რავარც იქნა, მივაგენით ჭკუის მადანს, ეშველება აწი მუშას, ახალ ქვეყანას ვაშენებთ და მოგვყევითო. არ მიყვები ამნაირ ჭკვიანურ დაძახილს? ხელი დავიკაპიწეთ და მივყევით. მე მუშაკაცი ვარ, ბაბა. კი, ობჩის ოთხწლედი დავამთავრე და ორწლიან გადასამზადებლებზეც ვიმეცადინე, მარა მიწის საქმე ვარჩიე ყველაფერს. ჩემი დღე და მოსწრება თოხს ვურტყამდი მიწას. თოხს მიწას ვერ ააცილებ და ე მყნობაწინდვა და მარგვლამოროდი ჩვენ, ქართველებს, ათაბაბადან დაგვყვა. დიდი სკოლაფილოსოფია ამ საქმეს არ სჭირდება. ჩემ დღეზე გიყვები, სხვის ცხოვრებასთან რა ხელი მაქვს. სხვაი, ალბათ, სხვანაირად ცხოვრობდა. ახლა თქვენი ძალა იმაშია, რომ შეგიძლიათ გადახედოთ ჩვენს გზას და დედალმამალი ცალკე დაალაგოთ; რაში ვიყავით მართალი და რაში არა – გაზომაწონოთ და კაი გაიჭკუისოთ, ცუდი გადაყაროთ. ჩვენ ვისთვის შეგ-

ვეხედა, ჩვენს წინ ვინ იარა? როგორც გაზეთებში სწერია, ისტორიის ახალ ფურცელს ვწერდით. „კი, რასაკვირველია, ყველაფერი აწონდაწონილი გვაქვს, არ შეგეშინდეთ, მისხალში არ შევცდებითო“, გვეუბნებოდნენ ჩვენი ბელადები, მარა შეუმცდარი არი ვინმე?

ახლა ამას რატომ გელაპარაკები, თუ იცი, პატიება უნდა გთხოვო, ბაბაია, ამ დღეში რომ ჩაგაგდე და ისიც უნდა შეგეხვეწო, რომ საფლავიდან ნუ ამომიღებ. არ ვარ ამის ღირსი მე. ჩემს რწმენას ვემსახურებოდი ისე, როგორც ახლა შენ შენს რწმენას ემსახურები. რა ვიცოდი, რა ბაბილონის ციხეს ვაშენებდი.

ისე რომ არ გამოვიდა, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა, ამას ახლა ქვეყანა ხედავს. რომ ვიძახოთ, ავშენდითო, თავის მოტყუება იქნება. კაი ხანს გარეთ მტერს ვუვსებდით თვალს და შიგნით მოყვარეს. ახლა ტყუილები აღარ გადის, ხელისგულივით ჩანს მთელი მსოფლიო ტელევიზორში.

დამიგდე ყური კარგად. რევოლუციის ბიჭების სახელით გელაპარაკები. შენზე ნაკლები არც მტკაველი გვქონდა და კაი მთქმელის კაი გამგონეებიც ვიყავით. თხუთმეტი შემისრულდა და ნიკოიაც დავამხვეთ. ჩვენს სოფელში რომ ხმა ამოვიდა, ხელმწიფე ჩამოაგდესო, ბევრმა არ დაიჯერა. მეფის ჩამოგდება თუ ხალხს შეეძლო, უბრალო კაცის ტვინი ვერ წვდებოდა, ხელმწიფე ღმერთის დანიშნული და ღმერთივით შეუხებელი გვეგონა. გუშინდელივით მახსოვს, მაცხოვრის ეკლესიის ეზოში შეგვყარა რევკომის წევრმა მორგოშიამ. ზარი დარეკეს, თორემ ისე ვინ გავიდოდა, დაღლილი იყო ხალხი რევოლუციებით. ასრულდა ჩვენი ოცნებაო, მორგოშიამ, გამომგზავნეს, რომ გაუწყოთ, საქართველო დღეიდან თავისუფალიაო. რავარც მოგეხასიათოთ, ისე იცხოვრეთ, აწი რაც გინდათ, ფქვით და რაც გინდათ, აცხვეთო. მას მერე კაი დრო გავიდა და რომ არ მოგატყუო, ისე გაბადრულგახარებული მეზობლები მერე აღარ მინახავს. ყველას რაღაცა ჩინტიტული ჩამოურიგა მაშინ მორგოშიამ. მე, ვითომ, თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის სოფლის რაზმის კომისრად ამირჩია. წავიდა მორგოშია და ჩვენ ისევ ჩვენს ეზობარდს მივუბრუნდით. კომისრობა, რევკომობა და აგიტატორობა საგარეო ხალათს მივაკიდეთ და მიწას დავუწყეთ ჩხუტური. ქვეყანა რომ ძველებურად არ იყო, იმაზე ვატყობდით, რომ ბეგარაზე არავინ გვეძახდა და გადასახადის დაგვიანებაზე სახლში არავინ გვივარდებოდა. ათასში ერთხელ გაბონებული ფულის ტკაცუნით ტომარაგადაკიდებული რწმუნებული ჩამოივლიდა და მორცხვად ჩამოგვძახებდა: საქართველოს მთავრობას ჭადი შემოაკლდა და სიმინდს ხომ არ შეელევით გასაყიდადო. გარდა ამისა, სოფლის ცენტრში ხანდახან გამოჩნდებოდნენ მოკლეშარვლებიანი და, ახლა მეხანძრეებს რომ ახურავთ, იმნაირქუდებიანი ინგლისელები. ჯერ ჩანთიდან შავყვითელ კენჭებს დააძრობდნენ და ცხვირთან მოგვიტანდნენ: ამნაირი ქვები ხომ არსად გინახავთ ამ შემოგარენშიო. მერე აუყვებოდნენ ტყეში აღმართს და კვირაობით იკარგებოდნენ. ცხოვრება თითქოს ჩაწყნარდა და ჩვენს ჭირნახულსაც ფასი დაედო, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ასე არ გაგრძელდებოდა. მთავრობას რომ საზღვრის გამაგრება დაავიწყდება, გააღებს ჭიშკრებს და განუკითხავად შემოუშვებს მტერმოყვარეს. ზურგზე ტომარას რომ გადაიკიდებს და სოფელსოფელ ივლის, მშია, შემეწიეთო, არაა მისი საქმე კარგად.

სამოთხ წელიწადში აგვიხდა გლახა წინათგრძნობა. – საქართველოს მთავრობა გეიქცა, ბოლშევიკები შემოვიდნენო. სანამ თვითონ ბოლშევიკები მოაღწევდნენ ჩვენს სოფლამდე, ხმა უფრო ადრე დაგვეცა. მოვიდნენ და პირველ დღესვე ცხრამეტი კაცი დაგვიჭირეს. თქვენაო, მენშევიკების დამქაშები ხართო, ჟორდანიას სამსახურში იყავით და დროებით მთავრობას უჭერდით მხარსო. ხატზე დავიფიცავ, ჩვენ არც დროებით მთავრობას ვეფიცებოდით ერთგულებას და არც მუდმივს ჩავდგომივართ კრიჭაში. გლეხები ვიყავით და გითხარი, მისი არ იყოს, მიწას ვულაყუნებდით თოხს. იყავი ახალგაზრდების კომისარიო, მორგოშიამ და რატომ ვეტყოდი უარს. ღვთის წინაშე, ცოდოს ვერ დავიდებ, რა უნდა მეკეთებინა მე, როგორც კომისარს, არ მიკითხავს და არც თვითონ მორგოშიას უთქვამს. ადვილი შესაძლებელია, თვითონაც არ სცოდნოდა.

გამომიშვეს ორ წელიწადში და ის იყო, პატარა ფეხი წამოვიდგი, ცოლის შერთვას ვაპირებდი, ისევ შემაბრუნეს ციხეში და კინაღამ ჩამომახრჩვეს – ქაქუცასთან გქონდა კავშირიო, თერთმეტი კაცი გააქვრეს მაშინ ჩვენი პატარა სოფლიდან. რავარც მე არ მენახა ქაქუცა, ისე არ იცოდნენ საწყლებმა მისი ასავალდასავალი. შევეცოდე, ალბათ, ვიღაცას, და ორ კვირაში გამომიშვეს. რანაირად გადავრჩი, ახლაც მიკვირს. არაა მთლად კაი საქმე მაგ დროს გადარჩენა. სანამ არ გამაბატრაკეს და ხელახლა არ დამიჭირეს, კაი შვიდი წელი სოფელი ალმაცერად მიყურებდა.

ეს ის დროა, კოლექტივი რომ შემოვიღეთ და სიმღერსიმღერით რომ გადიგამოდიოდნენ ბრიგა-

დები სოფლის ერთი ბოლოდან მეორეში. ახლა რა არის, შემართული და დარაზმული ხალხი მაშინ უნდა გენახა. წუწუნს ვერ გაბედავდი, წელის ტკივილს ვერ დაიჩივლებდი, კოლექტივიზაციის მტრად და მეჩრდილიად გამოგაცხადებდნენ მაშინათვე. ვშრომობ ჩემთვის, ოფლს ვიწურავ, ვირის აბანოში ნამყოფი ვარ და მაინცდამაინც საერთო ბრუნვატრიალში არ ვმონაწილეობ, თურმე არაა გაჩუმების და შენთვის ყოფნის დრო. უნდა იხარხალო სხვასავით და იხმაურო შენც. რომ არ ვქენი ასე, იმიტომ იყო ერთ მშვენიერ დღეს შავსიელად რომ გამომაცხადეს. ცოლშვილი ერთი თხის და სამზადი სახლის ამარა რომ დამიტოვეს, კულაკად რომ მომნათლეს და სამაზრო ციხეში მიკრეს თავი. მესამე დაჭერაზე შვიდ თვეზე მეტი არ გავუჩერებივართ; კულაკობა და ჯიუტობა არ გაბედო, თვარა ციმბირი აქეთ დაგრჩებაო. არც კულაკობა ვიცოდი რა იყო და ჩემი ჯიუტობა, ამ ხნის მოვიყარე, კაცს არ გაუგონია. ურჩობა კი არა, – მთავრობას უნდა ცეცხლში გადავარდითო, რომ დაეძახნათ, პირველი გავქანდებოდი. დრო იყო იმნაირი, ჩემო ბაბა. ეკლესიები რომ დავანგრიეთ და საღვთო წიგნები დავწვით, ჭკუათმყოფელი იზამდა? ახლაც გაიგონებ მაშინდელ ხუმრობას: თემსაბჭოს თავმჯდომარე სოფლის თვალწინ ხატს პუგაჩს რომ ესროდა. მიქნას, აბა, თქვენმა ღმერთმა რამე, თუ არსებობს ნამდვილადო. მეტი რა გიქნას, ბაბაია, გოდოუყვანიხარ ჭკუიდანო, მნათემ დაუძახა თურმე. მართლაცდა, უარესს რას დაგმართებს ღმერთი კაცს. რანაირად უნდა დაგესხას თავრეტი, ხატს თოფი რომ ესროლო.

ამ გრიალჟრიამულში, ნგრევაშენებაში და „აბა ჰეს“ ძახილში ოცდაჩვიდმეტიც მოვიდა. ისედაც ჭანჭიკად მიაჩნდათ ადამიანი და იმ წლებში მთლად გაუფასურდა. შიშის ზაფრა იცი შენ რა არის? მტრისას და ავისას, აფთარი რომ შეგეჩეხოს ტყეში, შეშინებით როგორ არ შეგეშინდება, მაგრამ ის შიში ერთ წუთსაა, მეტის ხომ არა. ან შენ გაიქცევი, ან აფთარი, თუ თოფი გაქვს, ან შენ ესვრი, ან ის შეგჭამს, ხომ? ახლა წარმოიდგინე, უსაშველოდ გაგრძელდეს ის ერთი წუთი, აფთარი კარებზე გედგას, ვერც კარს უკეტავდე და ვერც გარეთ გამოდიოდე. ამნაირ შიშის ზაფრაში ჩავარდა ხალხი. ჯერ ჩვენი სოფელი რაა, რაღაცა სამოცი კინკილა მოსახლე ვართ და აქ რა იყო, სხვაგან რა იქნებოდა. ადგებოდი დილით, მეზობლის გადაძახების გეშინოდა. უნდა ვთქვა, ქალები ჩვენზე ყოჩაღად იყვნენ. ჩემი ცოლი, საწყალი, ძროხებს რომ მოწველიდა და გადენიდა, აივანზე ველოდებოდი; არ იქნებოდა, ახალი ამბავი არ ეთქვა. ქალები, ხომ იცი, უფრო ახერხებენ გადაძგადმოძახებას. „წუხელის გაბუნია წოუყვანიათ“, „სიხარულიძესთან ყოფილან, გამთენიისას, გაუჩხრეკიათ“ და ამნაირი სხვაც, ეს იყო ახალი ამბავი. დაღამების გვეშინოდა: დღე თითქოს არავინ გაწუხებდა, ღამე გვაკითხავდნენ „ხალხის მტრებს“. შუაღამისას მეზობელს რომ დაეკაკუნებინა, შენ შენი დაგემართებოდა. მიეცა მაზანდა დასმენას და ცილისწამებას. ავსიტყვებს და გულბოღმიანებს ამინდი დაუდგათ. მე ოცდაჩვიდმეტის ოქტომბერში დამაპატიმრეს. რასაკვირველია, ველოდი დაჭერას. ჩემს „აყვანაში“ ხელი გაწაფული ჰქონდათ. სოფელში ყოველთვისაა თითოოროლა „დასაჭერდასასჯელი“. საქმეს რომ დაჭირდება, რომ მოკიდებ ყურში ხელს და ისიც ცხვარივით რომ მოგყვება. იცის, მაინც არაფერი გაუვა. გასაბჭოების დროს დამიჭირეს, ქაქუცას ამბავზე დამიჭირეს, განკულაკების დროსაც ჩამსვეს და ახლა რა ხათრსიყვარულით ამივლიდნენ გვერდს. გითხრა სიმართლე, დროზე მინდოდა გავეთოკეთ, შიშის ზაფრა საზიზღარი რამეა. როცა ზიხარ, ყუჩად ხარ კაცი. როცა არც იქით ხარ და არც აქეთ, მაშინ უფრო წვალდები. მომაკითხეს შუაღამეზე და დიდხანს არ დამიყოვნებია ჩემი მზრუნველები, ბარგი ჩაწყობილი მქონდა. მე, რასაკვირველია, მივყევი, ოჩანი ხარივით გაწევა არ დამიწყია, მაგრამ როგორც მერე გავიგე, ჩემს ცოლს აუტეხია ერთი ამბავი. „ვინაა ტროცკისტი, თქვე უნამუსოებოვო, აღარ მოგწყინდათ მართალი კაცის დევნაო? რა პასუხს გვაძლევთ ჩვენ, ვინ ურჩენს ოთხ შვილსო“. პასუხი ის მიუციათ, რომ ჩემი დაპატიმრების ორი კვირისთავზე აუყვანიათ ჩემი ცოლიც და მე, ჩემდა იღბლად, დავბრუნდი, მაგრამ ჩემი შუშანიკის ასავალდასავალი ვეღარ გავიგეთ. ახლა მისი ძვლებიც არ იქნება მიწაში. რეაბილიტაციები რომ ჩამოგვირიგეს, იმ უბედურ დღეზე გაჩენილის საბუთებსაც ვერსად მიაკვლიეს.კოლმეურნეობის კანტორაში ერთი პატარა, გაყვითლებული ქაღალდიღა ვიპოვეთ. 1937 წლის დეკემბერში ჩატარებული კოლმეურნეობის კრების ოქმის ამონაწერი. „გაირიცხოს კოლწევრობიდან ხალხის მტრის, იმპერიალიზმის მოსყიდული აგენტის გრიგოლ ბაქრაძის ცოლი შუშანა სხვიტარიძე, რომელიც დანაშაულებრივ კავშირში აღმოჩნდა თავის მეუღლესთანო“. კოლექტივიდან რომ გარიცხეს, მაშინ ვინ იცის, ჩემი თანამეცხედრე ცოცხალიც აღარ იყო, ბავშვები, როგორც მაშინ მიღებული იყო, ნათესავებმა დაირიგეს, მამაშენი კაი ხანს მამას არც კი მეძახდა, გადაჩვეული იყო, ვერც გაამტყუნებ. ორმოცდაორში ციმბირიდან პირდაპირ ფრონტზე წამიყვანეს. მე,

„ხალხის მტერს“, თოფი მომცეს ხელში და ხალხის და ქვეყნის დაცვა მანდეს, არ გაგიკვირდება?

გადავრჩი ტყვიის წვიმას. დავბრუნდი ორმოცდახუთში. მოვიძიე ჩემი შვილები. ცოლი, ქე იცი, აღარ შემირთავს. შემოვღობე გაპარტახებული ეზო, გავმართე ოდა და ორმოცდაცხრაში ისევ დამიჭირეს. ეს ბოლო დაჭერა მაინც რაღა იყო. ჰიტლერი დამარცხებულია, მსოფლიოში პირველი სახელმწიფო ხარ, გამარჯვებული და გამართული, რაღა დროს ტყვილად დაჭერები და რეპრესიებია. ხომ გითხარი, სიაში ვიყავი სადღაც და, როცა „წესრიგის დამყარების“ ან წმენდის კამპანია ჩამოივლიდა, ჩემს ჭიშკარს არ აცდებოდნენ. მეხუთე დაპატიმრებიდან რომ დავბრუნდი, ჯანმრთელობა გატეხილი მქონდა, ორმოცდათხუთმეტი წელი იყო. სტალინი აღარ იყო ცოცხალი.

მერე დავიბენით, თუ დავიბენით. ამხელა სახელმწიფოს გაძღოლა, როცა არც ჭკუა გიჭრის მაინცდამაინც და ვერც ქვეყნის საქმეებში ერკვევი, ნამეტანი ძნელი გამოდგა. ბარე ორმა წაიტეხა კისერი. ერთმა მძიმე წონის უფროსმა თავი იმით დაგვამახსოვრა, რომ ეს მუშტივით შეკრული ჩვენი ბანაკი კინაღამ დაშლადახურდავებამდე მიიყვანა. პურით გავავსეთ ბეღლებიო, რომ ყვიროდა, სწორედ იმ წელიწადს ჩაგვაყენა შავი პურის რიგში. ტყუილებით ქვეყნის რჩენა შეიძლება, ბაბა? მაგის ჭკუით ახლა კომუნიზმში უნდა ვყოფილიყავით და კომუნიზმი კი არა, მგონია, სოციალიზმმაც კინაღამ ჩაგვიარა გვერდზე. მსოფლიოს სასაცილოდ კინაღამ გავიხადეთ საქმე. რამხელა ტყვილს უნდა ლაპარაკობდე, ფეხსაცმლის წაძრობით და მაგიდაზე რტყმევით დაგჭირდეს ხალხის დაწყნარება.

როგორც იქნა, დეევეთხოვეთ იმ ბაქია ხელმძღვანელს და, რავარც ვიცით ჩვენ, ახალმა სულ თვითნება და თავგასული უძახა ძველს. მგლისგან დამფრთხალი, გადარჩენილი თხები რომ შეაჩერდებიან ახალ ფარეხს, ისე შევაჩერდით რადიოს. სიტყვები იცოცხლე, კაი ისმოდა, მარა რაი მერე? ვერა და ვერ გავიმართეთ წელში. უკან დაგორებული ურემივით მივექანებოდით. – მოდი ახლა ასე ვცადოთ, ეგება ასე აჯობოსო, შეიძლება მეფე ასე წაღმაუკუღმა ბრუნავდეს? ვერ გაიგებდი, ვის ვეხმარებოდით და რატომ. ჩვენ თვითონ გაღლეტილები ჩვენზე გაღლეტილებს ვიძვრენდით უბეში. მკვდარი მკვდარს აეკიდაო, გაგიგონია შენ? დილას ამერიკას და იქეთ გერმანიას ვუღრენდით, უნდა დაგასამაროთო და საღამოს ყელგაწვდილი ვეხვეწებოდით, პურის ფქვილი და გაყინული ქათამი მოგვყიდე, ეს ოხერი, უამინდობამ შეგვიშალა ხელიო. ორმოცი წელი უამინდობა შეიძლება, კაცო? სახელმწიფოს თავმა შუბლის ძარღვი რავა უნდა გაიწყვიტო, სირცხვილნამუსი არ უნდა იცოდე?

სტალინი არ გვინდაო, იძახოდა და იმის კვალში იდგა. იმის გზასვე განაგრძობდა, ოღონდ უგერგილოდ. მეორე ნომერი მანდატი თვითონ გამოიწერა და კინაღამ ომის მოგებაც დაიბრალა, მანამ არ უტია სხვას, სანამ ზეზეურად არ გახმა. თქვენმა თაობამ სტალინი აღარ იცის. მის წიგნებს თქვენ არ კითხულობთ და საკლასო ისტორიის წიგნში მგონი ორჯერაა სადღაც ჩამოთვლაში ნახსენები. სტალინი ჩვენთვის მთელი ცხოვრება იყო, ბაბა, და ამიტომაა, რომ წამოვწითლდებით ხოლმე სახეზე, როცა გლახად ახსენებენ. მე რაც გამიკეთა, ხომ ხედავ, თუ ყურადღებით მისმენდი, ჩემზე დიდი მაგინებელი არ უნდა ჰყავდეს. მთელი ცხოვრება შიშში გამატარებია და უდანაშაულო კაცი ხუთჯერ ჩამსვა ციხეში. მაგრამ მაინც ვერ ვიმეტებ. რა ვიცი, რა მემართება, სტალინი ჩემი სისუსტეა მაინც. იქნებ იმის გამოა, რომ მე, ყოველთვის ასე საწყალი და უჩინო, მისი მსოფლიო ღონის მოწიწებაში ვარ, იქნება თავისი დიდი ჭკუით და მოჩვენებით თუ ნამდვილი უბრალოებით მომნუსხა. იქნება უბრალოდ შესახედავად მომწონს, ულვაშიანი, ლამაზი კაცი იყო, თვისივე გამოგონილი ორდენმედლებით და ზიზილპიპილოებით მკერდი რომ არასოდეს აუჭრელებია. რა ვიცი, ძალიან მინდა სწორად ვაფასებდე და მესმოდეს მისი გამკრიტიკებლების, მაგრამ მაინც ვერ მივიტანე გულთან მისი აუგად ხსენება. შეიძლება სტალინის სწორად შეფასება ჩვენმა თაობამ ვერც მოახერხოს. ერთში მაინც უნდა შეგეკამათო. კი, ბატონო, სტალინს ბევრი შეცდომა და ნაკლი ჰქონდა, გეთანხმებით, მაგრამ რაღა მარტო სტალინის მიმართ ვართ ასე ობიექტურები. მეც მომხრე ვარ, კაცი ყველანაირად შევაფასოთ, მაგრამ მარტო სტალინზე გავავრცელოთ ეს წესი? თუ დაგიწერიათ, აბა, სადმე ორჯონიკიძეს ან მახარაძეს ესა და ეს შეეშალათო. დავიჯერო ახლა ჩვენი ქვეყნის საჭესთან რომ იმთავითვე დადგნენ, მათ შორის მარტო სტალინს ჰქონდა ხასიათში ნაკლი და სხვას არავის? ესაა, გულს რომ მტკენს. თუ მართლის თქმა გადავწყვიტეთ, ყველას მიმართ მართალი ვიყოთ, თორემ ასე შერჩევით, ალაგალაგ სიმართლეს ხალხი არ დაგვიჯერებს.

მოგაბეზრე თავი. ვიცი, ახლა სტალინზე ლაპარაკის დრო არ არის, ასე ფიქრობ შენ. დღევანდელ საქმეს უნდა მივხედოთ. კი, ბატონო, მაგრამ შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ და თუ უკან არ მოიხედე, წინა კაცის ნავალი არ გაითვალისწინე, წინ წასვლა გაგიჭირდება.

კაი ფიქრებით მოხვედით, მე და ჩემმა ღმერთმა. გიყურებთ და მიხარია. გული იმაზე მწყდება, რომ მხოლოდ გიყურებთ და მეტი არაფერი. მე ახლა, ოთხმოცდაათს მიტანებული კაცი, მარტო სიტყვარჩევით თუ შეგეწევით, თორემ ჩემი მარჯვენა რაღაში გამოგადგებათ.

არ დაიღალოთ და არ მოგწყინდეთ, ამ ერთს გთხოვთ მხოლოდ. სიმართლის გასაღები მარტო ჩვენ გვაქვს ჯიბეშიო, ამასაც ნურასოდეს იფიქრებთ. კაცს ფიქრის გაცხადების რომ შეეშინდება, ის კაცი თქვენი ერთგული ვერ იქნება, ბაბა. ამიტომ კაი ბიჭები მაშინ იქნებით, თუ სხვანაირი ფიქრისთვის ადამიანისშვილს არ შეიძულებთ. მოუსმინეთ იმასაც. გაარკვიეთ, იქნებ, სიმართლეს ამბობს, რაღაცა მიზეზმა ხომ გაუჩინა ის სხვანაირი ფიქრი თავში.

გაღმერთება და გაბელადება, ვისიც არ უნდა იყოს, ამ თქვენს დროში მაინც სასაცილოა და თუ შეგაფერხებთ, თორემ კარგს არაფერს დაგმართებთ. ადამიანი ისედაც ორი დღითაა მოსული ამ წუთისოფელში და ნუ გაამწარებთ. მიხარია, აბა არ გამეხარდება შიში რომ გაიპარა ჩვენი ოდის ჭუჭრუტანებიდან?

ჯერ სადა ხართ. ვეშაპის სისხლზე ამოსულ დევებთან შერკინება აწი გიწევთ. ჯერ კაცთა უჭკუობით გამრუდებული გზა უნდა გავასწოროთ ახლებურ ლართარგზე. სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფას უნდა გადავეჩვიოთ. არ გამოდგა საერთო გობში ხელის ფათურის წესი იმიტომ, რომ ზოგს დიდი პეშვი აღმოაჩნდა და ზოგს პატარა. ჩემსას და შენსას ნუ აურევ ერთმანეთში ჩემს მოსატყუებლად და ყველაფერი კარგად იქნება. ნუ წამართმევ ჩემს ჭადს და ნუ გამიხდი მერე სახვეწრად; ცოტა მომიტეხეთქვა.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბაბა. მე იმითაც მადლობელი ვარ და იმის ფიქრით მაინც მშვიდად ჩავალ სამარეში, რომ სწორედ შენმა თაობამ მალაპარაკა შენთან ასე თავისუფლად, შიში გამორეკა ჩემი დარჩენილი დღეებიდან.

ბატონო სტუდენტებო

აქეთ რომ მოვდიოდი, ვფიქრობდი, რა იყო მაინც ეს ავბედითი მეოცე საუკუნე.

რა ყურეებს, რა ფიორდებს მიახეთქა ეპოქამ ჩვენი ისედაც ძილგამკრთალი ქვეყანა.

საქართველო დაემსგავსა ბელურას გემის ანძაზე, რომელსაც აფრენის ეშინია, რაკიღა ძალა არ შესწევს თავისი სუსტი ფრთებით ზღვა გადალახოს, არადა, იალქნის ფართხუნსა და გრიგალთა ღრიალში გემის ანძაზე დარჩენაც კარგს არაფერს უქადის.

ერთი „ბელურას“ ბედზე გიამბობთ დღეს:

***

მე ვარ ერმალო კვაშალი. ჩემს ბოლო პასპორტს თუ დავუჯერებთ, ას წლამდე ორი თვეღა დამრჩა. თუ შემასრულებინა გამჩენმა ასი, ხომ კარგი და კეთილი; თუ მანამდე მიმიღო უფალმა, მაინც ვერ დავემდურები. მართალია, მძიმე ცხოვრება მქონდა, ფათერაკიან გზებზე მატარა ჩემმა ბედმა, მაგრამ ას წელიწადს რომ მაყურებინა ამ ქვეყნისთვის, პატარა საქმეა? ვინ დაგიჯერებს, თორემ ას წელს გადაცილებული ვარ ნამდვილად. ოზურგეთის იმ პატარა სოფელში (საჩხართვე იქნებ გაგიგონიათ), სადაც მე გასულ საუკუნეში დავიბადე, ეკლესია არ იყო. სამრევლო სამსახურით საჩხართვედან თვრამეტ ვერსზე, წმინდა გიორგის ტაძარს ვეკუთვნოდით. სიშორის გამო ღვთისმსახურებას შედარებით მოწყვეტილი ვიყავით; შობააღდგომის წირვაზე თუ ჩავიდოდნენ ჩვენები, თორემ სხვა დროს იქ მისვლით არ იკლავდნენ თავს. ბავშვს სამიოთხი წელი რომ შეუსრულდებოდა, მაშინ წაიყვანდნენ მოსანათლავად და მღვდელიც, როგორც ახალდაბადებულს, მონათვლის დღიდან გაატარებდა დავთარში. ასე რომ, ჩემი ვარაუდით, სამი წლით მაინც, უფროსი უნდა ვიყო იმაზე, რაც ქაღალდებში მიწერია, მაგრამ, ვთქვი, მისი არ იყოს, ახლა ამას ვინ დაგიჯერებს. მოწმეები – დედაჩემი და მამაჩემი და, რა კითხვა უნდა, ის მღვდელიც, მე რომ მომნათლა, კარგა ხანია მიწაში წვანან.

ამ სიტყვებს ჩემი ბადიშის ბადიშს, ფერშალ ცირუნიას ვკარნახობ. წერაკითხვა როგორ არ ვიცი, მარა თვალისჩინი აღარა მაქვს. ჩაიწერს ცირუნია და მერე წამიკითხავს. თუ მომეწონა, ესე იგი, თუ სწორად ჩაუწერია ამ ძღაბს, რაც ვილაპარაკე, ხელს მოვაწერ და თბილისში ხელნაწერების მუზეუმში გავაგზავნინებ. ხელნაწერებს ყიდულობენო, ვიღაცამ მითხრა. მე, ბატონო, ამ ხელნაწერებში კაპიკი არ მინდა. თუ სადმე გამოუძებნიან პაწაწკინტელა ადგილს და შეჩურთავენ, სიკვდილამდე მადლობელი ვიქნები. მე, შეიძლება, არავინ არ ვარ და ჩემი ცხოვრება რა სამაგალითოა, მაგრამ ეგებ ვინმეს მოხვდეს ხელში როცა იქნება, და უბრალო კაცის მოგონებითაც დაინტერესდეს. ჩემნაირები იკარგებიან უკვალოდ, თორემ დიდი პიროვნებების ისედაც ყველამ ყველაფერი იცის. მთლად ჩემი

ბრალიც არ არის, ცირუნიას საქმე რომ გავუჩინე. სოფელმა შემაგულიანა. უკარნახე და ჩააწერინე, რატომ უნდა დაიკარგოს, შენი ამბავიც იცოდეს ქვეყანამო. გადავდევი, გადავდევი ეს საქმე და ამ დილით, ნამეტანი რომ შემაქანავა წნევამ, ალბათ, მივყავარ გამჩენსმეთქი და ცირუნიას ვუხმე. ბევრი ლაპარაკის თავი არა მაქვს. ნელა და მოკლედ მოვუყვები. ჩქარა რომ ვილაპარაკო, ჯერ ერთი, მალე დავიღლები და მეორეც, ჩაწერას ვერ მოასწრებს.

სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი დავამთავრე. სასწავლებელი არც ერქვა. ნადეკანოზარ შამშე ლომჯარიას თავის ოდაში უფასო სკოლა ჰქონდა გახსნილი, შვიდიოდე ბავშვს გვამეცადინებდა. თან რომ გადაკვდომოდი, სასყიდელს არ გამოგართმევდა. რამდენჯერ მინახავს, კეტით რომ გამოკიდებია ეზოში ბათმანი ლობიოთი და მხარზე შეგდებული თიკნით შესულ მშობელს. „რას ჰქვია, ვინ გგონივარ, წერაკითხვის სწავლებაში ხელი მევითბო და ისედაც გაჭირვებულ გლეხს ლუკმა გავუყო, რა შემატყვე ამისთანაო!“

ლომჯარიას სკოლა რომ გავათავე, მამაჩემმა ჩემი სწავლაგანათლება მოსტუმრებულად ჩათვალა, თოხი მომცა ხელში და წინ გამიძღოლა. ვიღას დავუმალო, ვერ გამოვდექი კარგი მუშა მაინცდამაინც. ჯერ ერთი, ბავშვი ვიყავი და არაქათი ჩქარა მეცლებოდა, მეორეც, არ ვიყავი, საერთოდ, მთლად ჯანმრთელი. სუსტი ბავშვები ბუნებით ხომ იბადებიან. თორმეტის რომ შევსრულდი, ოზურგეთში ჩამიყვანეს და ვაჭარ როყვას მიმაბარეს დუქნის ბიჭად, ნოქრის დამხმარედ. მაშინდელი დუქნები, ახლა რომ მაღაზიები იცით თქვენ დახლით და ვიტრინებით გაწყობილი, ასეთი კი არ იყო. დუქანი ერქვა და ფაქტობრივად სასურსათო მაღაზიაც იყო, სასადილოც და თუ გნებავს, სასტუმროც. გზაზე შეგვიანებულ ორსამ კაცს ყოველთვის შეეძლო ღამის გათევა. მყიდველი რომ შემოვიდოდა იტყოდა, რაც უნდოდა, მედუქნე მე მიბრძანებდა, გავვარდებოდი მეორე ოთახში და გამოვურბენინებდი, თუ გვქონდა, რასაკვირველია. ეს ვიტრინები და გაფორმებული დახლები მერე შემოვიდა მოდაში, მე მგონი, პირველი ომი რომ გათავდა, მას მერე.

ერთხელ, გუშინდელივით მახსოვს, აპრილი იწურებოდა, ჩვენს დუქანში ღამე გაათია რევოლუციონერმა დოროთე ჟღენტმა. თვითონ მითხრა: პარტიული ვარ, დოროთე ჟღენტი, რევოლუციის სამსახურში ვდგავარ და სადმე მოჩუმათებულში გამიშალე სუფრა, ჩემი აქ ყოფნა არავინ გაიგოს, თვარა ცხელი ტყვია არ აგცდებაო. ნაბდიანი, საშუალო ტანის, შავწვერულვაშიანი კაცი იყო, ოცდაოთხში დახვრიტეს საწყალი. მედუქნე, ჩემდა იღბლად, ბათუმში საქონლის ჩამოსატანად იყო წასული და მარტო ვიყავი დუქანში. შეცბუნება რომ შემატყო, ცხვირპირზე ხელი ჩამომისვა და ღიმილით მითხრა: „არ შეგეშინდეს, არაფერს გერჩი, შენისთანა გაღლეტილების გასამდიდრებლად ვიბრძვი და ვქიჩმაჩობ მეო“. საწოლ ოთახში შევიყვანე. მე ვუთხარი: ეს ჩემი აღას საწოლია და მოისვენე, მეც, გული რომ დამშვიდებული გქონდეს, აგერ დავწვები წკნელის ტახტზე, თუ ნებას მომცემმეთქი. მე და მედუქნეს, ჭანია იყო, სენაკელი, ერთ ოთახში გვეძინა.

რომ არ გავაგრძელო, იმ ღამეს ბევრ რამეზე ამიხილა თვალი რევოლუციის კაცმა. გამარკვია, რა უჭირდა ყაზახს და რას ქადაგებდა მარქსიზმი. სხვათა შორის ილია ჭავჭავაძის სახელიც პირველად გავიგონე მაშინ ჟღენტის პირიდან. ილიას საქართველოსთვის გლახა კი არ უნდა, მარა არ ესმის პროლეტარიატის ბრძოლის საქმეო. მაგას ჰგონია, ქვეყნის განთავისუფლება რუს მუშასთან კავშირის გარეშე შეიძლებაო. შეგვაწუხა პირდაპირ, ხელს გვიშლის მუშაობაშიო. გითხრა სიმართლე, ჟღენტის ნათქვამიდან გამომდინარე, მეც ქე დამწყდა გული იმ ღამეს ილიაზე. რა მესმოდა უტუ ბავშვს. მერეც, პარტიული რომ გავხდი, კაი ხანს ვიყავი ჟღენტის და მისთანების აზრის ტყვეობაში, ილიას სიბრძნეს სანამ ჩავწვდებოდით, ბარე ოცდაათი წელი (თუ მეტი არა) დაგვჭირდა. იმღამინდელმა ჩვენმა სერობამ ის შედეგი მოიტანა, რომ ორი კვირის თავზე რსდმ პარტიის წევრი გავხდი. მაშინ პარტიის წევრობა მარტო სურვილის მიხედვითაც არ იყო. ერთორ დავალებას მოგცემდნენ, გაგესაუბრებოდნენ, ცოტა გასაწევრიანებელ თანხასაც გამოგართმევდნენ და პირობას ჩამოგართმევდნენ, რომ ცოცხალი თავით აგებდი პასუხს პარტიის საიდუმლოს გაცემაზე. იმ სამ კაცს 11 მაისს ოზურგეთის ერთ მიტოვებულ ფაცხაში რომ მიმიღეს პარტიაში, მერე, ვერ დავმალავ, აღარსად შევხვედრივარ. მარტო ჟღენტი მოდიოდა ჩემთან და შუაღამეგადასულზე ოზურგეთის რამდენიმე ადგილას პროკლამაციებს მაყრევინებდა. ერთორჯერ ზედ პოლიციის კანტორის ეზოში ჩავფანტე. კაციშვილს არ გაუგია მეორე დღემდე.

ნასაკირალი, რევოლუციის დამარცხება, ალიხანოვავარსკის მათრახები გამოვიარე და ათას ცხრაას ცხრა წელს თბილისში ჩამოვედი. თბილისში ჩემ ჩამოსვლას ორი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი,

ჯარში გაწვევას გამოვექეცი, ნამეტანი დამსდევდნენ, დეზერტირად ვიყავი გამოცხადებული და ოზურგეთბათუმში გაფაციცებით დამეძებდნენ. ვიფიქრე, თბილისში უფრო დავიმალებიმეთქი. საღსალამათი ვიყავი, მაგრამ არ მინდოდა იმპერიის სალდათის ჩექმების ჩაცმა. მეორეც, მინდოდა ჩემი თავი რევოლუციურ მუშაობაში უფრო მეტად გამომეცადა. თბილისში ჟღენტის სარეკომენდაციო წერილით ჩამოვედი და ტრამვაის დეპოს სოციალდემოკრატიულ უჯრედს მივაკითხე. მაშინ უკვე გათიშული იყო პარტია ბოლშევიკებად და მენშევიკებად. მახსოვს, შალისკიტელიანმა, დაბალმა კაცმა (თუ არ ვცდები, ბუცხრიკიძე იყო გვარად) მთელი საათი არკვია ჩემი „პოზიცია“ პარტიულ საკითხში. მაშინ „პოზიციას“ ეძახდნენ. ახლა არ ვიცი, ეგებ სხვანაირად გამოითქმის. ვის მხარეზე ხარ, ბოლშევიკების თუ მენშევიკებისო. ვინც კარგად წაიყვანს მუშაკაცის საქმეს, იმის მხარეს ვარ, ჩემთვის სულერთია, ორივე ჩემი ძმებიამეთქი. ასე შუაში არ ივარგებს ყოფნა, ან იქეთ უნდა იყო, ან აქეთო. რა იყო, რა ვერ გაიყვეს, რაზე ჭამენ ერთმანეთს ამიხსენი ერთი კაცურადმეთქი. მთლად გასაგებად ვერ ამიხსნა, მაგრამ რაღაცრაღაცებს მაინც ჩამახვედრა და, რაკი თვითონ ბოლშევიკი იყო, მირჩია, ბოლშევიკებთან ვყოფილიყავი. მეც საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. ისე, რომ შერიგდებოდეთ, უკეთესიამეთქი, ჩემთვის ჩავილაპარაკე, ბუცხრიკიძეს რომ ვშორდებოდი. შევატყვე, შერიგება ჩემი საქმე ხომ არ იყო და არ იყო, არც ბუცხრიკიძეს ეკითხებოდა მაინცდამაინც.

ვმუშაობდი ბოლშევიკებთან, მაგრამ ნოე ჟორდანიას, ჭოლა ლომთათიძის, კარლო ჩხეიძის, ისიდორე რამიშვილის და სხვების მიმართ პატივისცემა გულში მაინც მქონდა. არ დაგიმალავ, ყველა კრებაზე ვთათხავდით მენშევიკებს. მე ბევრი არაფერი მესმოდა ამ პლათფორმობიის. ჩემნაირი გაურკვეველი არაერთი იყო მაშინ პარტიაში. ადრე ოზურგეთში და ბათუმში მოსმენილი მქონდა ზემოთ ჩამოთვლილი პირების გამოსვლები და, გითხრა სიმართლე, ძალიან მომწონდა. მოგვიანებით, 1913 წელს, თბილისში ლექციების წასაკითხად ჩამოსულ კარლო ჩხეიძეს და ალექსანდრე კერენსკის ერთად რომ მოვუსმინე, თუმცა დავალებული მქონდა მეყვირა: „ხალხის მოღალატეები ხართ, გვატყუებთმეთქი“, მაგრამ ისე ლამაზად ილაპარაკა ორივემ, ხმა ვერ ამოვიღე და უჯრედში ამის გამო საყვედურიც შემხვდა. სხვათა შორის, კერენსკი მეორეჯერ 1926 წელს ვნახე პარიზში პერლაშეზის სასაფლაოზე, საწყალი კარლო ჩხეიძის დაკრძალვაზე. გეცოდინებათ, ალბათ, რომ კარლო ჩხეიძემ სამართებლით ყელი გამოიჭრა პარიზში და ამით დაამთავრა თავისი გაუხარელი სიცოცხლე.

თუ თავი ნამეტანი მოგაბეზრე, მკითხველო, შევისვენოთ და ნასადილევს განვაგრძოთ. ისე, ვატყობ, ჩემი ცირუნიაც დაიღალა. მთქნარებას მოუხშირა.

ათას ცხრაას თოთხმეტი წლის მარტში დეპოს მუშებმა გაფიცვა გამოვაცხადეთ. გაფიცვის ხელმძღვანელობა ხუთ კაცს ჰქონდა დავალებული. იმ ხუთში მეც ვერიე. სამ დღეს ვიყავით გაფიცულები. მერე ნაძალადევში დემონსტრაცია მოვაწყვეთ და პოლიციასთან შეტაკება მოგვიხდა. კაცი არ მომკვდარა, მაგრამ მაინც კარგა მაგარი შეხლაშემოხლა იყო. მუშებმა ვიმარჯვეთ და ბარე ორ პოლიციელს უკანალზე ვურტყით მათთვისვე წართმეული მათრახები. იმ საღამოსვე გამომეცხადა სამი ჟანდარმი სახლში. დამავიწყდა მეთქვა, რომ 1911 წელს ცოლი შევირთე და ამ დროისათვის ორი წლის ბიჭი მყავდა. გულდაგულ გაჩხრიკეს ჩემი ბინა. პროკლამაციები და ლენინის „ორი ტაქტიკა“ მიპოვეს, დამაპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩამაყუდეს. ორ თვეს იძიეს ჩემი საქმე, მაისის ბოლოს გამასამართლეს. სტავროპოლის ოლქში ხუთი წლით გასახლება მომისაჯეს და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მარტო ცხოვრება. სტავროპოლში ჩაყვანიდან მეოთხე დღეს გავიქეცი. სხვათა შორის, სანამ სოფელში ჩამიყვანდნენ, მანამდე მოვასწარი გაქცევა პატიმრების გამანაწილებელ პუნქტიდან. მაშინ საპატიმროდან გაქცევა, ახლანდელთან შედარებით, გაცილებით უფრო ადვილი იყო. როსტოვში ჩამოვედი, როსტოვიდან ასტრახანში, ასტრახანიდან ორ რევოლუციონერ მუშას ბაქოში წავყევი, იქ ცოტა წავიმუშავე სხვისი გვარით და ნოემბერი ახალი დაწყებული იყო, შუაღამისას, ჩემი სახლის კარს რომ მივუკაკუნე. ცოლი სიხარულისგან კინაღამ გაგიჟდა. მეორე დღეს სოლოლაკში დავიქირავე პატარა ნახევრად სარდაფი, ჩემი ოთახნახევრიანი ფაცხა ნაძალადევში დროებით მივაკეტე და ცოლშვილი სოლოლაკში გადავიყვანე. ტრამვაის დეპოს, რასაკვირველია, აღარ გავკარებივარ. კაზარიანის სახერხში დავიწყე მუშაობა, რა თქმა უნდა, სხვისი გვარით. თუ ძალიან გაინტერესებთ, ბაჯელიძე მეწერა ქაღალდებში.

ამასობაში ათას ცხრაას ჩვიდმეტიც მოვიდა.

რევოლუციის მოხდენაში დიდი მონაწილეობა მივიღეთმეთქი, რომ გითხრა, არ იქნება მართალი. სხვათა შორის, ჩვენთან ჩვიდმეტი წლის თებერვლიდან მოყოლებული არაჩვეულებრივი სიწყნარე

იყო. მე კრებამიტინგს არ ვაცდენდი, მაგრამ დიდი რიარიის და ჯანყის მაინცდამაინც არაფერი შემიმჩნევია. დაბნეულობა იგრძნობოდა. საერთოდ, ერთმანეთს წაეწყო მეფის გადადგომა, დროებითი მთავრობის დადგომა და მერე დროებითი მთავრობის ჩამოგდება. რევოლუცია, ფაქტობრივად, პეტერბურგში მოხდა და მართალია გალაკტიონი, რომელსაც როგორც მითხრეს, ერთ ლექსში უწერია, ჩვენ ოქტომბერი დეპეშით მივიღეთო. მე თვითონ, ვერ მოგატყუებთ, ის ლექსი არ წამიკითხავს.

ნარევოლუციებზე დავიბრუნე ჩემი გვარი – კვაშალი და ისევ დეპოს მივაშურე. გადაქექგადმოქექეს ჩემი საბუთები და დეპოს საქმიანი კომისიის თავმჯდომარედ ამირჩიეს. ეს, დაახლოებით, ახლა ადგილკომის თავმჯდომარე რომ ჰქვია, იმას უდრიდა.

სამმა წელმა სამ დღესავით გაირბინა. ამ სამ წელიწადში დამოუკიდებელი საქართველო, მენშევიკური მთავრობის მეცადინეობით, ცნო ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, მე მგონია, იტალიამაც და ჰოლანდიამაც. წითელ რუსეთში მენშევიკების მთავრობამ გრიგოლ ურატაძის მეთაურობით დელეგაცია გაგზავნა. თუ მეხსიერება არ მღალატობს 1920 წლის შვიდ მაისს ხელშეკრულება დაიდო რუსეთსა და საქართველოს შორის. წითელი რუსეთი ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და მასთან კეთილ მეზობლობას, შინაურ საქმეებში ჩაურევლობასაც კისრულობდა. ერთი წელიც არ გასულა იმ ხელშეკრულების დადებიდან 1921 წლის ოცდახუთ თებერვლამდე. ჩემი თვალით მაქვს ნანახი მეთერთმეტე არმიის შემოსვლა თბილისში.

ხალხი ჭრელია. არც მთლად ისე იყო, როგორც წიგნებში გიწერიათ, საქართველო ტაშით და სიმღერით შეეგება „გამათავისუფლებელ“ მეთერთმეტე არმიასო და არც ისე იყო, გაქცეული მენშევიკები ფრანგულ გაზეთებში რომ წერდნენ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოდნენ ქართველები მეთერთმეტე არმიის ნაწილებსო. ცოდვას ვერ დავიდებ, გასაბჭოებას ჩვენში მომხრეებიც ბევრი ჰყავდა.

მერე ის იყო, ოცდაერთი წლის ივნისში საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ერთ კომისარს გამოსვლის დროს ვკითხე, როგორ იქნება საქართველოს მომავლის საქმემეთქი. ის, რაც აქ მოხდა, ხელშეკრულების დარღვევას ხომ არ ჰგავდამეთქი. ცოტა არ იყოს, დაბნეულად მიპასუხა: „ძალიან ჩამორჩენილხართ, ამხანაგო კვაშალო. მეთერთმეტე არმიის შემოსვლა თქვენი თხოვნით მოხდა. წითელმა რუსეთმა თქვენ უცხოეთის ინტერვენციისაგან გადაგარჩინათო“. არ შევკამათებივარ. „თხოვნაზე“ მე ჩემი აზრი მქონდა, მაგრამ ეს შეკითხვაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მესამე დღეს დავეჭირეთ. დამაპატიმრეს შუაღამისას. ნიკოლოზის პოლიციას მე მგონია, ასე ზუსტად განსაზღვრული დრო არ ჰქონდა დაპატიმრებისათვის. არ ვიცი, გითხარი თუ არა; 1914 წელს ჟანდარმერიამ საღამოს ექვს საათზე ამიყვანა. ოცდაერთი წლიდან მოყოლებული შუაღამეგადასულზე ჩხრეკა-დაპატიმრება, ჩანს, უფრო მოხერხებულ დროდ იქნა მიჩნეული. როგორც მითხრეს, ოცდაჩვიდმეტშიც „ხალხის მტრებს“ ძირითადად ნაშუაღამევს ესტუმრებოდნენ წასაყვანად.

იმ ხანებში პოლიტიკურად არასაიმედო პირებს ციმბირში აღარ ასახლებდნენ. გაციმბირება მეფის რუსეთის მავნე პრაქტიკად იყო მიჩნეული. ალბათ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ, იქნებ არც კი დაიჯეროთ, მე, როგორც საბჭოთა ხელისუფლების არაკეთილმოსურნე, ევროპაში გამასახლეს. თავდაპირველად ჰოლანდიაში ამოვყავი თავი. უპასპორტო და უპატრონო კაცის ამბავი მოგეხსენებათ. ყველაფერი ჩამომართვეს და ერთადერთი ცნობა ჩამიდეს ჯიბეში. იმ ცნობაზე ეწერა, რომ მე ჩემი სურვილით მივდიოდი ევროპაში მუდმივ საცხოვრებლად. ვიჩოჩე, ვიჯახირე და, ეგრეთ წოდებულ, ქართულ ემიგრაციულ მთავრობასთან – ნოე ჟორდანიასთან მივიტანე თავი.

დიდი სიყვარულით არ შემხვედრიან გაქცეული მთავრობის წევრები, მაგრამ როგორც ემიგრანტი და სოციალდემოკრატი, შემიფარეს და უფლება მომცეს, პარტიის კრებებს დავსწრებოდი.

მუშაობა დავიწყე „სიტროენის“ საავტომობილო ქარხანაში და კვირაში ერთ დღეს, ხან ლევილში და ხან პარიზში, ქართველებთან ვატარებდი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ხათუნა ჩიტაძე

დაკემსილი (ხსოვნა)

ვერ მოვისვენე. ისევ გამოვიტანე სამზეოზე...

მთელი დღეა, ხმაამოუღებლად, ნემსთან ერთად დავტრიალებ თავზე და ჩაცვენილ, გაცრეცილ, ფერგასულ ფხაჭებსა და თვალჩაქცეულ, ჩაჭდეულ-ჩამღვრეულ ქსოვილს ვებრძვი. სიძველესა და დროს თავისი გაუტანია.... გული შემეკუმშა...

...ბებო კერავდა, ქარგავდა, ქსოვდა, იყო ყაისნაღის უბადლო მომ-ხმარებელი და საერთოდ, ზედმიწევნით კარგად ფლობდა ხელსაქმეს, მე, მისი ანასხლეტი ვარ მხოლოდ, მისი აჩრდილი...

ახლაც თვალწინ მიდგას ძველისძველი ,,ზინგერის", ფეხის საკერავი მანქანა, რიმა ბებო, მანქანის ხმა, ნაირფერი ძაფები, ნემსები, მაქო... ბებოს შეკერილი ულამაზესი სამოსი, ჩემი ძმების დაგვირისტებული ფარჩა-ატლასის ხალათები, –ისეთი, ორივე მხრიდან რომ იცვამდნენ. მახსოვს ბებოს ლაბადა, შავი ბეწვით, მისი შემოქმედება და გვირგვინი – ,,რედიკული", მაღალყელიანი, შავი ხელთათმანებით, დახვეწილი, სრული სხეული, ნამდვილი ქართული სახე, სიამაყე და დიდბუნოვნება ერთად იყო შეხამებული მასში.

...ბავშვები არ მეშვებიან, ცხარობენ, რომ მათ ყურადღებას აღარ ვაქცევ! მაინც ვერ ვწყდები, დღეს, ახლა, აუცილებლად უნდა დავამთავრო ეს საქმე, გადადება არ შეიძლება!

ჩემი ხვეწნა-მუდარით ბებოს გული ჰქონდა გაწვრილებული, ოღონდ მანქანასთან მივეშვი, ისიც დამყვებოდა ხოლმე და ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. საშინლად განვიცდიდი, როცა მაქოში ძაფი ჩამეხვეოდა და ვერ ვასწორებდი. ბებო მოვიდოდა, უხმოდ შეაკეთებდა და მეც, ბედნიერი, ისევ ვაგრძე-ლებდი.

თორმეტი წლის ვიყავი რომ გარდაიცვალა!.. კარგა ხანს, მანქანას არ შევხებივარ, ჩუმად ვტიროდი, როცა მის ოთახში შევდიოდი და მანქანა დუმდა, უფრო სწორად ორივე ერთად ვტიროდით – მე და მანქანა... კრემისფერ ზედას იკერავდა ბოლო ჯერზე, ოქროსფერი სირმებით მოსილს და დარჩა ის ზედა უმკლავებოდ... დავიქადნე, მე დავასრულებ ბებოს ხელმონაკიდია-მეთქი... ვერ დავასრულე! უფრო სწორად, ვცადე, მაგრამ ისეთი ვერ შევკერე, როგორიც ჰქონდა ჩაფიქრებული!

დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო და ვწერო ჩემს გამორჩეულ, ძლიერ, ამაყ, და საოცრად დახვეწილ ბებიაზე – რიმა თიკანაშვილზე, დღეს კი თავაწეული ვამბობ, რომ მეც ბებოსავით შემიძლია თვგანწირვა! იმ საქმის კეთება, რომელიც ჩემი ფესვებიდან ასე უშურველად მოედინება!

მაინც შევძელი! – დღის სინათლეზე გამოტანილი, ბებოს ხელით შექმნილი, ულამაზესი ხალათი, შავი, ჭრელი ყვავილებით მოჩითული ფარჩა-ატლასი ისევ გამოვაცოცხლე! ყველა სიძველე, წლების ქარიშხალი და ტკივილიანი ღარი ამოვავსე!

მე სხვაგვარად არ შემიძლია! ბებოს ხალათი ჩემი ლექსის მუზაც გამხდარა და დღეს, ისე მარგია ტანთ, როგორც ამ ორმოცი წლის წინ ამშვენებდა თიკანაშვილების დიდებულ ქალბატონს!

დაკემსილი!

– და მაინც, მეორე სიცოცხლე!

2017 წელი, იანვარი

მეზობლის ბიჭი

ბავშვობაში, ერთმა პატარა მეზობლის ბიჭმა,რომელიც ყველაზე უცნაური და მშვიდი იყო, – თავი გამიტეხა! სულ მახსოვს, ან რა დამავიწყებს, როცა მზრუნველობასა და სიკეთეს ვიჩენდი მის მიმართ, არ მენანებოდა არაფერი, როდესაც ცუდად იქცეოდა, ვესაუბრებოდი, ვარიგებდი. ბავშვები უბანში არ ეთამაშებოდნენ, რადგან ასაკით მათზე ცოტათი დიდები იყვნენ, ამიტომ არაფრად აგდებდნენ. მე კი მასზეც და იმ ბავშვებზეც ცოტა დიდი ვიყავი, ამიტომ ვესარჩლებოდი ყველას, როცა ტუქსავდნენ და ლანძღავდნენ. მერე იმ ბიჭს მივუბრუნდებოდი და ვუხსნიდი, რომ ასე მოქცევა არ შეიძლებოდა. ცელქი იყო, ჩუმი ცელქი, მაგრამ ისეთი საცოდავი ტირილი იცოდა, რომ დედა რომ გალახავდა გული მტკიოდა, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ არც მე ვაკლებდი, ზედმეტი მზრუნველობით ლოყებზე ვჩქმეტდი, ხან თავში წამოვარტყამ-დი, როცა დარიგებას არ ისმენდა და გაჯიუტდებოდა. რამდენჯერმე, შუადღით ჩაძინებულს, ოთახში ფანჯრიდან გადავძვრებოდი და ვაღვიძებდი, მერე ვთამაშობდით, და ახლაც მახსოვს დედამისის გაოცებული სახე, – ეს აქ საიდან გაჩნდაო.

ბავშვობა ერთი დიდი გაკვეთილია, რომელიც ზრდასრულობაში და ცხოვრებაში თითქმის უცვლელად მეორდება!

ერთ დღეს, ბავშვებს ბურთი დაგვიგორდა ორმოში. მე გავიქეცი, ბავშვებო, ამოვიღებ, არ ინერვიულოთ-თქო. ხო და, როდესაც ჩავიმუხლე და ბურთს ძლივს მივწვდი, უეცრად თავში ძლიერი ტკივილი ვიგრძენი. თვალებში დამიბნელდა და შუბლზე სისველე ვიგრძენი. ავიხედე და ეს ჩემი, ყველასგან გამორჩეული ბიჭი ჟანგიანი, სადღაც ნაპოვნი ბარის პირით ხელში მედიდურად და ბედნიერად დამყურებდა ზემოდან, გამომეტყველებით: – ხომ მოგიხელთე, როგორც იქნაო!

თავზე მეტად გული მეტკინა!

ასე 11-12 წლის ვიქნებოდი, როცა პირველად შევეჩეხე მადლიერებასა და უმადურობას!

მახსოვს, როგორ გავრბოდი სახლში იმ იმედით, რომ საღამო იყო და მამა სახლში დამხვდებოდა, ყვირილით შევვარდი ოთახში და გასისხლიანებული ხელით მამას შემოვეხვიე.

...მერე, მამაჩემი მახსოვს, როგორ დარბოდა იოდითა და ბამბით ხელში და ფიქრობდა, ჭრილობა გასაკერია თუ არაო...

დღეს, აღარ ვარ 11-12 წლის, მაგრამ ცხოვრებამ თავისი სისასტიკე უკვე ბევრჯერ დამანახა და თავიც გამიტეხა არაერთხელ! აღარც მამა მყავს, რომ საშველად მისკენ გავიქცე... მე კი მინდა გითხრათ, რომ ის ბიჭი დღესაც ძალიან მიყვარს და თუ დასჭირდება ჩემი დახმარება, მაინც მის გვერდით ვიქნები! იქნებ ოდესმე იმ ბარით თავი კი არ გაუჩეხოს ვინმეს, არამედ დაბაროს და კეთილი მოსავალი მოიწიოს! იქნებ!

02.09.2017

8 აგვისტო (ათი წლის შემდეგ)

ზარის ხმა მესმის, რომელსაც წკრიალი არ ახლავს თან... ბინდია და სევდა ნაცრისფერი ცრემლის გუბურებში ჩასვენებულა... ცხელა, მზით არა, უფრო დარდითა და ტკივილით.

აგვისტოა!

8 აგვისტოა!

ახლა, უმამოდ წამოზრდილი გმირთა შვილები უფრო მეტი სიმძაფრით თამაშობენ სახლობანას! უფრო მეტად ეჯიბრებიან ერთი-მეორეს უცოდველი ხელებით შემოსაზღვრული, აგურისა და ცარცის ნაჭრებით შემოხატული სახლების სიყვარულში!

გაიზრდებიან!

მერე ყველაზე მტკიცე სახლებს ააშენებენ, ისეთს, მტერი რომ ვერას დააკლებს!

მჯერა და მწამს!

ახლა კი...

გულმოკლული დედები აცრემლებული თვალებით, გულში ლოცვით და სულის ტკივილით მისჩერებიან თავიანთ მომავალს და თამაშს, რომელიც ასე ჰგავს სიცოცხლის საზრისს, წინასწარმეტყველებას, იმედს...

მე ასე მჯერა და მწამს!

8 აგვისტოა...

... ვერაფერს ვიტყვი დედებზე, ვისაც ენატრება ყველაზე დიდი ტკივილი – საფლავები!!! ვკვდები, – როცა დედა შვილის საფლავს ვერ ეხება!

ვკვდები!

მე ომში ვარ!

მეც იქ ვიყავი!

თანავზიარობ უიმედოდ!

და მაინც:

– ითამაშეთ სახლობანა დარბეული მიწის ფესვმაგარო შვილებო! ითამაშეთ და იოცნებეთ, არ დაეკარგოთ დედებს იმედი. იმედი ღმერთია! ბოლო სიტყვები კი უფალს ეკუთვნის! ჯერ კიდევ ომში ვართ! არ დამთავრებულა ომი!

მეწვის 8 აგვისტო გულზე, სულსა და გონებაში!

... და მაინც, შორიდან მოისმის ზარის ხმა, რომელსაც წკრიალი არ ახლავს თან!

8 აგვისტო 2018 წელი

მოსწავლეებს (პანდემიის დროს)

სკოლაში ვაპირებდი ასვლას, ისეთი ნივთები მაქვს კარადაში დატოვებული, რომლებიც სახლშიც მჭირდება, განსაკუთრებით წიგნები, რვეულები და ის მასალები, ურომლისოდაც ვერც ვხატავ და ვერც ვწერ.

ვერ ავედი...

გავემზადე, მაგრამ ვერ ავედი...

არ შემიძლია ვუყურო კედლებს, რომლებიც თქვენით აღარ ხმაურობენ!

არ შემიძლია ვიარო იქ, სადაც აღარ ირეკება ზარი, არ ისმის პატარა გოგო-ბიჭების ხმაური, მისალმება, შეძახილი, ღიმილი, სირბილი, დინჯი სიარული და სხვა.

ზაფხულში ეს შეგრძნებები რა თქმა უნდა არსებობს, მაგრამ დადგენილ, ნაჩვევ წესებს, რომლებიც მრავალი წელია ჩვეულებრივად მიგვაჩნია, არ განვიცდით ასე ძალუმად ჩვენ, მასწავლებლები...

არდადეგები სხვა თემაა...

ვიცით, ეს ასე უნდა იყოს და არსებულ ყოველწლიურ რეალობაშიც, მაშინ, როცა მასწავლებლებს კიდევ დიდხანს გვიწევს სიარული, რათა ჩვენი ვალი პირნათლად მოვიხადოთ, აი, მაშინაც გვტკივა გულები, ჩაჩუმებულ სკოლაში რომ ვაღებთ კარს და შევდივართ.

ახლა ეს ყველაფერი გაცილებით მძაფრია!

ახლა იძულებით, რაღაც ვერაგი ვირუსის გამო, ასე ხელოვნურად შეწყვეტილი ჟრიამული გულს მიკლავს. არ დავფიქრებულვარ არასოდეს, თუ რაოდენ დიდი ტკივილი იქნებოდა უთქვენოდ ჩემი ყოფა.

როგორ მენატრებით!

იცით, რამდენჯერმე ვიტირე კიდეც, რადგან, ახლა იმ მოსწავლეებს, რომლებსაც დედიკოები საზღვარგარეთ ჰყავთ, ჩემი სითბოც მოაკლდათ...

განსაკუთრებით მენატრებიან ჩემი პატარა, პირველი საფეხურის მეგობრები.

ჩემი თვალციმციმა გოგო-ბიჭების ჩახუტება მენატრება!

„მასწავლებელო მიყვარხარ!" – მენატრება!

„მეც მიყვარხართ!“ – დაძახება მენატრება!

უთბილესი თქვენი ხელები მენატრება....

ძნელია დღეები უთქვენოდ, ჩემო ძვირფასო მოსწავლეებო!

სახლიდან დიდ სიყვარულს, მოფერებას გიგზავნით!

საოცრად გაიწელა დრო და ვიცი, ჯერ კიდევ დიდხანს მომიწევს ლოდინი.

ვერ ავალ სკოლაში უთქვენოდ. არ მინდა ცარიელ საკლასო ოთახებს შევხედო, გამოკეტილ, ჩარაზულ კლასებს ჩავუარო, დაცარიელებულ სამასწავლებლოს ვესტუმრო... მოიცდიან ჩემი ნივთები...

მე ვერ ვიცდი მხოლოდ, მე მეჩქარება თქვენთან შეხვედრა...

არ იფიქროთ, რომ ამ წერილს მარტო მე ვწერ, ასეთი ათასობით წერილი იწერება უამრავი პედაგოგის გულსა და გონებაში, ფურცელზე, თვალებში...

ვიცი, გენატრებათ სკოლა, კლასი, მეგობრები, გაკვეთილები, მასწავლებლები....

ღმერთს ვევედრები, ოღონდ მალე დასრულდეს ეს ნაცრისფერი, არაფრისმთქმელი დღეები, მალე შევაღოთ კარი ჩვენს საყვარელ სკოლაში, როგორც მოსწავლეებმა, ისევე მასწავლებლებმა. უფრო მეტად დავაფასოთ ერთმანეთი!

ახლა კი, ამ წერილით მე და ყველა მასწავლებელი გეფერებით და გეტყვით, რომ ძალიან, ძალიან გვიყვარხართ!

2 აპრილი 2020 წელი

შერიგება ახლებურად

ბავშვობა საოცარი სკოლაა, რომელიც თაობებთან ერთად იცვლება.

ბავშვობაში მზარავდა, როდესაც ნაჩხუბარი მეგობრები ვრიგდებოდით და ნეკი ნეკისას ვამბობდით, და ბოლო: ,, ვინც არ შერიგდეს, დედა მოუკვდეს!” ამ სიტყვების მერე მთელი გულწრფელობით ვცდილობდი შევრიგებოდი მეგობარს, რათა გათვლისა და შერიგების სიტყვების დასასრული, რეალობად არ ქცეულიყო!

დღეს, ჩემი პატარა შვილები და შვილიშვილები წაიჩხუბნენ და მარიამმა, ჩემმა უმცროსმა გოგონამ, შერიგების ახალ ხერხს მიმართა: – ,,ვინც არ შერიგდეს, თავი გაუსკდეს!”– და ახლებურ-რიტუალურად თავში გემრიელად წამოარტყა მეორეს შერიგების დასტურად.

22 აგვისტო ურეკი 2018 წელი

ლია ჩიქოვანი-გოგრიჭიანი

ახდენილი ოცნება

გაგრძელება
(დასაწყისი ანთოლოგიის #13-ში
ათინათის #50-ში)

7

ტაქსი ქალაქის ცენტრალური ავტოსადგურის წინ გაჩერდა. მძღოლს ხუთი ლარი მიაწოდა. კარები გააღო, ვიდრე მანქანიდან გადმოვიდოდა სადგურის მიმდებარე ტერიტორიას თვალი მოავლო. როცა დარწმუნდა, კობა არსად ჩანდა, მძღოლს მადლობა გადაუხადა და პირველსავე მიკროავტობუსში ავიდა. მძღოლმა ძრავი ჩართო და ნელი სვლით იწყო მოძრაობა. მალე მანქანების ნაკადს შეურთდა. ვაჟმა შვებით ამოისუნთქა. თავით სავარძელს მიეყრდნო და ფიქრებს მიეცა: "მრავალუცნობიან განტოლებას ჰგავს ადამიანის ბუნება, რომლის ამოხსნა ძნელია.

როგორ ვიფიქრებდი, რომ კობას, ჩემს მიმართ შერისძიების გრძნობა ამოძრავებდა. ღმერთს მადლობა, რომ თავი ასე ადვილად დავაღწიე. ოჰ, ღმერთო ჩემო, თუ სიზმარს რაიმე დაეჯერება, ნამდვილად ამიხდა ის, რაც წუხელ ვნახე. მე კი ადვილად გამოვძვერი, მაგრამ ჩემი მშობლები, უფრო მეტად დედაა გასაფრთხილებელი. უნდა დავურეკო და ვუთხრა, რომ კობას კარები არ გაუღოს და საერთოდ მოერიდოს... "ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო, ნომერი აკრიფა. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია, ტელეფონში ქალის ხმა გაისმა:

– გისმენ, შვილო. სადა ხარ?

– შროშას გავცდით. დედა, კარგად მომისმინე. სახლიდან წამოსვლის შემდეგ, კობას და მის მეგობრებს შევხვდი.

– მოხდა რამე?– შეშფოთებული ხმით იკითხა მარგომ.

– ისეთი არაფერი. ადვილად დავუძვერი ხელიდან, მაგრამ, გთხოვ, კარები არასოდეს გაუღო. მას მამაზე შურისძიება სურს და არაფერი დაგიშავოთ მეშინია!

– ნუ გეშინია შვილო, ალიკამ რომ გაიგო აქ იყო მოსული, მიხვდა მის მზაკვრულ ჩანაფიქრს და დაცვის სამსახურიდან ორი კაცი გამოგზავნა უკვე.

– ვამაყობ მისი გამჭრიახი გონებით, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავით. გამწარდა ძალიან, რომ ვერაფერი დამიშავა და დაიქადნა: ალიკას არ შევარჩენო.

– კარგი, შვილო. თავს მიხედე და აწი მაინც გახსოვდეს ვისი შვილი ხარ და ამ ქუჩის ბიჭებთან საქმეს ნუ დაიჭერ.

– კარგი, დედა. მე ხვალიდანვე წიგნებს ჩავუჯდები და საერთოდ არ გამოვალ გარეთ და თუ გამოვალ, ჩემს ძმასთან და დეიდაშვილთან ერთად.

არ იდარდო დედი. თავს მიხედე!

– შენც თავს გაუფრთხილდი შვილო, რომ ჩახვალ დამირეკე.

– კარგი დედა. დროებით.

– დროებით, შვილო!

მარგომ ტელეფონი მაგიდაზე დადო და ფიქრს მიეცა: "ეს რა შარი ავიკიდეთ, მაგრამ ვერ გამიგია რა უნდა ამ ბიჭს?

დანაშაული ნამდვილად ჩაიდინა, ალიკას ტყუილად არ გამოუტანია მისთვის განაჩენი. სხვა რომ ყოფილიყო ვინმე, კიდევ ვიფიქრებდი, რომ უდანაშაულოდ დაისაჯა და შურისძიება ამიტომ სურს-თქო!

მაინც ვერაფერი გამიგია ამ ხალხის. უეცრად გარედან ჩოჩქოლი შემოესმა ვიღაც იგინებოდა, ვიღაც გარბოდა... ქალი წამოდგა. გარეთ გამოვიდა და რას ხედავს – დაცვის თანამშრომელს დაეკავებინა კობა, რომელიც უშვერი სიტყვებით ამკობდა მიქაუტაძეების ოჯახს. ქალს ცივმა ოფლმა დაასხა. მუხლები მოეკვეთა და რომ არ წაქცეულიყო, აივნის მოაჯირს ჩაეჭიდა.

გაბრაზებულმა კობამ ნერვები ვერაფერით დაიმირჩილა, მან ცხელ გულზე მიიღო გადაწყვეტილება, ჩუმად შეპარულიყო ალიკას სახლში. რასაც ძვირფასს ნახავდა თან წაეღო.კვალის დაფარვის მიზნით

სახლისთვის. კი ცეცხლი მოეკიდებინა. ბევრს ემუდარნენ მეგობრები ასეთ ნაუცბადევ გადაწყვეტილებაზე უარი ეთქვა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

– თუ არ წამოხვალთ, მარტო წავალ. მის ლამაზ ქალბატონს ჯერ გავაპატიურებ, შემდეგ კი ძაღლივით დავაბამო, – იქადნებოდა.

– რა ვაჟკაცური საქციელი ეს არის კობა, – უთხრა ხვიჩამ – შენ ხომ არ გავიწყდება, რომ ახალი გამოსული ხარ ციხიდან და შენი ბოღმის გამო კიდევ არაფერი აიკიდო და არც ჩვენ დაგვღუპო.

– წადი შე დედალო, ნუ წამოხვალ. მე თავად მივხედავ ჩემს საქმეს.

თქვა და ალიკას სახლის მიმართულებით სირბილით წავიდა.

ხვიჩა და მეორე ვაჟი უკან აედევნენ, თუმცა, ხვიჩამ აზრი შეიცვალა და გზა აღარ გააგრძელა, რადგან არანაირი სურვილი არ ჰქონდა თანაკლასელის სახლის გაძარცვა–გადაწვაში მიეღო მონაწილეობა. იგი ალიკას სახლთან ახლოს, ქუჩის განაპირას, ჩამოჯდა. მეორე მეგობარი კი, რომელიც ბოლომდე მიჰყვა კობას, იმ დროს მივიდა სახლთან, როცა იგი რკინის გალავანს ზემოდან გადაევლო და ეზოში გადახტა. ცოტა შეყოვნდა, ერთი გაიფიქრა – მეც გადავხტე, თუ აქედან ვუვალთვალო ალიკა არ მოვიდესო – მაგრამ, მარტო როგორ მივატოვო მეგობარიო და გალავანზე ასასვლელად მოემზადა, რა დროსაც კობას ყვირილის ხმა შემოესმა. ცნობისმოყვარეობამ სძლია. ცალი თვალით შეიჭყიტა, რა დაინახა ხელებგადაგრეხილი მეგობარი, თავპირისმტვრევით გაიქცა. გზადშეყრილ ხვიჩას მიაძახა:

– მომყევი, კობა დაიჭირესო, – და ორივე თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

ირბინეს მანამ, ვიდრე თავი სამშვიდობოს არ დაიგულეს.

ალიკას სახლს უამრავი იარაღასხმული პოლიციელი შემოერტყა ირგვლივ. ყველაფერი დაათვალიერეს, მაგრამ საეჭვო ვერაფერი ნახეს.

თავად ალიკა გულამოვარნილი მოვარდა სამსახურიდან. რა დაინახა კობა, უთხრა: – "გაბმულხარ, ჩიტო, მახეში?"

ახლა კი ორჯერ სამი წელი მოგიწევს ხეხო ციხის კედლები და იქნებ ისიც მე დამაბრალო!

– წადი ერთი შენი! – გამოსცრა კბილებში კობამ, რომელიც ორმა პოლიციელმა მანქანაში ძალით ჩასვა და წინასწარი დაკავების იზოლატორისკენ წაიყვანა.

მიკროავტობუსი, რომლითაც ჭაბუკა მგზავრობდა, თბილისის ავტოსადგურ ოკრიბაში გაჩერდა. მგზავრები ჩამოვიდნენ.

– როგორ დავაჟკაცებულხარ და დამშვენებულხარ, შენ გენაცვალოს შენი დეიდა, ჩემო მზეჭაბუკო?! – უთხრა ციცემ და ბიჭი გულში ჩაიკრა.

– როგორ მიხარია რომ ჩამოხვედი და იქაურობას გამოეცალე, ამ ცოტა დროის მონაკვეთში როგორ მომნატრებიხარ, ჩემო ერთადერთო ძამიკო, – უთხრა მირზამ და მძლავრად– მოხვია მკლავები.

– მეც მომენატრე მირზა. კიდევ ერთხელ გიხდი მადლობას, რომ იქაურობას მომაშორე!

მე დღეს მივხვდი, თუ ვინ იყვნენ ჩემი ვითომ მეგობრები. უფლის წყალობით დავაღწიე თავი იქაურობას, მაგრამ ახლა ჩვენი მშობლების დარდი მაქვს.

– რატომ, რა მოხდა?– დაინტერესდა მირზა.

– კობას შურისძიება უნდა მამაზე და ცუდი შეგრძნება მაქვს!

ციცის გულზე მოხვდა ბიჭის სიტყვები და დას დაურეკა:

– გამარჯობა, მარგო.

– გაგიმარჯოს, ციცი.

– ბავშვი ჩამოვიდა, სადაცაა სახლში მივალთ. ხომ მშვიდობაა მანდეთ? ჭაბუკამ მოგვიყვა, რაც გადახდა.

– დიდი შიში ვჭამეთ, მაგრამ დაცვამ იმარჯვა და კობა დააკავა, იმ დროს, როცა ჩვენს სახლში შემოღწევას ცდილობდა.

– ადამიანის ცუდი როგორ უნდა გაგიხარდეს კაცს, მაგრამ მიხარია, რომ ეს ჭირი მოიშორეთ.

– რა მოხდა, დეიდა? – ერთდროულად იკითხეს ვაჟებმა. – ის ბიჭი თქვენს სახლში შეპარვას ცდილობდა თურმე, რა დროსაც დაცვას აიყვანია.8

– ახია მასზე. არ მოასვენა გამჩენმა, – თქვა ჭაბუკამ.

ციციმ მანქანა სახლთან გააჩერა.

– თქვენ სახლში ადით. მე პურს ვიყიდი და მოვალ, – უთხრა მათ.

ბიჭები შინ შევიდნენ. მირზამ ჩანთა გამოართვა და საძინებელში შეიტანა, იქ, სადაც მის ძმასა და მას უნდა დაეძინათ.

ციციმ პური მოიტანა, სუფრა გაშალა და ძმები სუფრასთან იხმო.

სუფრის შემდეგ, მირზამ ჭაბუკა ქალაქის დასათვალიერებლად წაიყვანა, თანაც დასძინა: – დღეიდან თავისუფალი დრო ძალიან ცოტა გექნება, ვიდრე რეპეტიტორთან მომზადებას შეუდგები, მანამდე ჩემთან ერთად იმეცადინებ. მალე მოვრჩები გამოცდებს და მთელ დროს შენ დაგითმობ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ერთად ყველაფერს შევძლებთ.

– მე კი, ყველა შენს მიერ მოცემულ დავალებას პირნათლად შევასრულებ. არ ვიქნები ჯიუტი აბიტურიენტი. მწამს, რომ შენზე და ჩვენს მშობლებზე მეტად, ჩემი წარმატება არავის აინტერესებს. გადავწყვიტე, არ ამოვისუნთქო, ვიდრე წარმატებას არ მივაღწევ.

– ყოჩაღ, ჩემო მზეჭაბუკო! ასეთი მომწონხარ!

ბიჭებმა მთელი ქალაქი მოიარეს და შინ დაღლილები დაბრუნდნენ.

მირზამ, ჩვეულებისამებრ, მშობლები მოიკითხა. დაინტერესდა კობას ბედით.

ალიკამ უთხრა:

– კობას საქმის გამოძიებას მე ჩამომაშორეს, როგორც დაზარალებული პირი და ჩემი მეგობარი აწარმოებს. ჯერ კიდევ არ ჰქონდა წინა სასჯელის მოსახდელი ვადა გასული, ახლა კი გაუორმაგდება! ერთის მხრივ კი კარგია, ჩვენ მშვიდად ვიქნებით, თუმცა, ჰყავს თანამოაზრეები, რომლებსაც შეუძლიათ მისი დაწყებული საქმე სისრულეში მოიყვანონ.

– ღმერთმა დაგვიფაროს, მამა. მინდა გითხრათ, რომ ხვიჩა არაფერ შუაშია, ის არასოდეს დათანხმდებოდა სხვებს ჩვენი ბინის გაძარცვის ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანას..

– ამას გამოძიება დაადგენს. შენ კი კარგი გაკვეთილი ჩაგიტარდა და იმედია ჭკუას მოუხმობ.

– მე ჩემს სიტყვას შევასრულებ! მომდევნო წელს აუცილებლად შევაღებ სამედიცინო უნივერსიტეტის კარებს და საუკეთესო ექიმი გავხდები.

– იმედია ცარიელი ვედროსავით ტყუილად არ არახუნებ სიტყვებს!

– ვიცი, რომ იმედი გაგიცრუე მამა, მაგრამ არ ვაპირებ ისევ რაიმე სისულელე ჩავიდინო.

– მე და დედა ძალიან მადლობელი დაგრჩებით. ახალა კი დაგემშვიდობებით, ჩემო ლომებო. აბა თქვენ იცით, ერთმანეთის სიყვარული არასოდეს დაკარგოთ და ერთად ყველაფერს მიაღწევთ!

– დროებით, მამა დედას მოეფერე ჩვენს მაგიერ.

– ახლა კი დავიძინოთ თორემ ხვალ გამოცდა მაქვს, – თქვა მირზამ, როგორც კი ტელეფონი გამორთო.

– მეც წამოგყვები. მინდა ჩემი მხარდაჭერა იგრძნო, ძმაო.

– კარგი, წამოდი.

ბიჭები დაწვნენ. ერთმანეთს ძილი ნებისა უსურვეს და დაიძინეს.

ციციმ დისშვილებს დახედა. რა ნახა, რომ ეძინათ, თავადაც დაიძინა.

წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფი კობა ძალიან დარდობდა თავის დაუფიქრებელ ნაბიჯზე, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მან აღიარა ჩადენილი დანაშაული და იზოლატორში გადაიყვანეს. საბოლოო განაჩენის დადგომამდე.

ხვიჩამ და მისმა მეგობარმა დროებით დატოვეს საქართველოს ტერიტორია და თურქეთში წავიდნენ. იქ ძალიან გაუჭირდათ ცხოვრება და ფეხსაცმელების ფაბრიკაში დაიწყეს მუშაობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მირზამ ბოლო გამოცდაც, წარმატებით ჩააბარა. გარეთ გამოსულს ჭაბუკა მიეგება.

– რა ქენი, ძამიკო?

– ვფიქრობ, რომ ყველაფერი კარგად იქნება!

– გილოცავ! – უთხრა და გადაეხვია.

– მშობლები ელოდებიან ჩვენს ზარს, ახლავე დავურეკავ.

მირზამ ნომერი აკრიფა და მარგოს დაურეკა. რამდენიმე ზარის შემდეგ ქალის თბილი ხმა გაისმა:

– გისმენ, დედა გენაცვალოს, რით გამახარებ?

– დედი ჩვენ კარგად ვართ. მე დავამთავრე გამოცდები. ეხლა საბოლოო შედეგებს დაველოდები. ხვალიდან ჭაბუკას წიგნებს ჩავუჯდებით. ახლა შინ მივდივართ, დეიდა გველოდება.

– კარგი, ჩემო ვაჟკაცო. შენ იცი და ჭაბუკამ. იმედი მაქვს, რომ შეძლებ მის შემობრუნებას. დროებით შვილებო.

– დროებით, დედა.

ციცი მოუთმენლად ელოდა მათ გამოჩენას. რა დაინახა შინ მომავალი ძმები, კართან მიეგება.

– მირზა, რა ქენი ? – ჩავაბარე, დეიდა. არა მგონია შეცდომა დამეშვა.

– ჩემი ნიჭიერი ბიჭი ხარ შენ! იქნებ, შენს ძმასაც გაუხსნა გონება.

– ჩემს ძმას გონების გახსნა არ აკლია, უბრალოდ დაკარგული ადგილის პოვნაში უნდა დავეხმარო ასევე დაკარგული წლების ანაზღაურებაში.

– აბა მოდით, დეიდა გენაცვალოთ, წაიხემსეთ და დაისვენეთ.

ძმები სუფრას შემოუსხდნენ, გვერდით მიუსხდნენ ციცი და მისი ქალიშვილი რუსუდანი, რომელიც სამედიცინო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო.

– თუ კი ჭაბუკაც ჩვენთან ისწავლის, სამი ექიმი ვიქნებით და ერთი საკუთარი კლინიკა არ გვაწყენდა, – თქვა რუსუდანმა.

– ჩვენ ბავშვობიდან ვოცნებობდით მაგ საკითხზე, – უთხრა ჭაბუკამ გაიხსნა მირზასთან საუბარი. მისი მიამიტური ღიმილი და უფულო როგორ შევძლებ კლინიკის გახსნასო, – რომ ჩაილაპარაკა.

– მე დღესაც ასე ვფიქრობ.

– მე კი, დარწმუნებული ვარ, მამა ყველა ღონეს იხმარს იმისთვის, რომ ჩვენ გვქონდეს ჩვენი კლინიკა.

უეცრად ტელეფონი აწკრიალდა. მირზამ ჩართვის ღილაკს თითი დააჭირა და ჩასძახა:

– გისმენ მამა.

– აბა როგორ ხართ, ჩემო ლომებო?

– კარგად, მამა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა!

– მირზა, მისმინე! ბინა გიყიდეთ თავისი ავეჯით და ტექნიკით აღჭურვილი. შენს სახელზე გავაფორმეთ. მხოლოდ შენი ხელის მოწერა აკლია. მიხვალ, ხელს მოაწერ, გასაღებს ჩაიბარებ და ორივენი ერთად იცხოვრებთ.

– უღრმესი მადლობა, მამა. თქვენს ამაგს ვერასოდეს გადავიხდი. სად არის ტერიტორიულად?

– მეტრო „სამედიცინოთან". მისამართს და მენეჯერის ტელეფონის ნომერს მოგწერთ და ხვალისთვის დაანიშნინე შეხვედრა.

– კარგი, კარგი მამა! ყველაფერს მოვაგვარებთ.

ალიკამ, საუბარის შემდეგ, მენეჯერის ტელეფონის ნომერი გამოუგზავნა.

მირზამ მენეჯერთან შეხვედრა დილის თერთმეტი საათისთვის შეათანხმა.

მეორე დღეს ჭაბუკასთან და რუსუდანთან ერთად წავიდა.

ვაგზლის მოედნიდან გაჰყვნენ მეტროსადგურ სამედიცინოს მიმართულებით. რამდენიმე წუთში უკვე ვაჟა ფშაველას პროსპექტზე მდებარე ბინას მიადგნენ.

მირზამ ტელეფონი ამოიღო და მენეჯერის ნომერი აკრიფა.

– გისმენთ!

– უკაცრავად, ქალბატონო, მირზა ვარ. უკვე ბინასთან ვდგავარ.

– კარებს გაგიღებთ და მე-5 სართულზე ამობრძანდით.

– კეთილი, – მოუგო მირზამ. საკეტი გაჩხაკუნდა. კარი გაიღო. ლიფტით ავიდნენ მეხუთე სართულზე.

კართან კოხტად ჩაცმული ახალგაზრდა ქალი დახვდათ.

ერთმანეთს მიესალმნენ.

ქალი წინ წარუძღვა მათ, თანაც უთხრა:

– ვიდრე საბუთებს ხელს მოაწერთ, ბინას განახებთ, იქნებ არ მოგეწონოთ?

– კეთილი, – თითქმის ერთდროულად წარმოთქვა სამივემ.

გრეტამ ჯიბიდან გასაღები ამოიღო, კარებს მოარგო, გადაატრიალა. კარი გააღო. ბინიდან სუფთა ჰაერი მოელალბუნათ სახეზე.

რუსუდანი დაწინაურდა. პირველად სამზარეულოში შევიდა.

– ოჰოო, მშვენიერია. მზარეულის გარდა არაფერი აკლია.

– აქ კი სუფრის გაშლის გარდა, – გამოსძახა ჭაბუკამ.

– ერთი ლამაზი გოგოც მოუხდებოდა ამ ლამაზ საძინებელს – იხუმრა მირზამ.

– ყოჩაღ ბიძაჩემს! რა კარგი გემოვნება ჰქონია. მართლაც ყველაფერი ახალი და გემოვნებით არის შერჩეული.

– მაშინ ფორმალურ მხარეს მივხედოთ.

მირზა რომელია? იკითხა გრეტამ

– მე ვარ.

წამობრძანდით. ნოტარიუსი გელოდებათ. საბუთებს გადახედეთ, ხელი მოაწერეთ და ბინის გასაღები ჩაიბარეთ...

გრეტა გვერდით მდებარე ბინის კარებში შეუძღვა მათ, სადაც თავისი სამუშაო კაბინეტი იყო მოწყობილი.

– მობრძანდით, – მიმართა მათ, – აქ დაბრძანდით. შესასვლელში მდგარ დივანზე მიუთითა ქალ-ვაჟს.

ქალმა კაბინეტის კარი შეაღო. მირზა იქ მყოფ შუახნის ქალბატონს მიესალმა და მაგიდას მიუჯდა.

თავიდან ბოლომდე გადაიკითხა თითოეული ფურცელი.

– მზად ხართ? – ჰკითხა ქალბატონმა, რომელიც სანოტარო ბიუროს თანამშრომელი იყო.

– დიახ, ქალბატონო.

– მაშინ ხელი მოაწერეთ აქ, აქ და აქ.

მირზამ მითითებები შეასრულა. გრეტამ და ნოტარიუსმა მირზას ბინა მიულოცეს და გასაღებების აცმა გადასცეს. ვაჟმა მადლობა გადაუხადა მათ, დაემშვიდობა და შესასვლელში მდგარ მომლოდინეთ შეუერთდა.

კიდევ ერთხელ დაათვალიერეს ბინა და ბედნიერნი და კმაყოფილნი დაბრუნდნენ დეიდის სახლში.

8

ციცი ახალგაზრდებს ჰკითხა, როგორ მოეწონათ ბინა. რუსუდანმა მოკლედ აუხსნა: - ყველაფერი ძალიან კარგია, მხოლოდ ქალი აკლია ოჯახს.

- ჯერ, მე და ჩემი ძმა, შორს ვართ ოჯახის შექმნისაგან. პირველი რაც უნდა შევიქმნათ, ეს არის კარიერა და უნდა ვისწავლოთ დამოუკიდებელი ცხოვრება, რომ ოჯახს მყარი საფუძველი ჩავუყაროთ – შენ, ჩემო მირზა, იმდენად მიზანდასახული ხარ, ყოველთვის ყველაფერს საუკეთესოს შექმნი.

– მე ვცდილობ და ვეცდები, დანარჩენი ღმერთის ნებაა.

– მირზა, წამოდი ჩვენი ტანსაცმელები ჩავალაგოთ, ხვალიდან ჩვენს სახლში გავაგრძელოთ ცხოვრება.

– კი, მაგრამ, ვინ გაჩქარებთ რომ გარბიხართ, შვილებო?

–არავინ, დეიდა. უბრალოდ, რაც უფრო მალე გადავალთ, დამოუკიდებელ ცხოვრებასაც ადრე ვისწავლით.

– კარგი , როგორც გენებოთ. ჩვენი სახლის კარი მუდამ ღიაა თქვენთვის .

– ჩვენც იგივეს გეტყვით, დეიდა!

- იხარეთ, შვილებო.

რადგან გსურთ ახალ ბინაში ცხოვრობა, უნდა ავღნიშნოთ. ხვალ ტკბილ სუფრას გავშლი თქვენს სახლში, რომ სიტკბოებამ დაისადგუროს. –ჩვენ შამპანიურს ვიყიდით, – თქვა მირზამ.

- აბა ხვალ კარგად გვიქეიფია ,– დასძინა ჭაბუკამ.

- მე კი, ახალ მაგიდის გადასაფარებელს გაჩუქებთ,– საუბარში ჩაერთო რუსუდანი.

- ჭაბუკა, გადასვლას რომ მაჩქარებ, აუცილებელი ჭურჭელი ხომ გვინდა?

- მამას დავურეკავ. ის დაგვირიცხავს საჭირო თანხას.

- მე კი ვერასოდეს გავბედავდი ფულის მოთხოვნას.

– გადაწყდა! ხვალიდან ვიწყებთ ახალ ცხოვრებას. ახლა კი დავიძინოთ, – თქვა ჭაბუკამ და საძინებელისაკენ წავიდა.

მირზამ ციცის და რუსოს ძილი ნებისა უსურვა და ისიც ძმას მიჰყვა უკან.

ორივენი დაწვნენ და ტკბილად დაიძინეს.

მშვიდი ღამე იყო . მხოლოდ მანქანების ხმაური არღვევდა მყუდროებას.

დილაადრიან წამოდგა ციცი საწოლიდან და ვიდრე აცალგაზრდები გაიღვიძებდნენ, საოჯახო საქმეებს შეუდგა.

დაბრაწული ხაჭაპურები უკვე გამოაცხო.

ტელეფონი აიღო და ნამცხვრების მაღაზია "მადარტს"ტორტის შეკვეთა მისცა.

ჟაბუკამ გაიღვიძა. საწოლში შეიშმუშნა, ერთი გემრიელად გაიზმორა და მირზას გადახედა - რა გემრიელად ძინავს, – გაიფიქრა, თანაც მიაძახა: – ძილისგუდავ, გაიღვიძე, თერთმეტი საათია.

მირზამ თვალები ზანტად გაახილა. - დამაცადე, ბიჭო, რა იყო ?

- როგორ თუ რა იყო, ადექი, ხაჭაპურის სუნი მაინც არ გიღიტინებს ცხვირში ?

– მართლაც რა მადის აღმძვრელი სურნელი ტრიალებს კარგი, ავდგები, ალბათ დეიდა გველოდება.

ორივემ სწაფად ჩაიცვა ტანსაცმელი, ხელ-პირი დაიბანა და სამზარეულოში შევიდა.

– დილა მშვიდობისა დეიდა,– მიესალმნენ ციცის.

– მშვიდობა მოგმადლოთ უფალმა, შვილებო!

- ოჰ, ეს რა ხაჭაპურები გამოგიცხვია დეიდა, პირდაპირ მეძახის შემჭამეო.

- და რას ელოდებით, აგერ დანა და ვიდრე ცხელია მიირთვით . სადაცაა ტორტს მოიტანენ და წავიდეთ ახალ ფუძე –ჭერს დაგილოცავთ.

– გმადლობთ დეიდა, ასე რომ ზრუნავთ ჩვენზე.

– მე ხომ თქვენსა და რუსოს მეტი არავინ მყავს... მე როცა აღარ ვიქნები , თქვენ უნდა გაუწიოთ ძმობა, მიმიხედოთ მას.

– აბა რას ვიზამთ?! ერთდროულად წარმოთქვეს ძმებმა.

– მე ახლა მაღაზია წავალ. თეფშებს და ჭიქებს ვიყიდი, თანაც, შამპანიურიც ხომ უნდა გავხსნათ?

– მეც წამოვალ! – უთხრა მირზამ .

ორივენი ახლომდებარე შერეულ მაღაზიას მიადგნენ. შენაძენით დატვირთულებმა მეტროსად-გურს მიაშურეს და ახალი ბინისაკენ გაჰყვნენ მატარებელს..

რამდენიმე წუთში სახლში ავიდნენ. ციცის ტელეფონით შეატყობინეს– აქ დაგელოდებითო.

მირზამ ჭურჭელი გარეცხა, დაამშრალა და მაგიდაზე ლამაზად დაალაგა . უეცრად ზარის ხმა გაისმა. ჭაბუკა წამოდგა. კარი გააღო.

რუსო და ციცი შემოვიდნენ.

ტკბილი სუფრა გაშალეს . ახლმოსახლეობა დაულოცეს ბიჭებს და წავიდნენ..

ძმები შეუდგნენ დამოუკიდებელ ცხოვრებას.

მირზა ყოველდღე უჯდა ძმას და ამეცადინებდა. ისიც გულმოდგინედ ასრულებდა ძმის მითითებს.

აგვისტოს ცხელი დღეები იდგა. ქალაქს ბუღი ასდიოდა.

ხალხი აქა – იქ მოძრაობდა. მირზას და ჭაბუკას ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, მაგრამ მაინც მიაბეჯდნენ სამედიცინო უნივერსიტეტის მიმართულებით.

მალე მიადგნენ ადგილს, სადაც სია იყო გამოკრული.

ორივენი გაფაციცებით ეძებდნენ თავიანთ გვარს.

- მირზა, გილოცავ ძმაო, ჩარიცული ხარ!

ძმები ერთმანეთს გაეხვივნენ. მირზას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

იგი მაღალი ქულებით ჩაირიცხა და გრანტიც მაღალი ხვდა წილად..

კობას საქმის გამოძიება დასრულდა. სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო და სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მარგომ ამოისუნთქა, რადგან ეს სამი წელი მის ოჯახს საფრთხე აღარ დაემუქრებოდა.

ალიკამ გადაწყვიტა, ცოლთან ერთად, შვილები მოენახულებინა.

ალიკა და მარგო შვილებს ესტუმრნენ. პირველად იყვნენ ახალ ბინაში და გულდასმით ათვალიერებდნენ ყოველ კუთ–კუჭულს.

ალიკა შენაძენით კმაყოფილი დარჩა. შვილებიც ხარობდნენ მათი ჩამოსვლით.

მარგომ და ალიკამ გადაწყვიტეს სტუმრად მოეწვიათ ციცი თავისი ოჯახით.

ამ მოტივით სუპერმარკეტში წავიდნენ,

პროდუქტები შეიძინეს.

მარგო ჯარასავით ტრიალებდა ახალ სამზარეულოში და თავს კომფორტულად გრძნობდა, თუმცა, არც თავის სახლში აკლდა კომფორტი.

ვახშმის დროც მოვიდა. სუფრის გაშლაში ბიჭები დაეხმარენ. სტუმრებიც მოვიდნენ. ციცის მეუღლეც დაბრუნებულიყო ოჯახში პოლონეთიდან და ისიც თან ახლდათ. მარგო ხალისით შეეგება დას, სიძეს და დისშვილს. სუფრასთან იხმო. თავად რაც კი ებადა, ყველაფერი სუფრაზე

შემოდგა და მონატრებულ დას გვერდით მიუჯდა. ერთმანეთთან საუბარში ისე გაერთნენ, რომ შუაღამე გადასული იყო, როცა დაიშალნენ.

სტუმრებმა ოჯახი დატოვეს.

ჭაბუკამ და მირზამ ხელის განძრევის საშუალება არ მისცეს დედას. სთხოვეს რომ დაესვენა, რადგან ბევრი იშრომა.

ქალს სხვა გზა აღარ დაუტოვეს და ქმრის გვერდით დივანზე დაჯდა. ორივენი კარგი დიასახლისებივით დატრიალდნენ, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეს: ჭურჭლის სარეცხ მანქანაში დასვრილი ჯამ–ჭურჭერჭელი ჩაალაგეს, ოთახი მოასუფავეს.

მარგო და ალიკა თვალს ადევნებდნენ მოფუსფუსე შვილებს და ერთმანეთს ეუბნებოდნენ რა კარგი შვილები აღგვიზრდიაო.

ბიჭები საქმეს მორჩნენ. მშობლებს ძილინებისა უსურვეს და დასაძინებლად გავიდნენ.

მარგომ დივანი გაშალა, თეთრეული გადააფარა, მეუღლესთან დაწვა და ორივენი ძილს მიეცნენ.

9

დილით მარგო, ჩვეულებისამებრ, ადრე წამოდგა. მძინარე შვილებს დახედა, თვალებით მოეფერა, თან თავისთვის ჩუმად ჩაილაპარაკა: – თქვენ გენაცვალოთ დედა, ჩემო ვაჟკაცებოო -

და სამზარეულოში გავიდა. მაცივარში შეიხედა. თითქმის ხელუხლებლად ელაგა წინა დღით მომზადებული კერძები. სახლშიც ყველაფერი წესრიგში იყო . "დღეს საქმე არაფერი მაქვს გასაკეთებელი" – გაიფიქრა და ალიკასთან შევიდა .

ჰკითხა:

- დღეს გაქვს აქაურ კოლეგეთან შეხვედრა თუ ხვალ?

– ხვალ, ძვირფასო. რატომ მეკითხები?

- სადმე ხომ არ გავსულიყავით შვილებთან ერთად?

– მაინც სად გინდა რომ წავიდეთ? - კახეთში .

– კარგი, საყვარელო. თუკი ჩვენს შვილებსაც აქვთ თავისუფალი დრო, წავიდეთ. მე ხვალ მაქვს შეხვედრა .

- შევალ, გავაღვიძებ.

–ჭაბუკა ,მირზა გაიღვიძეთ! შეკითხვა მაქვს თქვენთან.

- რა ხდება დედა, ხომ მშვიდობაა?– ნახევრად გახელილი თვალებით ამოხედა ჭაბუკამ დედას.

- დღეს გაქვთ რაიმე მნიშვნელოვანი საქმე?

– არა, დედა. როგორც ყოველთვის, მირზამ უნდა მამეცადინოს ბიოლოგიაში.. რატომ მეკითხები ? – იკუითხა უკვე გამოფხიზლებულმა.

- მე და მამაშენმა მოვილაპარაკეთ, რომ კახეთში წავიდეთ, ალავერდის ტაძარი მოვინახულოთ, შემდეგ, გზა და გზა სხვა ლამაზი სანახაობებით დავტკბეთ თქვენთან ერთად.

– რა კარგი აზრია, დედა, – საუბარში ჩაერთო მირზა. ახლავე ავდგები, მოვემზადები და წავიდეთ, - თქვა და საბანი გვერდზე მოისროლა.

- ადექი შენც, რას ელოდები? – მიუბრუნდა ძმას. ორივენი სწრაფად მოემზადნენ.

მარგომ საუზმე გააწყო,

წაიხემსეს და გზას გაუდგნენ.

ორ საათზე მეტი დასჭირდა წინანდალში ჩასვლას, სადაც მოინახულეს ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, რომელიც 1886 აშენდა და

დღემდე კარგად არის შემონახული. იქ წარმოდგენილია ალ.ჭავჭზვაძის ოჯახის წევრების პირადი ნივთები, მე-19 საუკუნის სხვადასხვა სახის გამოცემები, მე-18 საუკუნის ხელნაწერები, დიმიტრი ერმაკოვის ფოტოები, ფერწერული და ლითოგრაფიული ნიმუშები, მე-18-მე-19

საუკუნეების ქართული, რუსული და ფრანგული ავეჯი და სხვადასხვა ქვეყნის საყოფაცხოვრებო ნივთები.

ყურადღებით აკვირდებოდნენ თითოელ ფერწერულ ტილოს, რომელმაც გულგრილი არ დატოვა მიქაუტაძეების ოჯახი.

ალიკამ და მისმა ვაჟებმა სასახლის მარანში ღვინოც დააგემოვნეს, მარანი რომელიც პარკში მდებარეობს ეს ულამაზესი ადგილი პირველი ეუროპული ტიპის პარკია საქართველოში იგი თვრამეტ ჰექტარზეა გადაჭიმული. ბოლომდე ვერ მოახერხეს მისი დათვალიერება, რადგან გრემის ნახვაც სურდათ და დროში შეზღუდულები იყვნენ. ამიტომ, ადრიანად დატოვეს სასახლის ბაღი და გრემის მიმართულებით აიღეს გეზი.

-აბა, შთაბეჭდილებები გაგვიზიარეთ, როგორ მოგეწონათ სახლ–მუზეუმი და მისი შემოგარენი? – იკითხა ალიკამ.

- ნამდვილად კმაყოფილი ვარ, რომ ეს მარშუტი ავირჩიე, – წარმოთქვა მარგომ.

- ყველაფერი მომეწონა, მაგრამ განსაკუთრებით ფერწერული ტილოები, – აზრი გამოხატა მირზამ, თან დასძინა: - არასოდეს მიცდია რაიმე დამეხატა, დღეს კი სურვილი გამიჩნდა ბედი ვცადო.

-შვილო, ვიდრე ახალგაზრდები ხართ, ყველაფერი უნდა სცადოთ. პირველ ჯერზე შეიძლება ისეთი კარგი არ გამოვიდეს, მაგრამ არ უნდა დანებდეთ. ბრძოლა აუცილებლად შედეგს გამოიღებს.

-შვილო, შენ არაფერს გვეტყვი ?– ჰკითხა მარგომ ჭაბუკას. -კმაყოფილი ვარ და ასევე აღფრთოვანებული ნანახით . იმედია გრემიც ასეთი ლამაზი იქნება.

– ულამაზესია გრემის სამონასტრო კომპლექსი , სადაც, ასევე, არის მუზეუმი. ძალიან კმაყოფილი დარჩებით ,– უთხრა ალიკამ ცოლ–შვილს და მანქანის სიჩქარეს უმატა .

-ცოტა უნდა ვიჩქაროთ, თორემ ვერ მოვასწრებთ თელავში ასვლას და მის დათვალიერებას.

ოცი – ოცდახუთ წუთში განვლეს მანძილი გრემამდე . იქედან გრემის მუზეუმამდე რამდენიმე წუთი დასჭირდათ და მიადგნენ ულამაზეს სამონასტრო კომპლექსს, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა გრემის დასახლება, რომელსაც ლამაზი მთები გადმოჰყურებდა თავს. კარგახანს ტკბებოდნენ მიქაიტაძეები ბუნების სილამაზით, შემდეგ, ცამდე აწვდილ მონასტრის ჭიშკარში შევიდნენ. ვაჟები დაინტერესდნენ გრემის მონასტრის ისტორიით. გიდი აიყვანეს, რომელმაც ნათლად დაანახა და აუხსნა გრემის წარმოშობის ისტორია. ამის შემდეგ, თელავის მიმართულებით გაუდგნენ გზას . რამდენიმე წუთში თელავში შევიდნენ. მოინახულეს ერეკლე მეფის ძეგლი, დაათვალიერეს თელავი , მოინახულეს ერეკლე მეორის სახლ-მუზეუმი და დაღლილები, მთელი დღის მშიერები , მაგრამ კმაყოფილნი დაბრუნდნენ თბილისში.

მარგომ ხელები დაიბანა და სასწრაფოდ სუფრა გაშალა. ოჯახის წევრები იხმო. გემრიელად ივახშმეს და დასაძინებლად თავიანთ ოთახებში შევიდნენ. დაღლილებს საუბრის თავიც კი არ ქონდათ და მალევე ჩაეძინათ.

ალიკა დილაადრიან ადგა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიადგა, სადაც დაბარებული იყო , რადგან ევალებიდა ერთი გახმაურებული მკვლელობის საქმის გამოძიება .

შავფარდაჩამოფარებულ საქმეს, სადაც უდანაშაულო კაცი იხდიდა სასჯელს, ალიკამ ფარდა ახადა, რის გამოც იგი სამსახურიდან გაანთავისუფლეს. , რადგან ნამდვილ დამნაშავეს დიდი კაცი "კრიშავდა", როგორც ხდება ხოლმე. ალიკა მკაცრად გააფრთხილეს , რომ თუ კიდევ ამოიღებდა ხმას, შვილებს ცოცხალს ვეღარ ნახავდა . კაცი სახლში დაბრუნდა. სახეზე მკვდრის ფერი ედო .

-რა მოხდა, რა გჭირს ?– შეშფოთებული ხმით ჰკითხა მარგომ.

-არაფერია, გამივლის.სამაახურიდან გამანთავისუფლეს.

ისედაც ვაპირებდი პენსიაში გასვლას, მაგრამ დამასწრეს.

-კარგი, დამშვიდდი. მე კიდევ უფრო რთულად მეგონა საქმე ისეთი ფერი გედო.

-ჯერ კიდევ მინდოდა შვილებს დავხმარებოდი .

– ნუ ჯავრობ, საკმაო დანაზოგი გვაქვს, თვითონაც დიდები არიან, მალე შეძლებენ საკუთარი თავის შენახვას .

მირზა ძმას ამეცადინებდა , როცა მამის ხმა გაიგონა. ოთახიდან გამოვიდა, მიესალმა და მოიკითხა:

-როგორ ჩაიარა შეხვედრამ?

-სამსახურიდან გამანთავისუფლეს .

-არ იდარდო, მამა . მე რაიმე სამსახურს ვნახავ, თუნდაც მუშის, კვირაში რამდენიმე დღეც რომ იყოს, სწავლას მაინც შევძლებ და საკუთარ თავს ვირჩენ . ჩემი ძმაც ნახავს სამუშაოს . უკვე დიდები ვართ. შრომისა და ფულის ყადრს ვისწავლით. აქამდე ხომ თქვენ გვედექით გვერდით, ახლა ჩვენი ჯერია!

– თქვენი იმედი კი მაქვს ჩემო ლომებო!

მე ჯერ კიდევ შევძლებ რაღაცის გაკეთებას, თუ დამაცადეს, – სინანულით წარმოსთქვა ალიკამ და იატაკს დააშტერდა, თითქოს იქ სურდა მომავლის ამოკითხვა, თითქოს იქ ეწერა რას უმზადებდა ბედი.

კიდევ ერთი დღე დარჩა თბილისში ცოლ–ქმარი . შემდეგ შვილებს დაემშვიდობნენ და ქუთაისისკენ აიღეს გეზი.

სასწავლო წელი დაიწყო .მირზამ პირველად შეაღო სამედიცინო ინსტიტუტში აუდიტორიის კარი . თვალით ადგილი შარჩია და დაჯდა. გვერდით მჯდომს მისალმა. გაეცნო. მალე ლექტორი შემოვიდა, სტუდენტების სია ამოიკითხა . პირველი დღე გაცნობას დაეთმო.

ახალგაზრდები ერთმანეთის გაცნობის მიზნით ნარიყალას ციხეზე საბაგიროთი ავიდნენ. მაღლობიდან გადმოხედეს თბილისს ,

მოიარეს ბოტანიკური ბაღი, საბაგიროთი ისევ უკან დაბრუნდნენ და იქვე მდებარე სანაყინეს მიადგნენ. ნაყინები შეიძინეს და იქვე სკამზე ჩამოისვენეს .

ერთ თანაკურსელ გოგონას ძალიან მოიწონა მირზა, რაც მის ქცევებში თვალნათლივ ჩანდა – ცდილობდა ყოველთვის მის სიახლოვეს ყოფილიყო, რაც ბიჭის თვალს არ გამოპარვია და ისიც მალულად აპარებდა მზერას, თუმცა დასაწუნი არაფერი ჰქონდა გოგონას: მშვენიერი, ლამაზი და აშოლტილი ასული გახლდათ .

მირზამ უმალ გამონახა საერთო ენა როგორც ნიტასთან ,ასევე თითქმის ყველა თანაკურსელთან. მშვენიერი დრო გაატარეს ერთად .შინ გვიან დაბრუნდა.

ჭაბუკას ვახშმად სუპი მოემზადებინა და ძმის დაბრუნებას ელოდა.

მირზამ ტანსაცმელი გამოიცვალა, ხელ–პირი დაიბანა და ძმის მიერ გაწყობილ სუფრას მიუჯდა .

–როგორი იყო შენი პირველი დღე ?– ჰკითხა ძმამ ძმას.

-დღეს მხოლოდ ურთიერთ გაცნობის დღე იყო. შემდეგ გავისეირნეთ.

-კარგი გოგო ვერ შეარჩიე?

-მოიცადე ცოტა, იქნებ თავად გამოთქვას ვინმემ სურვილი ჩემთან დაახლოების?!

–მასეთი ქალი რად გინდა, ბიჭო?

-ასეთიც საჭიროა, ყველას სახლში ხომ არ მოვიყვან?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ია მაჭარაშვილი

ვედრება სიზმრად

ზამთრის სევდიანი საღამო იყო. დამწუხრებულმა გოგონამ ხელპირი დაიბანა პირჯვარი გადაისახა ღმერთს მადლობა შესწირ და მშვიდად დაიძინა. მისთვის უკვე აღარაფერი აღარ არსებობდა პატარა სიკვდილს დაესადგურებინა მის არსებაში პატარა სიკვდილს რომელიც ლამაზ ოცნებათა ბურუსში ახვევდა თავის მსხვერპლს.

მწვანედ ბიბინებდა მინდორი ირგვლივ ყვავილების სურნელება იფრქვეოდა.

გულგახალისებული გოგონები და ბიჭები ერთად მიდიოდნენ ტყეში ზღმარტლის დასაკრეფად. ერთი გოგონა ყველაზე წინ მიდიოდა მიიჩქაროდა უნდოდა რომ ყველაზე პირველიმისულიყო. ჩაიარეს პატარა ბრეკი და ის იყო მდინარეს მიადგნენ გოგონა შეჩერდა პატარა კუნელის ჩირგვი დაინახა რომელზედაც ოქროს ჯვარი ეკიდა ცეფით. გაოცებულმა გოგონამ მეგობრებს შეხედა

გოგოებო ნახეთ ოქროს ჯვარი ვიპოვნე.

მაჩვენე.

გარშემო შემოეხვივნენ გოგონები და ბიჭები. ოქროს ჯვარი კი ხელიდან ხელში გადადიოდა და თვალისმომჭრელად ბზინავდა.

ალბათ ვინმეს დაეკარგა.

თქვა გოგონამ.... ჯვარს ხელი მოკიდა და ისევ იმ ჩირგვზე ჩამოჰკიდა.

მაგრამ.... ჰოი საოცრებავ ის ჩირგვი სადღაც გაქრა იმ ადგილზე კი მაგიდა გაჩნდა. მაგიდის იქით მხარეს წვერმოშვებული კაცი იჯდა მის მოპირდაპირე მხარეს კი ის ოქროს ჯვარი ბრწყინავდა. რომელიც ცოტა ხნის წინ გოგონამ ჩირგვზე დაჰკიდა.

გოგონა არც კი დაბნეულა პირჯვარი სამჯერ გადაისახა რადგან ის წვეროსანი ღმერთად ინიშნა.

იესო ქრისტე და იოსებო შენ გევედრებჯ ჩემი ლექსები გამომაქვეყნებინე.

მთელი გულწრფელობით წაიდუდუნა გულში.

ირგვლივ მიმოიხედა და იგრძნო რომ მის მეტი სხვა ვერავინ ამჩნევდა ამ წვეროსანს.

თხოვნა რომ დაასრულა წვეროსანი გაქრა.

გოგონამ გზა განაგრძო და ეხლა უკვე ტყეში შესული ზღმარტლის ხეს ამთვარიელებდა რომ უცებ ისევ გაჩნდა მაგიდა.

მაგიდის ცალ მხარეს ისევ ის წვეროსანი იჯდა მეორე მხარეს კი ისევ ის ჯვარი ბრწყინავდა

კიდევ გადაისახა გოგონამ პირჯვარი

კვლავ გაუმეორა თხოვნა და ისევ უცებ გაქრა წვეროსანი..

ამასობაში გოგონიჭებმა ზღმარტლი დაკრიფეს ერთმანეთს მოუძახეს და შინ ერთად დაბრუნდნენ..

ტყის ნაპირს რომ მოაღწიეს გოგონამ ისევ დაინახა მაგიდა. ცალ მხარეს ისევ ის წვეროსანი იჯდა მეორე მხარეს ისევ ის ჯვარი ბრწყინავდა.

ისევ სამჯერ გადაისახა პირჯვარი გოგონამ.

იესო ქრისტე და წმინდა იოსებო შენ გევედრები ჩემი ბავშობის ოცნება ამისრულე ჩემი ლექსები გამომაქვეყნებინე.

ისევ წაიდუდუნა გულში გოგონამ.

და ისევ გაქრა წვეროსანი.

გოგონას კი სულაც არ გაჰკვირვებია რა უნდოდა ტყეში წვეროსან კაცს. წვეროსანი ხომ მან ღმერთად შეიცნო ღმერთი კი ყველგან თან სდევს თითოეულ ადამიანს თუკი შეიცნონს ადამიანი.

გოგონამ გში საოცარი სითბო იგრძნო იმედის სხივი აუკიაფდა თვალებში

ზღმარტლი ვერ ნახა მაგრამ გახარებული და ბედნიერი ბრუნდებოდა შინ.

ისევ ხმაურითა და ჟრიამულითმოდიოდნენ ახალგაზრდები. გოგონა კი.... თუმცა მათთან ერთად მოდიოდა მაგრამ სულ არ იყო მათთან. მისი გული სულ სხვა რაღაცას ფიქრობდა რაღაც შორეულს და ამოუცნობს.

საწოლი შეინძრა. გოგონამ გაიღვიძა თვალის გახელა არ უნდა ყველაფერი გონებაში გაიმეორა დახვეწა.

რა კარგად მძინებია.

ნეტავ მართლა.....

გაიფიქრა გულში.

თვალები აახილა. მის ირგვლივ აღარავინ აღარ იყო აღარც მეგობრები აღარც წვეროსანი და აღარც ის ლამაზი მაგიდა რომელზეც ოქროს ჯვარი თვალისმომჭრელად კიაფობდა..

ჩუმად ჩაიღიმილა.

ეს ყველაფერი სიზმარი იყო ტკბილი და ლამაზი სიზმარი.

ნეტავ ამიხდეს ჩემი ვედრება. გვერდი იბრუნა და ისევ ჩაიძირა ტკბილ ოცნებათა ბურუსში.

ღმერთო აუსრულე ეს ოცნება.

ამინ. ამინ ამინ.

მკითხველო ის გოგონა ამ ლამაზი სიზმრის ავტორია

1999 წელი.

უფალმა დაგლოცოთ.

მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე

მეკვლე

ბავშვობა ტკბილად მოსაგონარია ყოველთვის. არის ისეთი წუთები, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ლამაზ მოგონებად მოგყვება და თავს ხშირად შეგახსენებს. ჩემთვის ერთ ერთი იყო ძველით ახალი წელი. ჩემს ბავშვობაში სოფელი ძლიერი იყო. ყველა ოჯახში 3 ან 4 ბავშვი გამოდიოდა. სიცოცხლე ჩქეფთა. წლის ყოველ დროს ჟრიამული იყო. ჭირი და ლხინი საზიარო გვქონდა და მეგონა, მთელი სოფელი ერთ დიდი ოჯახს წარმოადგენდა, სადაც ყველას ერთმანეთი უყვარდა და ერთმანეთს საკუთარი ოჯახის წევრივით თავს ევლებოდნენ. უსაზღვრო სიყვარული ათბობდა მაშინ სოფელს.

საახალწლოდ ყველა ოჯახში სამზადისი იყო. საშობაოდ მთელი წლის ნასუქი ღორი თითქმის ყველა ოჯახში იკვლებოდა. თუ ვინმე ვერ ახერხებდა ღორის დაკვლას, მაშინ დედ-მამა ახლად დაკლულ ღორის ხორცს დაანაწილებდა და მეზობლებთან გაგვატანდა, ბედნიერი შობა ახალი წელი გაითენეთო. მე და ჩემი ძმები სიხარულით ვარიგებთით მეზობლებში, ჯერ კიდევ თბილ ხორცს.დედა საუკეთესო დიასახლისი იყო, გემრიელ კუპატებს ყოველ წელს აკეთებდა. ღორის თავი ძველით ახალი წლისთვის ინახებოდა. ახალ წელს ღორის თავს და ქათმებს მოხარშავდნენ,ხაჭაპურებს დააცხობდნენ ათასი ნუგბარით აავსებდნენ გობს და ელოდებოდნენ მეკვლეს.მეკვლეც მოდიოდა, ტკბილეულით და კეთილი სურვილებით ავსებდა ოჯახს.

მაშინ მესამე კლასში ვიყავი. საახალწლო სამზადისში ბავშვებიც ვიღებდით მონაწილეობას.სახლიც გრძნობდა ამ დიდ სიხარულს.

ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. შეშის ტკაცუნზე, ცეცხლის ენები ცელქი ბავშვებივით ცეკვავდნენ. დიდ ქვაბში მამას ღორის თავი ჩაედგა და იხარშებოდა. სასიამოვნო სურნელი ავსებდა ოჯახს.დედას ქათმები უკვე მოეხარშა, გემრიელი ნამცხვრებიც დაეცხო და ხაჭაპურების დასაცხობად ემზადებოდა მე ყველის დამუშავებაში ვეხმარებიდი. ჩემი ძმები ბუხარს შეშით ამარაგებენ.ამ დროს მეზობლის ბავშვი მოვიდა. მამამ კითხა: – როგორ ხარ პატარა ვაჟკაცო? ხვალ ბაბუას მეკვლე ხომ ხარ?

– არა,

– რატომ ?

– ყველა ინტერესით ვუყურებდით:

– როცა ვიყავი ბაბუას მეკვლე, ყოველ წელს ხბო მოუკვდა და მითხრა: – აღარ მინდა შენი მეკვლეობაო. თუ გინდათ თქვენი მეკვლე ვიქნებიო. – დედამ და მამამ ერთმანეთს გადახედეს.მე შემეშინდა, მშობლებს თანხმობა არ ეთქვათ, რადგან ისეთი ლამაზი ბოჩოლა მყავდა,რომ დამინახავდა კუნტრუშით გამორბოდა, თავს გამომიწვდა მოსაფერებლად და ძალიან მიყვარდა. სახელად ,,ლამაზა" დავარქვი.

სანამ მშობლები რამეს ეტყოდნენ მე ვუპასუხე: – მე ვარ მეკვლე მეთქი. თითქოს ამით ჩემი ბოჩოლა გადავარჩინე მოსალოდნელ უბედურებას. ის პატარა ბიჭი წავიდა. დედამ მკითხა: – დედა ასე რატომ უთხარი? შენ ხომ იცი, რომ მეკვლე სხვა ოჯახიდან უნდა მოვიდეს? ჩემთან კიდევ ჩემი თანატოლი გოგონა იყო.სკოლაში ერთ ჯგუფში ვიყავით და სკოლის შემდეგაც თითქმის სულ ერთად ვატარებდით დროს. გახარებულმა დედაჩემს უთხრა: – ეთერი დეიდა, მაგული ჩემთან წამოვიდეს და დილით გადმოვაო. დედას წინააღმდეგობა არ გაუწევია.ასე გადაწყდა ჩემი მეკვლეობა. დედამ ტკბილეულის ჩალაგება დაიწყო, დილით ხომ უნდა მომეტანა. მე და ჩემი ამხანაგი დედას აღარ დაველოდეთ და ისე წავედით, რომ ერთი კამფეტიც კი არ

წამიღია. ჩემი სახლიდან მის სახლამდე არც ისე დიდი გზა იყო. მთავარი გზით თუ წავიდიდით, მანძილი ცოტა მეტი იყო გასავლელი. ამიტომ, ბავშვებს მოკლე ბილიკი გვქონდა გაკეთებული. ჩემი ეზოდან სადაც სიმინდს ვთესავდით მის ეზოში გადავდიოდით. მაშინაც ასე წავედით. ისეთი თბილი ამინდი იყო, იანვარი არც კი გეგონებოდათ. ჩემ ამხანაგს სამი და და ერთი ძმა ჰყავდა. მათ ყოველთვის უხაროდათ ჩემი მისვლა. იმ ღამესაც ბევრი ვიმხიარულეთ და გვიან დავიძინეთ.

დილით ფანჯარაში გავიხედე და რას ვხედავ,ისეთი თოვლი მოსულა და ისე ბარდნის, გეგონება, თოვლის ფანტელებით სავსე ცა დაუხურავს დედამიწასო.ფეხზე წამოვხტი, ჩავიცვი და წამოვედი ისე, რომ არავის გაუგია.მე ხომ მეკვლე ვიყავი და სახლში ადრე უნდა მივსულიყავი. ისევ მოკლე გზით ნაყანევზე წამოვედი, მაგრამ თოვლი მუხლამდე მწვდებოდა. ძლივს ვამკვლევდი, ვერცხლისფერად მბრწყინავ სპეტაკ თოვლს. არც ფეხზე მეცვა ზამთრის შესაფერისად და არც ტანზე. ფიფქები კი მათოვდა და მათოვდა. მაინც წინ მივიწევდი უშიშრად მეკვლე და ვამკვლევდი თოვლს, რომელზევ ჩემი პატარა ნაფეხურები რჩებოდა.ის იყო ჩემ ეზოში უნდა გადავსულიყავი, რომ გვერდით სამი ოთხი ნაბიჯის მოშორებით, თოვლში ჩაფლული ბეღურა შევნიშნე. საცოდავად ფართხალებდა და დაფიფქული ფრთებით თოვლში უფრო ეფლებოდა. მეც საშველად წავედი.ძლივს მივამკვლიე ჩიტამდე.თოვლიდან ამოვიყვანე, გაციებული ხელებით ფრთები გავუნთავისუფლე და მოცახცახეს თბილი სული ვუბერე. ცოტა რომ მოსულიერდა, ხელში აფართხალდა და გაფრინდა. შორს არ წასულა, იქვე ხის ტოტზე შემოჯდა და აჭიკჭიკდა. ხან ერთი თვალით შემომხედავდა და ხან მეორეთი, თითქოს მადლობას მიხდიდა და მეუბნებოდა: ,,რა კარგი გოგო ხარ, სიკვდილს რომ გადამარჩინეო. "მციოდა და მაინც მიხაროდა, ჩიტი რომ გადავარჩინე.გზა გავაგრძელე, როგორც იქნა მივედი სახლთან. ჭიშჯარი ღია დამხვდა.თურმე მამა დიდ გზაზე წამოსულა ჩემ შესახვედრად. კარებთან მივედი და გაყინული თითებით დავაკაკუნე.დედამ გამომძახა: – ვინ ხარ? – მე ხმა არ ამოვიღე, მციოდა. დედამ კიდევ დამიძახა: – ახალი წელი ხარ? – მე კიდევ არ ვუპასუხე. მესამედ დედამ ისევ მკითხა: – რა მოგვიტანე? – მე სიცივით ვკანკალებდი და ცრემლმორეულმა ტირილით ვუთხარი: – რაც არაფერი გაგიტნევია, რას მოგიტანდითქო.დედას გაეცინა, კარები გამიღო და გულში ჩამიხუტა. ხელები და გული გამითბო დედის ალერსმა. ცრემლი მომერია.დედამ მითხრა: -ამ გულწრფელ ცრემლზე და შენ კეთილ გულზე უკეთეს სიწმინდეს დედა რას მომიტანდიო. ამასობაში მამაც მოვიდა. ხელში ჩემი ქურთუკი და პატარა ვალინკები ეჭირა. გზაზე რატომ არ წამოდი შვილო, შენს შესახვედრად წამოვედიო. მადლობის ნიშნად სიყვარულით შევხედე მამას.

მშობლების მზრუნველობამ და სახლის სითბომ ხალისი დამიბრუნა., სახლში ცეცხლი გიზგიზებდა, გარეთ ფარფატა ფიფქები ქარგავდა ხეებს, ეზოებს, სახლებს და სადღესასწაულოთ რთავდა მიდამოს. მაგიდაზე სავსე გობი, ჩიჩილაკი და ღვინით სავსე დოქი მედიდურად გადმოგვყურებდა. ჩურჩხელები და ტკბილეული ბავშვებს გვეპატიჟებოდა. დედამ ანთებული თაფლის სანთელი გობზე მიამაგრა, მამამ დახუნძლული გობი წაღმა შემოაბრუნა და დაილოცა: -მადლობა ღმერთო კიდევ ერთი ახალი წელი რომ გაგვითენე.არ მოგვაკლო შენი მადლი და წყალობა, მშვიდობა, ქვეყნისა და ერის სიძლიერე. მოყვარე გაგვიმრავლე,მტერი გვაშორე. დაგვებედოს გულში სიყვარული, მკლავში ძალა, ჭურში ღვინო,ბეღელში პური.ყველა კერაზე ენთოს ცეცხლი. ქორწილი და ძეობები, გაგვიმრავლე. ყველა ოჯახში მრავალჟამიერი ქუხდეს მრავალჟამიერ. მერე ჩვენ გადმოგვხედა და სიყვარულით გვითხრა: – ჩემი სიმდიდრე თქვენ ხართ შვილებო ,გლოცავთ, ერს და ქვეყანას გამოადექით. მერე მე შემომხედა და მითხრა: – ჩვენო მეკვლევ, შენი კეთილი ფეხის და გულის სიწმინდე დაგვებედოს შვილო.იმ სპეტაკ თოვლში დატოვებული შენი ნაფეხურები, არასოდეს წაიშლება.

გარეთ ფიფქები ლამაზად ბარდნიდა, სახლში ბუხარი ღუღუნებდა და ახალ წელს სიყვარული ზეიმობდა.

დღეს ყოფილი მეკვლე გილოცავთ ახალ 2024 წელს.მრავალჟამიერ იხარეთ და იბედნიერეთ. უფალმა არ მოგაკლოთ მადლი და წყალობა.ქვეყნის და ოჯახების სიძლიერე დაგებედოთ.ულევ ფიფქად სიკეთემ და სიყვარულმა დაგათოვოთ ჩემო ძვირფასებო.

ნინო ჭელიძე

მწყემსი ქალი მარიშკა
(ნამდვილი ამბავი)

ჩვენთან,
ჩემსა და თქვენს სამშობლოში რომ მოდიოდა, არ უტირია.
ისე დატოვა საკუთარი სხეულის ნაწილი საკუთარი სულის ნაწილთან, არ უფიქრია მათ შორის ოდესმე ფერფლისფერი სამყარო თუ ჩადგებოდა. ჯერ არდაბადებული იმედებით მოემგზავრებოდა.
საკუთარი სახლის არარსებული ხის ჭიშკარი რომ გამოიხურა მაშინ მოიხედა მხოლოდ, ხის სახლის მოქარგული ფანჯრებიდან დედა ი-მზირ-ებოდა მის მიღმა მიმავალი მზერით, გზას გაჰყურებდა. მარიშკასთვის არ შეუხედავს. თვალს არ სწყვეტდა ქვევით, ქალაქისკენ ჩამავალ ოღრო-ჩოღრო გზას . . .
თითქოს ქვებს თვლიდა,
იმ ქვებს, საუკუნეებად რომ იქცეოდნენ ლოდინში.
შვილი გზის გასაყარზე იდგა.
მარცხნივ უკრაინის თვალუწვდენელი სტეპები იწყებოდა, უკვე მზით გადახრუკული ბალახისფერი. დედამ საკუთარი დედის მზერას თვალი რომ მოსწყვიტა, შვილმა მარჯვნივ გადადგა ნაბიჯი. მოკლე შარვალი ეცვა და დიდი ფეხსაცმელი. . .
გრძელი ხელები ჰქონდა.
ფართო ხელისგულები.
რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო მატულობდა მის ხელისგულებზე დამსკდარი კოჟრები.
ზოგჯერ სისხლიც სდიოდა, ნაკეცებში ჩამჯდარ ჭუჭყს ჩამობანდა ხოლმე. არ მოსწონდა ბიჭს წითელი ხელისგულები, გაიქცეოდა და თივის ზვინს ჩამოუსმევდა ხელს. ალაგ-ალაგ დამსკდარ კოჟრებში ხმელი ბალახის ჩხვლეტას გრძნობდა . . . პირველად მაშინ ისწავლა ტკივილის მოთმენა.
ვერ იტანდა სისხლიან ხელისგულებს.
ეს მაშინ იყო.
ახლა გზისგასაყარის მარჯვნივ იდგა.
გზისგასაყარის გზის დასაწყისში.
ქალაქისკენ რომ მიდიოდა იმ გზის.
ამ გზაზე დედა უნდა წასულიყო.
არ იცოდა რა ეთქვა ქალისთვის, რომლის ნერვულ უჯრედებსაც დაატარებდა საკუთარ სხეულში.
არ იცოდა როგორ დამშვიდობებოდა ქალს ამ გზას რომ ჩაივლიდნენ, საუკუნეებადქცეულქვებიან გზას . . .
ოციოდე წუთი იარეს ფეხით,
ოციოდე წუთი და ოციოდე არარსებული საუკუნე.
ბოლოს ქვიანი გზა დასრულდა...
შემდეგ ქალაქის გზა იწყებოდა...
ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.
მარიშკა მკაფიოდ გრძნობდა როგორ ფეთქავდა მისი შვილის გული შუასაყარში.
ტკივილი აძლიერებდა გულისცემას და გზას დაეძებდა ბიჭის ნათელი თვალებისკენ ცრემლად რომ ქცეულიყო. მაგრამ ბიჭს თვალები ისე დაეხუჭა თითქოს ქუთუთოები დაეკემსათ მისთვის.
მარიშკას მუდამ დამსკდარი ტუჩები ჰქონდა ქარისა და მზისგან.
ახლაც მწველი სხივები დასთამაშებდნენ მტკივან ტუჩებზე.
თვალები არც მაშინ გაუხელია ბიჭს დედის შეხება რომ იგრძნო. . .
თითქოს მისი სახის დამახსოვრებას ცდილობდა სამუდამოდ გონებაში. საკუთარ თავს აიმედებდა ქვეცნობიერად, რომ მოენატრებოდა თვალს დახუჭავდა და მის სახეს დაინახავდა.
„დაკემშილი „ თვალები დაუკოცნა მარიშკამ.

დახუჭულ თვალებს მიღმა მზერა დაიმახსოვრა და ჰორიზონტს მიღმა მიმავალ გზას გაუყვა..
ხელბარგი არ ჰქონდა, მხოლოდ საკუთარი შვილის სევდა აეკიდებინა ზურგზე.
უკრაინის სტეპებს ემშიდობებოდა დაკემსილთვალებიანი ბიჭის დედა -მარიშკა . . .
. . . . . .
ულამაზესი სოფელია ჩვენი გომარეთ-სოფელი,
ხალხი კეთილშობილი, სიკეთით სავსე,
მზის სოფელია ჩვენი სოფელი,
ფერმა, სადაც მარიშკას უნდა ემუშავა პატარა, მორაკრაკე მდინარის პირას იყო გაშენებული.
შრომას შეჩვეულ მარიშკას მუშაობა არ გასჭირვებია. სისხამ დილაზე დგებოდა. როცა მზის პირველი სხივი გამოჩნდებოდა სამყაროს აღმოსავლეთით, მოჭიკჭიკე ჩიტებთან ერთად ეგებებოდა ალიონს. . .
ამ წუთებში, სადღაც მდინარის ქვებს უკან მიყუჩდებოდა ხოლმე მისი ტკივილი . . .
მთელი სხეულით გრძნობდა, შორს უკრაინის სტეპებში მისი დაკემსილთვალებიანი ბიჭიც ასევე შეჰყურებდა მზეს . . .
გული გულს გრძნობდა . . . განსაკუთრებით მაშინ, ერთი სისხლი თუ მოედინებოდა ორივე გულში. დრო-და-დრო დედა საკუთარ გულს ხელისგულზე დაიდებდა და დიდხანს და დაჟინებით ათვალიერებდა . . . ეს გული სისხლის გუბედ რომ იქცა, მაშინ მიხვდნენ მოჭიკჭიკე ჩიტები შვილის გულს რომ ათვალიერებდა მარიშკა სინამდვილეში.
ძალიან უყვარდა თავისი ნაირფერი ძროხები, რიჟრაჟზე ბღავილით რომ აღვიძებდნენ არემარეს . . . თითქოს სიცოცხლე ახალ ძალას იძენდა ყოველ ახალ დღეს. მოვლა-პატრონობას არ აკლებდა მარიშკა ძროხებს, რომლებიც მადლიერების ნიშნად სავსე ჯიქნებით ბრუნდებოდნენ საძოვრებიდან. . . ხელის შეხებით გრძნობდა მარიშკა თანდათან როგორ ა-მდინარ-და რძე სადინარებში.
ერთ დღეს, მაშინ როდესაც მარიშკას მზის საკუთარი სხივი ჩამოტყდა აღმოსავლეთის მზეს, ფერმა დაიხურა.
. . . . . .
დაკემსილთვალებიან ბიჭს ცრემლი ჩაუდგა ჩაშავებულ უპეებში. დედის წასვლის შემდეგ სტეპებს რამდენჯერმე ეცვალათ ფერი.
. . . . . .
გაოგნებული იდგა ჰორიზონტამდე მიმავალ გზაზე, ვერ გადაეწყვიტა შინ, უკრაინაში დაბრუნებულიყო ხელმოცარული თუ კვლავ ებრძოლა ჯერარდაბადებული იმედის დაბადებისთვის . . .
თავადაც დაეხუჭა თვალები. საკუთარ თავს უმზერდა ფერფლისფერი სამყაროდან, საკუთარ დაწყვეტილ ნერვებს და გულს უკან დამალულ სევდას.
შვილი ენატრებოდა ძალიან. მხოლოდ გულით არა, ნერვებით.
ბოლოს დარჩენა გადაწყვიტა, შემოდგომამდე თითქოს.
კეთილ ხალხს რა გამოლევს ჩვენს გომარეთ-სოფელში. . . ერთ-ერთ მადლიან ოჯახს შეუფარებია, თბილი კერა შეუთავაზებიათ და საჭმელ-სასმელიც უხვად მიუწოდებიათ მისთვის.
მარიშკა მწველავად მუშაობდა. . . ქათქათა თბილი რძით რომ აავსებდა სათლებს და საქონელს დააბინავებდა, ოთახში შეიპარებოდა და დიდხანს იდგა სარკესთან.
არავინ იცოდა რას ფიქრობდა ამ დროს.
საკუთარ თვალებს აკვირდებოდა დიდხანს, საკუთარ თვალებში დაეძებდა შვილის სილუეტს ასე ძალიან რომ ენატრებოდა.
შინაგანი ტკივილის მიუხედავად ბოლო დროს მარიშკა ძალიან დამშვენებულა, სხეულის ფორმები შევსებოდა და თვალებში უცნაური იმედი ჩასახლებოდა.
ახალგაზრდა მწყემსი სტუმრობდა ოჯახს,
ბოლოს დროს ხშირად.
მარიშკას გულს, შვილს რომ ეკუთვნოდა პატარა ნატეხი ჩამოსტეხია ახალგაზრდა მწყემსისთვის.
. . . . . .
გამთენიისას გაუდგნენ გზას.

მდუმარედ მიყვებოდნენ ცხვრის ფარას . . . გომარეთის ქვიან ფერდობზე რომ შეფენილიყო უკვე.
ალაგ-ალაგ ბატკნების გაუბედავი ბღავილი ისმოდა ნაცრისფერ სივრცეში.
მესამე დღე იყო იმედის გაჩენიდან.
მესამე დღე იყო შვილს რომ ვერ უკავშირდებოდა.
მესამე დღე იყო. . . გული სისხლად რომ იწვეთებოდა

. . . . . .

ომი რომ დაიწყო, კახეთის გზას ადგნენ.
კაშკაშა მზე ანათებდა,
ქათქათა ხუჭუჭა ბატკნები მზის სხივებთან თამაშით ირთობდნენ თავს.
მარიშკა იქვე, ხის ძირში ჩამომჯდარიყო და თვალდახუჭული ისრუტავდა მზის სითბოს.
ხეს ხმელი ტოტები და მიწაში ღრმად გადგმული ფესვები ჰქონდა. ჯერ ცოცხალი.
ამბავი კეთილმა მწყემსმა მოუტანა.
პირველად მაშინ ატირდა გული. შუასაყარში კედლებს ეხეთქებოდა გალიის ჩიტივით.
ტკივილამდე უნდოდა შვილის ნახვა.
საკუთარ ხელს უკბინა ჩუმად.
თითქოს ტკივილი შეუმსუბუქდა.
ტკივილმა ტკივილი ჩაახშო.
დანიშნულების ადგილს რომ მიაღწიეს მზე ფერდობებს უკან ჩამალულიყო უკვე.
ჰაერივით ისრუტავდა მარიშკა ომის ამბებს,
მუდამ ეკითხებოდა კეთილ მწყემსს.
მოვლას არ აკლებდა მწყემსი, მაგრამ ილეოდა მარიშკა.
შვილი ენატრებოდა,
შვილის ხმა ჩაესმოდა,
შვილს ეძახდა.
ომში წასულ დაკემსილთვალებიან ბიჭს.

. . . . . .

გამთენიისას ჩამოვარდნილა ჭურვი.
ერთ მთლიანობად ქცეულა სტეპი და სოფელი.
ფართოდ გახელილი უძრავი თვალებით იმზირებოდა . . .
ოდესღაც დაკემსილთვალებიანი ბიჭი.
ბავშვობაში მარიშკას ჰგავდა ...
დედასავით ნათელი თვალები და გრძელი ხელები ჰქონია თურმე.

. . . . . .

დიდხანს მდგარა კართან კეთილი მწყემსი,
იქამდე სანამ მარიშკას თავად არ გამოუხედავს დაგვიანებით შეშფოთებულს . . .
კითხვა უსწავლია უცხო ქვეყანაში,
ფიქრების კითხვა,
ადამიანების დატანჯულ სახეებზე.
შვილის სიკვდილი რომ ამოუკითხავს,
საკუთარი ხელით ამოუგლეჯია საკუთარი გული.
კახეთში დაუკრძალავთ.
მადლიანი კაცი ყოფილა მწყემსი.

. . . . . .

მარიშკას საფლავზე, ხშირად შეამჩნევთ ერთ ცალ მოფარფატე პეპელას . . .
ადამიანის სულს რომ ჰგავს ძალიან.

ვასო

ბავშვი ბავშვის ტირილმა გააღვიძა.
დიდხანს ტიროდა,
იმდენ ხანს ტიროდა სანამ მისი ტირილი დედამიწის კვნესად არ იქცა.
თაფლისფერთვალება ვერა საწოლიდან გადმოსულიყო და ჩამქრალი შეშის ღუმელის წინ მუხლის ჩოქებზე იდგა, თან ცალი მკლავით ცრემლის შეშრობას ცდილობდა, სევდიანი თვალებიდან რომ მოედინებოდა შეუჩერებლად.
ბავშვი ბავშვის ტირილმა გააღვიძა და წამოდგა.
უფრო სწორად წამოიწია მტირალა დისთვის რომ შეეხედა. . . პატარა ვერას დიდრონ თვალებში ჩაბუდებული უცნობი შიში რომ დაინახა, საწოლიდან გადმოვიდა...შიშველი ფეხებით გაიარა ალაგ-ალაგ ჩამტვრეული იატაკი და დასთან მივიდა.
ჭროღათვალება ძმამ თაფლისფერთვალება და ხელში აიყვანა და იქვე, ღუმელთან დაგდებულ ძველ ხალიჩაზე დასვა. . .
თვითონ გარეთ გავიდა. შემდეგ შემობრუნდა, მძინარე ძმას პატარა დაკოჟრილი ხელებით საბანი გაუსწორა და ისევ გავიდა.

. . . . . .

ოთხნი იყვნენ.
პატარა ვასო.
პატარა შალიკო.
პატარა ანია და პატარა ვერა.

. . . . . .

ქვის ჩამონგრეულ ღობესთან ჩიტის ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყი ეგდო, იქაურობას რომ იკლებდა წივილით.
ჩიტის ბარტყის დედა-ჩიტი არსად სჩანდა. არც მისი.
არც პატარა ანია.
არც მუდამ ეზოში მოფუსფუსე მიხა პაპა. მამა დიდი ხანია გარდაცვლოდათ.
იქვე, სახლის წინ . . .
უჩვეულო ღრიალით მოედინებოდა ხევის წყალი.
იქამდე იდგა პატარა ვასო დიდი სამყაროს პირისპირ მარტო , სანამ მეზობელი დათიკო პაპას ყვირილმა არ შესძრა სამყარო. . . ის ხელების ქნევით და ხმამაღალი შეძახილებით გარბოდა ხევისკენ. ვასომ გზა გადაჭრა და უმალ აღმოჩნდა ხევისპირას. . . შუაგულ ხევში, უცნაურად აღრიალებულ წყალში პატარა ანია იდგა და მეორე ნაპირზე გასვლას ცდილობდა... დათიკო პაპამ მისი გამოყვანა რომ სცადა ბავშვი ხელიდან გაუსხლტა, ანია გულამოსკვნილი ტიროდა და დედას უხმობდა . . . დათიკო პაპამ მის მზერას თვალი გააყოლა, ბავშვი გულში ჩაიკრა და ხევიდან ამოვიდა. ცდილობდა ვასოსთვის თვალი აერიდებინა მაგრამ . . .
პატარა ვასოს სამუდამოდ აღბეჭდოდა გონებაში ხეებს შორის მიმალული დედის სილუეტი. .

. . . . . .

ტკივილი ქვებსაც რომ ჰგავდა, მაშინ მიხვდა . . .
გა-ქვა-ვებული გულით რომ იჯდა ცივ ქვებზე დედის ლოდინში.
დედა არ დაბრუნებულა.
მხოლოდ მის ნახევრადშიშველ სხეულს შემოხვეული დები და ძმა ...
ცისარტყელას მიღმა გაბნეული დაღლილი მზერით.
პატარა ვასოს გული გაზრდოდა, დედის ლოდინში.
პატარა ვერა ხშირად ხედავდა სხვის ეზო-კარში მოფუსფუსე დედას.
დედა ლამაზი ჰყავდათ, სიყვარულს დიდი ძალა აქვს.
ერთი დედის გულს იყოფდა გომარეთ-სოფელი.
მზეს გზა აბნევია ცის კაბადონზე.

. . . . . .

მამის მამა, მიხა პაპა ძალიან მშრომელი კაცი ყოფილა, მაგრამ ძალიან უჭირდა ოთხი შვილიშვილის რჩენა. ერთი პურის ნაჭერი ჯერ ორად იყოფოდა, შემდეგ ოთხად . . . ბოლოს ნამცეცებად ქცეულ პურს ჩიტის ბარტყებსაც უზიარებდნენ უ-დედ-ო, ობოლი ბავშვები.

. . . . . .

ბავშვთა სახლში რომ მიაბარეს, პაპამ საკუთარი გული ოთხად გაყო და თითოს თითო ნაწილი გაატანა... დიდხანს იდგა მოხუცი პაპა კარის ზღურბლზე. მკაფიოდ გრძნობდა მის გულს ჩახუტებული პატარა ანიას გულისძგერას . . .უკვე ძალიან რომ ენატრებოდა. ბოლოს დედამიწას მიჯაჭვული მზერა მოსწყვიტა და ზევით აიხედა . . .

ჭუჭყიანი, მტვრიანი ფანჯრიდან დაჟინებით უმზერდა ოთხი წყვილი თვალი . . ჭროღათვალება ვასოს ჭროღათვალება ანია ხელში აეყვანა, ცალი ხელი კი თაფლისფერთვალება და-ძმისთვის შემოეხვია. . .

ოთხნი იყვნენ.

პატარა ვასო.

პატარა შალიკო.

პატარა ანია და პატარა ვერა.

მოხუცმა პაპამ, გულის ტკივილი რომ ჩაეხშო, შუშის ნატეხით თითები გადაისერა და სოფლისკენ მიმავალ გზას გაუდგა.

წლებმა წლები რომ შეცვალეს ვასო სოფელს დაუბრუნდა. მამა-პაპისეულ კარ-მიდამოს რომ მიადგა . . . დედამიწას ნაჭრილობევი შეუხორცდა და გულმა კვნესა შეწყვიტა. . .

დედამიწის გულმა, მისმა არა.

შრომამ მუხას დაამსგავსა. მოძლიერდა, ფესვები გაიდგა. მზის წნული მაინც სტკიოდა.

და-ძმის წილი გული სტკიოდა მუდამ.

. . . . . .

იქ არაფერი შეცვლილა. ფანჯრებიც კი ისევ ისეთი ჭუჭყიანი და მტვრიანი იყო.

თაფლისფერთვალება ვერა და შალიკო გზის პირას ელოდებოდნენ.

სადღაც იქვე იმალებოდა სხივჩამოტეხილი მზე.

უმალ იგრძნო ვასომ მათ შეკრულ მუჭში ჩამალული მათი წილი „ პაპას გულის“ ძალა.

უკან რომ ბრუნდებოდნენ . . .

გომარეთ-სოფლის ყანებში ყაყაჩო ყვაოდა უკვე.

„პატარა ანია“ ისევ არ სჩანდა . . .

. . . . . .

დიდხანს უძებნია ვასოს პატარა ანია . . .

ადამიანები ადამიანებს უამბობდნენ ამის შესახებ,

ჩიტები ჩიტებს . . .

მერცხლებს კარიდან კარში დაჰქონდათ „ პაპას გული“-ის ტკივილი

ბოლოს მოკეთეს მოუტანია ამბავი:

„ზესტაფონში, ერთ ოჯახში ჭროღათვალება ანია ჰყოლიათ რძლად-ო. უფრო მეტიც უთქვამთ: ბავშვთა სახლიდან ახალციხეში გაუშვილებიათ და გაუზრდიათ-ო . . . პიანინოზე დაკვრა ჰყვარებია პატარა ანიას და დედინაცვალი ამის გამო ხშირად უწყრებოდა-ო“ . . .

. . . . . .

ორი ერთნაირი იდგა ბაქანზე.

ორივე ჭროღათვალება.

ოდესღაც პატარა ვასო და პატარა ანია.

ორივეს ისევ ისე ეჭირა შეკრულ ხელისგულებში „ პაპას გული „-ის საკუთარი ნაწილი...

ყვითელგულა ფურისულები ყვაოდნენ სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე . . .

თამარაშენში უპოვიათ.

მაცხოვრის ეკლესიასთან.

ცალ მუხლზე მდგარა. თავდახრილი. ნატყვიარი ზურგით.

ეკლესიის კედელს მიყრდნობილი.
დედას უპოვია.
ჯერ ფეხი ...ფეხსაცმლიანი, სხეულის გარეშე.
შემდეგ კვალი შეუნიშნავს ყაყაჩოსფერი.
გული გაჰყოლია ნაკვალევს.
ეკლესიისთვის შემოუვლია, სათითაოდ გადაუთვლია ქვის ლოდები . . .
სიკვდილ -სიცოცხლის ზღვრები ამოუკითხავს...
ის კი, ისევ იქ იდგა თითქოს.
თვალი დაუხუჭავს დედის გულს ...
საკუთარი ნერვები დაუგლეჯია.
ცალმუხლმოდრეკილის მიღმა მიუმართავს მზერა...
გულს ვერ გრძნობდა . . . თავისას არა.
შიშმა მიიყვანა.
დაკოჟრილი ხელები შემოახვია მის ზურგს და მოაბრუნა..
. . . . . .
ყაყაჩოსფრად იწვეთებოდა ცარიელი შუასაყარი.
. . . . . .
ქვის ლოდად ქვეულა დედის სხეული.
გული კი ახლაც დაიარება ლიახვის პირას . . .
შვილის ამოგლეჯილ გულს დაეძებს..
მაცხოვრის ეკლესიასთან მლოცველ შვილის გულს...
თამარაშენში უპოვიათ. მაცხოვრის ეკლესიასთან.
დედას უპოვია.

მზენატრული . . .
ვიცი რომ სუნთქავდა. მაგრამ არ ვიცი რა ფერის იყოს მისი სუნთქვა . . .
ალიონშერეული ნარინჯისფერი თუ გაფითრებული ტუჩებისფერი.
სუნთქვაშეკრული სუნთქავდა და გაძვალტყავებული ხელებით ცდილობდა მზეს მოსჭიდებოდა,
მაგრამ არ შეეძლო, მზე შორს იყო თითქოს . . .
სინამდვილეში ხელები უკანკალებდა. მზეს ვერ იჭერდა. . .
მზე კი დადიოდა ხელიდან ხელში, სულიდან სულში, სხეულიდან სხეულში,
მაგრამ მას შორდებოდა . . .
მზის მოყვარულ მზენატრულს. . .
სუნთქვას რომ ცდილობდა, ხან ნარინჯისფრად, ხან კი უფეროდ.
თვალდახუჭული, მზერადქცეული გრძნობით კვდებოდა მზენატრული.
წამწამებით ელამურებოდნენ თავდახრილი ლილიფარები, ათრთოლებულ პირ-სახეს!
უცებ, ძლიერად შეირყა დედამიწადწოდებული გული . . . და!
ჩიტად ქცეული სული ჭიკჭიკით გაფრინდა მზისკენ,
მზენატრულისთვის ამბის მოსაყოლად . . .
წიოკით ბრუნავდა დედამიწა დაღონებული მზის ირგვლივ. . .
. . . . . .
რცხვენოდა მზეს . . . გვერდზე გაწეული სიცოცხლის გამო.
საკუთარი ჩრდილივით მუდამ თან სდევდა ლილიფარების მოყვარული მზენატრული. . .

თვალხატულა ერქვა.
მაშინ, როდესაც დედამისმა შვილის შობისას . . .
მისი არსებობა დედამიწისთვალება მზეს შეავედრა და მაშინაც . . .

როდესაც საუკუნის ზღვარს გადავლებული ცისთვალა მზეს ეკედლებოდა ქვეცნობიერად.
. . . .
თვალხატულა მზეს არ ჰგავდა, უფრო დედამიწას.
მზესავით მწველი მხოლოდ ტკივილი ჰქონდა.
მისი დაღლილი ხელისგულები დედამიწას გაგონებდათ,
ბორცვებივით გასჩენოდა კოჟრები ყოველი თითის ბოლოს,
ხელისგულებზე გავლებულ ხაზებში რომ იწვეთებოდა სისხლისფრად.
ფეხის ტერფებში, თითებსშორისი ბაყაყურას ყვავილებით ამოვსებულიყო,
საკუთარ ნაჩხვლეტს რომ მალავდნენ უტიფრად ფეხის გულებში.
თვალხატულა ფრთხილად გადადიოდა ქვიდან ქვაზე..
ნატეხიდან ნატეხზე.
სოფლის შარაზე, ალაგ-ალაგ,
კაკლის ნამტვრევი მიმოებნიათ ონავარ ბავშვებს . . .
მაგრამ თვალხატულა, დაჩხვლეტილი ფეხისგულებით ვერც ამჩნევდა ,
ისე მიემართებოდა წინ.
უსასრულობისკენ, მარადიულობისკენ . . .
მარადიული უსასრულობისკენ.
ცისა და მიწის გზაგასაყარზე ხვდებოდა სევდა,
განსაკუთრებით რომ წუხდა მისი დასერილი ფეხისგულების გამო.
. . . . . .
თვალხატულას მზე ორნაირია . . .
დედამიწის და ცისთვალება.
დედამიწას ერთი საკუთარი მზე ჰყავს, ცასაც.
მხოლოდ თვალხატულას ჰყავდა ორივე.
. . . . . .
თვალხატულა ერქვა.
მაშინ როდესაც დედამისმა შვილის შობისას . . .
მისი არსებობა დედამიწისთვალება მზეს შეავედრა და მაშინაც . . .
როდესაც საუკუნის ზღვარს გადავლებული ცისთვალა მზეს ეკედლებოდა ქვეცნობიერად.

ჩემს მერცხლის ბუდეში გეპატიჟები...
ჩემი მერცხლების ნაშენ ბუდეში . . .
თითო-თითოს...
ზოგს გამთენიისას,
ზოგს პურის ნამცეცების ძებნაში გაავებული შიმშილი . . .
ზოგი ქვად ქცეულ დარდს ვერ ერეოდა და ბუდეში მოფრენამდე უვარდებოდა ძირს . . .
ტეხდა ტოტებს:
გაზაფხულის ხისას . . .
ზაფხულის ხისას . . .
შემოდგომის ხისას . . .
ზამთრის ხისას . . .
ეცემოდა ძირს . . .
ხის ძირში ელოდებოდნენ ადამიანები.
საკინძეგახსნილი დედები,
წელში მოხრილი მამები.
დაღლილი შვილები დედის ძებნაში გაზრდილი გულებით.
სადღაც, იქვე ისმოდა წყლის ჩუხჩუხი . . .
ურცხვად რომ ერწყმოდა ადამიანური ცრემლის არაადამიანური ხმა . . .
ჩემს მერცხლის ბუდეში გეპატიჟები, ჩემს გულში.

შუასაყრიდან ამოვარდნას რომ ლამობს მუდამ
ჩიტად ქცეული სული რომ ჭიკჭიკებს . . .
ადამიანური გასაჭირის მოჭიკჭიკე სული .

ფიჭვი ტყის პირას იკლაკნებოდა.
არც მორაკრაკე რუს ჰგავდა, არც მოღიღინე ნაკადულს.
დროდადრო დინებას წყვეტდა და სადღაც,
ეკლიან ბაყაყურებსა და ტყის პირას მიმობნეულ მინდვრის მარწყვებს შორის იკარგებოდა...
შემდეგ ღრმად ამიოხრებდა, ქვებს მიხეთქებული. . .
ტკივილისგან აკივლდებოდა და სვლას განაგრძობდა.
თითქოს მე მგავდა.
ჩემს გულისცემას, ჩემს გულისტკენას. ჩემს დაკოჟრილ ხელებს. . .
ხარბად იწოვდა გულგახეთქილი დედამიწა ჭანგა ბალახზე მიმობნეულ ნამს . . .
გამომშრალი, დანაპრალებული ტუჩებით ელამუნებოდა წვეთებს . . .
ჩემს სხეულში ახმაურებული სისხლის ხმა მისწვდა გონებას . . .
მძარფრად აღიქვა გონებამ.. გულს უხმო საშველად.
გული კი მომკვდარიყო. თითქოს.
ყვავილებს თავი დაეხარათ სიკვდილმისჯილი სიცოცხლის წინაშე..
სიცოცხლე განაჩენს ელოდა..
ჩემი სიცოცხლე.

დედა, თოვლის ქვეშ თბილა...
. . . . . .
საფლავის ჯვარს დამხობილი დედის ლანდი, შვილის ნაკვთების აღდგენას ცდილობდა თითქოს.
. .
ეშინოდა, რამე არ გამორჩენოდა.
მერამდენედ თვლიდა გონებაში მისი თმის ღერების რაოდენობას, მის წელთა სიმრავლეს..
გამალებით ეძებდა ერთს... ცელქობისას სიყვარულით მოწიწკნულს, მონატრებულს.
. . . .
ტკივილი კლავდა მეხსიერებას!
კივილი ტკივილს!
. . . . . .
ხმის, ნერვებჩაწყვეტილი იოგების ხრიალი ახშობდა მარადისობად ქცეულ "შვილოს".
ისიც დუმდა, "შვილო"
დედის ლანდიც დუმდა, ჯვარს შემოხვეული დედის ლანდი.
მხოლოდ თოვლის ჭრიალი ისმოდა.
ფეხაკრეფით მოიპარებოდა ის..
დედის მარადისობა რომ უნდოდა.
. . . . . .
დედა, თოვლის ქვეშ თბილა!

იქ იჯდა ქვაზე,
ეს ქვა ყველგან იყო. დარდიც.
ქვა ძლიერი იყო. დარდი ჩუმი, მეტყველი თვალებით.
მარადისობაგამოვლილი დარდით დამძიმებულა ქვა..
ალაგ-ალაგ ჩასმოსცვენია ნატეხები. . .
ადამიანის დარდს ატარებდა თითეული.

ამიტომ სტკიოდა დედამიწას სული ...
უჭირდა ქვის ნატეხების ცქერა..
მის ხორცს ჩხვლეტდა და სულს უმძიმებდა..
დიდხანს უვლია დარდს.
ადამიანის სულისა და ხორცის ყველა კუთხე-კუნჭული შემოუვლია.
ხან აზრად დაბადებულა მის გონებაში,
ხან ფიქრებად ჩაჰყოლია სიზმარში..
. . . . . .
ხან ვნებაარეული ძუძუსთავებს მიჰპარვია...
და დედამიწის დედობისთის გამზადებულ ორ სანიშნეს დასცხრომია ანაზდად.
მაგრამ დუმდა დარდი.
გრძნობდა როგორ იხლართებოდა სულისა და ხორცის ჭიდილში.
შემდეგ გული მოუკვდა დარდს.
ქვაზე ჩამოჯდა და ნატეხებს დაუწყო ცქერა..
მისი სიმძიმის გამო ჩამოტეხილ ნატეხებს. . .
. . . . . .
ჩუმია დარდი.
ნატეხებს შორის ფესვი გაუდგამს დარდად გაბნეულ ცისფერ ყვავილებს...

ზოგჯერ არაფერი გინდა . . .
მხოლოდ შეგრძნება მდუმარე მეგობრის, რომ წაიქცევი და ვიღაც . . .
წამოგაყენებს ფეხზე.
ისევ დუმილით.უბრალოდ არსებობით.
ხანდახან ისე შორს ხარ საკუთარი სხეულისგან,
რომ შენს დასახმარებლად გამოწვდილი ხელი ...
ვერ წამოგაყენებს.
რადგან გახლეჩილ გონებას ვერ უმკლავდება ადამიანის ჩონხის სრულყოფილება.
მხოლოდ ცნობიერისა და ქვეცნობიერის ჯერ შეუმდგარი ...
გახლეჩილი გონება მტკივნეულია.
შორს მყოფ სხეულსაც სტკივა.
როგორც მოკვეთილი კიდური.
აღარ არსებული.
ვერდავიწყებული.
თვალდახუჭულ მდგომარეობაშიც კი.
. . . . . .
საკუთარი გონების პატიება ვერ ვისწავლე.
ვერც გონებისგან შორს მყოფი სხეულის.
. . . . . .
მოკვეთილ კიდურს ჰგავს მტკივნეული გონება.
გტკივა და ვერ ხედავ.
გტკივა და არ გაქვს.
წლობით გტკივა.
ბოლოს იღლება ტკივილი.
ქვეცნობიერში მახვილი აზრები იბადება.
ქვეცნობიერში ფესვებგადგმულ ტკივილის ნერვები უკვდება...ან აპირებს.
მაგრამ რჩება გონებაში. საკუთარი ადგილი აქვს.
. . . . . .
მოკვეთილ კიდურს ჰგავს. საკუთარი ადგილის აქვს მასაც.
სხეულზე, სხეულში, სხეულთან.

იქ, მეორე კიდურის გვერდით.

რომ მიდიოდა, ჩიტები ჟღურტულებდნენ დაუსრულებლად . ..
არ იცოდნენ სად მიდიოდა. . . .
ვისთან ან ვისკენ.
სიფრიფანა იყო, მძიმე ნაბიჯებით. . .
ერთადერთი მძიმე ნაწნავით,
მთელს სხეულს ბრძენი გველივით რომ შემოხვეოდა . . .
ზოგჯერ წინ, გულისკენ გადმოიგდება . . .
მოშიშვლებული სანიშნეები რომ დაემალა . . .
ორი ცხოვრება ჰქონდა,
ერთი სიცოცხლე და ერთი სიკვდილი.
დღე-ღამესავით ენაცვლებოდა ერთი - მეორეს,
ან მეორე-მესამეს ან მესამე-მეოთხეს. . .
ახლა დაბნეული მიდიოდა, მძიმე ნაბიჯებით.
ისეთი მძიმე იყო ეს ნაბიჯები. . .
ნერვული წნულები სტკიოდა დედამიწას . . .
და გამხმარ ხეებად კიოდა ალაგ-ალაგ . . .
ან გაზაფხულზე, ძირს ჩამოცვენილ ნუშის ყვავილებად კვნესოდა გამუდმებით. . .
ის კი მიდიოდა, და არავინ იცოდა საით. ზოგს საკუთარ სხეულში, ზოგს საკუთარ სულში, ზოგს კი საკუთარ ქვეცნობიერში დაატარებდა ეს გზა . . .
შორიდან უმზერდნენ საკუთარ ხვედრს . . .
ნაფლეთებად ქვეული დედამიწის ნაწილები . .
ჩიტები კი ჟღურტულებდნენ დაუსრულებლად.

შენ რომ წახვედი, გაზაფხულს წამი გადასცდენოდა. . .
ჩემს მოკრძალებულ სევდას ისე მიელულა თვალები თითქოს რცხვენოდა საკუთარი არსებობის და ჩემს სულში არსებული ღირსების გამო, ასე რომ მაღიზიანებდა დრო-და-დრო. მოცელილ ბალახს ემსგავსებოდა ჩემი არსებობა. არსებული და არ არსებული.
. . . .
კივილს რომ გონება ჩაახშობდა მაშინ უბრუნდებოდა ჩემს გრძნობადაკარგულ ხელებს გონიერება
. . .
ერთმანეთში გადახლართულ ღრმა ნაოჭებში სიცოცხლის ნაპერწკალი გაიელვებდა,
თითქოს სისხლს ნიშანს მისცემდა სიცოცხლის გასაგრძელებლად. . .
ალაგ-ალაგ, დაკოჟრილ ხელისგულებში ჩაიღვრებოდა . . .
ხელისგულები გამითბებოდა . . .
დედამიწის ხელისგულები. . .
ასე რომ იყინებოდა უშენოდ.
. . .
ჩემმა მილულულთვალებიანმა სევდამ რომ თვალები გაახილა,
მაშინ მივხვდი . . . დედამიწას დაბრუნებოდი, ჩემს დედამიწას.

ანამარია ლილუაშვილი

გოგონა და გოგრა

(ნამდვილი ამბავი)

თავი 1

ერთ სოფელში რომელიც რიონის სანაპიროსთან იყო გაშენებული და სარბევი ერქვა ცხოვრობდა ერთი მოსიყვარულე მრავალშვილიანი, რეზო ლილუაშვილის ოჯახი. რეზოს და ასმათის, მის მეუღლეს 5 შვილი ჰყავდათ. ბავშვებს მუდამ არიგებდნენ და კეთილსინდისიერად ზრდიდნენ. მათ

მეოთხე გოგონას რომელსაც მარიკა ერქვა ხშირად უყვარდა ნატალია ბებოსთან სტუმრობა, რომელიც იმავ სოფელში , არც თუ მოშორებით მერვე მოსახლე იყო.

ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა ჩვენი გმირი ბებოს სტუმრებოდა და შეასრულა კიდეც. ბებო ჩვეული სითბოთი და სიყვარულით შეეგება. იქ სტუმრად მოსული მამიდაშვილი ნანა დახვდა . გოგონები თითქმის თანატოლები იყვნენ ასე შვიდი- რვა წლისანი. დასხდნენ თავიანთი ამბების მოყოლას რომ მორჩნენ გადაწყვიტეს მარიკასთან სტუმრად წასვლა. თავიანთ ფიქრებში გართულებს სულ გადაავიწყდათ ეს ბებოსთვის ეთქვათ.

ამ სოფელში სახლები პარალელურად იდგა ე.ი ორი პარალელური გზა ჩამოუდიოდა სოფელს. ერთი წინა მხარეს მეორე კი უკანა. უკანა გზა როგორც მას ეძახდნენ მოსახლეებს ჰყოფდა და რიონის ნაპირზე გადიოდა სადაც სოფელს სამეურნეო ნაკვეთები და მოშორებით საბალახოებიც ჰქონდა.

ეხლა ჩვენს გმირებს დავუბრუნდეთ რომლებიც პირველი წინა გზით მოძრაობდნენ წინა გზის ერთ მხარეს მოსახლეობა იყო მეორე მხარეს კი ამაღლებული გორა სადაც რკინიგზა გადიოდა.

გზას გამდგარმა ჩვენმა გოგონებმა შენიშნეს რომ გორაზე ერთ ერთ ადგილზე გოგრა გადაბარდნილიყო და რამოდენიმე მოზრდილი გოგრაც ამშვენებდა . გადაწყვიტეს მოეწყვიტათ და ბებოსთან მიეტანათ. მოწყვიტეს დიდი ვაი ვაგლახით და ის ის იყო უკან უნდა გაბრუნებულიყვნენ, რომ მოპირდაპირე ეზოდან რომელიც ოთარი კიკვაძეს ეკუთვნოდა (მარის დედაც კი კვაძე გახლდათ და ამიტომ ეს ოჯახი მათ მონათესავე ითვლებოდა) მისი ვაჟი საშკა და მისივე მამიდაშვილი ავთო თამაშობდნენ. ეზოდან ატყდა ყვირილი ქურდები ქურდები დაიჭირეთო.

შეშინებული გოგონები გოგრით ხელში მაღლა გორაზე ავიდნენ რკინიგზაზე მდგარ ვაგონის ქვემოთ გაძვრნენ გოგრა იქვე მოიფრიალეს და სირბილ სირბილით მიაღწიეს ბებოს სახლის წინ, სადაც ისევ ვაგონებს ქვემოთ გამოძრომა და გორაზე პატარა ბილიკის მოძებნა დასჭირდათ რომ ბებოს ეზოში მოხვედრილიყვნენ . იქ კი ბებო გაცეცხლებული დახვდათ, ისეთი არასოდეს რომ არ ენახათ: უკითხავად როგორ წახვედით, საჭმელი მოვამზადე და რომ ვერ გიპოვეთ კინაღამ გაგვგიჟდიო.

ასე დასრულდა იმ დღეს ბებოსთან სტუმრობა .

შეშინებული მარი კი სოფლის მეორე უკანა გზით დაბრუნდა შინ, წინ გზაზე გავლის შეეშინდა.

უკანა გზიდან მარიკაც სახლთან შუკა შემოდიოდა.

თავი 2

სახლში მისულმა მარიკამ კაბა გაიძრო დახია და ნაგავში ჩააგდო , თითქოს ჯავრი მასზე იყარაო.

გულს უღრღნიდა ეს როგორ დაემართა . სხვის ნივთს ხელი როგორ მიჰკიდა. არა ეს სხვისი არ ეგონა ის გოგრა ხომ ნაგვის დანაყრელ ადგილზე შემთხვევით იყო ამოსული. არა მაინც როგორ მოჰკიდა ხელი ?

ცოტა ხანში ეზო შეათვალიერა და ლეღვის ხეს ესტუმრა პატარა კალათით ლეღვების დასაკრეფად იქვე უმცროსი ძმა კახა დაიყენა ხის ძირში, რომ კალათის გაცლაში დახმარებოდა.

ის ის იყო ხიდან უნდა ჩამოსულიყო რომ მეზობლის ბავშვები ესტუმრნენ , ისინი რომლებიც გაჰყვიროდნენ ქურდები, ქურდებიო.

აბა სადა ხარ ქურდო -შესძახეს ხის ქვემოდან. რა გგონია კაბა თუ გამოიცვალე ვერ გიცნობდითო? განსაკუთრებით უტევდა ალექსანდრე.

არ ვარ ქურდი ის ხომ გორაზე მისით იყო ამოსულიო უპასუხა სიმწრით გოგონამ თან სირცხვილით ღაწვები ეწვოდა. ეს როგორ დამემართაო?!

არ იყო მისით ამოსული ეს ბიძაჩემმა დათესაო -უთუოდ ცრუობდნენ ბავშვები, რადგან იმ ადგილას გორაზე მათი ოჯახიდან გამოჰქონდათ ეზოს ნახვეტი ნაგავი და რკინიგზის გორას აყრიდნენ. მას შემდეგ რაც გოგრის ბარდა შეენიშნათ ნაგვის დაყრა შეუწყვეტიათ.

ეხლა მამას ვეტვით და აი ნახავ რაც მოგივაო -იჩემებოდა ალექსანდრე.

მარის ძალიან უყვარდა რიონის სანაპიროზე გასეირნება . ნაპირთან ახლოს ან კუნძს იპოვიდა ან მინდორზე მოკალათდებოდა და შეეძლო საათობით ეცქირა მოჩუხჩუხე სუფთა რიონის წყლისთვის . რამდენჯერ მუზა მოუქროლებდა და ლექსს მოუტანდა მაგრამ რადგან კალამი და რვეული არ დაჰქონდა თან და ჩაწერას ვერ ახერხებდა ეს ლექსებიც უკვალოდ ჰქრებოდნენ ხომე .

ერთხელაც ასე მოკალათებულიყო და წყალს ესაუბრებოდა მისივე ენაზე და დაინახა იმ ბავშვების მამა ოთარი იარაღით მხარზეგადაკიდებული რომელიც სავარაუდოდ ნადირობიდან ბრუნდებოდა. რომელსაც მწყერზე ნადირობა უყვარდა და როდესაც დროს იპოვიდა ამ სისმოვნებას არ იკლებდა. შეშინებული გოგონა იქვე კუნძს ამოეფარა და ასე იყო გატრუნული სანამ არ ჩაიარა კაცმა იარაღით.

რას არ ფიქრობდა ეხლა მოვა და საყვედურს მეტყვის ან ვინ იცის რა მოხდებაო.

შინ შეშინებული დაბრუნდა და ასე არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, მივიდა დედასთან და ყველაფერი დაწვრილებით უამბი და შველა სთხოვა.

დედა ყურადღებით უსმენდა და ბოლოს თავზე ხელი გასაუსვა გულში ჩიკრა და უთხრა .

კარგი არ არის, მერე რა რომ გორაზე იყო ამოსული გოგრა, შენი ხომ არ იყო?! არ უნდა მოგეწყვიტა! , მაგრამ ამის გამო ნუ გეშინია ქურდი არ გქვია არც ოთარი ძია არ გაგიწყრება არ ინერვიულო მეტიო.

ასე იოლი ყოფილა თურმე დამშვიდება დედის სიტყვებითა და სითბოთი.

გოგონა მიხვდა რომ ქურდი არ ჰქვიოდა, მაგრამ იმ გზაზე რამოდენიმე თვე არც კი უფიქრია გავლა.

გვანცა ხარაიშვილი
ბეჟანის შვილიშვილი

უსამართლობის სრული ასპექტი

დიახ, განვიხილოთ უსამართლობის სრული ასპექტი რომელიც რეალობაში ხდება სადაც დაკარგულია ბალანსი, დაკარგულია სიყვარული, ერთგულება და თანაგრძნობა... შესაძლოა ადამიანის გრძნობებზე ბევრი კვლევაა განხორციელებული... მაგრამ მე ვფიქრობ რომ ადამიანები თავს ძალას ატანენ რომ იგრძნონ და მიიღონ ის რაც აკლიათ...უბრალოდ ცხოვრება იმდენად უსამართლოა რომ ტკივილის მეტს ვერაფერს ვღებულობთ მისგან....

რამდენჯერ დავფიქრებულვარ იმაზე თუ როგორი იქნებოდა ყველაფერი უბრალოდ, სიმშვიდე, მოთმინება, სიყვარული და თანაგრძნობა რომ ყოფილიყო... ალბათ ყველაფერი ნათელი და სასიამოვნო იქნებოდა.მე კი მხოლოდ მოვალეობის და ინსტიქტურად გაკეთებული ქმედებების წინაშე ვდგავარ რომელსაც უწევს თავის გადარჩენა და ყოველ ჯერზე სიმართლის ძინება... იქ სადაც არც კი არსებობს თეთრი მხარე ... დასკვნა კი ის არის რომ ადამიანი მუდმივ ასპექტში განიცდის ტკივილს...

ჩემს წინ რაღაც უცნაური ასხივებს... ოთახში მიმოფანტულ ნივთებს კი სახელი დაჰკარგვიათ... არ ვიცი ფანჯარასთან რაღაც ნივითი დევს რომელიც ჩემს ანარეკლს მხოლოდ მაშინ მანახებს როდესაც ვუახლოვდები... ფანჯრიდან კი ხეები ჩანს რომლებიც წვიმასთან ერთად ტირიან ... ზოგჯერ ციდან მოგლეჯილ ფანტელებს მხრებზე ილაგებენ ... ერთხელ შევამჩნიე როგორ ბედნიერად გრძნობდნენ თავს როდესაც მწვანე ფოთლები არხეინად შრიალებდნენ მის თავზე... თითქოს გარბოდა და ქარი თმებს უწეწავდა...აღსანიშნავია ის ფაქტიც თუ როგორ იცვლიდა ფერს დროთა განმავლობაში მისი თმა... წითლდებოდა შემდეგ ყვითელიც ერეოდა საბოლოოდ ჭკნებოდა და ძირს ნელ ნელა ეფინებოდა... მე კი მთელი ეს პროცესი ფანჯრიდან მაქვს დანახული....რაც მხოლოდ ჩემი თვალების უკან გადაშლილმა სამყარომ სკივრში მისთვის განკუთვნილ ადგილზე სამუდამოდ შეინახა... კიდევ ხეებს შორის მოქცეული სახლები რომლებიც უბრალოდ წლების განმავლობაში არიან ერთ ადგილზე და ხედავენ ყველა იმ პროცეს რომელსაც მათ წინ გადაშლილი ბუნება განიცდის...ვხედავ მზეს რომელიც ათბობს მთვარეს...

მიწას რომელიც ათბობს ფესვებს...ცას რომელიც ხელით იჭერს ღრუბლებს...წვიმა რომელიც ღრუბლებს ვეღარ ეჭიდება და ძირს ეხეთქება... სახლები რომლებიც უძლებენ დროს...ადამიანები რომლებიც ძვლებით აწყობილი რობოტები არიან ... სტკივათ მაგრამ ვერ ამბობენ... გრძნობენ მაგრამ ვერ ამტკიცებენ... სჭირდებათ მაგრამ ვერ ღებულობენ... და ისევე მქვია მე გვანცა როგორც წიგნს სათაური...მინდა ეს ყოველივე მოვლენა ჩემი ილუზიის წყარო იყოს რომ.... ხეებს დავეხმარო და მათი თმები მარადიულად შრიალებდეს ნოტიო ქარის დროს... სახლებს გარსშემოერტყას ციმციმა წერტილები ფრენა რომ შეეძლოთ და მოსწყდნენ მათთვის ერთფეროვან წყეულ გარემოს...მაგრამ მე თავად ვარ გაჭედილი ბურთში რომელიც სუნთქვას მიკრავს...მინდა გავიქცე და დასასრულის წერტილიდან მხოლოდ ერთი ნავიჯის გადადგმით ღრმად ამოვისუნთქო...მაგრამ უკვე მივხვდი რომ არც მარჯვნივ და არც მარცხნივ გაქცევას არ აქვს აზრი... რადგან ის წერტილი რომლისკენას გავრბივარ საერთოდაც არ არსებობს... მხოლოდ ჰორიზონტს ვხედავ და როდესაც იმ წარმოდგენით გავრბივარ მისკენ რომ ზუსტად ის არის წერტილი რომელსაც გავცდები და ამოვისუნთქებ ... არასდროს მიმართლებს იმედებს ... რამდენჯერაც მივუახლოვდი როგორც უდაბნოშო გაჭედილი ქვიშის მთები არ ილევა და ყოველ მწვერვალზე ასვლის დროს იგივე ჰორიზონტი იშლება ... ანალოგიური სურათი იშლება ჩემს თვალწინ... აქ დავტოვებ ბევრ კითხვის ნიშანს და ბევრ პასუხს ... დანარჩენი თქვენთვის მომინდია ...

იზა ვეფხვაძე

აბრამ პაატა იოსებაშვილი

პაატა იოსებაშვილი / იზა ვეფხვაძე

რთულ და უსიყვარულო საუკუნეში, იშვიათია ისეთი ნათელი დღეები, როცა შეიძლება გულს უხაროდეს...

ამჯერად ორი ერის ზიარი სიხარულის საბაბზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

საქართველოში ბატონ პაატა იოსებაშვილს Avraham Paata Yosef წარდგენა არ სჭირდება, რამდენი დადებითი სიტყვა და ემოციაც არ უნდა გამოვიყენო მისი პიროვნების დასახასიათებლად, უსათუოდ არასრულფასოვანი იქნება მისი ღვაწლის შესაფასებლად.

სიტყვას მაშინ აქვს ფასი, როცა მას ბურჯებად საქმე აქვს შეხიდული. ბატონი პაატას საქმიანობამ და ღვაწლმა ორი ერის სიყვარულის გზაზე, ქართულ_ ებრაული ურთიერთობების კიდევ მეტად განმტკიცების კუთხით ძალიან სერიოზულ მასშტაბებს მიაღწია... მის მიერ განხორციელებული პროექტები, პირადად მის მიერ და მისი ოჯახის მიერ გაწეული ქველმოქმედება ამ კუთხით შეუფასებელია.

სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ საზოგადოება უდიდესი აღფრთოვანებით და კეთილი მოლოდინით შეხვდა მის ინიციატივას ქართულ_ ებრაული ორგანიზაციის __

" მეგობრობის მერიდიანები" შექმნის შესახებ...

ბატონი პაატას საქმენი მეტყველებენ ორგანიზაციის მომავალ წარმატებულ მოლოდინზე... მასში გაერთიანებული ადამიანები, დამფუძნებლები უდიდესი ენთუზიაზმით და სიყვარულით მზად არიან მთელი შესაძლებლობებით ჩაერთონ ორი ერისთვის მეტად სასარგებლო პროექტების განხორციელებაში.

მეც მაქვს პატივი ვიყო დამფუძნებელთა შორის და ვგრძნობ უდიდეს პასუხისმგებლობას, მაგრამ ბატონი პაატას განვლილი გზა, მისი დამოკიდებულება და გამორჩეული სიყვარული ორი ერის მიმართ, საქმის კეთების ჟინი და სურვილი, ცოდნა და გამოცდილება დიდ და ნათელ სურათს ხატავს მომავლის გზაზე...

ბატონო პაატა , არაერთგზის მითქვამს და ვიტყვი: თქვენი ოჯახი სიყვარულის მექაა, თქვენი გული სკასავით სავსეა სითბოთი და სიყვარულით, თქვეᲜ გაქვთ მიზნების აღსრულებისთვის სურვილიც და სრული პოტენციალიც და რაც მთავარია გაქვთ მაძიებელი სული.

პაატა იოსებაშვილი/იზა ვეფხვაძე.

რთულ და უსიყვარულო საუკუნეში, იშვიათია ისეთი ნათელი დღეები, როცა შეიძლება გულს უხაროდეს...

ამჯერად ორი ერის ზიარი სიხარულის საბაბზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

საქართველოში ბატონ პაატა იოსებაშვილს Avraham Paata Yosef წარდგენა არ სჭირდება, რამდენი დადებითი სიტყვა და ემოციაც არ უნდა გამოვიყენო მისი პიროვნების დასახასიათებლად, უსათუოდ არასრულფასოვანი იქნება მისი ღვაწლის შესაფასებლად.

სიტყვას მაშინ აქვს ფასი, როცა მას ბურჯებად საქმე აქვს შეხიდული. ბატონი პაატას საქმიანობამ და ღვაწლმა ორი ერის სიყვარულის გზაზე, ქართულ_ ებრაული ურთიერთობების კიდევ მეტად განმტკიცების კუთხით ძალიან სერიოზულ მასშტაბებს მიაღწია... მის მიერ განხორციელებული პროექტები, პირადად მის მიერ და მისი ოჯახის მიერ გაწეული ქველმოქმედება ამ კუთხით შეუფასებელია.

სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ საზოგადოება უდიდესი აღფრთოვანებით და კეთილი მოლოდინით შეხვდა მის ინიციატივას ქართულ_ ებრაული ორგანიზაციის __

" მეგობრობის მერიდიანები" შექმნის შესახებ...

ბატონი პაატას საქმენი მეტყველებენ ორგანიზაციის მომავალ წარმატებულ მოლოდინზე... მასში გაერთიანებული ადამიანები, დამფუძნებლები უდიდესი ენთუზიაზმით და სიყვარულით მზად არიან მთელი შესაძლებლობებით ჩაერთონ ორი ერისთვის მეტად სასარგებლო პროექტების განხორციელებაში.

მეც მაქვს პატივი ვიყო დამფუძნებელთა შორის და ვგრძნობ უდიდეს პასუხისმგებლობას, მაგრამ ბატონი პაატას განვლილი გზა, მისი დამოკიდებულება და გამორჩეული სიყვარული ორი ერის მიმართ, საქმის კეთების ჟინი და სურვილი, ცოდნა და გამოცდილება დიდ და ნათელ სურათს ხატავს მომავლის გზაზე...

ბატონო პაატა , არაერთგზის მითქვამს და ვიტყვი: თქვენი ოჯახი სიყვარულის მექაა, თქვენი გული სკასავით სავსეა სითბოთი და სიყვარულით, თქვენ გაქვთ მიზნების აღსრულებისთვის სურვილიც და სრული პოტენციალიც და რაც მთავარია გაქვთ მაძიებელი სული, რომელიც მუდამ ეძებს სიკეთეს, სიყვარულს, სათნოებას, თანაგრძნობას და თანადგომას... თქვენზე თქვენი გაკეთებული საქმეები საუბრობენ.. არაერთგზის უგრძვნია ლიტერატურულ თეატრს თქვენი თანადგომა, ერთგულება... ჩვენ ერთობლივი მუშაობის და საქმის კეთების დიდი გამოცდილება გვაქვს...

ამ გამოცდილებაზე და წარსულზე დაყრდნობით, ვიმედოვნებ ლამაზი და საქმიანი დღეების სიმრავლეს ორი მოძმე ერის სამომავლო გზაზე...

მიგულეთ თქვენს გვერდით...ლეხაიმ... რომელიც მუდამ ეძებს სიკეთეს, სიყვარულს, სათნოებას, თანაგრძნობას და თანადგომას... თქვენზე თქვენი გაკეთებული საქმეები საუბრობენ.. არაერთგზის უგრძვნია ლიტერატურულ თეატრს თქვენი თანადგომა, ერთგულება... ჩვენ ერთობლივი მუშაობის და საქმის კეთების დიდი გამოცდილება გვაქვს...

ამ გამოცდილებაზე და წარსულზე დაყრდნობით, ვიმედოვნებ ლამაზი და საქმიანი დღეების სიმრავლეს ორი მოძმე ერის სამომავლო გზაზე...

მიგულეთ თქვენს გვერდით...ლეხაიმ...

ჰუბლიკა

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)

აკადემიის კურთხევა

დღეს პირველი თებერვალია. გაზაფხულის პირველი თვის პირველი რიცხვი. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემია დაარსდა 2010 წელს, დიდი მოგზაურის, მსოფლიო მოქალაქის სიცოცხლეში. აკადემია აკურთხა ფშავხევსურეთის მიტროპოლიტმა მეუფე თადეოზ მირიან იორამაშვილმა. მეუფის გარდაცვალების შემდეგ, მეორეთ აკადემიის საქმიანობა დალოცა და აკურთხა წმინდა ნიკოლოზის სახელობის წინამძღვარმა მამა მერაბ დეკანოსიძემ. აკადემიის მუშაობა დღითიდღე გაძლიერდა. უფლის რწმენის გარეშე ათინათის ერთი ნომერიც არ გამოსულა. არ არის იოლი 300 გვერდიანი სამეცნიერო შემეცნებითი ჟურნალის გამოშვება. მესამედ აკადემიას დიდი ღვთის მოწყალე გამოუჩნდა მამა ამირან ამირანაშვილის სახით. მას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის. ხშირად წირვიდან გადაღლილი მოსულა და ღონისძიებები მისი ლოცვა კურათხევით ჩაგვიტარებია. აკადემიის დაარსებიდან თოთხმეტი წელი გავიდა. გამოვიდა აკადემიასთან არსებული ათინათის 50 ნომერი და ანთოლოგიის მეცამეტე ტომი. წელს უკვე აკადემიის კურთხევა ვთხოვეთ მამა დავით ადამაშვილს. მამა დავითი მოვიდა თავისი მეუღლით და პატარა ანგელოზით. ვუყურებდი ჩემი შვილის მოსახელე მამა დავითს და ვგრძნობდი ღვთის ძალით ვივსებიდი. ამას ვერავინ მამჩნევდა. ამას ხედავდა მხოლოდ ჩემი საკუთარი მე. შემიძლია ჩემი წინასწარი ინტუიცია საჯაროდ

აღსარებასავიღ ვთქვა. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემია უკვდავი იქნება ჩემი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდაგაც კი. ამ სიტყვებით თავს კი არავის ვაცოდებ. ეს ასე არის. მეც წავალ ისე როგორც უკვე წავიდნენ სხვები. სასწაული დამთხვევა მოხდა ემიგრანტი ქალბატონის ბელა მოდებაძის გამოჩენა. ეს უკვე ქალბატონ ლიანა ჯანეზაშვილ- თათანაშვილს უკავშირდება. მამა დავითის მრევლია პოეტი ქალბატონი. ის ჩვენი აკადემიის წევრიც გახლავთ. ისე მოხდა რომ, 2024 წლის პირველი თვის პირველ რიცხვს აკადემიაში არჩეული იქნა ქალბატონი ბელა მოდებაძე. ეს ქალბატონი ახალციხელია, პოეტი ქალბატონი წლების გან-

მავლობაში ახალციხეში მუშაობდა კულტურის სისტემაში. მას არა ერთი ღონისძიება აქვს ჩატარებული ბატონ ჯუმბერიზე. ქალბატონ ბელა ნანა მეფარიშვილის ლექსის სიღერის ავტორია. ამჟამად კი იტალიაში ემიგრანტია. ერთი სიტყვით, დღეს გაზაფხულივით

ლამაზი დღე ჩატარდა აკადემიაში. ქალბატონმა ლია ალადაშვილმა სურპრიზად დაახვედრა ლიანა ჯანეზაშვილს თავის ლექსზე შესრულებული სიმღერა. ,,თეთრი როიალი". ჩვეული სიდინჯით და პოეზიით გამორჩეული პიროვნებამ, საამაყო ეთერ ჭელიძემ ისაუბრა დღევანდელი დღის მნიშვნელობაზე და სამომავლო გეგმების განხილვა კი უახლოეს დღეს დავგეგმეთ. ქალბატონი ნორა მგელაძე კი, ეს ის ქალბატონია რომლის დიდაქტიკურ აზროვნებაზე თაობები იზრდებოდა. რაც შეეხება გულიკო კაპანაძეს პედაგოგს, პოეტს და აკადემიის წევრს ეს მზე არის რომლის გამოჩენა ყოველთვის გულს მითბობს და ჩემი იმერეთის ლამაზი საპოვნელასავით მიღიმის. თვალებიდან კი ციცინათელებს მაფენს. ირინა ბერიძე-- ექიმი და ერუდიციით გამორჩეული ქალბატონი დღევანდელი ღონისძიებას ხიბლს მმატებდა თავის რჩეული კულტურით. სწავლულმა მდივანმა ბატონმა მალხაზ ჩხიტუნიძემ თავისი ვალი შეასრულა და აკადემიის დიპლომი გადასცა ბელა მოდებაძის ლამაზ ქალიშვილს. მამაოს მეუღლე ინგამ და პატარა ანგელოზმა, ანგელოზის კვალი დატოვეს აკადემიაში. მთლიანობაში შედგა სიყვარულის დღე სიყვარულის აკადემიაში.

აფხაზეთი ქართულად ამღერდება

,,ააიპი საქართველოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის პედაგოგებს, ნანა სხირტლაძეს და მარიკა ფორჩიძეს გულწრფელად ვუხდი მადლობას . იმაზე დიდი საჩუქარი პოეტისათვის არ არსებობს როდესაც, მის დაწერილ ლექსებს კითხულობს მოსწავლეები. აფხაზეთი და სამაჩაბლო ყველა ქართველის ტკივილია და მითუმეტეს

პოეტუსათვის ეს თემა ამოუწურავია. სწორედ ტკივილმა დამაწერინა ის ლექსი რომლის სტრიქონები ღამით ჩემთან ერთად კვნესიან .

,,ქართველების მოჭრილ
თავებს მტრები,
სტადიონზე აგორებდნენ ბურთად".

დიახ! მტრები აგორებდნენ და არა აფხაზები. ისტორიას არ ახსოვს ასეთი სისასტიკე აფხაზებსა და ქართველებს შორის. აქ მესამე დიდი ვეშაპია რომელმაც, ეს ასე წარმართა.

,,მაგრამ ქრება დრო
სატანის კვალი,
ვარსკვლავები
განაგრძობენ ციმციმს,
აფხაზეთი? საქართველოს
თვალი,
კვლავ ქართულად
ამღერდება ვიცი"..

დიახ! აფხაზეთი კვლავ ქართულად ამღერდება, გაქრება სატანის კვალი.

ისევ გადაიბარდნება ლამაზი წითელი ვარდები. დაფანტული შვილები დაუბრუნდება კერიებს. ახლა თუ მტკივა საქართველოს დარდი და გული მაქვს გაფატრული, ისევ აინთება მშვიდობის ლამპიონები აფხაზეთში. მადლობა ნანა მასწავლებელს და მარიკა მასწავლებელს რომ, მოსწავლეებს გაახსენეს ის რაც მოხტა მაგრამ, გაუღვიეს რწმენა რომ, აფხაზეთი ისევ ქართულად ამღერდება!

როცა მეუღლე გიყვარს

ჩემი გელას ოჯახის პირველი ბედნიერება თეონას გათხოვებით დაიწყო. თეონა სხირტლაძე სწავლობდა ილიას უნივერსიტეტში ფსიქოლოგიურ ფაქულტეტზე. სასწავ-ლებელი გათხოვების შემდეგ დაამთავრა. წარმატებული თეონა სხირტლაძე სწავლის პერიოდში მაღალი ქულებით უფასოდ ჩაირიცხა. სტიბენტიასაც ღებულობდა და ოჯახშიც სითბო და სიყვარული შეიტანა. ერთი წლის შემდეგ ოჯახს ვაჟი აჩუქა იოანე ლობჯანიძე. შემდეგ მეორე ქალიშვილი ნენე,

მერე დანიელი და ასე აგრძელებს დიდ და წმინდა სიყვარულს გიორგი ლობ-ჯანიძესთან ერთად რაჭაში. გიორგი თბილისში მერიაში მუშაობდა, მაგრამ, წინაპრების სითბომ და სიყვარულმა გადაძლია და ასაკიან ბებია-ბაბუას წლები გაუახალგაზრდავა. რუსთავში გაზრდილი თეონას, რომელსაც გარდა იმისა რომ, სტუდენტი იყო ამასთანავე, როგორც მხატვრებს ჩვევიათ, ხატავდა ჩუმად და თავისთვის. გათხოვების შემდეგ ეს

ყველაფერი კი არ მიივიწყა, გააღრმავა კიდეც. თეონას ხელითაა მოხატული რაჭაში თავისი სახლის კედლები. ამას ის ახერხებს, სამ შვილთან ერთად. ახერხებს ისე რომ, თან ფსიქოლოგად მუშაობს რაჭის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. წელს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩააბარა მააგისტრატურაზე სეუში. ეს უკვე მაქსიმალური დატვირთვაა ქალისთვის. ჰოდა, ჩემი აწ გარდაცვლილი შვილი გელა სხირტლაძე, როგორ არ იამაყებს იმერში ასეთი სიძით და შვილით. დაე, იმრავლონ საქართველოში სიყვარულით შექმნილმა ოჯახებმა. როცა გიყვარს, როცა მეუღლე აფასებს შენ ღვაწლს, ყველაფერს შეძლებ. ბედნიერია ხათუნა ჩალაძე ასეთი შვილით (გიორგითი) და შვილიშვილებით. მედიცინის მუშაკს ხათუნას, მეორე ვაჟი ლაშა ლობჯანიძე ცნობილი ექიმია თბილიში, რომელსაც ყავს ექიმი მეუღლე და ორი შვილი. გამრავლდით ლობჯანიძეებო, სიყვარულით. საქართველოს, სწორედ თქვენნაირი ოჯახები სჭირდება !

მე სულით მდიდარი ვარ

1--ჩემი სიმდიდრე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ხელმძღვანელობაა.

2--ჩემი სიმდიდრე ის არის რომ,

ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლეში დავაარსე მისივე სახელობის აკადემია.

3- ჩემი სიმდიდრე ღვთის რწმენაა და თუ რამეს ვაკეთებ, ამ უხილავ ძალას, კოსმოსი მართავს. აბა, მე რა შემიძლია დარდის კალო გალეწილ პოეტს.

იმდენი შველა მე რამდენჯერ გზის ფულიც არ მქონია. სხვებს მაინც ღიმილით შევხვედრივარ. არავისთვის არაფერი შემიმჩნევია, ტკივილი გამიზიარებია და სიხარული გამხარებია.

ჯუმბერ

ლეჟავას ბედით ვგავარ. ის ულამაზესს შვილის მაია ლეჟავას სიკვდილს მოესწრო. მაინც გამაგრდა , მაინც იბრძოდა. უკეთილშობილესი ჯუმბერ ლეჟავა სიცოხლეშივე წმინდანად უნდა შერაცხულიყო. ცხრა წლიანი მოგზაურობა, ჟიული შარტავას, რატი კიკაჩეიშვილს და თავის მეუღლე ქალბატონ ლიანა ალიბეგაშვილს მიუძღვნა. მისი 3333 დღიურის დამუშავება დაიწყო, სოხუმის უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა ქალბატონმა ლუარა სორდიამ. ეს სამეცნიერო წერილები დაბეჭდილია ,,ათინათში" და ანთოლოგიის მერვე ტომში. ახლა როცა ლონდონში მცხოვრები ქართველი ქალბატონი მზია კვირიკაშვილი გახდა ამ აკადემიის წევრი, იმედი მაქვს ეს სამეცნიერო წერილები ნაწილ -ნაწილ იქნებ გადაითარგმნოს. ქალბატონი ლუარას წერილები უცხო ტერმინოლოგიით არ არის გაჟღენთილი და იქნებ ამან გააიოლოს ინგლისურად თარგმნა. ამჟამად 2024 წლის 13 დეკემბერია. ოთხი საათი და გათენდება ძველით ახალი წელი.

ბატონო ჯუმბერ, გილოცავ ახალ წელს. ილოცე შენი საყვარელი საქართველოსთვის.

და ბოლოს ..

მე მდიდარი ვარ, რადგან ,, თუ თავი შენი შენ გახლავს ღარიბად არ იხსენები" .

ჩემთან ღმერთია!

  გარდაცვლილთა სულების ლოცვა მაძლიერებს, სადაც ჩემი ქმარშვილის , ძმებისა და ჩემი ,,დათას" ყველაზე დიდი ღვაწლი იქნება ვიცი!

ვიცი, რომ ბატონი ჯუმბერი დამლოცავს მე და დალოცავს, აკადემიის წევრებს. ღრმად ვარ დარწმუნებული აკადემია იცოცხლებს ჩემი ამქვეყნიდან წასვლის მერეც. ამას თვით უფალი შეუწყობს ხელს. უფლის გარეშე ხომ საერღიდ არაფერი არ ხდება!

ნანა გიგუაშვილის წიგნის პრეზენტაცია

ნანა გიგუაშვილის ბენეფისი

2024 წლის 11 იანვარი. ახალი წლის აისი. დღე მადლიანი და საოცრება. მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკა. ზეციდან დაშვებული მზის სხივები ეთამაშებოდონენ ვაჟა ფშაველას 99 ნომერში განთავსებულ სულთა სამყაროს. კულტურის დარგის მუშაკებში მკითხველის მომსახურეობის სიყვარულია დავანებული. დიახ! იქ მიგვიხარია, სადაც გვეფერებიან, სადაც იციან პოეტებისა და ლექსის ფასი. მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს, ქალბატონი ქეთევან ნიკურაძე. ამ

ღვთისგან ხელდასმულ ქალბატონის სამეფოში სიყვარულია. თითოეული თანამშრომელი არის ზედმიწევნით მოწესრიგებული და გაწონასწორებული. სათითაოდ მათი ჩამოთვლა თემატიკიდან ძალიან გადამახვევინებს და დავიწყებ მთავარით. დღევანდელი ღონისძიების გმირი გახლდათ, ემიგრანტი ქალბატონი, ნანა გიგუაშვილი. ნანას პოეზიას უკვე საკმაოდ ბევრი მკითხველი და შემფასებელი ყავს. ქალბატონი ნანა გიგუაშვილს, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის ბიბლიოთეკაში რეკომენდაცია გაუკეთა ხათუნა კილაძემ. ხათუნა კილაძე სიკეთის ქალბატონად მონათლული, საკმაოდ ცნობილი ქალბატონია. თვითონაც ემიგრანტ ხათუნას გამოცდილი აქვს, არ ქონება და ემიგრანტის რთული და ეკლიანი გზები. ნანასი და ხათუნას გზები ემიგრანტის საზღვართან გადაიკვეთა და როგორც საკუთარი დედმამიშვილები ისე ინაწილებენ დარდსა და სიხარულსაც. პირველ რიგში სამადლობელი სიტყვები ხათუნას ეკუთვნის. მადლობა ქართველო ქალბატონო და არაჩვეულებრივო დედავ. ახლა კი ვინ არის ნანა გიგუაშვილი. შესანიშნავი ნიჭიერი პოეტი , დედა და ბებია. ყველაზე მთავარი, ბრწყინვალე მეუღლე, ქართველი ქალის ღირსებებით შემკობილი.

დღეს მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში თუმცა რაოდენობრივად მცირე მაგრამ, გაერთიანებული საქართველო ზეიმობდა. რუსთაველის პრემიის ლაურიატი და წიგნის მთავარი რედაქტორი ბატონი რეზო მიშველაძე, მომავალი თაობის ანსამბლ ,,ლალეს" სიმღერებით ტკბებოდა. ხელმძღვანელი ქალბატონი (ლეილა ჭიოკაძე). ცნობილი ადვოკატი, პოეტი, მხატვარი და ქალბატონი ნანას წიგნის დადებითად შემფასებელი. თემურ გოგსაძის სახეზე კმაყოფილების ფერები მომავლის იმედს წინასწარმეტყველებდნენ. ილოცებიდა მამა ამირანი განსხვავებული სიტყვაკაზმულობით. მამა ამირანის გამოჩენა ნებისმიერ საღამოზე ერთი დიდი ღონისძიებაა. ის გამოირჩევა სიმღერით... იუმორით. ღონისძიების წინასწარი რეკლამა გააკეთა ბატონმა ნიკო ბაღაშვილმა, ძალიან მაღალ დონეზე და ძალიან კლასიკურად. მოწვეულ სტუმრებში ჩემთვის ყველაზე

სასიხარულო იყო, რუსთაველი ბესო ჩუბინიძე. როცა შოვში ტრაგედია დატრიალდა, ბესო ფიზიკურად ჩადიოდა და დახმარებას უწევდა იმ საშინელ - მართლაც გაუგონარ უბედურებაში მოყოლილ ხალხს.

აკადემიის თითეული წევრი განიცდიდა და სიტყვით და ლექსით ტიროდა ამ დიდ უბედურებას. ბოლოს ქალბატონ ლია ალადაშვილს დატირება გავაკეთებინე და ამით თითქოს და შევანელეთ, მოუნელებელი ტკივილი. ბესო ჩუბინეძე ცნობილი ჟურნალისტი, პირველად ვიხილე დაუპატიჟენლად მოსული ღონისძიებაზე. დარჩა ბოლომდე. ამით იმის თქმა მინდა რომ, არ წაიქცევი საქართველო. ბევრი გყავს სულით არწივები და იზრდებიან მართვეები. ღონისძიებას ყველა ჩაატარებს, წიგნებსაც გამოუშვებს. დღეს განსხვავებული დღე იყო. დღეს ნანა გიგუაშვილის ბენეფისი შედგა. რუსთაველის პრემიის ლაურიატმა ბატონმა რეზო მიშველაძემ, ნანა გიგუაშვილს გადასცა ,,თამარიონის ენდალმა". ჰოდა აი, ასე. დაფასდა ეკლიანი გზების კაფვა.ნანას ლექსები წაიკათხეს ცნობილმა პოეტებმა, ეთერ ჭელიძემ და მარი ჟღენტმა. მრავალჟამიეროთი დაწყებული საღამო, ლოცვასა და ლექსებში შეზავებული მართლაც სასიამოვნო და სამახსოვრო იყო. ნანას ლექსებს კითხულობდა მისი ქალიშვილი ეკა და ძალიან ლამაზი და საყვარელი ძმიშვილი. სამადლობელი სიტყვები ეკუთვნის ნიჭიერ ქალბატონს ლია ალადაშვილს, რომელმაც პოეტის ლექსი სიმღერად აქცია. აკადემიის წევრებმა შეძლებისდაგვარი ყურადღება გამოიჩინეს ემიგრანტი ქალბატონის მიმართ და გზა დაულოცეს კვლავ იტალიისკენ. ხათუნა ელიაშვილმა, მზია ელიაძემ, ირინა ბერიანიძემ, მზია გირგვლიანიმა, თინა სტეფლიანმა და სხვებმა წაიკითხეს ემიგრანტი პოეტის ლექსები. მადლობა იტალიას რომ, ქართველ ქალებს იღებს და ასაქმებს. ჩემი სურვილი და ყოველდღიური ფიქრი ასეთია. დადგეს საქართველოში ისეთი დრო და ხანა, რომ არც ერთ ქართველ ქალბატონს შორს წასვლის სურვილი არ ქონდეს. ღონისძიების აისმა საღამოს დაისში ლამაზად გადაინაცვლა!

მალხაზ ხარაიშვილის იდეა



2023 წლის 30 დეკემბერს, დებმა მე და ეთერიმ, გადავწყვიტეთ ჩავსულიყავით იქ სადაც ჩვენი ბავშვობის მოგონებები წამიერად მიგვიყუჩებდა გულის ტკივილს. შინაგანად ვგრძნობდით, რომ ,,ხვანის" მთებივით ძლიერი ძმები, რომლებიც განისვენებენ, წმინდა გიორგის სახელობის სასაფლაოზე, ჩვენი ჩასვლით სულიერ სიმშვიდით შეხვდებოდნენ ახალ წელსა და ბეჟანის დაბადების დღეს. თუმცა, გულის კუნჭულში ეჭვები დაფათურობდა, რას უნდა დაევიწყებინა ის ტკივილი რაც დათა შუბითიხეს უკავშირდებოდა. ადამიანის ცხოვრებაში ერთმა სიტყვამ შეიძლება შეცვალოს სევდაც და სიხარულიც. დადგა 2024 წელის პირველი იანვარი, ჩვენი აწ გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილის დაბადების დღე. ბეჟანიმ ორმოცი წლის წინ თავისი პოეზიის ფრთები დედამიწაზე დაკეცა და გადაინაცვლა მარადისობაში. ადამიანს ერთი თმის ბეწვიც არ ჩამოუვარდება ბედისწერის გარეშე. ბეჟანის ბედი ეს იყო. ოცდაათი წლის გარდაცვალების შემდეგ, საჩხერის რაიონის ჭალვანის საჯარო სკოლას მიენიჭა ბეჟან ხარაიშვილის სახელი. მწერალთა კავდირში დაარსდა მისი სახელობის პრემია. მადლობა და ღვთის წყალობა. ორ რუსთაველის პრემიის ლაურიატს ბატონ რეზო მიშველაძეს და ქალბატონ მაყვალა გონაშვილს. მადლობა თანათავჯდომარეებს. (ბატონებს) სოსო სიგუას, ბაღათერ არაბულს და უკვე აწ გარდაცვლილ თემურ ჩალაბაშვილს. თემური გარდაიცვალა 2023 წლის 27 დეკემბერს. გარდაცვალების წელი და რიცხვი დაემთხვა, ბეჟანის ამავ ქვეყნიდან წასვლას. თემური და ბეჟანი თანაკურსელები იყვნენ. ახალ წელს სულთა ზეიმი გაგრძელდებოდა ზეცაში, ბეჟანის დაბადების დღეს. პირველ იანვარს ჩემი უფროსი ძმის სახლში, ჩემმა ძმიშვილმა მირზა ხარაიშვილმა თავის მეკვლეს, მალხაზ ხარაიშვილს სურსათ სანოვაგით გადატვირთული მაგიდა დაახვედრა და მამიდებიც მიგვიწვია. მივდიოდით და თოვლით გადათეთრებულ გზას, ჩვენი ფეხის სიკეთის კვალი ბავშობის მოგონებენთან ერთად დარდიან ფიქრებს ფანტავდა. ერთმანეთის მოკითხვა-მოფერების შემდეგ, თამადა - მეკვლემ ჩვენი ფუძის შტომ მალხაზ ხარაიშვილმა, ადღიგრძელა ბეჟანი იმერში და თან ახალი იდეაც წამოაყენა. იქ სადაც ბეჟანი დაიბადა და გაიზარდა, ქუჩას მიენიჭოს ბეჟან ხარაიშვილის სახელიო. აი, ჩვენი ინტუიცია, დებს ეთერის და გულნაზის რატომ მიგვიხაროდა იმ სევდის ბუდეში, სადაც ძმებისა და ძმიშვილიშვილის (დათას) გახსენებით ცრემლებით, რომ აგვევსებიდა თვალები. მალხაზის ამ დიდ და ისტორიულ იდეის სიხარულს შეურთდა ჭალვანიდან ტელეფონით გაგებული ინფორმაცია. წუხელი დათას სასაფლაოზე ახალგაზრდებმა გაათენესო. სევდასაც ქონებია სილამაზე, ტკივილსაც ცოდნია მიყუჩება. სიტყვამ შეიძლება, მოგკლავს ან გაცოცხლოს. მალხაზ ხარაიშვილის იდეით გახარებული, კვლავ მოჭარვებული ენერგიით გავაგრძელბ თბილისში, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთადორისო -სამეცნიერო აკადემიაში საქმიანობას.

* * *

,,ვით წიგნის ფურცლებს, ეს საღამოც გადაშლის წლებს და...
ცაცხვის ხესავით გადაფურჩქნის ვარჯებს ტოტიანს
და იგრძნობ სულში, როგორ ჩარჩა,
როგორ გამეფთა"... ლექსი პოეტის სულის სარკეა. თუ გინდა, რომ გაიგო, ვის რა გაუვლია, წყენია- ტკენია, ან გახარებია. ღრმად უნდა ჩახედო თვალებში. ფრთხილად მიაყურადე მისი გულის ფეთქვას . თუ მაინც ვერ მიხვდი , ვერ გაიგე, უნდა წაიკითხო მის მიერ შექმნილი ლექსები, დაწერილ-- გამოქვეყნებული. შენად უნდა გაითავისო ყველაფერი და აუცილებლად მიხვდები მისი სულის ფორიაქს. გაიგებ ავტორს რა გზები გაუვლია. რა ტკენია ან რა გახარებია. ლექსი ,,განახლება" ნიშნავს , მკდრეთით აღდგენას. ზოგჯერ ცოცხლობს ბატონი ან ქალბატონი, დადის , საუბრობს მაგრამ, შინაგანად ისეთ ტკივილს განიცდის, თავის თავს გარდაცვლილად აღიქვამს. ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ქალბატონი ნანა გიგუაშვილს, როცა ბედისწერამ ემიგრანტობის საბუთები შეუვსო. შვილებზე და საქართველოსე უსაზღვროდ შეყვარებული დედა და მეუღლე იტალიაში მოხვდა. ცრემლიანმა ქალბატონმა იტალიაში დასვა ბედნიერების წერტილი. გავიდა წლები... ქართველი ქალის სიძლიერის სისხლმა ლექსებად დინება დაიწყო. დარდიანი წლები წიგნად დაიბადა. არ დააკმაყოფილდა ამორძალად გადაქცეული ნანა და დასვენების დღეებში იტალიურ სკოლაში დაიწყო სიარული. პრწყინვალედ შეისწავლა, იტალიური ენა და როგორც ვიცი, ფიქრობს წიგნის გამოცემას იტალიურ ენაზე (,,გრაცია იტალია"). გმადლობთ იტალია. აი, ესაა ქართველი ქალის სიძლიერე . აკი ამბობს ლექსში.

,,სხვა გზა აღარც სჩანს,
ვერ გავუძლებ სიცოცხლის ნაწუხს,
დავიფერფლები ფენიქსივით,
მერე აღვდგები"

ახლად გამოცემული წიგნის სათაური ,, განახლება" მიგვანიშნებს იმაზე რომ, განახლდა პოეტის სული და აღსდგა. მის მიერ დაწერილი ლექსის შინაარსში ჩანს მისი სულის გათენება . ქალბატონი ნანა ჩამოსულია თავის საყვარელ ოჯახში და კვლავ ოჯახის საჭიროების გულისთვის ისევ ემიგრანტობის ხალათის ქურქი უნდა წამოისხას.

,, ო, როგორ მიყვარს სოფლის სუბთქვა, მამლის ყივილი,
ნისლებაშლილი მზის
სხივებით გამოთენება,
ქართული მიწის სიშორისგან დამაქვს ტკივილი,
მომძალებია მონატრება და მოფერება.
შემომაშუქებს გათენების
თეთრი ციალი,
თქორი დანამავს ყვავილებით
მორთულ აივანს,
მერე ინათებს,
გათენდება ... დილა მზიანი
და სილაჟვარდე ამ სიყვარულს
ცამდე აიყვანს"

გათენდა ნანა გიგუაშვილის სულში. მზიანი დილის სილაჟვარდემ აიყვანა ცამდე. ნანა გახდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის

ნამდვილი წევრი. მწერალთა კავშირის წევრი. 2023 -ი წლის პერსონა. ეს ყველაფერი გათენებასაც ნიშნავს და ფერფლად ქცეული სულის განახლებასაც!

გილოცავ ქალბატონო ნანა!

სიახლე აკადემიაში

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიას, დღეს ახალი წევრი შეემატა. ამაზე მეტი რაღა მენატრა. ქართველი ქალბატონი ოთხი შვილის დედაა. მისი უნიკალური შემოქმედება ამშვენებს ,,ათინათის" ორმოცდამეათე ნომერს. ნინო კუტალაძის შემოქმედება დაბეჭდილია ათინათში. ნინო აკადემიაში ხელდამშვენებული მოვიდა და აკადემიას საჩუქრად გადმოსცა თავისი ხელით შექმნილი ნაირ-ნაირი ყვავილები. ახალი წლის წინა დღის გახარებისათვის მადლობა საყვარელო ხელოვანო ქალბატონო ნინო.

გზა მომავალს

2023 წლის 23 დეკემბერს მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში, რომლის დირექტორია ქალბატონი ქეთევან ნიკურაძე ჩატარდა ჟურნალ ,,ათინათის" თარგმანების

განყოფილების პრეზენტაცია. ავტორების საპავტისაცემოდ მოწვეული მყავდა, ანსამბლი ,,ლომისი" ხელმძღვანელი შალვა ილურიძე. თარგმანების განყოფილებას ხელმძღვანელობს ლონდოში მცხოვრები ქართველი პოეტი მზია კვირიკაშვილი. სწორედ მზიას დამსახურებაა, რომ ჟურნალ ,,ათინათის" 300 გვერდს დაემატა 50 გვერდი თარგმანები. მადლობას ვუხდი ქალბატონ მზია კვირიკაშვილს. ესაა სწორედ ქართული სული. ესაა ეროვნულობა რომ, ქართველი პოეტებს ლექსები თარგმნო და გააცნო მსოფლიოს. ავტორების მაგივრად ისევ მე მომიწია სამადლობელოს გადახდა. მთელი ღამე ვიტრიალე იმ სიხარულით რომ, ათინათმა გაჭრა სივრცე და ქართველი პოეტების ნაფიქრი ლექსად გადმოცემული, წაიკითხული იქნება მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში, სოფლებში. ამის უბრალო გააზრებაც კი მზია კვირიკაშვილის გარშემო მატრიალებს და სიამაყეს მმატებს. ღონისძიებას ესწრებოდა ქალბატონი მზიას დიშვილი, რძალი და პატარა ანგელოზი ფერია გოგონა დიშვილიშვილი. მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკის მეეკვლები იყვნენ ვაჩე და თაია ჭელიძეები. ვაჩემ წაიკითხა ეთერ ჭელიძის ლექსი და დამსწრე საზოგადოებისგან დიდი მოწონება და ტაშიც დაიმსახურა. დანარჩენ ინფორმაციას დაწერენ და მეც მიუტრალდები დიდებულ ქალბატონს მზია კვირიკაშვილს და 2023წლის 23 დეკემბრის ღონისძიებას. ახლა კი ბოდშს ვიხდი მწირი ინფორმაციისათვის. დღეს კიდევ მიწევს მნიშვნელოვანი საღამოს ჩატარება ,,ათინათი" 50 ის!

ჩემი მეკვლე

შორს ყველა კუთხის ცამ პატიოს,
ჩემ იმერეთზე მრჩება სათქმელი,
ეს სიყვარული სად დავატიო,
მეც ვარ იმ კუთხის ერთი სანთელი.

მიყვარს საჩხერე და საჩხერლები. მიყვარს ჭიათურა და ჭიათურლები. მიყვარს განსაკუთრებულად და უზომოდ.

დღეს ჩვიდმეტ დეკემბერს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიაში, ჩემი კუთხის შვილი მივიღე აკადემიაში. დიახ! საჩხერის რაიონ სოფელ მოძვიდანაა პოეტი ირმა ტყემალაძე. როგორც პოეტს მას კარგახანია იცნობენ და ჩემი წარდგენა მის პოეზიას ნამდვილად არ ჭირდება. იმერეთის მერცხალმა დეკემბერი ამიზაფხულა და ერთი ლამაზი სიხარულის დღე მაჩუქა. მოკრძალებულად ვთხოვე ბატონ თემურ გოგსაძეს, ქალბატონ ნორა მგელაძეს და ლია ალადაშვილს რომ, მოსულიყვნენ აკადემიაში. სამივე მათგანი აკადემიის სიცოცხლის წყაროს წარმოადგენენ. ასე, რომ ბარბარობის დასვენების დღეს, ჩემი საჩხერელი მეკვლე, აკადემიის სრულფასოვანი წევრი გავხადეთ და ვულოცავ!

სიხარულის ემოციები

როცა დიდ ვალი გაქვს მოსახდელი შენი ჟურნალის ავტორების წინაშე ნებისმიერ შემოთავაზებაზე უარი უნდა თქვა. წავიდე??? არ წავიდე??? ამ გაორებულ კითხვებში ერთი კვირა ვიტრიალე. არადა იქ, ჩემი სულიერი შვილებს ეკავათ იმ დღის დიდი ხელოვნების სადავეები. დიახ! ღონისძიების ლიდერები ჩემი თემურ გოგსაძე და ეთო მდინარაძე იყო. არ გეწყინოთ ძვირფასებო , მე ვამახვილებ ყურადღებას, ჩემი აკადემიის წევრებზე. ეთერ მდინარაძე და თემურ გოგსაძე ჩემი აკადემიის წევრები და ჩემი სულიერი შვილები არიან. გიხარია იმ საზოგადოებაში მისვლა სადაც, როგორც დედას ისე შემოგეხვევიან. მაგრამ ვყოყმანობდი რომ, ახალ წლამდე ვალდებულებები მაქვს შესასრულებელი ავტორების წინაშე. ველოდები ,, ათინათის " 50 ათ ნომერს. ჩემმა საყვარელმა სულიერმა შვილებმა ორმა (ეთომ) ეთერ ჭელიძემ და ეთერ ისაკაძემ მიუხედავად ჩემი ყოყმანისა გადაწყვეტილება მიმაღებინეს. უნდა წახვიდე! იყო პრინციპულად შემოძახილი. მეც წავედი. შეხვედრის პირველი ემოცია ის იყო, რომ უამრავი, ზღვა ხალხის საზოგადოებაში მოვხვდი. ყველას თვალებში მზის სხივები ცეკვავდნენ.



წითელი ხალიჩა და ეთერ მდინარაძის რჩეულები სურათებს იღებდნენ. ვიფიქრე ამდენ ხალხში ვინ დამინახავსთქო და ეთერის თვალებს შეუმჩნეველი არ დავრჩენილვარ. მოდი დედი, მოდი, სურათი აუცილებლად გადაიღეო. ასე მომახვედრა ჩემმა ეთომ წითელ ხალიჩაზე. გადავინაცვლეთ დარბაზში. დედი, მომდევს ეთოს ხმა, მიდი სულ წინა სკამზე , იქ მამა ამირანი და ბატონი თენგიზ ფანცულაია დაგხვდება მიდი და მათთან ერთად დაჯექიო. ზღვა ხალხში როგორც იქნა მე და ჩემმა უსაყვარლესმა აკადემიის წევრმა

ნორიკო მგელაძემ გავიკვლიეთ გზა და უცებ წითელი ვარდებით შემომეხვა, იტალიიდან ჩამოსული პოეტი ნანა გიგუაშვილი. დედი, ეს თქვენ და მეორე ლამაზი ვარდების კონა ჩემს ნორიკოს მიაწოდა. ღმერთო ჩემო, სიყვარულზე დიდი არაფერი არ არის .რამხელა სიყვარულს იტევს ნანას გული. მოვეფერეთ საქართველოსთვის საამაყო ნანა გიგუაშვილს და გზა განვაგრძეთ. დარბაზის შუა რიადიდან ჯერ გაიღიმეს და მერე გულში ჩახუტებით მაამეს, ხათუნა ელიაშვილმა და მზია ელიაძემ 2023 წლის პერონებმა. ასე ვარდების სურნელში გახვეულები ძლივს ჩავაღწიეთ მე და ნორიკომ მამა ამირანამდე. იქ, ჩემი ჭიკჭიკა ქარელელი მთვარისა და საჩხერელი დარეჯან მაჭარაშვილი დამღვდა მაია ჯაყელთან ერთად. სურათები გადავიღეთ და ... სად არის ადგილი, ხალხი ფეხზე დგას. ისევ ეთო მდინარაძე გაჩნდა მშველალად , მაია ჯაყელმა და ეთომ ერთი სკამი ძლივს მომიძებნეს. დაიწყო ღონისძიება. ბრწყინავდა დარბაზი. ამდენი ელიტარული საზოგადოება ერთად, ყველა დარგის გამორჩეული მუშაკი, სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული ანსამბლები, მომღელები, სკოლები, დაწყებული ბაღის ასაკიდან დამთავრებული დამამთავრებელ კლასამდე, ერთად შეკრებილი არსად მინახავს. ვწერ მწირ ინფორმაციას, ზღვა ღონისძიებიდან ამონარიდს, და მადლობას ვუხდი პერსონას დამაარსებლებს ბატონ სოსოს და ქალბატონ ეთერ მდინარაძეს, საქარათველოს გართანებისათვის, ემიგრანტების დაფასებისათვის და დიდი სიყვარულისათვის. არ შემიძლია არ ავღნიშნო, იტალიიდან დაბრუნებულს თვითფრინავში რომ, შიშმა ჩამხედა თვალებში. ცაში გაცნობილი კეთილშობილი ექიმი ქალბატონი ირინა ბერიანიძე, ლიდერობდა ღონისძიების სხვადასხვა მიმართულებით, როგორც ექიმი და როგორც კეთილშობილი ქალბატონი. მაცხადებს ჩემი თემური. დ ე დ ა და მივხვდი რომ, მე მიხმობდა სცენაზე, რა თქმაუნდა ნელა- ნელა წამოვდექი, რადგან ის ერთი სახელი ჩემია სადაც სახელი და გვარის ნაცვლად სიტყვა დედათი გიხმობენ. სცენაზე ასვლისას ჩემი თენგიზ ფანცულაია წამომეშველა და ასე მოვხვდი სულიერი შვილების გარემოცვაში. მეგებება პერსონას ტიტულით თემური და ვხედავ თაიგულს მაძლევს სცენაზე ქალბატონი ირინა ბერიანიძე. ეს ყურადღება ქალბატონი ირინასგან იყო ზეცა და მისგან მორთმეული ყვავილების რტოები კი, ცაზე გაბრწყინებული ვარსკვლავები. დიახ! ვარსკვლავები რომლებიც ყველაზე ლამაზად კაშკაშენმბდნენ. ჩვენი გარდაცვლილი შვილები ჩემი და ირინასი, მათ უხაროდათ, რომ ჩვენ შევძელით სიხარული. ჩვენ გვიხაროდა ხალხის გაბრწყინებული სახეები.

შენ რომ გეცოცხლა



1 იანვარი ახლოვდება ძამიკო, შენი დაბადების დღე. შენი გარდაცვალების წელიც პირველი იანვარია. გარდაცვალებით შეხვდი შენს დაბადების დღეს. ეს ამბავი, რომ მოხდა დიდი თოვლი იყო. თბილისში ამირანი (გვანცას მამა) ვახტანგი და ზურიკო, შენი სიძეები, წამოვიდნენ, რომლებიც ახლა ისინიც შენთან არიან ზეცაში. წამოვიდნენ, უკვე გარდაცვლილ ბეჟანთან. მე და ჩემი მაზლის ცოლი (იზო) ისიც ზეცაშია უკვე. ფეხით წავედით გომიდან ჯვრის უღელტეხილამდე. დიდი თოვლის გამო ტრანსპორტი არ დადიოდა. ჯვრის უღელტეხილზე დიდი მანქანით თამაზი დამხვდა. დათას ბაბუა. დათა და თამაზი, ორივე შენთან არის ძმაო. რას უძლებს ჩემი გული ბეჟან. დედ-

მამიშვილებში, ყველაზე ნაზი და სუსტი მე ვიყავი. კლდე ვყოფილვარ ძმაო, ძირულის წყლის სიპი ქვა. რა უნდა მეთქვა დედისთვის. ჰოდა, რას ვეტყოდი... ეს ტრაგედია ორმოცი წლის წინ ასე დაიწყო. გაგრძელდა და გაგრძელდა. ახლა მად ხართ ხუთივე ძმა. დედა, მამა, სიძეები, ჩემი შვილი გელა, დათა. დეიდაშვილები და მამიდაშვილები. ამ პოსტს არ დავდებდი, მაგრამ იძულებული გავხდი, ჩემს საყვარელ ქალბატონს, ლია ალდშვილს სიმღერად დაუმუშავებია ის ლექსი რომელიც, ახლაა დაბეჭდილი ჟურნალ ,,ათინათში". ძველი რვეულები და წიგნები დავალაგე და იქ ვიპოვნე. დანარჩენი შენი ხელნაწერები ძმაო წიგნად ვაქციეთ მე და შენმა თანაკურსელმა ლევან ბაბუხადიამ. ჯერ მან გამოუშვა, პირველი წიგნი ,,სადღეგრძელო". მერე ჩვენ ორივემ ერთად, ყველა შენი ხელნაწერი წიგნად ვაქციეთ. შენი ლექსიდან გამომდინარე ავირჩიეთ წიგნის სათაური.

,,მირზა წავიდაო, ეს რა გამაგონეს,
აღარ დაბრუნდებაო, თქვეს და ტყუვდებიან,
პოეტები ბრძოლაში ყველაზე ადრე კვდებიან და
პოეტები ყველაზე დიდი ხნით ცოცხლობენ
,,ხვედრი პოეტთა".

ამ წიგნით დაინტერესდა სოხუმის სრული პროფესორი, ქალბატონი ლუარა სორდია და გამოუშვა შენი ლექსების ანალიზის განხილვა

მეცნიერმა წიგნად აქცია და შენი სიცოცხლის ,30 წელიწადს მესამე წიგნიც. მიემატა.

,, ქართული პოეზიის მიმინო". ლევანიმ სამი წიგნიდან რჩეულიც წიგნიც გამოუშვა, რომელიც დაიბეჭდა თბილისში ბესო ხარაიშვილის სტამბაში.

წიგნებში ერთი თეთრიც არ გადაგვუხდია. ბესო ხარაიშვილმა პატივი სცა შენს პოეზიას. არ დაკარგულხარ ძმაო, ყველას ახსოვს ბეჟანი და ბეჟანის ლექსები. ბატონ რეზო მიშველაძეს, მაყვალა გონაშვილს, ბაღათერ არაბულს, ერეკლე საღლიანს. გაღიარეს პოეტად და დაარსეს შენი სახელობის პრემია. მე და ბატონმა ნიკო ხერკელაძემ გამოუშვით წიგნის კრებული, სააკაძეზე და პაატაზე, ვისაც ქონდა ლექსი მიძღვნილი. წიგნს სათაურად შენი ლექსის სათაური გავუკეთეთ.

,,პაატას მხრებზე დაკლული სიცოცხლე". საჩხერის რაიონის ჭალვანის საჯარო სკოლას მინიჭებული აქვს შენი სახელი. რისთვისაც დიდი მადლობა ადგილობრივ მაცხოვრებლებს, სკოლის ხელმძღვანელობას და თიოეულ პედაგოგს. მადლობა ბატონ დავით შუბითიძეს. ამ პროექტის იდეის ავტორს. ახლა კი ცოტა რამ შენი ცოლშვილის შესახებ. შენ ხუთი წლის ლაშას სამი შვილი ყავს.

გვანცა, ბარბი და გიორგი.

კარგი რძალი გყავს ხატია ხატიაშვილი.

ნელი შენი მეუღლე, ოცდარვა წლის ქვრივი, რომ დატოვე, ათი წლის შემდეგ , შექმნა ოჯახი და ლაშას ყავს კარგი თბილი დაიკო. ასე რომ ძამიკო, სიცოცხლე გრძელდება დიდ ტკივილთან ერთად. დალოცე ყველა და სიმღერის ავტორი ლია ალადაშვილი, რომელიც ჩემს გვერდით ერთგულად დგას და რითი გამახაროს იმას ცდილობს. რუსთავიც გიცნობს ძმაო. გიცნობს კარგად, პოეტურად. მახსოვს შენი სურათი ხელჩანთიდან გადმომივარდა. აწ გარდაცვლილი პოეტი იური ჯინჭარაძემ მომაწოდა. სურათს დახედა და მითხრა, ეს სურათი შენ საიდანო? გამეცინა მწარედ, ჩემი ძმა იყოთქო. იყივო? ეხლა სად არისო. ცრემლები გადმოვყარე. არაფერი ვუპასუხე. მხარზე ხელი დამადო და მითხრა, სადაც იური ჯინჭარაძე იქნება იქ, ბეჟანის დაც იქნებაო. კარგახანია იური ნინჭარაძეც ზეცაშია. ეს ლექსი კი დაწერილია როცა შენ იყავი 17 წლის. ლექსი სიმღერად დაიბადა. გილოცავ ძმაო.

როცა სიყვარული გიხმობს

ბატონი აბრამ პაატას უყვარხართ ჩემო ლამაზო ქართველო მანდილოსნებიო, შვილნო ჩემნო. იცით რომ, ახლა ისრაელში სიმშვიდის დღეები არ არის. აი, ამ დროს გიხსენებთ ქართველი ებრაელი, ქუთაისში გაზრდილი და მთხოვს, იზა და ნინო ბრწყინვალე ხელოვანიაო და ჩემი სახელით ,,ათინათის" ფურცლებზე აღბეჭდე ჩემი მათთან გატარებული კულტურული დღეებიო. თუ გული გაქვს არ შეიძლება ცრემლები არ წამოგცვივდეს თვალებიდან. დიახ! ვტირიიიიიი. მხოლოდ ეს ცრემლები სიყვარულის, პატივისცემის და მონატრების ცრემლებია. ნინო და იზა, ლამაზ თვალება, ლამაზ გულა ქალბატონებო, გეფერებით აბრამ პაატასეული სიყვარულით. ფეისბუქზე იზას სიტყვები სართოდ ასე იწყებოდა (მიყვარხართ). დაიღალა ალბათ და კარგა ხანია აღარ დაწერილა ლამაზი სიტყვა.,, მე თქვენ მიყვარხართ".

მერი ბიორბიძე
ᲘᲫᲐ
ᲓᲘᲓ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ
ᲒᲐᲛᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲔᲚᲘ

საყვარელო ქალბატონო შენ მთელ საქართველოს უყვარხარ. შენ კიდევ ჩემო საყვარელო ნინო. ჩვენი შეხვედრა სწორედ ბატონი აბრამ პაატათი დაიწყო, როცა ბატონი აბრამ პაატა, ქალბატონი მაყვალა გონაშვილის რეკომენდაციით ავირჩიეთ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთადორისო სამეცნიერო აკადემიაში. დიპლომი ამ დიდებულ ქართველ ებრაელს, უნიჭიერეს დესპანს, გადასცა ამაღლების ეკლესიის წინამძღვარმა, მამა ამირან ამირანაშვილმა. ჩემ გვერდით ისხდნენ დიდი ჯამლეტი და მისი მეუღლე ევა. იქ, გაგიცანი ჩემო სულიერო შვილო ნინო და იმ დღიდან სიცოცხლის ბოლომდე ჩვენ დედაშვილად დავრჩით და ვიქნებით სიცოცხლის ბოლომდე. მიხარია და ამაყი ვარ თქვენით ქართველო მანდილოსანო, დედა პოეტებო რომ, ასეთი სიყვარულის გაცემა შეგიძლიათ. ვუერთები თქვენ სიყვარულს ჩემი სიყვარულით და გილოცავთ გაზაფხულის პირველი თვის მოსვლას. ახლა უკვე იზა საყვარელო, ხარაგაულის ტყეში ალაგ-ალაგ ყოჩივარდები ამოყოფდნენ თავს. ისიც ვიცი რომ, მოსაწყვეტად არ გაიმეტებდი. ლამაზი თვალებით დაუწყვებდი ყურებას. მერე ფიქრის დიალოგს გააგრძელებდი ყოჩივარდებთან ... რამდენ რამეს ეტყოდი. ერთი სიტყვით იზა და ნინო მოყვარხართ. თქვენ კი ჩემო დიდო იმედო ბატონო აბრამ პაატა, ასოცი წელი კარგად უნდა მყავდე ჩემდა იმედად. მომიკითხე ჩემი იზოლდა მოშიაშვილი და თქვენი მეუღლე ქალბატონი ლოლა.

ასეთი დედა ვარ

ბავშობა ეს ისეთი წლებია ყოველთვის თავს შეგახსენებს. ჩემი ბავშობა ბუნებასთან და მდინარე ძირულასთან ასოცირდება. დილით სანამ მზე ჩემს ფანჯრებში შემოიხედავდა, მე ზეზე ვიყავი. გაზაფხულზე ვტკბებოდი იების სურნელით. ჩემი სოფლის მინდვრები აფერადებული იყო ნაირ-ნაირი ყვავილებით. ამ სილამაზის ფონზე შევუყვებოდი მდინარე ძირულის ნაპირებს და ისეთ თებზებს ვიჭერდი რომლებსაც ქვებში ეძინათ. ნისლი ტყის ტოტებზე მთლიანად იყო გადაშლილი. ველოდებოდი დილის მზის სხივებს. ვიცოდი რომ, მზე ჩემთან აუცილებლად გამოაგზავნიდა. ეს სიყვარული ბუნების დღემდე შემომრჩა.ამიტომაა რომ, საჩუქრად მორთმეული ყვავილები ძალიან მიყვარს. უბრალო ბალახის ღეროშიც კი იმ უმანკო სიყვარულს ვხედავ რომელითაც გავიზარდე. ბავშობაში ვისწავლე მუნჯურად ჩუმად ჩურჩული ბუნებასთან. როცა უკვე ეს ყველაფერი ლექსებად გადმოიღვარა, ტყის ჩურჩული, იების სურნელი, ღელის ხმაური, ბაყაყების ყიყინი, ადიდებული მდინარის ღმუილი, მერცხლების ჭიკჭიკი ჩემს წიგნებში მოვათავსე. გზის ბილიკები ეკალბარდებით სავალი შემხვდა. საკუთარი ხელებით მივწიე- მოვწიე ბაძაძგნარი და ასე მოვედი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიამდე. ჩემი სახელი ჩემივე საჭრეთელით გამოვჭერი. იურიდიულად აკადემიის ხელმძღვანელი ვარ . გამოუშვი უკვე 50 ათი ნომერი, 350 გვერდიანი ათინათი და 13 ტომი 600 გვერდიანი სამეცნიერო შემეცნებითი ანთოლოგია. ტყის ჩურჩულის ხმაც თავის ენაზე ამეტყველდა და უფლის გზავნილი ჩემი ხელშეწყობით 13 წიგნი დაიბადა. მადლობელი ვარ უფლის რადგან, ჩემში დედაშვილობის სიკეთის მზე ისე ჩაასახლა გარეთ არასოდეს გამოვა. ვცხოვრობთ ერთად მე და ჩემი უფლის საჩუქარი. ჩემთან მოდიან ყველანაირი ადამიანები. უმეტესობას ყინვისგან შემობზარვია გული. თიქოს და ეს ჩემი ვალდებულებაა. ვცდილობ იმედის მზით გავათბო ყინვით გათოშილნი და მერე კი რწმენით გამოვკვებო. სახელად დედა მქვია. დედას ყველანაირი შვილი უყვარს, უძღებიც და ამაგის დამფასებელიც. იმდენი წელი შვილს შეემატოს რამდენჯერ დედამ ლუკმა დაიკლოს. მიყვარს ყვავილები და სულიერ შვილებს ვაძლევ. ზოგჯერ მეც სულიერად ისე მშია ფეხზე ძლივს ვდგავარ მაგრამ, სხვებს მაინც ვაპურებ. ასეთი დედა ვარ მე გულნაზი ხარაიშვილი.

უნდა გაჩუქო

მინდა ისე შემოვიჭრე შენს გულში როგორც, დილის მზე. დედაშვილური სითბო გაგრძნობინო და ისევ ფეხაკრეფით გამოვტრიალდე უკან, რათა ძილი არ დაგიფრთხო. მოგცე ის რაც არ გაქვს. იქნებ კიდეც გაქვს მაგრამ, მე ჩემი წილი სითბო უნდა გაჩუქო. თქვენ კიდევ არ იცით ჩემო სულიერო შვილებო, როგორი მდიდარი დედა გყავთ. გული სიყვარულის ელქსირით მაქვს ავსებული. რამდენი ვიღებ და ვურიგებ სიყვარულით მოწყურებულებს, იმდენივე მემატება. არ დამზოგოთ, არ მოგერიდოთ, შესვით ბოლომდე.

დარდი გამიფანტე ბელა

დარდის ქარი ამოვარდა და ღრუბლებში გამიტაცა. თეთრ ნისლებში გამახვია სევდამ. ინტუიცია მკარნახობდა სადღაც, მზე გამოჩნდებოდა. თვალებს გაურკვეველი მიმართულებით იმიტომ ვაცეცებდი რომ, ჩემი შვილი გელა უნდა მეპოვნა. ვიცოდი სადღაც შემხვდებოდა. თეთრ სიწმინდეში. ნისლების მთების ნაკადი არ წყდებიდა. შორს იმედის სხივი გამოჩნდა, ტკბილად გავუღიმე. ლამაზ ოქროსფერ სხივთან ლაზად ხმა გალობდა. ხმის ჟღერადობა ქართული იყო. პირველ ხმას მეორე და მესამე ხმა ემატებოდა. თეთრმა სიწმინდემ საბანი გადაიძრო და მზე მთლიანად გამოჩნდა. სევდის ფერ ცაში დავდიოდი. მივიხედ-მოვიხედე და ეს ქართული ცა არ იყო. ოხ! ღმერთო ჩემო, ხმები ქართულია, ზეცა არ არის საქართველოსი. მე ჩემს შვილ გელას დავეძებ. დარდის ქარებმა იტალიაში მომახვედრეს. დიახ! ქართული ხმები იტალიაში მღეროდა. ეს ემიგრანტების ხმათა კავშირი იყო. რატომ არ გძინავს? რაღაცას ვწერ ვუპასუხე, ქართულ ხმას. არ გავამხილე რომ, ცისკარელი ცაში შვილს დავეძებდი. დაიძინე დედი მიპასუხა, მე შენთვის ვიმღერებ ახლა და დაგეძინება. ძილი ისე შემომეპარა ვერაფერი გავიგე. გელას დავეძებდი და დილით ბელას ხმა დამხვდა. მადლობა შვილო ბელა, ემიგრანტები ეკონომიურადაც გვასაზრდოვებთ დედებს და სულის შიმშილსაც არ გვაგრძნობინებთ. თქვენი ამაგი შეუფასებელია!

მადლობა ნანა სხირტლაძეს

მთელი ცხოვრება. სიყვარული და პატივისცემა ყოველთვის წინ იდგა და დგას ჩვენს ოჯახებში, ვიდრე სხვა მატერიალური. ასეა ჩემი მაზლიშვილები და მულიშვილები. ჰოდა ჩემმა პედაგოგმა ნანამ დღეს რუსთაველის თეატრში დაგვპატიჟა ბებიები. მანქანა სადღაც დააყენა ჩვენ კი გვითხრა, შედით და ქაშვეთის ეკლესიაში ილოცეთო. ვიყიდე სანთლები და ქაშვეთის ეკლესიის გუმბათები ცეცხლის ალში გავახვიე. ჩქარე ნანაც მოვიდა სანთლები დაანთო. დავლოცეთ ყველა. მე პირადად დავლოცე ჩემი ემიგრანტები. დავლოცე ისრაელში ჩემი აბრამ პაატა, იოსებაშვილი, ლოლა და იზოლდა. დავლოცე ლონდონში ჩემი მზია კვირიკაშვილი. ამერიკაში ჩემი თეა . არავინ დამიტოვებიხართ ჩემო სულიერო შვილებო და შვილიშვილებო. სანთლები ავუნთე გარდაცვლილებს. ბოლოს თეატრში გადავინაცვლეთ. შესანიშნავად ასრულებდნენ როლებს მსახიობები. მე პირადად პრომეთს როლის შემსრულებელ მსახიობს გამოვყოფდი თავისი მსახიობური ნიჭით და გარეგნობით. ეს იყო მართლაც საოცრება.

წერილები

ლუარა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სულთა სიახლოვე გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის სულიერი ნათესაობის ერთი ასპექტი

გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის შემოქმედებითი ნათესაობა, მათი სულიერი სიახლოვე, მრავალ ასპექტში გამოვლინდა. თავის თანამედროვეთაგან პოეტების მეფემ განსაკუთრებულად მხოლოდ ტერენტი გრანელი გამოარჩია, უწოდა მას „ხალასი გენია და ნიჭი, ჭეშმარიტი პოეტი“ და „მემენტო მორის“ ავტორის „საამო ქართულით“ მოხიბლული გულწრფელად მიესალმა ამ უაღრესად თვითმყოფი მხატვრული სიტყვის ოსტატის ლირიკას. ტერენტი გრანელმა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის რენესანსი გალაკტიონის სახელს დაუკავშირა და თავიანთი ინტერესების ერთგვარობას უტყუარი დიაგნოზი დაუსვა: „ისევ ერთმანეთს უახლოვდება სული ჩემი და გალაკტიონის“.

ეს „მგლოვიარე სერაფიმები“, გედის ორდენის რჩეული რაინდები მრავალგზის ტოლებივით პირველობდნენ სიტყვიერ ფარიკაობაში ეროვნულ თუ მსოფლიოს არენაზე, ახალი მერიდიანიც გაავლეს სულის გლობუსზე და ერის მარადიულ მეგზურებად იქცნენ.

ჩვენი მიზანია ამჯერად ამ ორი გამოჩენილი პოეტის შემოქმედებითი ნათესაობის ერთ ასპექტს გავადევნოთ თვალი.

ცნობილია, რომ მეოცე საუკუნის მხატვრულ–ფილოსოფიური აზროვნებისათვის საბედისწერო გამოდგა ათეიზმი, ახალი კერპების ძიება ღმერთის უარყოფის ხარჯზე, გამოგონილი ბელადების, არარსებული წარმატებების ხოტბა. იდევნებოდა რწმენა, ღვთისნიერობა, სიკეთე, პოლიტიკურ დეზერტირობად ცხადდებოდა ცხოვრების საზრისის ძიება, იკრძალებოდა ეროვნულ პრობლემებზე წერა, მოვლენებისთვის ნამდვილი სახელის დარქმევა. შერისხული და რეპრესირებული იყვნენ ჭეშმარიტების მსახურნი.

მერე გაირკვა, რომ გეზსამცდარი მარქსიზმ–ლენინიზმის ხომალდი ვერასოდეს მიადგებოდა ბედნიერების ნაპირს, ხოლო უდაბნოში მოხეტიალეებს სამუდამოდ დაკარგვოდათ ორიენტირი.

გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის განსაკუთრებულობა, მათი შემოქმედებითი ნათესაობა საძიებელია უპირველესად რელიგიურობაში, რაც უცხო იყო ათეისტური საუკუნისთვის.

პოეტების მეფისთვის უმთავრესი იყო პირველი სიყვარული, ტრფობა სრული, მზიანი სიყვარული, სიყვარულის სიმღერა, სიმღერათ სიმღერა, ანუ ღმერთი, უზენაესისადმი აღვლენილი საგალობლები.

ტერენტი გრანელი „ციური ეროსის“ ციურ ჰანგებს გვასმენდა, იგი იყო სიცოცხლის შუქის, ცისფერი სულის, წმინდა გზის, მარადისობის (ღმერთის) მიჯნური.

ორივენი პოეზიას სულიწმიდით მონიჭებულ მადლად სახავდნენ და მხატვრული სიტყვის უპირველეს მისიას იმაში ხედავდნენ, რომ ხალხი წაეყვანათ რწმენის, ტაძრის გზით.

ისინი იყვნენ ეროვნული ტრიადის – ენა, მამული, სარწმუნოება – მსახურები, უფლის ხეხილის მებაღეები, ზეციური ვაზის მევენახეები.

დღეს ეჭვს არ იწვევს, რომ „კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია. არარელიგიური კულტურა ფსევდოკულტურაა. კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია, ეროვნულ–ნაციონალურია და, ამდენად, საკაცობრიო. ცივილიზაცია არარელიგიურია, ინტერნაციონალური (აკაკი მინდიაშვილი, ხელოვნების რელიგიურობის და თანამედროვე სინამდვილის შესახებ).

ათეისტური ბოლშევიზმის სავალალო შედეგებზე დაკვირვებით გამოტანილ იქნა დასკვნა: „უნაყოფო, კულტურის საწინააღმდეგო ნიპილისტური მორალიზმიდან პირი უნდა ვიბრუნოთ შემოქმედი, კულტურისმქმნელი, რელიგიური ჰუმანიზმისკენ“ (სემიონ ფრანკი, ნიჰილიზმის ესთეტიკა) (1,66).

პავლე მოციქული მოუწოდებდა რწმენის ერთგულებს: „ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნით, გალობითა და სულიერი საგალობლებით, უმღერეთ და ეფსალმუნეთ უფალს გულებში“ (პავლე მოციქული, ეფესელთა 5,19) (2,420).

გალაკტიონი ერთგულებდა „სრულ ტრფობას“, ძველ გზას, ძველ ღვინოს, ძველ სიყვარულს (გზა, ღვინო, სიყვარული საღმრთო სახელებია), გამუდმებით ახსოვდა „ერთი შორი ოცნება,... ძველ მოტივიდან“, ანუ საღმრთო სიყვარული.

ახალი, „უვალი გზით“ მავალი ტერენტი გრანელი „ძველ ფიქრებს“ მიაგებდა პატივს და ამ შემთხვევაშიც ძველი რწმენა იგულისხმებოდა: „ძველი ფიქრები ისევ დგებიან, ალბათ ასეა ნება განგების“.

ისინი იბრძოდნენ რწმენის, სულიერების გადარჩენისათვის. მათი ცხოვრება სულის გამუდმებული ღვიძილი იყო, ზნეობრივი სიწმინდით, ლოცვა–ვედრებით ღმერთთან მიახლოების სურვილი, უზენაესისადმი აღვლენილი უებრო საგალობლებით გატაცება.

არეოპაგიტიკის მიხედვით, ღმერთის ხილვა, სულიერი განწმენდა ლოცვით არის შესაძლებელი: „...ხოლო ჩუენ თავთა ჩვენთა ლოცვით აღვიყვანებით უმაღლესთა მიმართ აღხილვათა საღმრთოისა შარავანდედთა“(3,226,10).

„ლოცვითა ფრთა, უბიწო ლოცვა, ლოცვის სათნოება, მდუმარე ლოცვა“ იქცევს ყურადღებას იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბეში“, ლოცვის ფრთა კი სარწმუნოებაა: „სარწმუნოება ფრთოვან ჰყოფს ლოცვასა და უმისოდ ზეცად ვერ ძალუძს აღსვლად იმას“ (4,231).

ლუდეიგ ფოიერბახის „ქრისტიანობის არსებაში“ არის სპეციალური თავი – „გრძნობის ყოვლისშემძლეობა ანუ ლოცვის საიდუმლო“, რომელშიც ნათქვამია: „განა რა არის ლოცვა, თუ არა სურვილი გულისა, იმ ღრმა რწმენით გამოხატული, რომ იგი ასრულდება? ლოცვა ცვლის ბუნების მსვლელობას, ლოცვა განსაზღვრავს და იწვევს ღმერთის მოქმედებას... ლოცვაში ადამიანი ივიწყებს, რომ არსებობს ზღუდეები მისი სურვილისა და ამ დავიწყებაში იგი ნეტარი, ბედნიერია“ (4,169).

დიდი გერმანელი პოეტი ერიხ მარია როლკე წერდა: „ლოცვა უეცრად აალებული ჩვენი ყოფიერების გაბრწყინებაა – თავად ლოცვაა შემოქმედება“ („წერილები“).

ფრანც კაფკას თქმით კი, „წერა თავისებური სულების შელოცვაა... პოეზია გვაღვიძებს ჩვენ... პოეზია ლოცვას ჩამოჰგავს“.

ლოცულობდნენ ქართველი ჰიმნოგრაფები, შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა–ფშაველა.

მეფისტოფელის საუკუნეში კი პროლეტარული პოეზიის პრიმიტივებმა „დაცინვა, წყრომა და ირონია“ (გალაკტიონი) დაუპირისპირეს უმაღლეს სიბრძნეს, ამიტომაც „დაეცა ლოცვა და პოეზია“ (ალ. აბაშელი).

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში გრძელდება ჩვენი კლასიკური ლირიკის საუკეთესო ტრადიციები, რელიგიურობაზე წარმოდგენას გვიქმნის ბიბლიური, სახარებისეული თემები, ეპიზოდები, სახეები, იგავები, საღვთო სახელები, მის ლექსებში მოქმედება ხდება სიონში, ტაძარში, უმანკო ჩასახების მამათა სავანეში.

პოეტი დაეძებს „წმინდა ნათელს“, ლოცულობს მარადიული მშვენიერებისათვის: „მშვენება, სული და სილამაზე ჩვენს ლოცვაშია, მუდამ რომ ჰგიეს“ („ავე მარია“) (6,100,106).

მხოლოდ „ლოცვის სიმხურვალეში“ ისმის სულის (ღმერთის) ხმა: „გაქრა ვნება–წამება, როგორც ღამის ზმანება, ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში“ („ლურჯა ცხენები“) (7,55-56).

„პირველი ტრფობისთვის“ (ღმერთისთვის) აღავლენს გასაკვირველ ლოცვას, ვარსკვლავებით (ვარსკვლავი საღმრთო სახელია) სწირავს: „ვარსკვლავებით მწირველი, ლოცვა გასაკვირველი, ასეთია პირველი ტრფობის ინტერვალები“ („Voiles“).

გალაკტიონი წუხდა, რომ დაიკარგა და აიკრძალა საღვთო ჰანგები, „სიმღერათ სიმღერა“, მაგრამ იგი მზად იყო ისევ ძველებურად ელოცა და რწმენის ჩირაღდნები აენთო: „„რად ჩაქრა სიმღერათ სიმღერა მქჩეფარე? ავანთებ ჩირაღდნებს და ლოცვად დავდგები“ (ტრიოლეტები“) 8,540).

„დომინოში“ გაისმის „სანთლების, წიგნების წყევლა და ვედრება“ (8,165).

გალაკტიონი იყო საღვთო შინაარსის ლექსების „გაზელების“ ოსტატი, მგოსანი სასახლის („შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“). სასახლე საღმრთო სახელია, ე.ი. პოეტის მისიაა ქრისტიანობის მსახურება, მხატვრული სიტყვით რელიგიური მოტივების გაშუქება.

„იდუმალი ლოცვა ბაგისა“ გვესმის ლექსში „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“.

„შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელცოდვილს ლიუციფერს, ჩემს სულში ავობით მძვინვარეს“, ევედრება პოეტი „უმანკო ნათელს“, „სასწაულს“ – ღმერთს („სასწაულს“).

„ციურ ალერსზე“ აღვლენილია ვედრება ლექსში „სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს“ (8,362).

გალაკტიონს ქნარი იყო „მარადის ცეცხლის“ (ღმერთის) საგალობელი: „მარადის იგი ხმოვანებს ქნარი, მარადის ცეცხლის საგალობელი“ („პოეტს“).

გულში დაუნჯებული ვედრების ზღვა იასამანთა გროვასთან არის ასოცირებული: „იასამანთა გროვად გროვდება გულში ვედრების ზღვა ნელი ნელი“ („პარალელი“) (8,185).

გალაკტიონი „ჩვეულ გალობას“ არ სწყალობდა, მისი მიზანი იყო „ლურჯი სტანდარტის“ დაძლევა, პოეზიის ახალი, „სხვა კართაგენის“ აგება: „სასტიკი იყო ჩემი დემონი, ვერ ითვისებდა ჩვეულ გალობას, ანგელოზები უედემონი ტიროდნენ გზათა მიუვალობას“ („918“) (7,32).

ტაძრისკენ სვლისას ლოცვის, ზარის ხმა ესმოდა: „ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი, იყო საღამო , ლოცვები, ზარი“ („ედგარი მესამედ“) (7,118).

ლექსში „გვიანი ოცნება“ ყურადსაღებია „წიგნი ვედრებიანი, ალოცება სატანის“ (7,129).

ბნელ ღამეში მრუშე მთის (მთა მარიამის სიმბოლური სახელია) ფონზე, ქართან შებრძოლებულ პოეტს მიზნად დაუსახავს ვარდის (ვარდი სღმრთო სახელი) გადარჩენა, რწმენის ქადაგება, ღმერთის ლოდინის სიმღერების შექმნა: „ვით ლოცვა, ედება საღამო მთის კალთებს, შორს ქარი გაჰკივის, ბნელდება თანდათან. მე გავალ ამ ქარში, გავიტან ამ ვარდებს და შენი ლოდინის სიმღერას გავატან“ („ლოცვისთვის“) (7,142).

გალაკტიონის ღვთიური ჰანგები აიაზმასავით მოესხურა ღმერთსმოწყურებულთა სულებს, მოემსახურა რწმენას, პოეტმა შექმნა „გადარჩენის ჰიმნი“, უმღერა „გადარჩენის ბედნიერებას“, რადგან დარწმუნებული იყო, რომ აკრძალვების მიუხედავად, ხალხი მაინც მიუბრუნდებოდა ტაძრის გზას.

პოეტს ეიმედებოდა უზენაესზე ლოცვით გაღვიძებული და გაზრდილი სულის მარადიულობა: „არ მჯერა, სული რომ გაიფანტოს შენზე ლოცვებით აღმონაცენი, ის თვით სიკვდილოის შემდეგაც, მაინც, სამარადისოდ შენია, შენი“ (შემდეგაც, მაინც“).

„...ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები“ – ასეთი მავედროებელია პოეტის სული, რომელსაც უმაღლესი განწმენდისათვის მიუღწევია, რადგან გრაალი სულიწმინდის სიმბოლოდ მიიჩნევა.

„მზეო თიბათვისა!“ „დედაო ღვთისავ!“ ასეთი უზენაესი სახეებია პოეტის მხურვალე ვედრების საგანი.

თავის განსაკუთრებულობას გალაკტიონი უმაღლესი სიწმინდის ხატის საშუალებით წარმოაჩენდა „ახლა მარტოდმარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია“.

ჭეშმარიტი მორწმუნეობის გამო გვხვდება ტერენტი გრანელის ლექსებში ტაძრები, ჯვრები, სამრეკლო, ლოცვები „ტაძარში შევდივარ მწუხარე ლოხვებით, ჯვარებთან გაივლის ფარული ვედრება. ლოცვით სული აქაცხ აივსო, იელვებს ძველი ლოცვების გროვა, დადგა დრო ფარული

და წმინდა ვედრების, ჩემს ფიქრებს თან სდევდა ლოცვები სიწმინდის, მე ეს შუადღე გამოაოცებს თავის ლოცვებით, შუაღამის ვედრება სამრეკლოსთან ბერდება“.

ტერენტი გრანელი ეძებდა ოცნების იქით, სინათლის იქით, სულის გადაღმა, სიტყვის იქით, ლოცვების გაღმა, ეძებდა ღმერთს, ჭეშმარიტებას, სილამაზეს და ამაო ძებნა ტკივილით ავსებდა: „უმანკო ლოცვები კვირის ფრთებზე ატირდა, ზამთრის ვედრება მწარე ჩამქრალ ვარდებთან გამინავს, ო, გაქრა ლოცვის ფარული სფერო, და გაფრინდა ლოცვა ციდან მონაბერი“...

ვედრება საღმრთო ნისლში შეღწევის სურვილს უღვიძებდა: „ვედრება და ნ ისლი მოედო ჩემს თვალებს, ფოთლებზე ჩამოწვა სინათლე ღამისა, სადღაც იმალება უცნობი სიმკრთალე, ამნაირ ფიქრისგან, უფალო, დამიცავ!“ („კვირის ნისლები“).(9,130).

ლოცვას ხშირად ნისლი მიჰყვებოდა:„ როგორც საღამოს ლოცვა, დადგება მთაზე ნისლი („ღამე, მთვარე და ქარი“)(9,137).

ლოცვა მთვარესთან, ღამის ვედრება, ლოცვა გაფრენისთვის – ასეთია პოეტის ლოცვის არეალი.

ლოცვის მიზანია „შორეული ნიუანსების“ მიგნება, რისთვისაც საჭიროა მთელი ძალისხმევა „იელვებს ძველი ლოცვების გროვა, აპრილის დამდეგს მოვიქანცები იქნება ისევ უცნობი გლოვა და შორეული ნიუანსები“.

ლოცვასთნ მოიხსენიებენ ბოდვას.

პლატონი ბოდვას პოეზიას უკავშირებდა და ამბობდა, ბოდვის გარეშე პოეზია შეუძლებლად მიმაჩნიაო. პოეზიის თანმხლებ ბოდვას პუშკინი „ღვთაებრივ ბოდვას“ უწოდებდა, ალ. ბლოკი – „დიადი ჭკუის ბოდვას“.

ტერენტი გრანელის ლოცვის თანამდევია ბოდვა „თავზე დამტირის ბებერი მზის მწუხარე სხივი, ო, ლოცვით მელის ბოდვები“ („შენს გაქცევას“) (9,84).

ვედრებით მაღლდება პოეტის სული, ხოლო ლოცვით სევდის ბაღში იზრდება პოეზიის ყვავილები: „ეს ჩემი ბედი ახლა ამაღლდა, ვით შუაღამის თეთრი ლოცვები და სევდის ბაღში ისევ აყვავდა იები, ვარდი და მიმოზები“ („ჩემზე“) (10,79).

„ლოცვების გაღმა“ იპოვა პოეტმა თავისი იდეალი – ცისფერი თოვლი, სიზმრების სამყარო, – პოეზია: „არის ციფერი თოვლი თეთრი ლოცვების გაღმა. სული ფარული თრთოლვით მისდევს მიზმრების დაღმართს“ („ლოდინი ბედის“ (9,109).

ქრისტეს ჯვართან იწყება ფარული ვედრება წამებით, წირვებით, რადგან ამაღლება ჯვარცმის ტოლფასი ტანჯვის გარეშე წარმოუდგენელია: „ჯვარებთან გაივლის ფარული ვედრება, წირვებით წამიღებს წამების მწვერვალი“.

ქრისტიანული ღვთისმეტყველების, ჰიმნოგრაფების მიხედვით, ღვთაებრივი სული ლოცვის ნაყოფია „ნაყოფად ლოცვისა აღმოცენდი, ღირსო, ეფთვიმი, ღმერთშემოსილო“ (ი. მინჩხი).

თეთრ ლოცვებს ჰგავს ტკივილიდან, გლოვიდან აღმოცენებული ტერენტი გრანელის „მინანქრის სტრიქონები“. „და ჩემს სული თეთრ ლოცვებში დატეხილი გლოვის ხაზებად“.

ასეთ სულს კი თეთრი კარეტა და სამოთხე ელოდება („ლოცვა მთვარესთან“).

პოეტის წმინდა ლოცვებით გაბრწყინებული სახე წმიდათა სავანეს – ეკლესიას ჰგავდა: „საქართველოში მხოლოდ შენ ერთს თუ გაგონდება გაბრწყინებული ჩჩემი სახე, ვით ეკლესია“ („საიდუმლო მისალმება ჭლექიან სამრეკლოს“) (11,102).

ამაღლებული წმინდა სული ბრწყინავს, როგორც ეკლესიის გუმბათი: „მე მივდივარ და მიცქერის ხალხი, ჩემი სახე გუმბათივით ელავს“.

ამ არაჩვეულებრივი სახის წყარო ალბათ სახარების ის ადგილია, სადაც იესომ პეტრე, იაკობ და იოანე წაიყვანა მთაზე და ლოცვისას გაბრწყინდა მზესავით : „და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი მისი იქნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“ (მათე, 17,2).

სამოსლის სისპეტაკეც პოეტის სიწმინდეზე მიუთითებს: „რა ვქნა, ცხოვრებას ვერ ვუღალატე, მივალ, მაცვია თეთრი ხალათი“.

წერის პროცესი ლოცვასავით წმინდაა და სახეც კი უსხვაფერდება „დავიწყე წერა, სხვა სახეს ვიღებ სხვა მხარეს ვეძებ“ („მზის დაბნელება“)(12,69).

ტერენტი გრანელისთვის ძალზე ორგანული იყო ლოცვა უღმერთო დროში, მაგრამ იგი სხაგვარი დროის იმედით ცხოვრობდა: „ვდგავარ ქვეყნის წინ, როგორც მლოცველი, ვითმენ წამებას, სხვაგვარ დროს ველი“.

აქაც შეხვდნენ ერთმანეთს ქრისტიანობის ადეპტები – გალაკტიონი და ტერენტი გრანელი, რადგან სულის სიღრმემდე იყვნენ შეძრული რწმენით, სათნოებით, უზენაესის ხატი სამუდამოდ დავანებულიყო მათ არსებაში.

ახალი სიტყვით, ახალი საგალობლებით, მარადიული სათქმელით, წუთისოფლის წარმავალი დიდების უარმყოფელნი წარუდგენენ თავიანთ ხალხს. მათ ის ზეციური სიბრძნე გაითავისეს, რომლის მიღება მხოლოდ უბიწო სულის ადამიანებს ხელეწიფებათ.

სულის განმაახლებელი ლოცვა–ვედრების, საღვთო ინტონაციების შესწავლა იოანეს აპოკალიფსში მხოლოდ თეთრად შემოსილი წმინდანების ხვედრია.

გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი სულიწმიდისაგან ხელდასმული პოეტები იყვნენ, ზეციური მადლის მიმღებნი, ერს ღმერთის, ტაძრის გზაზე მოუძღვებოდნენ და გამოცხადების წაუბილწავთა დარად, სულისშემძვრელ საღვთო ჰანგებზე გალობდნენ.

მათ უფლება ჰქონდათ, სულიწმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქულის სიტყვები გაემეორებინათ: „კეთილი ბრძოლით ვიბრძოდი, განვლე ასპარეზი, რწმენა შევინარჩუნე. ახლა კი მიმელის სიმართლის გვირგვინი, რომელსაც მომცემს იმ დღეს უფალი, მართალი მსაჯული“ (პავლე მოციქული, II ტიმოთე, 4,7,8) (2,460).

დამოწმებანი

1. სემიონ ფრანკი, ნიჰილიზმის ესთეტიკა, რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე, თბ. 1994
2. ახალი აღთქმა და ფსალუმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), „შრომები“, თბ. 1961
4. იოანე პეტრიწი, „სათნოებათა კიბე“, თბ. 1968
5. ლუდვიგ ფოიერბახი, „ქრისტიანობის არსება“, თბ. 1956
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 15 ტომად, ტ. I, თბ. 2016
7. გალაკტიონ ტაბიძე, თბზულებანი 15 ტომად, ტ. II, თბ. 2016
8. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ. 2014
9. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პალიტრა L“, თბ. 2012
10. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
11. ტერენტი გრანელი, „ცისფერი სიშორე“, თბ. 1999
12. ტერენტი გრანელი, ტომი I, თბ. 1991

რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

წინათქმა

ოჯახში წინსაფრიანი დედა, ყველაზე გვიან რომ იძინებს და ყველაზე ადრე იღვიძებს.

სამსახურში ჩვეულებრივი ჩინოვნიკია, რომელსაც დილის ცხრა საათზე ტაბელის გადაბრუნებას ავალებენ და თუ დილით დაიგვიანა, საყვედურგარეულად შეხედავენ.

მოდის მწერალთა კავშირში და კუთხეში, ბოლოსწინა რიგში ჩამოჯდება, სიტყვებში გამოსვლით არავის აწუხებს.

შინაც და გარეთაც ამ სანდომიანი სახის, საოცრად მეტყველთვალება (რომელსაც დარდიც, სიხარულიც და სინანულიც უპირველესად თვალებზე დაეხატება ხოლმე) ქალის შესახებ ძალიან ცოტამ იცის, რომ პოეტია.

ესე იგი „ერთი ცრემლით მეტია“ სხვაზე.

ეს წიგნი ნინო უძილაურის მეხუთე პოეტური კრებულია.

ეს მე ვიცი, იქნებ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ხუთივე წიგნის რედაქტორი ვარ.

მახსოვს მისი ლექსების პირველი რვეული რომ მომიტანეს, სახელი და გვარი არ ეწერა. მომტანისთვის ეთქვა, თუ არ მოეწონა ბატონ რეზოს, ჩემი ვინაობა არ გაუმხილოო.

ტელეფონი რომ მოვიძიე და დავურეკე, სხვათა შორის ვუთხარი, მე თუ პოეზიისა რამე გამეგება, თქვენ ნამდვილი პოეტი ხართ მეთქი.

ძლივს დავითანხმე პირველი წიგნის გამოცემაზე.

ჯერ იყო და მოკრძალებით შემოაღო კარი ქართული პოეზიის ფარვატერში, მერე მოვიდა მასთან მკითხველის ყურადღება და თავის თავში დარწმუნება.

ახლა ნინო უძილაურს ინტერესით კითხულობენ, ყურადღებით უსმენენ, მის წიგნებს დაეძებენ.

ეს უკვე გამარჯვებაა.

ნინოს ლექსს ანა კალანდაძის ლექსის მსგავსი სისადავე და იდუმალება აქვს.

ანდამატი, რაიც ნინო უძილაურის ლექსს ახლავს, გაიძულებს კი არ გადაიკითხო, არამედ ყურადღებით წაიკითხო, კიდევ ერთხელ ჩახვდე და ჩაუღრმავდე, სათქმელი გაითავისო.

ამ ლექსების განწყობილება გადამდებია.

ლირიკული გმირი კი არ გეკამათება, გეჩურჩულება. კი არ გიმტკიცებს სახეობრივი აზროვნებით, ქალური სინაზით მიგახვედრებს, რომანტიკულ სამყაროში გადაგიყვანს და გაგიყოლიებს.

რასაც წერს, მისი სულის კალეიდოსკოპია, შიგნით ჩაბრუნებული მზერის ანარეკლია. აქ ვერ წააწყდებით მიძალებას სიტყვაზე და მაჟორულ დაფდაფებს.

თითქოსდა, ავტორი ცდილობს ჩვენი დაბნეული თანამედროვის სულის სიმები შეარხიოს.

ისე კი, რომ არ გადაგღალოს, თუმცა ყოველდღიური თავსატეხისგან ცოტა ხანს მაინც განზე გაგიყვანოს და შენს სულს კეთილად მიესალბუნოს.

პოეზიის დანიშნულებაც ეს არის.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ათინათის 50-ე საიუბილეო გამოცემა

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ "ათინათის" საიუბილეო, 50-ე ნომერი, 2023 წლის დეკემბრის თვეში გამოიცა... ჟურნალის გადაშლისთანავე, თვალში მოგვხვდება, თქვენი მონა მორჩილის, გამოცემის მთავარი რედაქტორის, გულნაზ ხარაიშვილის ლექსები - „გავიმარჯვებ" და „ვინც გავზარდე"...გულწრფელი სიტყვებით ვესაუბრები დიდ ადამიანს, ჯუმბერ ლეჟავას:

„ხომ არ მენდურები მოგზაურო,
ვცდილობ სიკეთისკენ გზები გავჭრა,
ბედი უკუღმართად საზღაურობს,
სახელს რამდენჯერმე შემევაჭრა"...

ჟურნალის შესავალი ნაწილი, ტრადიციულად, სასულიერო პირებისადმი მიძღვნილ წერილებს და შემოქმედებას ეთმობა. მკითხველს გულწრფელად ვურჩევ წაიკითხოს უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მოწოდება, სრულიად საქართველოსადმი. აქვე განთავსებულია მეუფე თადეოზის სიტყვები: "ქრისტე ღმერთმა დაგვიფაროს, გვაკურთხოს და გაგვახაროს, სამარადისოდ- ამინ!.."

ჟურნალ "ათინათის" შესავალ ნაწილში დაბეჭდილია, ჩემი (გულნაზ ხარაიშვილის), ლექსი - "შევქმენ ჟურნალი", რომელიც საგანგებოდ იუბილარი "ათინათის" 50-ე ნომრისთვის დავწერე:

"აგერ წიგნები, თვალით რომ ხედავთ,
მეკი დარდებში შემომაღამდა,
მოკრძალებულად დღეს სიტყვას ვბედავ,
ლექსში კი გული ბევრჯერ აბღავლდა"...

ჯგუფი ზღვარი წარმოგიდგენთ- სერგი ლომაძის, კახა ბაციკაძის და გიორგი ზუხბაიას ულამაზეს პოეზიას...პოეზიის ნაწილში განთავსებულია მამა ამირანის (ამირან ამირანაშვილის)- უფლის, ღვთისმშობლის, წუთისოფლის სიყვარულით გაჯერებული ლექსები...მამა ამირანი ასე მიმართავს ივერიის ღვთისმშობელს:

" დიდო ივერიის მფარველო დედა,
შუბით შებღალეს ხატება შენი,
ღვთიურ ლოყაზე შეგახმა სისხლი
წყეულიც იყოს მაგის ჩამდენი"...

საიუბილეო ნომერში შეგვიძლია წავიკითხოთ ბერდიაკონი ნეოფიტეს (გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტრის ბერდიაკონი) ლექსები: "ერის წყალი" და "პატარა ანა"...მამა ნეოფიტეს ლექსი "ათინათი" საიუბილეო ნომერში დაბეჭდილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც ქალბატონმა მზია ლოურენსმა მაღალ დონეზე (ლამაზად) თარგმნა...

პოეზიის ნაწილში განთავსებულია- ნაირა უგულავას, ეთერ ჭელიძის, ნინა გაჩეჩილაძის, გულიკო კაპანაძის, მზია ელიაძის, ვერიკო პარწიკანაშვილის, მალვინა ჭელიძის, ლალი სოხაძის, გერონტი მესხის, თემურ გოგსაძის, ირინა ბერიანიძის, ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილის, მაგული კორძაიას, მარინა დიერაშვილის, მზია გირგვლიანის, ირინა ხურციძის, თამრო ნიჟარაძის, ნანა გიგუაშვილის, მარი კოლხელის, მზია ერგემლიძის, მანანა სამყურაშვილის, მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძის, ვალია კვაშილავას, მირანდა ზამბახიძის, ანზორ შერვაშიძის, ლია ალადაშვილის, ეთერ ისაკაძის, თეა ბარბაქაძის, ნანა ჩარკვიანის, მზია გომართელის, გოჩა ჭაბუკაიძის, ნათია ჯიქურაშვილის, მთვარისა ზეინკლიშვილის, გიორგი ჯავახიშვილის, ნელი გიუნაშვილის, ლამზირა შეყელაძის, ნინო უძილაურის, ლეილა გაფრინდაშვილის, იზოლდა მოშიაშვილის, გულნაზ ხარაიშვილის და სხვა პოეტების ლექსები.

მიძღვნით ნაწილში, თქვენი მონამორჩილი, მე, გულნაზ ხარაიშვილი(ცისკარელი), მოკრძალებული პოეზიით, ვეფერები ჩემს მეგობრებს, შემოქმედ ადამიანებს...მე ვეფერები- გიული

ერგემლიძეს, დიანა შუბითიძეს, თემურ ჩალაბაშვილს, მზია გვირგვლიანს, ნანა სხირტლაძეს, პატარა ნინი ხერგიანს, ირინა ბერიანიძეს, ვახტანგ სხირტლაძეს, მზია კვირიკაშვილს, პატარა ბექა მექვაბიშვილს, თემურ გოგსაძეს, ცაგო აბაშმაძეს, დარეჯან მაჭარაშვილს, შორენა ჩხიკვიშვილს, გულიკო კაპანაძეს, ნატო გაბარაევა-ხარაიშვილს, ხათუნა ჩიტაძეს, ივერი ჭელიძეს, ლოლა და აბრამ-პაატა იოსებაშვილებს, იზოლდა მოშიაშვილს, ბეჟან ხარაიშვილს და სხვებს...სამწუხაროდ, დიდი პოეტი, თემურ ჩალაბაშვილი, ჩვენს შორის აღარ არის და ყველა იმ სტროფის წაკითხვისას, რაც თემურს გულით მიუძღვენი-თვალს ცრემლი მადგება:

"გლოცავ როგორც ძმას, სულიერს და ძმის თანაკურსელს...
არა გეტკინოს ასი წელი დიდო პოეტო,
როცა გადაშლი მოგონების ცელქ ლამაზ ფურცელს,
უცებ შენიშნავ შენი ლექსი რომ კაპოეტობს.
ლექსის სანთელი ყველა ქართველს პირჯვარს გადაწერს"...

ნათელი ბატონ თემურის და მისი მეგობრის ბეჟან ხარაიშვილის (ჩემი ძმის) მართალ სულებს, ზეციურ საქართველოში, მარადიულ სიცოცხლეში!..

მიძღვნით ნაწილში წაიკითხავთ იზა ჭიკაიძის ლექსს "ნუგეშის ხმით", რომელიც პოეტმა თქვენს მეგობარს, გულნაზ ხარაიშვილს მომიძღვნა...და აგრეთვე ჩემს საპასუხო ლექსს "პასუხი იზა ჭიკაიძეს"...

"ათინათის" საიუბილეო ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თარგმანებს... თარგმანები იწყება, ირმა კეკელიძის წერილით - "ექვთიმე", რომელიც ინგლისურ ენაზე, მზია ლოურენსმა, ჩვეული პროფესიონალიზმით, მაღალ დონეზე თარგმნა...წერილი, რომლის სახელწოდებაცაა "ექვთიმე", ეხება იმავე სახელწოდების სპექტაკლს -"ექვთიმეს", რომელიც ცნობილმა რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ, ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო, დრამატულ, თეატრში დადგა...სპექტაკლის სახელწოდება "ექვთიმე" მიგვანიშნებს, რომ თემატიკა ეხება ექვთიმე თაყაიშვილის-ქართველი ისტორიკოსის, არქეოლოგის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, დიდი საზოგადო მოღვაწის, ქართული მართმადიდებელი ეკლესიის წმინდანის "ექვთიმე ღვთისკაცის" ცხოვრებას...

თარგმანების ნაწილში განთავსებულია მზია კვირიკაშვილი-ლოურენსის მიერ თარგმნილი, ქართველი პოეტების ლექსები: მაყვალა გონაშვილი (5 ლექსი); გულნაზ ხარაიშვილი (5 ლექსი); ირაკლი ნადარეიშვილი (2 ლექსი); სოსო მამალაძე (7 ლექსი); მანანა სამყურაშვილი (2 ლექსი); თენგიზ ფანცულაია (ლექსი); გიორგი ჯავახიშვილი (ლექსი); გოჩა ჭაბუკაიძე (ლექსი); ლია ალადაშვილი (ლექსი); გვანცა პაატაშვილი (ლექსი); ნინო მოსაშვილი (ლექსი); ხათუნა ელიაშვილი (ლექსი); გულიკო კაპანაძე (ლექსი); ვერიკო პარწიკანაშვილი (ლექსი); ბეჟან ხარაიშვილი (4 ლექსი); მარინა თოფურია (ლექსი); გივი გოგნაძე (2 ლექსი); ბეგი(ბეგლარ) მამალაძე (ლექსი); მარი ჟღენტი (ლექსი); მედეა გადელია (ლექსი); კოტე თავართქილაძე (2 ლექსი); აგრეთვე ინგლისურ ენაზე დაბეჭდილია ქალბატონ მზია ლოურენსის ლექსები, რომლებიც ქართულ ენაზე თარგმნა ქალბატონმა მეგი მოლოდინმა... მადლიერებას გამოვხატავ უნიჭიერესი მთარგმნელის, უკეთილშობილესი ქალბატონის, მზია კვირიკაშვილი-ლოურენსის მიმართ (არა მხოლოდ ჩემი, როგორც რედაქტორის, არამედ ყველა ავტორის სახელით), უანგარო და შეუფასებელი შრომისათვის... ქალბატონი მზია გახლავთ, მაღალი ინტელექტის მქონე, ჭეშმარიტი ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანი ადამიანი, პიროვნება... რაც თვალნათლივ ჩანს მის (უანგაროდ) თარგმნილ პოეტურ, პუბლიკაციურ ნაშრომებში...

საბავშო ნაწილში ყურადღებას იპყრობს ცაგო აბაშმაძის პოეტური გამოცანები პატარებისათვის -"აბა გამოიცანით" და მარინა დიერაშვილის ლამაზი, საბავშვო პოეზია...

არდავიწყება მოღვაწეთა, ასე ჰქვია ჟურნალის იმ ნაწილს, რომელიც იმიერში გადასულ, შემოქმედ ადამიანთა ხსოვნას ეძღვნება. საიუბილეო ნომერში განთავსებულია მეუფე თადეოზის, დავით გამთენაძის, ბეჟან ხარაიშვილის ლამაზი პოეზია.

"ათინათის" პროზის განყოფილებაში დაბეჭდილია, დიდი კლასიკოსი მწერლის, რევაზ მიშველაძის რომანის "წამებას" გაგრძელება. დასაწყისი დაბეჭდილია "ათინათის" 28, 29, 30, 31, 32, 45-49 ნომრებში...ყურადღებას იპყრობს მწერლის მიერ (რომანის გაგრძელების) შესავალ ნაწილში დაწერილი სიტყვები: " სამწუხაროდ, ტყვია მიზანს არ აცდა. ქართველი ქართველს

ჯერჯერობით ზუსტად ახვედრებს." მართალაც სამწუხაროდ, მწერალი რეალურად აღწერს, ჩვენი ერისა და ქვეყნის ჭირ-ვარამს...გირჩევთ, წაიკითხოთ რევაზ მიშველაძის რომანი "წამება", რაც რეალურად დაგვაფიქრებს ჩვენი ცხოვრების, ამქვეყნიური ყოფის ავკარგიანობაზე... პროზის ნაწილში განთავსებულია თინათინ ჭედიას, ირაკლი ნადარეიშვილის, ნინა გაჩეჩილაძის, ირმა კეკელიძის, ხათუნა ჩიტაძის, ანზორ შერვაშიძის, ვერა აბდუშელიშვილის, გიული ერგემლიძის, ლია ჩიქოვანი-გოგრიჭიანის, ლეილა გაფრინდაშვილის, გულნაზ ხარაიშვილის მოთხრობები...

წერილების ნაწილში წაიკითხავთ, ლუარა სორდიას წერილებს: "დიდებულნი და მდაბიონი" და "ოცნება ჰარმონიულ საზოგადოებაზე"; ირმა კეკელიძის წერილს-"ანთოლოგიის მე-13 ტომი", რომელიც ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, მრავალპროფილიანი აკადემიის სახელით, ანთოლოგიის მე-13 ტომში განთავსებულ შემოქმედებით სიახლეებს, ინოვაციურ მიმდინარეობებს გვამცნობს; ხათუნა ელიაშვილის წერილს-"არა კაც კლა!"

მკითხველს ვურჩევთ ყურადღებით წაიკითხოს მწერლის მიერ მოწოდებული, მართლაც ზნეობრივი წერილი...

ავტორის სიტყვებით:

"არა კაც კლა! -ეს ფრაზა მიმართულია თითოეული ადამიანისადმი, მისი შინაგანი სამყაროსადმი, რადგან თითოეულმა ჩვენთაგანმა არ მოვსპოთ და არ გავაქროთ ჩვენივე სხეულში არსებული ღვთიური ენერგია, რასაც ვატარებთ და რაც ღვთიური სახით ჩაიდო"...

"სიბრძნის სკივრში" გაეცნობით ნაირა უგულავას (ნია გორდელი) "აისის აპელიოტის" გაგრძელებას (დასაწყისი ათინათის 49-ე ნომერსა და ანთოლოგიის მე-13 ტომში)...საყურადღებოა მწერლის შემდეგი სიტყვები: " ჭეშმარიტი შემოქმედი საკუთარ შეხედულებებთან და პოზიციებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში აყალიბებს ახალ იდეებს..." გაეცანით ნაირა უგულავას "აისის აპელიოტის" სადაც ნამდვილად აღმოაჩენთ ისეთ ჭეშმარიტებას, რაზეც შეიძლება არასოდეს არ გიფიქრიათ...რაც შეეხება "შემეცნებით სამყაროში" განთავსებულია -ნაირა უგულავას "ბრალის თეორია" (გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის მე-10, მე-11, მე-12, მე-13 ტომსა და ჟურნალ "ათინათის" 38-49 ნომრებში)...

ჟურნალის საიუბილეო გამოცემის, ისტორიულ ნაწილში, კვლავ წავიკითხავთ ნიკო ხერკელაძის ნაშრომს-"ცრემლში ნალესი ხმალი" (დასაწყისი "ათინათი" 16-49 ნომრებში და ანთოლოგიის 5-13 ტომებში). საიუბილეო გამოცემაში განთავსებული წერილი შედგება ქვეთავებისაგან: "თანამედროვენი გიორგი სააკაძეზე", "მოგონება რევაზ თარხან- მოურავზე", "კასტელის "სააკაძის პორტრეტის" შესახებ"...ამავე ნაწილში განთავსებულია გოჩა ჭელიძის ისტორიული ნაშრომები-"მარიამ დადიანი", "ქეთევან ანდრონიკაშვილი", "თანდარა ხულელიძე", "შურისმაძიებელი ქართველი ქალი", "ქრისტინე ცქირიაშვილი", "მაია წყნეთელი", "ნანა თოთელი","თინა ფარსმელი", "მარიხა", "თამრო ვაშლოვნელი", "ბულბულა ქვიშხეთელი", "ხვამლის მთა"...ისტორიული ნაწილის ორივე ავტორს, ლამაზად, ხატოვნად აქვს გადმოცემული, ჩვენი ქვეყნის (სამშობლოს), გმირი ადამიანების (წინაპრების) ისტორიული ღვაწლი და თავდადება ერისა და ქვეყნისადმი...

სამართალმცოდნეობის ნაწილში შევხვდებით, ლალი ჩოდრიშვილის წერილს "რატომ უნდა მივმართოთ მედიაციას". ავტორის თქმით: "მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმია. აღნიშნული შესაძლებელს ხდის დავის გადაწყვეტას სასამართლოს გარეშე"...რაც შეეხება ეკონომიკის ნაწილში განთავსებულია ვალერი მოსიაშვილის და ბელა ნადოიანის წერილი - "ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ალტერნატიული გზების შესახებ". მოცემულ ნაშრომში გავეცნობით ახალ მიმართულებებს, ბიზნესის განვითარების სფეროში...

ხელოვნების ნაწილში წარმოდგენილია, ნინო კუტალაძის, ხელთნაკეთი, ლამაზი ნიმუშების ფოტოები...

ვულოცავ აკადემიის წევრებს, "ათინათის" ავტორებს, ჟურნალის საიუბილეო 50-ე ნომრის დაბადებას!..კვლავაც და კვლავაც ვუსურვებ შემოქმედებით წარმატებებს, ჩვენს ერსა და ქვეყანასთან ერთად!..

დევნილობაში ამღერებული მუზები

ლომისის ანსამბლის ხელმძღვანელია შალვა ილურიძე. ქსნის ლამაზ ხეობა მისთვის კვლავ წარსულის ცრემლია. ამჟამად წეროვანში ცხოვრობს და არ ასვენებს დატოვებული სახლის მონატრება. ენატრება თავისი საძვალე. ფიქრით თავს დასტრიალებს მშობლების საფლავს და ლომივით ვაჟკაცი ცრემლიან სტრიქონებში აცოცხლებს დედას . დედის სინატიფეს თუთის ფოთელს ამგვანებს:

,,დედა ყოფილა თუთის ფოთელიო,

შვილი აბრეშუმის ჭიაო და დედის სხეულიდან იკვებებაო". ჰოდა იმ ლამაზი მშობლების დედისა და მამის საფლავი ენატრება, რომლებმაც გაზარდეს ხელოვანი. ახალგორის რაიონი სოფელი ,,ბოლი " ახლა დამპყრობლის ხელშია. დგას აქეთ ქსნის ხეობაში გაზრდილი შალვა და წეროვანიდან მიჩერებია თავის შექმნილ არემარეს. შალვა ილურიძის ყოველდღიური ტკივილი წარსულზე ფიქრია.

,,დღეს მწარედ მტანჯავს და მაღონებს წარსულზე ფიქრი,

ჩემს დიდ სურვილებს

მონატრების ცრემლები ერთვის,

ჩემს თვალწინ ტირის იმ წარსულის ტკბილ- მწარე ციფრი,

თუ დამიბრუნდი სახლის ჭერო, მოვკვდები შენთვის"!

იძულებით გადაადგილებული ქართველს რწმენა გაუხდია სამეგობროდ. ფიზიკურად ძლიერ ვაჟკაცს რომ, ისე აიძულებ რომ, დატოვოს თავის შექმნილი სახლ-კარი რა გასაკვირია რომ ასეთი სიტყვები დაწეროს.

,,დღეს ველოდები ჩემს

ერის შვილებს,

სხვა ეროვნება არ მყავს სიაში,

ვეპატიჟები მათ ზემო ბოლში,

ჩემს მამა-პაპის ეკლესიაში"

ბევრჯერ გულნატკენ ხელოვანს, გულს უსერავენ და ლექსად ჩამოუქნია აფორიაქებული ფიქრი.

,,გულით კარგ საქმეს

როცა ვაკეთებ,

იმზირებიან ჩემსკენ ჭორები,

მარტოდ ვარ,

რამდენ ბოროტს გავუძლო

და რამდენი მყავს მოსაშორები"

მე კი ასე დავმოძღვრავ ამაყ ხელოვანს, მიანდე უფალს და ის მიხედავს კარგსა და ცუდსაც.

შალვა ილურიძის წიგნი ,,დევნილობაში ამღერებული მუზები" ჩქარე იხილავს დღის სინათლეს. ეს მისი მესამე პოეტური კრებულია.

გზა დავულოცოთ ამ დიდ ხელოვანს, ანსამბლ ,,ლომისის" ხელმძღვანელს, რომელის ფოლკლორის გუნდი 30 წელიწადია ქართველ ხალხს ქართული ხმებით სულიერად ასაზრდოვებს!

ხათუნა ელიაშვილი

პირველადობის სიმბოლო! დასაბამისეულის სიღრმე!

ვინ ვართ ჩვენ?!

სადაა ჩვენი საწყისი?!

რატომ გვიჭირს მისი მოძებნა,მისი აღქმა, მისი გააზრება.

რანი ვართ ადამიანები?!

რისთვის მოსულები და რა დევს თვითეული ჩვენთაგანის გამოვლინების მიღმა?!

რატომ ვერ ვუფიქრდებით რას ველოდებით?!

დღეს კითხვების დასმის დროა, საკუთარ თავთან საუბრის დროა, საკუთარ თავში ჩახედვის დროა!

უამრავი მათემატიკური ამოცანა ამოგვიხსნია, უამრავი მაგალითისა თუ განტოლების ამოხსნა უსწავლებიათ მასწავლებლებს, რადგან ეს დავალება იყო!

დიახ, დავალებაც იყო ზრდისა დაგანვითარებისათვის!

თურმე რა სასწაულ პროცესს გავდიოდით გაუცნობიერებლად. სინამდვილეში ეს "რთული" ამოცანები ცხოვრების სიძნელეების გადალახვის გზებს გვიხსნიდა, ჩვენსავე შინაგანში ახდენდა სიცოცხლის პროცესების წვდომას, რათა მიგვეღწია სრულყოფილებისთვის დროთაგანმავლობაში.

ეს იყო საკუთარი თავის გამოწრთობის მაგალითები თეორიულ მდგომარეობაში, ამ დროს მარჯვენა ნახევარ სფეროსი და მოგრძო ტვინის, ნათხემის გააქტიურება აზროვნებაში იწყება.

აქ დაძაბულობაა!

ჩაღრმავებაა!

ეს გონების ამუშავებას ნიშნავს!

სკოლის პერიოდში კი ეს დავალება იყო!

დიახ დ ა ვ ა ლ ე ბ ა!

ზრდა განვითარებისა.

მაგრამ რაა მერე, მივაღწიეთ რაღაც კონკრეტულ საფეხურს და ამით დავკმაყოფილდით.

მერე კი იწყება დაუსრულებელი საკუთარი თავის ამაღლება, ეგოს. დამკვიდრება და ცხოვრების მოწყობა.

სმა – ჭამა დიდად შესარგი!

გარეგამორჩეულობა გვანიჭებს სიმშვიდეს და ვნებაში ყოფნას.

არადა სამყაროს მაგალითების ამოხსნაა მთავარი, სიცოცხლის მაგალითების, ბუნების შედეგრებსა და მის გზაკვალზე სიარულს გულისხმობს.

მისით გაოცებას გულისხმობს.

სიტყვა გ ა – ო ც ე ბ ა, ცოდნის ზრდას ნიშნავს,ანუ როცა შეიცნობ ბუნებას ოცით იზრდებითო.

აი ასეთი ყოფილა ცხოვრება და ამ ბუნებაში შესვლით ჩვენც მისნაირნი ვხდებით, მისი საფეხურებით ვიწყებთ სიარულს, მივყვებით დინებას,მათში ვიღვიძებთ და ვივსებით.

ყველა ადამიანი გამოვლენილია, როგორც რომელიმე ხის ფოთოლი, თავისი ოცნებებითა და ინფორმაციით.

მასში ჩატეულია მხოლოდ სამყაროსი და ბუნების საიდუმლოება.

დ ი დ ი ღ მ ე რ თ ი!

ღ – მ(ე) – ე რ თ ი!

რომელიც მხოლოდ ღვთიურ საწყისებზე ახდენს ზრდა-განვითარებას და გულში ჩატეული ინფორმაციის მოტანას.

ხედვით კი ვხედავთ, მაგრამ აზრით არ შევდივართ მასში, არ ვესაუბრებით, მარტო ვკმაყოფილდებით მისი გარეგნული სიმწვანით და მშვენიერებით.

არა და ნეტავი თავისი ბუნებიდან გამომდინარე რას საუბრობს?!

რისი თქმა უნდა?!

რას ფიქრობს?!

რაა ცხოვრება თავისი შინაარსით?!

და თუ უკვე ამოხსნილი გვაქვს უამრავი მათემატიკური განტოლება, მაგალითი და ამოცანა, ეს აღზრდის პირველი ნაბიჯებია, რაც გზას ხსნის უკვე ახალახალი შეუცნობლის შეცნობისაკენ და მის სიღრმეში ჩაძიებას ბუნების შედეგრებს აღმოჩენაში!

არაჩვეულებრივი სამყაროს მარგალიტი ვხდებით!

და თუ გვიპოვა და აღმოგვაჩინა ღმერთმა აქ დიდი სიყვარული იპოვა!

მიყვარხართ მეგობრებო!

იბრძოლეთ ბრძოლისთვის!

ცხოვრება გააზრებული ბრძოლაა!

და მას ტვინი სჭირდება, რადგან ახალახალი დაძაბულობა მის სიღრმეში შესვლას გულისხმობს, ტვინის ვარჯიშია,

წინსვლაში გადიხარ სიყვარულის დახმარებით, ანუ წინ მიიწევ!

ეს ისეთივე ექსტაზია, როგორც განაყოფიერება და ეს დამწყებთათვის ცხოვრების გზაა, ის უნდა იპოვო!

ახალი სამყაროების შექმნა. ხდება.

ხე ფოთლით იცნობა!

ტყვია ცეცხლში იწრთობა!

მრავალი წახნაგი ყოფილა ცხოვრება, უნდა გამოთალო!

უბრალოება კი აზრის, სიტყვით მოლაპარაკე ღმერთია!

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

აისის აპელიოტი

აზრები

(გაგრძელება)
(დასაწყისი ათინათის 49-50-ე ნომერსა და ანთოლოგიის მე-13 ტომში)

კულტურა, ერი, ტრადიცია

***

„კულტურას“, რომელიც ადამიანს მორალურ-ზნეობრივ სახეს არ უნარჩუნებს, ვერ მივიჩნევთ კულტურად...

***

ჩვენი აზროვნება და მენტალობა, მიხრა-მოხრა, მანერები, ჟესტები, გამომეტყველება – ნიღბად ქცეული ჩვენი მიმიკა, ეს არის „კულტურის დაღი“, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

***

კულტურა, რომელიც ზნეობასთან კავშირს ვერ ამყარებს, კრახს განიცდის.

***

კულტურა მისივე წარმომშობი საზოგადოების არსებობას და სიცოცხლისუნარიანობას უნდა გულისხმობდეს...

***

ადამიანების მორალურად გამხრწნელი და ფიზიკურად გამანადგურებელ-გადამგვარებელი „კულტურები“ კრიზისს განიცდიან და, საბოლოოდ, დასაღუპად არიან განწირულნი...

***

არსებობს კულტურათა, ისევე როგორც იდეათა, განმწმენდი – ჰიგიენურად დამამუშავებელი საშუალებები, რომლის გამომგონებელი ზოგადკანონზომიერებითი მოძრაობის გამომწვევი ძალებია.

***

კულტურა იმდენად გვჭირდებოდა, რამდენად იგი ჩვენი არსის შინაარსს შეესაბამებოდა _ მისი მოთხოვნიდან წარმოიშვებოდა; გარდასახვათა პრიზმებს გაივლიდა და ასევე, კიდევ სხვა გარდასახვებით უკან გვიბრუნდებოდა.

***

კულტურის ფენომენი ზოგადგანსაზღვრულობათა – მისი არსის გამოვლენის შესაძლებლობაა.

***

ადამიანი, დღესაც კი, ველურად იბადება, რომლის ცარიელ გონიერების საწყობში ამჟამინდელი სოციალურ-კულტურული გემოვნებით დალაგებულ ფირებს ვალაგებთ. ხშირად გვავიწყდება, ეს „ველური“, მომავლის ადამიანი რომაა: ის ამ ჩალაგებულ ფირებს ხელახლა აწყობს და ალაგებს და სრულიად განსხვავებულ კულტურულ ღირებულებებს ქმნის.

***
მსოფლიოს ყველა კულტურა მისაღებია ჩემთვის. უკულტურობა, – არც ჩემი და არც სხვისი.

***
ერი სულიერების კრისტალიზაციით მიღებული, პულსირებადი, სიცოცხლისუნარიანი ბირთვია, რომელსაც გულისცემად შეიგრძნობს ერის ჯანსაღი ორგანიზმი.

***
ის კი არ უნდა ვეძებოთ, როგორ ან რატომ გაბრწყინდება საქართველო, არამედ – თუ ეს გვწამს – უნდა გავამართლოთ ეს გაბრწყინება ჩვენს სულებში.

***
ჩვენ, ჩვენი მოჩლუნგებული კუნთებით და გონებით გაგვიჭირდება ერის გამთლიანების _ ისტორიული ხატისა და მოწოდების შესაბამისი მისია შევასრულოთ. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა გავკურნოთ ჩვენი სხეული კუნთოვანი დისტროფიისაგან, გონება _ ათასგვარი პათოლოგიური წარმოსახვებისაგან.

***
ტრადიციული სუფრა საქართველოში ერთგვარი რაინდობის, მამაკაცური ღირსებების წარმოჩინებისა და გადათამაშების სიმბოლური ასპარეზია, რომელიც კარგი გაგებით სიბრძნის ადგილია, ცუდი გაგებით ღრეობაა.

აღზრდა

***
მოზარდი თაობა შემიძლია შევადარო მზის ამოსვლას. ვიდრე ის ამობრწყინდებოდეს და განათებას დაიწყებდეს, მას მოუხდება თავისი ენერგიის დათოკვა და დარეგულირება. იცოდეთ, თქვენა ხართ მზის უძლიერესი ენერგიის მატარებლები, რომლის საზღვრებში მოქცეული ზომიერება განაპირობებს „უმშვენიერეს სიცოცხლეს“ დედამიწაზე.

***
ბავშვი რეალურობის საზღვრებში უნდა იზრდებოდეს. თავისი სახლის კარიდან გასული, იგი უამრავ აგრესიას წააწყდება. აგრესიის სტერილიზაციის ჩატარებას ნუ შევეცდებით.

***
შვილები უხილავი ძაფებით უნდა მივიბათ და არა ჯაჭვებით... ჯაჭვებს ადვილად წყვეტენ, ძაფებს კი ვერ ამჩნევენ...

***
მოზარდის ასაკის შეუსაბამო გაცნობიერება – ცნობიერებითი ველის ზედმეტი გაფართოება (ჩვენი გადაჭარბებული მცდელობები) შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს. ცხოვრების საზრისის ძიება – ზედმეტი ჩაკირკიტება და მრავლად წარმოშობილი კითხვები – ხშირად ხდება მოზარდის იდენტიფიკაციის კრიზისის მიზეზი.

***
აღზრდა, უპირველესად, ბუნების სწორ შემეცნებას, მასთან სწორ კონტაქტს უნდა გულისხმობდეს და განაპირობებდეს.

***
ახალი თაობა ასპარეზზე ახალი მისიით გამოდის. ძველის გადაფასების მცდელობისას იმართება ჭიდილი, რომელიც კანონზომიერია. ამ დროს ორთავემ უნდა დაინახოს: ერთმა – გზა, რომელიც უნდა გააგრძელოს, მეორემ – გზა, რომელიც უნდა დათმოს!..

***
ცხოვრება უკეთ შეგუებულთა ასპარეზია...
სათბურში გამოყვანილი ჩვენი შვილები უკეთ შეგუებულთა რიცხვში არ შედიან.

***
ზოგჯერ ადამიანს ეზარება, გასწიოს ძალისხმევა, რათა საკუთარი პიროვნება აღზარდოს და მისგან რაიმე გამოიყვანოს. იგი სხვა პიროვნებებს ან ჯგუფებს აედევნება და გაუცნობიერებელ ურთიერთობაში მყოფი, მათთან არასწორი ასახვით ცდილობს, თავის პიროვნებას რაიმე შესძინოს, რაც, საბოლოოდ, დამღუპველად მოქმედებს მასზე, – სხვა ადამიანების სურვილების აღმსრულებელ საშუალებად იქცევა ისე, რომ თავად ამას ვერ აცნობიერებს ან აცნობიერებს ძალიან გვიან, როცა უკვე სახეზეა პიროვნული კონფლიქტი.

***
საით წაიღებ შენს ტრაგედიას და ტანჯვას – ეს შენი საქ-მეა. უნდა ეცადო, ის სხვას არ გადაუნაწილო – განსაკუთრებით შვილებს.

***
გამოცდილებას ყველა თავისებურად იზიარებს (თუ იზიარებს საერთოდ...) გამოცდილება არ არის მყარი მოცემულობა. იგი შემოქმედებითად მიდგომას მოითხოვს. არ შეიძლება ყოველგვარი გამოცდილება მიაძალო მომავალ თაობას, რომლებიც სულ სხვა მიზნებისკენ არიან მიდრეკილნი...

***
მოზარდის ინტელექტუალური განვითარებისდაკვალად უნდა მიმდინარეობდეს მისი ფიზიოლოგიის და, ზოგადად, მასთან მიმართებით ფსიქოლოგიური პრობლემების გაცნობა. წინააღმდეგ ამისა, ცალმხრივად განვითარებული და გაუცნობიერებელი მოზარდი უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება სრულიად მოუმზადებელი, რაც მის ცხოვრებას ძალიან გაართულებს.

***
დასრულებული იდენტიფიკაცია ადამიანის სამოქმედო სქემად – პარადიგმად გვევლინება, რომელიც დროთა განმავლობაში გაძვალებას განიცდის, თუმცა ადამიანის ინტელექტიდან, გენეტიკური განწყობილებიდან და ღვთიური მადლიდან გამომდინარე, გამონაკლისებიც არსებობს, როცა გონების საცეცები დაუსაბამოდ იზრდება და ელასტიურობას არ კარგავს.

დრამატურგია

ირმა კეკელიძე

ეძღვნება აფხაზეთის ომში დაღუპულ ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერის, ზურაბ ძამუნაშვილის ხსოვნას.

ზეთის ხილნარი

პიესა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი: ზურაბი;
ბესო;
დურმიშხანი;
გენრიეტა;
ნაზი;
ირინე;
ნუგზარ მილორავა;
ნუგზარ ხუციანიძე (ტანკისტა);
ნუგზარ კაზარიანი;
გელა ქარქუსაშვილი;
სერგო;
ციალა;
გერასიმე;
ჯარისკაცები.

პირველი სურათი

თბილისი - 2023 წლის ოქტომბერი

(ოთახი, თანამედროვე ავეჯით. ფორტეპიანოთი. შემოდის ხანშიშესული ქალბატონი გენრიეტა. სავარძელში ჩაჯდება, ჩაფიქრებულია. ისმის ზარის ხმა. გადის ოთახიდან. მალევე ბრუნდება ორ ქალბატონთან ერთად).

გენრიეტა - მობრძანდით, მობრძანდით! დაბრძანდით, სადაც გესიამოვნებათ!

(ქალბატონები დასხდებიან. გენრიეტა ქოთქოთით გადის ოთახიდან, თან ლაპარაკობს).

ხაჭოს ნამცხვარი გამოვაცხვე. შენ ხომ გიყვარს, ნაზი, ჩემი გამომცხვარი ხაჭოს ნამცხვარი. ახლავე მოგართმევთ!

ირინე - რატომ შეწუხდით? ჩვენ მხოლოდ სასაუბროდ მოვედით.

ნაზი - აზრი არა აქვს წინააღმდეგობას, რადგან გამოაცხო, მოგვართმევს კიდეც... ისე თუ გასინჯავ, ქალბატონო ირინე, იმდენად გემრიელი ნამცხვარია, უარს ვერც თქვენ იტყვით.

(გენრიეტა ნამცხვრით ხელში შემოდის. სწრაფად აწყობს მაგიდას).

ირინე - დაბრძანდით, ვისაუბროთ, ნუ წუხდებით!

გენრიეტა - არ ვწუხდები, პირიქით, მინდა, რომ მიირთვათ ჩემი გამომცხვარი ხაჭოს ნამცხვარი და თან შემიფასოთ!.. მხოლოდ ნამცხვარი არა, უკვე საღამოა და კარგი იქნება, თუ ვახშამსაც მიირთმევთ. სოფლის დედალიც მაქვს მოხარშული... კარგი ტყემალიც. ნაზი, რას იტყვი, გავაწყო სუფრა?

ნაზი - შენი გაკეთებული ყველაფერი მიყვარს, მაგრამ ამჯერად ნამცხვარი და ჩაი საკმარისია, სადილად და ვახშმად სხვა დროს გეწვევით!.. გენრიეტა, ჩემო კარგო, ხვდები ალბათ რისთვისაც მოვედით.

გენრიეტა - ვიცი, რა თქმა უნდა, ამას წინათ ხომ დამირეკე და მითხარი?!

ნაზი - დიახ, გელაპარაკე!.. ირინეს უნდა სცენაზე გააცოცხლოს შენი სამი გმირი - ზურა, დურმიშხანი და ბესო... სამი გმირი ერთი ოჯახიდან. უნდა დაგვეხმარო და წინ წაგვიძღვე ამ რთული საქმის მოგვარებაში!

გენრიეტა - (ჩაფიქრდება. შემდეგ კედელზე დაკიდებულ ფოტოებს მიაშტერდება) დიახ! მე მეტი რა დამრჩენია. ჩემი სიცოცხლის აზრიც ეს არის, ჩემი გმირების ცხოვრებით ვიცხოვრო... ჩემი მეუღლე, დურმიშხან ძამუნაშვილი თელავიდან იყო. პროფესიით ფიზიკა-მათემატიკოსი გახლდათ. მუშაობდა განათლების სამინისტროშიც, სკოლაშიც პედაგოგად. უყვარდა მისი საქმე, მისი პროფესია.

ირინე - თქვენც ფიზიკა-მათემატიკოსი ხართ, ქალბატონო გენრიეტა?

გენრიეტა - არა, ქალბატონო ირინე!.. მე, გენრიეტა ღრუბელაშვილი-ძამუნაშვილისა, მუსიკის პედაგოგი გახლავართ. ჩემი ქალიშვილი ლიკაც მუსიკოსია, მე-6 მუსიკალური სკოლის დირექტორის მოადგილეა. ჩემი ვაჟი ბესო, ბესო ძამუნაშვილი, ჩემი ცოცხალი გმირია... ცოცხალი გმირი. ჩემი სამი გმირიდან, მხოლოდ მან არ დამტოვა.

ნაზი - მე და გენრიეტა ერთ სკოლაში ვმსახურობდით. თბილისის მე-3 საშუალო სკოლაში... მე ისტორიის პედაგოგი ვიყავი. პირველად გაკვეთილზე იმ კლასში შევედი, სადაც ზურაბი სწავლობდა. შესვლისთანავე დავიბენი. მომეჩვენა, რომ მოსწავლეები თითქმის ჩემი ტოლები იყვნენ... ცელქები იყვნენ, მაგრამ მაინც ძალიან შემიყვარდნენ. ძალიან კარგები იყვნენ. ზურაც ძალიან კეთილშობილი, ცელქი და ლაღი ბიჭი იყო. რას წარმოვიდგენდი, წინ რა მომავალი ელოდებოდა. ბედისწერა რას უმზადებდა.

გენრიეტა - მეც თბილისის მე-3 სკოლის პედაგოგი ვიყავი. მე-3 სკოლასთან არსებული მუსიკალური სკოლის პედაგოგი. წესრიგი მიყვარდა. ცოტა მკაცრიც ვიყავი. სადაც დამინახავდნენ „კაგებეს“ მეძახდნენ, ჩემი ხასიათის გამო... „კაგებე მოდის, კაგებე მოდის“ - დაიყვირებდნენ ხოლმე ბიჭები ჩემს დანახვაზე და თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ.

ნაზი - როგორ მენატრება ჩვენი სკოლა, ის წლები, ლაღი, უდარდელი. თურმე ცხოვრება რას გვიმზადებდა... ეჰ!

ირინე - წარმომიდგენია!.. ეს ხომ ის სკოლაა, რომელსაც ზურას სახელი მიენიჭა?

ნაზი - კი, თავდაპირველად, სკოლის პედკოლექტივის გადაწყვეტილებით, 1999 წელს მიენიჭა სკოლას ზურაბ ძამუნაშვილის სახელი.

გენრიეტა - მე და დურმიშხანს სამი შვილი გვაჩუქა უფალმა. ჩემთვის და უფლისთვისაც სამივე ცოცხალია, სამივეს ერთნაირი ადგილი უჭირავს ჩემს გულსა და გონებაში. 1960 წელს ლიკა დაიბადა, 1967 წელს ზურაბი, 1971 წელს კი ნაბოლარა ბესო... ზურამ 1983 წელს დაამთავრა თბილისში, ჩუღურეთში, მე-3 საშუალო სკოლა... 56 წლის უნდა იყოს... 20 იანვარს ზურა დაიბადა, 21 იანვარს ბესოს დაბადების დღეა. ბესო ყოველთვის ხუმრობდა - „მის ნაცვამებზე გამზარდეთ, მის ნასუფრალზე მიხდით დაბადების დღეს. იმის მეშინია, ქორწილიც ზურას ნასუფრალზე არ გადამიხადოთო.“

(იცინის)

ნაზი - ხუთი შვილიშვილი და ხუთი შვილთაშვილი ჰყავს ქალბატონ გენრიეტას.

გენრიეტა - (ნაღვლიანად) არასოდეს დამავიწყდება ის ტელეფონის ზარი. სკოლაში წასასვლელად ვემზადებოდი. ზურაბ ძამუნაშვილი იკითხა. სამხედრო კომისარი ვარო. რა გნებავთ-მეთქი, ვკითხე. აფხაზეთში უნდა წავიდესო - მიპასუხა... გაოგნებული დავრჩი. უწყებაც არ გვქონდა მიღებული და კომისარიატში იბარებდნენ, აფხაზეთში წასასვლელად. აღელვებულმა კომისარსაც იგივე ვუპასუხე... კომისარმა კი იქვე მომიგო: - „ქალბატონო, თქვენმა ვაჟმა თავისი სურვილით მოინდომა ომში წასვლა. პატრიოტი შვილი გყავთ და უნდა იამაყოთო...“ თურმე, ზურა კომისარს გვერდით ეჯდა და ისმენდა ჩვენს საუბარს, ჩემი რეაქცია აინტერესებდა ომში წასვლასთან დაკავშირებით.

ირინე - თქვენ რა უპასუხეთ, ქალბატონო გენრიეტა?

გენრიეტა - დავდუმდი. ხმა ვერ ამოვიღე. ბოლოს ისევ კომისრის ხმა ჩამესმა ყურში - „ქალბატონო, ამაყი უნდა იყოთ ასეთი შვილი რომ გყავთ“!.. მითხრა და ყურმილი დაკიდა.

ნაზი - მახსოვს, როგორ ეჩხუბე ზურას, როცა შინ დაბრუნდა.

გენრიეტა - როდესაც ზურა შინ დაბრუნდა, ერთი ქოქოლა დავაყარე. მთელი ხმით ვუყვიროდი, „ეს რა გამიკეთე, შვილო, რას მერჩი, შენს ცოლ-შვილს ვინ უნდა მიხედოს, რამე რომ დაგემართოს რა წყალში უნდა გადავვარდე-მეთქი?“ ვეჩხუბებოდი და თან ვტიროდი. ის კი მამშვიდებდა: - „დედა, მეც ბევრი ვიფიქრე. ხათუნასაც ავუხსენი. ვისაც სამშობლო უყვარს, იქ მიდის“... ცალკე დედაჩემს, ნატას მიუბრუნდა და იმას დაუწყო ახსნა-განმარტებები. უნდოდა, ნატა ბებოსგან მიეღო მხარდაჭერა. ნატა ბებომ ცრემლები გადმოყარა და ომის მომგონს ვაი-ვიშვიში მიაყარა... ძალიან კარგი რძალი მყავს, ხათუნა გეგუჩაძე, ზურას მეუღლე. ორივემ ზოოვეტი დაამთავრეს. ხათუნა ვეტერინარია, ზურაც ვეტერინარი იყო. სულ სხვა გეგმები ჰქონდათ, ძალიან უყვარდა მისი პროფესია.

ირინე - არაფერმა არ გაჭრა და მაინც წავიდა აფხაზეთში!..

ნაზი - ძალიან სხვანაირი ბიჭი იყო. ვინც ზურას იცნობდა, არ გაუკვირდებოდა მისი გადაწყვეტილება.

გენრიეტა - ვეხვეწებოდი „სად მიდიხარ, შვილო, შენს ორ ანგელოზს ვის უტოვებ-მეთქი, მაგრამ აზრზე მოსვლაც არ დამაცადა. გათენდა თუ არა დილა ადრიანად წავიდა...

ნაზი - ძალიან კარგი ვაჟკაცი იყო. გამორჩეულად მიყვარდა... ყოველთვის იპყრობდა ჩემს ყურადღებას, თავისი ნიჭით, გონებამახვილობით და თქვენ წარმოიდგინეთ, ცელქობითაც კი...

გენრიეტა - ზურას ძალიან უყვარდა სკოლა, მისი პედაგოგები. სკოლიდან შინ რომ დაბრუნდებოდა, დღე არ გავიდოდა თავის მასწავლებლებზე არ ესაუბრა. ხან ციცინო კიკნაძეს იხსენებდა, დაწყებითის პედაგოგს... ხან დარიკო ხარაულს, გეოგრაფიის მასწავლებელს... ხან ლამარა ფხიკიძეს, ლიტერატურის პედაგოგს; ყველა ძალიან უყვარდა. ძალიან დიდ პატივს სცემდა სკოლის დირექტორს გიორგი მჭედლიძეს და თქვენ, ქალბატონო ნაზი მილორავა!.. ზურაბის საყვარელი პედაგოგი იყავი, ჩემო ნაზი. ძალიან უყვარდა შენი გაკვეთილები, ისტორიის გაკვეთილები... ხშირად მეტყოდა ხოლმე, „დედა, როდესაც ქალბატონი ნაზი მილორავა შემოდის გაკვეთილზე, ყოველთვის განსაკუთრებული სითბო და სიხარული შემოაქვსო...“

ნაზი - ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი ცელქი, საყვარელი და ნიჭიერი ბიჭის, ზურა ძამუნაშვილის ბედის ბორბალი, ჩვენი ქვეყნის ბედის ბორბალთან ერთად ისე დატრიალდებოდა, რომ წარსულში დავიწყებდით საუბარს, მასზე, მისნაირ თავგანწირულ ბიჭებზე, აფხაზეთზე, სამაჩაბლოზე...

გენრიეტა - ჩემს ადგილზე ქვა რომ იყოს, ისიც გაიბზარებოდა, მთა რომ იყოს, ისიც ჩამოიშლებოდა... ბიჭებიც აღარა გვყავს!.. აფხაზეთი და სამაჩაბლოც ოკუპირებულია!

ირინე - თუ მომავლის რწმენას დავკარგავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ აწმყოს გავანადგურებთ!

გენრიეტა - ეჰ, აბა, რა გითხრათ?! ჩვენი გული ზღვა არ არის, რომ ჩვენი სადარდებელი ნაპირზე გავრიყოთ.

ირინე - იმაზე თუ ვიდარდებთ, რომ გუშინ მზის ამოსვლას ვერ შევხვდით, ღამით ვარსკვლავებსაც ვერ დავინახავთ... მომავლის რწმენას თუ არ დავკარგავთ, ყველაფერი გამოგვივა!..

მეორე სურათი

1992 წელი. შემოდგომა. აფხაზეთი.

(მოსჩანს ოთახი. ყაზარმული ტიპის საწოლებით, სკამებით, დიდი მაგიდით, რამოდენიმე სავარძლით და ძველი როიალით. ერთ-ერთ სავარძელზე გიტარა დევს. ჯარისკაცები სამხედრო ტანსაცმელში არიან საწოლებზე წამოწოლილები. ერთ-ერთი მათგანი, მაღალი

ტანის, ბრგე ჯარისკაცი წამოდგება. მხრებს გაშლის. ცოტას წაივარჯიშებს და საათზე დაიხედავს).

ზურაბი - უკვე ექვსი საათი ყოფილა, თენდება. დროა ბიჭები გავაღვიძო და მოვწესრიგდეთ. ვინ მოგვცა ჯარისკაცებს ამდენი ძილის უფლება... ძილი ხომ ჩვენთვის ზედმეტი ფუფუნებაა... საკმაოდ ცივა. ოქტომბერი იწურება და გვიანი შემოდგომა გვიკაკუნებს კარს... მთელი ღამე ტანკში გავატარეთ. ღამე, ოთხ საათზე შემოვედით, აქ, კომპოზიტორებში. კარგია, რომ ბუშლატი და ჩექმები წამოვიღე, იქნებ ყინვას გადაურჩე.

(აქეთ-იქით მიმოიხედავს და ხმამაღლა შესძახებს)

ბიჭებო! ჯარისკაცებო! გამოფხიზლდით!

(ჯარისკაცები დამფრთხალი სახით წამოხტებიან და ერთი-მეორეს მიყოლებით გაჰყვირიან)

ჯარისკაცები - რა მოხდა? ალყაში ვართ? რა ხდება, გუდერიანო?

ზურაბი - (იცინის) ტანკისტი კი ვარ, მაგრამ დაიმახსოვრეთ „გუდერიანი“ არ ვარ, ზურაბ ძამუნაშვილი ვარ, 193-ე ტანკის „თავისუფალი მონადირის“ მეთაური!.. ეკიპაჟის წევრებო, დროა მოწესრიგდეთ!.. ტანკისტა, ორი საათი ხომ გეძინა?! ადექი, მოწესრიგდი!

ნუგზარ ხუციანიძე (ტანკისტა) - ვითომ? მეძინა 2 საათი?.. უჰ, რამდენი მძინებია?! კაზარიანი და ქარქუსაშვილი აღარ აპირებენ ადგომას?

ზურაბი - ადგებიან, აბა, რას იზამენ?! ბიჭებო, ნუგზარ, გელა, გაიღვიძეთ!

გელა - გვღვიძავს გუდერიანო, გვღვიძავს, ნუგზარსაც ღვიძავს, თქვენ ფიქრობთ, რომ გვეძინა?

ნუგზარ კაზარიანი - ვერაფერში ვეღარ გავრკვეულვარ. აღარ ვიცი რა ვაკეთო! ეს კი ვიცი, რომ არ უნდა დავიძინო. სრული ქაოსია. ვინ საით მიდი-მოდის ვერაფერი გამიგია.

ზურაბი - ადექით, ადექით! ტანკებში უნდა ჩავსხდეთ და დროზე გავიდეთ კომპოზიტორებიდან. დროულად უნდა შევქმნათ სატანკო ბატალიონი ორი!

ტანკისტა - პირველი რომელია?

ზურაბი - მაგას რა კითხვა უნდა, ადამიანო?! გულრიფშის ბატალიონი არ გაგიგია?! სულ წინა ხაზზე იბრძვის.

გელა - როგორ არ გაგვიგია.

ტანკისტა - გამიგია, გამიგია... ისეთი გაბრუებული ვარ, რომ ჩემი გვარ-სახელიც აღარ მახსოვს.

ნუგზარ კაზარიანი - შეგახსენებ, ჩემი მოსახელე ხარ, ნუგზარ ხუციანიძე, მეტსახელად „ტანკისტა“!

გელა - ჯარიდან დაბრუნების შემდეგ სულ ტანკს გაიძახოდი და აჰა, აგიხდა ოცნება, ომში ხარ და იტანკისტე!

ტანკისტა - მთავარი ტანკისტი „გუდერიანი“ აქ არის და მე იმასთან შედარებით რა „ტანკისტა“ ვარ?!

ზურაბი - (იცინის) დროა, მოვრჩეთ ლაყბობას! სხვა გზა არა გვაქვს, უნდა წავიდეთ, ტანკში ჩავსხდეთ, გავიარ-გამოვიაროთ!

ტანკისტა - სად გვეპატიჟები? საუზმეზე ხომ არა, რომელიმე ბარ-რესტორანში ან კაფეში?

ზურაბი - კი, როგორ არა, სუფრა უკვე გაშლილია, 193-ე „ტანკ-რესტორანში“, მთავარი შეფ-მზარეული ძამუნაშვილიც თქვენს სამსახურში მიგულეთ!.. გუშინდელი ორცხობილები შენახული მაქვს. ცოტა ხილიც გვაქვს და ტანკში მივირთვათ!.. დროზე ადექით და დატოვეთ სოხუმის კომპოზიტორთა სახლი!

ნუგზარ კაზარიანი - სად მივდივართ, მეთაურო?

ზურაბი - „ტანკ-რესტორანში“, 193-ში ჩავსხდებით და გეზს კელასურის ბაღმარანისკენ ავიღებთ. კელასურში მივდივართ!..

ტანკისტა - კელასურში? სპეციალური დავალება გვაქვს, მეთაურო?

ზურაბი - შეიძლება ასეც ითქვას. კელასურში ჩვენი სატანკო ბატალიონის მეთაურს, ნუგზარ მილორავას უნდა შევხვდეთ! მზად ვართ გასასვლელად?

ჯარისკაცები (შეძახილებით) - მზად ვართ!

(ჯარისკაცები თავს იწესრიგებენ და მეთაურთან ერთად მიდიან...)

მესამე სურათი

(ისმის ზღვის ტალღების ხმა. სცენაზე საშუალო სიმაღლის, სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი, ახალგაზრდა მამაკაცი გადი-გამოდის. შემდეგ ქვაზე ჩამოჯდება და გარემოს ყურადღებით ათვალიერებს).

ნუგზარ მილორავა - ლოდინით დავიღალე! არაფერი ხდება. უკვე დილის 8 საათია და არ ჩანან... (შორიდან ისმის ჯარისკაცების საუბრის ხმა, სცენაზე შემოდიან ზურაბი, ტანკისტა, გელა და ნუგზარ კაზარიანი. მათ დანახვაზე ჯარისკაცი ქვიდან წამოდგება, გასწორდება და გაღიმებული შეხვდება მეომრებს).

მილორავა - მშვიდობა თქვენს მობრძანებას, ბიჭებო!.. მოგესალმებით საბანკო ბატალიონის მეთაური, ნუგზარ მილორავა!

ზურაბი - მშვიდობა ჩვენს შეხვედრას, მეთაურო!.. მოგესალმებით 193-ე ტანკის ეკიპაჟის მეთაური ზურაბ ძამუნაშვილი. ესენი კი ჩვენი ეკიპაჟის წევრები არიან... ბიჭებო, წარუდგინეთ თქვენი თავი მეთაურს!

ტანკისტა - ნუგზარ ხუციანიძე, იგივე „ტანკისტა“.

კაზარიანი - ნუგზარ კაზარიანი.

გელა - გელა ქარქუსაშვილი.

მილორავა - ოჰ, სამი ნუგზარი ერთად?!

ტანკისტა - ასე გამოდის, ფაქტია! ამიტომ საქმე რომ ცოტა მარტივად წარვმართოთ, შეგიძლიათ „ტანკისტა“ დამიძახოთ.

მილორავა - (მნიშვნელოვნად) როგორც ჩანს, მართლა მაგარი ტანკისტი ხარ, თორემ ასეთ ღირსეულ სახელს ვინ დაგარქმევდა?

ტანკისტა - ჩემი ტანკისტობა რა მოსატანია, როდესაც ჩვენი ეკიპაჟის მეთაური, მთავარი ტანკისტი „გუდერიანი“ გვიდგას გვერდით?!

მილორავა - გუდერიანი?!

კაზარიანი - დიახ, გუდერიანი!

გელა - დიახ, გუდერიანი! იცით, ვინ იყო გუდერიანი?

მილორავა - (იცინის) მე მგონი ვიცი - ჰაინც ვილჰელმ გუდერიანი, გერმანელი სამხედრო მოღვაწე, „ვერმახტის“ სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი... იქნებ თქვენ სხვა გუდერიანზე ლაპარაკობთ?

ტანკისტა - მართალი ხართ, ზუსტად გცოდნიათ!

მილორავა - თქვენ შორის რომელია გუდერიანი?

ზურაბი - მე მეძახიან, ისე ხუმრობით, ყურადღებას ნუ მიაქცევთ!

მილორავა - ძალიან კარგი! ახლა თქვენს გუნდს არა მეთაური, არამედ თქვენი ეკიპაჟის ახალი წევრი, სოხუმის მკვიდრი, აქაური სამხედრო პირი, ნუგზარ მილორავაც შემოგემატათ.

ზურაბი - კარგია, სოხუმელი მეომარი რომ შემოგვემატა (ზურაბი ირგვლივ მიმოიხედავს, მილორავას სახეში შეხედავს და გაუღიმებს) რა სილამაზეა! საოცრებაა!

მილორავა - დიახ! ძალიან მიყვარს აქ ყოფნა, აქაურობა! ზეთის ხილნარია! ამ ფერდობს განსაკუთრებით ალამაზებს.

ზურაბი - საგანგებოდ შეარჩიე ჩვენი შეხვედრის ადგილად ზეთის ხილნარი? ზეთის ხილის ფერდობი, ზეთის ხილის მთა...

ნუგზარ მილორავა - დიახ! ძალიან მიყვარს აქაურობა. სამმა მეგობარმა გავაშენეთ ეს ხილნარი, თავს არ ვიზოგავდით, დღე და ღამე აქ ვიყავით.

ზურაბი - შედეგიც სახეზეა! რა სილამაზეა, აქვე ჩვენს მშობლიურ მხარეში, კელასურში, ქართველების ხელით გაშენებული - ზეთის ხილნარი...

მილორავა - აქვე ახლოს სარემონტო ბაზაა. შეგვიძლია ბაზის ტერიტორია დავიკავოთ და იქ შევქმნათ სატანკო ბატალიონის შტაბ-ბინა.

ზურაბი - გასაგებია! რიგით მეორე სატანკო ბატალიონი.

მილორავა - რა თქმა უნდა, რომელიც ტოლს არ დაუდებს გულრიფშის ბატალიონს!

გელა - რიგით პირველს, არა?!

მილორავა - რა თქმა უნდა, გულრიფშის ბატალიონშია ჩემი ორი მეგობარი, რომლებთანაც ერთად ეს ზეთის ხილნარი გავაშენე.

კაზარიანი - მე პირადად, დღე და ღამე აქ რომ ვიყო, არ მომბეზრდება. ჩემი ნება რომ იყოს, პატარა სახლს ჩავდგამდი და აქ ვიცხოვრებდი.

მილორავა - ასეც ვაპირებთ! დროზე მორჩება ეს უსამართლო ომი და ბელეტაჟზე, ძველებური ქართული ოდა სახლი უნდა ავაშენოთ, მე და ჩემმა მეგობრებმა... ლამაზი, ხის რიკულებით და ზეთის ხილნარში, ქართული ზეთის ხილის მოყვანით დავკავდებით... კიდევ უფრო მეტად გავაფართოვებთ ზეთის ხილნარს.

ტანკისტა - მეც რომ შემოგიერთდეთ არ მიმიღებთ?

კაზარიანი - იქნებ მეც გამოგადგეთ, ბიჭებო?

ზურაბი - უჰ, გენაცვალეთ! დაიკავეს საპატიო ადგილები და 193-ე „ტანკრესტორანის", იგივე „თავისუფალი მონადირის" მეთაური, თამაშგარეთ მდგომარეობაში დატოვეს.

ტანკისტა - ოოო! მთავარი შეფი გაგვინაწყენდა.

ზურაბი - (სიცილით) და არც უსაფუძვლოდ! როგორ იქცევით?

ტანკისტა - როგორ ვიქცევით? რამდენადაც მახსოვს, პროფესიით ვეტერინარი ხარ. მრავალჯერ გითქვამს, რომ „ვგიჟდები გარეჯზეო!" თავს არ დავზოგავ, ყველაფერს ვიზამ, რომ იქ დიდი ფერმა გავაკეთოო. მესაქონლეობის განვითარება და ჩემი საქმიანობა გარეჯიდან უნდა დავიწყოო" ... ასე არ ამბობს, გელა?! ტყუილს ხომ არ ვამბობ?!

გელა - კი, ასე ამბობს, ყოველ საღამოს, ლექციას გვიტარებს, თითქოს ზოოვეტის სტუდენტები ვიყოთ. თან მისი მეუღლე ხათუნაც მასთან ერთად იქნება და ცოლ-ქმარი ვეტერინარები - ძროხის, თხის, ცხვრის და ყველანაირი პირუტყვის რძით, ყველით, კარაქით, არაჟნით და რა ვიცი, კიდევ რით, მოამარაგებენ აღმოსავლურ საქართველოს.

მილორავა - რატომ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს? დასავლეთზე განაწყენებული ხართ?

კაზარიანი - ჩვენი ეკიპაჟის მეთაური საოცარი ვინმეა... დასავლეთი სხვას გადააბარა, თავად აღმოსავლეთს უნდა მიხედოს.

ზურაბი - (ღიმილით) თანაკურსელი მყავს ფოთელი ბიჭი, პარმენ ნინუა. სულ ერთად ვმეცადინეობდით... ჰოდა, მეცადინეობის დროს მეტყოდა ხოლმე - „მე დასავლეთ საქართველოში უნდა მოვაშენო საქონელი, შენ კი აღმოსავლეთშიო". მეც სიტყვა მივეცი და დავთანხმდი. მიცემულ სიტყვას როგორ გავტეხავ?!

ტანკისტა - ჰოდა, ნუ გატეხავ, დაგვითმე „ზეთის ხილნარი" ჩვენ...

ზურაბი - (იცინის) რომ არ მეთმობა... ძალიან მომწონს! მომწონს კი არა, უკვე მიყვარს!

ტანკისტა - გარეჯს ღალატობ?

ზურაბი - რას ამბობ, ნუგზარ, ეგ მეორედ არ გაიმეორო! გარეჯი ჩემი დიდი ტკივილია! იქაურობა „პოლიგონად" აქციეს ამ დედა..... არ შემაგინებინო! სიტყვას გაძლევთ, გარეჯშიც გავაკეთებთ ყველანი ერთად დიდ მეურნეობას!

გელა - ძროხების, ღორების, გოჭების, თხების, ციკნების, ცხვრების, ბატკნების...

ზურაბი - დიახ! დიახ! თქვენ არ იცით, როგორი ხათუნა მიდგას გვერდით. თქვენ რა, განზე გადგომას აპირებთ?

მილორავა - მე შენს გვერდით მიგულე, გუდერიანო! გარეჯშიც და აქ, კელასურის „ზეთის ხილნარშიც"... ეს სამყარო ერთი დიდი ბაღი მგონია და მეც ერთი უბრალო მებაღე ამ სამყაროში.

ზურაბი - მეც შენს გვერდით მიგულე აქ, კელასურის „ზეთის ხილნარში" და გარეჯშიც.

კაზარიანი - ერთი ამათ უყურეთ, როგორ გააერთიანეს შავი ზღვა და გარეჯის უდაბნო?

ზურაბი - გარეჯი მხოლოდ უდაბნო არ არის, ის ჩვენი ქართული იერუსალიმია, ჩვენი სულის ნავსაყუდელია!

ტანკისტა - საოცარია, გარეჯის გამოქვაბულთა კომლექსი.

გელა - 6 000-მდე ბერი ამოწყვიტა შაჰ-აბაზმა მე-17 საუკუნეში. მე-18 საუკუნეში ისევ დაიწყეს უდაბნოს განახლება.

ზურაბი - ცამეტ ასურელ მამათგანმა, დავით გარეჯელმა, მეექვსე საუკუნეში დააარსა მონასტერი, დავით გარეჯა, რომელიც გარეჯის მრავალმთის სანახებში მდებარეობს... მონასტრის პირველი წინამძღვარიც თავადვე ყოფილა, წმინდა დავით გარეჯელი.

კაზარიანი - გარეჯა ერთმანეთისგან დაშორებულ მრავალ სამონასტრო კომპლექსს მოიცავს: ჩიჩხიტური, დოდოს რქა, ბერთუბანი.

ტანკისტა - ნათლისმცემელი, მრავალწყარო, საბერეები, ბერთა სერი.

ზურაბი - ყველაფერი იციან ჩვენმა ბიჭებმა...

მილორავა - წინადადება შემომაქვს, რა თქმა უნდა, თუ მხარს დამიჭერთ...

ტანკისტა - გისმენთ, მეთაურო!

მილორავა - წინადადება შემომაქვს 193-ე სატანკო ეკიპაჟთან ერთად ზურაბ ძაბუნაშვილის თავკაცობით აქ, კელასურის „ზეთის ხილნარში“, როგორც კი ეს საზარელი ძმათა მკვლელი ომი დამთავრდება , ერთიანი ძალებით შევუდგებით „ზეთის ხილნარის“ მოვლა-პატრონობას. ქართული ზეთის ხილის წარმოებას და გარეჯის უდაბნოს მინდვრებში მესაქონლეობის ფერმის აშენებას და საქონლის მოვლა-პატრონობას! ვინც თანახმაა ხელი ასწიოს! (ყველანი წევენ ხელს).

ტანკისტა - ისეთ ხასიათზე დავდექი, ცეკვა-სიმღერა მომინდა.

გელა - თან როგორ მომენატრა.

კაზარიანი - ცოტა ხმადაბლა, არავინ გაგვიგოს!

მილორავა - დავიღალე ლოდინით. არაფერი ხდება. უკვე მერამდენე დღეა თენდება-ღამდება, თენდება-ღამდება და ა. შ. ყველაფერი უფერულად და მოსაწყენად მიდის. საღამოობით ზღვაზე ვმორიგეობთ, ეს არის და ეს, თითქოს ზღვის კენჭებს ვდარაჯობთ. გადი-გამოვდივართ აქეთ-იქით.

ზურაბი - ბოლო დღეები მართლა ასეა, ჩავჯდებით ტანკში და გავდი-გამოვდივართ - სოხუმი, მაჭარკა, კელასური, ისევ სოხუმი...

(ტანკისტა გაშლის ხელებს და იწყებს ცეკვას. აჰყვება მილორავა და გელა. ზურაბი და კაზარიანი სიმღერით აჰყვებიან... შორიდან ისმის ავტომატების სროლის ხმა, რასაც აფეთქების ხმაც მოჰყვება. ჯარისკაცები ცეკვას წყვეტენ და გაირინდებიან).

ტანკისტა - მოგწყინდათ და ეგეც თქვენი ომი და ბათქა-ბუთქი, ნატრობდით და აგისრულდათ!

ზურაბი - რა უნდა დაგვაკლონ, ერთი კარგად შემოგვხედონ - სამი ნუგზარი და ერთი გელა.

გელა - და ერთი 193-ე სატანკო ეკიპაჟის მეთაური ზურაბი, იგივე გუდერიანი, ერთად ვართ!.. ვინ რა უნდა დაგვაკლოს?!

მილორავა - აბა, სულ ზღვის კენჭებს და ქვებს ხომ არ ვუდარაჯებთ?! თუ განგებამ საომრად მოგვცა საქმე, უნდა ვიომოთ კიდეც!

ზურაბი - ამ ქვებს, ზღვის კენჭებს, ისე უბრალოდ ნუ შეხედავთ. ქვებსაც აქვთ მეხსიერება, შეიძლება ჩვენ დაგვავიწყდეს, მაგრამ ქვებს არასოდეს დაავიწყდებათ. ქვები არასოდეს ივიწყებენ იმათ, ვინც დააბიჯა და არც იმათ ივიწყებენ, ვინ გვერდი აუარა...

(ისევ ისმის ავტომატების სროლის და აფეთქების ხმა)

წავედით, ბიჭებო! ამჟამად „ტანკ-რესტორანი“ კი არა , „ტანკ-სნაიპერი“ გველოდება!

(ჯარისკაცები სწრაფად ტოვებენ სცენას)

მეოთხე სურათი

(მესამე სურათის დეკორაცია. შემოდიან ჯარისკაცები: ზურაბი, გელა, ტანკისტა და კაზარიანი)

ზურაბი - დაზამთრდა. მიუხედავად ამისა, ტანკში ძალიან ცხელა.

ტანკისტა - ცხელა. მივეჩვიეთ სივიწროვეს, სიცხეს, ჩაკეტილ სივრცეს, ხმაურს, ჯაყჯაყს, დაძაბულობას, შიშს... ერთი სული მაქვს ტანკიდან როდის ამოვძვრებით.

გელა - განსაკუთრებით შენ, ყოველთვის მობილიზებული და ამავე დროს დაძაბული ხარ, მეთაურო ზურაბ!.. თვალდახუჭულმაც იცი, როდის გაისროლო, ჭურვი როგორ აიცდინო, ვის მიაქციო ყურადღება - გამტენს, მსროლელს, მექანიკოს-მემანქანეს და გარშემო ყველაფერს... მხოლოდ შენ, მეთაურო, ხედავ და აღიქვამ ყველაფერს!

ზურაბი - ცოტა თავი მტკივა და ყურები მაქვს დაგუბებული.

გელა - მეც ასე ვარ.

ტანკისტა - თვალებიც მიჭრელდება.

კაზარიანი - ყურები მიხშუის.

ზურაბი - მგონი კანტუზია გვაქვს, მსუბუქ ფორმაში. ზემო კინდღის ასახვევში, დანაღმულ გზაზე აფეთქების ხმაზე გონს ძლივს მოვედი. თითქოს არაფერი გვიჭირს, მაგრამ მაინც ვერა ვარ კარგად.

(სცენაზე ნუგზარ მილორავა შემოდის და ვიღაცა ნატანჯი სახის, ტანსაცმელშემოფლეთილი შემოჰყავს).

მილორავა - მიხარია, ბიჭებო, რომ ცოცხლებს გხედავთ! მიხარია, რომ შეთანხმება არ დაარღვიეთ და ისევ აქ, ჩვენს „ზეთის ხილნარში“ შევხვდით ერთმანეთს.

ზურაბი - კარგია, რომ აქ ისევ სიმწვანე დაგვხვდა. აქაურობას ზამთრის ყველაზე ცივი თვე, იანვარიც ვერაფერს აკლებს... აქ როგორ მიდის საქმეები?

მილორავა - ვმორიგეობთ, ვიბრძვით, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მტერი არ ვაპარპაშოთ!

ზურაბი - მტერი!.. დაფიქრებაც კი არ მინდა.

ტანკისტა - ან როგორ უნდა დაფიქრდე, ვინ გაგვიხდა მტრად, აფხაზები? რა უნდოდათ, რა თავი სტკიოდათ, რა ეშარებოდათ?! 9 აპრილიც ამათ უტვინობას არ მოჰყვა?! არ მოისვენეს, სანამ ყველაფერი ომში არ გადაზარდეს. ვითომ სხვებთან უკეთესად იცხოვრებენ?! აღარც ენა შერჩებათ და აღარც ჯიშ-ჯილაგი! საკუთარ ენას და წარმოშობას ენციკლოპედიაში დაუწყებენ ძებნას.

მილორავა - ძველი კინდღის ნაწილი, ლიბრის, არაგიჯის, აძიუშბას, ზემო კინდღის ნაწილიც აღებულია.

ზურაბი - ძალიან დაღლილი და გადაქანცული ვარ. მიუხედავად იმისა, რომ თავი ძალიან მტკივა, ასეთი ამაყი და ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ... (უცაბედად მზერა უცნობზე გადაიტანა, რომელიც დახეულ-დაგლეჯილი ტანსაცმლით და ნატანჯი სახით უსმენდა მათ საუბარს) ეს ვინ არის? (შეეკითხა მილორავას).

მილორავა - გუშინ საღამო ხანს შუბარის მხრიდან ტანკს ველოდებოდით. უცებ ტყიდან გამოვიდა და ჩემთან მოვიდა. თქვენც ხედავთ რა დღეშია.

ტანკისტა - ვინ ხარ?

უცნობი - ქართველი მებრძოლი ვარ. აფხაზებს ტყვედ ვყავდი და გამოვექეცი.

მილორავა - შემეცოდა, ჩაი დავალევინე, გავათბე, ძველი ჩექმები მივეცი და ღამე ჩემს გვერდით, ძველ საწყობში, გავათენებინე.

ზურაბი - (ჯარისკაცებს მიმართავს) ამოიღეთ აქ რაცა გვაქვს შემორჩენილი და ჩააცვით, საჭმელიც აჭამეთ!

(გელა და ტანკისტა ტანსაცმელს აწვდიან. კაზარიანი პურს და საჭმელს აწვდის... უცნობი უცნაურად სწრაფად ილუკმება) სადაური ხარ?

უცნობი - გულრიფშიდან ვარ.

ზურაბი - რა გქვია, რა გვარი ხარ?

უცნობი - გერასიმე ჯიჭონაია ვარ.

ზურაბი - კარგი, გასაგებია.

(შემდეგ ჯარისკაცებს მიმართავს) ხვალ, შებინდებისას, საღამოს 8 საათისთვის, ისევ აქ შევიკრიბოთ. ბრძოლის ახალი გეგმა უნდა დავსახოთ. სხვა ჩვენი ბიჭებიც გააფრთხილეთ და აქ მოიყვანეთ. საგანგებოდ უნდა მოვემზადოთ და შევუტიოთ!

(ყველანი გაოცებული უყურებენ ზურაბს, მაგრამ ხმას არ იღებენ. უცნობი წამოდგება და წასვლას დააპირებს)

სად მიდიხარ?

უცნობი - აღარ შეგაწუხებთ, ჩემს გზას მოვძებნი. იქნებ როგორმე გულრიფშამდე მივაღწიო და სადმე ჩემებიც მოვძებნო. დიდი მადლობა, ღმერთმა გამარჯვებით გატაროთ! (უცნობმა სწრაფი ნაბიჯებით დატოვა იქაურობა)

ტანკისტა - სად წავიდა? სულელია ვიღაცა, მიაღწევს კი გულრიფშამდე?

ზურაბი - არა მგონია სულელი იყოს. აქ რაღაც ისე არ არის საქმე, როგორც თავი წარმოგვიდგინა.

გელა - ჩვენ ხვალ ისევ აქ ვიკრიბებით? თან სხვებიც მოგვყავს? აუცილებელია აქ, „ზეთის ხილნარში“ დავსახოთ გეგმები?

ზურაბი - არა, მე სხვა ჩანაფიქრი მაქვს. როგორმე აქედან დროზე წავიდეთ!

(ყველანი ტოვებენ სცენას)

მეხუთე სურათი

(მე-4 სურათის დეკორაცია. ზურაბი და ჯარისკაცები შორიდან უთვალთვალებენ „ზეთის ხილნარის“ ბაღს. უცებ სცენა ჩაბნელდება და ატყდება ავტომატების სროლის ხმა, რასაც აფეთქების ხმაც მოჰყვება. ისმის შეძახილები... ცოტა ხანში ყველაფერი ჩაწყნარდება. სცენაზე მოსჩანს უცნობი, გერასიმე ჯიჭონაია, რომელიც ჯარისკაცის ფორმაშია გამოწყობილი. ვერც შეამჩნევს თავზე ისე დაადგებიან ტანკისტა და კაზარიანი. ხელს წაავლებენ... სცენაზე შემოდიან ზურაბი, მილორავა და გელა).

მილორავა - რაო, გერასიმე, აფხაზები მოიყვანე და იმის მაგივრად, რომ ჩვენ ჩავეხოცეთ „ზეთის ხილნარი“ ააოხრებინე?

ტანკისტა - ფორმაც კარგი უშოვნია და გამოწკეპილა. რა უნდა ვუყოთ ახლა ამას?

ზურაბი - (მკაცრად) სამხედრო ტრიბუნალს გადაეცით, გაასამართლონ!

უცნობი - მოიცადეთ, მათქმევინეთ, დამინდეთ, ჩემიც გაიგეთ!

ნუგზარ კაზარიანი - რა გავიგოთ? რა გათქმევინოთ? მოგეფერეთ, ჩაგაცვით, გაგათბეთ და მტრებს გადაეცი ჩვენი ინფორმაცია, სასიკვდილოდ გაგვწირე! რატომ?

უცნობი - (თითქმის ტირილით) მიჭირს, ჩემიც გაიგეთ!

ტანკისტა - რა გასაჭირი გაქვს ისეთი, რომ ეს იკადრე?.. მართლა ქართველი ხარ?

უცნობი - კი, ქართველი ვარ!

გელა - გერასიმე ჯიჭონაია ხარ? ვინ ხარ, ვინ ჯანდაბა ხარ?

უცნობი - თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს. გამიშვით, ძმები არა ხართ?

მილორავა - რომელ ძმობაზე მელაპარაკები, შე არაკაცო, ნაძირალა!.. მე ამეკიდე და მართლა ჩემი ძმები კინაღამ დავღუპე შენს გამო... ჩემი ხელით დაგახრჩობ, შე პირუტყვო! (გაექანება უცნობისაკენ. ზურაბი წინ გადაუდგება)

ზურაბი - ნუგზარ, შეჩერდი! ვთქვი და მორჩა! სამხედრო ტრიბუნალს გადავცეთ! მათ გაასამართლონ, ჩვენ მაგ ნაძირალასთვის არა გვცალია!

უცნობი - (იწყებს ტირილს) შიმშილით სული მძვრება, რაღაც ორი კაპიკი მომიგდეს, ამისთვის ნუ გამწირავთ, დამინდეთ! თქვენს მონად ვიქცევი, უფულოდ მოგემსახურებით, თავს არ დავზოგავ, შეცდომას გამოვასწორებ!

ზურაბი - ჩვენ ფულით არა ვართ მდიდრები, ჩვენ გული გაგვაჩნია. არც გეგმებს არ ვაწყობთ.იმას ვაკეთებთ, რაც საჭიროა! რაც ჩვენს სამშობლოს სჭირდება!

მილორავა - ვაკეთებთ იმას, რაც ჩვენი შვილების მომავალს სჭირდება!

კაზარიანი - ვაკეთებთ იმას, რაც ჩვენს ოჯახებს სჭირდებათ, იმ ქვეყნის აწმყოს და მომავალს სჭირდება, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ!

ტანკისტა - როდესაც შენს ძმებს, შენს სისხლსა და ხორცს ღალატობ, შენი ერისა და ქვეყნის მტერი ხდები, იქ შენდობაზე აღარ ლაპარაკობენ! როცა მტრობა იწყება - იქ გონიერება მთავრდება!

უცნობი - ბიჭებო, გულწრფელად გეტყვით, მაპატიეთ, შევცდი, მომისმინეთ!

მილორავა - რა უნდა მოგისმინოთ?

უცნობი - დიდი ვალი დამედო და სხვა გამოსავალი არ დამრჩა, ამ გზას უნდა დავდგომოდი. სხვა გზით ფული ვერსად ვერ ვიშოვე...

გელა - ვალი დაგედო? ფული ისესხე და ვერ ისტუმრებ?

უცნობი - არა, არ მისესხია!

გელა - აბა, ვალი როგორ დაგედო?

უცნობი - კაზინოში წავაგე! კაზინოში წავაგე და სხვა გამოსავალი არ დამრჩა.

ზურაბი - კაზინოში წააგე და ფსონად ჩვენი სიკვდილი დადე?

(მკაცრად მიმართავს ჯარისკაცებს)

წაიყვანეთ და ტრიბუნალს გადაეცით!

(ტანკისტა, გელა და კაზარიანი უცნობს ხელს წაავლებენ და სცენიდან გაჰყავთ)

მილორავა - სანამ აფხაზები „ზეთის ხილნარს“ დაბომბავდნენ და ავტომატების ჯერს დააყრიდნენ, შებინდებამდე მოვასწარი ცეცხლის დანთება და აქაურობას გავეცალე. მართალი ყოფილხარ, ზურაბ, ასეთი დავალება რომ მომეცი.

ზურაბი - არა, როგორ შეიძლება დავალება დივიზიის მეთაურს მე მოგცე... მე უბრალოდ გირჩიე, რომ ასეთი რამ გექნა.

მილორავა - მეთაური არაფერ შუაშია. ჩვენ ერთი გუნდის წევრები ვართ და ჩვენი სამშობლოს ღირსებას, ჩვენს მიწას ვიცავთ.

ზურაბი - დავალება არა, ძმაო! ეს ჩემი საიდუმლო თხოვნა იყო... თან დიდი რისკი შენი მხრიდანაც. წუთებით გამოასწარი ხილნარიდან შებინდებამდე... ხომ შეიძლებოდა მათაც უფრო ადრე დაეწყოთ სიტუაციის დაზვერვა... ასე იყო თუ ისე, გაგვიმართლა.

მილორავა - რატომ შეგეპარა ეჭვი მის ვერაგობაში? რა შეამჩნიე ასეთი?

ზურაბი - იცი, ადამიანებს ყველაზე უკეთ სად გაიცნობ?

მილორავა - ამბობენ, მოგზაურობაშიო.

ზურაბი - არა! ადამიანებს ყველაზე უკეთ ომში, საომარ სიტუაციაში გაიცნობ, რადგან აქ ყველა თავის ბუნებას ავლენს. ომი ადამიანს ტყავს ნელ-ნელა აცლის. ლომად შესული კატა აღმოჩნდება და კატად შესული ვეფხვი ხდება... ომში თანდათან ისეთი ხდები, რასაც სინამდვილეში წარმოადგენ. შიში, შიმშილი, გაჭირვება, ჩხუბი, ეს ყველაფერი შენს ნამდვილ მესთან მიგიყვანს. ხანდახან სარკეში ჩაიხედავ და იკითხავ, „ჯანდაბა, ეს ვინ არისო?!“ აი, აქ ასეთი ადგილია!.. არსება, რომელსაც ადამიანი ჰქვია, აქ უკეთ გავიცანი... აი, აქ, ამ ომში... უკვე ერთი შეხედვით ვხვდები, ვინ რას წარმოადგენს. ეს ვითომ „გერასიმე“ საცოდავი ადამიანის ტყავში გახვეული ტურაა, რომელიც საწყალ, გაჭირვებულ, შემცდარ ადამიანს თამაშობს...

მილორავა - (ქვაზე ჩამოჯდება) როგორ ააოხრეს „ზეთის ხილნარი“... ძველი ცხოვრების დაბრუნება მინდა, ზეთის ხილის ფერდობის მოვლა მინდა.

ზურაბი - ჩვენ ისევ გავახარებთ ზეთის ხილნარს!.. ისევ დავუბრუნდებით ამ ადგილს, ამ ფერდობს!.. სიტყვას გაძლევ!.. დამიჯერე!..

მილორავა - მჯერა, 193-ე სატანკო ეკიპაჟის მამაცო მეთაურო, ზურაბ ძამუნაშვილო, მე შენი ყველა სიტყვის მჯერა! შენ ხომ ნამდვილი ტანკისტი ხარ?!

ზურაბი - (იცინის) კი, მე ტანკისტი ვიყავი ომამდეც.

მილორავა - ზუსტად ეგ არის მთავარი, რომ ტანკისტი იყავი ომამდე!..

ზურაბი - (ღიმილით) ვლადივოსტოკში ვიყავი ჯარში. იქაც ტანკისტი ვიყავი. ყველას ეცინებოდა, ამ სიმაღლე კაცი ტანკში როგორ ვეტეოდი.

მილორავა - ეტევი და მერე როგორ?! არა, როგორც რიგითი მებრძოლი, არამედ, როგორც 193-ე ტანკის ეკიპაჟის მეთაური, ზურაბ ძამუნაშვილი!.. „ზეთის ხილნარი“ კი თავიდან გასაშენებელი გაგვიხდა. ტირილი მინდა, მაგრამ...

ზურაბი - ახლა არ გინდა, ნუგზარ! ჯერ ეს „გოლგოთა“ გადავიაროთ და მერე ზეთის ხილნარსაც გავაშენებთ და გარეჯშიც დიდი ფერმა გვექნება!

(ნუგზარ მილორავა და ზურაბ ძამუნაშვილი სწრაფად დგებიან და თითქმის სირბილით სტოვებენ სცენას).

მეექვსე სურათი

(თბილისი. გენრიეტას სახლი. პირველი სურათის დეკორაცია. სხედან ირინე, გენრიეტა, ნაზი. შემოდის ბესო).

გენრიეტა - მოხვედი, შვილო?! მშვიდად ვარ, როცა სახლში ხარ, ბესო!

ბესო, - მოვედი, დედი, მოვედი, მაგრამ მალევე უკან უნდა წავიდე, მეგობრები მელოდებიან.

გენრიეტა - ვნერვიულობ, ბესო, არ დალიო, ჯანმრთელობას გაუფრთხილდი!

ბესო - ნუ ნერვიულობ, დედა! სულ ტყუილად ნერვიულობ! სტუმრები გყოლია და არ ვიცოდი. მომეცი საშუალება, რომ მივესალმო ქალბატონ ნაზის და უცნობ ქალბატონს.

ნაზი - ეს ჩვენი მეგობარია, ქალბატონი ირინე, რომელმაც ქალბატონ გენრიეტასთან გასასაუბრებლად გადაწყვიტა მოსვლა.

ბესო - ჰოდა, მით უმეტეს, არ მინდა ხელი შეგიშალოთ, უმჯობესია მშვიდად გააგრძელოთ საუბარი.

გენრიეტა - არ გვიშლი, შვილო, ხელს! დაჯექი, მიირთვი, დილიდან გასული ხარ, მშიერი იქნები! ისეთი გემრიელი ხაჭოს ნამცხვარი გავაკეთე, ვიცი მოგეწონება... თუ გინდა ყავას მოგიდუღებ...

ბესო - დედი, უნდა წავიდე! არ ინერვიულო, ღამე ძმაკაცებთან ერთად დავრჩები. დილით დავბრუნდები და სულ შენთან ვიქნები. ახლა უნდა მაპატიოთ, მელოდებიან! სხვა დროს სიამოვნებით დავჯდები თქვენთან ერთად და ვისაუბროთ და ვისაუბროთ!

გენრიეტა - ძალიან ვნერვიულობ!

ნაზი - ნერვიულობა რა საჭიროა?! გითხრა არ ინერვიულო, დილით მოვალო!

გენრიეტა - მართალი ხარ! ბრძოლიდან როცა დაბრუნდა ბესო, ვაგუსის ნერვი, ორივე ყურის აპკი, თავის ტვინის ქერქი დაზიანებული ჰქონდა. სმენა აღუდგა, მაგრამ თავის ტვინის ქერქს მაინც ვერ მიხედეს, არ ეშველა!.. რომ შეხედავ არ ეტყობა, მაგრამ ძლიერ ტრავმირებულია!

ბესო - კარგი, დედა, გეყოფა! სტუმრები გვყავს, ახლა ჩემს ტრავმებზე ლაპარაკის დროა?!

გენრიეტა - ჩემი სალაპარაკო - შენ, ზურა, დურმიშანი, ლიკა და ჩემი ოჯახია!..

ბესო - სიცილით აქამდე მხოლოდ შენი ოჯახით არ შემოიფარგლებოდი, ქალბატონო გენრიეტა, რა ხდება, სიბერე ხომ არ შეგეპარა? აქამდე მთელი ქვეყნის სადარდელს განიცდიდი და ახლა მხოლოდ ოჯახზე დაკონკრეტდი? მითუმეტეს საყვარელი მეგობარი, ქალბატონი ნაზი მილორავა დღეს შენი სტუმარია.

გენრიეტა - ნახეთ, როგორ სიტყვაზე დამიჭირა! (იცინის) ზურაბზე ვსაუბრობდით და... ახლა რა ვიცი, აბა, რა ვთქვა?! მართალი ხარ, დღეს ჩემი ნაზი მილორავაა ჩემთან, ჩემი მეგობარი, ჩემი ჭირის და ლხინის გამზიარებელი...

ბესო - (გენრიეტას ხელს გადახვევს და მოეფერება) ძლიერი ძმა მყავდა... თუმცა კი არ მყავდა, მყავს... სადაც არის მჯერა, რომ იქაც მაგარი იქნება! მეგობრებმა „გუდერიანი“ შეარქვეს.

ნაზი - „გუდერიანი“ ხომ?

ირინე - უკაცრავად, მაგრამ იქნებ განმიმარტოთ, რატომ შეარქვეს „გუდერიანი“?

ბესო - გუდერიანი გერმანელი სამხედრო იყო, „ვერმახტის“ სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი, მას ადარებდნენ... ზურას გვერდით ყოველთვის ამაყი და თავაწეული ვიყავი.

ქუჩაში ერთად როცა მივდიოდით გამიგია, ეს ხომ „გუდერიანიაო“... ჩემი საყრდენი იყო და არა მხოლოდ ჩემი... (უცებ ისმის ბესოს მობილის ხმა. ბესო პასუხობს) გისმენ, რა ხდება? კარგი, კარგი, სხვა დროს იყოს! კარგი, ნუ მებოდიშები, გასაგებია!.. დროებით!.. (მიუბრუნდება გენრიეტას) დაწყნარდი! აღარ მივდივარ! გადაიდო ჩვენი შეკრება!

გენრიეტა - ძალიან კარგი, დავწყნარდი!

ბესო - ხელს აღარ შეგიშლით. ჩემს ოთახში გავალ და ცოტას დავისვენებ.

ნაზი - დაისვენე, ბესო, დაისვენე!

ბესო - თუ დაგჭირდეთ, არ მოგერიდოთ, დამიძახეთ!

გენრიეტა - (სიცილით) არ მოგვერიდება, დაგიძახებთ, რადგანაც აღარ მიდიხარ არაფრის აღარ მომერიდება, როცა მომინდება მაშინ შეგაწუხებ! (ბესო გადის. გენრიეტა მიუბრუნდება ნაზის) გახსოვს ზურა, აფხაზეთიდან ორი კვირით რომ ჩამოვიდა?

ნაზი - კი, კარგად მახსოვს.

გენრიეტა - თურმე კანტუზია ჰქონდა. ამის შესახებ მე არაფერი ვიცოდი. თავის სამსახურში, ზოოვეტში მოინდომა წასვლა, იქ ფერმა ჰქონდა და ვნახავ, რა ხდებაო... იქიდანაც გულგატეხილი დაბრუნდა, ჩამოჯდა და მითხრა, „აზერბაიჯანში უნდა წავიდე, რაღაც ხელსაწყო უნდა შევიძინოო, რძის პროდუქტების დასამზადებლად გვჭირდებაო...“ წავიდა ვითომ ბაქოში, ისევ აფხაზეთში წასულა. მე კი მშვიდად ვიყავი, ზურა აზერბაიჯანშია და ხიფათი აღარ ელოდება-მეთქი... მერე კი, ერთ დღეს დურმიშხანი აფორიაქებული მოვიდა სახლში. მე და ხათუნას, ზურას მეუღლეს, ხელი მოგვკიდა და ძალით წაგვიყვანა საავადმყოფოში. „ბიძაჩემი ლავრენტი ვერ ყოფილა კარგად და მოვინახულოთო“. რესპუბლიკურში მივედით, შევედით პალატაში და რას ვხედავთ, ზურაბი წევს საწოლზე დაჭრილი. შევყვირე „აქ რა გინდა-მეთქი, შვილო?“ ზურამ შემომხედა და მორიდებით მითხრა: „ვერ გითხარი, დედა, ისევ აფხაზეთში წავედი, ჩემს მეგობრებს ვერ მივატოვებდიო...“ ბარძაყის რბილობი ჰქონდა გაგლეჯილი, ექიმების აზრით, განგრენის დასაწყისი იყო. სასწრაფოდ ოპერაცია გაუკეთდა... საუკეთესო ქირურგმა, ერეკლე გოცაძემ გაუკეთა ოპერაცია და გამოიყვანა მდგომარეობიდან. ნანა ექიმი, ნანა ცინცაძე თავს დატრიალებდა, ყურადღებას არ აკლებდა.

ირინე - რომელი ნანა ცინცაძე, ექიმი - პოეტი?

გემრიეტა - დიახ, ძალიან უყვარდა ზურაბს ნანა ექიმი... ახლა, როდესაც ხანდახან ტელევიზიით გამოჩნდება და ლექსებს არტისტულად კითხულობს, ჩემდაუნებურად თვალზე ცრემლი მადგება. არც ნანა ექიმს დაუჯერა, მაინც თავისი გაიტანა... მისმა მეგობრებმა დაჭრილი სახლში მოიყვანეს. ექიმები ნებას არ აძლევდნენ, მაგრამ ვინ უგდებდა ყურს ექიმებს... სახლში აკითხავდნენ მეგობრები, ხან გიტარით, ხანაც ფორტეპიანოს მიუჯდებოდნენ და იყვნენ ერთ ამბავში... აფხაზეთიდან კი ერთმანეთზე უარესი ამბები მოდიოდა.

ნაზი - დიახ! ერთმანეთზე უარესი ამბები მოდიოდა... თვალწინ დამიდგა ჩემი ახლო ნათესავების ოჯახი, ნაზი საჯაია და მისი ვაჟი გენადი გიგინეიშვილი... 1992 წელს, 19 სექტემბერს დედა-შვილი გუდაუთაში ვერაგულად მოკლეს, სიცოცხლე მოუსწრაფეს ორ კეთილშობილ, უწყინარ ადამიანს. გენადის ცოლ-შვილმა ორ სექტემბერს, ცოტათი ადრე, დატოვეს იქაურობა... რამდენი ასეთი უდანაშაულო ოჯახი განადგურდა... ამ ამბის გახსენებაზე გული მეკუმშება...

გენრიეტა - მახსოვს, ეგ საშინელი ამბავი რომ გავიგეთ ყველანი დიდ განცდაში ვიყავით.

ნაზი - მათ გახსენებაზე გული მტკივა... ჩემდაუნებურად მეტირება...

ირინე - დიდი მწერლის, რევაზ მიშველაძის, ერთადერთი შვილი, არჩილ მიშველაძეც, აფხაზეთის ომში, სოხუმში, 1993 წლის 27 სექტემბერს, მეომრების გამოყვანის დროს დაიღუპა... როგორი ვაჟკაცები დავკარგეთ. დაფიქრებაც კი მზარავს...

გენრიეტა - ტელევიზიით და პრესით საშინელი ამბები მოდიოდა. ზურა ვერ ისვენებდა, ღამეები არ ეძინა. ბოლოს გადაჭრით გადაწყვიტა აფხაზეთში წასვლა. არ გაჭრა არც ჩემმა, არც მისი მეუღლის, ხათუნას, არც გამზრდელი ბებიის, ნატას ცრემლებმა. ვევედრებოდით,

გამოჯანმრთელებამდე მაინც მოეთმინა. ბესომ რომ გაიგო, ზურამ მტკიცედ გადაწყვიტა ომში წასვლა, მანაც მოინდომა გაყოლა. ვტიროდი, ცრემლებს ვერ ვიკავებდი, გული კარგს არ მიგრძნობდა. მეზობლის ბიჭმა ორივე ძმა ჩაისვა მანქანაში და აეროპორტში წაიყვანა. ამ დროს დურმიშხანი შინ არ იყო. ქალები ვერაფერს გავხდით. როდესაც დურმიშხანს ვუთხარი, „ბიჭები ომში წავიდნენ-მეთქი", მისაყვედურა, „რატომ არ დააკავეო, მითუმეტეს ასე მძიმედ დაჭრილი ზურაბიო!" მეც ამას ვეუბნებოდი, მაგრამ იცით რა მიპასუხა, „სამშობლოს რეგლამენტი არა აქვს, ომში ჩემი თავი სჭირდებათ და არა ფეხიო..." მე და დურმიშხანი სახლში უაზროდ დავბორიალობდით. დურმიშხანმა ვეღარ გაუძლო და გამოგვიცხადა, „ჩემი შვილები ომში წავიდნენ და მე აქ რა უნდა ვაკეთოო? მეც მათ გზას უნდა გავუყვე, მორჩა და გათავდაო..." ჩაალაგა ბარგი და ისიც შვილების გზას დაადგა... მიირთვით, ნაზი, ხაჭოს ნამცხვარი, ვიცი, რომ ჩემი ნახელავი გიყვარს, თქვენც მიირთვით, ქალბატონო ირინე, ქათმის ხორცსაც გამოვიტან, მოგშივდებოდათ!

ნაზი - დაწყნარდი, გენრიეტა, მივირთვით, რაც მისათმევი იყო!

გენრიეტა - არ მოგეწონათ? ხაჭოს ნამცხვარი საგულდაგულოდ თქვენთვის გავაკეთე!

ირინე - ძალიან გემრიელია, საკმაოდ მივირთვით.

გენრიეტა - სახლშიც უნდა გაგატანოთ, თქვენს სახელზე მაქვს გაკეთებული.

ნაზი - კარგი, დაწყნარდი, გენრიეტა! ფორტეპიანოზე დაკვრას ხომ არ გადაეჩვიე?

ირინე - ძალიან კარგი იქნება, თუ რამეს დაუკრავთ, ქალბატონო გენრიეტა!

ნაზი - ქალბატონი გენრიეტა არა მხოლოდ პედაგოგი, თბილისის მესამე სკოლასთან არსებული მუსიკალური სკოლის დირექტორიც იყო.

გენრიეტა - ე. ი. გინდათ დაგიკრათ?

ნაზი - მაგას რა კითხვა უნდა? იქნებ ვალიდაც შემოგვიერთდეს?

გენრიეტა - არ არის სახლში.

ნაზი - ვალიდა ქალბატონი გენრიეტას კარის მეზობელია. მისი დედა კლარა დიდი მწერლის რეზო ინანიშვილის დისწული გახლდათ. ბებიამისი თამარი, რეზო ინანიშვილის და იყო. თამარა ბებოს ძალიან უყვარდა ზურა... ზურა მის მოყოლილ ზღაპრებზე გაიზარდა. ვალიდაც ძალიან განიცდის ზურას ამბავს. თავის თავსაც იდანაშაულებს, რატომ ხელი არ შევუშალე, ნება როგორ მივეცი, დაჭრილი ისევ ომში წასულიყოო...

გენრიეტა - ვის დაგვიჯერა, მაინც თავისი გაიტანა! (გენრიეტა მიუჯდება ინსტრუმენტს, იწყებს დაკვრას და სიმღერას. ნაზი და ირინეც შეუერთდებიან მას)

მეშვიდე სურათი

(1993 წელი. აფხაზეთი. სცენაზე მოსჩანს დაბალი ხის მაგიდა. რამოდენიმე ხის სკამი. სკამებზე სხედან თავშეხვეული დურმიშხანი, შუახნის მამაკაცი. იქვე ფუსფუსებს შუახნის ქალბატონი)

ციალა - (დურმიშხანს) როგორ გრძნობთ თავს, ბატონო, დიდება უფალს, რომ ცოცხალი გადარჩით!

სერგო - თხრილში ჩავარდნილი რომ დაგინახეთ, შიშმა ამიტანა. ხელ-ფეხი რომ აამოძრავეთ მივხვდი, რომ ცოცხალი იყავით და გამიხარდა.

დურმიშხანი - მადლობა, ჩემო მეგობარო, დაახლოებით 5 დღე ვეგდე უგონოდ, კიდევ ცოტაც და ვეღარ გავატანდი. არც კი მახსოვს როგორ ამომიყვანე, სად წამიყვანე. მანქანაში გავახილე თვალი და მივხვდი, რომ ცოცხალი ვიყავი. იმასაც მივხვდი, რომ „ნივაში" ვიყავი წამოწოლილი. კითხვა რომ დამესვა „ვინა ხარ და სად მიგყავარ-მეთქი", იმის თავიც არ მქონდა. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ზღვის მხრიდან იყო სროლები და ბოლოს ისეთი აფეთქება, რომ ჰაერში ამიტანა. იმის მერე არაფერი მახსოვს, სანამ „ნივაში" არ გავახილე თვალები. როგორც შენ მეუბნები, სერგო, თურმე სადღაც თხრილში ჩავვარდნილვარ.

ციალა - უნდა მოძლიერდეთ, ბატონო! ცხელ ლიმონიან ჩაის მოგართმევთ, წაგადგებათ, მოგაძლიერებთ. გამიგია, ლიმონი ცარიელი „ცე“ ვიტამინიაო და ვიტამინები კიდევ სასარგებლოა ძალიან. ასე არ არის, სერგო?

სერგო - რადგანაც ბატონი ჩვენთან არის და ცოცხალია, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ აქედან მშვიდობით გავუშვათ თბილისამდე.

დურმიშხანი - სოხუმამდე ჩავედი. იარაღით ხელში ვიბრძოდი.

ციალა - რაღა დროს თქვენი ბრძოლაა, თქვენ სახლში შვილიშვილებს უნდა ეთამაშებოდეთ, ჩემო ბატონო!

დურმიშხანი - ქალაქგარეთ ჰატარა მიწის ნაკვეთი მაქვს და იქ წავედი, იქ გავიგე, რომ ჩემი ორივე შვილი აქეთ წამოსულა საბრძოლველად. ზურაბი დაჭრილია, ჭრილობაც არ მოშუშებია. დაიჩემა, ვერ გავჩერდები, სადაც ჩემი ბიჭები არიან, მეც იქ უნდა ვიყოო. უმცროსი ვაჟი ბესოც მასთან ერთად იბრძვის, როდესაც ნაკვეთიდან შინ დავბრუნდი, მეუღლეს ვუთხარი, „სადაც ჩემი შვილები წავიდნენ, მეც იქ უნდა ვიყო-თქო“. მეორე დღესვე დავადექი ამ მძიმე გზას. როგორც იქნა ოჩამჩირამდე ჩამოვედი. შემდეგ სამხედროებმა სოხუმამდეც ჩამიყვანეს. ვინც კი გებულობდა ჩემს მდგომარეობას, ჯარისკაცის მამას მეძახდა... მითხრეს, რომ ბოლოს კელასურში იდგნენ. სატანკო ბატალიონის მეთაური მილორავა ყოფილა. თვითონ ზურა 193-ე ტანკის ეკიპაჟის მეთაურია.

ციალა - ყოჩაღ, ბიჭებო, ყოჩაღ! ძალიან ძნელია ორი შვილის ერთად ყოფნა ომში.

სერგო - რა უნდა გამიკვირდეს?! ისეთი მამის შვილები არიან, უკან რას დაიხევენ?! ამ ხნის კაცი არც დაფიქრებულა ისე წამოვიდა ამ საშინელ ორომტრიალში... ბატონი დურმიშხანის შვილები სხვანაირი ვერ იქნებიან!

ციალა - ვაი, ჩვენს ყოფას, რას მოვესწარით. შიშით გვიღამდება და შიშით გვითენდება. ვინ საიდან რას გვესვრის და რას მოგვარტყამს არ ვიცით. დღეს კი ვართ აქ, ჩვენს სოფელში, ახალ კინდღში, მაგრამ ხვალ და ზეგ აქ ვიქნებით? ნათესავებიდან მოდის შემონათვალი, ხან ზუგდიდიდან, ხან ქუთაისიდან, თბილისიდანაც - „დატოვეთ მაქაურობა და წამოდით, გამოასწარითო“. ისიც გავიგეთ, რომ ბოლო ლუკმა, ჩვენი სოფელი, ახალი კინდღია მტრებისთვისო.

სერგო - არადა, როგორი დასატოვებელია?! აქ, ოჩამჩირეში, ახალ კინდღში დავიბადე და გავიზარდე!

დურმიშხანი - მესმის თქვენი, ძალიან ძნელია საკუთარი სახლ-კარის დატოვება და გაქცევა. ან ვის უნდა დაუტოვოთ? ეს ხომ ჩვენი სამშობლოა, ჩვენი მიწაა, როგორი დასათმობია?! მეც აქ უნდა ვიყო და ვიბრძოლო ბოლომდე... ბიჭებიც უნდა მოვძებნო და იმათთან ერთად უნდა ვიბრძოლო, შინ მარტოსული ვერ დავბრუნდები!

სერგო - ბატონო დურმიშხან, ნუ მიწყენთ, მაგრამ თქვენი ახლანდელი მდგომარეობით შეუძლებელია ისევ ბრძოლას დაუბრუნდეთ. გირჩევთ, როგორმე თბილისში დაბრუნდეთ, ცოტა მოძლიერდით, თავს მიხედეთ და თუ მაინცა და მაინც წინა ხაზზე გინდათ ყოფნა და ბრძოლა, მერეც შეგიძლიათ ამის გაკეთება.

ციალა - იქნება აღარც კი დაგჭირდეთ, ბატონო, ბრძოლის გაგრძელება და ამასობაში სანამ თქვენ მომჯობინდებით, იქნებ თქვენი ბიჭებიც დაბრუნდნენ შინ და ეს ოხერი ომიც დამთავრდეს.

სერგო - იქნებ შინაც კი არიან და არ იცით? ხვალ დილით ჩემი „ნივით“ მეზობლის ქალები მიმყავს ზუგდიდში. თქვენც როგორმე ჩაგიყვანთ და იქიდან უკვე თბილისამდეც ჩააღწევთ, ბატონო დურმიშხან! მთავარია, როგორმე ხვალ ზუგდიდამდე ჩაგიყვანოთ!

ციალა - საწოლს გაგიშლით და როგორმე მოგასვენებთ. ხვალ კი უნდა წახვიდეთ, ჩემო ბატონო, და თავს მიხედოთ, მომჯობინდეთ!

სერგო - ზუგდიდში თქვენს თავს საიმედო ადამიანებს ჩავაბარებ. ისე კი არ დაგტოვებთ, ბატონო, ყველას გავაფრთხილებ, რომ თქვენ მაიორი დურმიშხან ძამუნაშვილი ხართ, 23-ე მექანიზებული ბრიგადის უფროსი.

დურმიშხანი - უფროსი არა! დაზუსტებით თუ გინდათ იცოდეთ, 23-ე მექანიზებული ბრიგადის, მე-6 სატანკო ბატალიონის, შტაბის უფროსის მოადგილე...

ციალა - (გაკვირვებული) დედა, ყველანი ტანკისტები ხართ ოჯახში?

დურმიშხანი - ასე გამოვიდა, ქალბატონო ციალა. ზურაბი პროფესიით ვეტერინარია. დავით გარეჯი უყვარს ძალიან. სტუდენტობის დროს შრომით სემესტრში გარეჯში დადიოდა, მოვლილი ჰქონდა მთელი გარეჯი. აგიჟებდა მაშინდელი საბჭოთა სამხედროების გულგრილობა. პოლიგონად გადააქციესო ეს ჩვენი ისტორიული სულის სავანეო... როცა ასაკში ვიქნები გარეჯში უნდა დავსახლდე და ჩემი მეურნეობა გავაკეთოო... მე ფიზიკა-მათემატიკოსი, პედაგოგი ვარ, მაგრამ საბოლოოდ ტანკისტად ჩამოვყალიბდი!

სერგო - ჰოდა, ბატონო დურმიშხან, მოგეხმარებით და როგორმე საწოლამდე მიგიყვანთ, რადგან აქამდე ცოცხალი მოგიყვანეთ, ოჯახშიც ცოცხალი უნდა ჩახვიდეთ! ნუ გეშინიათ, თქვენი ბიჭებიც დაბრუნდებიან შინ! მჯერა მე ამის! დამიჯერეთ მე, სერგო მჭედლიშვილი, რასაც გეუბნებით, გულით გეუბნებით!

ციალა - მე, ციალა ძიძიგურს, ამ ხნის ქალს, ტყუილიც კი დამეჯერება. გირჩევთ, სასწრაფოდ შინ დაბრუნდეთ ბატონო დურმიშხან!

(სერგო და ციალა მიეშველებიან დურმიშხანს, ხელს მოკიდებენ და სცენიდან გაჰყავთ).

მერვე სურათი

(სცენაზე თავისუფლებაა. ისმის მხოლოდ თვითმფრინავის ძრავის ხმა. აქა-იქ მიმოფანტულია ფოთლები. მოსჩანს თვითმფრინავის კარი, სადაც შედიან ჯარისკაცები. მათ შორის არიან ბესო და ჯოხზე დაყრდნობილი ზურაბი. ბესო უკან იხედება, ზურაბს ბესოს მხარზე უდევს ხელი).

ბესო - ცოცხლები გადავრჩით. როგორმე თბილისამდე უნდა ჩავიდეთ. ალბათ როგორ განიცდიან ჩვენები (თან უკან იხედება ზურაბისკენ).

ზურაბი - (მიწას უყურებს, იქაურობას ათვალიერებს) მკაცრი ზამთრის მოახლოებისას ფოთლები ერთბაშად ცვივა და ხვავდება ხოლმე, ჯერ მიწაზე მხოლოდ აქა-იქ არის დავარდნილი ფოთლები.

ბესო - ჯერ ისევ სექტემბერია, ზურა, რა დროს მკაცრ ზამთარზეა ლაპარაკი? (ბესო თვალს არ აშორებს ზურაბს).

ზურაბი - აქა ვარ, ნუ გეშინია, შენთანა ვარ! შედი სწრაფად თვითმფრინავში, მეც აქ ვარ! (ბესო შედის თვითმფრინავის კარებში, ზურაბიც ფეხდაფეხს შეჰყვება, თან მის მხარზე უდევს ხელი. ბესო ისევ გამოხედავს. დამშვიდდება, რადგან ძმა მასთან არის თვითმფრინავში... ამასობაში ზურაბი გვერდით მდგომ ჯარისკაცს ანიშნებს, რომ მის ნაცვლად დაადოს ბესოს მხარზე ხელი. ასეც ხდება. ზურაბი ლაპარაკს აგრძელებს) ნუ გეშინია, ძმაო, ყველაფერი კარგად იქნება, სახლშიც ჩავალთ და დედაც დაწყნარდება! (ამასობაში ზურაბი კარიდან გადის და თვითმფრინავს ტოვებს, როდესაც ბესო უკან მოიხედავს მიხვდება, რომ მის მხარზე სხვას უდევს ხელი და ზურაბმა თვითმფრინავი დატოვა. იწყებს ყვირილს)

ბესო - ზურაბ, მომატყუე? მარტოს მიშვებ? (ზურაბმა ხელი აუწია ძმას და მიაძახა).

ზურაბი - ნუ გეშინია, ბესო, მეც ხუთ დღეში წამოვალ და თქვენთან ვიქნები, მხოლოდ ხუთი დღე მჭირდება! (ბესო შეეცდება თვითმფრინავის დატოვებას, მაგრამ ვერ ასწრებს, კარები მის ცხვირწინ იკეტება. ზურაბი გარედან თვითმფრინავის დაკეტილ კარს უყურებს. სცენაზე შემოდიან მილორავა და ტანკისტა).

მილორავა - ზურაბ, არ წახვედი, ჩამორჩი თუ რა ხდება?

ზურაბი - წასვლა არც მიფიქრია, ძმა გავაცილე, ეს არის და ეს! თავში აქვს სერიოზული ტრავმა მიღებული, უნდა გამოკეთდეს და ოჯახს მიხედოს. აქ ნამდვილი შტორმი იწყება, სად უნდა წავიდე?!

ტანკისტა - დიახ, აქ ნამდვილი შტორმია, ნამდვილი შტორმი კი მაშინ იწყება, როცა სიცოცხლე ბრძოლად იქცევა...

მილორავა - ზურაბ შენც ტრავმირებული ხარ, უნდა გაყოლოდი ბესოს! (ზურაბი შორიდან უქნევს თვითმფრინავს ხელს და თავისთვის ლაპარაკობს)

ზურაბი - იმ დიდ ტკივილს, რომელსაც მთელი სამყაროც კი ვერ იტევს, ადამიანი ერთ მარტივ სიტყვაში გამოხატავს - მშვიდობით! ქარიშხალის დროს თოლიაც კი არ თმობს თავის ზღვას და მე როგორ უნდა დავთმო?!

(თვითმფრინავის ძრავის ძლიერ ხმაზე ჯარისკაცები სწრაფად, სირბილით, ტოვებენ სცენას. ჯოხზე დაყრდნობილი ზურაბიც სწრაფი ნაბიჯებით მიჰყვება მათ).

მეცხრე სურათი

(აფხაზეთი. მესამე სურათის დეკორაცია. სცენაზე შემოდიან ზურაბი ჯოხით ხელში და ნუგზარ მილორავა).

ზურაბი - ვერ ვხვდები რა ხდება. აქამდე სულ შეუჩერებელ ბრძოლებში ვართ - კინდღაში, ლაბრაში, შრომაში... ბიჭებს თავი არ დაუზოგავთ, ახლა რატომ გვაჩერებენ? უკან დახევაზე რატომ გველაპარაკებიან? რა ხდება?

მილორავა - ცოტა მოვითმინოთ, ბევრი არც მე ვიცი, ვერ ვიგებ, საიდან მოდის ეს ბრძანება. ჯერჯერობით აქ უნდა ვიყოთ და დაველოდოთ მითითებებს.

ზურაბი - აქ მე ნამდვილი ბრძოლა ვისწავლე. ასე ადვილად ვერ დავთმობ! რა აზრი აქვს ამნაირ ყოფას და სიცოცხლეს, თუ უკან დავბრუნდი და ჩემ შვილებს ვუთხარი, „ვიბრძოლე, მაგრამ აფხაზეთი მაინც ვერ შეგინარჩუნეთ, ვერ გადაგირჩინეთ-მეთქი“... არა, ასე არაფერი გამოვა!

მილორავა - დაწყნარდი, ზურაბ, ნუ გეშინია!

ზურაბი - ვინ გითხრა, რომ მეშინია?!

მილორავა - (სიცილით) მაპატიე, ზურაბ, შემეშალა, შენ და შიში?! უნდა მეთქვა, ნუ ნერვიულობ-მეთქი. ცოტათი დაწყნარდი, შეხედე, სასწაული არ არის, აფხაზების გადაჯეგილმა ჩვენმა ზეთის ხილის ხეებმა ისევ წამოიდგეს წელი. ეს კი კარგის ნიშანია. არც ისე ადვილი წასაქცევები და მოსაჯეგები ვართ (ზურაბთან მივა, ხელს მოკიდებს) წამოდი, მაღლობზე ავიდეთ და სოხუმს გადავხედოთ (ზურგჩანთიდან წიგნს ამოიღებს და კითხულობს).

ზურაბი - რას კითხულობ?

მილორავა - ახალი აღთქმა და ფსალმუნებია. ჩვენ ზეთისხილის ბაღში, ზეთის ხილნარში ვართ. ზეთის ხილის მთა კი არაერთხელ არის ნახსენები სახარებაში. ზეთის ხილნარში, ზეთის ხილის მთაზე იესომ თავის მოციქულებს ლოცვები ასწავლა.

ზურაბი - (ღიმილით) გამახსენდა! ზეთის ხილნარში, ზეთისხილის მთაზე მაცხოვარმა აღადგინა ლაზარე. ზეთის ხილის მთიდან, სახედარზე შემჯდარმა დაიწყო მაცხოვარმა თავისი ტრიუმფალური დაღმართი.

მილორავა - ზეთისხილის მთიდან ამაღლდა იესო, მისი აღდგომიდან მე-40 დღეს. ზეთის ხილის მთის ყველა ტაძარს და მონასტერს ამაღლების ტაძარი ჰქვია.

ზურაბი - ზეთისხილის ფერდობზე მუდამ იზრდება ზეთის ხილის ხეები, რომლებიც ასეულობით წლები ცოცხლობენ.

მილორავა - ეს სასწაული ჩვენს თვალწინაა! გადამწვარი და გადაჯეგილი ხილნარი ისევ გამოცოცხლებულა!.. სწორედ ზეთისხილის ფერდობიდან განსაკუთრებელი ხედი იშლება იერუსალიმზე.

ზურაბი - ამ ფერდობიდან, ჩვენი ზეთის ხილნარიდან, კარგად მოსჩანს დენთში და რუხ კვამლში გახვეული, მიწასთან გასწორებული ულამაზესი სოხუმი.

მილორავა - „და ვითარცა მიიწია იგი შთასვლასა მას მთისა ზეთისხილთაისა, იწყო ყოველმან სიმრავლემან მოწაფეთამან სიხარულით ქებად ღმრთისა ხმითა დიდითა ყოველთა მათთვის, რომელნი იხილნეს ძალნი. და იტყოდეს: კურთხეულ არს მომავალი მეუფე სახელითა უფლისათა!“

ზურაბი - ლუკას სახარება, თავი მეცხრამეტე.

(ისმის ავტომატების სროლის, აფეთქების ხმა. სცენაზე შემორბიან ტანკისტა, გელა, კაზარიანი და სხვა ჯარისკაცები).

გელა - სოხუმი თითქმის ალყაშია, მეთაურებო!

ტანკისტა - კომპოზიტორები, კომპოზიტორთა სახლი აღებული აქვთ.

კაზარიანი - ბიჭები არ ჩერდებიან, ბრძანებასაც აღარ ემორჩილებიან, გოჩუას ქუჩაზე, სასაფლაოსთან იბრძვიან (შორიდან ისმის აფხაზების სიმღერის ხმა).

ტანკისტა - გესმით? გამარჯვებას ზეიმობენ! გესმით მათი სიმღერის ხმა?

ზურაბი - წავედით, სასწრაფოდ ტანკისკენ მივდივართ, ბიჭებო! ჩვენი 193-ე, „თავისუფალი მონადირე“ გველოდება! (ჯარისკაცები ტოვებენ სცენას. ისმის აფეთქების, ყვირილის, კვნესის ხმა. ირგვლივ ყველაფერი რუხ კვამლშია გახვეული. ისმის აფხაზური სიმღერის ხმა).

მეათე სურათი

(პირველი სურათის დეკორაცია. გენრიეტა, ნაზი, ირინე სხედან და საუბრობენ)

გენრიეტა - დაჭრილმა ზურამ სოხუმში დაბრუნება რომ მოინდომა, მთელი ღამე ფიქრსა და დარდში გავატარე. დილით ხათუნას, ზურას მეუღლეს რომ შევხედე, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. მთელი ღამე ტირილში გაეტარებინა. არაფერმა არ გაჭრა, არც თხოვნამ, არც ცრემლებმა, არც რჩევა-დარიგებამ... აქეთ გვამშვიდებდა, რასაც ტელევიზორში აცხადებენ ყველაფერი მართალი არ გეგონოთო... დურმიშხანი როცა დაბრუნდა აფხაზეთიდან, ბესო შინ დახვდა. ბესოც და დურმიშხანიც ენით აღუწერელ საშინელებებს ჰყვებოდნენ, რაც იქ ნახეს - სასოწარკვეთილი ხალხი, ძარცვა-გლეჯა, შიმშილი, სიცივე... არ ჰქონდათ საკმარისი ტრანსპორტი, რომ ადამიანები სამშვიდობოს გამოეყვანათ. 27 სექტემბერს ოჩამჩირე ზღვიდან დაბომბეს. სანამ ზუგდიდში ჩამოვიდოდა დურმიშხანი, გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფს, ისევ უკან დაბრუნება უნდოდა. სამხედროებსაც შეხვდა, მაგრამ ეს ნაბიჯი გაუმართლებლად მიიჩნიეს, რადგან უაზრო მსხვერპლს ნიშნავდა...

ირინე - რა მძიმე მოსასმენია ეს ყველაფერი.

ნაზი - ძალიან დიდი ტკივილი და ცრემლი ნახა ამ ოჯახმა.

გენრიეტა - დურმიშხანი დიდხანს ეძებდა ზურას, ვის არ შეხვდა, სად არ მიედ-მოედებოდა. სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი ხათუნა, ორ მცირეწლოვან ანგელოზთან - ნატასთან და თორნიკესთან ერთად. საოცრად დიდ განცდაში და ცრემლებში იყო ჩემი ქალიშვილი ლია, რომელსაც ძმა უზომოდ უყვარდა. მისი საფიცარი იყო და არის ახლაც... ბესო საშინელ განცდებში იყო, დღესაც ვერ გამოსულა მდგომარეობიდან: „მე რომ უფრო ყურადღებით ვყოფილიყავი და ზურა ჩემთან ერთად წამოსულიყო, ცოცხალი იქნებოდა და დღესაც ერთად ვიქნებოდითო...“ დურმიშხანი სულ გვეჩხუბებოდა, ნუ ტირიხართ, ნუ მოთქვამთ, იქნებ ბიჭი ცოცხალია და სასწაულმა გადაარჩინაო... ვიღაცას ისიც კი უთქვამს, ჩემი თვალით ვნახე, დრანდის ციხეშიაო... ზოგმა გვითხრა, ავათხარაში ჰყავთ ტყვედო...

ნაზი - (ჩაფიქრებული) და ყველაფერი ეს უშედეგოდ დამთავრდა! არსაიდან არაფერი არ გამოჩნდა, არ გამოჩნდა ზურა!

ირინა - ძალიან მძიმეა ეს ყველაფერი.

გენრიეტა - ამბავი მოგვიტანეს, ვასიკო, ზურას მეგობარი აფხაზეთიდან დაბრუნდა და თბილისშიაო. გვითხრეს, რომ საავადმყოფოში იყო. მაშინვე მე და დურმიშხანი საავადმყოფოში წავედით. ვასიკო დაჭრილი იყო. ჩვენს დანახვაზე დაიბნა. ვეხვეწებოდი, ვემუდარებოდი, სიმართლე მითხარი, შვილო, ომში ყველაფერი ხდება ან ჩემი შვილი

დაიღუპება ან სხვისი, ნუ გაჩუმდები, რაც არ უნდა მწარე იყოს, სიმართლე მითხარი, სად არის ზურა, ცოცხალია თუ დაიღუპა? მან კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, „არ ვიცი, მკვდარი არ მინახავს, ერთად არ ვყოფილვართ, აბა, რა გითხრაო!“ იმის შემდეგ წლები გავიდა, წლები, რომელიც დარდსა და განცდაში გავატარეთ მე და ჩემმა ოჯახმა. დურმიშხანმა სამჯერ გადაიტანა იმფარქტი, 2010 წელს მეოთხე ინფარქტს ვეღარ გაუძლო და გარდაიცვალა.

ირინე - ბოლოს როგორ გაიგეთ, რომ დაიღუპა?

გენრიეტა - ბოლომდე ხავსს ვეჭიდებოდით, რომ იქნებ მართლაც ციხეშია, იქნებ მართლაც ავათხარაშია-მეთქი ტყვედ, მაგრამ 2018 წელს წითელმა ჯვარმა აფხაზეთში დაღუპული ჯარისკაცები ჩამოასვენა და სამების საკათედრო ტაძარში დაასვენა. მათ შორის იყო ჩემი შვილიც, ზურაბ ძამუნაშვილიც, რომელიც კუკიის ახალ სასაფლაოზეა დაკრძალული. მოგვიანებით გავიგეთ, რომ ბატალიონი ალყაში მოყვა სოხუმში, სასაფლაოსთან, გუჩუას ქუჩაზე. ზურაბი, ნუგზარ მილორავა და ბევრი სხვა მებრძოლები დაიღუპნენ...

ნაზი - კარგი იქნება თუ სტუმარს ეკრანზე ვაჩვენებთ ჩვენს ძველ სკოლას, რომელსაც ზურაბის სახელი მიენიჭა. ბესოს ხომ ყველაფერი აქვს შენახული... რა თქმა უნდა, განახებთ, რაკი სურვილი გაქვთ, უარს როგორ გეტყვით?!

მეთერთმეტე სურათი

(სცენაზე ეკრანის წინ დგანან ირინე, ნაზი, ბესო და გენრიეტა)

ბესო - ეს ჩემი გადაღებული ვიდეოა... საოცრად მომინდება ხოლმე რაღაცით გული დავიმშვიდო (ეკრანზე მოჩანს ზაზიაშვილის ქუჩა, ჭიშკარი, რომელსაც 44 ნომერი აწერია და სადაც მემორიალური დაფა ჰკიდია. დაფაზე წარწერას კითხულობს ირინე)

ირინე - „ამ სახლში ცხოვრობდნენ, აფხაზეთის ომის გმირები, საქართველოს უმაღლესი ჯილდოს „გორგასლის ორდენის“ მფლობელები: დურმიშხან, ზურაბ და ბესიკ ძამუნაშვილები. სამშობლო ამაყობს თქვენით!“

ბესო - ზაზიაშვილის, მაშინდელი მონტინის ქუჩა, ერთად დავტოვეთ 1993 წლის 18 სექტემბერს. უკან კი მხოლოდ მე დავბრუნდი. ზურაბს მას შემდეგ ეს აღმართი, ეს ქუჩა აღარ ამოუვლია. ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, როგორ მოვტყუვდი, როგორ ვერ შევუშალე ხელი, რომ თვითმფრინავიდან არ გაპარულიყო (შემდეგ ეკრანზე მოჩანს მესამე სკოლა. სკოლის ძველი შენობა, სადაც გაკრულია მემორიალური დაფა).

ნაზი - ჩვენი სკოლა, თბილისის მესამე საშუალო სკოლა, რომელსაც ღირსეულად მიენიჭა კურსდამთავრებულის, აფხაზეთის ომში დაღუპული გმირის, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერის, ზურაბ ძამუნაშვილის სახელი.

დიდ მწერალს რევაზ ინანიშვილსაც აქვს მოთხრობა „სიამაყე“, სადაც ჩვენს სკოლაზე ლაპარაკობს: „ეს იმ სკოლაში იყო, ახლა რომ არის ცხრა ძმის ქუჩაზე“... ამ სკოლაში ასწავლიდა მისი მოთხრობის გმირი შალვა გაბადაძე. მეორე მსოფლიო ომი როცა დაიწყო, ჩვენი სკოლა ჰოსპიტალად აქციეს. სკოლის სახურავზე ვერტმფრენი ჯდებოდა და დაჭრილები მოჰყავდა. გამოჯანმრთელებულები კი ფრონტის ხაზს უბრუნდებოდნენ. გარდაცვლილებს კი კუკიის ძმათა სასაფლაოზე კრძალავდნენ. იმ ადგილზე ახლაც ობელისკია აღმართული... გმირების საფლავებს ჩვენი სკოლის მოსწავლეები უვლიდნენ... (ეკრანზე მოსჩანს სკოლის ისტორიის მუზეუმი) ეს სკოლის ისტორიის მუზეუმია (მოსჩანს კედელი, სადაც ზურაბის სურათებია). ზურაბი მაშინ ვერც იფიქრებდა, რომ სკოლის ერთი კედელი მას და მის მეგობრებს დაეთმობოდა სახელწოდებით „საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!“

ბესო - ზურაბმა და მისმა მეგობრებმა თავიანთ ტანკს „თავისუფალი მონადირე“ დაარქვეს. ისინი საგანგებო დავალებებს ასრულებდნენ და თავზარს სცემდნენ მტერს. 1993 წლის 24 სექტემბერს სოხუმის რკინიგზის სადგურთან ზურას ტანკი აფეთქდა, დაჭრილები ამოიყვანეს, ზურა კი არავის უნახავს. ამბობენ, რომ ტანკის აფეთქების დროს ტალღას ამოუგდია. გაჩნდა

სხვადასხვა ვერსიები... სიმართლე ის არის, რომ ზურაბი ხუთი დღის შემდეგ არ დაბრუნებულა, მან პირობა ვერ შეასრულა.

გენრიეტა - რა საჭირო იყო ეს ომი, ეს მტრობა, როცა მტრობა იწყება, გონიერება მთავრდება!

ბესო - მომავლის რწმენას მაინც არ ვკარგავთ, ჩვენი ქვეყნის ისტორიული მხარეები მხოლოდ ოკუპირებულია, რომელიც დროის დინებას ვერ გაუძლებს და ისევ ჩვენს სანაპიროზე გამოირიყება!

ირინე - თუ მომავლის რწმენას დავკარგავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ აწმყოს გავანადგურებთ. მომავლის რწმენას თუ არ დავკარგავთ ყველაფერი გამოგვივა.

ბესო - ვცდილობ, რომ რწმენა არ დავკარგო, მაგრამ ზოგჯერ ჩემს ირგვლივ სრული სიცარიელეა, ვერც წასვლას ვახერხებ და ვერც დარჩენას. თითქოს უკიდეგანო უდაბნოს ქვიშაში ვეფლობი.

ნაზი - რაც არ უნდა მოხდეს, იმედი არ დაკარგო... იმედი რას ჰგავს? იმედი იმ ხეს ჰგავს, რომელიც ტრიალ მინდორში დგას, იზრდება, ფესვებს იდგამს და ჰყვავის. ეს იმედის ადგილია... ჰოდა, აქა ვართ, იმედის შუა გულში...

ბესო - (უყურებს ეკრანზე ზურაბის სურათს) ღიმილი ისევ ახალგაზრდული გაქვს, ჩვენ კი ღიმილიც დაგვიბერდა... ჩემთვის ყოველი ახალი დღე ახალი ომია. ახალი ომის დროს ახალი იარაღი უნდა შეიძინო. რადგან სიცოცხლე მოგვესაჯა, ეს ყველაფერი უნდა მოვითმინოთ.

გენრიეტა - 2010-2011 წლებში ქვეყანაში არსებული 3175 სკოლიდან 1074 დაიხურა. განათლების სისტემაში დაიწყო კერძო სკოლების გახსნა და საჯარო სკოლების დახურვა. დახურულ სკოლებს შორის იყო აფხაზეთის ომში დაკარგულ, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერის, ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის თბილისის მესამე საჯარო სკოლაც... სკოლის დირექტორი ქალბატონი ნაზი მილორავა გახლდათ.

ირინე - რას ამბობთ, ქალბატონო ნაზი, თქვენ იყავით სკოლის დირექტორი?

ნაზი - დიახ, მე გახლდით იმ სკოლის დირექტორი, რომელიც მაშინდელი განათლების სამინისტროს სურვილითა და ნებით ოპტიმაზიციაში მოჰყვა და რომელიც ჩვენი გმირის, ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის იყო. არაერთი წერილი დავწერეთ, ვის და რას არ მივმართეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით.

გენრიეტა - სკოლის დახურვამ თავიდან მომკლა და დამასამარა.

ნაზი - 2003 წელს შორენა და ელგუჯა ლებანიძეებმა წიგნიც კი მიუძღვნეს ძამუნაშვილების ოჯახს, სამ გმირს ერთი ოჯახიდან... გმირებს, ვინც ბრძოლაში დაეცნენ, ვინც დაბრუნდნენ და ვისაც ველოდებით...

ირინა - შემდეგ რა მოხდა, როგორ გაგრძელდა ეს ყველაფერი?

ნაზი - ბევრი ვიბრძოლეთ და, რაც მთავარია, ჩვენი ხმა შესმენილი იქნა. რამოდენიმე წლის წინ თბილისში, ჩუღურეთში, ცხრა ძმის ქუჩაზე, სადაც ადრე ჩვენი სკოლის შენობა იდგა, ახალი სკოლა აშენდა. სკოლა ამჟამად 220-ე საჯარო სკოლის სახელით არის ცნობილი.

ირინე - მესამე სკოლა აღარ არსებობს?..

ნაზი - (ეკრანზე მოჩანს სკოლის ძველი შენობა) ეს ჩვენი ძველი სკოლაა (ეკრანზე გამოჩნდება ახალი სკოლის შენობა) ეს კი ახალი შენობაა, რომელსაც 2022 წლის 20 სექტემბერს, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, კვლავ მიენიჭა ჩვენი დროის გმირის, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერის, ზურაბ ძამუნაშვილის სახელი.

ირინე - დიდი განსაცდელი გადაგიტანიათ!

ბესო - დიდი ომის მოსაგებად პატარა ბრძოლებში დამარცხებაა საჭირო!

ნაზი - ჩვენი დღევანდელი მთავრობის და მხედრობის ძალისხმევით და კეთილი ნებით კვლავ აღდგა სკოლაც და ჩვენი ღირსეული გმირის, ზურაბ ძამუნაშვილის სახელიც.

ირინე - ვფიქრობ დღეისთვის საკმარისია. დაგემშვიდობებით ქალბატონო გენრიეტა, ბატონო ბესო, მადლობა ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებული საღამოსათვის. თუ დამჭირდა ისევ შეგაწუხებთ!

ნაზი - მეც მოვდივარ, ქალბატონო ირინე. მადლობა გენრიეტა, მადლობა ბესო, როგორც ქალბატონმა თქვა, თუ დაგვჭირდა ისევ შეგაწუხებთ!

გენრიეტა - გაგვიხარდება თქვენი სტუმრობა! (გენრიეტა კონტეინერებით ჩანთებში რაღაცას უდებს ნაზის და ირინეს) ეს ჩემი ხაჭოს ნამცხვარია, რასაც აქ ვერ მოერიეთ, სახლში მინდა გაგატანოთ, თქვენს სახელზე მაქვს გაკეთებული და თქვენ უნდა მიირთვათ.

ირინე - რატომ წუხდებით, უხერხულია!

ბესო - არ წუხდება, პირიქით, სიამოვნებს, რასაც აკეთებს. მობრძანდით, როცა გენებოთ, ასეთია ჩვენი ცხოვრება... პატარ-პატარა ბრძოლები თავს არ გვანებებს...

ირინე - პატარ-პატარა ბრძოლებს კი დიდი ადამიანების სიცოცხლე ეწირება! ქალბატონო ნაზი, დღევანდელი დღის მეგზურობისთვის მადლობას გიხდით! ახლა კი წავედით!

(ნაზი და ირინე გადიან სცენიდან. გენრიეტა ცრემლს იწმენდს სახეზე)

გენრიეტა - არ მინდა ვიტირო, მაგრამ ცრემლებს მაინც ვერ ვიკავებ. ჩემი გული ზღვა არ არის, რომ ჩემი სადარდებელი ნაპირზე გავრიყო... ჩვენი სამშობლოს მთლიანობა მაინც არ დარღვეულიყო.

ბესო - იმაზე უფრო სუფთა სახე არ არსებობს, რომელიც ცრემლით ჩამოიბანება!.. დე გაუმარ-ჯოს სიმართლეს, ადრე თუ გვიან ყველაფერი ზედაპირზე ამოტივტივდება. (ბესო ხელს გადახვევს გენრიეტას და ორივე ერთად ნელი ნაბიჯებით ტოვებენ სცენას)

დასასრული

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბრალის თეორია

(გაგრძელება)

(დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის № 10-11-12-13 ტომსა და ჟურნალ ათინათის №38-დან 50-ში)

სხვადასხვა მოტივსა და შინაარსზე აგებული ბრალის ფორმები (არასისტემატიზირებული)

მსოფლიოს ახლებურად მოწყობის ბრალი

არსებობს კონსპირაციული თეორიები, რომლებიც ტირანული მსოფლიო მმართველობის დამყარებას წინასწარმეტყველებენ. კონსპიროლოგები ვარაუდობენ, რომ დღევანდელი მსოფლიო თანდათან ემზადება ტირანული მმართველობისათვის, სადაც სუვერენულ სახელმწიფოთა უფლებები შეზღუდული იქნება ან მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. არის მოსაზრებები, რომ ეს მოხდება მასათა იდეალური გაკონტროლების და თვალთვალის, ასევე მსოფლიო მოქალაქის ტიპის ხელოვნური მოდელირების გზით... თუ ეს თეორია ყალბია, მაშინ ის დიდი ბრალია იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც ახალი მსოფლიო წესრიგის შემქმნელებად მოიაზრებიან; თუ ეს წინასწარმეტყველება გამართლდება, მაშინ ეს კიდევ უფრო დიდი ბრალი იქნება, ასეთი წესრიგის დამმყარებელთა მხრიდან, სუვერენული სახელმწიფოების და მსოფლიოს მოქალაქეების მიმართ...

თუ წარსულს გადავხედავთ, საზღვრების გაფართოებას და იქ წესრიგის დამყარებას ყველა ძლიერი იმპერია გეგმავდა. როგორ ახორციელებდნენ ისინი წესრიგს, – ითვალისწინებდნენ თუ არა დაპყრობილთა სურვილებს, მოთხოვნილებებსა და უფლებებს? – გადაჭრით შეიძლება ვთქვათ, რომ არა! პირიქით, დამპყრობლები ბრალით, აგრესიით, სისასტიკით, უმთავრეს შემთხვევაში, ცინიზმით და დამცირებით ამყარებდნენ თავის წესრიგს; არად აგდებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის აღმსარებლობას; მახვილითა და ცეცხლით აიძულებდნენ მრწამსის შეცვლას; თავს ახვევდნენ საკუთარ იდეოლოგიას, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის. ასე გრძელდება დღემდე...

გლობალიზაციის თავისთავადმა პროცესმა (მეცნიერთა დიდი ნაწილი მას საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩასახვიდანვე მომდინარე პროცესად მიიჩნევს) მსოფლიოს ხალხები დააახლოვა; გარდაუვალი გახადა მათი სოციალურ-კულტურული, ეკონომიურ-ფინანსური, სამეურნეო და საბანკო ურთიერთობები; თანდათან წარმოშვა ამ ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად დახვეწის და შერწყმის აუცილებლობა. გლობალიზაციის გარდაუვალ პროცესს მოჰყვა „იდეები“ ახლებურად მსოფლიო მოწყობის შესახებ. ბრალის თემის მიზანს არ წარმოადგენს შეთქმულების თეორიის და მის მომხრეთა, ასევე, მის მოწინააღ-

მდეგე სკეპტიკოსთა პოზიციების დაფიქსირება ახალი მსოფლიო წესრიგის შესახებ, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ორივე ეს პოზიცია დღევანდელი მსოფლიო საზოგადოების აზროვნების ჭრილში წარმოადგენს მწვავე დისკუსიის და ბრალის წარმოშობის დიდ მიზეზს. ყოველ ადამიანს, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში დაიბადება და თვალს გაახელს, აუცილებლად დააინტერესებს საკითხი: რას მოუტანს გლობალიზაცია კაცობრიობას და რას მოიცავს ახლებურად მსოფლიო მოწყობის გეგმები. ჩვენ რომ შეგვეძლოს შორეული მომავლიდან შევაფასოთ ეს საკითხი, ზუსტად შევძლებდით გლობალიზაციის განსაზღვრებას და მისთვის ზუსტი ტერმინის მორგებას, მაგრამ, დღეს, ჩვენ ეს არ შეგვიძლია, ვინაიდან არ ვიცით მისი ჭეშმარიტი შინაარსი. ამიტომაა სხვადასხვა შეხედულებები გავრცელებული გლობალიზაციის შესახებ და არ არსებობს კონკრეტული განმარტება...

თუ კაცობრიობის ისტორიაში ძლიერი იმპერიების მიერ მსოფლიოს ახლებურად მოწყობის გეგმებში „კეთილშობილური“ მიზნები თითქმის არ ყოფილა, რა გასაკვირია – ადამიანის ბრალითი ფანტაზიებისა და ბრალეული გარდასახვების დიდი უნარებიდან გამომდინარე, – ვინმეს რომ ეჭვი შეეპაროს მსოფლიოს ახლებურად მოწყობის გეგმების კეთილგონივრულობასა და კეთილგანზრახულობაში.

შეძლებენ თუ არა დღევანდელი ცივილიზებული სუპერსახელმწიფოები თავისი წესრიგის გავრცელებას მთელს დედამიწაზე და შეინარჩუნებენ თუ არა ამას, ეს სრულიად უცნობია, ამავე დედამიწაზე „ადამიანის მოღვაწეობისაგან“ სრულიად პარარელურად მიმდინარე ზოგადკანონზომიერებითი მოვლენებიდან გამომდინარე... მსოფლიოს სხვა ქვეყნებისა და საზოგადოებების მიზნებისა და სწრაფვების გაუთვალისწინებლად, მსოფლიოს ერთ ჩარჩოში მოქცევის იდეა, სრულიად განუხორციელებელი შეიძლება აღმოჩნდეს, არა მარტო ამ იდეის უვარგისობის ან კეთილგანზრახულობის არქონის გამო, არამედ თავად ზესახელმწიფოების კულტურალური კრიზისის გამო, რომლებიც არ ზრუნავენ ადამიანში ჭეშმარიტი ღირებულებების გამომუშავებისათვის. ამის საწინააღმდეგოდ, ადამიანისათვის არსობრივად არაბუნებრივი და გამოგონებული უფლებების დაცვით, ადამიანს გადაგვარებისათვის, ხოლო მათ მიერ შექმნილ საზოგადოებებს კრახისათვის ამზადებენ... და თუ ზესახელმწიფოები თავიანთ წესრიგს მაინც დაამყარებენ მთელს დედამიწაზე, ეს იქნება ამ სახელმწიფოების არჩევანი და „მსოფლიოს არჩევანიც“ – თუნდაც იძულებითად.

უაღრესად „ადამიანური“ სულისკვეთებით კი შეიძლება ეს ითქვას: ყველაზე ღირებული და საყოველთაო მნიშვნელობის ადამიანის სულის მოწყობაა, რომელიც გაცილებით მეტ მასშტაბებს მოიცავს, ვიდრე ეს დედამიწაა ან ახლებურად მსოფლიოს მოწყობის ბრალით გაჟღენთილ „დაწესებულებებს“ და „ზესახელმწიფოებს“ ეს წარმოუდგენიათ.

„განტევების ვაცის“ ფენომენი და ბრალი

„განტევების ვაცის“ მოძიება და ყოლა ადამიანის არქეტიპული აზროვნებიდან მოდის. ეს მოვლენა სხვადასხვა რაკურსით გააზრებას მოითხოვს. როგორც ბრალის ანალიზში განვიხილეთ, ადამიანს აქვს მოთხოვნილება ნეგატიური ენერგიებისაგან საკუთარი პერსონის პერიოდული გათავისუფლებისა. ამას ემსახურება საკუთარი ბრალის გადატანა სხვა პერსონაზე, ცხოველზე ან საგანზე. არსებობს ძველისძველი ტრადიცია: წარმართები, წელიწადში ერთხელ, მსხვერპლად წირავდნენ თხას, რომელსაც მათ მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულს, შეცდომებს, ცოდვებს გადააბრალებდნენ ხოლმე. ცხადია, ამით ისინი ახდენდნენ ნეგატიური ენერგიებისაგან და ვნებებისაგან პერიოდულ განტვირთვას და ეძლეოდნენ თვითკმაყოფილებას.

ხშირად, ადამიანი უმნიშვნელო ბრალდებებით ან სრულიად უმიზეზოდ თავს ესხმის ოჯახის წევრს, ასაკობრივად და თანამდებობრივად მასზე უმცროსს და ცდილობს თავისი აგრესიული განწყობა თავს მოახვიოს მათ. ასეთი მრისხანება ხშირია ადამიანის ნეგატიური განწყობილებებისას ან ისეთ შემთხვევაში, როდესაც, მოკლე ხნის წინ, ეს ადამიანი თავად იყო აგრესიული თავდასხმის ობიექტი ისეთი ჯგუფების მხრიდან, რომელზედაც საპასუხო რეაგირება ვერ მოახდინა და დაგროვილი უარყოფითი ენერგიების ბრალის სახით გადატანას ანუ „განტევებას“ მასზე სუსტებზე ახდენს.

ნიშანდობლივია ბრალის გადატანა მესამე პირზე, როცა ორი დაპირისპირებული ან უბრად მყოფნი შესარიგებლად ერთმანეთისაკენ მისასვლელ გზებს ეძებენ. ამისთვის ყოველთვის მოიძებნება ვინმე „განტევების ვაცი“, ამრევი „ბოროტი“, რომელიც, თითქოსდა, ამ ორ დაპირისპირებულს შორის მტრობას აღვივებს; დაპირისპირებულნი ახერხებენ ბრალის გადატანას მესამე პირზე და ამ „განტევებით“ ერთმანეთში არსებულ გაუგებრობას აგვარებენ.

განტევების ვაცს ხშირად ეძიებდნენ და პოულობდნენ სამეფო ინტრიგებში ჩახლართული სამეფო ოჯახის წევრები, რომლებიც, სამეფო ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით, პერიოდულად ერთიანდებოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ; სხვა გარემოებებში იშლებოდნენ; მერე ისევ ერთიანდებოდნენ ახალი მტრის წინააღმდეგ და ა. შ. ამ ბრალთან გვაქვს საქმე, როცა მოკავშირე სახელმწიფოები არასასურველ ურთიერთობებს შლიან და ახალ ურთიერთობებს ამყარებენ სხვა სახელმწიფოებთან. ისინი, ახალ მოკეთეებთან ერთად, პირველ მოკავშირეებს პირობათა შეუსრულებლობასა ან სხვა ქმედება-უმოქმედობაში დებენ ბრალს.

როცა მოტივაციის საგანი იცვლება და საჭირო ხდება „ძველ მტერთან“ მისასვლელების გაკაფვა, მაშინ ბრალის გადატანა-გადმოტანა და „განტევების ვაცის“ გამოძებნა არც გაქნილ პოლიტიკოსებს უჭირთ. ამის მაგალითია, პოლიტიკოსების ნინო ბურჯანაძის, ვალერი გელბახიანის, გუბაზ სანიკიძის და სხვათა მიერ ბიძინა ივანიშვილის „განტევების ვაცად“ შერაცხვა და ნაციონალური მოძრაობის მრავალგზისი დაგმობის მიუხედავად, მათ ლიდერთან საერთო ენის გამონახვა. რამ გააერთიანა მტრები? – „კეთილმა სურვილებმა“ თუ უფრო დიდმა ბოღმამ და ბრალმა, ამას ისტორია დაწერს და იტყვის... სავალალოა, ბრალის გატანა-გამოტანით და „განტევების ვაცის“ ძიებით ზოგიერთი პო-

ლიტიკოსი მთელი თავისი „მოღვაწეობის“ განმავლობაში რომ არის დაკავებული და ვერც კი ამჩნევს, საზოგადოება როგორ რიყავს და იშორებს მას როგორც „შავ ჭირს“...

სოციალური უპირატესობის განცდის ბრალი

ზოგჯერ, წარმატებული ადამიანი ხდება ზედმეტად ამბიციური. მას აქვს განცდა, რომ იგი საზოგადოების გამორჩეული წევრია, რის გამოც მას ეკუთვნის უპირატესობების მინიჭება; თხოულობს განსაკუთრებულ პატივისცემას და პრივილეგიებს ოჯახისაგან, საზოგადოებისაგან და სახელმწიფოსაგან. მედიდურობა და ამპარტავნობა ბრალის ფორმას იღებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადამიანი თავის უპირატესობას გამოხატავს ზედმეტი მოთხოვნილებების წამოყენებისას, სხვათა დამცირების ან უფლებების შელახვის ფონზე. ზოგჯერ ადამიანი სოციალურ უპირატესობას ამჟღავნებს ოჯახური წარმომავლობის, სამეგობრო წრის, დაბადების ადგილის და სხვა ნიშნის მიხედვითაც. უპირატესობის განცდა ადგილწარმომავლობის, ოჯახური წრის, სამეგობროს ან სხვა ნიშნით, ამ ადამიანის გაუნათლებლობაზე, უზნეობასა და არაკეთილგონივრულობაზე მეტყველებს, რისგანაც იწარმოება ხოლმე ყველაზე ხშირად ბრალი...

ზოგჯერ, სახელმწიფოს მაღალ ეშელონებში მოკალათებული იურიდიული ცოდნით აღჭურვილი კასტა – „მეიზმით“ და საკუთარი განსაკუთრებული უპირატესობის განცდით, გამალებული იწყებს თავისი და თავისი წრის შემოსაზღვრას და „შეფუთვა-კაფსულირებას“. მათი ამბიცია-პრეტენზიები თანდათანობით ფართოვდება და იღებს ბრალის ფორმა-შინაარსებს. ისინი მოითხოვენ და იღებენ კიდევაც ხელშეუხებლობას და იმუნიტეტს. გარდა ამისა, მონაწილეობენ და ერევიან სხვადასხვა ბიზნესების საქმიანობაში; ლობირებენ მათ; ახდენენ ფინანსურ გარიგებებს და იღებენ სარგებელს, რის შედეგადაც აგროვებენ დიდძალ ქონებას. ამის შემდეგ განუსაზღვრელი ძალაუფლებით ანხორციელებენ სახელმწიფო ძალადობას და ტერორს მანამ, სანამ საპირისპირო ძალა ზამბარისებურად უკან არ გაისვრის მოძალედე ბრალით აღჭურვილ ერთ მუჭა ავანტურისტებს...

ისტორია

გოჩა ჭელიძე

საქართველოს ისტორიის დიდებული მომენტები

ყველა ერის მეხსიერებაში რჩება და შთამომავლობას გადაეცემა წინაპრების არნახული ღვაწლით შექმნილი ისტორიის ნათელი წამები. ეს წამები თაობებს უყვართ და მუდამ სიამაყენარევი გონიერი ფიქრებით უბრუნდებიან, ტკბებიან მისი დიდებით. ეს გრძნობა ათასკეცდება სამშობლოს ძნელბედობის ხანის დადგომისთანავე, ძნელბედობის ჟამს თაობები იმედოვნებენ, რომ ამ ნათელ წამებზე ფიქრი თავს დააღწევინებს ნისლიან ლაბირინთებს და მათ ქვეყანას გზას გაუნათებენ მომავლის დიდების მწვერვალებისკენ.

მიუხედავად იმისა, რომ თამარ მეფის და ერეკლე მეფის ეპოქები დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან და შესაბამისად მათი მეფობის ხარისხიც დიდად განსხვავებულია, საქართველოს ფარგლებს გარეთ და თვითონ საქართველოში ყველაზე მეტად თამარ მეფეს და ერეკლე მეორეს იცნობენ. ქართველი ერის მიერ შექმნილ და დღემდე შემონახულ თქმულებებში ეს ორი მეფე განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. საქართველოს არც ერთ მეფის შესახებ არ შექმნილა იმდენი თქმულება, რამდენიც თამარ მეფისა და ერეკლე მეორის შესახებ.

თამარ მეფის და ერეკლე მეორის შესახებ შემონახულ თქმულებებზე ახლო მომავალში ვისაუბრებთ. ამ ეტაპზე თქვენს ყურადღებას გავამახვილებ გაზეთ „სანკტ პეტერბურგის უწყებან“ - ში ერეკლე მეორეს შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებზე. ეს სტატიები ნათლად აჩვენებს საქართველოს გარშემო არსებული ურთულესი გეოპოლიტიკური ვითარების პირობებში ერეკლე მეფის ღვაწლს და გვარწმუნებს იმ სინამდვილეში, იმ მიზეზებში, რატომ შეუყვარდა ქართველ ერს ერეკლე მეორე.

მაშ ასე, გავეცნოთ ინფორმაციებს, რას ამბობს „სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ ერეკლე II შესახებ:

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ 1752 წლის 3 მარტი.

კონსტანტინოპოლიდან 10 იანვარს;

... სპარსეთიდან ახლახანს მიღებული წერილების თანახმად, ქართველი პრინცი ერეკლე კვლავ ბედნიერად განაგრძობს თავის წარმატებებს. სხვათა შორის პორტა არავითარ ხალისს არ იჩენს და არ ეხმარება მას დაპყრობებში, რადგან ჯერჯერობით საამისო პირობები არ შექმნილა. ამბობენ, რომ ერეკლე პირდაპირ ისპაჰანისკენ წავიდა და რომ თავისი არმიით ჩაკეტილი შაჰ დაუდი, პრინცის მიახლოების შემთხვევაში ხსენებული სატახტო ქალაქის დაწვას აპირებს. ასე, რომ აბას დიდის - აბას I (1571 – 1629) სპარსეთის შაჰის მიერ იშვიათად გამშვენიერებული სპარსელი შაჰების ეს სახელოვანი სატახტო, რომელიც მას შემდეგ, რაც სპარსეთი არეულობის საშინელ შედეგებს განიცდის. რამდენჯერმე იქნა დარბეული, მალე კი შეიძლება სულ განადგურდეს.

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ 1752 წლის 20 მარტი.

კონსტანტინოპოლიდან 2 თებერვალს:

სპარსეთიდან მიღებული წერილებიდან იტყობინებიან, რომ ამჟამად, აქ არსებობს თექვსმეტი სახანო, რომელთა მმართველები სამეფოს უზომოდ აოხრებენ. თითქმის ყველა

პროვინციას საკუთარი შაჰი ჰყავს. ქართველმა პრინცმა ერეკლემ, ხსენებული შფოთიანობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა, ისე რომ ჯარით თითქმის მთლიანად შემოარტყა ალყა ისპაჰანს და დიდი იმედიც აქვს, რომ საცაა სპარსეთის ტახტს დაეუფლება.

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ 1752 წ. 10 აპრილი.

ვენეციიდან 22 მარტს:

კონსტანტინეპოლიდან მოსული წერილების თანახმად, სპარსეთიდან აქ ჩამოვიდა შიკრიკი ცნობებით, რომ პრინც ერეკლეს არმიის მიახლოების გამო, შაჰ დაუდმა მიიღო გადაწყვეტილება დატოვოს ისპაჰანი და ერევანისაკენ უკუიქცეს. მასთანაა წინანდელი შაჰების მიერ შეგროვებული განძეული, აგრეთვე ნადირ შაჰის მიერ დიდი მოგოლიდან წამორებული სიმდიდრეც, რომელთა შორისაა მთლიანად ოქროსაგან გაკეთებული ტახტი. იგივე წერილებიდან იუწყებიან, რომ არმიის წარჩინებული ოფიცრები შაჰ დაუდს ურჩევენ დაწვას ისპაჰანი. ამგვარად, ეს უბედური ქალაქი, ჯარისკაცთა ხელშია საძარცვავად დატოვებული. იგივე წერილები ირწმუნებიან, რომ პრინც ერეკლეს წარმატებები პორტას არც ისე სიამოვნებს და გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს სპარსეთის ტახტის ამ ახალი კანდიდატის მოქმედებას.

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ 1752 წ. 1 მაისი.

ნაწყვეტები სმირნიდან მოსული წერილებიდან:

ცნობილი ქართველი პრინცის ერეკლეს მოქმედება სპარსეთში, არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც ამის შესახებ ევროპაშია ხმა გავარდნილი. ნამდვილი ვითარება შემდეგში მდგომარეობს: ზოგიერთმა სახანოებმა, რომლებადაც უბედური სპარსელები არიან დაყოფილი, ერეკლეს გაუხსნეს გზა თავისი ქვეყნისაკენ. ამის შედეგად იგი მიუახლოვდა თავისი მეზობლების საზღვრებს, თუმცა სპარსეთის შიდა პროვინციებისაგან ჯერ კიდევ შორს იმყოფება. მას დიდი დრო არ დასჭირდება სანამ ისპაჰანს მიაღწევდეს. საბაბის გარეშეც ვერ გაბედავს იგი იქით წასვლას. ისიც საეჭვოა, რომ 20 ათასი კაცით, რომელიც მთელს მის არმიას შეადგენს, შეძლებს ყველა დაბრკოლების გადალახვას, რომლებიც მას გზაზე შეიძლება გადაეღობოს. ასეთი მცირე არმიით, რა თქმა უნდა მას იმედი არ უნდა ჰქონდეს ვრცელი პროვინციების დაუფლებისა. სპარსელები კი, მრავალრიცხოვნობის წყალობით მალე დაამარცხებენ მას. ამგვარად უნდა მივუდგეთ ხსენებული პრინცის ღონისძიებებს და წარმატებებს. ჩვენი გაწაფული პოლიტიკოსები ასე ფიქრობენ: პორტა, ამბობენ ისინი, საიდუმლოდ უჭერს მხარს მას და იმდენად ეხმარება, რაც საჭიროა ერთმანეთში მოქიშპე სპარსელების დასასუსტებლად. მაგრამ ხსენებული დახმარება სრულიადაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მან შესძლოს მთელი სპარსეთის დაუფლება. შესაძლოა თურქები ამგვარ პოლიტიკას ატარებდნენ. მათი სულთანი მშვიდობისმოყვარეა და ომს მხარს არ უჭერს. თუმცა საკუთარი სიმშვიდისათვის, არც იმის წინააღმდეგი უნდა იყოს, რომ სხვათა საშუალებებით თავისი მეზობლები რაც შეიძლება დაასუსტოს. ასე, რომ სახელოვანი პრინცი ერეკლე, რომელიც საკუთარი ძალებით ვერაფერს შესძლებდა, პორტას დახმარებასა და ნებადართვის წყალობით იღებს საკუთარი მეომრული ჟინის დაკმაყოფილების საშუალებას, მაგრამ იგი იღვწის აგრეთვე სახელისათვისაც. ეს განა ცოტაა იმისათვის, რომ ამდენი სარგებლობა მოუტანო საკუთარ თავს. მომავალი გვიჩვენებს, რამდენად სამართლიანია ამგვარი მსჯელობა.

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ 1752 წლის 21 ივლისი.

კონსტანტინოპოლიდან 4 ივლისს:

ამ დღეებში დიდი დივანის სხდომაზე წაიკითხეს ზოგიერთი წერილი, რომლებიც იუწყებიან, რომ სპარსეთში არეულობა გრძელდება და რომ პრინცი ერეკლე ნაწილობრივ კვლავ აგრძელებს თავის დაპყრობებს. როგორც ჩანს, პორტა ჯერ კიდევ არ აპირებს მასში ჩარევას. ამბობენ, რომ დიდი მოგოლი მძულვარე თვალებით შესცქერის ხსენებული ქრისტიანი ხელმწიფის წარმატებებს. მან შაჰ დაუდთან დასდო ტრაქტატი და დაჰპირდა გაუგზავნოს

დამხმარე მებრძოლთა მრავალრიცხოვანი კორპუსი, რისთვისაც მას უკვე გაუგზავნია ფულის გარკვეული რაოდენობა.

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ 1753 წ. 5 იანვარი.

ვენეციიდან 1752 წლის 6 დეკემბერს:

ჩვენმა წარჩინებულმა ვაჭრებმა სმირნადან გამოგზავნილი წერილებიდან მიიღეს ცნობა, რომ მიმდინარე წლის აგვისტოს 1 რიცხვში, პრინცმა ერეკლემ შაჰ დაუდის არმიაზე გამარჯვება მოიპოვა. შაჰმა ჯარის მესამედი დაკარგა და აუწერელი ზარალი განიცადა, ხოლო თვითონ სახიფათოდ დაიწრა თავში. მცირერიცხოვანი თავისიანებით, თავის საშველად იგი დიდი მოგოლის საზღვრებისაკენ გაიქცა, რათა ხსენებული პრინცის ერეკლეს მსუბუქი ცხენოსნები არ დაეწივნენ და ტყვედ არ ჩაიგდონ აღნისნულ წერილებში აგრეთვე ნათქვამია, რომ პრინცის არმია თითქმის 35 ათასი კაცისაგან სედგება, ისე, რომ იგი ამჟამად სპარსეთის ტახტის ყველა პრეტენდენტზე ძლიერია, ხოლო მისი ძალები ყოველდღიურად მრავლდება ახალი მებრძოლებით და ფულით სხვადასხვა პროვინციებიდან.

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ 1753 წ. 19 თებერვალი.

ვენეციიდან 28 იანვარს:

რამდენიმე ხანია სპარსეთის საზღვრებიდან არავითარი ზუსტი ცნობა არ მიგვიღია. იქაური არეულობა იმდენად დიდია, რომ ძალიან ძნელია მიღებული ცნობებიდან ჭეშმარიტების დადგენა. სხვათა შორის ერთში კი თანხმობაა, რომ შაჰ დაუდი დამარცხდა და ისპაჰანიდან წავიდა, ხოლო ერეკლემ გაიმარჯვა და დედაქალაქის ხელმწიფე გახდა: აგრეთვე რომელიღაც სხვა მთავარმა, შემოიკრიბა რა თანამოაზრენი, თავს ძველი შაჰების - სეფიების დინასტიის შთამომავლად აცხადებს. ამბობენ, რომ შაჰ დაუდმა თავშესაფარი სთხოვა დიდ მოგოლს, მაგრამ ამ ხელმწიფემ უარი განუცხადა მას, იმის შიშით, რომ ერეკლემ, რომელიც სულ უფრო საშისი ხდება, შური არ იზიოს მასზე, ისე, როგორც ეს განსვენებულმა თაჰმასბ ყულიხანმა.

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ 1753 წ. 23 თებერვალი.

კონსტანტინოპოლიდან 2 იანვარს:

ორი კვირის წინ, დიდი სულთანის თანდასწრებით შეიკრიბა დივანი, რომელზეც განიხილეს სახელმწიფო საქმეთა მდგომარეობა და იენიჩერთა საკითხის მოგვარების აუცილებელი საჭიროება. პრინც ერეკლეს წარმატების მიმართ პორტა ფრთხილ დამოკიდებულებას იცენს. ამბობენ, რომ ყოველი შემთხვევისათვის სპარსეთის საზღვრებზე თავი მოუყარეს 50 ათას კაცს, ხოლო კორპუსის მეთაურობა დაავალეს ერზრუმის ფაშას.

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ 1753 წ. 23 მარტი.

ვენიდან 7 მარტს:

ახლახანს, თურქეთის მიწიდან მიიღეს ცნობა, რომ აქ მიმდინარეობს დიდი სამხედრო მზადება, თუმცა იგი არ მიმდინარეობს რომელიმე ქრისტიანულ სახელმწიფოზე თავდასხმის მიზნით. არამედ იმისათვის, რომ სპარსეთის გაჭიანურებულ არეულობაში ოტომანის პორტამ რაიმე სარგებელი მიიღოს. ადგილობრივი სასახლის კარს თურქეთის სამხედრო მზადება არ აშფოთებს, რადგან, ამჟამად, ჩვენი სამხედრო ძლიერება ისეთ მდგომარეობაშია, რომ საჭიროების შემთხვევაში, მოკლე დროში შესაძლებელია უნგრეთში მრავალრიცხოვანი არმიის შეკრება.

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ 1753 წ. 23 მარტი.

კონსტანტინოპოლიდან 20 იანვარს:

სულთნის თანდასწრებით შემდგეარმა დივანმა საადგინა სპარსე\თის საზღვრებზე მნიშვნელოვანი არმიის შეკრება და მის მეთაურად ერზრუმის ფაშის დანიშვნა. ამგვარი

გადაწყვეტილების მიზეზია, იენიჩერთა მღელვარების უვნებელყოფის აუცილებელი საჭიროება, აგრეთვე უწესრიგობა, რომელიც პორტას მიაყენა პრინც ირაკლის მოულოდნელმა წინსვლამ. პორტა შეეცდება, რათა მისი ძლევამოსილი არმია საბოლოოდ გამარჯვებული არ აღმოჩნდეს და რათა მორჩილებაში მოიყვანოს ისინი, რომლებიც მირვეისისა და ყულიხანის კვალს მიჰყვებიან.

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ 1753 წლის 4 მაისი.

შვედი ოფიცრის გუსტავ ფერდინანდ გილლენრამის ცნობები სპარსეთის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ:

სრულიად არ შეეფერება სიმართლეს, თითქოს ნადირ შაჰი მოეკლას მის ძმისშვილს და მემკვიდრეს ადილ შაჰს. მას არ შეეძლო მკვლელობაში მონაწილეობის მიღება, რადგან იმჟამად შაჰის კარზე არ იმყოფებოდა. ამ მკვლელობის მოთავე იყო შაჰის გვარდიის 3 მეთაურიდან ყველაზე წარჩინებული მაჰომედ ხან ყაჯარ ამარი. ამ ბოროტმოწმედების შემდეგ მაჰომედ ხანმა თავისი ხელმწიფის სიმდიდრე, მათ შორის გვირგვინი, სკიპტრა და ხმალი გაიტაცა თავის მამულში, ერევნის მახლობლად, სადაც თავი მოუყარა ლაშქარს და სხვა დანარჩენი ხანების მსგავსად დამოუკიდებელი გახდა. ერიგლერ ხანმა - ერეკლე II, რომელსაც გაზეთებში ირაკლის უწოდებენ, დაამარცხა იგი და წაართვა შაჰის რეგალიები, რომელნიც ახლა მასთან ინახება ტფილისში.

აქ საუბარია მოჰამედ ჰასან ხან ყაჯარზე, რომელიც 1749 წლის შემოდგომაზე მუღანის ველზე მომთაბარე თურქმანული ტომებით, ერევნის ასაღებად შემოიჭრა. ერევნის ხანმა დახმარება ქართლ კახეთის სამეფოს სთხოვა. როგორც ომან ხერხეულიძე მოგვითხრობს: ერეკლემ დაამარცხა იგი, რომელიც ყარაბაღისკენ უკუიქცა და „ხარ გვირაბის“ ციხეში გამაგრდა. მიჰყვა ირაკლი მეფე და ამ ციხეს გარს მოადგა. აღიღო ციხეცა და ცოლ შვილიცა ხანისა გამიუყვანა და რაცა აქვნდა სიმდიდრე ხაზინისა ყოველივე მეფემან ირაკლი წამოიღო და მობრძანდა ერევანს. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ირანელი ისტორიკოსის მეჰდი როუშან ზამირი გვაცნობებს: ერეკლე მეფეს დამარცხებული ჰყავდა მოჰამედ ჰასან ხან ყაჯარი - აღა მაჰმად ხანის მამა, იმხანად ასთრაბადის მმართველი და სპარსეთის ტახტის ერთ ერთი უძლიერესი პრედენდენტი. ზამირი წერს: იმ ხანებში, საუბარია ნადირ შაჰის მკვლელობიდან 1750 წლების პერიოდზე მოჰამედ ჰასან ხან ყაჯარმა, რომელსაც ასთარაბადში და სემდგომ მაზანდარში მოიპოვა დიდი ძლიერება, გაილაშქრა ერევანზე. ამ დროს გაერთიანდნენ მთელი რიგი მმართველები მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომ, როგორც კი მიუახლოვდა მოჰამედ ჰასან ხან ყაჯარი ერევანს, თეიმურაზი, ერევნის ხანის მოკავშირე თავის შვილთან ერეკლესთან ერთად, ერევნის დასაცავად გაემართა და სასტიკად დაამარცხა ირანელი მმართველი.

იმ საშინელი რბევის გამო, რაც სპარსეთმა ტახტის მაძიებელი სხვადასხვა ხანების მმართველობის ხანაში განიცადა, ახლა დანანებით იგონებენ შაჰ ნადირის მფლობელობას. როგორც ადრინდელ რელაციებში იყო ნათქვამი, შაჰის ტახტზე ასვლის შემდგომ, იგი მალე ჩამოაგდო საკუთარმა ძმამ იბრაჰიმ შაჰმა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა შაჰ ნადირის შვილიშვილის შაჰ შარის ხელში, უკანასკნელმა კი ორივე სიკვდილით დასაჯა.

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ 1753 წლის 16 ივნისი:

შაჰ შარის უბედურების მიზეზი იმდენად ნადირ შაჰისეული სიმდიდრის ხორასნიდან გატანის შიში არ იყო, რამდენადაც ხსენებული სიმდიდრის განიავება. მას ჰყავდა ქართველი ფავორიტი რეზულ ბეგი. შაჰ შარი თავისი ევნუხებიდან მხოლოდ მას ენდობოდა ყველაფერში და იმდენი განუსაზღვრელი ძალაუფლება მისცა, რომ მალე ამან სხვა ქვეშევრდომების უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით გამაღიზიანებლად ხანებზე მოქმედებდა და სწორედ ამან უბიძგა მათ ბოროტმოქმედებისაკენ, ის უკიდურესი თავისუფლებაა, რომლითაც რეზულ ბეგი თავისი მბრძანებელის სერალში შედიოდა. ხორასანში ორი მამაცი ხალხი ცხოვრობს, კერძოდ, არაბები და ქურთები. პირველებში ყველაზე წარჩინებული იყო ემირ ალემ ხანი, ხოლო

უკანასკნელთა შორის ტიაფერ ხანი, თავის ძმასთან ნალი ხანთან ერთად. ხსენებული მთავარი მეთაურები გაერთიანდენ და თავიანთი თანამოაზრენი შეაიარაღეს. მათ შაჰ შარს წარმოუდგინეს შედეგები სახელმწიფოსათვის, რაც რეზულ ბეგის-ბეგისადმი მის მიდრეკილებას შეიძლება მოჰყოლოდა, მაგრამ იმის მაგიერ, რომ გაფრთხილება შეესმინა, როგორც ამბობენ, შაჰმა თავიდან შემოიძარცვა ღირსების ნიშნები და მიწაზე დაანარცხა სიტყვებით, რომ მას მეგობრად ეყოლება ის ვისაც თვითონ მოისურვებს, და რომ რეზილ-ბეგს დაიცავს, თუნდაც ამისთვის უკიდურესი ზომების მიღება დასჭირდეს. (ამის შემდეგ) შეთქმულებმა აშკარად მოუწოდეს (დანარჩენ) ხანებს აღმდგარიყვნენ შაჰის წინააღმდეგ. იერიშით აიღეს რა მეხემად წოდებული სასახლე, მათ მოკლეს რეზულ ბეგი, ერთ ყველასთვის საძულველ ევნუხთან ერთად, ხოლო ნალი ხანმა საკუთარი ხელებით დასთხარა თვალები შაჰს; ამბოხებულმა მეთაურებმა თავიანთ ქვეშევრდომებთან ერთად გაძარცვეს სასახლე და დაეპატრონენ განძეულს. ამის შემდეგ შეუდგნენ ახალი შაჰის შერჩევას. მეშხედის იმამი რიზის მეჩეთში, მათ მოძებნეს სასულიერო პირი, ერთ - ერთი თორმეტი სპარსელი წმინდანიდან, რომელიც იწოდებოდა სეიდ მამუდად და დედის მხრიდან შაჰ სოლეიმანის შვილიშვილი იყო. იგი უკვე აღარ იყო ახალგაზრდა და შაჰობის იმედიც აღარ ჰქონდა. წამოიყვანეს, შაჰად აირჩიეს და გვირგვინზე უფლებისა და გვარობის ნიშნად სოლეიმან შაჰი უწოდეს. მაგრამ მისი მფლობელობა მხოლოდ ექვს კვირას გაგრძელდა. იმის გამო, რომ მან სიკვდილით დასაჯა ერთი ხანი, მორიგი ამბოხების დროს სოლეიმანი ტახტიდან ჩამოაგდეს, მისი გვარეულობა კი დააბრმავეს. ამის შემდეგ, კვლავ მოძებნეს შაჰ შარი და თუმცა იგი ბრმა იყო, მაგრამ გამოაცხადეს, ერთი თვალით ხედავსო და ხელახლა ტახტზე დასვეს. ხსენებული ხელმწიფე, რამდენადაც მდიდარი იყო, იმდენად ღატაკია ამჟამად, რადგან არავითარი შემოსავალი არ გააჩნია. ქვეშევრდომები მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ უხდიან მას კონტრიბუციას.

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ უწყებანი 1753. 20 ივლისი.

წინა ცნობების გაგრძელება:

ხსენებული პარტიებიდან არც ერთს არ ემხრობა ქართველი მთავარი ერიგლერ - ხანი, შვილი თეიმურაზ ხანისა, რომელმაც მას თავისი ტახტი დაუთმო. მან დაიპყრო სპარსეთის ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის მდებარე პროვინციების მნიშვნელოვანი ნაწილი; მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია იქამდე, რომ მ ისი წარმატებები, ან კიდევ მიზნები იმდენად დიდი იყოს, როგორც ამას გაზეთებში აცხადებენ. სულ არაა გასაკვირი, რომ ამგვარ სასაზღვრო ადგილებში მიმდინარე მოვლენები, გადაჭარბებულად აღიქმება მეზობლებში და ნაირნაირ მითქმა მოთქმას იწვევს, რადგან ეს ხმები მოგზაურთა და ვაჭართა მეოხებით, ყველგან ადვილად ვრცელდება. ხსენებული ცნობები სპარსეთის საშინაო ფარგლებს არ სცილდება. რადგან სამი შაჰის: ადილის, იბრაჰიმისა და შარის ურთიერთბრძოლების დროს, პროვინციებში უკიდურესი არეულობა იყო, ამან ქართველ მთავარს შესაძლებლობა მისცა გაძლიერებულიყო, მაგრამ არა იმდენად სხვათა მიწების დასაპყრობად, რამდენადაც საკუთარის დასაცავად. უფრო მეტად იგი ებრძოდა ავღანელებს, რომელნიც ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ თავრიზის პროვინციაში ცხოვრობდნენ და დაღესტნის მცხოვრებ ლეკებს. ერთი რამ ცხადია, აქ მომხდარი მოვლენები ხსენებული შაჰების წაინააღმდეგ არ იყო მიმართული. ლეკები და ავღანელები გარდა ვინმეს დატყვევებისა და ნადავლის ხელში ჩაგდებისა არაფერს დაეძებენ და იქ, სადაც დიდ წინააღმდეგობას არ ხვდებიან. ავღანელები ამჟამად ერიგელ ხანთან ანუ მთავარ ერეკლესთან კავშირში არიან. მათი ძალაუფლების ქვეშაა თავრიზი, აკულისი, ერდებილი და მთელი ნახიჩევანის პროვინცია. აქედან იღებენ ისინი შემოსავალს, ხოლო თვით არავის ხელისუფლებას არ ემორჩილებიან.

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ 1753 წლის 27 ივლისი.

ზემოთმოყვანილი ცნობების გაგრძელება:

ერევნისა და განჯის ხანები ქართველ პრინცს იმ დროიდან ემორჩილებიან, რაც მან ამ სახანოებიდან ლეკები განდევნა. მისი მფლობელობის ქვეშაა შირვანის პროვინცია, რომელიც

არაფერს აძლევს მას გარდა მებრძოლებისა, ესენი კი ემსახურებიან მას არა ჯამაგირისათვის, არამედ მხოლოდ ნადავლისათვის. ლეკები ორ პარტიად არიან გაყოფილნი: ერთნი მშვიდობით და მეგობრობით არიან დაკავშირებულნი ქართველ პრინცთან, ხოლო მეორე პარტიას, რომელსაც აჯი ჩელები მეთაურობს, იგი ყოველთვის ებრძოდა მეტ ნაკლები წარმატებით. დამარცხება, რომელიც გასული წლის გაზეთების მიხედვით, თითქოს მან განიცადა ლეკებისაგან, სხვა არა იყო თუ არა ის, რომ იგი იძულებული გახდა უკან დაეხია. ამის მიზეზი იყო პრინც ერეკლეს წინააღმდეგ სომეხი მებრძოლების ამბოხი და მართალია მისი სამშობლოს ნაწილი მაშინ რამდენადმე აოხრებულ იქნა, ხოლო ქალაქი განჯა კი აღებული, მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ მან ხელახლა იძია შური ლეკებზე და სრული გამარჯვება მოიპოვა მათზე. ასე, რომ აჯი ჩელების შვილმა, რომელიც მაშინ ლეკებს მეთაურობდა, ვერ შესძლო სწრაფად მთებში გაბრუნება და მებრძოლების, ტყვეებითა და ბარგის ნარჩენებით თურქეთის მიწაზე გაიქცა.

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“. 1753 წლის 30 ივლისი.

ზემოთმოყვანილი ცნობების დასასრული:

დასავლეთის ავღანელები, რომლებიც თავრიზისა და მის გარშემო მდებარე მიწებს დაეუფლენ, ასევე დანებებას არ აპირებენ და საჭირო იქნება მათი იარაღით დამორჩილება. ერიგლერ ხანი ანუ პრინცი ერეკლე, იმავე მდგომარეობაში აპირებს დარჩენას, რომელშიც ეხლა იმყოფება და იმ მიწების შერჩენას, რომლებსაც იგი დაეუფლა, მანამდე, სანამ რომელიმე პრეტენდენტი ტახტზე არ მომაგრდება, შემდეგ კი დაემორჩილება მას, ვისაც მთელი სახელმწიფო ცნობს შაჰად... ერიგლერ ხანს ანუ პრინც ერეკლეს, როგორც ჩანს შაჰ ისმაილთან, არავითარი ურთიერთობა არ უნდა ჰქონდეს; სამაგიეროდ მეგობრობა აქვს შაჰ შართან, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ისინი სიჭაბუკეში იცნობდნენ ერთმანეთს, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ამჟამად ერთმანეთისაგან არაფერს ითხოვენ.

„სანკტ პეტერბურგის უწყებანი“ 1753 წ. 6 აგვისტო.

სპარსეთის ტახტის მაძიებელთა შორის ბრძოლა კვლავ გრძელდება. უსინათლო შავრუხ ხანის მომხრეები სასტიკად დამარცხდნენ, ხოლო პრინც ერეკლეს პარტია იმდენად გაძლიერდა, რომ შეუძლია დანარჩენ სამივე პარტიას დაუპირისპირდეს. ამ პარტიათა მეთაურები არიან: კარინი ხანი, რომელიც ამჟამად ისპაჰანს ფლობს; იახი ხანი, რომელსაც 30 ათასი კაცი ჰყავს; შაჰ მოჰამედი, რომელიც 40 ათასი კაცით მიემართება ისპაჰანისაკენ, რათა კარინი ხანი იქიდან განდევნოს და თავად დაჯდეს ტახტზე.

ზემოთმოყვანილი ნაკლებადცნობილი და უცნობი მასალები აჩვენებს ერეკლე მეფის გავლენებს იმ პერიოდის ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში. ჩანს, რომ ეს გავლენები მძლავრი და ანგარიშგასაწევი იყო. ეს გავლენები მძლავრი და ანგარიშგასაწევი იყო მანამდე, სანამ რუსეთმა არ მოიკიდა ფეხი საქართველოში. რუსეთის შემოსვლის შემდეგ საქართველოს დიდების მზემ ჩასვლა დაიწყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

დიმიტრი შველიძე. სანკტ პეტერბურგის უწყებანი ერეკლე მეორის შესახებ ცისკარი 1983. №3. გვ. 114-120;

ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა თეიმურაზის ძისა, საქართველოს ცხოვრება. ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემა. 1913. გვ. 251-252;

მეჰდი როუშან ზამირი. საქართველოს ისტორიის ერთი მხარე. „ბარრასიჰაიე თარიხი 1974 წ. №5. აგრეთვე: უცხოელი ავტორები საქართველოს შესახებ. რეფერატების კრებული. თარგმნა ზ. შარაშენიძემ. 1975. გვ. 45.

სამართალმცოდნეობა

ლალი ჩოდრიშვილი

საკუთრების უფლების შეზღუდვა

საკუთრების უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. გათვალისწინებული ერთ-ერთი ყველაზე აბსოლუტური და მნიშვნელოვანი უფლებაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რა შეზღუდვები არსებობს მესაკუთრისათვის, როდის და რის სანაცვლოდ შეიძლება საკუთრების უფლების შეზღუდვა, ან როგორ უნდა დაიცვას მესაკუთრემ თავისი საკუთრება სხვა,მესამე პირებისგან. ქვემოთ განხილული თემა, ჩემი აზრით, საინტერესო და აქტუალური იქნება არა მხოლოდ ქონების მესაკუთრეებისთვის, არამედ საზოგადოების ფართო წრისთვის.

საკუთრების უფლებაზე საუბრისას, პირველ რიგში, უნდა განიმარტოს საკუთრების უფლების შინაარსი. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლში იმპერატიულად ადგენს, რომ „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება".

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით: „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას."

სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტებულია, რომ „საკუთრება წარმოადგენს ადამიანის ბუნებით უფლებას, რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პიროვნული თავისუფლება. ეს არის უფლებათა ის კატეგორია, რომელიც ადამიანს მანამ გააჩნია, სანამ ცოცხალია და მთელი ქონებაც რომ წაართვან, იგი ამ უფლების მატარებელი მაინც დარჩება, რადგან საკუთრების უფლება ქონების შეძენის შესაძლებლობაა და არა თვით ეს ქონება". საკუთრების უფლება ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა და საკუთრების დეფინიცია უცხო ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვითაც ანალოგიურია.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საკუთრების უფლება მოიცავს სამ ელემენტს- მფლობელობას,სარგებლობას და განკარგვას. მფლობელობა ეს არის ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა,რომელიც მოიპოვება მფლობელის ნებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის თანახმად,მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით.. სარგებლობა ნიშნავს მესაკუთრის უფლებას ისარგებლოს ქონებით.სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მესაკუთრე თვითონ წყვეტს ისარგებლოს თუ არ ისარგებლოს თავისი საკუთრებით,ანუ სარგებლობის უფლება ამ მხრივ თავისუფალია .რაც შეეხება განკარგვას იგი გულისხმობს როგორც ქონების გასხვისებას ასევე მის იპოთეკით ,,სერვიტუტით დატვირთვას და სხვა.

მართალია საკუთრების უფლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა,მაგრამ ის არ არის სრულიად აბსოლუტური უფლება.მესაკუთრის უფლებამოსილება შეზღუდულია ან კანონით,ან ხელშეკრულებით.თითოეული სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად,ისე,რომ ამით ზიანი არ მიადგეს სხვას,მესამე პირს.საკუთრების უფლების

გამოყენებით არ უნდა დაზარალდეს სხვა.აღნიშნული უფლება ბოროტად არ უნდა იქნეს გამოყენებული. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას,ის ადგენს საკუთრების უფლების შეზღუდვის დასაშვებ ფარგლებს.კერძოდ,საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს საჯარო ინტერესისთვის,კანონით და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით.

საკუთრების უფლების შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძველს კანონი წარმოადგენს,კერძოდ კი-საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ". აღნიშნული კანონის მიხედვით ზუსტად არის განსაზღრული ის გარემოებები, როდესაც შესაძლებელია საკუთღების ექსპროპრიაცია.მაგ: მაგისტრალის გაყვანა და სხვა.ექსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ,რა თქმა უნდა, მესაკუთრისათვის შესაბამისი კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ. ანუ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ,რომ საკუთრება არის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება, რომელიც დაცულია მთელი რიგი ნორმატიული აქტებით,მაგრამ ის არ არის შეუზღუდავი უფლება.ის მოქცეულია გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში.

მაგრამ პრაქტიკაში უმეტესად ვხვდებით ისეთ შემთხვევებს,როცა საკუთრების უფლების შეზღუდვა ხდება არა კანონით დაწესებული გარემოებების არსებობისას, არამედ მესამე პირების მიერ,ასეთ შემთხვევებში არსებობს საკუთრების უფლების დაცვის მთელი რიგი მექანიზმები. საკუთრების უფლების დაცვის საშუალებებია – ნეგატორული და ვინდიკაციური სარჩელები. ვინდიკაცია გამოიყენება მაშინ,როცა მესაკუთრეს წართმეული აქვს ნივთზე მფლობელობა.ასეთ დროს ხდება სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა მესაკუთრის მიერ. რაც შეეხება ნეგატორულ სარჩელს ამ შემთხვევაში ნივთი იმყოფება მესაკუთრესთან,მაგრამ ხდება ხელშეშლა. ის ვერ ახერხებს საკუთარი საკუთრებით სარგებლობას,განკარგვას. ასეთ დროს, მესაკუთრე უფლებამოსილია მოითხოვოს უკანონო ხელშეშლის აღკვეთა.

სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 172-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, უძრავი ქონების მესაკუთრეს კანონი ანიჭებს სასამართლოსათვის ვინდიკაციური სარჩელი მიმართვის შესაძლებლობას, ესაა სარჩელი, რომელსაც მესაკუთრე მაშინ იყენებს, როცა შელახულია ნივთზე მისი მფლობელობა, როდესაც მესაკუთრის ქონება უკანონო მფლობელობაშია. სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად უნდა დადგინდეს, რომ მოსარჩელე ნივთის მესაკუთრეა, მოპასუხე კი ნივთის მფლობელი, რომელსაც ამ ნივთის ფლობის უფლება არ გააჩნია. სამივე გარემოების არსებობის დადგენის შემთხვევაში სარჩელი მიიჩნევა საფუძვლიანად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლების მოთხოვნიდან გამომდინარე, უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენა ვლინდება საჯარო რეესტრიდან, ხოლო ამავე კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით რეესტრის მონაცემების მიმართ არსებობს უტყუარობის და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

თუმცა მეტად საინტერესო და სპეციფიკური მიდგომაა არასრულწლოვან პირთა მიმართ ვინდიკაციურ სარჩელებზე, თუ საქმე ეხება მესაკუთრის შვილიშვილებს. ბოლო დროს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, იმ პირობებში, როდესაც არ იკვეთება მესაკუთრის უპირატესი ინტერესი მოპასუხის და მასთან ერთად მცხოვრები არასრულწლოვნების-მოსარჩელის შვილიშვილების ინტერესთან მიმართებით, მოსარჩელე არამართლზომიერად იყენებს მესაკუთრის უფლებებს და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია. ასეთია უზენაესი სასამართლოს შეფასება მსგავს საკითხზე. საკითხისადმი ანალოგიური მიდგომაა გათვალისწინებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ: ,,14. საკასაციო პალატა

მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც არასრულწლოვანი ბავშვები დედასთან ერთად ცხოვრობენ პაპის კუთვნილ სახლში და საკუთრებაში უძრავი ქონება არ გააჩნიათ, მოპასუხის გამოსახლება გამოიწვევს მისი მცირეწლოვანი შვილების გამოსახლებასაც, მიუხედავად იმისა, რომ სასარჩელო მოთხოვნა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ ბავშვების მიმართ არ დაყენებულა. საკასაციო პალატა მიუთითებს სსკ- ის 1225-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს პაპისა და ბებიის საალიმენტო მოვალეობას შვილიშვილის მიმართ (პაპა და ბებია, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილიშვილი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია სარჩო მიიღოს თავისი მშობლებისაგან) და მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოცემული დავის ფარგლებში განსახილველ საკითხს არ განეკუთვნება აღნიშნული მუხლის შესაბამისად, პაპისათვის ალიმენტის დაკისრების შესახებ მოთხოვნა, აღნიშნული მუხლის სწორი, თანმიმდევრული, დასაბუთებული და ლოგიკური განმარტების შედეგად, მისი რეგულირების მიზანი მხოლოდ არასრულწლოვანისათვის მატერიალური საზრდოს დანიშვნა არაა, არამედ, მისი მოქმედების მასშტაბი უფრო ფართოა და მოიცავს არასრულწლოვანის უზრუნველყოფას საცხოვრებელით, მაშინ როდესაც, არასრულწლოვანს ამ სიკეთის მიღება თავის მშობლებისაგან არ შეუძლია“. (სუსგ. Nას-454-426-2017, 05.05.2017წ.).სასამართლო მიუთითებს „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციაზე, რომლის მონაწილე სახელმწიფოებიც აღიარებენ, რომ ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვისა და დახმარების უფლება. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. იმავე მუხლის მე- 2 პუნქტის თანახმად კი, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან, ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას“

ამ კატეგორიის საქმეზე პირადადაც მაქვს მსგავსი საადვოკატო პრაქტიკა. საკითხისადმი ასეთი მიდგომა მესაკუთრეთა გარკვეულ პროტესტს იწვევს და შესაძლოა, საფუძვლიანიც იყოს თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილებაში გამოყენებულია კანონის ანალოგია, მაშინ როცა არსებობს სპეციალური ნორმები საკუთრების უფლების შეზღუდვისთვის. ეს საკითხი, ვთვლი, საკმაოდ სენსიტიურია ორი უკიდურესობიდან გამომდინარე. ბავშვის საუკეთესო ინტერესის და მესაკუთრის ინტერესის დაცვა კანონით გარანტირებული უფლებებია და ბალანსი ისევ კანონით უნდა იყოს დაცული.

რომ შევაჯამოთ, საკუთრების უფლების დაცვის მექანიზმები საქართველოს და ევროპული კანონმდებლობის მიხედვით. შეიძლება ითქვას,რომ საკუთრების უფლების ფუნდამენტური საკითხები და დაცვის მექანიზმები არ მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში.თითოეულ მესაკუთრეს ეძლევა უფლება დაიცვას თავისი საკუთრება-ფლობდეს, სარგებლობდეს, განკარგავდეს მას გარდა კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების არსებობისას,რომლებიც ზემოთ იქნა განხილული. და სასამართლო პრაქტიკით, რაც კონკრეტულად ვინდიკაციურ სარჩელს ეხება. ყველა შემთხვევაში სასურველია მესაკუთრემ იცოდეს თავისი უფლებები და მისი დაცვის მექანიზმები.

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

კომერციული ბანკების საპროცენტო პოლიტიკა და განაკვეთების გაანგარიშების მეთოდები

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საბანკო პროცენტის დონე განისაზღვრება: პროცენტული განაკვეთების ეროვნულ სისტემაზე ზემომქმედი – მაკროეკონომიკური ფაქტორებით (საკრედიტო რესურსების მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ინფლაციური მოლოდინები, საკრედიტო რესურსების ბაზარზე კონკურენცია, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ეროვნული ეკონომიკის ღიადობა, კაპიტალების საერთაშორისო მიგრაცია, ვალუტების გაცვლითი კურსი, ქვეყნის საგახდო ბალანსის მდგომარეობა, გადასახადდაბეგვრის სისტემა) და კომერციული ბანკის პოლიტიკის საფუძველში ჩადებული – კერძო ფაქტორებით (რომლებიც განისაზღვრება მისი პოზიციით ბაზარზე, ოპერაციის ხასიათით და მისაღები რისკების სიდიდით).

პროცენტის საბაზრო განაკვეთის (I) გაანგარიშება შეიძლება შემდეგი სახით იქნას წარმოდგენილი (Mosiashvili v., 2019):

$I = r + e + RP + LP + MP$,

სადაც: r – არის პროცენტის რეალური განაკვეთი „რისკისგარეშე ოპერაციების“ მიხედვით;

e – არის პრემია, რომელიც სავალო ვალდებულების ვადაზე ინფლაციური მოლოდინების დონის ეკვივალენტურია;

RP – არის პრემია გადასახადის რისკზე;

LP – არის პრემია ლიკვიდურობის დაკარგვის რისკზე;

MP – არის პრემია რისკზე სავალო ვალდებულების დაფარვის ვადის გათვალისწინებით.

იმდენად რამდენადაც პროცენტები ბანკის აქტიური ოპერაციების მიხედვით თავისთავად წარმოადგენენ მისი საშემოსავლო ბაზის ყველაზე არსებით მუხლს, ხოლო პროცენტული ხარჯები კი მოსაზიდი რესურსების მიხედვით ძირითადი ხარჯების ფორმირებას ახდენენ, ბანკმა ადექვატური საპროცენტო პოლიტიკის გატარების მიზნით მიღებული (გადახდილი) პროცენტების ნაწილში ბანკის პოზიციის მახასიათებელი რიგი მაჩვენებლების დინამიკის ანალიზი უნდა განახორციელოს, როგორებიცაა: პროცენტული მარჟა, საბანკო მომსახურების შიდა ღირებულების კოეფიციენტი, საორიენტაციო პროცენტული მარჟა, ბანკის აქტიური ოპერაციების მინიმალური შემოსავლიანობა.

პროცენტული მარჟა – არის შემოსავლის მომტანი აქტივებისაგან მიღებული პროცენტულ შემოსავალსა და ბანკის ვალდებულებების მიხედვით განხორციელებული პროცენტულ ხარჯებს შორის სხვაობა, ყველაზე ხშირად მის გასაანგარიშებლად შემდეგი სახის ფორმულა გამოიყენება (Mosiashvili):

$M_{ფაქ.} = (D_{პრ.} - P_{პრ.}) : A_{პრ.} \times 100\ \%$,

სადაც: $M_{ფაქ.}$ – არის ფაქტიურად ჩამოყალიბებული პროცენტული მარჟის სიდიდე პერიოდში;

$D_{პრ.}$ – არის პროცენტული შემოსავლები;

$P_{პრ.}$ – არის ხარჯები პროცენტების გადახდასთან დაკავშირებით;

$A_{პრ.}$ – არის აქტივები, რომლებიც პროცენტების სახით შემოსავლის მომტანებია.

საბანკო მომსახურების შიდა ღირებულების კოეფიციენტი, ანუ მინიმალური პროცენტული მარჟა ($M_{მინ.}$) – არის პროდუქტიულად განთავსებული სახსრების თითოეულ ლარზე მიღებული საკომისიოებითა და სხვა შემოსავლებით გადაუფარავი დანახარჯები, რომელიც შეიძლება გაანგარიშებული იქნას ფორმულით:

$M_{მინ.} = (PB – D_{სხვ.}) : A_{მუშ.} X 100 \%$,

სადაც: PB – არის ხარჯები ბანკის საქმიანობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;

$D_{სხვ.}$ – არის სხვა შემოსავლები საკრედიტო დაწესებულების;

$A_{მუშ}$ – არის ბანკის აქტივები, რომლების დაბანდებულ სახსრებზე შემოსავლის მომტანებია.

საორიენტაციო პროცენტული მარჟა (M) – არის მარჟის ის სიდიდე, რომლისაკენაც საკრედიტო გარიგებების განხორციელებისას უნდა მიისწრაფოდეს ბანკი, იმისათვის რომ არა მარტო მის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჟები გადაფაროს, არამედ დაგეგმილი მოგებაც მიიღოს, რაც შემდეგი ფორმულით გაიანგარიშება (Valeri, sabanko saqme, 2021):

$M = N_{საშ.} + M_{მინ.} + P_{მინ.}$,

სადაც: $N_{საშ.}$ – არის დანამატი მოზიდული სახსრების საშუალო ღირებულებაზე;

$M_{მინ.}$ – არის მინიმალური პროცენტული მარჟა;

$P_{მინ.}$ – არის ბანკის აქტიური ოპერაციების მომგრბიანობის მონიმალური ნორმა.

ბანკის აქტიური ოპერაციების მინიმალური შემოსავლიანობა ($D_{მინ.}$) შემდეგი ფორმულით განისაზღვრება (მოსიაშვილი & მამაცაშვილი, 2021):

$D_{მინ.} = CP + N_{საშ.} + M_{\cancel{მინ.}} + P_{მინ.}$,

სადაც: CP – არის ბანკის მოზიდული რესურსების საშუალო ღირებულება.

საპროცენტო განაკვეთი – არის სასესხო კაპიტალზე პროცენტული გადახდების ფარდობითი სიდიდე დროის გარკვეული პერიოდისათვის, ჩვეულებრივად წლის განმავლობაში. იგი გაიანგარიშება როგოეც წლის განმავლობაში პროცენტული გადახდების აბსოლუტური თანხის თანაფარდობა ნასესხები სახსრების საშუალო სიდიდესთან.

პროცენტის საბაზრო დონის ცვალებადობაზე რეაგირების ხარისხის მიხედვით განასხვავებენ ფიქსირებულ (დგინდება ნასესხები რესურსების გამოყენების მთლიან პერიოდზე მათი დონის ცალმხრივად გადასინჯვის გარეშე) და მცურავ (ჩამიყალიბებულია ორი შემადგენელი ნაწილისაგან: მოძრავი საფუძვლისაგან, რომელიც იცვლება საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად და ფიქსირებული სიდიდისაგან, ჩვეულებრივად უცვლელია დაკრედიტების ან სავალო ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის მთლიანი პერიოდის განმავლობაში) საპროცენტო განაკვეთებს.

ასევე განასხვავებენ პროცენტის ნომინალურ და რეალურ განაკვეთებს, რომელთა შორის ურთიერთკავშირი შეიძლება შემდეგი სახით გამოისახოს (Mosiashvili Valeri, 2022):

$i = r + e$, ან $i = r + e + re$,

სადაც: i – არის პროცენტის ნომინალური ან საბაზრო განაკვეთი;

r – არის პროცენტის რეალური განაკვეთი;

e – არის ინფლაციის ტემპი.

სასესხო პროცენტის სხვადასხვა ფორმები პრაქტიკაში მრავალფეროვან საპროცენტო განაკვეთებს განსაზღვრავენ. საბანკო პროცენტების განაკვეთების სისტემა მოიცავს: ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო განაკვეთს, ბანკთაშორისო ფულადი ბაზრის განაკვეთებს, დეპოზიტურ განაკვეთებს მოზიდულ სახსრებზე, პროცენტულ განაკვეთებს კრედიტებზე და მრავალი სხვა.

ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო განაკვეთი (კომერციული ბანკების რეფინანსირების განაკვეთი) – არის ცენტრალური ბანკის მხრიდან ოფიციალურად გაცხადებადი კომერციული ბანკების დაკრედიტების განაკვეთი.

ბანკთაშორისო საპროცენტო განაკვეთები – არის პროცენტული განაკვეთები კრედიტებზე ბანკთაშორისო ფულად-საკრედიტო ბაზარზე, რომლებიც საბაზრო კონიუნქტურაზე მეტი ხარისხითაა ორიენტირებული.

დეპოზიტური განაკვეთების სახეობები დეპოზიტური ინსტრუმენტების ხასიათით და მათი ვადიანობით განისაზღვრება. დეპოზიტური განაკვეთი ყოველთვის საკრედიტოზე რამდენიმე პუნქტით დაბალია, სხვაობას უწოდებენ სპრედს და სწორედ მის ხარჯზე იფარება ხარჯები ბანკის მუშაობის უზრუნველყოფაზე და მოგების ფორმირება ხორციელდება. კომერციული ბანკის დეპოზიტური ბაზის სტრუქტურა მისი საოპერაციო ხარჯების ფორმირების განმსაზღვრელია და მას ლიკვიდურობის მართვის თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. დეპოზიტურ ინსტრუმენტები დაიყოფა შემდეგ ჯგუფებად: დეპოზიტები მოთხოვნამდე; ვადიანი დეპოზიტები იურიდიული პირების; დეპოზიტები ფიზიკური პირების; გამოშვებული თამასუქები; დეპოზიტური და საშემნახველო სერთიფიკატები და სხვა. ბანკის სადეპოზიტო ბაზის მახასიათებელ ძირითად მაჩვენებლებს მისი სტრუქტურისა და ფასობრივი პარამეტრების პოზიციიდან წარმოადგენენ:

ა) მოზიდული სახსრების საშუალო რეალური ღირებულება დეპოზიტური (ღდ) ოპერა-ციების სახეობების მიხედვით, რომელიც გაიანგარიშება მითითებული რესურსების საბაზრო ნომინალური ფასის საფუძველზე და მისი ცენტრალურ ბანკში დეპონირებადი სავალდებულო რეზერვების ნორმატივზე კორექტირებით:

დეპოზიტური ღირებულება (ღდ) = = საბაზრო ნომინალური პროცენტული განაკვეთი (პგ) :
: (100 – სავალდებულო რეზერვის ნორმა);

ბ) საბაზრო ნომინალური საპროცენტო განაკვეთი (სგ) დეპოზიტური ინსტრუმენტების ცალკეული სახეობების მიხედვით :

სგ = პროცენტების ჯამი გადახდილი წლის განმავლობაში :
: შესაბამისი დეპოზიტის საშუალო მოცულობა X 100 % .

საბანკო პრაქტიკაში პროცენტების დარიცხვის სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება. ძირითადი ვალის სიდიდის განსაზღვრის (პროცენტების დარიცხვის ბაზის) მეთოდზე დამოკიდებულებაში განასხვავებენ მარტივ და რთულ პროცენტებს.

მარტივი პროცენტები უპირველეს ყოვლისა მოკლევადიანი დაკრედიტებისას გამოიყენება, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრულ თვეში ერთხელ ან სხვა ვადაში ხორციელდება პროცენტების დარიცხვა და მათი კრედიტორზე გადახდა. მსესხებლის გადასახდის საერთო მოცულობა დავალიანების ძირითადი თანხის გათვალისწინებით ტოლი იქნება:

$$S = P (1 + ni) ,$$

სადაც: S – არის კრედიტის მიხედვით გადახდების თანხა საწყისი ვალის გათვალისწინებით;

P – არის საწყისი ვალი;

i – არის პროცენტების განაკვეთი;

n – არის სესხის ვადიანობა წლებში.

ძალიან ხშირად საბანკო პრაქტიკაში გვიხდება ოპერაციის განხორციელება, რომელიც პროცენტების დარიცხვის საპირისპიროა (დისკონტირება). ასეთი ამოცანა წარმოიშობა, მაგალითად, დისკონტურ თამასუქებთან გარიგებების განხორციელებისას. ამ შემთხვევაში სააღრიცხვო ფასის გაანგარიშებისას შემდეგი სახის ფორმულა უნდა იქნას გამოყენებული:

$$P = S (1 – ni) ,$$

სადაც: i – არის დისკონტური განაკვეთი;

P – არის გარიგების ფასი;

S – არის თამასუქის ნომინალი;

n – არის თამასუქის დაფარვის ვადამდე დარჩენილი დღეების რაოდენობის თანაფარდობა დროით ბაზასთან.

მაგალითად, ბანკი ითვალისწინებს თამასუქს ვალდებულების დაფარვის დადგენილ ვადამდე 20 დღით ადრე. თამასუქის ნომინალია – 100 მლნ ლარი; სააღრიცხვო განაკვეთი – წლიური 13 %-ის ტოლია. ამ შემთხვევაში გარიგების თანხა ტოლი იქნება:

P = 100 (1 – 0,13 X 20 : 365) = 99 (მლნ ლარს).

საბანკო პრაქტიკაში რთული პროცენტის გამოყენება, როგორც წესი, საშუალოვადიან და გრძელვადიან ოპერაციებში არის შესაძლებელი, როდესაც დარიცხული თანხები კრედიტორს გარიგების დასრულებამდე კი არ გადაეხდება, არამედ გაიზრდება ვალის ძირითად თანხა. ფიზიკური პირების ანაბრებთან მიმართებაში მიიღო.

რთული პროცენტების დარიცხვისა და დავალიანების საერთო თანხის განსაზღვრის ფორმულა შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ (V. Mosiashvili, 2021):

S= $P(1+i)^n$,

სადაც: S – არის დავალიანების თანხა გარკვეული პერიოდის შემდეგ;

P – არის გაცემული სესხის მოცულობა;

i – არის პროცენტის განაკვეთი;

n – არის სესხის ვადა წლებში.

მაგალითად, ბანკის მიერ მსესხებელზე გაცემულია სესხი 10000 ლარის მოცულობით, ხუთი წლის ვადით, კრედიტის ვადის დასრულებისას წლიური 10 %-ის გათვალისწინებით. საჭიროა განისაზღვროს დავალიანების სიდიდე ხუთი წლის შემდეგ:

$S = 10000\,(1+0{,}1)^5 = 16105$ ლარი.

პროცენტული რისკი – არის ფინანსური დანაკარგების ალბათობა საპროცენტო განაკვეთების დონის დროში ცვლილების შედეგად. კომერციულ ბანკებთან მიმართებაში პროცენტული რისკი შეიძლება განსაზღვრული იქნას როგორც ბანკის წმინდა შემისავლის შემცირების რისკი (მისი კაპიტალის ღირებულების დაკარგვა) საპროცენტო განაკვეთების დონის ცვლილების შედეგად. ამრიგად, პროცენტული რისკი გამოხატავს საკრედიტო ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის საპროცენტო განაკვეთების არასასურველი ცვლილებებისადმი მიდრეკილების დონეს.

ბაზელის კომიტეტი საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის პრინციპებში (1997 წ.) პროცენტული რისკის შემდეგი ოთხი წყარო არის გამოყოფილი: ფასის ცვლილების რისკი; შემოსავლიანობის მრუდის ცვლილების რისკი; საბაზისო რისკი; ოფციონებთან დაკავშირებული რისკები.

საპროცენტო პოლიტიკა – ფართე თვალსაზრისით არის საპროცენტო განაკვეთების მართვის მეშვეობით ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებასთან მიმართებაში ღონისძიებების ერთობლიობა.

კომერციული ბანკების საპროცენტო პოლიტიკა მომართულია წმინდა პროცენტული შემოსავლის მაქსიმიზაციაზე საბანკო ოპერაციებიდან, საკრედიტო რისკის დაზღვევიდან და ბანკის ბალანსის ლიკვიდურობის მართვისაგან.

საპროცენტო პოლიტიკის მეშვეობით ბანკი შემდეგი ამიცანების გადაწყვეტას ახორციელებს:

- ისახავს მიზნებს, რომელთა რეალიზაციაზეა საპროცენტო პოლიტიკის განხორციელება მიმართული;
- განსაზღვრავს ბანკის მართვის ორგანიების უფლებამოსილებებს, ასევე ბანკის პასიური და აქტიური ოპერაციების მიხედვით საპროცენტო განაკვეთების დადგენისა და გადახედვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების წესს;
- ადგენს საბანკო ოპერაციებზე მაქსიმალურ და მინიმალურ საპროცენტო განაკვეთებს, ასევე იძლევა საჯარიმო და შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთების განმარტებას;

• განსაზღვრავს ბანკის ქვედანაყოფს, რომელიც საპროცენტო რისკის შეფასებაზეა პასუხისმგებელი;

• ამტკიცებს მეთოდებს, რომელსაც ბანკი პროცენტული რისკის შესაფასებლად იყენებს;

• ადგენს ინსტრუმენტარიებს, რომელიც პროცენტული რისკის შეზღუდვისათვის გამოიყენება.

პროცენტები – არის მათემატიკური მცნებებიდან ერთ-ერთი, რომლებიც ხშირად გვხვდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სიტყვა „პროცენტები“ წარმოშობილია ლათინურიდან centum, რაც პირდაპირ ნიშნავს „ასეულზე“ ან „ასეულიდან“. პროცენტების გამოყენება ძალიან მოხერხებულია პრაქტიკაში, რმდენადაც ისინი გამოხატავენ რიცხველის მთლიან ნაწილებს ერთი და იგივე ასეულ წილადებში. ნიშანი „%“ წარმჰქმნილია, როგორც ფოქრობენ, იტალიური სიტყვიდან CENTO (ასი), რომელიც პროცენტულ გაანგარიშებებში ხშირად იწერებოდა შემოკლებით ასი.

არსებობს სხვა ვერსიებიც აღნიშნული ნიშნის წარმოშობისა. ვარაუდობენ, რომ აღნიშნული ნიშანი წარმოიშვა შეუსაბამო ბეჭდვითი შეცდომის შედეგად, დაშვებული ასოთამწყობის მიერ. 1685 წელს პარიზში გამოქვეყნებული იქნა წიგნი – სახელმძღვანელო კომერციული არითმეტიკის მიმართებაში, სადაც შეცდომით ასოთამწყობმა „ასის“ მაგიერ აკრიბა „%“. პროვენტების გაანგარიშებისათვის პირველმა გამოაქვეყნა ცხრილები 1584 წელს სიმონ სტევინმა – ქ. ბრიუგედან (ნიდერლანდები) ინჟინერმა. პროცენტები გამოიყენებოდა მხოლოდ სავაჭრო და ფულად გარიგებებში. შემდგომ მათი გამოყენებისსფერო გაფარტოვდა, პროცენტები გვხვდებიან სამეურნეო და ფინანსურ გაანგარიშებებში, სტატისტიკაში, მეცნიერებაში და ტექნიკაში.

რომაელები იღებდნენ მევალისაგან „სიჭარბით“ (ანუ ფულს იმაზე იმეტად, რაც ვალად ქონდათ გაცემული). ამასთან ამბობდნენ: „თითოეულ 100 ცენტნერ ვალზე გადასახდელი იყო 16 ცენტნერის სიჭარბე“.

პროცენტების ისტრია საქართველოში (ისევე როგორც რუსეთში) მრავალსაუკუნოვანია. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცნობილი იყო გადახდების მრავალრიცხოვანი სახეობები პროცენტის ნატურით – საქონელი, ხორბალი და ა.შ. გადახდით. ელზავეტა I-ის მეფობისას 1754 წელს პირველი ბანკები იქნა დაარსებული. პროცენტების ისტორია 1809 წლიდან დაიწყო ფასიანი ქაღალდები – ობლიგაციებიდან მისი ღირებულების თანხიდან %-ის მიღებაზე უფლებით. აღნიშნულთან დაკავშირებით პირველად ბირჟა 1920 წელს ჩამოყალიბდა. მოგვიანებით გავრცელება დაიწყო კრედიტებმა.

თანამედროვე პირობებში პრპცენტი – არის ათეული წილადებისათვის კერძო სახეობა, ასეული წილი მთლიანისათვის (მიღებული ერთის ტოლად), აღინიშნება ნიშანით „%“. პროცენტების ისტირიის დასარული არ ჩანს, იგი აგრძელებს ცხოვრებას.

პროცენტების სახეობები:

პროცენტები – გამოიყენებიან სამეურნეო საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის მრავალ სფეროებში, ასევე სხვადასხვა სტატისტიკურ გაანგარიშებებში.

სამთავრობო სესხები თავისთავად სახელმწიფოსათვის კრედიტებს წარმოადგენენ. კრედიტორები მოელიან არა მარტო თავიანთი ვალის დაბრუნებას, არამედ მათი ფულის გამოყენებაზე საფასურის გადახდასაც.

რამდენადაც კრედიტების მიმართებაში ასეთ გადახდებს ეწოდება პროცენტული, მეთოდებს, რომელთაც მთავრობა იყენებს აღნიშნული პროცენტების გადასახდელად – „იწოდებიან“ პროცენტების სახეობებად, როგორებიცაა:

• გაცხადებული პროცენტი – სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას გამოცხადებული საპროცენტო განაკვეთი;

• მცურავი პროცენტი – არის საპროცენტო განაკვეთების ცვლილება ვალის დაფარვის ფარგლებში;

• კომპოზიციური პროცენტი – დაბალი როცენტი საჩუქრად;

• ვალის პროცენტი – არის ვადაში დაუბრუნებელი პროცენტი;

• სოფლისმეურნეობრივი პროცენტები:

ეკონომიკისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ ჩვენს ქვეყანაში საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების წარმოქმნა გამოიწვია. პროცენტებმა დიდი განვითარება მოიპოვეს სოფლისმეურნეობის წარმოებაში. გეგმიური ეკონომიკის პერიოდში წარმოქმნილი მეურნეობები ფინანსურ მხარდაჭერას ღებულობდნენ, ხოლო 1994 – 1995 წლებში ფერმერული მეურნეობების რაოდენობის ზრდა შენელდა. ერთ-ერთ ძირითად ელემენტს კომერციული გაანგარიშება წარმოაგენს.

კომერციული გაანგარიშება – არის მეურნეობის გაძღოლის მეთოდი, რომელიც დანახარჯების სწორად განაწილებაზეა დაფუძნებული, მიზანი – კი არის დიდი მოგების მიღება, დანახარჯების განხორციელების გარეშე.

• სტატისტიკური პროცენტები – პრობლე-მების გადაწყვეტისათვის და საწარმოს შედეგიანობის გაუმჯობესებისათვის არის საჭირო;

• საბანკო პროცენტები:

- დისკონტირება – არის პროცენტები, რომლებიც ვალის ძირითად თანხასთან გადაიხდება;

- კუპონურები – არის მუდმივი წლიური პროცენტული თანხა, რომელიც წელიწადშე ერთხელ ან ნახევარწელიწადში ერთელ გადაიხდება;

- დეპოზიტი – არის პროცენტების გაანგარიშება დანაზოგების მიმართებაში, რომ საკუთარი ფულადი სახსრები ვმართოთ;

- ინდექსაცია – ხორციელდება მაშინ, როდესაც შრომის ანაზღაურება დაბალია, ხოლო ფასები კი მაღალი.

• რთული პროცენტები – არის „პროცენტების პროცენტებზე“ დარიცხვა, როდესაც ერთ საანგარიშო პერიოდში დარიცხული შემოსავალი ემატება დაბანდებული კაპიტალის საერთო ჯამს, და შემდეგ საანგარიშო პერიოდში პროცენტი უკვე მეტ თანხაზე დაირიცხება. პროცენტების კაპიტალიზაცია – არის შემოსავალის დამატების პროცესი დეპოზიტის საწყის („სხეული“) სიდიდეზე.

საბანკო საქმე იტალიური აღორძინების დროს წარმოიშვა და დასაწყისში დიდ პატივისცემას არ იმსახურებდა. ბანკირები ცდილობდნენ პატივისცემულები გამხდაიყვნენ თავისი სიმდიდრის, არისტოკრატიული ტიტულების და მაღალი საეკლესიო თანამდებობების გადიდების ხარჯზე, მაგრამ საზოგადოებრივი აღიარება მათ მხოლოდ მოსახლეობის უმდაბლესი ფენებისათვის მომსახურეობების განხორციელების მიმართებაში მასიური ოპერაციების შემდეგ მიიღეს. აღნიშნული გახდა შესაძლებელი ამერიკის უდიდესი სიმდოდრეების აღმოჩენის საფუძველზე. ადამიანები, რომლებიც ტრადიციულად დამოკიდებულები იყვნენ ფულზე (ჯარისკაცები, მხატვრები, იურისტები, ექიმები), ამჟამად უკვე დამიზნებულები იყვნენ ხელფასის მიღებაზე, და არა მათი მომსახურეობების საქონელით (საცხოვრებელი, სურსათი, მარილი) ანაზღაურებაზე. ასე დაიწყო საპროცენტო განაკვეთის ისტორია.

სიმდიდრის გადანაწილებამ, განსაკუთრე-ბით მე-17-ე საუკუნეში, ბიძგი მისცა მოვაჭრეების საშუალო კლასის ამაღლებისაკენ. მათ, თავის მხრივ, წარმოშვეს ახალი პროფესიები, დაკავში-რებულები ფულთან. საბანკო საქმის გაფართოებით წარმოიშვბენ ბროკერები, რომლებიც სპა-ციალიზირდებოდნენ ყოველივესი გაყიდვაზე და შეძენაზე – მიწის ფართობებიბიდან აქციებამდე. ბანკებს დასჭირათ სულ უფრო მეთი რაოდენობი ფულის მოზიდვა, და ამ პერიოდისათვის დაიწ-ყო საბანკო დეპოზიტების, კრედიტებისა და საპროცენტო განაკვეთების სისტემისდ გაფორმება, რომლის დროსაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო გამხდარიყო მევახშე და ეცხოვრა პროცენტებზე.

მარტივი და რთული საპროცენტო განაკვეთი:

აღნიშნულ საკითხს ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ, ამდენად აქ მიზანშეწონი-ლად მივიჩნიეთ ავღნიშნოთ, რომ საბანკო პროცენტების დარიცხვა შეიძლება შესრულებული

იქნას ორი ხერხით, რომლებმაც მიიღეს შესაბამისად სახელწოდება – მარტივი და რთული პროცენტი.

პირველ შემთხვევაში – მართივი პროცენტებისას გაიგება, რომ გაანგარიშებების (დარიცხვის) საფუძვლად ყოველთვის ხელშეკრულების ვადის განმავლობაში კრედიტის (დეპოზიტის) საწყისი ძირითადი თანხა მიიღება (Valeri, DIGITALIZATION – DIGITAL TRANSFORMATION OF BUSINESS PROCESS IN CREDIT SYSTEM“, 2022):

$$A = A_0 (1 + p),$$

სადაც: A – არის საბოლოო თანხა;

A_0 – არის საწყისი დაბანდება;

P – არის %, რომელთაც არიცხავს ბანკი, (ჩაიწერება წილადებად).

რთული პროცენტი ითვალისწინებს, რომ თითოეულ შემდგომ პერიოდში თანხა, რომელზეც დაირიცხება პროცენტი, იზრდება (დიდდება) წინა პეეიოდში მიღებული პროცენტების სიდიდეზე.

ტრადიციულად უფრო სარგებლიანად მიღებულია ჩაითვალოს დეპზიტები რომელთა მიმართებაში ბანკი არიცხავს რთულ პროცენტებს (თუმცა აღნიშნული აქსიომური მტკიცებულება ჩვენს მიერ ნაწილობრივ უარყოფილია და სახელმძღვანელოს ბოლო ქვეთავში განხილული გვექნება მარტივი პროცენტების ფორმულით კუთვნილი დივიდენდების მნიშვნელობა წლის შიდა პერიოდებში დარიცხვისას, მცირეოდენით მაგრამ მაინც უფრო მეტი აღმოჩნდა რთულ პროცენტის ფორმულით მიღებულთან შედარებით). კრედიტების მიმართებაში სიტუაცია შებრუნებულია. სარგებლიანად ითვლება პროცენტი, გაანგარიშებული არა კრედიტის მთლიან თანხაზე, არამედ ბანკისათვის დაუბრუნებელი ფულადი სახსრების ნაშთებზე.

რთული პროცენტების ფორმულა – არის ფორმულა, რომლის მიხედვით გაიანგარიშება ჯამური თანხა კაპიტალიზაციის (პროცენტის დარიცხვის) გათვალისწინებით:

$$A = A_0 (1 + p)^n,$$

სადაც: A – არის საბოლოო თანხა;

A_0 – არის საწყისი დაბანდება;

P – არის %, რომელთაც არიცხავს ბანკი, (ჩაიწერება წილადებად);

n – წლების რაოდენობა.

ბიბლიოგრაფია

Mosiashvili v. (2019, 6 3). *https://dergipark.org.tr/en/pub/kdeniz/issue/48671/573640*. Retrieved from https://dergipark.org.tr/en/pub/kdeniz/issue/48671/573640.

Mosiashvili Valeri. (2022, November 21). *http://ijsser.org/more2022.php?id=262*. Retrieved from http://ijsser.org/more2022.php?id=262.

Mosiashvili, V. Chelidze M.,. (2020). *Banking.* Tbilisi: Dani.

Mosiashvili, V. (n.d.). https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95. *https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95.* Turiba.

V. Mosiashvili, E. M. (2021). Systemic management of financial risks under globalization. Tbilisi: Dani.

Valeri, M. (2021). *sabanko saqme.* Tbilisi: Dani.

Valeri, M. (2022). DIGITALIZATION – DIGITAL TRANSFORMATION OF BUSINESS PROCESS IN CREDIT SYSTEM“. *International Journal of Social Science and Economic Research*, https://ijsser.org/view past2022.php?issue=12.

მოსიაშვილი, ვ., & მამაცაშვილი, ე. (2021). *ფინანსური რისკების სისტემური მართვა გლობალიზაციის პირობებში.* Tbilisi: Dani.

ხელოვნება

ირმა კეკელიძე

"დამაყარეთ გულზე მინდვრის ყვავილი"

2023 წლის 17 ნოემბერია... 17 ნოემბერი, მეფე-პოეტის, გალაკტიონის დაბადების დღე...ყველაფერი უფლის ნებაა!.. მეფე-პოეტის დაბადების დღეს დაემთხვა დღე, რომელიც მშვენიერი პოეტი ქალის(აფხაზეთში) აფხაზი სეპარატისტების მიერ ვერაგულად დახვრეტილ, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ხსოვნას მიეძღვნა... დიდი ხელოვანის, ვალერი არქანიას სახელობის არტ- გალერეაში, რაღაც განსაკუთრებული, განსხვავებული, საინტერესოს მოლოდინში მყოფი ადამიანების გარემოცვა სუფევდა... საღამო, რომელიც ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ხსოვნას მიეძღვნა, ძალიან საინტერესო და განსხვავებულ ჭრილში წარიმართა... ჩვენ ვნახეთ დოკუმენტური ფილმი-სპექტაკლი... ფილმი-სპექტაკლი, სრულფასოვანი რეჟისურით, სცენარით, ოპერატორის ლამაზი ხედვით...ფილმი-სპექტაკლით, რომელიც გაჯერებულია, სამშობლოს სიყვარულს ზვარაკად შეწირული პოეტი ქალის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის, ლამაზი ლექსებით...ფილმში მონაწილე პიროვნებების დამაჯერებელი თხრობით და კომპოზიტორ ია მაისაიას, ულამაზესი მუსიკით...კომპოზიტორი ია მაისაია, თავადვე გახლავთ, საღამოს (დოკუმენტური ფილმის) პროექტის ავტორი და სულის ჩამდგმელი...ფილმის რეჟისორია, ნიჭიერი შემოქმედი- ზვიად მიქელაძე, სცენარის ავტორი, ასევე ნიჭიერი მწერალი-ნინო ხოფერია... ფილმის სახელწოდებაა "დამაყარეთ გულზე მინდვრის ყვავილი", რომელიც პოეტი ქალის, არა მხოლოდ ლექსების, არამედ ბიოგრაფიის ეკრანიზაციასაც წარმოადგენს.

კონემატოგრაფიაში, როგორც მხატვრულ, ასევე დოკუმენტურ ფილმებში, აუცილებელია ავტორისეული და რეჟისორული ხედვის თანხვედრა...ეს თანხვედრაა, ემოციური, თავშეკავებული, ესთეტიური, მუსიკალური, რაციონალური ხედვის, შინაარსობრივი გზების ძიების და ა.შ. მრავალი სხვა ფაქტორის თანხვედრა, რომელიც ფილმს ყურებადსა და მისაღებს გახდის, ყველაზე მკაცრი შემფასებლისათვის, მაყურებლისათვის... ფილმი, რომელიც ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ცხოვრებას ეხება, სრულყოფილად მოიცავს ყველა იმ საჭირო კომპონენტს, რომელიც აუცილებელია დოკუმენტური სანახაობის შექმნისათვის...ცხადია, რომ, სანახაობრივი თვალსაზრისით, ბრძოლისა და ადამიანის მოკვდინების (ვერაგულად დახვრეტის) პროცესი, ემოციურად მძიმე და უფრო ზემოქმედია, ვიდრე მონათხრობი რეალობის მოსმენა, ფიქრი, განსჯა...ჩვენს შემთხვევაში ფილმის განვითარება დაბალანსებულად ხდება და არა თანდათანობით დაძაბვით და ტრაგედიის კულიმინაციით...

ფილმის გმირი, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე, აფხაზეთის, ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მისი ქალიშვილი, ქ-ნი აზა ჯღამაძე იხსენებს-" მამაჩემი ამბობდა, ომსაც თავისი კანონები აქვს, ასე არ ხდება, მოვიდნენ და არაფრის გამო მომკლანო"...ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის მეუღლე, ხუტა ჯღამაძე, ერის, ქვეყნის, სამშობლოს, ოჯახის მოყვარული პიროვნება იყო. მხოლოდ ზნეობრივი ღირსებებით შემკულ პიროვნებას შეუძლია ისეთი ფრაზებით შეაფასოს ომის კანონი, რასაც ქ-ნი აზა იხსენებს.

დოკუმენტური ფილმიდან, ვგებულობთ- 1993 წლის 27 სექტემბერს, როცა სოხუმში სეპარატისტები შეიჭრნენ, ეთერი გასული იყო პურის საყიდლად. ხუტა შინ მარტო იყო. ვიღაცეები მოადგნენ სახლის ჭიშკარს. ხუტა გავიდა შესახვედრად. იქვე დაახალეს ტყვიები და მოკლეს, მისსავე ეზოში. შინ დაბრუნებულ ეთერ ჯღამაძეს, საშინელი სურათი დახვდა...1993 წლის

ოქტომბერში, მთელი საქართველო შეძრა, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის, ტრაგიკულად დაღუპვის ამბავმა. ის სოხუმის 9 აპრილის სახელობის სკვერში დახვრიტეს, აფხაზმა სეპარატისტებმა, ბიჭიკო ბარამიასთან და მის მეუღლესთან ერთად (ბარამიების ოჯახმა, ქ-ნი ეთერი შეიფარა, რის გამოც სამივე ერთად დახვრიტეს)...დღემდე უცნობია, სად არის ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის საფლავი...შემზარავი ამბის მოსმენისას, მახსენდება ქ-ნი ეთერის სიტყვები-"ფიქრით ვარ გაფითრებული, განა სიკვდილი მაშინებს"... " ვისღა მივესალმო, აქ არავინ არ არის, თეთრო იასამანო, ცრემლო ობოლ სამარის...იქ რომ მონასტერია, გზა ეკლებმა დაჰფარეს, ვარდი მონატრებია მივიწყებულ სამარეს"...თითქოს იწინასწარმეტყველა პოეტმა ქალმა მისი ბედისწერა...

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ბიოგრაფიული ნაწილიდან ვგებულობთ, რომ ის ჭიათურიდან იყო. ახალგაზრდობაში ბედი დაუკავშირა ხუტა (ანტონ) ჯღამაძეს და ოჯახმა სოხუმში გააგრძელა ცხოვრება. სამი შვილი შეეძინათ- აზა, ვაჟა და რეზო...1966 წელს გამოიცა მისი ლექსების პირველი კრებული "ალუბლის ტოტი", შემდგომში არა ერთი კრებულის ავტორი გახდა...

ისევ და ისევ, ფილმს მინდა დაუბრუნდე... დოკუმენტური ფილმი "დამაყარეთ გულზე მინდვრის ყვავილი", ჩვეულებრივი შემოქმედებითი გამარჯვებაა, თუ უფრო ღრმად დამაფიქრებელი ამბავი? აშკარად უნდა ითქვას, რომ იგი უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი შემოქმედებითი გამარჯვება. ფილმიდან გაგებული ამბის (ცხოვრების, ტრაგედიის) მარტივად, ადამიანური ენით თხრობა არაფერს ნიშნავს. ხელოვანი (რეჟისორი, სცენარისტი) საგანგებოდ მიმართავს, ერთი შეხედვით, უბრალო ამბავს (ტრაგედიას), უბრალო თხრობით, რაც ომს თან ახლავს, მაგრამ ის რაც გარეგნულად მარტივად მოსჩანს, შინაგანად მთელი სიღრმითაა მოწოდებული...მაყურებელის თვალით, თვალსაჩინოდ ჩანს შემოქმედებითი ჯგუფის მრავალფეროვანი ჩანაფიქრი...

დოკუმენტური ფილმი-სპექტაკლი "დამაყარეთ გულზე მინდვრის ყვავილი" ტრაგიკულია, მძიმეა, მაგრამ ამავე დროს ლამაზი...ლამაზი - რეჟისორის, სცენარის ავტორის, სწორი ხედვით...პოეტის ლექსები, ლამაზად გაახმოვანა, უნიჭიერესმა მსახიობმა-ზურაბ ცინცქილაძემ...და რაც მთავარია, ლამაზია, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ღრმა (ღირებული) პოეზიით, რომელიც მოჩუქურთმებულია, მოხატულ-მოქარგულია, უნიჭიერესი კომპოზიტორის (მომღერლის) ია მაისაიას, მომაჯადოებელი მუსიკითა და სიმღერით...

ვფიქრობ, როგორც მაყურებელს, ძალიან გამიგრძელდა სათქმელი...მჯერა, რომ 2023 წლის 17 ნოემბერს, ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში მყოფი პიროვნებები, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, გაცილებით უკეთ და ზუსტად შეაფასებენ თავთავიანთ სათქმელს, დოკუმენტური ფილმის გარშემო, რომელიც გმირი პოეტი ქალის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ხსოვნას მიეძღვნა...

ვულოცავ რეჟისორს- ზვიად მიქელაძეს, სცენარისტს- ნინო ხოფერიას, შემოქმედებით ჯგუფს...და რაც მთავარია, პროექტის ავტორსა და სულის ჩამდგმელს, ქალბატონ ია მაისაიას, შემოქმედებით გამარჯვებას!..

ირმა კეკელიძე

„ვაჟიშვილი“

ქვეყნის სულიერების, მამოძრავებელ, მასულდგმულებელ საზრდოს (რაც მრავალჯერ მითქვამს) ცხადია, რომ კულტურული ფასეულობები წარმოადგენს.საზოგადოება, განსაკუთრებით ღიად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას კულტურისადმი...კულტურის ერთ-ერთი ყველაზე დინამიური, ცოცხალი, ღია ძალა საზოგადოებასთან ურთიერთობისა, არა მხოლოდ კონკრეტულად ჩვენი ან რომელიმე სხვა ქვეყნის საზოგადიებისა,

შემიძლია გაბედულად ვთქვა, პლანეტის საზოგადოებისა -იყო, არის და იქნება თ ე ა ტ რ ი... დიახ, კულტურულ ფასეულობებს შორის თეატრი არის, ერის სიცოცხლისუნარიანობის მაჩვენებელი...თეატრი არის, ერის დახვეწილობისა და უკვდავების მაჩვენებელი. კულტურულ

არენაზე, მაღალ ფასეულობებს შორის, უმეტეს წილად იმარჯვებს თეატრი...თეატრი, რომელსაც აქვს უნარი ეროვნული ხასიათის (ტრადიციების) და უცხოური ყოფის ამსახველი, შემოქედებითი რეალობა, ცოცხალ სცენაზე დაგვანახოს...

დევნილობაში მყოფ, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის, სახელმწიოფო დრამატულ თეატრს, თავისი ღირსეული ადგილი უჭირავს, არა მხოლოდ ქართული თეატრის ისტორიაში, არამედ ერის ისტორიაშიც...და რა არის თეატრისთვის ღირსეული სიტყვა?..რა თქმა უნდა, თეატრისთვის ღირსეული სიტყვა, ღირსეული და ღირებული სპექტაკლის დაბადებაა...სპქტაკლი (პიესა), რომელიც უახლოეს წარსულში, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის, სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე ვიხილე, თანამედროვე ფრანგი დრამატურგის, ფლორიან ზელერის "ვაჟიშვილი" გახლავთ.

ფლორიან ზელერის პიესის, ძირითადი თემატიკა, ოჯახური პრობლემები გახლავთ...და არა მხოლოდ პრობლემები, შეიძლება ითქვას უფსკრული, რომელიც ოჯახის წევრებს შორის წარმოიშვა. ოჯახის საძირკვლის რყევა, მამის (მეუღლის) არასწორი ქმედებების შედეგად დგება, რასაც თანდათან (უბრალოდ, მარტივად) ტრაგედიამდე მივყავართ...ოჯახის დრამის საფუძველი, მამის, პიერის (მსახიობი ჯანო იზორია), სახლიდან წასვლა და სხვა ოჯახის შექმნაა...პიერის მიერ დატოვებული და ახლად შექმნილი ოჯახიც, რეალურად საზოგადოების მტკივნეული სახეა. ოჯახის უფროსი, პრიმიტიული წესებით ხსნის, ოჯახის დატოვების და სხვასთან წასვლის მიზეზს- "რა მოხდა, შეუყვარდა და მორჩა"...

პიერი თითქოსდა ყურადღებიანია ვაჟიშვილის ნიკოლას (მსახიობი ნიკა ჭკადუა) და ყოფილი მეუღლის ანას (მსახიობი მარინა სოლომონია) მიმართ...მაგრამ ფაქტია, ბოროტება, ტრაგედია, შეუმჩნევლად დარევს ხელს, მის მიერ მიტოვებულ ადამიანებს და განსაკუთრებით, მოზარდ ვაჟიშვილს, რომელსაც თავგზა აებნა და საზოგადოებაში მისი ადგილი ვეღარ უპოვნია.

სპექტაკლში პიერი, ზრუნვას იჩენს ყოფილი და ახლანდელი მეუღლის სოფიას (მსახიობი ეკა არჩაია) მიმართაც. მოკლედ, რომ ვთქვათ კეთილშობილი, ყურადღებიანი მამაკაცის როლს თამაშობს, რასაც არაჩვეულებრივი არტისტიზმით და პროფესიონალიზმით ართმევს თავს, მსახიობი- ჯანო იზორია...ტრაგიკულია, ზელერის პიესის შინაგანი ინტონაცია. დამდგმელი რეჟისორი (მერაბ ყოლბაია), პროფესიონალურად ართმევს თავს სპექტაკლში ტრაგიკული

განწყობის თანდათან განვითარებას. რეჟისორს სწორედ აქვს მიგნებული და მკაფიოდ გამოვლენილი სპექტაკლის არსი, რომელიც ეტაპობრივად ამძაფრებს სპექტაკლში ტრაგიკულობის დოზას...შეიძლება ითქვას, მაყურებელში, მთავარი პერსონაჟების პერიოდულად (შიგადაშიგ) თვითშეგნების და ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობის ატროფია, იწვევს ტრაგიკულობის განცდას.

საოცრად შთამბეჭდავი და სცენური ხიბლის მატარებელია, სპექტაკლის მთავარი გმირის, ნიკოლას სახე, რომელსაც ახალბედა მსახიობი- ნიკა ჭკადუა თამაშობს...ახალბედა მსახიობმა საოცრად დამაჯერებლად და პროფესიონალურად შეძლო თავი გაერთვა საკმაოდ რთული ამოცანისათვის. შთამბეჭდავი და დამაჯერებელია მის მიერ განხორციელებული მიზანსცენები, რომლითაც საკმაოდ დატვირთულია სპექტაკლი.

მაყურებლისათვის ფსიქოლოგიურად დამტვირთველი და შთამბეჭდავია ფსიქიატრიული საავადმყოფოს სცენა...ნიკოლას და ექიმი რამუსის (მსახიობი ჯულიეტა პაკელიანი) პაექრობის სცენა, ურთიეთდაპირისპირება...რაც საოცარი ძლიერი ენერგიით და ტრაგედიის დინამიური განვითარების სიმძაფრით, მაღალპროფესიულ დონეზე, თავს მოგვახვიეს ნიკოლამ და ექიმმა რამუსმა (ნიკა ჭკადუამ და ჯულიეტა პაკელიანმა)...როდესაც სპექტაკლის ფინალში ტრაგედიის პიკი დგება, მამის ოჯახიდან წასვლის გამო, სუიციდისადმი მიდრეკილი ნიკოლა თავს იკლავს... ერთი ტრაგედიის დასასრული მეორე ტრაგედიის დასაწყისი ხდება და ტრაგედიამ მთელი სიმძაფრით გადაინაცვლა მშობლებში - პიერსა და ანაში...სპექტაკლი ღრმა ფსიქოლოგიური ტესტებითაა წარმოდგენილი, რომლის ძირითადი თემაც მშობლებისა და მოზარდის ურთიერთობის შეცდომების შედეგებზეა გათვლილი...

ყოველ მაყურებელს თავის მკვეთრად ჩამოყალიბებული შეხედულება აქვს, ნებისმიერ სპექტაკლზე. რამდენადაც მდიდარია რეჟისორის ხედვა, იმდენად საინტერესო და მრავალფეროვანია სპექტაკლის ღირებულებებისადმი მაყურებლის აღქმა. აზრთა სხვადასხვაობა, სპექტაკლის შინაარსობრივ და შემოქმედებით სიმდიდრეზე მეტყველებს...ჩემი, როგორც მაყურებლის აზრით, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის, სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ფლორიან ზელერის პიესის მიხედვით, დადგმული სპექტაკლი "ვაჟიშვილი", მწერლის

სათქმელს ზუსტად ერგება და მთელი სიცხადით წარმოაჩენს...მაყურებლის პოზიციიდან, გულ-წრფელად ვაღიარებ, რომ ჩემს თვალწინ, სოხუმის თეატრის სცენაზე, წარმატებული სპექტაკლი დაიბადა...

ვულოცავ დამდგმელ რეჟისორსა და მუსიკალურ გამფორმებელს- მერაბ ყოლბაიას, მხატვარს - ნინო ქუთელიას, რეჟისორის თანაშემწეს - ლეილა მურღულიას... ვულოცავ მსახიობებს - ჯანო იზორიას, მარინა სოლომონიას, ეკა არჩაიას, ნიკა ჭკადუას, ჯულიეტა პაკელიანს, მთელს შემოქმედებით ჯგუფს, სოხუმის თეატრს, წარმატებული სპექტაკლის დაბადებას, მშობლიური თეატრის სცენაზე!.. კვლავაც და კვლავაც, ვუსურვებ შემოქმედებით წარმატებებს!..

გიორგი ჩლაიძე







15.05.2023


15.02.2023



21.02.2023

ნინო კუტალაძის შემოქმედება

ელენე ზურაბიშვილი

ნორჩი ათინათელები

ნინი ზეინკლიშვილო

ოცნება

ჩემი ფიქრებით, მღელვარე გულით,
ქვეყანას ჩემსას ვეთაყვანები,
ოცნებად მექცა ხმამაღლა მითხრათ,
ჩვენო პოეტო გვეამაყები!...

ჩემი შრომით და ნიჭის ზეიმით,
მინდა ავიჭრა ლექსებით ცაში,
ისეთი ლექსი დავაგუგუნო,
დავიმსახურე მე თქვენი ტაში!..

ოცნებადა მაქვს, ამიხდეს ნატვრა,
ვიყვე სამშობლოს საყრდენი ღუზა,
პატრიოტიზმი ჩვენ ხომ სისხლში გვაქვს,
მუდამ ჩამძახის ყურებში მუზა!..

ჩემი ფანტაზიები

ავაჩქეფე პალიტრა, პლაზმა აკვარელის,
გამოვადნე ჩემი, ფერი საყვარელი,
ეხლა ჩანაფიქრამდე გზა მაქვს გასავლელი,
მოვამზადე მოლბერტი, თითქმის მოუცლელი.

პალიტრა ქუხს, ვერ ითმენს, მუზაც ჩქარობს ვრცელი,
მალე შევქმნით სასწაულს, მე და აკვარელი,
უკვე დავსვი წერტილი, სინათლეზე ბნელი,
იდეა დაგვებადა, სურვილივით მწველი.

ფუნჯებს გაშმაგებული, ებრძვის აკვარელი,
მთვარის შუქზე ჩქებს ჩემი, ფერი საყვარელი,
გადავშალე ტილო, ფუნჯთა სარეცელი,
იხატება შედევრი, ალბათ შეუცვლელი....

მინიატურა

მივჯექ კუთხეში, შევუდექი წერას
ლექსისას,
კელაპტრის შუქი მითინათებს
მუზისათვის გზას,
ფიქრს აყოლილი უკიდეგანოდ
დავლაშქრავ ზღვას,
ჩემს ფანტაზიას ავუმხედრებ
სტრიქონების ზვავს!.....

გიორგი ქემქაძე
ქართველი-მთიელი

დიდი ოჯახი ფორტეპიანო

მოდი ვიმოგზაუროთ მუსიკალურ სამყაროში, წინ დიდი და საინტერესო გზა გველოდება.

უხუცესი ნოტი დო იჯდა დაფქრებული, მასთა მივიდს ნოტი რე, მიესალმა, რა გაგჭირვებია ძმაო, ასე დაღონებული რად ზიხარ? – ჰკითხა რემ.

– ეე, ჩემო ძმაო, რამდენი ხანია ჩვენი დედმამიშვილების არა ვიცით რა,დარდი მომეძალა.

ავდგეთ და წავიდეთ,მოვინახულოთ უთხრა რემ,წავიდეთ დაეთანხმა დო და გაუდგნენ გზას, იქვე მახლობლად ნოტი მი ცხოვრობდა.მიაკითხეს, მოიკითხეს დასამივემ გააგრძელეს გზა, მიადგნენ ნოტი ფა-ს სახლს, ჩამიჩუმივ არ ისმოდს, შეშინდნენ, ცუდზე ნუ ვიფიქრებთ, იქნე სტუმრად არის წასული, უმჯობესია გზა გავაგრძელოთ და განაგრძეს გზა.მიადგნენ ნოტი სოლ- ის სახლთან, სახლიდან ჟრიამული ისმოდა, შევიდნენ სახლში, ნოტი ფა და ნოტი ლაც სოლთან იმყოფებოდნენ, ესენიც შეუერთდნენ და ყველანი სი-ს მოსანახულებლად წავიდა.შვიდი დედმამიშვილი იყო და შვიდივემ ერთად მოიყარა თავი, მოისიყვარულეს ერთმანეთი.

დო-მ განაცხადა კარგია ერთმანეთი ვნახეთ, მაგრამ წავიდეთ ჩვენი ბიძაშვილ მამიდაშვილებიც ვნახოთო.დიდ ხნის სიარულის შემდეგ ყველანი ერთად შეიკრიბნენ.

მოდი რადგან ბევრნი ვართ და სახელებიც ერთნაირი გვაქვს ჯგუფებად დავიყოთ, არა ძმაო ჯგუფები არ შეგვეფერებს, ჩვენ მუსიკალურები ვართ, ოქტავებად დავიყოთო სიტყვით გამოვიდა რე, მართლაც ასე მოიქცნენ, ყველას სხვადასხვა სახელი ჰქონდა: სუბკონტროქტავა, კონტროქტავა, დიდი ოქტავა, პატარა ოქტავა, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ოქტავა.

კარებს ლამაზი მანდილოსანი და ახოვანი მამაკაცი მოადგა, – მობრძანდით ვინ ხართ, ჩვენ არ გიცნობთ? მოგესალმებით, ჩვენ ნოტის გასაღებები ვართ, დაგეხმარებით, ტუკი ერთად ვიქნებით დამიჯერეტ კარგად ვიმღერებთ.

ჩემი სახელია ვიოლინოს გასაღები ძალიან მხიარულად შემიძლია სიმღერა,ხოლო ჩემი მეგობარი ცოტა სევდიანია და მას ბანის გასაღები ჰქვია, მიგვიღეთ თქვენს გუნდში, რაღა თქმა უნდა მიიღეს.

განაგრზეს გზა, თან მღეროდნენ, გზად სამი უცნაური პიროვნება შეხვდათ მათ შორის ერთი დიდი მუცლით იყო, მიესალმნენ ერთმანეთს, რა კარგად მღერიხართ, ჩვენც მიგვიღეთ გუნდში.

– აბა რისი გაკეთება შეგიძლიათ, გაგვეცანით ვინ ხართ?

– მე დიეზი ვარ და შემიძლია თქვენი ხმა ნახევარი ტონით მაღლა ავწიო.

– მე ბემოლი ვარ და თქვენს ხმას ნახევარი ტონით დაბლა დავწევ.... მე, მე კი ბეკარი ვარ და ხმებს გავაბათილებ.საინტერესოა, მოდით ერთად ვიმღეროთ, დაიწყეს სიმღერა და მათი ხმა ძალიან შორს ისმოდა, თანდათან ემატებოდათ მოხალისეები, სანოტო ხაზები, შტრიხები და ვინ მოსთვლის რამდენი ვინმე შეუერთდათ.

ყველას უნდოდა ამ ლამაზ და მხიარულ გუნდში ყოფნა.

ჩვენც მიგვიღეთ არ ინანებთ, ჩვენც ოთხი დედმამიშვილი ვართ, კი მაგრამ რის გაკეთებას შეძლებთ?

– ჩვეენ, ჩვენ იცი რას გავაკეთებთ? რომ დაიღლებით დასვენების საშუალებას მოგცემთ, ჩვენ პაუზა ვართ, თანდათან ბევრნი გახდნენ დასაინტერესო იყო, ზოგიც თეთრი იყო, ზოგიც შავი.

ყველანი ერთად სასიამოვნოდ ვმღერივართ, ნუღა გავიფანტებით, ერთად ვიცხოვროთ, წინადადებით გ□ოვიდა პირველი ოქტავა.

კარგით, კარგი აზრია მაგრამ ამდენი სად დავეტევით?- ჰკითხეს დანარჩენებმა.

ყველამ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, იყიდეს ერთი დიდი ბინა და მას ფორტეპიანო დაარქვეს, იმ დღის შემდეგ ყველანი ერთად ცხოვრობენ და ყველასათვის სასიამოვნო სტუმრები არიან.

ელენე მაისურაძე
მე-4კლასი. #10 საჯარო სკოლა






გახსენება

ლამზირა შეყილაძე

უსაშველოდ ენატრები დედას

შვილო! ავად ვარ...და სული მტკივა,
დარდი და ცრემლი სულს მიზიანებს.
ახლა, რომ ფეხზე წამოგაყენა
ჩამიყუჩებდი სულის იარებს.

ვიცი ვერ მოხვალ, მე მაინც გელი,
ვერვინ უწამლებს დედას შენსავით.
წამით, რომ მაინც მოსულიყავი
ჩაგიხუტებდი გულში მზესავით.

ახლა...ღამეა ნისლია გარეთ,
მთები ელიან თოვლის მოსვლას
მინდა მოვკვდე და გავთავდე ბარემ
სანამ სიკვდილი ნელნელა მომკლავს.

ხანდახან ფიქრი წამიღებს სადღაც
და ავი ზრახვის ჟინი მაქეზებს
მყის შემაფხიზლებს შენი სულის მზე
და ძლივს ვაგროვებ სულის ნაფლეთებს.

უშენოდ მაინც არ გამეძლება,
ვიცი რონ შენი სული მანდ მიცდის.
ამიტომ ვკვდები, მოვიდე შენთან
რომ ჩაგეხუტო და ვძლიო სიკვდილს.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

დღეს 19 თებერვალის ათი საათია. ჩემო დილის ცისკრის მზევ, თვალები დახუჭე და ზეცაში გაახილე. მიიხედ-მოიხედე ნაცნობი სახეები ხელს გიქნევდნენ. იქვე გიღომოდა შემი კლასელი და ბიძაშვილი გიო სხირტლაძე. ძიუდოს სამოსელი ეცვა და საჭიდაოდ გიხმობდა. თქვენ ხომ ერთად დადიოდით ქარელში. თქვენი მწვრთნელი იყო გრიშა მურაჩაშვილი. შორიდან მამაშენი გამორბოდა. გაბრაზებულმა და სახეალეწილმა ყვირილი დაგიწყო დედაშენი ოთახში გელოდება და აქ სად ამოხვედიო. ჩხუბის ხმა ჩემმა ძმებმა გაიგონეს, შენთან მოიჭრნენ, მხრებზე ხელი დაგადეს და გითხრეს: ნუ გეშინია ბიძია ჩვენ აქ ვართო. მერე მამაშენს შეუყვირეს. შენ თვითონ მიატოვე ჩვენი და 50 წლის ასაკში და აქ ხარ. გელას რატომ ეკამათები, განა ამას უნდოდა? შენი მოსახელე ვახო ორწლინახევრის მიეტოვებინა? ეხ! სიძევ ბატონო, დაწყნარდი, ყველაფერი აზრთაგამრიგის ბრალია. მის ხელშია ყველაფერი. ჰოდა დედიკო გენაცვალოს, მივენდე ბედს და უშენოდ 12 წელი უდარდელი ქალის როლს ვთამაშობ. როლს შეჩვეული სხვებსაც ვამშვიდებ. ვეუბნები რომ, აქ ყველაფერი არის დროებითი, მარადისობა ზეცაშია. ვიყოთ კეთილინი, მივუტეოთ, რათა ჩვენც მოგვიტევოს უფალმა. ხომ სწორად ვიქცევი დედი?

* * *

მოგონებები ინისლება სევდის მალულად,
დღე არ გავა, რომ არ მახსოვდე სულის არაკო,
ახლაც ფიქრები შვილო შენსკენ გამოპარულა,
არ დამეღალო, ლექსებით თუ გელაპარაკო!

მილოცვა

გილოცავთ ათინათელებო

ბედისწერისგან გულმოკლულ ქალს უფალმა გამძლეობის სამოსელი შემომაშველა. გილოცავთ ათინათელებო 51-ე ნომრის გამოცემას! დღეიდან უკვდავების გემით უნდა გამოგზაუროთ, სადაც მხოლოდ სიყვარული და ერთმანეთის მიმართ პატივისცემაა, რადგან უფალს უბრალოება და თავდაბლობა უყვარს. რეზო ადამიას მიერ შექმნილი წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის და დედა-ღვთისმშობლის ხატები დაგიცავთ ამ გზაზე. წმინდა გიორგის ხატის შიგა ველი დათმობილი აქვს უკვდავ ლეგენდას, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას, სადაც აკადემიის ფიცი არის ქართული და ინგლისური ვარიანტით წარმოდგენილი. ცისკარელის ალბიონის ქვეყანაში შოთა რუსთაველის პორტრეტი დაგხვდებათ, რომელიც ასევე ბატონი რეზოს მიერ არის შესრულებული. ''ათინათის'' ყველა ნომერი გამოვა სქელი ყდით. სამეცნიერო შემეცნებითმა წიგნმა უნდა იმოგზაუროს მსოფლიოს გარშემო, ამ დევიზით: ''ვინ მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია". მე კი დავჯექი და ამბავი გიამბეთ მომავლის სასიხარულოდ!

პატივისცემით,
რედაქტორი გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

"ATINATI" MEMBERS!

ongratulations on the publication of the 51st issue of the "Atinathi". The Lord gave me a garment of endurance for a woman heartbroken by fate! This time, I must travel with you on the ship of immortality on this long voyage. In this ship, there is only love and respect for each other. God loves simplicity and humility, so in this journey, the icons of St. Nino, St. George, and the Mother of our Lord created by Rezo Adamia will lead and protect you. The inner page of St. George's icon is dedicated to the immortal legend Mr Jumber Lezhava, where the oath of the Academy members is placed in Georgian and English versions. In the land eternal Albion of Ciskareli, you will find a portrait of Shota Rustavrli, also created by Rezo Adamia. All issues of «Atinati» will be published with a thick cover and the scientific cognitive book should travel around the world with this motto: "The one who does not look for a friend is an enemy for oneself." And I sat down and told the news, for the joy of the future! God bless you, Members of "Atinati!"

Sincerely,
editor Gulnaz Kharaishvili (Ciskareli)

გილოცავთ სიყვარულის დღეს!

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი 2
წმინდა ნიკოლოზი 3
ხატმწერი ხატია ლარიაშვილი
დაბა წყნეთის მერვე საუკუნის წმინდა
გიორგის სახელობის მონასტერი
შობა 4
აღდგომა 4
ხატმწერები გელა, გიორგი და ხატია
ლარიაშვილები

მამა გაბრიელი 5
**უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** 6
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 7
გულნაზ ხარაიშვილი 8

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე 9
კახა ბაციკაძე 11
გიორგი ზუხბაია 12

პოეზია

მამა ამირან ამირანაშვილი 14
ბერდიაკონი ნეოფიტე 15
ნანა ცინცაძე 16
ეთერ ჭელიძე 21
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 24
ნელი საგინაძე 26
გულიკო კაპანაძე 28
ხათუნა თედიაშვილი 32
მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე 35
მალვინა ჭელიძე 38
გერონტი მესხი 40
ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი 42
დარეჯან ღონღაძე 44
ნელი ტორონჯაძე 46
თემურ გოგსაძე 56
ია მაჭარაშვილი 58
მაგული კორძაია 60
ლამზირა შეყილაძე 64
ირმა ტყემალაძე 66
ვალია კვაშილავა 69
ნორა (ნორიკო) მგელაძე 72
მზია გირგვლიანი 74
ნინო ქინქლაძე-ჭიღიტაშვილი 76
ლეილა ვადაჭკორია 78
გიგი თეთრაძე 80
მანანა სამყურაშვილი 82
მირზა ვარძუკაშვილი 84
"ანდრია" ანზორ შერვაშიძე 86
ბესო ჩუბინიძე 92
გვანცა პაატაშვილი 96
ნესტან გეგენიძე 98
დარეჯან მაჭარაშვილი 100
ნატალია ფიფია-სამუშია 102
თეა ბარბაქაძე 104
ბელა მოდებაძე 106
ლეილა-ლიკა მაჩაიძე 109
ნინო მოსაშვილი 114
ნინო უძილაური 117
მზია ელიაძე 120
ეთერ ისაკაძე 122
თამრო ნიუარაძე 124
ვერიკო პარწიკანაშვილი 128
ეთერ გაჩეჩილაძე 130
მარინა კოლხელი 133
მარინა დიერაშვილი 134
მთვარისა ზეინკლიშვილი 136
ეკა სურამელი 138
ლალი სოხაძე 140
გოჩა ჭაბუკაიძე 142
თამარ ფიცხელაური 144
ნესტან ხარებავა 146
თინა ბასაბიშვილი 148
ირინა ბერიანიძე 150
მზია გომართელი (გუბათაშვილი) 152
ლია ალადაშვილი 154
ელენე ზურაბიშვილი 156
ლია შენგელიძე 158
გიორგი (გია) დემეტრაშვილი 159
თინა სტეფლიანი 160
ნინა გაჩეჩილაძე 162
ნანა გიგუაშვილი 164
ლიკა აკობია 167
იზა ჭიკაიძე 169
ია მოსულიშვილი 172
რუსუდან ჯანელიძე 174
ბეჟან ხარაიშვილი 176
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 179

მიძღვნები

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 188

თარგმანები

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი 195

ხაბავშვო განყოფილება

მარინა დიერაშვილი 205
ლალი კახიძე 206

არდავიწყება მოღვაწეთა

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)..... 208
ედუარდ უგულავა..... 209
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)..... 210

პროზა

რევაზ მიშველაძე..... 211
ხათუნა ჩიტაძე..... 221
ლია ჩიქოვანი-გოგრიჭიანი 224
ია მაჭარაშვილი..... 234
მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე 236
ნინო ჭელიძე 238
ანამარია ლილუაშვილი..... 248
გვანცა ხარაიშვილი 250
იზა ვეფხვაძე 251

ჰუბლიკა

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი) 253

წერილები

ლუარა სორდია 272
რევაზ მიშველაძე..... 277
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)..... 278
ხათუნა ელიაშვილი..... 282

სიგრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)..... 284

დრამატურგია

ირმა კეკელიძე 287

შემეცნებითი ხამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)..... 307

ისტორია

გოჩა ჭელიძე 311

ხამართალმცოდნეობა

ლალი ჩოდრიშვილი 317

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი 320

ხელოვნება

ირმა კეკელიძე 327
გიორგი ჩლაიძე..... 332
ნინო კუტალაძის..... 335
ელენე ზურაბიშვილი 338

ნორჩი ათინათელები

ნინი ზეინკლიშვილო 339
გიორგი ქემქაძე 340
ელენე მაისურაძე 341

გახსენება

ლამზირა შეყილაძე..... 342
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)..... 342

მილოცვა

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)..... 343

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

მასალები მიიღება ელექტრონული სახით, საბოლოო სამუშაო Word-ის გაკორექტირებული ფაილი. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორების გადმოგზავნილ მასალებზე.

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE05TB7698236080100014

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და ბოლო გვერდზე ხატი „დედა ღვთისმშობელი ყმით“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი
რედაქტორი: ნანა სხირტლაძე

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე — ეკონომისტი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების
რედაქტორი: თენგიზ ფანცულაია — სამართალმცოდნე

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები: ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.
ლიტერატურისა და პუბლიცისტიკური წერილების განყოფილების რედაქტორი: ეთერ ჭელიძე.

ხელოვნების განყოფილების რედაქტორები:
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და გულიადა სანოძე – მსახიობი.
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი),
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.
იურიდიული განყოფილების რედაქტორი ირაკლი ნადარეიშვილი — სამართალმცოდნე, პროფესორი (პოეტი).

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე — პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com